1959/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

12

დეკემბერი

1959

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 36-ე № 12 დეკემბერი, 1959 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

7 44/

შინაარსი

		გვ.
გიორგი ლეონიძე	— ჩემო მესხეთო. ლექსი	3
გრიგოლ აბაშიძე	— ლექსები	5
ხერგო კლდიაშვილი	— ნაცარა. მოთხრობა	9
გიორგი კაჭახიძე	— ლექსები	19
მოსე გვასალია	— ახალი მოსახლე. მოთხრობა	21
წერუნ თორგომიანი	— უსინათლოთა აგარაკზე. ნარკვევი. თარგმანი ივანე და არჩილ დავითიანებისა	42
ანატოლი პრისტავკინი	— მოთხრობები. თარგმანი ციალა ჩხეიძისა	84

ჩვენი იუბილარები

გიორგი მარგველაშვილი	— გიორგი ლეონიძე	93
ხარგის კაკაბაძე	— გიორგი ლეონიძე და ძველი ქართული კულტურის საკითხები.	106
ლავროსი კალანდაძე	— ნათელი აზრისა და გრძნობის პოეზია	111

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დ. ენუქიძე	— საზოგადოების ცხოვრებიდან მსოფლიო ომის გამორიცხვის რეალური შესაძლებლობის შესახებ	120
ვ. კიკნაძე	— შილერი ქართულ თეატრში	128
მაქსიმე მეტრეველი	— ალაგირელი ქართველები დასასრული	135

(იხ. მეორე გვ.)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»

ლიტერატურული მემკვიდრეობა

მოსე გოგიბერიძე — ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ესთეტიკური ანალიზი. დასასრული . . 142
მიხეილ მახათაძე — შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი დაზიანებული და დამახინჯებული ადგილის შესახებ. დასასრული 153
შ. გოზალიშვილი — ნიკო ნიკოლაძის წერილები სერგეი მესხისადმი, დასასრული . 158

მეცნიერება

ჯუკოლ ბერიძე — ოდი, ოდიში და ოდოია 168

საუბრები ენის საკითხებზე

შოთა ძიძიგური — საერთაშორისო სიტყვები 171

წიგნების მიმოხილვა

ზურაბ კაკაბაძე — წიგნი ესთეტიკის საკითხზე 177
ალ. კოკაია — სიმონ წეერავას მოთხრობები და ნარკვევები 179
ირაკლი კენჭოშვილი — ქართული ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“ 181
ნოდარ კუპრავა — თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ფილოსოფიაში . . . 183
დავით ჩაკვეტაძე — წიგნი სახელოვან წინაპარზე 186

დავით გვრიტიშვილი — წერილი რედაქციის მიმართ 189

ახალი წიგნები 192

რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), **გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-59 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7¼×12½. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 08140 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 873.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

★

ჩემო მესხეთო

1

დაფნა და ვარდი...
რა საამო დღე...
ო, რა ლაჟვარდი...
ო, რა სამოთხე...
მოღელავს ტალღა,
მოშრიალებს ტყე...
აი, სამშობლო,
აი, სამოთხე!
მაგრამ რად დავალ
ჩუმად, როგორც ტყვე,
იქნებ დარდი და
სევდა შემიტყვეს?
მე კრძალვით ვამბობ
ამ საღვთო სიტყვებს:
— აი, მამული,
— აი, სამოთხე!
რა მზის ალმური...
რა საამო დღე...
რთვლის სიტკბოებით ნაბადაგები, —
მთაწმინდელების ათაბაგების,
სურნელი მიწა, რუსთაველისა...
ფეხის დადგმა რომ ახლოს მეღირსა...
შავიზღვის უბე ამონჩქრეული
ქაფშეტყორცნილი, თეთრი ფირფატით,
მეალერსება თითქოს გრძნეული
ქალი ზურმუხტის რიდე-პირბადით.

2

მაგრამ ბუჩქები რას ჩურჩულებენ.
ნანგრევნი რაღას მეუბნებიან.
შავი ზღვა რისთვის გადალურჯულა,
ჩანჩქერი რისთვის მოჰქუხს ვნებიან!
რა ალმასით სურს გული ათალოს,
ან მე რას მეტყვის ამის პასუხად, —
რისთვის წასულხარ სხვისკენ, ფათალო,
ჭოროხის ზვირთო, სად გადასულხარ?
თოვლით ნაპოხი კარჩხალის მთები
მწარედ მოსთქვამენ თვის სიმარტოვეს;
თითქოს ყივიან გოლიათები —
სამშობლოს დროშა რისთვის დასტოვეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე-კოშკებში, ნატაძრევებში
დიდი წარსული ჩუმად ქვითინებს
და ვერვინ იტყვის: ცრემლის ხევებში
გვეყო, რაც წარღვნა ჩამოვიდინეთ!
მე გულზე დრტვინვა მეტორტმანება, —
უგუნურების ამპარტავნებამ,
როგორ გამოსჭრა ჩემს ზამბახს ყელი,
ანაზდეულად, უცბად, ერთწამით,
როგორ ძირს დასცა ჩემი ლერწამი,
როგორ შეახო სიკვდილის ხელი?
შეირხევიან მთები მძინარე
პირს დაბანს ცრემლი ჩამოღვარული;
თვითეული ხე შემომცინარებს
ღიმით, ჩურჩულით და სიყვარულით.

3

ვერ დავთვლი ღამეს თქვენთვის
გათეულს,
ხომ ქართველებად დავიბადენით...
დაიგუგუნეთ თქვენც გუმბათებო!
რომ განშორება გვეყო ამდენი!
ჯვარზე გაკრული და ნაწამებო,
მშვენიერების ტურფა სამეფო, —
მესხეთო, ისევ ხარ სანუკვარი!
დაიგრიალეთ თქვენც, აკლდამებო!
ჩაბნელებული გახსენით კარი!
სთქვით წინაპრებო, დიდების გვარი,
ხელის გულებზე აინთეთ კვარი!
მე — თქვენი გულის სიმღერა მესმის,
საკურთხევლებზე წმინდა ღაღადი,
რომ ჩავიწერო სიტყვები კვნესის,
ამითავდება ალბათ ქაღალდი!
აენთე, ცეცხლო, თუ აენთები, —
ბანავ, შატბერდო, ოშკო, ხახულო,
გაშალეთ გრძელი პერგამენტები,
რომ გული ცეცხლით კვლავ
გაახუროთ.
რუსთველიანო დიდო მესხეთო,
ტაო-კლარჯეთო, თქვენი მაქვს ვალი,
მინდა ქარიშხლით შენს ნისლს
ვეკვეთო,
ჩემო შავშეთო,
დამიტკბე თვალი!
ჩემს ნათელ სურვილს მიეცი ძალა,
ჩემი ჭრილობის დიდო მკურნალო,
დავბადებულვარ შენს ტყუპის
ცალად...
კერავ, მამათა ნასადგურალო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

★

ლექსები წიგნიდან — პირამიდებზე

სტამბოლის ნაციონალურ მუზეუმში

მივყვები ბრწყინვალე დარბაზებს,
ყოველი კუნჭული მაბრაზებს.

რამდენიც ოქრო და ვერცხლია,
იმდენი სისხლი და ცეცხლია.

რამდენიც ძვირფასი თვალია,
იმდენი ხანძრების ალია!

ეს ხმლები შხუილით ელავდენ
სპარსეთის ყურედან ვენამდე.

ეს ტახტი ქალაქებს ბუგავდა —
ბერძენთა,
ქართველთა,
ბულგართა.

ეს თვალი ოქროში ჩასმული
ცრემლია ჩერქეზთა ასულის.

შეჩერდი! შენს ირგვლივ რაც არი —
კვნესაა,
მოთქმაა,
ნაცარი!

რაც ლალი,
რაც იაგუნდია,
რაც შუქი მაბრმავებს სარკეთა...

— ნამდვილად ყაჩაღთა ბუდეა,
გავიდეთ აქედან!

ტუტანხამონის აკლდამაში

მე ზღაპარში ვარ, მაგრამ არა მსურს
ვიპოვო დევის სული მზებნელი,
მე შენ დაგეძებ, ვით ჟამს გარდასულს,
შორიდან მოველ შენი მძებნელი.

მოვჰყე ცხრაკლიტულს, სულ თითო-
თითოდ,
თითქო სამზეოს გამოვესალმე —
ერთ ოქროს ყუთში მეორე იდო
და მეორეში კიდევ — მესამე.
და მეოთხეც რომ გავხსენ დახშული,
ვიგრძენ სიკვდილის ფრთების შეხება—
ჩუმი ღიმილით, ოდნავ ბავშვურით,
შენი ხატება შემომეგება.

უგრძნობელს, მაგრამ უხრწნელად
შთენილს
მეც ქვაქცეული დაგცქერ მდუმარი...
აქ რწმენა ცოცხლობს უკვდავი შენი,
მე შენს რწმენასთან მსურს საუბარი.

შენ მოგერია უცნობი სენი,
არც გამშვენებდა ჯერ წვერ-ულვაში,
ჩუმად გალიე ცხოვრება შენი
საუკუნოსთვის მუდმივ ზრუნვაში.

ამას შესწირე სიცოცხლე მთელი,
არად ჩათვალე სხვა მონაგები,
ამზადებინე საგზალი გრძელი,
აკეთებინე სარკოფაგები.

მომსვლელს და წამსვლელს უხმოდ
უხვდები,
შენს სამყოფელში რა სიჩუმეა...
შენი საგზალი დევს ხელუხლები —
ხოხბის მუმია, პურის მუმია...

ყველაფერი აქვს შენს მდიდრულ
სუფრას —
ოქროს თასებიც, ბასრი დანებიც,

შუბოსან მცველებს გავხედავ უბრად,
მე აქ არაფერს წავეტანები.

თვალს არ მომტაცებს არც სამკაული
ზედ არ დავხედავ ნატიფ მარაოს ,
მაგრამ ამ ჭადრაკს გვერდს ვერ
ჩავუვლი,
მსურს ვეთამაშო ერთხელ ფარაოს.

შორს ვატარებდი მე ჩემს დროებას,
ძლიერებს სიტყვით არა ვხიბლავდი
და ეს ვიცოდი — ფარაოებთან
თამაშს ყოველთვის მოსდევს ხიფათი.

მაგრამ დღეს ვბედავ
წინ დაფა მიდევს,
ეტლებთან წყვილად დგანან რაშები..
თამაშს ფიქრობდი იმ ქვეყანად
კიდევ? —
მოდი, ჩამოვსხდეთ, გეთამაშები.

მაგრამ, რას ვამბობ, რა მიხუმრია,
მე შენგან რაღა პასუხს მოველი?!
ქვადქცეულია შენი მუმია,
არარა არის შენთვის ყოველი.

გათავებულა ბედთან თამაში,
დუმს სარკოფაგი შენი პირღია...
გრძელ გზაზე დამდგარს, ბნელ
აკლდამაში
ნავი და ეტლიც თან წაგიღია.

იქნებ ამ ნავსაც ნატვრად აქვს დღემდე
ეს ხალხის ტალღა იქცეს ზღვაურად,
შენ ხომ ამ ნავით სიკვდილის შემდეგ
იმ ქვეყნად უნდა გემოგზაურა.

შენ ხომ ნილოსით უნდა გაგევლო
გზები ძნელი და სამწუხარონი,
მაგრამ ვერ შეხვდი მეგზურ ანგელოსს
და დღემდე გელის სტიქსთან ხარონი.

დღემდე აქ წევხარ, იმ ქვეყნად შენაც
ვერ გაჰყოლიხარ წასულთ ნავებით
და მოგზაურობს შენს ნაცვლად რწმენა,
რწმენა იმ ქვეყნის და უკვდავების.

შენ ვეღარ გასცქერ ზეცას კრიალას,
ვეღარც ფიქრით სჭვრეტ შორეთს
მინურად,
და ნავით შენი ლანდი კი არა,
ნილოსზე შენი რწმენა მისცურავს.

და მე მივყვები ოცნებით შენს ნავს,
იმ შენი დროის კოლხეთს გავსძახი!
შორს განკითხვის დღის კოცონი ელავს
და ჩვენ, შემკრთალებს, გაგვაქვს
ცახცახი

ო, შენი რწმენა სიცოცხლის დიდის
ზღვებზე მიაფრენს აფრებს
გაშლილებს!
დანგრეულია ყველა სხვა ხიდი
და მხოლოდ რწმენა ჩვენ გვაკავშირებს.

შენ, წინაპრების დიადი რწმენით
სიცოცხლეშივე სულეთში შესულს,
როგორ გჯეროდა, რომ ხორცი შენი
კვლავ შეხვდებოდა იმ ქვეყნად შენს
სულს.

მაგრამ გამქრალა მაგ თვალთა სხივი,
დაყრუებულხარ უკვე ბედკრული,
გამოფიტული, ქვასავით ცივი
წევხარ ძვირფასი თვლებით შემკული.

ვაი, უგრძნობელ ხელებს გამხმარებს,
მათაც სიკვდილის ადევთ ხუნდები,
შენ ზურმუხტები აღარ გახარებს,
არაფრად გინდა იაგუნდები.

აღარ ანათებს შენთვის ლალები,
აღარც შუქი აქვთ ბეჭდებს
ნაცრისფრებს
და ხელოვნების ეს ბრწყინვალება
მხოლოდ ცოცხლების თვალებს
ანცვიფრებს.

ცოცხლებს რომ გვხიბლავს მინა და
სათი,
ეს ელვარება ბროლის სარკეთა,
ჩვენ უკვდავება გვგონია მათი,
ვინც ეს მშვენება წლობით აკეთა.

მაგრამ ეს რწმენაც გასაოცარი,
ვაგლახ, ყოფილა მოსატყუარი
და უკვდავება მათგან შორს არი,
ვინც ყველაფრისთვის ბრმა და ყრუ
არი.

თურმე ამ შუქით, ჩვენ რომ მივსტირით,
მხოლოდ ცოცხლების თვალი ტყუვდება
და გაფრენილი ერთხელ ჩიტივით
სიცოცხლე უკან აღარ ბრუნდება.

შენ აღტაცება არ გესმის ჩემი,
უხმოდ გვაცილებ ურიცხვ მნახველებს,
შენ ყველაფრისთვის უგრძნობლად
რჩები,
შენ არაფერი აღარ გაღელვებს.

დგანან უვიცნი და გულუბრყვილოდ
არ აშორებენ შენს სხეულს მზერას,
და მე აქ ყველას მინდა ვუყვირო:
—თქვენ უკვდავების რატომღა
გეგერეთ!

თუ ეს მუმიაც ქვა არის მხოლოდ
და ყველაფერს სპობს სიკვდილი
მკაცრი,
თუ ყოველივეს ქვეყნად აქვს ბოლო,
მაშ, უკვდავებას სადღა აქვს აზრი?!

მაშ სადღა არი თავშესაფარი,
რაღა გზა არი, ან რა ღონეა,
ეს უკვდავების გრძელი ზღაპარიც
თუ ცოცხლებისთვის მონაგონია.

თუ ყოველივე არყოფნას ერთვის,
სადაც არაფერს არ აქვს ნაპირი...
აღარ ხარ შენ და ამ ქვეყნად შენთვის
აღარ არსებობს აღარაფერი.

კონსტანცა

თვით მაღალ ღმერთებს მგოსნები ქმნიან
და კეისრებიც სახელს უნდა მათ
უმადლოდნენ.—
ოვიდიუსი

კონსტანცა!
კონსტანცა!
კონსტანცა!
მე შენზე ფიქრმა სიმშვიდე მომტაცა
და ძილი გამიკრთო.
დუნაის ველები,
სიცივე.
უცხოეთი.
დღისით თოვს,
ღამით თოვს.
და კვდება პოეტი,
კვდება და... ,
მაინც თოვს...

ცივია ქვეყანა სარმატთა,
რა ვუთხრა ამნაირ სამართალს —
არც დაფნა, არც ტაში,
სულ მტრობა,
მზირი და
დამსმენი!

ერთხელ არ მოხედეს განდევნილს
და კვდება იმ რომის ნატვრაში,
რომელმაც ატირა ამდენი.

თვალებში ჩვენებად ჩამდგარა
რომის ცის ნატეხი პატარა.
სიცივე ერევა მოცელილს,
ფიქრს მისდევს,
ჩურჩული შეწყვიტა ბაგემაც,
ბოღმამაც დატოვა,
სამშობლოს ნაღველმაც
და კვდება იმ დროის მლოცველი,
რომელმაც ამდენი სიმწარე აგემა.

ჰო, ის დრო!
დრო — დიდი ოცნების,
დრო — მკაცრი მბრძანებლის,
დრო — დასჯილ მგოსნების,
დრო — დიდთა ტიტანთა!
მასთან ერთად კვდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან ერთად მიდის,
ალარავინ რჩება
ამ ქვეყანას დიდი,
მის ტოლს და მისებრ დიდს
რომ ვერვის იტანდა,
ამ მკაცრ ბრძანებელსაც ფარავს
შავი ბინდი!

ისიც ვეღარ დასცქერს
სამყაროს ზევიდან,
თორემ კიდევ რამდენ
მგოსანს განდევნიდა
დამჯერე მსტოვრების...
ვაგლახ! ისიც ბოლოს
დავლად დარჩა მღილთა,
ვისთან მტრობაც ღირდა,
ვისთან ბრძოლაც ღირდა
და თითქო აზრიც
შეცვლილა ცხოვრების
მისი წასვლის დღიდან.

გრძელ ფიქრს სწყვეტს
გრძელ გზაზე დამდგარი,
გასრულდა... ათავებს ანგარიშს.
ქარი არწევს ცივ ბინას..
ხედავს, სიკვდილისგან
თვალებმინისლული
როგორ ლხენით ტოვებს
სხეულს მისი სული
და ცისკენ
მუზების ლაღი ფრთით მიფრინავს.

მერე რა,
ბინდი რომ ეხვევა,
მხრებთან გრძნობს
წყვილი ფრთის შერხევას
და რწმენა ცოცხლდება:
რომ ძალა ჰქონია უკვდავი
მის ფესვებს,
რომ ხელს ვერ შეახებს სიკვდილი
მის ლექსებს,
რომ ამგვარ სიკვდილზე
არ ძალუძთ ოცნებაც
ულმობელ პრინცეპსებს.

კონსტანცა!
კონსტანცა!
კონსტანცა!
მე შენზე ფიქრმა სიმშვიდე მომტაცა
და ძილი გამიკრთო.
დუნაის ველები,
სიცივე.
უცხოეთი.
დღისით თოვს,
ღამით თოვს.
და კვდება პოეტი,
კვდება და...
მაინც თოვს.

თბომავალი „ტრანსილვანია"—თბილისი
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

★

ნაცარა

1

მთელი სახლი ერთბაშად გაიგებდა ხოლმე ილიას შინ დაბრუნებას. ბანჯგვლიანი შპიცი ცუგრი, რომელიც უმეტეს დროს მოწყენილი იწვა საერთო აივანზე, ყურს მოჰკრავდა თუ არა ნაცნობი ნაბიჯების ბაკუნს ქუჩაში, უმალვე წამოხტებოდა, კიბისკენ გაიქცეოდა და ყეფით დაეშვებოდა პატრონის შეხვედრებლად.

ცუგრი არც მაშინ შეწყვეტდა ყეფას, როცა ილიამდე მიაღწევდა, — გარშემო უტრიალებდა, რამდენიმეჯერ აირბენდა და ჩამოირბენდა კიბეზე და ყეფითვე გაიჭრებოდა ეზოშიც, თითქოს ამით ყველას ახარებდა თავისი საყვარელი პატრონის შინ მოსვლას. ილია შესძახებდა ხოლმე ძაღლს გაჩუმებულიყო, მაგრამ ცუგრი გრძნობდა, რომ ეს გაწყრომა კი არა, უფრო ალერსი იყო და, ამით გათამამებული, კიდევ დიდხანს არ ცხრებოდა.

— ჰო, რაო? რას გაგიჟდი? — იწყებდა ილია ცუგრისთან ლაპარაკს. — ისე ჰყეფ, თითქოს შენს გარდა აქ არავინაა. ყურთასმენა წაიღე! გაიგე, პირუტყვო, ჩვენ ადამიანები ვართ და გვაწუხებს ხმაური... დიახ, ასეა ჩემო მეგობარო... ჰო, კმარა ახლა, კმარა! რამდენჯერ მითქვამს, ნუ შემომახტები... მომცილდი, ნუ გამსვარე! — ცდილობდა მოეშორებია ძაღლი და თანაც ეთამაშებოდა: — აი შე ჭინკავ! აბა, ახლა გადატრიალდი... ერთიც კიდევ... აი აგრე, აი აგრე!

ასე ხდებოდა ყოველთვის, მაგრამ ამ დღეს, საიდანაც ამბავი იწყება, მათი შეხვედრა სხვაგვარად დამთავრდა.

აივნიდან ჩვეულებრივად გაიჭრა ცუგრი, როგორც კი ნაცნობი ფეხისხმა მოესმა, ყეფით ჩაირბინა, ხალისიანად შეეგება ილიას, ზევითკენ ხმაურითვე გაბრუნდა დარწმუნებული, რომ პატრონი უკან მოჰყვებოდა, მაგრამ როცა მისი ნაბიჯის ხმა ვეღარ გაიგონა, შეჩერდა და მოიხედა: ილია იქვე იდგა კიბის ბოლოში და რაღაცას დაჰყურებდა. მაშინ ცუგრი შემოტრიალდა და დაბლისკენ დაეშვა.

შემოსავალში ორი კნუტი ეგდო. კნუტები ძალიან გავდნენ ერთმანეთს. ნაცრისფერი გადაჰკრავდათ და შუბლზე თეთრი ზოლი აჩნდათ. ორივე თოთო იყო, სიარული არ შეეძლოთ, უმწეოდ გაჩაჩხულიყვნენ და კნაოდნენ. ალბათ, მშივრები იყვნენ და დედა-კატას უხმობდნენ.

ილიამ ერთხანს უცქირა ამ უსუსურ არსებებს, მერე გაშორდა, რამდენიმე საფეხური აიარა, მაგრამ იძულებული გახდა ჩაბრუნებულიყო, რადგან კნუტებმა, თითქოს შებრალებას თხოვდნენო, გულსაკლავი კნავილი მორთეს. მაშინ ილიამ ორივე ხელში აიყვანა და შინისკენ წაიღო.

ამას კი სრულიად არ მოელოდა ცუგრი. ერთი-ორჯერ სცადა თავისკენ მიექცია პატრონის ყურადღება, გულმოსულად შეჰყეფა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ილია არც კი ამჩნევდა მის გაბრაზებას, გაჩუმდა და მოწყენილი მიჰყვა გვერდით.

ცუგრი დიდად უკმაყოფილო იყო. დადუმებული, უხალისოდ ადიოდა ახლა კიბეზე და თავისი ძაღლური ჭკუით ასე მსჯელობდა:

— როგორ ეკადრება ისეთ დიდებულ ადამიანს, როგორიცაა ჩემი პატრონი, კნუტების ხელით ტარება! რა ოხრად უნდა ეს საზიზღარი ცხოველები! კატა-

ზე უფრო პილწი ხომ ქვეყანაზე არაფერია... სჯობს, მომცეს და ისე დავბღვნი ორივეს, მათი ტყავის ნაჭერიც ვერავინ იპოვოს!

ცუგრიმ ერთხელ კიდევ დაჰყეფა, როცა ილიას კარი გაუღო მისმა ცოლმა ელენემ. ამ დაყეფებით თითქოს შესჩივლა დიასახლისს პატრონის უკადრის საქციელზე.

— ეგ რა მოათრიე?! — შეიცხადა ელენემ, როცა ქმრის ხელში კნუტები დაინახა.

ილიამ შინ შესვლა დააპირა, მაგრამ ცოლმა გზა გადაუღობა.

— გადააგდე, ახლავე მომაშორე! რამდენ ლეკვსა და ცინდალს ქუჩაში დაინახავ, ყველა უნდა აკრიფო და შინ მომიყვანო? განა ეგ პირველი შემთხვევაა? ქალი არ ვიყო, თუ ეგ ჩვეულება არ გადაგაგდებიე!

მოფერებით, ტკბილი სიტყვით შეეცადა ილია მოელბო ცოლის გული, მაგრამ ის შეუბრალებელი აღმოჩნდა:

— ახლავე მომაშორე! მათი შეხედვაც მზარავს! — თვალებზე ხელს იფარებდა ელენე.

ცუგრი მიხვდა, თუ რატომ ვერ შეებედნა პატრონს ბინაში შესვლა. ამით გათამამებული, ეშმაკურად შეჰყურებდა ილიას და, კმაყოფილი, კუდს აქიცინებდა; მერე გასასვლელისკენ გაიქცა, კიბის თავში დადგა, შემოტრიალდა და რამდენიმეჯერ დაჰყეფა, თითქოს ეუბნებოდა: რად აყოვნებ, ჩაბრუნდი და გადაჰყარე ეგ უხამსი ცხოველები!

ელენეს ხმამაღლა ლაპარაკზე საერთო სამზარეულოდან აივანზე გამოვიდნენ მეზობლად მობინადრე დედაკაცებიც და ცოლქმრის დავაში ჩაერივნენ.

ყველაზე უფრო შეუბრალებელი ქვრივი ტასო აღმოჩნდა.

— როგორ შეიძლება ბინაში კატების გაჩერება! — აღშფოთებას გამოთქვამდა ის. — მათგან მოსვენება აღარ გვექნება; აქაურობას რწყილებით აავსებენ და გააბინძურებენ. ამ წუთში გაათრიეთ!

ეს ვეებერთელა, ძალზე მსუქანი დედაკაცი ისე ბობოქრობდა, თითქოს რაღაც საშინელების შემსწრე ყოფილიყო, აქნევდა თავის ხელებს, აბრიალებდა მოწითალო დიდ თვალებს და გუგუნებდა უჩვეულო ბოხი ხმით, რომელიც მუდამ გაციებულ ყანყრატოდან ამოსდიოდა.

ყველასგან გაკიცხულმა ილიამ ის იყო გაბრუნება დააპირა, როცა ოთახიდან მისი გოგონა მაიკო გამოვიდა. კნუტების დანახვაზე ბავშვს თვალები გაუბრწყინდა, აღტაცებული მიიჭრა მამასთან, უეცრად ერთი გამოსტაცა, გულში ჩაიკრა და, გახარებული, ისევ ბინაში შევარდა.

მეორე კნუტი ხელში შერჩა ილიას, გაანჩხლებული ტასო მოითხოვდა ეს მეორე მაინც მოეშორებინათ აქაურობისათვის და ილიაც იძულებული ხდებოდა დამორჩილებოდა, მაგრამ ერთმა მეზობელთაგანმა, ხანშესულმა სათნო სახის მარიამმა, გულკეთილობა გამოიჩინა, შეიცოდა უმწეო ცხოველი, გამოიტანა ძველი პატარა კალათა, ჩააფინა ჩვრები, ჩასვა შიგ და კალათა დადგა განცალკევებულ ადგილას აივნის ბოლოში, იქ, სადაც სხვენზე ასასვლელი ხრახნილი კიბე იწყებოდა.

— კმარა, ნუ კნავი! — შეცოდებით დაჰყურებდა მარიამი მარტოდ დარჩენილ კნუტს, რომელიც თითქოს ძმისგან დაშორებას სჩიოდაო, ნაღვლიან ხმას გამოსცემდა. — დაწყნარდი, ჩუმად იყავი, ნაცარა!

ასე და ამგვარად ერთი ძმა მაიკომ შეიფარა, მეორემ კი კიბის ქვეშ იწყო ცხოვრება.

II.

დიასახლისებმა იმ დღეს დიდი ალიაქოთი ასტეხეს. სამსახურიდან ქმრების დაბრუნების დრო იყო, დასასრულს უახლოვდებოდა სადილის კეთება და სამზარეულოში თითქმის ყველას თავი მოეყარა.

საერთო სამზარეულოში, სადაც ჩამწკრივებულ პატარა მაგიდებზე ნავთ-

ქურები და ელექტრონის ღუმელები იდგა, ზოგი წვავდა, ზოგი ხარშავდა, ზოგი კიდევ დანით ხორცს კეპავდა, ან როდინში ურახუნებდა. შიშინებდა ტაფაზე მოსახრაკავად დაყრილი ხახვი, ბუტბუტებდა ადუღებული წყალი, თუხთუხებდა გაცხელებული ერბო, გუგუნებდა პრიმუსი და ამ ხმებს დედაკაცების დაუსრულებელი ქაქანი ერთვოდა.

მეზობლები ხშირად კინკლაობდნენ, ხანდახან ჩხუბიც მოსდიოდათ ერთმანეთში. განსაკუთრებით კი ტასო არ უყვარდათ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მისგან მობეზრებული ჰქონდათ თავი: ტასო ყველას ჰკიცხავდა, ყველას საქმეში ერეოდა, ყველგან თავისი დიდი ცხვირი უნდა ჩაეჩხირა. თვალიც მოუსვენარი ჰქონდა, — აქ ისედაც სააშკარაოზე იყო ყველაფერი, მაგრამ მას გული მაინც არ უთმენდა არ ჩაეხედნა სხვის ქოთანში იმის გასაგებად, თუ ვინ რას ამზადებდა. ამით უკმაყოფილო მეზობლებს არაერთხელ უსიამოვნება მოსვლიათ მასთან და, ბოლოს, ისე შეიძულეს, რომ მრავალი ზებუნებრივი ავი თვისებაც მიაწერეს. ასე, მაგალითად, როცა რომელიმე დიასახლისს კერძი უგემური გამოუვიდოდა, გადაამლაშებდა, გადახრაკავდა ან ზედმეტად ჩახარშავდა, მაშინვე ტასოს დააბრალებდა თავის შეცდომას და გულმოსულად იტყოდა: იმ ნავსმა დედაკაცმა გათვალა და გემო დაუკარგაო!

მაგრამ ამ დღეს ტასოსთვის არავის ეცალა. პირიქით, შეხმატკბილებულად იყვნენ მასთან. ისინი ილიასა და მარიამზე იყვნენ გაბრაზებული, მთელი გულისწყრომა მათ წინააღმდეგ ჰქონდათ მიმართული, ერთპირად ლანძღავდნენ და კიდევაც ემუქრებოდნენ ორივეს.

— არა, ამის მოთმენა შეუძლებელია! — თვალებს აბრიალებდა გააფთრებული ტასო.

— ისღა გვაკლდა, კატის გამო მოსვენება დავკარგოთ! — კვერს უკრავდა მოკლეფეხებიანი შავტუხა დიასახლისი, რომელიც ბუნების რაღაც შეცდომის გამო სიმაღლეში კი არა, სიგანეში გაზრდილიყო. ეს ქალი რომ ფეხებზე კი არა, მაგალითად, გვერდულად დაეყენებია ვინმეს, ალბათ, უფრო მაღალი გამოჩნდებოდა. — აი, ნახავთ რა უბედურებას დაატრიალებს ის საზიზღარი. აღარაფერს არ შეგვარჩენს სამზარეულოში!

— სულ ილიასი და მარიამის ბრალია! აბუჩად აგვიგდეს, ხათრი არ გაგვიწიეს! — ანჩხლობდა მეზობლად ნავთქურასთან მდგარი ძალზე გამხდარი დედაკაცი. მან კიდევ რაღაც დაუმატა, მაგრამ გაუგებარი იყო რა სთქვა, ვინაიდან თავისი გრძელი კისრიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა, რომ ვერავინ გაარჩევდა — ლაპარაკობდა თუ ღრჭიალებდა. დიახ, ზუსტად ისე ღრჭიალებდა, როგორც ჟანგიანი ლურსმანი, როცა მას, დიდი ხნის წინათ ფიცარში ჩაჭედილს, გაზით ამოძრობას უპირებენ.

— მე ჩემი ქმარიც არ დავზოგე, იძულებული გავხადე ულვაშები შეეკრიჭა, რადგან კატის ულვაშს მიუგავდა. ჰო და, მითხარით, ამის შემდეგ შემიძლია გულგრილად ვუცქირო ცინდალს? — ქოშინით ისროდა სიტყვებს მეოთხე, რომელსაც ბრტყელი სახე და ისეთივე ფერხორცი ჰქონდა, როგორც მის საყვარელ კერძს, ტაფაზე გალასტვულ ერბოკვერცხს. ის შეუჩერებლად ყიყინებდა და თავის ხმას დანარჩენების ქაქანს უერთებდა.

III.

ამ დროს კი ნაცარა გასუდრული იწვა კალათაში და, რა თქმა უნდა, ვერც წარმოედგინა, თუ რა აურზაური გამოეწვია მის აქ ყოფნას. კალათაში ჩაგდებული, მხოლოდ შეტრიალდებოდა ხოლმე და ეძებდა თავის ძმას, რომელიც ახლა, მაიკოსთან შეფარებული, ბედნიერად გრძნობდა თავს.

მაიკო დიდიხანია ნატრობდა პატარა ფისო ჰყოლოდა და ამის შემდეგ, რაც ნატვრა შეისრულა, ისე გახარებული იყო, რომ ყველა თავისი სათამაშო მია-

ტოვა და მხოლოდ მას დატრიალებდა თავზე. მაშინვე თბილი რძე დაუდგა ფინჯანით და იმდენი ალოკვინა, სანამ კნუტს ბურთივით არ დაურგვალდა მუცელი. მერე რბილად დაუგო თავის საწოლის გვერდით, და რომ არ შეეცივნოდა, ერთ დედოფალას საბანი აართვა და დაახურა...

სულ აღარ ახსოვდა მაიკოს თავისი საყვარელი ტიკინები, ჭრელი ბურთი, ხავერდის დათვი, სათამაშო ჭურჭელი! ახლა მათ მიმხედავი აღარ ჰყავდა, ეყარნენ მივიწყებული, ათვალისწუნებული, პატარა დიასახლისის გულიდან ამოვარდნილნი. მათთვის რომ ამ წუთში ვინმეს შეეხედნა, აუცილებლად შეამჩნევდა, თუ რა გულნატკენი და მოწყენილი იყვნენ. ისინი ვერც იფიქრებდნენ, თუ ასეთ გულცივობას გამოიჩენდა აქამდე მათი მომვლელი და ერთგული პატრონი. ის აღარ ესაუბრებოდა, აღარ შეხაროდა მათ. ამის შემდეგ, აბა, რა გასაკვირვალია, თუ ძალიან ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ!

* *
*

მაიკომ თავის კნუტს ხატაურა დაარქვა, თუმცა ეს სახელი სრულიად არ შეეფერებოდა. გოგონამ მთელი დღე მასზე ზრუნვაში გაატარა და მხოლოდ იმის შემდეგ ჩაიძინა, როცა ცინდალმა თვალები მილულა.

იმ ღამეს ყველამ სიზმარი ნახა და ყველასი სხვადასხვანაირი იყო.

ილიას დაესიზმრა, ვითომ სადღაც ველზე მიაბიჯებს. გამხმარი ბალახი მუხლამდე წვდება. ცხელა, სუნთქვა სჭირს. ველის ბოლოში ერთი ხე დგას. მას მიაშურა, რომ იჩრდილოს და დაისვენოს. უეცრად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილი ატყდა, ცა ელვამ დასერა და ქარის შემზარავი ზუზუნი მოისმა. ქარს რაღაც სასოწარკვეთილი ხმა მოაქვს, ვიღაც შველას ითხოვს. გაიქცა ილია, აჰა, მიუახლოვდა კიდევაც იმ ადგილს და, მოულოდნელად, ხედავს: ხე კი არა, ტასო დამდგარა ტრიალ ველზე, ტოტებივით აქნევს თავის დიდ ხელებს და შეშინებული ღრიალებს. კაბის ალთაში კი ნაცარა ჩაფრენია, დაულია პირი და იმოდენა დედაკაცს გადაყლაპვას უპირებს. გააფთრებულ კატას ხელი სტაცა ილიამ, ცდილობს მოაშორის, მაგრამ... სწორედ ამ დროს გამოეღვიძა. გარშემო სიჩუმე იყო, მხოლოდ გარედ ქარი ღმუოდა და ფანჯრის სიმაღლეზე ამოსულ აკაციის კენწეროს არხევდა.

ელენემ კიდევ უფრო უცნაური რამ ნახა ძილში... შემჯდარა ილია დათვზე, უკან მხეცების დიდი ამალა მოსდევს და ისინი ოთახში შემოსვლას აპირებენ. ელენემ მათ გზა გადაუღობა, მაგრამ მხეცებმა ყურთასაბეის წამღები ღრიალი მორთეს... შეშინებული წამოიჭრა ლოგინზე და დაფეთებული თვალებით მიმოიხედა. ქმარსა და შვილს მშვიდად ეძინათ. მაიკოს სახეზე ღიმილიც შენიშნა. ის ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს ვიღაცას ეჩურჩულებოდა ალერსიანი სიტყვით. ალბათ, სასიამოვნო სიზმარს ხედავდა.

ცუგრი იმ დღეს ძალიან განაწყენებული იყო თავის საყვარელ პატრონზე და, განსაკუთრებით, მაიკოზე. იმ წუთიდან, რაც გოგონამ კნუტი შეიყვარა, ცუგრის სულ აღარ აქცევდა ყურადღებას. მანამდე ხშირად ხან პურის ნატეხს გადაუგდებდა, ხან გაეთამაშებოდა ან და ხუმრობით ფეხს წაჰკრავდა ხოლმე, დღეს კი ერთხელაც არ გახსენებია, თითქოს ის არც არსებობდა. მთელი საღამო ცუგრი მარტო იწვა, თავი ჩაედო ფეხებში და მწარე ფიქრებს მისცემოდა. ამ ნაღვლიან გუნებაზე ჩათვლიმა კიდევაც. სამაგიეროდ ისეთი ტკბილი სიზმარი ნახა, რომ გულზე მოეშვა: პირი წაევლო კნუტისთვის, დაათრევდა ეზოში და ქარს მისი ტყავი ბუშბულივით ჰაერში დაჰქონდა.

მეზობლად მობინადრე დიასახლისებიც, რა თქმა უნდა, არ დარჩენილან უსიზმროდ... ძილში მათ ნაცარა გამოეცხადათ. ის სამზარეულოში შესული-

ყო და ვისაც რა სანოვაგე მოეტანა, ყველაფერი გადაესანსლა. მაინც ვერ გამძღარიყო და ყლაპავდა ჩაიდანებს, კასრებს და ცეცხლმოკიდებულ ნავთქურასაც.

ასე გასინჯეთ, კნუტებსაც ესიზმრათ რაღაც, მაგრამ რადგან ისინი ჯერ კიდევ თოთო იყვნენ, სიზმარიც ისე პატარა ჰქონდათ, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა შესაფერი მოკლე სიტყვის გამოძებნა მის გადმოსაცემად. ოღონდ ის შეიძლება ითქვას, რომ მათი სიზმარი სხვადასხვაგვარი იყო: ერთის თბილი, — მეორესი კი ცივი.

მხოლოდ მაიკოს სათამაშოებს არ უნახავთ იმ ღამეს არაფერი. მათ არც კი დაუძინიათ დარდისაგან. კუთხეში მიყრილნი, სევდიანად შესჩიოდნენ ერთმანეთს იმ ამბავს, რომ გოგონამ სამუდამოდ გული აიყარა მათზე. ერთმა ტიკინამ, რომელსაც მაიკო ღამით ყოველთვის თავის გვერდით იწვენდა, ისეთი ტირილი მორთო, რომ ყველას გული აუჩვილდა და ცრემლი მოერია. ხავერდის დათვი რომ არ ჩარეულიყო ამ ამბავში და არ დაემშვიდებია ისინი, ვინ იცის რა აურზაური ატყდებოდა.

დიახ, ნამდვილად ასე იყო და ასე მოუსვენრად გაატარეს ის ღამე ზემო სართულის ბინადრებმა.

IV.

თხრობა გაჭიანურდება, თუ რომ ნაცარას და ხატაურას ცხოვრების თვითეულ დღეს თანმიმდევრობით ავწერთ. წამკითხველისათვის და, უპირველეს ყოვლისა, მთხრობელისათვის, სასარგებლო იქნება გამოვიჩინოთ მომჭირნეობა და ერთი თვით გავუსწროთ ამბავის მდინარებას. ბოლოს და ბოლოს, ათასგვარი საქმე გვაწევს კისერზე და ერთ ან ორ უგნურ პატარა ცხოველს ხომ ვერ შევწირავთ ჩვენთვის ძვირფას დროს!

ხატაურა ქუდბედნიერი აღმოჩნდა იმ შემთხვევითობის გამო, რომ გარეგნობით ერთმანეთისაგან სრულიად განურჩეველ ძმებში, მაიკომ ანგარიშმიუცემლად მას დასტაცა ხელი. პირველ დღიდანვე ის განცხრომაში იყო. სულ მალე მან ხორცი შეისხა, დამშვენდა, ხალისით აივსო. მთელი დღე ცელქობდა — ძაფის მურგვს დააგორებდა, წეწავდა ფანჯრებზე ჩამოკიდებულ ფარდებს, დახტოდა სკამებზე და მაგიდებზე, ბრჭყალებს ლესავდა პარკეტზე, დაგორავდა ნოხზე, კუთხიდან კუთხეში დაჰქონდა ტახტიდან გადმოთრეული პატარა ჭრელი ბალიშები. ის, ალბათ, დარწმუნებული გახლდათ, რომ ყველაფერი, რაც ბინაში მოიძებნებოდა, მხოლოდ მის გასართობად იყო მოტანილი.

ამ ნივთებში ხატაურას ყველაზე უფრო უყვარდა კუთხეში დადგმული კედლის დიდი სარკე. ყოველთვის, როცა კი მივიდოდა ამ სარკესთან, იქიდან მაშინვე შემოეგებებოდა ხალისიანი გაკვირვებით შემომცქერალი თავისი მსგავსი და თანატოლი ცინდალი. ისიც ზუსტად ისეთივე ოთახში ცხოვრობდა, იქაც იმგვარივე სკამები, კარადა და საწოლები იდგა; ყველაფერზე ეტყობოდა, ისიც ბედისნებიერი იყო, მაგრამ, რატომღაც, ახირებული ხასიათი ჰქონდა: ბევრს ეცადა ხატაურა, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფრით გადმოიტყუა სარკიდან, რომ ერთად ენავარდათ ბინაში და ერთად ეტარებიათ დრო.

მთელი დღის განმავლობაში თამაშობით გასავათებული ხატაურა ღამით მოწყენილი იყო ხოლმე. დაიძინებდა თუ არა მაიკო, მის ოთახში სინათლე ქრებოდა. ამის შემდეგ უცბადვე გაუჩინარდებოდა სარკე და აღარც ის მეორე კნუტი ჩანდა. მარტოდ დარჩენილი ხატაურა მაშინ მიაშურებდა მეზობელ ოთახს, სადაც მაგიდასთან მჯდარი ილია რაღაც ქაღალდებს ქექავდა, შეხტებოდა მაგიდაზე და იქვე სანათურთან მოიკალათებდა. ხატაურამ არ იცოდა, რომ ილიას, სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკს, წინ ედო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავთრები, — ამიტომ უდარდელად წვებოდა იმ ქაღალდებზე და ჭრუტუნებდა.

ასე განცხრომაში ცხოვრობდა ხატაურა. მას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს ამ ოთახებით შემოიფარგლებოდა მთელი სამყარო და რომ ეს სამყარო ყოველთვის და ყველასათვის მაძღარი, თბილი და ალერსიანი იყო.

ამავე დროს კი ნაცარას ცხოვრება სულ სხვაგვარად მიმდინარეობდა. ხშირად მას პატარა ლუკმაც არ ღირსებია და, ალბათ, ტანჯვაში დალევდა სულს, რომ გულკეთილ მარიამს არ გახსენებოდა ხოლმე და რაიმე საჭმელი არ მიეტანა.

მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ ბოლოს ამ სათნო ადამიანის მოწყალებაც მოაკლდა: მარიამმა ერთ დღეს დასტოვა იქაურობა და საცხოვრებლად სხვა უბანში გადავიდა.

ნაცარა ერთხანს კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ მისი კეთილისმყოფელი ისევ მოვიდოდა, მაგრამ დღეები დღეებს მისდევდა, ის კი აღარსად ჩანდა.

ამ ახალ განსაცდელს, ცხადია, ვეღარ გაუძლებდა კნუტი, რომ ისევ ილიას არ გამოეჩინა გულშემატკივრობა და ხანდახან მაინც არ მიეხედნა მისთვის.

ასე იყო თუ ისე, გავიდა თვე, ნაცარა წამოიზარდა და ერთ ღამეს, როცა აივანზე ბნელოდა, იმდენი ძალა იგრძნო თათებში, რომ კალათიდან ამოსვლაც კი შესძლო. ეს წუთი პირდაპირ სასწაულებრივი და ამასთანავე სასიხარულო იყო მისთვის. აქამდე, სანამ კალათაში იყო მომწყვდეული, ქვეყანა ისე ვიწრო ეჩვენებოდა, რომ ვერც კი წარმოედგინა, თუ თავისუფლად ფეხების გაშლის საშუალება ექნებოდა. ახლა კი უეცრად ეს ქვეყანა განუსაზღვრელად გაფართოვდა. გადმოვიდა თუ არა კალათიდან, დაუსრულებელი სივრცე გაიშალა მის წინაშე. ზევით, მიუწვდომელ სიმაღლეში, რაღაც მხიარული წერტილები ციმციმებდა, ქვემოდ კი გაჭიმულიყო განიერი გრძელი აივანი სადაც თავისუფლად სიარული შეიძლებოდა.

ნაცარამ სინათლე დაინახა ოთახებში და იქით წავიდა. იქაც რაღაც დიადის, რაღაც კეთილად საკვირველის დანახვას ელოდა, მაგრამ უეცრად სულ სხვაგვარად შეტრიალდა ყველაფერი: მოულოდნელად ვიღაც დედაკაცმა გააღო კარი. კნუტის დანახვაზე მან შემზარავი ხმით შეჰყვირა და კიჟინით დაედევნა. შეშინებულმა ცინდალმა იგრძნო საფრთხე, იბრუნა პირი, ჯერ კალათისკენ გაიქცა, მერე ხრახნილ კიბეს მიაშურა, აირბინა საფეხურები და სხვენზე ამოჰყო თავი.

სიბნელემ და მყუდროებამ, რომელიც ამ ადგილზე დახვდა, იმედი გაუღვიძა, რომ საშიშროება აიცდინა. შეძვრა სადღაც ნიშში, გაისუდრა და ყური მიუგდო, — ხომ არაფერი ისმისო ქვევიდან.

დიდხანს იყო ასე გადარაჯებული. ბოლოს, როცა გული დაიმშვიდა, გათამამდა, წამოდგა და მიმოიხედა.

შეათვალიერა იქაურობა და ერთბაშად გაოცებამ შეიპყრო: დიდად საკვირველი სანახაობა გადაეშალა თვალწინ. მსგავსი რამ არა თუ არ ენახა, ოცნებაშიც არ მოლანდებია. რა აურაცხელი სიმდიდრე იყო აქ! პირდაპირ დაუჯერებელი იყო, რომ ასე ახლოს, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით აივნის იმ კუთხიდან, სადაც მისი კალათა იდგა, ამ უთვალავ საგანძურს იპოვიდა!

უამრავი ნივთი და სამკაული ეყარა გარშემო: ნაპირჩამტვრეული ქოთნები, ძროგამოვარდნილი ტაშტები, კასრები, ფეხმოტეხილი სკამები, ძველი საბავშვო ველოსიპედი, თავაგლეჯილი ჩემოდნები, შუშის ნამსხვრევები, დამპალი ჩარჩოები, დაჟანგული თუნუქის ღუმელი — ყველაფერი ეს ზოგან ერთმანეთზე დახვავებული, ალაგ უწესრიგოდ მიმოფანტული.

— სამდურავი აღარ მეთქმის, რომ ვიღაც ბრაზიანი დედაკაცი დამედევნა, — კმაყოფილებით გაიფიქრა ნაცარამ. — არ დავფარავ, მაშინ დიდი შიში ვჭამე, მაგრამ აქ ამოსვლამ დამავიწყა და ერთი ასად ამინაზღაურა ყველაფერი. რახან ასე სასიკეთოდ შეტრიალდა

ჩემი ბედი, მიპატიებია როკაპი დედაკაცისათვის მისი სიავე. ის რომ არა, იქნებ ვერასოდეს ვეღირსებოდი ამ ზღაპრულად შემკულ ქვეყნის ნახვას!

სხვენზე სხვა მრავალი მომხიბლავი და თვალისთვის სასეირო სანახაობაც მოიძებნებოდა. საუცხოო შესახედავს წარმოადგენდა, მაგალითად, ერთიმეორესგან ახლოს ჩამწკრივებული აგურის სვეტები, რომელთა შორის გაბმული იყო გამჭვირვალე ქსოვილი. ასეთივე ქსოვილები, რომელზედაც ძვირფას სამკაულებად მიბნეული იყო ათასგვარი მწერი, ამშვენებდა ჭერს, კედლებს და, განსაკუთრებით, ყველა კუთხეს.

— არა, არავითარი სამდურავი! — თანდათან ხალისი ემატებოდა ნაცარას. — ეგ კი არა, მზად ვარ მადლობა ვუთხრა და გავუზიარო ეს სიმდიდრე! მე ერთს რად მინდა ამდენი ქონება!

უეცრად კუთხის სოროდან რაღაც პატარა ცხოველმა თავი გამოჰყო და გაბედულად გამოკვანკვალდა.

— ეს ვინღაა? — გაოცებით მიაჩერდა ნაცარა. — ერთი ციცქნაა და რა გრძელი კუდი აქვს!

პირველად ხედავდა ასეთ უცნაურ არსებას.

გრძელკუდამ წრე შემოვლო, შეჩერდა ერთ ადგილას, დაყნოსა, შეათვალიერა დახვავებული ძველმანები და ისევ გაინავარდა.

— ალბათ, ის არის ამ სიმდიდრის მფლობელი! — გაიფიქრა ნაცარამ, რომელიც გასუდრული მიშტერებოდა.

პატარა ცხოველმა თითქმის ყველაფერი მოინახულა და მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ნაცარა წამოსკუპებულიყო.

აქ კი მეტი ვეღარ შეიკავა თავი ცინდალმა, წამოიჭიმა უკანა ფეხებზე და სიამოვნებისგან დაიკრუტუნა.

ამ ხმის გაგონებას, როგორც ჩანს, სულ არ მოელოდა გრძელკუდა. მან შეშფოთებულად მიმოიხედა და, როგორც კი ორი ბრჭყვიალა წერტილი დაინახა, — ეს კნუტის თვალები იყო, — უცბადვე შეტრიალდა, მოკურცხლა სოროსკენ და შიგ შესრიალდა.

ეს ამბავი არ ესიამოვნა ნაცარას.

— რატომ დამემალა? — გაკვირვებული ეკითხებოდა თავის თავს. — რამ შეაშინა, რა საფრთხობელა მე მნახა? განა მე ცუდ რაიმეს ვუზამდი?! პირიქით, გავეცნობოდით ერთმანეთს და, დარწმუნებული ვარ, კიდევაც დავმეგობრდებოდით. სხვა თუ არაფერი, ხანდახან მაინც თავს გავირთობდი მასთან თამაშით!

სევდიანი იყო ნაცარა, მაგრამ მარტოობაზე უფრო ახლა ის აწუხებდა, რომ დილიდან ლუკმა არ ჩაედო პირში. შიმშილის გრძნობას კიდევ უფრო უძლიერებდა საამოდ გამაღიზიანებელი სუნი, რომელსაც მისი მახვილი ყნოსვა იჭერდა. ასეთ სურნელებისგან ბევრჯერ თავბრუ დახვევია წინათ, როცა თოთო იწვა კალათაში. ნაცარამ იცოდა, საიდან აღწევდა ის და გული იქით მიუწევდა.

— ჩავალ და მოვძებნი, იქნებ სადმე რაიმე ვიპოვო! — ანუგეშა თავისი თავი, უკანასკნელად თვალი მიმოავლო იქაურობას, სიფრთხილისათვის კიბიდან ჩაიხედა, შეამოწმა ხომ არაფერი საშიშროება მიდარაჯებსო და ჩამოჰყვა საფეხურებს.

აივანზე ბნელოდა. კარები ყველგან მიხურული იყო. სამზარეულოსთან ტრიალებდა შემწვარი ხორცის სუნი. ხარბად შეისუნთქა ჰაერი, დაზვერა აივანი, მაგრამ ვერაფერი იპოვა და, იმედი რომ გადაუწყდა, ისევ თავის კალათას მიაშურა.

V.

ადრე იყო, როცა თვალები გამოაჭყიტა. ძილისაგან ძალა შემატებოდა, კარგ გუნებაზე გაღვიძებოდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო მის ცხოვრებაში.

თამამად ამოვიდა კალათიდან, შესკუპდა აივნის მოაჯირზე და გარშემო

მიმოიხედა. ჯერ კიდევ ბურუსი იდგა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ იქაურობას მალე მზე მოეფინებოდა. ალაგ ცის ნაჭერი ჩანდა ისეთი ლურჯი და მიმზიდველი, რომ ნაცარას ძალიან უნდოდა თავისი თათებით შეხებოდა და მოალერსებოდა მას. ახლად გაღვიძებული ბეღურები დაფრთხიალობდნენ ეზოში, ჩაუქროლებდნენ ხოლმე აივანს და განთიადის სიჩუმეში მხოლოდ მათი მხიარული ჟივჟივი ისმოდა.

ეს იყო მეორე დღე, რაც ნაცარა კალათიდან ამოვიდა და დიდ ქვეყანაში ფეხი შედგა. ამ მოკლე დროში ბევრი საკვირველი რამ ნახა — სიგრძეზე გაჭიმული აივანი, სხვენი, მისი აურაცხელი სიმდიდრე და ფანტასტიური გრძელკუდა! ნუთუ კიდევ არსებობს რაიმე ამათზე უფრო ფასდაუდებელი და უცნაური?!

ხალისით შეჰყურებდა ყველაფერს და, თითონაც არ იცოდა რატომ, ისე ეგონა, რომ გუშინდელს აქეთ, ამ ერთ ღამეში, მთელი გარემო გამოცვლილიყო და განუზომელად უკეთესი გამხდარიყო.

დიასახლისების ადგომის დრო ახლოვდებოდა, მაგრამ ახლა მათი შიში არ ჰქონია ნაცარას. ეგ კი არა, ნატროობდა როდის გაიღებოდა კარები და ხალხი გარედ გამოეფინებოდა. ამ საუცხოო დილას დედაკაცებიც, რა თქმა უნდა, სულ სხვა გუნებაზე გაიღვიძებდნენ, გულკეთილად შეხვდებოდნენ და ალერსს არ მოაკლებდნენ... არა, ამ მშვენიერ ქვეყანაზე ამიერიდან აღარავინაა ავი და ბოროტი, ყველა სათნო და კეთილია!

მოულოდნელად ერთ ფანჯარაზე ფარდა შეირხა. ნაცარას ეგონა, რომელიმე დიასახლისი გამოჩნდებაო იქიდან და რა ეოცა, როცა ადამიანის ნაცვლად სულ სხვა სულიერი გამოჩნდა!

რაფაზე კნუტი შემოჯდა. ისეთი ფუნჩულა იყო, ისეთი პრიალა ბეწვი ჰქონდა, რომ, პირველი შეხედვით, ხავერდიდან გაკეთებულს გავდა. მის საზეზე და თვალების ციმციმში ნათლად გამოიხატებოდა, რომ მაძღარი და თავისი მდგომარეობით კმაყოფილი იყო.

ის კნუტი ხატაურა გახლდათ.

— თითქოს ჩემი მსგავსია! — მიშტერებოდა ნაცარა, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, რომ ისინი ძმები იყვნენ.

ხატაურას კი, როგორც ეტყობოდა, არ გაკვირვებია და დიდად ესიამოვნა ეს შეხვედრა.

— ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, გარედ გამოსული გნახე. ახლა მე შემიძლია შეგეხო კიდევაც და შენთან თამაშით გული ვიჯერო! — ამბობდნენ მისი გაბრწყინებული თვალები.

ხატაურა დარწმუნებული იყო, რომ იმ ცინდალს ხედავდა, რომელიც აქამდე სარკეში ჰყავდა ნანახი. გაუწოდა თათი, გადმოხტომაც დააპირა, მაგრამ ერთხელ კიდევ დააკვირდა და მიხვდა, რომ შეცდა. ეს ახალი ნაცნობი ძალიან გამხდარი იყო, ბინძური ჩენჩი ძლივს უფარავდა ზურგზე და ფერდებზე ამობზუკულ ძვლებს. არა, თურმე სხვა იყო ის, სულ არ გავდა სარკის მეგობარს!

ნაცარაც ეჭვნეულად შეჰყურებდა. დიდხანს ვერ მოაშორა თვალი, ბოლოს გადაწყვიტა თითონაც ასულიყო რაფაზე და ის იყო შესახტომად მოემზადა, ოთახიდან კაცი გამოვიდა და ცუგრიც გამოჰყვა. ძაღლის დანახვით დამფრთხალი ნაცარა უმალვე შეტრიალდა, ელვის სისწრაფით გაიქცა ხრახნილი კიბისკენ და ზევით ავარდა.

სხვენზე ისევ უშიშრად იგრძნო თავი, მაგრამ ვეღარ ჰპოვა სულიერი სიმშვიდე. სულ იმ უცნაურ შეხვედრაზე ფიქრობდა. რა იყო ეს, მოჩვენება თუ ცხადი? როგორ მოხდა, რომ მისი მსგავსი არსება არ უფრთხოდა ადამიანს, არც ძაღლს და მათთან ოთახში ცხოვრობდა? არა, იქნებ მართლა მოელანდა?

რაც მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო მეტი გაოცება იპყრობდა. ისეთი საკვირველების მოწმე გამხდარიყო ამ რამდენიმე წუთის წინ, რომ მასთან

შედარებით სხვა ყველაფერი უმნიშვნელოდ ჩათვალა. აქამდე ზღაპრულ სამყაროდ მიჩნეული სხვენიც ახლა უფერული და მოსაწყენი ეჩვენებოდა. აღარაფერი არ ახარებდა აქ. უნდოდა ისევ ძირს ჩასულიყო, ერთხელ კიდევ დაენახა ხატაურა და დარწმუნებულიყო, რომ კი არ მოლანდებია, ნამდვილად არსებობდა ის.

ქვევიდან ლაპარაკი და ფეხის ხმა გაიგონა. ახლა იქ ჯამოჩენა სახიფათო იყო მისთვის, ლოდინი ამჯობინა, მაგრამ ბოლოს სურვილმა მაინც დასძლია და დასტოვა სხვენი.

ჩამოვიდა თუ არა აივანზე, უმალვე იმ ფანჯრისკენ გაიხედა, სადაც კნუტი ეგულებოდა. რაფაზე სიცალიერე იყო. მხოლოდ ფარდას არხევდა დილის ნიავი.

— რა თქმა უნდა, არავინ არ ყოფილა, — მწარედ გაეცინა გულში. — შიმშილმა გონება ამიმღვრია და მომელანდა, მეტი არაფერი.

თანდათან ავიწყდებოდა ის თავისი ნაბოდვარი, განუახლდა შიმშილის მწვავე გრძნობა, ჩაცუცქდა კიბესთან და ნაღვლიანად მიაპყრო თვალი სამზარეულოს, საიდანაც სასიამოვნო სუნი გამოდიოდა.

— მეტი ძალა არაა, ბედი უნდა ვცადო! — გადაწყვიტა და სამზარეულოს მიაშურა.

იქ ამ დროს ტასო იყო. ოღბლად ის ზურგშექცევით იდგა და არ დაუნახავს, როგორ შევიდა ციდალი. კუთხეში მიყუდებულ გეჯას ამოეფარა ნაცარა და იქიდან მალვით იცქირებოდა. უეცრად თვალი მოჰკრა საინზე დადებულ ხორცის ნაჭერს, ვეღარ შეიმაგრა თავი, მიეპარა მაგიდასთან, ახტა, ბრჭყალები ჩაასო ხორცს და ის იყო გადმოათრია, როცა ნაპირზე დადგმული საინი დაჰყვა თათს, გადმოვარდა იატაკზე და ხმაურით დაიმსხვრა.

ადვილად წარმოსადგენია, რა ამბავს დააწევდა დედაკაცი. მან ისეთი ხმით შეიცხადა, რომ ფანჯრის მინებმა ზრიალი იწყო.

ეროვნული

დამფრთხალ კნუტს აღარაფერი უძღბენია, მოკურცხლა კარებისკენ, თითქოს კიდევაც უშველა თავს, მაგრამ ტასოს კივილზე ოთახებიდან აივანზე გამოცვენილმა დიასახლისებმა გასაქცევი გზა გადაუჭრეს.

ჯარასავით დატრიალდა ნაცარა, ცდილობდა თავი დაეღწია, მაგრამ ვერაფერს გახდა, — ვინ ცოცხს ურტყამდა, ვინ ჯოხს. ქალების ყვირილს ბოლოს, ცუგრის ყეფაც შეუერთდა. გახელებული ძაღლი გულდაგულ ეცა და ფეხქვეშ მოიგდო.

— აგრე მაგას, აგრე! — აქეზებდნენ დედაკაცები და, თითქოს ეს შეძახილი ძალას მატებდაო ძაღლს, ის უფრო დაუნდობელი ხდებოდა და, კიდევ დიდხანს, სანამ ნაცარამ არ დაჰკარგა ცნობა, ჰკბენდა, ტყავს აგლეჯდა, გასისხლიანებულს აქეთ-იქით დაათრევდა.

ცუგრიმ მხოლოდ მაშინ უშვა პირი თავის მსხვერპლს, როცა დარწმუნდა, რომ ის სიცოცხლის ნიშანწყალს არ იძლეოდა. ცუგრი ახლა კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო, რომ ძველი ჯავრი იყარა.

აივანზე კიდევ დიდხანს არ შემწყდარა დედაკაცების ყურთასმენის წამღები ხმაური, — ყიყინობდა მოკლეფეხებიანი, ჭრიჭინობდა გრძელკისერა, ქაქანობდა ერბოკვერცხის მოყვარული და გუგუნებდა ტასო... ეშველათ, განთავისუფლდნენ! როგორც იქნა მოიშორეს ის აბეზარი!

რაფაზე წამოსკუპებული ხატაურაც კი, რომელიც ყველაფრის მოწმე იყო, ისეთი ხალისით შესცქეროდა აივანზე თავმოყრილთ, თითქოს იზიარებდა მათ სიხარულს.

მაგრამ არაფერი ეს, რა თქმა უნდა, არ დაუნახავს და არ გაუგონია ნაცარას, — ის უკვე ეზოში ჩაეტანათ და სანაგვე ყუთში ეგდო.

ყველაფერს დასასრული აქვს, და, ცხადია, აქ უნდა დამთავრებულიყო ეს

ამბავიც, რომ ხელი არ შეეშალა. ერთ მოულოდნელ გარემოებას: უწყალოდ ნაბეგვ და ძაღლისგან ნათრევ ნაცარას მაინც შერჩენოდა სიცოცხლე.

პირველ წუთებში, როცა გონზე მოვიდა და თვალი გამოახილა, ვერ იქნა და ვერაფრით გაერკვა, თუ სად იმყოფებოდა ან რა დრომ განვლო იმ საშინელების შემდეგ. ძლივს მოაგონდა მხოლოდ, რომ მაშინ დილის მზე ანათებდა. ახლა კი ღამე იყო...

ასწია თავი და შეშფოთებით მიმოიხედა. არავინ ჩანდა ეზოში, არც აივანზე. ყველგან ბნელოდა, სიჩუმე იყო.

მაშინვე მოისაზრა, რომ მალე უნდა გაცლოდა იქაურობას. მწვავე ტკივილებს გრძნობდა, მაგრამ მოიკრიფა ძალა, ამოძვრა სანაგვედან, თითქმის ფორთხვით გაიარა ეზო, დიდხანს იწვალა სანამ აივანს მიაღწევდა და მერე ხრახნილ კიბეზე აცოცდა.

მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, როცა სხვენზე ავიდა. აქ უშიშრად იგრძნო თავი, მაგრამ ღონემიხდილმა მალე ისევ დაჰკარგა ცნობა.

იმ ღამემ და მეორე დღემ ისე გაიარა, არაფერი გაუგია და, ბოლოს, როცა გამოეღვიძა, დაინახა, რომ ახლაც ღამე იყო.

გარშემო ისეთივე იყო ყველაფერი, როგორც ყოველთვის წინათ... ისევ ის ჯადოქრული გარემო აურაცხელი სიმდიდრით...

მესამე დღეა პირში არაფერი ჩაედო, მაგრამ ახლა წყურვილი უფრო სტანჯავდა. ესეც კიდევ ახალი საწვალებელი!...

წამოდგა, ანგარიშმიუცემლად მოიფათურა ყველგან. არა, არსად იყო წყალი. მხოლოდ რკინის კასრები, თავაგლეჯილი ჩემოდნები, თუნუქის ღუმელი... ამდენი განძი, ოღონდ რა ბედენაა! დე ყველაფერი ეს ფასდაუდებელი იყოს, მაგრამ როცა ერთი წვეთია სანატრელი, იქ, თურმე, გროშადაც არ ღირებულა..

სხვენის სარკმელის წინ რომ გაიარა, გრილმა ჰაერმა მიიზიდა, აცოცდა და მერე სახურავზედაც გავიდა.

სახურავის სიმაღლიდან უეცრად მის წინაშე თვალუწვდენი სივრცე გადაიშალა. უამრავი სახლი გადაბმოდა ერთიმეორეს. ცაში ღამე იყო, მაგრამ მიწაზე დაცვენილი ურიცხვი ვარსკვლავი ანათებდა ქვემოდან და ფანტავდა ბნელს.

ამ უცხო სანახაობით გაკვირვებული ნაცარა უნებურად შედგა და თვალი მიაშტერა გარემოს. რა განუზომელად დიდი ყოფილა ეს ქვეყანა! სადღაც იქ წყალსაც მოძებნის და წყურვილს მოიკლავს... წყურვილს მოიკლავს და მერე, იქნებ, მარიამიც იპოვოს... უთვალავი სახლი ჩანს და, ცხადია, სადმე იქ ცხოვრობს ის კეთილი, სათნო ადამიანიც... რომ გაბედოს და წავიდეს მის საძებრად?! აი, გადაივლის ერთ სახურავს, იქიდან მეორეს, მესამეს და ივლის ასე, სანამ იპოვის... ის შეიფარებს, წყალს დაალევინებს და რბილად ჩაუფენს დასაძინებლად მიჩენილ კალათაში... ქვეყანა ასეთი დიდი ყოფილა და როგორ შეიძლება იქ ბევრი სიკეთეც არ იყოს... ქვეყანა ასეთი ლამაზი ყოფილა და როგორ იქნება, რომ კეთილი არ იყვნენ ისინი, ვინც ეს სილამაზე შექმნა!

მოჯადოებულმა დიდხანს თვალი ვერ მოაშორა შორ სივრცეზე გადაშლილ ქალაქს. ბოლოს, გადადგა ნაბიჯი, გაიარა სახურავი, გადავიდა მეორეზე და გასწია წინ იმ ნათელ, თბილ ვარსკვლავებისკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

★

ვიტყვი მეც ვცხოვრობ...

მუდამ ჩემს გზაზე გავდივარ დილით,
მუდამ წინ ფიქრის თვალით გამყურე,
შემომეყრები 'ველივით ფრთხილი
და სიჭაბუკის წლებს მომაწყურებ.

გავლევ ორღობეს ნატვრად ქცეული,
მინდვრებს შევღიმებ, ქვეყნის მარჩენალს
და გულის შუქით აღტაცებული
გავშლი შრომაში გაწრთვნილ მარჯვენას.

მიწა ცვრიანი გამალომკაცებს,
ყანით მდიდარი და მოღაღანე.
ბელტს შემონახულ ოქროს მოვტაცებ
და შეუპოვრად დღეს დავაღამებ.

ჩემგან ძლეული საქმე კაცური
მადლით ამ დღესაც გამილამაზებს,
და, შრომა-გარჯის ფონში გასული,
ვიტყვი მეც ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე.

მასწავლებელი შეგვეზიარა

კარი გაიღო და სიცოცხლით ბინა ივსება,
წითლად უღვივის ჩემს პატარა ბიჭუნას ლოყა.
დროზე შინ მოსულს, მუყაითი ბავშვის
ღირსებად,
დღესაც სკოლის და მასწავლებლის სინათლე
მოჰყვა;

დღესაც ფუსფუსით მაგიდაზე წიგნებს
ალაგებს,
იცის, მამილოს რა მაამებს, რა მეტკინება;
დღესაც მახსენებს მოუსვენარ ტოლ-
ამხანაგებს
და მასწავლებლის საქმეებზე მეტიტინება.

ვგრძნობ, რა სხივია, რა ხალისი ამ პატარაში,
ცოდნის მარცვალი რა საამოდ გაღვივებულა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ბავშვობაც მომაგონა, ჩემი თამაშიც
ჩემი სიცოცხლის სასოებად გაღიმებულმა.

იგი მშობლებმა გაზაფხულის გზაზე გავუშვით,
რომ სწავლაშიაც აკვესებდეს შრომის
იარაღს.
მას ჩვენ ვუყვარვართ, — მაგრამ ახლა ამ
სიყვარულში
მასწავლებელიც შემოიჭრა, შეგვეზიარა.

შვილის ღიმილში იმ კეთილსაც ვხედავ
გონებით,
ვხედავ, მის ირგვლივ რა სათესი, რა სამკალია.
ფრთხილად რვეულში რომ გამოჰყავს ბავშვს
სტრიქონები,
ვიცი, იქ კიდევ მასწავლებლის ხელის კვალია.

ბევრი შარაგზა შვილის ხათრმა შემომატარა,
გულს სიხარული დაემოყვრა, მუხლებს
სიმარდე.
მასწავლებელი შეიყვარა ჩემმა პატარამ,
არ შეიძლება, ის კეთილი მეც არ მიყვარდეს.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე გვასალია

★

ახალი მოსახლე

1.

ნათელა ხმაურმა გამოაღვიძა. დერეფანში ზარი წკრიალებდა, ჭიშკართან ფინია კაპასობდა. ალბათ, ვიღაც სტუმარი იყო. უცაბედად შემკრთალმა გოგონამ მზერა ერთხანს ჭერს გაუსწორა, შემდეგ ნება-ნება გადმოტრიალდა და თვალი ღია ფანჯრიდან გარეთ გააპარა. ჭიშკრამდე გაბმული მავთულის ნაწყვეტილა ჩანდა. მაგნოლიის მწვანე ტოტის გასწვრივ მავთული ტოკავდა. ვეება, თითქოს ბუტაფორიულ, თეთრ ყვავილს ხანდახან სწვდებოდა და მათრობელა მტვერს აყრევინებდა.

— ვინ უნდა იყოს? — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ნათელამ, მუთაქას ორივე ხელით ჩაეჭიდა, მოგრიხა და თავქვეშ ამოიდო, შემდეგ მეორე გვერდზე გადაბრუნდა და თვალები მილულა.

ზარი დერეფანში ძიგძიგებდა და წკარუნებდა...

— მობრძანდით, ბატონო! — გაისმა ბოლოს დედის ხმა ეზოში. დიასახლისმა ძაღლი დატუქსა, ჭიშკარი ჭრიალით გააღო და ვიღაც შემოიპატიჟა.

— ბოდიში, ქალბატონო! იქით არ გვცალია! ერთი საკითხავი გვაქვს, თუ შეიძლება!

— ბრძანეთ, ბატონო!

— აი, რაზე შეგაწუხეთ. იქნებ ოთახს გააქირავებთ, დიდი ბოდიში! — ჩაახველა სტუმარმა და საქმეში უფრო მეტი გარკვეულობა რომ შეეტანა, უფრო ხმადაბლა და ჩქარა განაგრძო, — ეს გოგო შვილია ჩემი, ქალბატონო! სასწავლებელში შევიყვანე აქ. ახლა სადმე უნდა დავაბინაო. იქნებ, თქვენა გქონდეთ, ან მიმასწავლოთ სადმე.

— ოთახი? მიუგო დედამ და თითქოს მუშტრის გამოჩენამ გაახარაო, ზედ სხაპასხუპით მიაყოლა, — ეგ გოგო მარტო იქნება? რომელ სასწავლებელში მოაწყვეთ?.

— დიახ, ქალბატონო! სხვები ჯერ შინა მყავს. სასოფლო-სამეურნეოზე დავაჭერინე გამოცდები.

ნათელამ ამ სიტყვებს ყური რომ მოჰკრა, ერთხელ კიდევ შეიშმუშნა, გადატრიალ-გადმოტრიალდა და თავი წამოსწია. თვითონაც ხომ იმავე სასწავლებელში იჭერდა გამოცდებს.

— ნეტავ ვინ არის? ხედავ, როგორ ამბობს? გამოცდები დაიჭირაო კი არ უთქვამს, დავაჭერინეო. ვინმე დიდი პროტექტორი ეყოლებოდა. ან ვინ იცის, რამდენი გრძელი ათ თუმნიანი დაუჯდა.

ნათელას კი არც ერთი ჰყავდა, არც მეორე ჰქონდა. აკი ამიტომაც წელს მესამედ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. მესამედ ჩასწყდა გული... თბილისსა და უმაღლესს თავი გავანებოთ. თავისსავე პატარა ზუგდიდში, სადაც დაიბადა და აღიზარდა, სადაც ყველა გამომცდელს პირადად იცნობდა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში შესვლა მოისურვა და მესამედ გაუცრუვდა იმედი. გვერდით საფერშლო სკოლაში ხომ ტევა აღარ იყო, შარშან და შარშანწინაც ერთ ადგილზე ორი ფრიადოსანი მოდიოდა. ამათ გარდა თხუთმეტამდე საშუალოსანსა და კარგოსანს განცხადება შემოეტანა. იმოდენა ხალხს ნათელამ თავი გაარიდა. სამეურნეოს დასჯერდა და აქაც თავტეხვა დაუხვდა, ორი წელი ხელიდან ისე გაუფრინდა, ბოდიშიც არავის მოუხდია და

ახლაც გაცეცხლებული და ხელმოცარული იწვა მოფარდაგებულ ლოგინზე, ნახევრად ძილ-ბურანში წასული.

— მომილოცავს, შვილო, შენ კი გენაცვალე! გაიხარე, როგორც მამის გული გაგიხარებია! ნათელას ესმოდა გულდამწვარი დედა თითქოს ქვითინებდა. იმ ბედნიერმა მამამ კი ხმამაღლა გადიქირქილა და ის მოლოცვა შეიმშვენა.

— დიდი მადლობელი ვარ, ქალბატონო! თქვენც გაიხარეთ, ღმერთმა შვილები გიცოცხლოთ! კარგად იყავით, თქვენი ჭირიმე!

— რამდენი ნიშანი მოაგროვე, შვილო — უცებ შეაბრუნა კითხვა დიასახლისმა.

— ოცი, ქალბატონო! — თამამად მიუგო ვიღაც გოგონამ.

— მომილოცავს, დედიკო, აფერუმ! ეჰ, ვისაც თუნდაც ერთი ნიშანი დააკლდა, შესვლას ვეღარ ეღირსა.

— ოთხ საგანში — ოცი! სულ ხუთები ჩაამწკრივა ქალბატონო, ამის საქმე კარგადაა, მხოლოდ მე რა მეშველება აწი. მთელ ოჯახს ბურჯად ეგ გოგო ედგა. მკრეფავია ისეთი. უმისოდ გავღარიბდები, მაგრამ უკვე გვიანაა, გამოცდები დაჭერილი აქვს და რაღას ვიზამ. — ხუმრობით ნაღვლობდა გაამაყებული მამა.

ნათელამ ყური სცქვიტა. იმ გოგოს ხმა ეცნაურა. ან უცნობი ვინღა იქნებოდა? გამოცდებზე ხომ ყველამ ერთმანეთი ნახა? შიში და ძრწოლვა გაიზიარეს. ერთადაც იმეცადინეს ქალაქის ბოტანიკურ ბაღში, ერთად გადიმეორეს, ჩანაწერები და კონსპექტები ერთმანეთს შეადარეს, ვინღა იქნებოდა უცნობი? ნათელა სწრაფად წამოჯდა და სმენად იქცა. ნამდვილად ის იყო, არ მოტყუვდა. ნამდვილად გაიგონა ნათელამ, „ოცი“, ის გოგო იყო. მერე ისიც გაიგონა, დედამ რომ ღრმად ამოიოხრა. იქ დედამ ამოიოხრა, აქ შვილმა, კიდევ ერთხელ ჩასწყდა გულის ძარღვი. ერთი და ორი ნიშანი კი არა, ხუთი ნიშანი ერთად დააკლდა ნათელას. ოთხ საგანში თხუთმეტი მოაგროვა! აბა, ვინღა ჩარიცხავდა, როცა ჩვიდმეტსაც და თვრამეტსაც უარი უთხრეს.

— მობრძანდით, აგერ, ჩრდილში, სული მოითქვით! — შეიპატიჟა დიასახლისმა.

— იქით არა, გაისმა მამაკაცის ბოხი ხმა, — ცოტა შორს კია, მაგრამ მყუდრო ქუჩაა!.. რას მეტყვით, ქალბატონო?

— არა, შორს რადაა! მერე აქ, მეზობლად, სულ მოსწავლეები ცხოვრობენ!

— შორს რად არის? შუა ქალაქს სანაპირო მირჩევნია! იმ მტვერსა და ხმაურს ეს არა სჯობია? — კი, ნამდვილად ეს იმ მეტიჩარა გოგონას ხმა იყო, გუშინ სკოლის დერეფანში ნათელამ თმებში რომ სტაცა ხელი. ახლა ოთახის დასაქირავებლად ჭიშკარზე მოადგა.

წამოხტა პატარა დიასახლისი, გაიარგამოიარა, ფანჯარას ალმაცერი ნაბიჯებით მიუახლოვდა და ეზოში გადაიხედა. ღობის გადაღმა, სიცხისაგან გავარვარებულ ქუჩაში, მტვერში ამოქვარქვნილი, თავზე განიერი ჭილოფის ქუდით, ხაკის შარვალ-ხალათსა და ჩექმებში გამოჯგიმული ჭარმაგი მამაკაცი იდგა, გვერდით კი ის მეცამეტე გოჭი ედგა, მამასავით მზეში ზანგივით გაშავებული, ხელში მუფტა და ერთი შეკვრა წიგნები ეჭირა.

დიასახლისი სტუმრებს ღია ჭიშკარში შემოუძღვა, მაგნოლიის ჩრდილში, გრძელ სკამზე დასხდნენ. იმ გოგონას დანახვაზე ნათელას გულმა რეჩხი უყო. კედელს გაეკრა. თავის გამოჩენისა მოერიდა.

სკოლის დერეფანში გუშინ საგამოცდო ოთახიდან ეგ გოგო ქუდივით გამოვარდა.

— რა მიიღე, რა ნიშანი დაგიწერეს? მისცვივდნენ ამხანაგები,

— ხუთი, ხუთი! — ლამის შესწივლა გახარებულმა.

— კი, ხუთი, მოგართვეს რატომაც

არა, ხუთს მიიღებდი! — ვეღარ მოითმინა გაკაპასებულმა ნათელამ, — მოთაფლული გეყოლებოდა, ჩემო დაო! აბა, როგორ? ისე ხუთს არა წერენ! სულ ტყუილია ხუთს ისე ვინ მოგაქვავებდა?

— როგორ? როგორ თუ... — ერთბაშად დაძაგრული ძარღვები შუბლზე და ყელზე სისხლით დაებერა, თვალებში ცეცხლმა და კურცხალმა გამობჟუტა.

მერე წავიდა და წავიდა. ნათელამ თავისი დამწვარი გული ამ უბირ გოგონაზე კარგად მოიფხანა და სანამ ცხარე ცრემლებით არ აატირა, არ მოეშვა.

ახლაც, კედელზე გაკრული აფორიაქებული გაჰყურებდა, თითქოს მოსისხლე მტერს მიზანში იღებდა...

— კი, მოგართვეს „ხუთი“! მოგყვა და მოგაცილა კიდეც! ეგ კარგი მამილო გყოლია! აკი თავის პირით თქვა, „გამოცდები დავაჭერიეო!“.

სტუმარმა მაგნოლიის ქვეშ ჭილოფის ქუდი მოიხადა, მოტვლეპილ თავზე ხვითქი მოიწმინდა, შუბლი შეიმშრალა და ეზოში ხარბად მიმოიხედა.

— კარგია, ბავშვი, აი, აქ დაჯდება ხოლმე, იმეცადინებს! აი, დერეფანიც!

— კი ბატონო, ვინღა შეუშლის ხელს? იმეცადინებს, აბა, რა? ბავშვები არა გვყავს! მე და ჩემი გოგონა ნახევარჯერ შინ არა ვართ! ეზოს კარი სულ მის ხელთ არ იქნება?

— აგაშენა ღმერთმა აი, მესმის სწორედ ასეთ ოჯახს ვეძებდი! დღეს მთელი ქალაქი მოვიარეთ! ფეხი მოგვწყდა! ზოგან ჯარი ირევა, არ მომეწონა, ხომ იცი, ზოგიერთი ახლანდელი ახალგაზრდა? ეგ გოგო კი იღლიის ქვეშ მყავს გაზრდილი, ორჯერაც ქალაქში არა მყოლია! აი, მოვედით და ეგ არის. ზოგან ფასში ვერ მოვრიგდით! ზოგან ჩვენ დაგვიწუნეს, თვალში არ მოვეწონეთ!.

— ფასი რაღაა? ერთი გოგონას შენახვა რა გაჭირდა? ეგ ბავშვი მომეწონა! ყველას კი არ შემოვუშვებ ჩემს ოჯახში! საქმეც მანდარი, უბეში გაგიზრდია, როგორცა ბრძანებთ! თქვენი ჭირიმე, ხომ იცით, ზოგიერთს შემოუშვებ, ბიჭ-ბუჭები კარებს ჩამოგიხსნიან. ეგ, გოგო, ჩანს, ეგეთი არ უნდა ყოს. აბა აქეთ, დედილო! ოი, შენ გენაცვალე! — გაბურდულ თმებში ხელი ჩაავლო, შემდეგ მხრებზე მოეხვია და თავისკენ მოსწია.

— მომილოცავს, დედილო, მომილოცავს! ეგ სკოლაც წარჩინებითვე დაგემთავრებიოს! მამის გული გაგეხარებინოს?

— მე არაფერს მოვაკლებ, ქალბატონო! თუ დაამთავრებს, თვითონ იცის! ფქვილი, ყველი და ხორცი თუ ლობიო თავსაყრელად ექნება. შეშას მოვუზიდავ! ჩიტის რძესაც არ მოვაკლებ! არც ბინის ქირაზე დაგტოვებთ გულნატკენად! ზედმეტს, ალბათ, არც მეტყვით! ნაკლებს არც მე მოვითხოვ!

— რაღა ზედმეტი? რაც სხვაგანაა, იმას თუ დავუკლებ, თორემ ხომ არ წავუმატებ? ჩემს გოგონასაც ტოლი გაუჩნდება, ეგეც რამედ ღირს. იქნებ, იცნობენ კიდეც ერთმანეთს! შვილო ნათელა! აქეთ გამოიხედე, ამხანაგი მოგივიდა!

ნათელა სწრაფად გაექანა ლოგინისკენ, გაწვა და გაიტრუნა. მაინც ესმოდა როგორ ვაჭრობდნენ... ერთმანეთი მიიკით-მოიკითხეს და მალე დიასახლისი სტუმრებს კიბეზე ამოუძღვა.

სტუმრები დერეფანზე ამოვიდნენ.

— აქეთ, ბატონო, აი, აქ წინა ოთახია! თბილია და ნათელი! ჩემი გოგონაც მანდ იძინებს ხოლმე! ნა... თელაა! — დედა კარებს მოსწვდა, ჭრიალი გაისმა. არეული ნაბიჯებით ოთახში შემოვიდნენ.

ახლა კი წამოსწია თავი „მძინარემ“. ერთბაშად გასწორდა და წამოდგა. შეფეთებული, დაფანტული თვალები ახალგაზრდებმა ერთმანეთს შეახვედრეს და, მოქუშულნი და ნაწყენნი, უცებ განარიდეს. ნათელას სწორედ ის „ხუთოსანი“ ედგა წინ...

— დაბრძანდით, აქეთ, ბატონო! აი, აქ! ამ ოთახს ვაქირავებ! ხელს ვინ შეუშლის? დაჯდება და იქნება თავისთვის!

სტუმარმა ჭილოფის ქუდი ისევ მოიხადა და ოფლი მოიწმინდა. ოთახი ერთბაშად მწვავე უსიამოვნო სუნით გაივსო. ჩექმისა იყო თუ მტვრისა თუ მარილიანი ოფლისა, ასეთი სუნი მხოლოდ იმათ სდით, რომელთაც მზესა და ქარში ტანგაუხდელად კვირაობით მუშაობა უხდებათ და სადმე, ფარდულში, ან კანტორაში, ან რკინიგზის სადგურის გრძელ სკამებზე გაშოტილნი გათენების წინ, რამდენიმე საათით, თვალს მოატყუებენ ხოლმე.

— მადლობელი, ქალბატონო! აბა, დასაჯდომად ვისა ცხელა? ახლავე ამ ბავშვს საბანსა და ლეიბს მოვურბენიებ! იქ, ბაზარში, მაქვს შენახული. ძალიან კარგია, აქაურობა მომწონს, აგაშენათ ღმერთმა! — ხმამაღლა ლაპარაკობდა. მზით დათუთქულ, გაუპარსავ სახეზე ხელს ისვამდა, თეთრ ელვარე კბილებს მალი-მალ გამოაჩენდა და ფეხებს იატაკზე მძიმედ აბაკუნებდა.

— აი, ამხანაგიც აქა გყოლია, გული, — მამა ჩქარობდა ყველაფერი ერთად ეთქვა, აჰ, რა უქმად დავკარგე მთელი დღე? მაშინვე, ნეტავ აქ მოვსულიყავით! ქალბატონო, წარმოიდგინეთ, რამდენი ვიბორიალე დღეს? მერე ამისათვის ვისა სცალია? სულის მოსათქმელი დროც აღარ არი! მაშ მოვრიგდით. — ხელი გამოუწოდა და ჩამოართვა. მერე გულის მიუბრუნდა:

— აბა, გული აწი შენ იცი, შენ მოისვენე, მოილაპარაკე, შვილო! მე გავიქცევი და ახლავე აქ გავჩნდები. ხომ იცი, უკანასკნელ რეისს უნდა მივუსწრო! — თქვა ეს, კიბე სწრაფად ჩაირბინა, ჭიშკარი მოიხურა და მტვრიან ქუჩაში გავიდა.

— დაიცადეთ, ცოტა დაისვენეთ! — დააწია ხმა დიასახლისმა, მაგრამ სტუმარმა მხოლოდ ერთხელ მოიხედა, გაიღიმა და ნაბიჯს უფრო მოუჩქარა.

გავარვარებული ცა თითქოს თავზე ჩამომხობოდა პატარა ქალაქს. მზე უკვე სამხრობისკენ გადახრილიყო. მაინც თვალისმომჭრელად ქათქათებდა. მიწას მტვრის ბუღი ასდიოდა. სახლების სახურავებზე და ქვაფენილებზე, ასფალტით მოფენილ ქუჩებსა და მოედნებზე თვალითაც ნახავდით, როგორ დააბოტებდა თითქოს თონიდან ამოვარდნილი ოხშივარი, დატვირთულ მანქანებს კუდიანი ქარი დასდევდა, მტვრის კორიანტელი ხეების კენწერრებს ეყრებოდა, ნისლივით წვებოდა ეზოებში. დიდი ხანია გვალვამ სკვერებსა და ხეივნებში ყვავილი და ბალახი დახრუკა და მტვერს გააყოლა. ასწლოვან ჭადრებს ქალაქის ბაღში ფოთლები შემოაჭკნო და ნირი შეუცვალა. ამ თაკარ სიცხეში ორ ნაბიჯზე, მდინარის გაღმა, სადაც ცას და ქვეყანას ტალღებად აქოჩრილი ჩაის მწვანე რიგები და ნაეწრალის მუქყვითელი მოლები მოსდებოდა, ხალხს კერძის მოსახარშადაც არ ეცალა. აქ კი... გული ხედავდა, სიცხით დაოსებული ნათელა მხოლოდ ერთ გასაჭირს შეჰბმოდა, როგორმე დღე გაეთრია და შეღამებას შესწრებოდა. ერთგან მამაშვილმა, ჭიშკრიდან, თვალი ღია ფანჯარას ჰკრეს, წელებამდე გაშიშვლებული ქალი ვეება სარკის წინ ტრიალებდა და კოხტაობდა. გულის მამისა შერცხვა, ცივად შემობრუნდა. აი, უსაქმო! ერთგან ჩრდილქვეშ კამათელებს ამღერებდნენ... გული შეროზიას ყველაფერი ეს ეუცხოვებოდა.

ახლა დამუნჯებული გული დერეფანში იჯდა, იქ, შიგნით, ჩუმი ფხაკუნი ისმოდა. ეს ის გოგონა ფუსფუსებდა. გუშინ რომ ასე აწყენინა. მამის რიდით გულის ხმა ვეღარ გაეღო. რაღა მაინცდამაინც აქ მოვედით? ნაღვლობდა გოგონა. მაგნოლიაზე ჭრიჭინობელას გაუთავებელ ზუილს ძალუნებურად ყურს უგდებდა და ოფლით დას-

ველებულ ცხვირსახოცს ხელში ჭმუჭნიდა.

ქუჩის ბოლოზე მალე ჭილოფის ქუდიანი კაცი გამოჩნდა. შეკრული ლოგინითა და ბოხჩით მოძუნძულებდა. გული შესახვედრად გაიქცა, დიასახლისიც თან მიჰყვა. გოგონამ ლოგინი გამოართვა. მამამ ძლივს მოითქვა სული:

— ჩემო დაო! მკერდიდან ვიღებ გულს და აქ გიტოვებ! გაჭირვება იყოს, როგორმე იმავე წუთს გამაგებინე! დღე იყოს, შუაღამე იყოს, ნურავითარ ხარჯს ნუ დაერიდები, ნურაფერს დაზოგავ! ერთს ორად მოგიზღავ! აბა თქვენ იცით! აქ ქალაქია, ხალხი სხვადასხვანაირია! იმაზე მოგახსენებთ! მე კი ახლავე უნდა გავიქცე! თუ არ ჩაუსწარ, ამ გვალვაში ისედაც პიტა ფოთოლი არაა. რაც არი, ვინ იცის, როგორ ჩაიბარებენ! მერე წადი და ეძიე!

— თქვენი ჭირიმე, ბავშვს თურქეთში კი არ ტოვებთ, ჩვენებური ხალხია! ისე მეყოლება, როგორც ოჯახს შეჰფერის! მაგაზე პასუხს მე ვაგებ!

ჭილოფის ქუდიანი ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას, დარჩენილნი დიდხანს გაჰყურებდნენ უკან, მერე ტაატით ოდაში შემობრუნდნენ.

* *
*

გუგუნით ჩაირბენდნენ გამტვერიანებული საბარგო ავტო-მანქანები. ერთმანეთზე შეწყობილ დაჩვრეტილ ყუთებში ჩაყრილ ფოთოლს ფაბრიკაში მიაქანებდნენ. ფაბრიკა იქვე იყო, ქუჩის ბოლოს. მაღალი მილები ჩანდა. იქიდან რომ ნიავი შემოუქროლებდა, ნაცნობი სურნელი, ჩასაკრეფ კალათას რომ სდიოდა, ჩაის ფარდულში ყოველთვის რომ ტრიალებდა, აი ის სურნელი ოდას გამოტენიდა. გულისთვის სხვა კი ყველაფერი იყო უცხო და უხერხულიც.

— დამდურებულებივით რაღას გაჩუმებულხართ? თუ კი ერთმანეთს მართლა იცნობთ, ხმაც გაეცით! — ჰკვირობდა დიასახლისი. ბოლოს ენა ნათელამ ამოიდგა. ეშმაკურად ჩაიცინა და ხუმრობით იკითხა:

— გული, წელს მოსავლის საქმე როგორ იქნება? როგორი პირი უჩანს?

— გაეცინა, აბა, მოსავალი ნათელას რაში ეკითხებოდა? მაგრამ ეს ისე, სხვათაშორის, ხუმრობით თქვა, თითქოს რაც იყო, იყო, აღარ მახსოვს, ახლა შენ მდგმური და მე მაინძელიო. გული ასეც მოელოდა! ან სამდურავი რა ჰქონდათ? ნაწყენი კაცი ერთბაშად რას არ იტყვის ხოლმე? მერე რა მოხდა? ნათელამ ისევ გაუღიმა. ეს შერიგებისა იყო და ორივეს ხმამაღლა გაეცინა.

— მოსავალს? — ერთბაშად, გულღიად შეესიტყვა სტუმარი.

— ძალიან ჭირს, ალბათ, ხომ გული?

— ჭირს, ჭირს, ჩემო ნათელა! ფრთები შეესხა სტუმარს.

— ჰო, წვიმა რომ დროზე მოსულიყო, სხვა გასაჭირი რა იყო?! ცამ განზრახ პირი შეიკრა. ივლისში მხოლოდ ერთხელ გადაუარა. განა ჩვენს სოფელს? მეზობლად ისე დაასხა, მესამე დღესაც თხრილებში წყალი იდგა. აშენდნენ იქ! აგვისტოდან გეგმის ზევით კრეფენ. ჩვენ კი... ჯერ სად ვართ? ფოთოლი აღარ არის, თორემ ვინმეს განა ჩამოვრჩებოდით? აწი რა დროისაა? ისეა ბალახი გადახრუკული თითქოს მდუღარე მოესხათ. ეკალიც კი გახმა. დღეში თითო-თითო კილოგრამს ძლივს ვკრეფდით ხოლმე!..

— შენ ბევრი მოკრიფე?

— მე როგორ თუ ბევრი? გეგმა ორი ტონაა! რაც სხვას, ის მე. ორი ტონა! ეგ რაღაა, შარშან შუაზაფხულშივე მოკრეფილი მქონდა. წელს კი ფოთოლი აღარაა. ზოგჯერ ბუჩქს ორ პიტას ააცლი! ისიც სადმე, ძირში, მოფარებულ ადგილას! ზედ კი, ბუჩქზე, ყლორტი არ იზრდება, რა გაზრდის, ერთი თვეა ცვარიც კი გააქრო! მიკვირს, სულ რომ არ ხდება! ბრიგადირები კი იმას გაიძახიან, ცუდად ჰკრეფთო! აი, მეზობლად შეასრულეს, იმათ უარესი პლანტაცია აქვთო, მაინც საქ-

მეს თავიდან ჩაეჭიდნენ და შეასრულესო. თქვენ კი დრო გამოუშვით, კრეფის დღეები ხელიდან გაგიფრინდათ, აწი რაღას გააწყობთ? არაა მართალი! იმას კი არაფრად აგდებენ, იქ წვიმამ გადაიარა! ჩვენ კი გვერდით ჩაგვიარა! წვეთი არ ჩამოვარდნილა, იქ კი, დობილო, კოკისპირულად დაასხა. ამაშია საქმე!

— ძლივს, როგორც იქნა, ამოიდგა ენა! — გაიფიქრა დიასახლისმა, — ჩემი ნათელაც კარგი ეშმაკია, სიტყვა საქმეზე ჩამოუგდო, ააყბედა. ყველას თავისი სატკივარი აწუხებს. ზოგს ჩაი, ზოგს სხვა რამე.

— მერე იმ ორი ტონიდან მოუკრეფავი რამდენი დაგრჩა? გაეღიმა დიასახლისს.

— რაღა დამრჩებოდა? მე კი შევასრულე! მე, როგორც იყო, შევასრულე! მოვათავე! ცოტა წავუმატე კიდეც! სათქმელადაც აღარ ღირს! ისე ცოტა წავუმატე, აი, აქეთ წამოსვლა რომ არ შემმთხვეოდა, მაშინ სხვა იყო, მეტს წავუმატებდი! აწი რაღას ვიზამ, რაც არი, ამით გავათავე!

— ოჰო, მაშ, სამდურავი რა გეთქმის? სხვებისათვის მართლადაც უსაყვედურნიათ! სხვებმა რატომ არ წაუმატეს? მაშ, არ მოუნდომებიათ, ეე — ჰე!..

— აკი ვამბობ, ფოთოლი აღარ იყო ძველებურად! მონდომება არავის აკლდა, მხოლოდ ის სამ, დღე ცხელი ქარი რომ ქროდა, იმან ცეცხლზე მდუღარე დაუმატა...

— კი მაგრამ, შენთვის თუ იყო ფოთოლი, და მოჰკრიფე, განა სხვას არ ერგო? — არ ეშვებოდა დიასახლისი.

სტუმარს რაღაც სათქმელი ენაზე მოადგა, მაგრამ მხოლოდ ხმამაღლა ამოისუნთქა და შედგა.

— რაღა გასაკვირია? — ნიშნის მოგებით თქვა ნათელამ, — რაღა გასაკვირია, მამა ბრიგადირი ჰყოლია! ფოთოლი იმის ხელშია, შვილიც დავალებას შეასრულებდა! — ეს ისე, გაიცინა და ხუმრობით თქვა. დიასახლისმაც გაიცინა, მხოლოდ გული შეხტა, როგორც გუშინწინ, უკანასკნელი გამოცდის შემდეგ, დერეფანში. შეხტა, გაწითლდა და აილანძა. თმა ხელის კვრით შეისწორა, გაოცებით მიმოიხედა და გაწიწმატებულმა ლამის შესწივლა;

— მამაჩემი ბრიგადირად წელს დანიშნეს! მე კი შარშანაც... შენ ნათელა, ალბათ, გამოგრჩა, ჩემო კარგო, შარშან თბილისის გაზეთშიაც ეწერა, გეგმა როდის შევასრულე! წელს იმის ნახევარიც ვერ მოვკრიფე!.. ვერც დედას წავეშველე! შარშან კი იმასაც ვშველოდი!

— ჰო, მაშ, ჯერ ახალი ბრიგადირი ყოფილა, საქმე კარგად არ ეცოდინება! — დაიწყო ისევ ნათელამ, მაგრამ დიასახლისმა სიტყვების თქმა არ დააცადა.

— მერე, ფულად რამდენი მიიღე, გული!

— რა უნდა მიმეღო, ჯერ ავანსად, ოთხნახევარი! ეს ავანსად! აწი საბოლოო ანგარიში ვნახოთ! მაშინ კიდევ სხვაა! ორ იმდენს მაინც მოველი.

— ხედავ? — შეაწყვეტია დიასახლისმა, ბარაქალა, გული! ასე უნდა! ან ცოცხლებში უნდა ერიო, ან მკვდრებში! აქაც ხუთებზე ჩააბარა! ვინც სწავლაში ვარგა, ის შრომაშიც პირველია!

ნათელამ თვალები ოდნავ მილულა და დედას ხანგრძლივად დააცქერდა. ახლა ნათელა წამოჭარხალდა. გულის კი მშვიდი ღიმილი მოეფინა სახეზე. ბარიბარში იყვნენ...

ავტომანქანები ქუჩაში მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. თითქოს თონიდან დაუბერავდა, ფაბრიკის მილზე კვამლი სახურავისკენ დაეკიდებოდა, ოდას ნაცნობი სურნელი გამოტენიდა. ჰაერში რაღაც ბუბუნებდა, ქათქათებდა, ზიმზიმებდა, ვარვარებდა და იხრჩოლებოდა.

თანდათან ჩრდილები დაგრძელდნენ. ჩამავალი მზის სხივების თქეში ალმაცერად შეეფინა გარეუბანში, ქალაქის თავზე, აქოჩრილ სერებს. ხელის წავ-

ლებამდე მოახლოვდნენ ის ზაფრანისფრად გაბრწყინებული სერები. აბზინდნენ სახურავები, ფაბრიკის თაღებზე ფანჯრებს თითქოს ხანძარი მოედო, ღვინისფერ ცაში გუნდ-გუნდად დაჰქროდნენ მტრედები, მწუხრის წინ ბინას დაეძებდნენ.

გული კი ცნობისმოყვარე დიასახლისს ისევ წინ ეჯდა. სოფლის ამბავი ენაწყლიანმა ხომ წვრილად მოჰყვა. ხელმარჯვეებზე თქვა და ზარმაცებზეც, პატიოსნებზეც და ქურდებზეც, თავაზიან ბიჭებზეც და ავარებზეც. მხოლოდ ეგაა, მწონავ გივიზე სიტყვა არ წამოსცდენია. ბოლოს მაინც, რომ გათამამდა, გულმა ვერ გაუძლო. უცებ მისი სახელიც ახსენა. გააჟრჟოლა კიდეც, რაკი ის სახელი წამოსცდა. ბოლოს ახსენა და ყველაზე მეტად კი აქო. ეს ისე სიტყვაში გამოუვიდა, თორემ აზრად არ ჰქონია. პატიოსანი, უანგარო, ზრდილობით სავსე, ლამაზი! იმდენი აქო, მაინძლებს ერთხელ კიდევ ჩაეცინათ! იმათ. სხვა ენიშნათ! მერე რა, ის სოფლის მშვენება გივი განა ქების ღირსი არ არის? ამათ რა იციან? არ გაემტყუნებათ, არ იცნობენ. იმიტომაც ეცინებათ და ეჩოთირებათ.

მართალია გივის სოფელში მაძაგებელიც ჰყავს. დიასახლისს იქაური ვინმე რომ შეხვდეს, იქნებ ცუდადაც გააცნონ. ის კი არა, იმდენი იბუზღუნეს, გივი ბრიგადირობიდან მოხსნეს და სწორედ მაშინ მის ადგილზე დანიშნეს გულის მამა. თავმჯდომარემ მაინც როგორც სხვებს უნდოდა, ისე ვერ გაიმეტა, მწონავად დანიშნა. კაცმა რომ თქვას, სწორიც ქნეს, რომ მოხსნეს. ეშმაკი ბიჭია. ერთს რომ აქ ეარშიყება, მეორეს ხელებით ეღლაბუცება, მესამეს შორიდან თვალებითა ჭამს. თუმცა ვისი ბრალია? ნუ შეეჭმევინები, დობილო! შენთვის მოკრძალებით იყავ, ძალიანაც რომ გიყვარდეს ისეთ სახეს ნუ აჩვენებ, უსიტყვოდ, „ჰოს“ ეუბნებოდე, თვალი ძირს დახარე და ძალით არავინ აგეკიდება. ის ოინი ხომ სულ მეტიჩარა გოგონებმა და მისმა გულფიცხმა ჭირისუფლებმა მოუწყვეს. აქაო და ლამაზი ვარო, ყველას ერთად ეცურკუცება, გამვლელს და გამომვლელს სიყვარულს ეფიცება, გულში კი მხოლოდ ეშმაკობა და თაღლითობა უდევს, თვალი სულ ტყისკენ უჭირავს. ასე იმდენი იღლაბუცა ბევრ ალალ გოგოს ჩრდილი მიაყენა და ლამის საქვეყნოდ ყელიც გამოჭრაო. აბა, მისი მოსატყუებელი, გასალანძღი და გასაცურებელი გოგო ვისა ჰყავსო. ასეთი ცერცეტა ბრიგადირად რა დასაყენებელია, წავიდეს, თვითონაც ჩაი კრიფოს, ან სიმინდი თოხნოსო. ასე ამბობდნენ სოფელში გივიზე. ბოლოს თვრამეტი წლის ციცინოს რომ გაუმიჯნურდა, მისმა ძმამ, გელამ, პლანტაციაში მიიმწყვდია და იმდენი ცემა, ახალგაზრდა ბრიგადირს გული შეუწუხდა, აი, მაშინ კი დანაქადი შეისრულეს, მოხსნეს. დანამდვილებით არავინ იცოდა, ჩხუბი რატომ მოხდა. ზოგი უკმეხ გელას ამტყუნებდა, ზოგი გივის, ზოგიც ლამაზ ციცინოს. კაცმა რომ თქვას, მტყუანი კი გული იყო... გივიმ სწორედ გულის გამო შეიძულა ციცინო... მაგრამ ყველაფერი ეს უნებლიედ, თავისთავად მოხდა და ღმერთია მოწმე, მაინცდამაინც ბრალი არც გულის მიუძღოდა... მოიცადოს მისი ჯერიც მოვა, გივი იმასაც გააცურებსო, ვიღაცეებს უყბედიათ სოფელში. რამდენიც სურთ იჭორიკანონ, გული სხვებივით სირცხვილს არა ჭამს, თავს არავის გაალანძღვინებს. ისეთს არაფერს გააკეთებს!

ჰოდა, ქება მეტის-მეტი გამოუვიდა. ენა რომ მოიკვნიტა, სიტყვა უმალ ბანზე ააგდო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

* *
*

ღამე ჩამოწვა, შეხუთული ბნელი ღამე, დერეფანზე ელექტროლამპა ღაჟღაჟებდა. მაგნოლიის ფართო ფოთლებში მტვერში ამოქვარქნილი ბეღურები ფართქალებდნენ, კენწლაობდნენ, და-

საჯდომი ადგილის გამო ერთმანეთს თავში უნისკარტებდნენ. ვიღაც მთვრალებმა ღრიანცელით ჩაიარეს. შემდეგ ქუჩა მიწყნარდა. ქალაქი რომ გაყუჩდა თითქოს ახლაღა გაისმა ფაბრიკის ერთხმიანი ბუბუნი. მაინძლებს უკვე ეძინათ, მხოლოდ გული ტრიალებდა ლოგინში, არა, თავის დედმამასთან, ოჯახში კი არ იყო! ასე გვიან ღამით ფარდულში იჯდა, ტოლებთან. გივი ჩაის წონავდა, თვითონ კი ქურდულად უმზერდა და უღიმოდა. ტკბილი ჟრუანტელი უვლიდა ტანში. თეთრი ღრუბლის ნაფლეთები ზლაზვნით მიცურავდნენ ქათქათა ლაჟვარდ ცაზე. მელეღვიები გუნდგუნდად ტრიალებდნენ ქარსაცავ ზოლებში და გამუდმებით ყეფდნენ. ფარდულის გრძელ სკამზე თავამდე გამოტენილი კალათებით ჭილოფისქუდიანი გოგონები ისხდნენ, ისინიც ღიმილით გაჰყურებდნენ გივის. აბა, ვინ რა ხელმარჯვეობასა და ბარაქას გამოაჩენდა! გივი არავისაც არ ამჩნევდა, მარტო გულის შემოხედავდა. ეშმაკურად ოდნავ აპარპალებდა მარცხენა ქუთუთოს, იმას არავინ ამჩნევდა, მარტო გულიმ იცოდა, რასაც ნიშნავდა. გაიცინებდა, ელვარე სადაფის ორ მძივს გამოაჩენდა. ასე გაღიმებულსა და სახეგაბრწყინებულს ჩასძინებოდა. ერთიც არ შებრუნებულა, ისე გალეულიყო ღამე.

— მერცხლის ჭიკჭიკმა შეაფრთხო. ერთბაშად გონს ვერ მოეგო, სად იყო! თავი ისევ კლიპტამერიის ჩრდილქვეშ ეგონა, ბრეზენტზე დაყრილ ფოთლების გორებთან. ეგონა ისევ გივის გვერდით უჯდა, მკლავით ეხებოდა ვაჟკაცის ცხელ მარჯვენას. თვალი რომ გაახილა, მიმოიხედა და ერთბაშად მოიქუშა, გულნატკენმა ღრმად, ღრმად ამოისუნთქა. ფანჯარაზე მტრედისფერი ნათელი ფართქალებდა, ბებერი მთვარე კავკასიონს ზევით ხელის აწვდენის სიმაღლეზე მიმქრალიყო, ნათელას უზრუნველი ძილით ეძინა, ხოლო დიასახლისი უკვე ბუხართან ფუსფუსებდა. ისევ მილულა თვალები გულიმ. მაგრამ მალე კარების ჭრიალმა შეაკრთო. კარადასთან დიასახლისი იდგა. ახალ-ახალ ფეხსაცმელს ქალაქში ახვევდა, თან ნათელას ეჩურჩულებოდა:

— გოგო, მე მივდივარ, ახლა მაინც ადექ, შე საძაგელო, ოჯახში გაიხედე!

გული დაფაცურდა, წამოიწია, კაბა მოიგდო.

მიხვდა, რაშიც იყო საქმე, იმ დღეს პარასკევი იყო, ბაზრობა იქნებოდა, დიასახლისი იქ მიიჩქაროდა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ დიასახლისმა ერთი ნაბიჯით გაასწრო. იმან ჭიშკარი რომ მოიკეტა, ნათელა მეორე გვერდზე გადაბრუნდა და უზრუნველი ფშვინვა განაგრძო.

ცხრაჯერ დარეკა ფაბრიკის საათმა. კვამლი მაღლა, მაღლა აიკრიფა, ისევ წამოვიდნენ ყუთებით გამოტენილი მანქანები. ეს ცისმარე დილით მოკრეფილი ფოთოლი იყო, საათის წინათ, იქნებ, გივის მიერ აწონილი.

ნათელა ლოგინში გაშხლართულიყო, საბანი ჩამოშლოდა, მშვენიერი იყო გოგონა, თოვლივით თეთრი, სისხლ-ხორცით სავსე. მზე ჯერ არ წაჰკარებოდა მის მკერდსა და მკლავებს, არც ცხვირზე და ლოყებზე აეფცქვნა კანი და სახე უცნაურად არ აეჭრელებია. აქ, ქალაქში, სულ საჩრდილობელით თუ დადიოდა, ისე გადათეთრებოდა სახე,

მარტოდ დარჩენილი გული სანამ იმ ერთი ხელის დადება ცარიელ ეზოს დაათვალიერებდა, სანამ ერთად ერთ არსებას, ფინიას, მიუალერსებდა და ხვატით დამწვარ ერთ ციცქნა ბაღჩაში გადაიხედავდა. სანამ წიგნებსა და ჩემოდანს წესრიგში მოიყვანდა, ფაბრიკის საათმა ათჯერ დარეკა.

იმ საათის რეკვამ თუ შეაკრთო, ნათელამ თვალი გააახილა და გაიზმორა.

— გამარჯობა, გოგო! — გაეხარდა სტუმარს, — ადექი, ხომ ხედავ, დაღამდა, აჰ, შე ძილის გუდავ! მომწყინდა, ადექი, ადექი! — გული თამამად მი-

უახლოვდა და საბანი წელამდე გადაადრო.

— იცი, ნათელა, ასეთ დროს მე პირველი კალათი უკვე მიწონილი მაქვს, ზოგჯერ მეორედაც გამოვტენი ხოლმე. დღეს კი აქ სულ უქმად ვარ. გული ვერაფერს დავუდე, მეჩოთირება ეს, თითქოს! რაღაც მაკლია.

— მე კი, თუ თერთმეტ საათამდე არ დავიძინე, იმ დღეს უეჭველად ავად გავხდები. ასე ვარ შეჩვეული. ჭამა დამაკლდეს ის მირჩევნია, ვინემ ძილი და მოსვენება... — ნათელამ საბანი ხელიდან წაგლიჯა, მოიხურა და გვერდზე გადაბრუნდა.

—ადე, გოგო, აკი ათჯერ დარეკა! ახლა რა დროს ძილია?

— მოიცა, ჯერ ცოტა მოვიშუშო, ამ წუთს გამეღვიძა, გიჟივით ხომ არ წამოვარდები? — ძილბურანში წასულს ნელი ბუტბუტით მიუგო ნათელამ, მაგრამ მოწყენილი და მარტოდ დარჩენილი გული პატარა დიასახლისს მერე რაღას მოეშვებოდა? იმდენი უღიტინა, იმდენი ელაპარაკა, ძილი საბოლოოდ გაუკრთო. სხვა რა გზა იყო, ნათელამ კაბა გადაიცვა და შიშველი ფეხი ფოსტლებში შეჰყო.

რა კი წუხელ მწონავი გივის ქება გულის ერთხელ წამოსცდა, გულთმისანს მერე რაღას გამოაპარებდა. ნათელას ჯერ კიდევ თმა არ დაევარცხნა და ხელპირი არ დაებანა, ახალგაზრდა მდგმურს სიტყვა რომ სოფლელ სატრფოზე ჩამოუგდო:

— მაშ, შენ ამბობ, გული, შენი მწონავი გივი ლამაზი ბიჭია. ძალიან ლამაზია?

— დია, გივი ჩემი რად არის? — ძლიერ გაიოცა გულიმ, მაგრამ ნათელამ სიტყვის გაგრძელების ნება არ მისცა.

— სუ, ხმა გაკმინდე, მე, აბა, რას მომატყუებ, ეგენი სხვას უთხარ, ჩემთან არ გაგივა. გიყვარს, მე ყველაფერს თვალებზე გატყობ. ჭკუას ჰკარვავ, ისე გიყვარს. ეგ ცოტაა, მე იმასაც ვატყობ, იმ შენს გივის შენ არ უყვარხარ, გატყუებს. ბოლოს იცოდე, თუ ჭკუით არ მოიქეცი, მშრალზე დაგტოვებს!

— ჰო, კი, აბა, საწყალი! — შეეგება გულიმ, — დამტოვებს! რომ დავთანხმდებოდე, ხვალვე ქორწილი იქნება. მაგრამ ჯერ მე უნდა ვისწავლო, ამისათვის სადა მცალია. მე ვარ უარზე და არა ისა!..

— ჰა — ჰა! აკი ჩემი რად არისო იძახოდი, ხომ ყოფილა რაღაც, ხომ გამოგტეხე!

— მე გითხარ, მე არ მიყვარს-მეთქი. იმას კი რაც მართალია, მართალია, ვუყვარვარ! მერე რა? მე ყაბულსა არა ვარ, სამი წელი უნდა ვისწავლო.

— ჰო, სამი წელი? რას ამბობ? ის შენი გივი ხომ სამჯერ შეირთავს ცოლს, შენ ხელცარიელი დარჩები.

— ხუთ წელსაც მომიცდის, მხოლოდ პირობა მივცე!

— ეგრე გითხრა!

— ჰაჰაჰა! — გადაიკისკისა გულიმ და სიცილ-სიცილით გამოტყდა კიდეც ასეთი პირობა მომცაო.

— ჰოო, თუ პირობა მოგცა, მერე მე რაღას მიმალავდი. შე კუდრაჭა! როგორც კი მისი სახელი ახსენე, მე უკვე ყველაფერს მივხვდი! ისიც ვიცოდი, ერთმანეთისათვის პირობა რომ გქონდათ მიცემული.

— მაშ, ისიც გეცოდინებოდა, რომ მე არ დავთანხმდი?

— იმდენი რა გითხრა. რა შვილია, არ დათანხმდებოდი! გული შუაზე არ გაგეპობოდა? ის მე მკითხე. სწავლა კი არა, იქნებ, ზედ გადაყვე, ეგ სხვას უთხარ, ჩემთან კი მართალი ილაპარაკე!

რა კი ნათელამ ყველაფერი ასე კარგად იცოდა, რაკი ყოველი მისი სიტყვა ენიშნებოდა რა აზრი ჰქონდა, უარზე დამდგარიყო. სახეზე ცეცხლწაკიდებულმა სიტყვის ბანზე აგდება სცადა, მაგრამ ნათელამ ახლა სხვა გზით მოუარა. თავისი სატრფო უხსენა. ორჯერ ვერ შევედი სასწავლებელში, ახლა კი მასზე უნდა გავთხოვდე, სხვა გზა არა მაქვსო. ეტყობა, ისე დავბერდები, სკო-

ლაში ვერ მოვეწყობიო. თავისი ხვაშიადი ასე გულწრფელად რომ გაანდო, გულიმაც მეტს ვერ გაუძლო და თავდახრილმა მეგობარს აღსარება მისცა:

— არ ვიცი, როგორ გავძლებ აქ სამ წელიწადს! ამ დილით კინაღამ სოფელში გავიქეცი. სიზმარშიც მთელი ღამე გივისთან ვიყავი. დაზაფრულს გამომეღვიძა, რამე ცუდი არ სჭირდესო!

რა კი ეგ სიტყვები წამოსცდა, მერე აბა რაღა ნათელას დეზები იყო საჭირო, თავი მოუხსნა და ამბავი შორიდან დაიწყო... ყველაფერი რომ გულმხურვალედ მოჰყვა, ყველაფერი რომ მოიგონა და გაიხსენა სათქმელს რომ მორჩა, თითქოს მხრებიდან მძიმე ლოდები გადაეყარა და გულაჩქროლებულმა ნათელამ ხელი მაგრად მოხვია, ტუჩი ტუჩზე შეაწება და გადაკოცნა.

* *
*

საღამოს საბარგო მანქანამ ჭიშკართან დაიბუბუნა. ნათელამ მოხედვა ვერ მოასწრო, კაბინიდან თმახუჭუჭა შავგვრემანი ბიჭი გადმოხტა, მაშინვე ცულლუტურად გაიღიმა და მსუბუქი ნაბიჯით ქვაფენილი გადმოსჭრა.

— გული შეროზია აქ ხომ არ ცხოვრობს? — შორიდანვე იკითხა უცნობმა.

— დიახ, აქ გახლავთ! — მიუგო ჭაბუკის სილამაზით ერთბაშად გახევებულმა ნათელამ. შემდეგ ზალაში შევარდა გახარებული, — გოგო, სადა ხარ, მგონი, სოფლიდან მოგაკითხეს!.

გული ამ დროს ოდის ქვეშ იყო, გივი კაბინიდან გამოსული რომ ნახა, უცაბედად გახევდა და ხმა ვეღარ გაიღო. ამხანაგს მაღლა ძლივს ამოსძახა:

— აქ ვარ, ნათელა, რა იყო? — ხმა ორჯერ ჩაუწყდა. სანამ ნათელა კისკისითა და კინწისტეხვით კიბეს ჩამოირბენდა, ქანცმილეული ჯერ კიდევ ისევ სვეტზე უმოძრაოდ იყო მიყრდნობილი. შემდეგ კი ძლივს გალასლასდა, თავჩაღუნული და შეფოცებული.

ნათელამ მკლავში ჩასტაცა ხელი და ჭიშკრისკენ ისე გაატარა, თითქოს სტუმართან შეხვედრას ჩქარობსო.

გივი შუა ქვაფენილზე იდგა და მხიარულად იღიმებოდა. გოგონები რომ ნახა, ნელა მათკენ გამოემართა. გულის ერჩია მიწა გასკდომოდა, ვინემ მას ახლა აქ შეჰყროდა.

— გამარჯობა, — თავაზიანად თქვა გივიმ, ნათელას ხელი გამოუწოდა და თამამად, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს, თავი ისე გააცნო.

— რევაზ შეროზია, გულის ბიძაშვილი!

ღიმილი აუთამაშდა სახეზე ნათელას, მაგრამ უმალ არაფერი შეიმჩნია.

— სასიამოვნო, — თქვა მან.

ახლა კი გონს მოეგო გული:

— გაიცანი, გოგო, ბიძაშვილია ჩემი, რევაზ შეროზია! თავისთვის ჩაიდუდუნა ერთიანად გაწითლებულმა და ბიჭს თვალში მორცხვად ჩახედა.

— რევაზ! — ომახიანად გაიმეორა სტუმარმა. ნათელამ ხელი რომ ჩამოართვა, ოდნავ შემკრთალმა ბიჭს გაოცებით შეხედა და გამომცდელი თვალები უმალ მდგმურს გაუსწორა:

— სასიამოვნოა, — ჩაიცინა ნათელამ, — ჰგავხართ კიდეც ბიძაშვილები ერთმანეთს, — თვალი ორივეს მოავლო, შემობრძანდით, რევაზ, სახლში შემობრძანდით!

— მადლობელი, იმდენ ხანს არა გვცალია! ჩვენ გულის სოფლიდან რაღაც ჩამოვუტანეთ, თან ფაბრიკაში ფოთოლი მიგვაქვს, მიგვეჩქარება!

ბიჭი სწრაფად ძარაზე ახტა, შოფერიც კაბინიდან გამოვიდა. ხანდაზმული კაცი იყო, ახალგაზრდებს თავაზიანად მიესალმა. ერთი ეშმაკურად გაიმება იმანაც მოასწრო, შემდეგ ძარას მიუახლოვდა.

ფქვილი, სულუგუნი, კომბოსტო და ხილი სწრაფად ჩამოიღეს.

იმ ლამაზი „ბიძაშვილის“ ხათრით ნათელაც დაფაცურდა. იმდენი იმარჯვა ყუთებისა და ტომრების გადმოტ-

ვირთვისას ხელი ხელზე შეახვედრა და მიუცაცუნა. იმ ეშხიან თვალებსა და აკოკრულ ულვაშებზე ორიოდეჯერ მზერაც გაეყინა.

— შემობრძანდით, სულ ცოტა ხნით მაინც შემობრძანდით სახლში! — სულით და გულით პატიჟებდა აფოფრილი პატარა დიასახლისი. „რევაზმაც“ ძალიან კეთილი თვალით მოჰხედა, მაგრამ შოფერმა უცებ მანქანა ჩართო.

შავგვრემანმა ჭაბუკმა მოუცლელობა მოიბოდიშა, ჯერ ნათელას ჩამოართვა ხელი, მერე გულის და სწრაფად კაბინაში შეხტა. ავტომანქანა ქაქანით დაიძრა. გივიმ ეშმაკური გამოხედვით კიდევ ერთხელ მშვიდობა თქვა და ორი აფორიაქებული გოგონა შუა ქუჩაზე დატოვა.

— გული, არ დამალო, ეგ ვიღაც რევაზი კი არა, შენი გივი ხომ არაა? დედაა, ისეთი ლამაზი ყოფილა, რა სისულელეა, მართლაც გაგაგიჟებდა, შე საცოდავო!

— რას ამბობ? — სულ ერთიანად გაწითლდა გული, — რას ამბობ, გოგო? გივი აქ, ჩემთან მოსვლას როგორ გაბედავდა? ის ისეთი არაა, ძალიან მოკრძალებულია, მამას ვფიცავარ! რას ამბობ, გოგო, გივი აქ როგორ მოვიდოდა?

— მაშ ნამდვილად ბიძაშვილია? — ეჭვნარევი ხმით ჩაჰკითხა ნათელამ.

— აბა ვინ იქნება? თვითონ იფიქრე, დედ-მამა რაღა მაინცადამაინც გივის გამოატანდა სანოვაგეს?

— ჰო, ეგ კია! მაშ, იცი, გული! დე, ასე იყოს! იცი, რა გითხრა? ეგ შენი ბიძაშვილი ძალიან მომეწონა, იცოდე, უნდა გამირიგო! აუცილებლად! უნდა გამირიგო. თორემ შეიძლება ჭკუა დავკარგო!

— ჰაჰაჰა! გაგირიგებ, გაგირიგებ! ძალიან მოგეწონა? მართლა კარგი ბიჭია? ჰოო, ხომ კარგია?

— კარგია, გული, ძალიან კარგია! ცუღლუტი ვინმე კი ჩანს! ეგ გოგოს ჭკუიდან შეშლის. უჰ, რა ეშმაკური გამოხედვა იცის! რომ შემომხედა, თითქოს რაღაც მეტკინა!

— ჰაჰაჰა, გაგირიგებ, ნათელა! მოიტა ხელი, უსათუოდ გაგირიგებ! მაგრამ ის ხომ სოფლელია? სოფელში გაჰყვები?

— ასეთ ბიჭს თუნდაც ქვესკნელში ჩავყვები, ჩემმა მზემ! რას ამბობ, სოფელი რას მიქვია? კიდევ როდის მოვა გული, როდის გვინახულებს?

— აბა რა ვიცი! ხვალ, ზეგ, ამ კვირის ბოლოს მაინც მოვა!

გოგონები მაგნოლიის ქვეშ ისხდნენ. ხითხითებდნენ, ჩურჩულებდნენ. რევაზზე ლაპარაკით მაინც გული ვერ მოიოხეს.

* * *

დღე-დღეს მიჰყვა. გივი — რევაზი აღარ გამოჩნდა. ნათელას ლოდინით თვალები ამოუღამდა. ორივე ქებით ვერა ძღებოდა. ნათელას რევაზი ეკერა ენაზე, სტუმარს კი გულში ეცინებოდა და კვერს უკრავდა, რაკი პატარა დიასახლისს „ბიძაშვილს“ გაგირიგებო, შეჰპირდა, მერე საიდუმლო ვეღარ გაამხილა. გული თავის სატრფოს, გივის ქებას მოჰყვებოდა, ნათელა რევაზზე ჩამოაგდებდა სიტყვას. იმ სოფლელი ბიჭის სილამაზეს მეათასედ გაიკვირვებდა და ჰაეროვან კოცნას გაუგზავნიდა. ბოლოს გულის შემოუჩნდა, მოდი, ერთ დასვენების დღეს სოფელში წამიყვანე, ის შენი ბიძაშვილი, რევაზ შეროზია, როგორმე მეორედ მაჩვენეო. გულიმ ერთხელ კიდევ ჩაიცინა გულში. მოდი წავიყვან, რომ გაიგებს ის „ბიძაშვილი“ ჩემი გივია, რამდენს ვიცინებ. ნათელას ცივი წყალი გადაესხმება. აბა, ამხანაგს ჯიბრში ხომ არ ჩაუდგება. კიდეც, რომ მოინდომოს, ასეთი ცერცეტა და უსაქმური გოგო გივის რაში დასჭირდება, ან როგორ მოეწონებაო. თვითონაც მიიჩქაროდა სოფელში. რა გააძლებინებდა გივისაგან ასე შორს? სამი წელი განა სამი

დღე იყო, ან სამი კვირა? ზღვა კოვზით უნდა დალეულიყო.

ზღაზვნით მიდიოდა თვითეულ დღე. ნათელამ ერთბაშადვე დაივიწყა „რევაზი“. იმ კვირით კინოში სიარული აიტეხა. დღისით ეძინა, ღამით კინოში იყო. ჭიშკრამდე გოგო-ბიჭები მოაცილებდნენ ხოლმე. ხშირად ამხანაგებს გვიანობამდე შერჩებოდა. ნელ-ნელა დედა საძებნელად ქუჩას შეუყვებოდა. ქალაქის ბაღს მოივლიდა, კინოშიც შეიხედავდა. თუ იქაც ვერ იპოვნიდა, ახლა ნაცნობ გოგონებს სახლში მიაკითხავდა, შინ გაწიწმატებული მობრუნდებოდა. გვიან ღამით მოვიდოდა ნათელა. ვერც დედის წყევლამ გასჭრა, ვერც მუქარამ, ვერც ტირილმა და ქვითინმა. ბოლოს დედა-შვილი შეთანხმდნენ, ამიერიდან ნათელა კინოში მარტო არ წავიდოდა, თან გულის გაიყოლებდა. გულის კინოსათვის დრო არ რჩებოდა, მაგრამ ერთ-ორჯერ მაინც გაჰყვა. ხათრით უარი ვერ უთხრა. უკეთესი კი იყო, არ გაჰყოლოდა. რაც იყო, იყო! მეტჯერ არ წავიდა! მოუცლელობა მოიბოდიშა. ან როგორ წავიდოდა, პირველ ღამესვე კინოში ნათელას საქციელი არ მოეწონა! ნათელამ გული მარტოდ დატოვა, ოდნავ განზე დაჯდა, ვიღაცას ბილეთი გადაუცვალა. ახალ ადგილზე გვერდით თავისუფალი სკამი იყო. გულის გადაჯდომა უნდოდა, მაგრამ იქ ვიღაც ბიჭი დასკუპდა. გულის იმათთან რა საქმე ჰქონდა, სურათს უყურებდა. გამწყრალმა ძალაუნებურად მაინც ორიოდეჯერ მოხედა. სურათს კი არ უყურებდნენ, ჩუმად ჩურჩულებდნენ. არავის ერიდებოდნენ. გულის შერცხვა, ნაწყენი ლამის წამოდგა და სახლში გამოიქცა.

კინო რომ გათავდა, ნათელამ ურცხვად გააცნო თავის „საქმრო“. გულის არც კი შეუხედავს. მხოლოდ წუთით თვალი ჰკრა. ვიღაც სამხედრო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. თავი განზე გადასწია და ხელი ისე გაუწოდა:

— წავიდეთ, ნათელა! შენ გენაცვალე! დედა გველოდება! — უთხრა ჭირვეულად. ნათელა და მისი ნაცნობი ნელ-ნელა წამოვიდნენ. განიერ ქუჩასთან ოდნავ მოუხვიეს, გულის არ დაერიდნენ, იქ ახალ, ჯერ დაუმთავრებელ სახლთან, ბნელში, შედგნენ. გამწყრალი გული წინ გავარდა. ქუჩა გადირბინა და უცებ თავის ბინის წინ გაჩნდა, შიგ შესვლა კი ვერ შეჰბედა, რა ეთქვა დედისთვის? ბევრხანს იყო მაგნოლიის ქვეშ ატუზული. შემდეგ იქაც შეეშინდა. ოდის ქვეშ ფრთხილად შეიხიზნა და ამხანაგს იქ დაუცადა:

— რა იყო, გოგო, რად გამექეცი! — ჩურჩულით საყვედურობდა გვიან მობრუნებული ნათელა.

— არაფერი, ჩემო კარგო, რა უნდა იყოს! იცი, ნათელა, მეორედ კინოში არ დამპატიჟო, მე გაკვეთილები მაქვს სასწავლი. მამამ რომ გაიგოს, ასე დავდივარ, ძალიან ეწყინება! აბა, რად არის საჭირო. კინოში კვირაობით წავიდეთ დღისით.

— რა იყო, გული? ცუდი რა ვქენი, ეგ ხომ ჩემი საქმროა!

— კი, **მაგრამ პირველად სხვა** გამ ცან!

— ჰაჰაჰა! — გაიცინა ნათელამ, — ჰო იმასაც ჩემი შერთვა უნდა... მაგრამ მე ეს სამხედრო უფრო მომწონს... იცი, რა არშიყი ვინმეა! ძალად შეგაყვარებს თავს, გონს დაგაკარგვინებს, ისეთი გიჟია!

— კარგი, ნათელა, გენაცვალე, შენი საქმე შენ უკეთ იცი, მხოლოდ იცოდე, მეორედ კინოში არ დამპატიჟო!

* *
*

გულიმ გრძელი წერილი ააჭრელა და სოფელში დედასთან გაგზავნა, არა, სანამ გაგზავნიდა უთვალავჯერ გადაიკითხა, მწონავი გივის გამო ორიოდეჯერ გადაწერა კიდეც. ყველას მოკითხვა და ნახვის ნატვრა შეუთვალა. მეორედაც დაწერა წერილი, უკვე მზად ჰქონდა, მხოლოდ ჯერ პირველის პასუხს უცდიდა. ეჰ, აბა სად ეცლებათ

გულისათვის? ცოტა დრო მაინც როგორ არ ექნებათ? გული ერთბაშად ხომ არ დაავიწყდათ? ხომ იცი, თვალი თვალს რომ მოშორდება! იქნებ გივის ახლა არც ახსოვს, თორემ განა დროს ვერ იშოვიდა? წერილის დაწერას რა დიდი დრო უნდა? ეგ არი, ერთხელ მოაკითხა, განა ამით გათავდა ყველაფერი?

* *
*

გვალვა ანჩხლობდა, საიდანაც არ დაიქროლებდა, ბუღი და კორიანტელი ეფინებოდა გაფიცხებულ და გავარვარებულ თუნუქის სახურავებს. ქუჩებსა და ეზოებში თითქოს კოცონები ენთო. მტვრის სვეტები დააბოტებდნენ ქვაფენილზე. გამდნარ ასფალტზე გამვლელთა ნატერფალი რჩებოდა. ჭებში წყალი მილეულიყო. შუაქალაქში პატარა მდინარე გამქრალიყო, მდოვრებში ბავშვები ქვიშობანას თამაშობდნენ. შეღამებისას ზაფრანისფერი ღრუბლები გადაიქროლებდნენ, გვალვის მაუწყებელნი, ზმორებით გაეკვროდნენ ცაზე, გამხმარ შლამივით დატყდებოდნენ, მთვარის სინათლეზე თეთრად ქათქათებდნენ. შუაღამემდე გაჰყურებდა გული იმ დატეხილ ღრუბლებს, ზლაზვნით რომ მიიწევდნენ სოფლისკენ. ღამეს დილა მოჰყვებოდა. ისევ გრიალით დაჰქროდნენ დატვირთული მანქანები, არც ერთი მათგანი ჭიშკართან შეჩერებას აღარ აპირებდა. ასე დათვლილი წუთებით სამი კვირა მიილია. გულიმ ახალი წერილი აფრინა, სანოვაგე თავდება და რამე გამოგვიგზავნეთო. სანოვაგე თვის სამყოფი იყო, მაგრამ ორ კვირაში მიილია. ნათელა ხომ არსად მუშაობდა, არც აპირებდა რამე საქმისთვის ხელი მოეკიდა. ჩაის ფაბრიკაში შეეძლო მუშად მოწყობილიყო, მაგრამ იუკადრისა. უსაქმობასა და ფუფუნებაში იყო გაზრდილი. ამ სამ კვირაში გულიმ ყველაფერი კარგად გამოიკითხა და გამოიძია. ეს ოჯახი, თურმე, ჯერ კიდევ ნათელას დაბადებამდე სოფლიდან წამოსულა, შეძლებული კაცი ყოფილა ნათელას მამა, ფეხზე გაჩრობით ხელმომთბარი. დიდ ქალაქებში ნამყოფი, თვალგახსნილი და ანგარიშში გაწაფული. ჰოდა, სოფელს თურმე, ვერ შეეგუა, საცხოვრებელი გაჰყიდეს და ქალაქს მოაშურეს, ხან დაფნა, ხან მსხალი და ვაშლი, ხან თხილი და ნიგოზი დიდ ქალაქში დაჰქონდა. ჯერ თვითონ წავიდოდა, ფოთოლს ჩემოდნებით წაიღებდა, შემდეგ ცოლი ამანათებს გამოუგზავნიდა. კარგა ხანს ასე იყო. არა უშავდა რა. უკან მობრუნებული შალის საკოსტუმეებს, ფეხსაცმელებს, აბრეშუმის საკაბეებს იმავე ჩემოდნით ჩამოიტანდა. ხალხში გაერია და ნაცნობები გაიჩინა, მაგრამ უკანასკნელად ურალში დაფნა რომ წაიღო, ერთხანს ცნობა არ მოვიდა. შემდეგ საბჭოდან მოაკითხეს. არათქმით მაინცდამაინც უკმეხი არაფერი უთქვამთ, მხოლოდ ეზოში გაიარ-გამოიარეს. დაფნის ხეს დაეძებდნენ, ერთი ძირიც წამლად რომ ვერ ნახეს, თავი ჩაიქნიეს და დიასახლისს ცივად დაემშვიდობნენ. შემდეგ წერილი ჩრდილოეთიდან მოვიდა, სამი წელი მიესაჯათ. საყვედურობდა, რა მოხდა, ისეთი, ის ვერ გაახერხეთ, ეზოში რამდენიმე ძირი დაფნა გეჩვენებინათო.

აბა, საიდან აჩვენებდნენ, როცა არ იყო! ახლა ოჯახში რაც შენაძენ-მონაგები ჰქონდათ წვრილწვრილად მიჰყიდ-მოჰყიდეს. ყოჩაღად მოქცეულა დიასახლისი. სამი წლის შემდეგ მამა ჩრდილოეთიდან რომ დაბრუნებულა, ოჯახის დედამ კვლავ სოფელში გადასახლება ურჩია თურმე.

— წავიდეთ, იქ ნათესავები გვყავს, ხელს შეგვიწყობენ, ეზოსა და ბარს გავიჩენთ, ცოტ-ცოტას ვიმუშავებთ, ღომი და ლობიო ხომ საყიდელი აღარ გვექნება. ბატსა და ქათამს გავზრდით, ღორს გავასუქებთ, თხებს მოვამრავლებთ, ბაღსა და ვენახს გავაშენებთ! იმ ცხონებულს ამ რჩევისთვის ყური რომ ეგდო, ახლაც, ცოცხალი იქნებო-

და. არც სოფელში გადასახლდა, არც ქარხანაში მუშაობა ისურვა. ისევ ძველი გზით რუსეთის დიდ ქალაქებში იწყო სიარული. იქ ვიღაც ამხანაგებს გადაეყარა. ოჯახში დროზე აღარ მობრუნდა. იმ უკანასკნელ ზამთარს, დიდი თოვლი რომ მოვიდა, არყით დამთვრალიყო, დილას საავადმყოფოში მიეყვანათ, მაგრამ ვეღარ ეშველათ, ფილტვების ანთებას გადაჰყვა.

აი, ამ დროიდან ამ ჭიშკრაზე ორჯერ გააკრეს განცხადება, „სახლი იყიდებაო“. ორჯერ მოინდომა ნათელას დედამ სოფელში დაბრუნება, მაგრამ ორივეჯერ გუნება ეცვალა, შვილი ვერ დაითანხმა.

— შენ ხომ არ გაგიჟდი, სოფელში რა გვინდა, იქ ვის ველაპარაკოთ, რა ვაკეთოთ, ეგრე აყრა-დაყრა ხუმრობა ხომ არ გგონია? მე არსად წავალ, გაისად მაინც მოვეწყობი სკოლაში, ან ბოლოს და ბოლოს მეც ვიმუშავებ სადმეო...

იმ პარასკევსაც დიასახლისი ხელცარიელი და მოწყენილი მობრუნდა ბაზრიდან. გული მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ერთი თვის ბინის ქირა წინასწარ გადაუხადა. გუშინ მეორე თვის ჩააბარა, ჯერ კიდევ სამი კვირაც არ იყო გასული. ახლა უკვე სანოვაგეც მიილია. ჰოდა, გულიმ ისევ ააჭრელა წერილი. დიასახლისის ამბავიც გაკვრით მოიხსენია. ფოსტაში თვითონ გაიქცა და კონვერტი ყუთში ჩაუშვა.

* *
*

იმ საღამოს ღრუბლები სწრაფად გამოცურდნენ ზღვიდან, დაბლა გადაუარეს ქალაქს და კავკასიონის პირველ ფერდობზე გაიჭედნენ. შემდეგ ქალაქის ზემოთ, ბნელი ცის სიღრმეში, ცეცხლის ენები აელვარდნენ და ქვეყანას ნაკვერცხლები გადმოაყარეს. დაუქროლა შარახვეტიამ, ფოთოლი და ქაღალდი ბურღივით დაატრიალა. ჯერ დაიგრუხუნა, მერე აქა-იქ შარაზე მსხვილი წვეთები დაეცნენ. წვიმამ სახურავებზე ფინთიხივით გაიხმაურა და ერთბაშადვე შეწყდა.

ეს იყო პირველი შეძახილი. ნამდვილი კრიმანჭული, ყიყინა და ცეცხლოვანი საცეკვაო მას მოჰყვა. ჯერ ნელა დაიგუგუნა, თითქოს განი-განიო, შემდეგ მოცეკვავე ღრუბლებმა შარიშური გაიღეს, შუაზე გაიხსნა ცა და იქიდან ათასმა ხმალმა იელვა. მოწონების ტაშის ქუხილმა სახურავებზე გადაიარა.

ვასაკების შემკრთალ კრუალში შორიდან, შორიდან ისმოდა ხელედის შხუილი. შემდეგ ერთბაშად იხუვლა და თითქოს ზღვაურმა ტალღები ქალაქს თავზე გადმოასხა და გადმოატარა. ბოლოს კი მხიარული მაყრული გაიბა ლაფაროში, სახურავებზე და თუნუქის მილებში.

დილამდე ყურს უგდებდა იმ ჟრიამულს ლოგინში გასნატული გული. ისევ ფარდულში იჯდა, წვიმით დასველებული, ფეხშიშველი და მუშაობით ქანცმილეული. მუხლებამდე წყალი იდგა ჩაის მწკრივებში. ღამენათევი ღრუბლები სოფლის თავზე დაფორთხავდნენ. ჭადრების კენწეროებს და მაღალ სახურავებს ეხვეოდნენ.

— აშენდა ქვეყანა! — მხოლოდ გული შეროზია უნდა ყოფილიყო განზე! ახლა სოფლად ერჩია, თუნდაც ერთი კვირა გაენავარდნა! მეგობრებში, ტოლებში, მეზობლებში! ტუსაღივით როგორ მჯდარიყო ცარიელ ოთახში, როცა მთელი ქვეყანა მინდვრად იქნებოდა წასული. სკოლაში გულნაკლული წავიდა, შინ კი ნახევარ საათში მხიარული მობრუნდა.

„მამიდა, მამიდა! ჩვენი სკოლა ორი კვირით სოფლად მიჰყავთ! კოლმეურნეებს კრეფაში დავეხმარებით!“

— ჩვენთანაც მოვიდნენ, შვილო! ახლა ესღა გვაკლდა! დილით მანქანით წაგიყვანთ, საღამოს შინ იქნებით, მადლობას ცალკე გეტყვით, გასამრჯელოს ცალკე მოგართმევთო!

— მერე თქვენ უარი ხომ არ უთხარით?

— კიდეც გვეთქვა, რა გამოვიდოდა, დავთანხმდით!..

ტაში შემოჰკრა გულიმ.

— კარგადაც მოქცეულხართ, წავიდეთ ჩვენს სოფელში! მე გპატიჟებთ, ჩვენთან წავიდეთ! სიხარულით შემოეხვია და გადაკოცნა.

— არა, შვილო! სახლს ხომ ვერ მივკეტავ! ჩვენ სადმე ახლოს ვივლით! ან ვინმეს ვიჭირავებ, მოვაკრეფინებ, ნორმას ჩავაბარებ! ეგრე შორს ვეღარ წავალ! შორს აქამდეც წავიდოდი, ამ სახლ-კარს ვერ შეველიე!

მთელი ღამე გული მაინძლებს არ მოეშვა. თავის სოფელიც ზედმეტად აქო. იმდენი იტიკტიკა, ქალბატონი ძლივს დაიყოლია.

* * *

საბარგო ავტო ორღობეში მიქრის. ჭილოფისქუდიანი მამა სტუმრებს მეასედ ეპატიჟება, სოფელში მიჰყვება. თხრილები წყლითაა გაზიზინებული, გზებზე ტბორები დგას. ტოროლები „ვიწვივიწვის“ ძახილით სულ მაღლა-მაღლა ლაჟვარდზე მიფრინავენ. მზე ისევ ქათქათებს, ოქროს დოლაბივით ბრუნავს. ჭილოფის მრგვალი ქუდები ვეება ყვავილებივით დამსხდარან მწვანეზე და ნიავის შემოქროლვაზე ფარფატებენ. ბუჩქებს ამომწვარ-ამოქოლილი თვალები გაუხელიათ, მსუბუქი ნისლის თავსაბურავში გახვეულან. გული ცერებზე დგას, თვალი წინ-წინ გაქცევია, ხელის ქნევითა და სიცილ-კისკისით ესალმება ნაცნობებს.

აგერ განიერი ჭიშკარი. ორსართულიანი ოდის უკან სხვა ნაგებობანი ჩანს, მინდორზე ჩვილი ბოჩოლა ხბო ბალახობს. ქათმები და ინდაურები გუნდ-გუნდად ირევა. მარცხნივ ვენახია. ჭიგოებიც კი ლურჯად ქათქათებენ. სამზადზე კვალის სვეტი აღმართულა. ჭრელმა ნახირმა მანქანას გზა გადაუკეტა. ფარა ფერდობს შესევია. იხვებსა და ბატებს ღელე გადაუთეთრებიათ. ბამბურა ნაგაზები ჭიშკარს მოაწყდნენ.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ენაწყლიანობს სოფელი, დიასახლისი.

* * *

პირველ დღესვე ნათელას ყლორტებმა საჩვენებელ თითზე ფრჩხილი აატკინეს, ცერზე კანი გაუწითლეს. ქალაქელი გოგო არც თაკარ მზესაა ნაჩვევი. ორად მოხრილს ლამის წელი მოწყდა. მესამე მწკრივზე ჩაიკეცა. თავი ჩრდილს შეაფარა. მის დედას კი პლანტაცია წინათაც ენახა. ორივე ხელით კრეფს. გულის კი შეხედეთ, თითები თითქოს დაირაზე ცეკვავენ, ნორჩ ყლორტებს გეშით პოულობენ, ყრუ ფათქუნით ივსება მისი კალათა.

— აბა, წავიდეთ გივისთან! — ერთბაშად აიტეხა, სული მისდის ჩრდილში გაწოლილ ნათელას,—გული, ერთი შენი გივი გამაცანი! აბა, ერთი ვნახო, როგორი ბიჭია!.

— ჯერ კალათა არ გამივსია! ფარდულში რა მიგვარბენინებს! წყრება გული. ძვალ-რბილი კი უცახცახებს. ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად გივის როგორ შეხვდეს?

— რას ამბობ, გოგო? — ეშმაკურად იღიმება ნათელა, მა ეგ რა არის? ფოთოლი ხომ არ უნდა დაგვეწვას? კალათაში ხელს ურევს, — წამიყვა გული! შენ გენაცვალე, ფარდულში წამიყვა, გივი გამაცანი!

— არა, მე ვერ წამოვალ იქ! მე რა მინდა? თუ გინდა, შენ მარტო წადი! მე აქ ცოტას წავიმუშავებ!

— წავიდეთ, წავიდეთ! ჩემო გული, ახლავე მოვბრუნდეთ, მერე ვიმუშაოთ! ჯერ წავიდეთ, გივი ვნახოთ.

ნათელა ზმორებით წამოდგა. სარკეში ჩაიხედა. თმა გულიმ გადაუსწორა, წარბებიც გადაუსხლიპა, თვითონ კი... თვითონ თავბრუ ეხვეოდა...

გოგოებმა უთხრეს (იქნებ, განზრახაც) თურმე, გულის არ ყოფნაში, გივი,

ვითომც, ისევ ციცინოს მიჰბრუნებოდეს. ლამის მეორედ ეცემა გელას. ის სიტყვები გულთან ახლოს არ გაუტარებია. არ დაიჯერა. ფარდულში მაინც არ წავიდა... გულდაწყვეტილმა მხოლოდ მზერა გააყოლა მწკრივებში რწევით მიმავალ ნათელას.

* *
*

— გოგოვ, მე რად დამიმალე, შე გიჟო!

— ჰა-ჰა-ჰა, რა ვიცი ნათელა. ერთბაშად ვერ გითხარ, გაგირიგებ-მეთქი, რომ შეგპირდი, მერე კი რაღაცნაირად შემრცხვა!

— კარგია, არ დავმალავ, შენი გივი კარგი ბიჭია! ახლა კი სულ გულში ჩამეხატა! იმას თუ უყვარხარ, გოგოვ?

— ეჰ! — ამოიხვნეშა გულიმ.

— რა იყო, გოგო?

— ის რა ვიცი, იმის გულის აზრს ვინ გაიგებს?

— ჰოდა, მეც იმიტომ გკითხე! ეგ ეშმაკი ბიჭი ჩანს, ისე აბრიელებს თვალებს, ეტყობა, ძალიან ეშმაკია! შენი სიტყვებიდან კი სულ სხვა წარმოდგენა მქონდა, მართალს გეტყვი, ერთი უბირო ვინმე მეგონა, ეგ კი აქეთ ცეცხლში რომ შეაგდო, იქიდან გავარდება, ისეთი ვინმეა! შენ ის არ გატყუებდეს, გული! ეგ რომ გითხარი, არ გეწყინოს, შენი ტოლი არ არი! ეშმაკია და არშიყი! ეჰ-ეჰ, ისე ასანსალებს თვალებს, მაგას არაფერი დაეჯერება! მე ხომ კაცს ვიცნობ!

— ისე, ხომ კარგი ბიჭია? ხომ ლამაზია? შენც ხომ ძალიან მოგეწონა? — სიტყვა ყელში გაუწყდა გულის.

— კარგია! — მოკლედ უპასუხა ნათელამ, ზედ სიმღერა მოაყოლა. გულსავსედ, გრძნობით მღეროდა. რაღაცნაირად ჩაფიქრებული, თვალები შორს, შორს ცაში გაქცეულიყო, უცნობ სიმღერებს მღეროდა, ქალაქელ გოგონებს კინოებსა თუ თეატრებში რომ აქვთ ნასწავლი. გულიც უსმენდა, იმასაც რაღაცნაირად ემღერებოდა, ბანის მიცემა უნდოდა, მაგრამ ნათელას ხმა ვერ შეუწყო.

— იცი, გული, ეგ შენი ეშმაკი გივი ქალაქში რომ წაიყვანო, ცოტა დაბანო, ცოტა დავარცხნო, ქალაქურად ჩააცვა, იქაურ გოგოებს სულ გადარევს, ისე არაბივით დათუთქულა და ეშხიანად აკოკრილა!

— ჰაჰაჰა! ჩემი რად არის? გივი ჩემი რად არის? ჩემისთანა ასი ნაცნობი ჰყავს! ის ღმერთმა უწყის, ვისია? მე ისე, ყველაფერი ისე, ტყუილა, გითხარი ნათელა!

— ხომ გიყვარს? — ცუღლუტურად ჩაჰკითხა გოგონამ.

— მიყ... ვარს? ჰაჰაჰა! მერე რა? ბიჭები იმას არ დაგიდევენ, გიყვარს თუ არა! დღეს ერთი უყვართ, ხვალ სხვა! ხან ორს ერთად ეკურკურებიან! ჰო, იმას კი აღარ დაგიდევენ, ვის უყვარს, ვის არა! მე ყველაფერი ისე, ტყუილა გითხარი ჩემო ნათელა, სულ ტყუილა!

— მართალია! ვინც მოეწონებათ, ცუდიც რომ იყოს, იმას შეირთავენ ხოლმე! გოგოს სიყვარულს კი აღარ დაგიდევენ, ეგ შენ მართალი თქვი, არ აფასებენ!

— ჰო, მაშ! — ნაღვლიანად ამოიოხრა გულიმ, — ნათელა გენაცვალე, შენ აქ წაისვენე! მე ცოტას კიდევ მოვკრეფ! შენ წაისვენე, არხეინად იყავ! მე იმდენს მოვკრეფ, იმდენს მოვკრეფ, მეც მეყოს და შენცა! ნეტავ რამე წიგნი წამოგეღო, რომ გაერთო! იქ ხომ დედაშენიც კრეფს? ჰოდა, ყველას ყელამდე გვეყოფა!

— რას ამბობ, გული? მე აქ მარტო რა დამაჯენს, მეც მოვკრეფ, ცალი ხელით მოვკრეფ! ერთად ვიმუშაოთ!

რიგს გაჰყვნენ. გული მსუბუქად მოხრილა შემოჭერილ ქამარს მოხდენილი, კალმახივით ტანის მშვენება გამოუჩენია. კალათა თანდათან მძიმდება, უფრო და უფრო დაბლა ეწევა ქამარს. გოგო-

ნას წერწეტა წელს თითქოს გაწყვეტას უპირებს.

— უჰ, დედა! თავბრუ დამეხვა! — ნათელა სიცხემ დაზაფრა, ბაგის ზემოთ, ოქროსფერ ბუსუსზე, ჯერ ოფლმა გამოაქონა. თვალები სიცხით აენთნენ. შემდეგ ხვითქი დაასახა შუბლზე, თანდათან წელი ეტკინა და ჩაის ბუჩქზე გადაწვა. ზამბარებივით შექანდნენ ხორკლიანი ტოტები, ნათელა შეარწიეს.

— ჰე ჰე! ხედავ, რბილ სავარძელში ვზივარ! მესმის აქ პაემანი; ჰა-ჰა-ჰა!

გული სიცილითვე გაეხმაურა.

— გაჩუმდი, გოგო, შე გიჟო, არავინ გვისმენდეს!

— პაემანი შეღამებულზე ისე, რომ არავინ გისმენდეს და არ გითვალთვალებდეს! ხითხითებდა ნათელა.

— რანაირი ხარ გოგოვ, არავინ გვისმენდეს!

— უჰ, დედავ, წელი!

— ნათელა, გენაცვალე, რაზე იზაფრავ თავს? ან წელს რად იწყვეტ? აკი გითხარ, დაისვენე-მეთქი! კიდევ ცოტა და კალათა მზად იქნება! შენს სახელზე ჩავწერ! ისეთი ფოთოლია, შუადღემდე ორ ნორმას მაინც მოვკრეფ!

ნათელა ჩრდილქვეშ წევს. ვინც არ უნდა იყოს მუშაობა პირველ დღეს ხომ ძნელია? ამ თაკარა სიცხეში კი ბევრ ხანს ვინ გაძლებს? ნათელა კი შრომას ნაჩვევი სულ არაა. შეხე გულიმ ორი კალათა გატენილი მოიტანა.

— წავიდეთ ახლა, ნათელა, ერთი შენ წამოიღე! ავწონოთ!

— არა, მე ვერ წამოვალ, დაიკო! მე აქ დავრჩები! ფარდულში ვერ წამოვალ! დავიღალე! აქ დაგიცდი!

— წავიდეთ, ნათელა, იცი, წელან რომ ვკრეფდი, რა აზრი დამებადა? ერთს კი არა, ორივე კალათს შენს სახელზე დავწერ! ნაშუადღევს კი ფარდულში, შენ თუ გინდა, გივის წაეხმარე! იმას ახლა ბევრი სამუშაო აქვს, ვეღარ ასწრებს. მე კი მეორე ნაკვეთზე გადავალ, ის შორსაა, მაგრამ სატეხი ყლორტებია, ერთი ქორფა რამ! იქ ნუ წახვალ, დაიღლები.

— არა, ფარდულში შენს საქმროსთან რა მინდა, გული! ფარდულში მე რა გავაკეთო? მომწყინდება! მე შენთან ვიქნები! იქნებ ხელი გავაჩვიო, იქ წამოვალ!

— წავიდეთ! მანქანა გაგვასწრებს, ჩაი ფარდულში დარჩება, ცხელა ფოთოლი საღამომდე გაგვიფუჭდება! გოგო, რანაირი ხარ, წავიდეთ, აწი! — ხელი წაავლო და ფეხზე წამოაყენა.

* *
*

გულიმ ის მეორე დაპირებაც შეასრულა. ნაშუადღევს ახალ ნაკვეთზე ორი ნორმა მოასწრო. დიასახლისიც იქ ჰყავდა, იმანაც კარგად იმარჯვა. სულ უკვირდა, თურმე რა ბევრის მოკრეფა შეიძლებაო. შარაზე რომ გამოვიდნენ, გულიმ ფარდულისკენ მიმავალი ფორანი ნახა. სავსე კალათები ფორანზე დააწყო, დიასახლისი ფარდულში გაისტუმრა, თვითონ შინისკენ გზა ფერდობით მოსჭრა. სტუმრების შესახვედრად სამზადისს უნდა შესდგომოდა. ის იყო მზე ჩაესვენა. ოდნავ მოძრავი ღრუბლები დასავლეთში წითლად და მტრედისფერად ელავდნენ. ქარსაცავ ზოლებში უკვე ბინდი იღვრებოდა. გულიმ ბილიკზე მოკურცხლა. სახლი გამოკეტილი დაუხვდა, შინ ჯერ არავინ მობრუნებულიყო. ქათმებს ხეზე გასვლა მოესწროთ. ოდის კარ-ფანჯრების გაღება, ჭაღებზე ელექტრლამპების გაჩაღება და სამზადში ცეცხლის დანთება ერთი იყო. მალე ქათმის კრიახი და ნაჯახის ჩახაჩუხი გაისმა. გული დატრიალდა. ძროხები მოწველა და დააბინავა, რძე ჩაადედა, თხები და ბატები შემორეკა, ღორებს ხილის ნარჩენები და ქერი დაუყარა. კრუხები და წიწილები ბუდეში ჩასხა. ხაჭაპურები ყველით გამოტენა და კეცზე დადო. მურაბას გემო გაუსინჯა. ხილი და

ტკბილეული მოიკითხა, ყველაფერი ხელზე აჰყვა, თავსაყრელი იყო, ჯარასავით ტრიალებდა გული. ხან ქვიჯის კაკუნი ისმოდა, ხან დანა-ჩანგლის წკარუნი, ხან ჯამ-ჭურჭელის ჩხრიალი.

ხომ გუმანით იცოდა გულიმ? უეჭველი იყო, გივი ამაღამ შინ ეწვეოდა. წინ-წინ რამდენჯერმე სტუმრებია ოჯახს, კვირაობით, ბრიგადირთან ქვითრების შესამოწმებლად გამოივლიდა. ახლა კი სტუმრებს მარტო ხომ არ გამოუშვებდა ამ შეღამებულზე? გამოაცილებდა. რაკი გივი შინ სტუმრებს მოიყვანდა, მერე უპატივცემულოდ ვინღა გაუშვებდა! რა კარგი შემთხვევა ექნებოდათ, ერთად ევახშმათ, საღამო ერთად გაეტარებინათ! ეს დღეს გაიფიქრა, ჩაის რომ კრეფდა.

რა ბედნიერი იყო გული, სიხარულით სუნთქვა როგორ შეეკრა, როცა ჭიშკრის ჭრიალთან ერთად ის საყვარელი, ნაცნობი ხმაც ყურში ჩაესმა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ეს გივი ეპატიჟებოდა სტუმრებს. ორი ნაბიჯით ჩაირბინა ორსართულიანი მოხვეული კიბე, კოინდარზე ფეხი არ დაუკრავს, სტუმრებთან გაჩნდა. მკერდქვეშ ვიღაც თითქოს ხელს უჭერდა, სული ძლივს მოითქვა:

— მობრძანდით! ხმა ჩაუწყდა გულის. მაშინვე ხელი გადახვია სტუმარს. კიბესთან კვლავ შეიქმნა პატიჟი. გზა ნათელას დაუთმეს, გულიმ კარები ფართოდ გააღო, ზალაში შევარდა, სკამები დერეფანზე გამოიტანა.

— დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე!

იმ ფართიფურთში, სანამ მაღალ აივანზე სკამებზე მოკალათდებოდნენ, გულიმ იმდენი იეშმაკა, თავის გივის წუთით თვალი გაუსწორა. ვაჟმაც ცუღლუტური გაღიმება მოასწრო. ძვალ-რბილში გოგონას ბედნიერების ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა. ეშმაკობაზე რომ არ დაეჭირათ, გამოსავალი პოვა, ზალაში რადიომიმღების ჩასართავად შევარდა. ჩართო კიდეც. სახელური ერთორჯერ შეაბრუნა-შემოაბრუნა. გაწითლებული და აფოფრილი ისევ დერეფანში გამოვარდა.

გივი გაბადრული იჯდა. ვაჟმაც საყელო შეეხსნა და მზით დამწვარი სქელი კისერი გამოეჩინა. შავი თმები კულულებად ეყარა თავზე, ცისფერი თვალების ზემოთ ჭაბუკური წარბები მოშოლტილიყვნენ, სახეს ჩალისფერი ბუსუსი უფარავდა, მხოლოდ ულვაშები აკოკრილიყვნენ. ცუღლუტური ღიმილი და ის ცისფერი თვალები თითქოს ბავშვურ იერს აძლევდნენ. აბრეშუმის თხელი ხალათი ქამარში ჩაეტანებია, ოდნავ ვიწროდ შეკერილ შარვლის ქვემოთ სქელლანჩებიანი სუფთად გაკრიალებული ფეხსაცმელები ბზინავდნენ, ეტყობოდა, ქალაქელ ბიჭებსა ჰბაძავდა, თუმცა ხალათისა და ქამრის მორგებაში ბევრსა სცოდავდა და მთელს მორთულობას კი მარილი და პეწი აკლდა.

მიბნედილი გული ეშმაკური გამოხედვითა და თვალებში ცქერით ჰხაროობდა, სათქმელი კი ვეღარ მოეხერხებინა. ბოლოს იმ მზერასაც ვეღარ გაუძლო, სტუმრები დერეფანში დატოვა და სამზადს მიაშურა. თვალებზე წაიფარა ხელი. ცივი წყალი პეშვით სახეზე შეისხა და მოსულიერდა. დერეფანზე ეგონა, წაიქცეოდა, ისე ეხვეოდა თავბრუ. ორჯერ მოაჯირს გაეკრა. ახლა კი სინათლე დაუბრუნდა. თავი სიზმრად ეგონა ბედნიერ გულის. მხოლოდ ასე მდგარიყო და ყური ეგდო იმ ხმისათვის, ის ეყოფოდა, არც შიმშილს იგრძნობდა, არც წყურვილს, არც მუხლი დაეღლებოდა, მხოლოდ უსასრულოდ გაგრძელებულიყო ეს ნეტარი წუთები.

უნდა გენახათ ის ბედნიერი ვახშამი. გულის ჭარმაგი დედა თამადობდა სუფრას, ბროლის ჭიქები წითელი ღვინით ივსებოდა.

სტუმარი გოგონა იმდენად გამხიარულდა თავისი ქალაქური სიმღერები წამოიწყო. აი, დღეს გულისთან პლანტაციაში რომ მღეროდა. გივიც მხიარულად იყო, მაშინვე ბანი ააყოლა.

ერთ-ორგან სმენამ უმტყუნა, მაგრამ არაფერი, უმალ შეაწყო ხმა, კარგად გამოვიდა. იგივე სიმღერა ახლა გივიმ წამოიწყო, ნათელამ პირველი უთხრა, კლავ შეახმატკბილეს. სოფლელმა ბიჭმა კარგად იმღერა, ნათელაც გაამხიარულა და მაინძლებიც.

ის სიცილ-კისკისი და სიმღერები გულის ძილშიაც ჩაჰყვა. სიზმარშიც თვალწინ ის ცისფერი თვალები და აკოკრილი ჩალისფერი ულვაშები ედგა...

— ადე, გულიკო, შვილო, ადე, შემოგევლე! — ნელა მოუსვა შუბლზე თბილი ხელები დედამ.

გული მძინარე მიბარბაცებდა.

— არა უშავს, მდინარეს რომ გასტოპავ, გამოფხიზლდები! შუადღისათვის ფორანს მოგაშველებ!

მინდორი გოგომ კოჭლობით გადაიარა, ჭიშკარი მოიხურა და დედასაც დასამშვიდობებლად ხელი იქიდან დაუქნია.

შუადღისას ახალი ნობათი მოუვიდა ნათელას. საღამოს მეორედ აკაკუნდნენ ბორბლები ქვებით ჩახერგილ ფონზე.

3.

იმ დღეს გივისთან ფარდულში, მთელი ბრიგადა ირეოდა. კვირის ნამუშევარზე უწყისები შეედგინათ.

ცნობისმოყვარეობით გაგუდული გულის დიასახლისი კუთხეში იჯდა, ფოთლით გამოტენილ ვეება ყუთთან. აბა, რას ეტყოდნენ, რითი გაახარებდნენ? ნამუშევარში რამდენს მისცემდნენ?

მოლარემ ერთი დასტა გადმოუგდო, დათვლა არა სჭიროდა, ზოლიან ქაღალდზე ჯვარედინად შეხვეული ის დასტა, ჯერ გახსნილიც არ იყო, გაიშალა, თუმნიანებმა კალათა გაუვსო. სხვებმა მეტი მიიღეს, თავიანთ წიგნაკებში იჭვრიტებოდნენ, ამოწმებდნენ, საანგარიშოს აფხაკუნებდნენ. როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, იმას ვინ დაეძებდა? დიასახლისს კი საჩოთირო არა ჰქონდა რა. კარგ ბაზრობაშიც ამდენი არასოდეს ჰღირსებია.

— ბიჭოს, აქა არ ხუმრობენ! — არავის არაფერი ეხამუშებოდა, მხოლოდ სტუმარი ჰკვირობდა. ნათელა გივის ეჯდა გვერდით და სუბარში გართული დედას თითქოს ვერც კი ამჩნევდა.

გულიმ იმდენი იეშმაკა, გივის უჩურჩულა, დღეს მამამ სკა გახსნა, მერგოლურმა კალმახი დამიჭირა, ახალი თაფლი გვაქვს, არ დაიგვიანოთო! ფარდულიდან მოკურცხლა, რომ სტუმრებს წესიერად შეეხვედროდა.

ვახშამზე იმ საღამოს ყველაზე მეტად ქალაქელი დიასახლისი ენაწყლიანობდა:

— არა, ჩემმა მზემ, ცოდვა გამხელილი სჯობს, აქ გულით მუშაობენ, ცუდი არა ყოფილა! ზოგან კარგად არ მუშაობენ, არც გასაყოფი აქვთ ბევრი რამ. ხედავ, რამდენი მერგო! რით არი აქ ცუდი? აბა, რითა? ხუმრობის გარეშე, გავყიდი ქალაქში ყველაფერს! ერთი მუშა მევაჭრება, ჩაის ფაბრიკიდან, კარგადაც მაძლია! იმ ფულით აქ წესიერად დავსახლდები, ოჯახს მოვეკიდები! აბა რით არის ცუდი? ერთი გოგოლა მყავს, ისიც ცოტ-ცოტას იმუშავებს, ორი წლის შემდეგ მაინც შევიყვან უმაღლესში! თუ არა და... ლუკმაპურს დაუყვედრებლად ხომ ყოველთვის ვიშოვი! ჰო, ხუმრობის გარეშე, სიძეც თუ რიგიანი მეყოლა, სხვა რაღა მინდა? ნელ-ნელა გივისკენ გაიხედა და კეთილად გაიღიმა. ჭაბუკმაც ღიმილითვე უპასუხა და მარჯვენა მხარი ნათელას ძუძუებს ოდნავ გაჰკრა. გოგონამ უმალვე გადაიკისკისა.

— რით არი ურიგო? გივიმაც კვერი დაუკრა. — აქ ჩვენ ერთი თავისუფალი უბანი გვაქვს, ახლებს იქ ვაძლევთ ნაკვეთს, ოც კომლამდე მთიდან ჩამოსახლდა. ქალაქიდან კი ახალი მოსახლე თქვენ იქნებით!

— მოიტა ხელი! — სწრაფად მიუგო დიასახლისმა, მე სიტყვის კაცი ვარ! რასაც ვიტყვი უმალვე გავათავებ კიდეც! სიცილ-სიცილით ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

... დაქანცულ გულიკოს გვიანობამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე არ ჩასძინებია. რა სისულელეა? რა საფიქრებელია? ასეთ რამეს ნათელა, ან მისი დედა გივიზე გულში როგორ გაივლებენ? ალბათ, იხუმრეს. მაინც ეკალივით მოედო ქალაქელი სტუმრების ხუმრობა...

დილით გოგონა ლოგინში არ დაუხვდათ, სამუშაოდ ისე გაპარულიყო, საუზმეც აღარ წაეღო თან.

* *
*

უკვე გვიან იყო. გუშინდელზე, გუშინწინდელზე უფრო გვიან. ჭიშკრის ჭრიალი კი აღარ ისმოდა. აღარავინ ჩანდა. სხვა დროს ამას გული აინუნშიც არ ჩაგდებდა, ახლა კი მოთმინება არა ჰყოფნიდა, თვალი სულ გზისკენ ეჭირა. როგორც იქნა, ორღობეში საუბარი შემოესმა. მადლობა ღმერთს, დღეს მამა სახლში ადრე მობრუნებულიყო. გაიქცა, ყური მიუგდო. ქალაქელ ქალბატონს ესაუბრებოდა. ეტყობოდა, სტუმარს სამოსახლო ადგილი უკვე ენახა. ძალიან მოსწონებოდა კიდეც!

გოგონას კი გულზე რაღაცამ ცივად ჰკრა და მთელ ტანში დაზრინა.

— რა აქვს გულში, რას აპირებს? ხედავ, არ ხუმრობს! სოფელში ჩამოსახლება უნდა.

* *
*

რა დროს ხუმრობა იყო? კაცი და ქალი უკვე ახალ მოსახლეზე ლაპარაკობდა. სავარაუდო ქორწილის ვადებსაც ნიშნავდნენ. რაც ქვეყანამ იცოდა, გულიმ უკანასკნელმა გაიგო. ქალაქელი ნათელა თურმე გივის ძალიან მოსწონებოდა და დღედაღამ იმას ეკურკურებოდა. გული ამხანაგებმა მიიმწყვდიეს და საყვედურებით გაავსეს:

— სულელი ხარ! შენი დასაკლავი დანა გამოჩხრიკე! შენ შენებურად პატივი ეცი, იმათ თავისებურად გადაგიხადესო!

* *
*

ჭიშკრის ჭრიალი აღარ ისმოდა, არც აღარავინა ჩანდა... გულიმ ველარ გაუძლო, ოდის კარებიც აღარ მოხურა, არც აბრიალებულ კერიას მიჰხედა, ფარდულისკენ მოკურცხლა. მიჰქროდა, თითქოს ნიავს მიჰქონდა. ხეივანში ბინდები ჩაღვრილიყო. უმთვარო ცაზე შავი ღრუბლები მოქუშულიყვნენ, მოძალებულად უბერავდა ზენა. ათას ხმაზე შლიგინებდა ქარსაცავი ტყე. სახლიდან ორ ნაბიჯზე, საშიში რა იყო? მუხლები კი უცახცახებდნენ, გული მიჰლეოდა, თვალებზე ბინდი ებლანდებოდა. სისინებდნენ კლიპტამერიის შავი ტოტები. ფაჩუნით დაჰქროდნენ ტუნგოს ფართო ფოთლები, ჩამუქებული ბუჩქები ათას ხმაზე ფუსფუსებდნენ. ეს ბილიკი ჩაღამებულ განიერ ვეება თხრილს მიადგა, სიბნელეში წყარო მირაკრაკებდა. ამ თხრილს ვერსაიდან მიუდგა. შეჩერდა და მიმოიხედა. გზა ნამდვილად შეჰშლოდა. ლამპიონები შორს ბრიალებდნენ. უკან შემობრუნდა, გზა პლანტაციით მოსჭრა. შავ ბუჩქებში ზენა უსტვენდა და ზუოდა, ქვერს აფორიაქებდა. თვალი კლავ იმ ლამპიონებს გაუსწორა, ახლა კი მოვიდა აზრზე, სწორედ იმ ნაკვეთზე იყო, პირველ დღეს ნათელასთან რომ მუშაობდა... სწორედ იმ მწკრივზე იდგა... ნათელამ პაემანი რომ ინატრა... უცებ ქარმა ერთი-ორად შემოუბერა, ერთიორად აშრიალდნენ ბუჩქები... მერე ის იყო, მოლანდება თუ სინამდვილე, ავი სიზმარი, თუ ცხადი? თითქოს რაღაც ჩურჩული შემოესმა. შეეშინდა, მოკურცხლა, ის ხმა კი სულ უკან მოსძახოდა. გულიმ ბელტზე ფეხი წაჰკრა და დაეცა. მიწაზე გაშხლართული გაიტრუნა და იმ ჩურჩულს ყური მიუგდო. იცნო, ვინც იყო. გივი ჩურჩულებდა:

— ხომ ყაბულსა ხარ, რაც დედამ თქვა?

— ყაბულს, ყაბულს!—გაისმოდა ვნებიანი კვნესა. რა იყო ეს? ფოთლები

თუ შრიალებდნენ, ქარი თუ აწიოკებდა აქოჩრილ ბუჩქებს?

გული წამოვარდა და ისევ გაიქცა:

—ხედავ, ხედავ? — უმალ შემკრთალი ჩურჩულიც ჩაესმა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შემდგარა. ან იქ რა საქმე ჰქონდა? გული ხომ ფარდულში უნდა წასულიყო? მიჰქროდა, მიშრიალებდა, ზოგჯერ თხრილებში ჩაიკეცებოდა, უმალ წამოიჭრებოდა და თავგზააბნეული ისევ გარბოდა.

ფარდული დაბნელებული დაუხვდა, იქ არავინ იყო. შინისკენ ახლა ფართო გზით გაიქცა. ჭიშკრიდანაც შენიშნა ისევ ბრიალებდა კერია, ოდაში ჭაღი ჩახჩახებდა, კარები ყველგან ღია იყო, მხოლოდ ჭაჭანება არ ისმოდა. სად უნდა ყოფილიყვნენ გივი და ნათელა? ან შარაზე უნდა წამოსწეოდა, ან შინ უნდა დახვედროდა. სამზადში შევარდა, იქიდან კიბეზე ამოირბინა, არსად არავინ იყო! ის მაინც როგორ ვერ შენიშნა, თურმე დედა დერეფანზე მჯდარა.

— ვის ეძებ, შენ გენაცვალოს დედა! აქა ვარ, შემოგევლე.

გაფაციცებული თვალებით შეხედა დედას და ისევ ჩაირბინა კიბეზე...

ჯერ არსად ჩანდნენ. გვიან, გვიან, როცა ახალი მთვარე უკვე დასავლეთში ჩაცოცდა და ქვეყნად სულ ჩამობნელდა, ჭიშკრის ფრთხილი ჭრიალი გაისმა. გულის ის მხიარული ხმა არ გაუგონია. უსიტყვოდ მოდიოდნენ...

... უსიტყვოდვე უჯდნენ მაგიდას, ერთმანეთის გვერდით კი არა, შორიშორს. შუაში დედა ეჯდათ. კვლავ ენაწყლიანობდა ქალბატონი, მხოლოდ ახალგაზრდები უსიტყვოდ, დარცხვენით შესცქეროდნენ ერთმანეთს. მაშინ მიხვდა, ყველაფერს, მიხვდა გული.

* * *

— დედიკო, დედილო, შენი ჭირიმე, მე მარტო ქალაქში ვერ წავალ, იმ გამოკეტილ სახლში რა გამაჩერებს? წანიყვა, სხვაგან გადამიყვა! სადმე სხვაგან! იქ მარტო როგორ მოვიცდი? მე ვერ მოვიცდი! რომ მომკლა, ვერ მოვიცდი! დედილო, შენი კვნესამე! ისინი ხომ სოფელში რჩებიან, იმათ ცარიელ სახლში მე რა გამაჩერებს? ერთი დღე რა გამაჩერებს? აბა, შენით იფიქრე, მე იქ რა გამაჩერებს?

დედის გულს არ გასჭირვებია, არ გასძნელებია, წინათაც ხომ ყური მოეკრა. პირველი ბავშვური გატაცება ეგონა, ახლა კი მიხვდა, გონს მოეგო, რატომ უთრთოდნენ ბაგეები მის პირმშოს, რატომ კანკალებდა ცრემლის ნაპერწკალი თვალებზე, რატომ გადასთეთრებოდა შუბლი და ღაწვები, რატომ ათასჯერ უწყდებოდა სიტყვა:

— კი, დედა შემოგევლოს, კი ჩემო გოგონა! ერთად წავიდეთ! აი, გათენდეს, ბევრი აღარ უკლია, ახლა წაიძინე ინათებს თუ არა, ავდგეთ და წავიდეთ, მხოლოდ მამას შენ ნურაფერს ეტყვი, თუმცა სულ იმისი ბრალია, წესიერი ოჯახი ვერა ნახა? მაინც ხომ უნდა გადახვიდე იქიდან? სახლი იყიდება, გოგო თხოვდება! აი დაბრმავდეს ის ცერცეტა გივი. აბა, რა შენი ტოლი იყო? შენ სხვა ბედნიერებას შეხვდები! ვინმე შენს შესაფერს, შენსავით ალალ-მართალს ნახავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერეუნ თოროგომიანი

★

უსინათლოთა აგარაკზე

I

ჩქარი მატარებელი თბილისი — ბათუმი დილით ადრე ციხისძირის ბაქანზე გაჩერდა. მე და ჩემი თანამგზავრი შალვა, ის იყო ფაციფუცით ჩამოვედით, მატარებელი ისევ დაიძრა, გრიალით განაგრძო გზა და მწვანე გორაკებს მოეფარა. ბაქანზე ჩამოსული მგზავრები მატარებლის წასვლის შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. ჩვენ ერთი უცნობი ქალი გავაჩერეთ და ვკითხეთ, სად იყო უსინათლოთა დასასვენებელი სახლი.

— თქვენ ალბათ დასასვენებელი სახლი „დრუჟბა" გინდათ. მეც იქ მივდივარ, მომყევით, — თქვა ქალმა და ლიანდაგის გასწვრივ შარაგზისკენ აიღო გეზი. ჩვენ, ხელბარგამოღლიავებულნი, მორჩილად გავყევით ჩვენს მეგზურს და ვცდილობდით უკან არ ჩამოვრჩენოდით. ირგვლივ თვალწარმტაცი სანახაობა იყო გადაშლილი; ხელმარცხნივ გორაკებზე ტყე შრიალებდა, მარჯვნივ კი შავი ზღვა ლივლივებდა და მისი ტალღები გრიალით ეხეთქებოდა ლიანდაგის კედლებს. ზაფხულის თაკარა მზის მცხუნვარება დილიდანვე საგრძნობი იყო, მაგრამ, ზღვიდან მონაბერი სიო მზეს ძალას უკარგავდა.

— „დრუჟბა" ახლახან გაიხსნა, ასე ოცი დღის წინათ. საუკეთესო ადგილზე მდებარეობს იგი, ზღვისა და მთის ჰაერის ზონაში, ამიტომ აქ დასასვენებლად ჩამოსული სტუმრები უთუოდ კმაყოფილი იქნებიან, მალე გამოჯანსაღდებიან და ახალი ენერგიით განაგრძობენ მუშაობას, საგზურები ოცდაოთხდღიანია, ისიც უფასო, ამაზე კარგი დასვენება?..

ასე გვესაუბრებოდა ჩვენი მეგზური და ყოველმხრივ აქებდა დასასვენებელ სახლს. საუბრიდან გამოირკვა, რომ იგი იმ სახლში მრეცხავად მუშაობდა, ორი დღით ქობულეთში წასულიყო მოხუცი დედისა და ქალიშვილის სანახავად და ახლა უკან ბრუნდებოდა.

— ქობულეთი სულ რაღაც ექვსშვიდ კილომეტრზეა აქედან, იქ სახლი მაქვს, სადაც ხანდაზმული დედაჩემი და ჩემი ქალიშვილი ცხოვრობენ.

ამ საუბარში სულ რაღაც ორასი ნაბიჯი გვქონდა გავლილი, რომ ჩვენმა მეგზურმა ქალმა ლიანდაგი გადაჭრა და სუბტროპიკული მცენარეებით დაბურულ ტყეში შეუხვია. ბილიკი თანდათან მაღლა-მაღლა მიდიოდა. ერთ მხარეს ბილიკს უზარმაზარი ხეების რიგი გასდევდა, ხოლო მეორე მხარეს ბუჩქნარით დაფარული ხრამი.

— ო, ხედავთ, სულ ზევით მივდივართ, წიწვიანი ხეების სამფლობელოში, — გვიამბობდა ჩვენი მეგზური, — იქ ყოფნას არაფერი სჯობს. მალე, როგორც ამბობენ, კეთილმოწყობილ გზასაც გაიყვანენ, ზღვის ნაპირამდე ქვის კიბეს დააგებენ, მაშინ ხომ ნამდვილი სამოთხე იქნება.

ქვა ღორღიანი აღმართით გავცდით ბამბუკის ხეების ზონას და ფიჭვნარში შევედით. ორიოდე წუთი ფიჭვნარში მივდიოდით, ბოლოს ფიჭვნარიც გათავდა, ტაფობზე გავედით, ქვის კიბეებით ავედით მაღლა და დასასვენებელი სახლის უზარმაზარ შენობას მივადექით. ჩვენმა მეგზურმა დასასვენებელი სახლის დიასახლისთან მიგვიყვანა. დასასვენებელი სახლის დიასახლისი, თეთრ ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ნუნუს ეძახდნენ, მომღიმარე პირისახით შეგვეგება,

ჩვენი საგზურები და პასპორტები ჩააბარა, თვითონვე გაგვიძღვა და პირველ სართულში სამ საწოლიანი ოთახი დაგვითმო. მე სარკმელთან მოვთავსდი, შალვამ ჩემს გვერდით დაიჭირა ადგილი. პირდაპირ მესამე საწოლზე ვიღაც უცნობ კაცს თვალები გაურკვეველ მიმართულებით მიეპყრო და სფინქსივით გაქვავებული იჯდა. იგი ჩვენი მისვლით არ დაინტერესებულა, არც არაფერი უკითხავს. მგზავრობით დაღლილი საწოლზე წამოვწექი, ვისვენებდი, შალვა კი ჩანთიდან ტანსაცმელს ალაგებდა და კარადაში ათავსებდა. სხვათაშორის, ჩემი თანამგზავრი შალვა რატომღაც შეჩვეულია მარტო ფუსფუსს და ახლაც დასვენებას ბარგის დაბინავების თადარიგი ამჯობინა. წლოვანებით იგი ორი-სამი წლითაა ჩემზე უფროსი, მაღალია, მხარბეჭიანი, პროფესიით აგრონომი, ენტომოლოგი. მრავალი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა პასუხსაგებ სამუშაოზე. — კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. მუყაითი იყო, გამრჯე, დაუზარელი და რაც მთავარია, კეთილსინდისიერი. შალვა სისხლის წნევას უჩიოდა. ამასთან მარჯვენა თვალში მხედველობა დააკლდა, ცოტა გვიან კი ცალთვალა შეიქნა. შემდეგ მარცხენა თვალშიც დააკლდა სინათლე და ახლა მხოლოდ მხედველობის ოცი პროცენტიღა შერჩა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ჩემზე ბედნიერია, რადგან ჰე მხედველობა თითქმის მთლიანად დაკარგე და სინათლის შუქსღა ვარჩევ ძლივსძლივობით.

— ეჰ, — ვჩიოდი ხოლმე ხშირად, — ნუთუ სამუდამოდ დაიხურა ჩემთვის სინათლის კარი?.. მე ქვეყანა მხედავს, მე კი...

— შენ სულის თვალებით ხედავ სამყაროს, ჩემო მეგობარო, იგებ ყველაფერს, — მანუგეშებდა შალვა.

და წუთიერი დუმილის შემდეგ განაგრძობდა:

— შენში სიცოცხლე ძველებურად სჩქეფს. ჩასპანდი და მხიარული კაცი ხარ, ბუნებას მრავალი სიკეთით დაუჯილდოებიხარ. რაღა გაქვს სადარდებელი?!

შალვას სიტყვები ნუგეშისცემად მეჩვენებოდა, ქათინაურებად ვთვლიდი, მით უფრო, რომ შალვა გულისხმიერი, დინჯი, ამხანაგის მოყვარული და წყნარი ბუნების ადამიანი იყო. საერთოდ, ჩვენ ბუნებით ერთმანეთისაგან განვსხვავდებით: რამდენადაც მე ფიცხი ვარ, აჩქარებული, იმდენად შალვა თავშეკავებულია, დინჯი და თავაზიანი. ეს თვისებები მას, ალბათ, სახელმწიფო დაწესებულებებში დიდი ხნის მუშაობის შედეგად გამოუმუშავდა. როგორადაც არ უნდა ავპილპილებულიყავი, მკვახე სიტყვები დამეკვესებინა, ის არასოდეს არ კარგავდა წონასწორობას, მშვიდად მოისმენდა ბოლომდე და ისე დინჯად შემესიტყვებოდა, რომ ჩემში მღელვარების ნატამალიც აღარ რჩებოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ შალვასთვის პატარობიდანვე ჩაუნერგიათ წესიერების, თავდაჭერის საუკეთესო ჩვევები, რაც ხანდაზმულობაშიც უნაკლოდ შემონახოდა. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები და გულითადი ამხანაგები ვართ, კარგად მყავს შესწავლილი და სწორედ ამან გამაბედინა აგარაკზე მასთან ერთად წამოსვლა. ჩვენი ბარგის მილაგ-მოლაგების შემდეგ სადარბაზო კარით მზით გაკაშკაშებულ აივანზე გამოვედით. თბილისის მცხუნვარე მზისა და შემხუთველი ჰაერის შემდეგ აქაურმა რბილმა სითბომ და გრილმა ჰაერმა ისე საამურად აგვიძგერა გული, რომ ორივესთვის სიცოცხლე რატომღაც უფრო საგნობრივი გახდა, უფრო წარმტაცი და მომხიბლავი.

2.

ჩვენი დასასვენებელი სახლის ახლად აგებული შენობა ასი მეტრითაა დაშორებული ზღვას, იგი აშენებულია მაღალ ბორცვზე, სამი მხრიდან სიპი ქვებით არის შემორკალული და ნამდვილ ნახევარ კუნძულს წააგავს. შენობა არწივივით დაჰყურებს მაღლობიდან ზღვას. ღელდადამ ზღვის ტალღები

განუწყვეტლივ ეხეთქებიან ამ ბორცვს და გაისმის ტალღების მონოტონური შხუილი. მაგრამ სულ სხვაა, როცა წვიმა მოდის და ზღვაზე ქარიშხალია. თეთრად აქაფებული ტალღები ბორცვს რძისებურად შემოადგებიან ხოლმე და გეგონებათ დასასვენებელი სახლი ესეს არის მოწყდება ხმელეთსო. დაბლობში, ზღვის პირას, ხანდახან გრიალით ჩაივლის ხოლმე მატარებელი და კლდეებს და გორაკებს შუა გაქრება.

დასასვენებელ სახლის მოასფალტებულ ეზოს ზღვის მხრიდან გრძელი კედელი ეკვრის. აქედან დამსვენებლები ზღვის ლურჯ ტალღებს გასცქერიან. მთავარი გზის ორივე მხარეს დარგულია ლიმონისა და მანდარინის ნერგები. ხუთიოდე წლის შემდეგ, როცა ეს ნერგები დავაჟკაცდებიან, დამსვენებლები ულამაზესი ხეივანით ესტუმრებიან ხოლმე ბორცვს.

ცოტა ხნის სეირნობის შემდეგ მე და შალვა ოთახში ვბრუნდებით. საწოლზე მჯდომარე კაცი ისევ იმ ადგილზე დაგვიხვდა. ცოტა გვერდზე გადაწეულიყო, ერთი ხელით ბალიშს დაყრდნობოდა, თითქოს ეძინა. ნეტა ვინ არის ეგ კაცი? რა ხელობისა, ან როგორ მოხვდა აქ? შალვა საწოლზე ისვენებდა. ვისარგებლე შემთხვევით, ავდექი, მივედი უცნობ კაცთან და გამოველაპარაკე. ეს უცნობი აღმოჩნდა უსინათლო კომპოზიტორი ხაჩიკ ხაჩიკიანი.

— ააა, მე თქვენ შესახებ გამიგია, ვიცი, — მეგობრულ კილოზე დავსძინე მე.

კომპოზიტორი გასწორდა და ნელი, დაბალი ხმით შემეკითხა:

— ჩემ შესახებ გსმენიათ, გაგიგიათ?!.

— დიახ, ბევრი რამ გამიგია და მოხარული ვარ, რომ ერთმანეთს შევხვდით.

ჩემმა სიტყვებმა აღაფრთოვანეს იგი და თანდათან დამიმეგობრდა. საუბრიდან გამოირკვა, რომ ხაჩიკიანი სიმღერა-გალობის მასწავლებლად მუშაობს თბილისის უსინათლოთა სკოლაში. იმავე დროს სიმებიანი ორკესტრის ხელმძღვანელიცაა. დაბადებიდან იგი ბრმა ყოფილა, არ უნახავს ქვეყანა, არც ახლობელი, არც ბუნების სილამაზე. ამის გამო ერთგვარ სამდურავს გამოთქვამდა ბუნებისა და მეტადრე მშობლების მიმართ.

— დიახ, ჩემს გულში არა ჰქრება უკმაყოფილება მშობლების მიმართ: ჩემი უბედურების მიზეზად მათ ვთვლი, თუმცა დედაჩემი და მამაჩემი თავს იმართლებდნენ და ჩემს დებსა და ძმებზე მითითებდნენ, რომელთაც თვალის სინათლე ჰქონდათ, ჯანმრთელები იყვნენ, მარტო მე ვიყავი გამონაკლისი, დიახ ერთადერთი ბუნდოვანი გამონაკლისი...

შემდეგ მიამბო ბავშვობიდანვე როგორ მოხვდა უსინათლოთა სკოლაში, თითების შეხებით როგორ შეისწავლა ჯერ კითხვა, მერე წერა, მუსიკის ნოტები. თანდაყოლილი ნიჭის წყალობით ხაჩიკს ფორტეპიანოზე დაკვრა უსწავლია, მუსიკალური განათლება მიუღია და შემდეგ თავად დაუწყია მუსიკალური ნაწარმოებების შეთხზვა. გამოირკვა, აგრეთვე, რომ ცოლშვილის პატრონია, მეუღლეც უსინათლოთა სკოლის ყოფილი მოსწავლეა და სხვა.

— ამჟამად სად არის შენი მეუღლე? მარტო რატომ ჩამოსულხართ? — ვკითხე მე.

— საოჯახო საქმეების გამო თბილისში დარჩა. მე კი ჩვენი ანსამბლის წევრებს გამოვყევი. მათგან ზოგიერთს ნაწილობრივ უჭრის თვალი და იმათ მომიყვანეს.

ერთ წამს გაჩუმდა, მერე განაგრძო.

— ეჰ, მეგობარო, მე დიდი ხანია შეეჩვიე ჩემს ბედისწერას: უსინათლობა ისე აღარ მაწამებს, როგორც წინათ. უკვე მოხუცებულობაში შევდგი ფეხი, ორმოცდათხუთმეტი წლისა ვარ. ნახევარ საუკუნეზე მეტია, ქვეყანას ვერ ვუყურებ და ეს ნაკლი აღარ მაღონებს. ამ დროის მანძილზე ჩემთვის სხვა შევქმენი — ქვეყანა, სიმღერა, მუსიკა ამ ხანაგები. ამათთან ისე ვერთობი, უსინათლობა აღარ მაგონდება. მთელი დღე ან შინა ვარ, ან სკოლაში, ან კლუბში და, როდესაც პიანინოზე ვუკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავ, ან რაიმე სიმღერას ვიგონებ, ბავშვივით მიხარია. საყოფაცხოვრებო პირობები კარგი მაქვს, ფულიც არ მაკლია, ამიტომ, მიუხედავად დავრდომილობისა, ჩემთვის სიცოცხლე მარტო საინტერესო როდია, არამედ მშვენიერია და მომხიბლავი...

ერთხანს შეისვენა და ისევ განაგრძო საუბარი. ლაპარაკობდა ხან ქართულად, ხან რუსულად, ხან სომხურად; ამ ენებს თავისუფლად იყო დაუფლებული და კოხტად, ლამაზად გამოთქვამდა თავის აზრებს.

— თბილისში, 26 კომისრის რაიონში, უსინათლოთა სკოლის მახლობლად, კარგად მოწყობილი ოთახი მაქვს. ჩემი მეუღლე ცოტათი ხედავს, ბაზარში ის დაიარება, და ოჯახს ყოველგვაო მზრუნველობას უწევს. აი, როცა დავბრუნდებით თბილისში, შემოგვიარეთ. ოჯახს გაგაცნობთ და პიანინოზე ჩემს ოსტატობასაც გაჩვენებთ.

ოთახში შემოვიდა მომღერალთა გუნდის ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. ეტყობოდათ, რომ თვალები დაზიანებული ჰქონდათ, მაგრამ მხედველობა ალბად, გააჩნდათ, ნაწილობრივ მაინც.

— აბა, წავიდეთ მასწავლებელო, რეპეტიცია დაიწყო.

ხაჩიკიანი ცქვიტად წამოხტა, მკლავში ხელი გაუყარა ერთ მათგანს და გაჰყვა.

— ძალზე საინტერესო კაცი ყოფილა ეგ კომპოზიტორი, — წარმოსთქვა შალვამ, როცა ისინი ოთახიდან გავიდნენ, და განაგრძო, — ნეტა განახა როგორი თვალები აქვს, მხოლოდ ორი, ყვითელი ზოლებით შემოვლებული წერტილი ატყვია თვალების ადგილზე. აუტანელია მაგისი თვალების ყურება. პირისახეს ისე უმახინჯებს, რომ შეგეცოდება.

— მე კი, მეგონა, გეძინა, — დაბალი ხმით ვესაუბრებოდი.

— არა, პირიქით, დიდი ინტერესით ვუგდებდი ყურს თქვენს საუბარს. ახლა ერთ ჭერქვეშა ვართ და ხომ უნდა ვიცოდეთ ვისთანა გვაქვს საქმე. სასიამოვნოა, რომ ეგ კაცი კომპოზიტორია. ერთი სიტყვით, კარგი ადამიანი აღმოჩნდა.

3.

ორ კვირაზე მეტი იყო, რაც ხაჩიკ ხაჩიკიანი აქ ისვენებდა, მარტოდმარტო მიდიოდა სასადილოში და მისთვის მიკუთვნებულ ადგილს იკავებდა. როცა მე და შალვა სასადილოში პირველად მივედით, ჩვენ შემოგვეგება სასადილოს გამგე თამარ სერგეევნა, შუახნის კარგა ჩასხმული რუსი ქალი და ოთხ ადგილიან მაგიდასთან მიგვიყვანა.

— ეს იქნება თქვენი ადგილი, გთხოვთ დაბრძანდეთ, — გვითხრა მან და გაგვშორდა.

ჩვენს მაგიდასთან ორი უცნობი იჯდა, ერთი მათგანი — მამაკაცი — სამოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, მეორე კი — ახალგაზრდა ქალი. ხანში შესულ მოხუცს ვარლამ სიმონის ძეს ეძახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმული იყო, მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდა. ლაპარაკიც ტემპერამენტიანი ჰქონდა, ზედმიწევნით ზრდილობიანი. კარგად ფლობდა ქართულ და რუსულ ენებს და საუბარში ხშირად ხმარობდა „გენაცვალეს“. ყველანი დიდ პატივსა სცემდნენ მას და მოწიწებით ეპყრობოდნენ.

როცა მაგიდას მივუჯექით, მან მხიარულად წამოიძახა:

— კარგია, ჩვენი კომპანია გაიზარდა! ამიერიდან ოთხნი ვართ და სადილიც უფრო მხიარულად ჩაივლის.

ოფიციანტმა ბორშჩი მოგვიტანა. ვარლამ სიმონის ძემ დასუნა კერძს და აღტაცებით შეაქო საჭმელი.

— საუკეთესო მზარეული გვყავს, კარგ ბორშჩს ამზადებს, აბა, მიირთვით, გენაცვალეთ, — და თითონ პირველმა დაიწყო ჭამა.

მე და შალვა მადიანად შევექეცით კერძს და მალე დავრწმუნდით, რომ მოხუცი ტყუილად არ აქებდა მზარეულს. როცა ჩვენი აზრი გავუზიარეთ მოხუცს, ძალიან გაეხარდა და მაღალი ხმით წამოიძახა:

— აბა რა გეგონაო, განა ტყუილს

ვიტყოდი დროული კაცი! ვარლამ სულაბერიძე ცხოვრებაში მუდამ მართალი ყოფილა, დიახ, მართალი, გენაცვალეთ...

ჩვენი მაგიდის მეოთხე წევრი, რომელსაც სულაბერიძე „ქეთოს“ ეძახდა, მუდამ დუმდა, ცოტასა სჭამდა. სულაბერიძე თითქმის ძალდატანებით აჭმევდა მას. ქეთო გამხდარი, შავთმიანი, შავ თვალწარბა, ნაზი აგებულების გოგონა იყო. როგორც შემდეგ შალვამ გადმომცა, მარცხენა თვალის გუგაზე ლიბრი ჰქონია გადაკრული.

— აბა, მიირთვი, გენაცვალე, ჩვენ უკვე ბორშჩს ვათავებთ, შენ კი თითქოს ხელიც არ გიხლია. ახალგაზრდა ხარ, მეტი უნდა ჭამო, მაგრამ ბეღურა ჩიტის მადაც კი არ შეგწევს, ასე როგორ შეიძლება, გენაცვალე.

მაგრამ სულაბერიძის ენაწყლიანობამ შედეგი არ გამოიღო, ქეთოს მადა არა ჰქონდა, უგემურად აცმაცუნებდა ტუჩებს და გვერდით იყურებოდა.

— ქალო, ეს რა უბედურებაა. საჭმელმა რა დააშავა, ახალ მეზობლებს მაინც ნუ დაუკარგე ჭამის მადა — ცხვირში დუდღუნით საყვედურობდა გოგოს ვარლამ სულაბერიძე.

სადილი რომ დავამთავრეთ, თამარ სერგეევნა მოგვიახლოვდა ჩვენ და გვკითხა:

— როგორ მოგეწონათ, კმაყოფილი ხართ?

შალვამ თავისებური თავაზიანობით უპასუხა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. თამარ სერგეევნამ კმაყოფილად გაიღიმა და მხიარულად გაგვცილდა.

როცა სასადილოდან გამოვედით, სულაბერიძემ ხელჯოხი მიწაზე მაგრა დააკაკუნა და სთქვა:

— მეგობრებო, გავიდეთ აივანზე, იქ გიამბობთ მაგ ქალის თავგადასავალს.

სამივე გავედით აივანზე, სკამებზე ჩამოვსხედით. სულაბერიძემ დაიწყო.

— ეს ქალი, რომელიც ჩვენთან სადილობდა, მუშაა. თბილისის მახლობლად, სოღანლუღის ბეწვეულის ფაბრიკაში მუშაობს. ობოლია. აქ მას გაუცვნია ავეჯეულობის ქარხნის ახალგაზრდა მუშა, და დამეგობრებულან. ვაჟს პირობა მიუცია, რომ ცოლად შეირთავდა და ერთ დღეს, როცა სხვა დამსვენებლები ზღვის პირას წასულან, ვაჟი ქალთან დარჩენილა და... მეორე დღიდან ვაჟს გული აუცრუებია, ახლოს აღარ ეკარება. ქალს რომ დაუნახავს ვაჟის ასეთი ფერისცვალება, ძალზე აღელვებულა, ამხანაგებისათვის გაუმჟღავნებია თავისი უბედურების ამბავი. საქმეში ჩარეულა დასასვენებელი სახლის დირექტორი, ვაჟისთვის რჩევა მიუციათ ქალთან ერთად წასულიყო თბილისში და ქორწინება მმაჩში გაეფორმებინა. გზის ფულიც კი გაუტანებიათ. რჩევას ვაჟი დაჰყოლია, მაგრამ უკან დაბრუნებულან თუ არა, ვაჟი მაინც თავისას არ იშლის — ქალს არ ეკარება. ეს არის მიზეზი ქეთოს მოწყენილობისა. გოგოს უთუოდ უნდა დავეხმაროთ, ხოლო ვაჟს მოველაპარაკოთ, სწორ გზაზე დავაყენოთ. ამხანაგურმა რჩევა-დარიგებამ ვაჟი ჭკუაზე უნდა მოიყვანოს, რომ ქალი მძიმე მდგომარეობიდან ვიხსნათ.

მალე „მკვდარი საათი“ გამოცხადდა. მე და შალვა ჩვენს ოთახში დავბრუნდით. კომპოზიტორი ხაჩიკიანი უძრავად იჯდა თავის საწოლზე. შალვამ და მე ტანსაცმელი გავიხადეთ და ლოგინში ჩავწექით.

— რატომ არ მოისვენებთ? — დავინტერესდი მე.

— მეც არ ვიცი, ვზივარ და ვფიქრობ, — მიპასუხა ხაჩიკმა.

— რაც გინდა ბევრი იფიქრო, სულერთია, ჩვენს სატკივარს ვერავინ უმკურნალებს. საერთოდ კი, კაცმა თავისი ცხოვრება ბედისწერას კი არ უნდა დაუმორჩილოს, არამედ წესიერად და გონივრულად წარმართოს: სხვა გამოსავალი არ არსებობს. თქვენ ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი. ჩვენ მარტო იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, თუ რა მოხდა, არამედ იმაზეც, თუ რა

უნდა ვაკეთოთ და, რაც მეტს გავაკეთებთ, მით უკეთესი, როგორც ჩვენთვის, ისე ყველასათვის. მოისვენეთ...

არ ვიცი, ჩემმა რჩევამ გასჭრა, თუ სხვა მოსაზრებამ სძლია, ხაჩიკიანმა სწრაფად გაიძრო ტანისამოსი და ლოგინში ჩაწვა.

როცა თვალები გავახილე, შალვა ამდგარიყო და ეზოში სეირნობდა, ხაჩიკიანი კი ის იყო დგებოდა, ტანსაცმელს იცვამდა. შემდეგ თითები საათის ციფერბლატზე მოატარა და სთქვა:

— სრული ორი საათი გვეძინა. ამდენხანს ძილი პირველი შემთხვევაა.

ღამდებოდა. აჭარული წყნარი და გრილი საღამო დგებოდა. მე და ხაჩიკიანი ერთმანეთის დახმარებით აივანზე გავედით. კიბეებთან შალვა და ვარლამი შემოგვხვდნენ, ძირს ჩაგვიყვანეს და ოთხივემ ხეივანში სეირნობა დავიწყეთ. კარგა მანძილი გავიარეთ, ხაჩიკიანი ნელი ნაბიჯით მოგვდევდა უკან. სეირნობისას მას ასეთი ჩვეულება ჰქონია.

დიდხანს ვისეირნეთ, ვარლამ სულაბერიძემ დაწვრილებით გაგვაცნო თავისი ცხოვრება.

— ორმოცდაათი წელი, სრული ნახევარი საუკუნე მასწავლებლად ვმუშაობდი, გესმით, მერე და ისიც სოფლის სკოლებში. უკანასკნელ წელს გადავედი პენსიაზე. საქართველოს მრავალ კუთხეში ვყოფილვარ, ზედმიწევნით კარგად ვიცნობ ჩემს სამშობლო მხარეს, ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს. ჩემი და-ძმაც მასწავლებლები არიან, სამივე, როგორც ამბობენ, შინაბერები ვართ, და ერთად ვცხოვრობთ თბილისში. ჩემი ძმა ჩემზე უფროსია, დებილია. დას კი თვალის ჩინი აკლია. უსინათლოთა საზოგადოებიდან დამ საგზური მიიღო, მაგრამ ძმის ავადმყოფობის გამო ვერ წამოვიდა, ძმას ზომვლელი არა ჰყავდა, ამიტომ იმის მაგიერ მე წამოვედი.

ვარლამმა შეისვენა, ჩაახველა და ისევ განაგრძო: — დიახ, ორმოცდაათი წელი ვასწავლიდი მშობლიურ ლიტერატურას. ასობით, ათასობით ახალგაზრდებს გაუვლიათ ჩემს ხელში, ძალღონე არ დამიშურია მათ სწავლა-აღზრდაზე.

შალვამ განაცხადა, ვარლამ სულაბერიძე ძალიან წააგავს დიდ ქართველ მწერალსა და პედაგოგს იაკობ გოგებაშვილსო.

— თქვენ არა სცდებით, ბევრმა მიმამგვანა გოგებაშვილს, რაც ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მსგავსებაა. ისე კი სად მე და სად იაკობ გოგებაშვილი.

ამ დღიდან სულაბერიძეს მეც მასწავლებელს ვეძახდი, რაც მას დიდ სიხარულსა ჰგვრიდა.

ღამე ჩვენი ოთახის ფანჯარა ღიად დავტოვეთ. პირველი დღის შთაბეჭდილებებით მოღლილთ მალე ჩაგვეძინა.

4.

მეორე დილას ბრწყინვალე მზემ ჩვენს ოთახში შემოაჭყიტა თუ არა, ფეხზე ვიდექით. დამსვენებელთაგან ზოგი სისხამ დილით ზღვაზე ჩასულიყო. საუზმის შემდეგ ზღვისკენ გასეირნების სურვილმა ჩვენშიც გაიღვიძა.

ზღვა... რა ტკბილად ხვდება ადამიანის ყურს ეს სიტყვა. ჯერ კიდევ ბავშვობიდან მიყვარდა ზღვა, ფიქრებში მუდამ ვეალერსებოდი თვალუწვდენელ ლურჯ სივრცეს და ხშირი სტუმარიც ვიყავი ხოლმე მისი. ამ გრძნობამ ახლაც გამიტაცა, გული ამიტოკა. მე ხომ ვანელი ვარ, ვანის ზღვასთანაა შეზრდილი ჩემი ყრმობა, ყოველ დღე ჩვენი სახლის ფანჯრიდან ვუმზერდი ვანის ზღვის მოლურჯო ტალღებს და ისე ვტკბებოდი, თითქოს ახლად დავბადებულიყავი. აი ერთი მიზეზიც, რომელიც ასე მიბიძგებდა ზღვისაკენ, მსურდა გულში ჩამეკრა მისი ტალღები, უკვე განვლილი თვალხილული წუთები გამეხსენებინა, როცა მის გამაგრილებელ წყლებში ვბანაობდი.

შალვას სისხლის წნევა აწუხებდა, ექიმები ზღვაში ბანაობას უშლიდნენ, მიუხედავად ამისა, მაინც გამომყვა. იმ გზით წავედით, რომელი გზითაც დასასვენებელ სახლში ამოვედით, კვლავ გავიარეთ ფიჭვნარის ხეივანი და ცამდის ატყორცნილი ბამბუკის ტყეში შევედით.

გზაზე შალვამ მიამბო, თუ რა სწრაფად იზრდება ბამბუკის მცენარე და რა სარგებლობა მოაქვს მას ადამიანებისათვის.

— ყოველი საათობით იზრდება იგი, ბამბუკისაგან მშვენიერ ავეჯს ამზადებენ. ძალზე მაგარია, წარმოიდგინეთ წყალსადენის მილებადაც კი გამოდგება. ძველად ჩინეთში ბამბუკით სიკვდილითაც კი სჯიდნენ. დამნაშავეს ბამბუკის წვეტიან წვერზე სვამდნენ და სხეულის გახვრეტით მაღლა სწევდნენ, რაც საშინელ ტანჯვა-წამებას იწვევდა. ხალხი ბამბუკს „კაზახს“ უძახის...

უკნიდან ხმამაღალი ლაპარაკი შემოგვესმა, შალვამ მიიხედა. ვარლამ სულაბერიძეს ორი უსინათლო მოჰყავდა ზღვაზე.

— სალამი ჩემს მეგობრებს, დღეს ძალიან კარგი ტაროსია... ასეთ ამინდში ზღვა... მისწრებაა! — წამოიძახა მან მხიარულად.

მათ წინ გაგვისწრეს და ტყეში მიიმალნენ.

— რა კეთილი გულის პატრონია ვარლამი, ორი უსინათლოსათვის ხელი ჩაუკიდია და სასეირნოდ გამოუყვანია. ყოჩაღ კაცო, ნახევარი საუკუნე მასწავლებლობდა, ახალ თაობის აღზრდას ემსახურებოდა, ახლაც სხვებისადმი დახმარებისთვის უძგერს გული, — აღტაცებით წარმოსთქვა შალვამ.

ტყიდან გამოვედით, რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ გავიარეთ და მიხვეულ-მოხვეული ქვის კიბით ზღვის პირას ჩავედით. ახლა, მკითხველო, თქვენ წარმოიდგენთ ტანჯვას იმ კაცისას, რომელსაც ოდესღაც ნახული ჰქონდა ზღვა და ახლა, დაბრმავების შემდეგ, პირველად უხდება ზღვის პირას ყოფნა. უსინათლო თვალების წამწამებს ვახამხამებდი, ეცდილობდი ერთხელ კიდევ თვალი მომეევლო უკიდეგანო ზღვის სივრცისათვის, მაგრამ ამაოდ: ბურუსის მეტს ვერაფერს ვხედავდი. დავკმაყოფილდი მხოლოდ ზღვის ტალღების შხუილის მოსმენით და შალვას აღტაცებული ლაპარაკით.

ზღვის პირას აუარებელი ხალხი ირეოდა. სჭარბობდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ზოგი მზეს ეფიცხებოდა, ზოგი ბანაობდა, ზოგიც ზღვაში ბურთს თამაშობდა. გაისმოდა მხიარული სიცილ-კისკისი, შეძახილები. მყუდრო ადგილი გამოვძებნეთ. ტანისამოსი გავიხადე, მზისგან გახურებულ ქვიშაზე დავაწყე და შევტოპე წყალში. შალვამ იქვე მახლობელ ხის ძირში მოიკალათა და ზღვის ცქერით ტკბებოდა.

— ფრთხილად, ღრმად არ შესტოპო, ზღვასთან თამაში ხელს არ მოგცემს, — გამაფრთხილა მან.

ზღვაში შესვლისთანავე ხელებგაშლილი თავდავიწყებით შევეგებე აქაფებულ ტალღებს და ახალგაზრდული ექსტაზით ბანაობა დავიწყე. უეცრად ერთი პატარა ბიჭი მომიახლოვდა და მითხრა:

— ძია, იქით ნუ მიხვალ, სახიფათოა...

მომკიდა პატარა ხელი და ნაპირთან მიმიყვანა. ათი წლის ბიჭი, სახელად ამირანი, თბილისელი აღმოჩნდა, და მეცნიერების მუშაკთა სახლში ისვენებდა.

— მშობლები არა გყავს? — დავინტერესდი მე.

— როგორ არა? დედაჩემი აგერ ზღვის ნაპირზე დგას და ჩვენკენ იყურება. მან მითხრა, რომ თქვენ დაგხმარებოდით, მამაჩემი კი აი იმ ხის ქვეშა ზის ჩრდილში და გაზეთსა კითხულობს.

— მამა რატომ არ ბანაობს?

— ექიმებმა აუკრძალეს. დედაჩემს კი, პირიქით, ბანაობა ძალიან უყვარს, ზღვა დიდ სიამოვნებასა ჰგვრის. ერთ

საათზე მეტია, რაც აქ ვართ, დედაჩემი დიდხანს ბანაობდა, მან კარგი ცურვა იცის, მეც მასწავლა.

— სად მსახურებენ მშობლები?

— მამაჩემი დოცენტია, ყველაზე დიდ სკოლაში ასწავლის, დედაჩემიც დოცენტია, ისიც იქ ასწავლის. — მიპასუხა ამირანმა თავისებური სიამაყით.

ბიჭუნასთან საუბარში ისე გავერთე, რომ დამავიწყდა რამდენ ხანს დავრჩი წყალში, ძალიან მსიამოვნებდა ტალღებთან ბრძოლა, მაგრამ მომაგონდა, რომ პირველ დღეებში დიდხანს ბანაობა მავნებელი იყო და გადავწყვიტე ამოსვლა. ამირანმა ხელი მომკიდა, ნაპირზე გამომიყვანა და ტანისამოსი მომაწოდა. ჯიბეში ვაშლი მქონდა, ამოვიღე და შევთავაზე, მაგრამ ცივი უარი განაცხადა:

— ნუ სწუხდებით, ძია.

— აიღე, ამირან, ძიას ნუ აწყენინებ, — დაუძახა ამირანს შორიახლო მდგარმა დედამ.

ამირანმა ვაშლი გამომართვა და დედასთან მიირბინა.

— მადლობთ, ჩემო დაო, ასეთი კულტურული, თავაზიანი ყმაწვილის აღზრდისათვის! — შევძახე მე.

— დიახ, მხოლოდ ამას ვცდილობ, რომ ჩემი შვილი გულისხმიერი, კაცთმოყვარე და ზრდილობიანი იყოს, — მიპასუხა ამირანის დედამ.

ამასობაში შალვა მომიახლოვდა და ერთად გავწიეთ სახლისაკენ. გზაზე შალვამ მითხრა:

— ნეტა შესაძლებლობა გქონოდა დაგენახა თუ რა მშვენიერი ქალია ამირანის დედა, მაღალი, ტანადი, ლამაზი. ნამდვილი მზეთუნახავია. ნახევრად ტიტველი იდგა ზღვის პირას, მზის სხივებისთვის მიეფიცხებინა მარმარილოსებური სხეული, ფართო გულმკერდი, კუნაპეტივით შავი თმები... მე თვალყურს ვადევნებდი, როგორ გამოგზავნა ბიჭი შენს დასახმარებლად, თან ფაინებით შენსკენ იყურებოდა, გაოცებული გიმზერდა, ალბათ მიხვდა შენს ნდგომარეობას...

შალვამ ერთ წამს უკან მიიხედა და განაგრძო:

— იგი კვლავ აქეთ იყურება, მომღიმარე და ცეცხლოვან თვალებს არ გვაშორებს...

გული სევდით ამევსო, ისე მომენატრა შალვასავით ოცი პროცენტი მხედველობა, როგორც დამშეულს პურის ლუკმა. მინდოდა ერთხელ მაინც შემეხედა იმ ულამაზესი ადამიანისათვის, დავმტკბარიყავი იმ კეკლუცი მანდილოსნის მზერით.

— ამირანის მამა და მე შორიახლოს ვისხედით ხის ქვეშ, ჩრდილში. ის თვალს არ არიდებდა ცოლშვილის მოქმედებას, თან მესაუბრებოდა. შენი ვინაობა რომ გავაცანი, ძალზე დაღონდა, სიბრალულით გააქნია თავი და სთქვა: საკვირველია ბუნების ასავალ-დასავალიო, ცხოვრებისა და ქვეყნის ავკარგი: ერთნი ყოველგვარი სიკეთით არიან დაჯილდოვებულიო, მეორენი კი...

ჩვენ აღმართი ავლიეთ და საუბარმა ისე გაგვიტაცა, რომ თუ როგორ მივადექით რკინიგზის ლიანდაგს, ვერ ვიგრძენით. უეცრად ელექტრომავლის სტვენა შემოგვესმა, წინ გუგუნით ჩაგვიქროლა მატარებელმა და უზარმაზარი ვეშაპივით ბათუმისკენ გაქანდა, მე და შალვა აღმართის ბორცვს მივეკარით მაგრა ჩავჭიდეთ ხელები ერთმანეთს, რომ მატარებლის ქარს უკან არ გადავეგდეთ.

მატარებლის გავლის შემდეგ ძლივს მოვედით გონს და რკინიგზის ლიანდაგით განვაგრძეთ ჩვენი გზა. შალვამ ხუმრობით მითხრა:

— ზღვის ნაპირზე მდგარმა ქალღმერთმა ჭკუა-გონება ისე აგვირია, კინაღამ მატარებლის მსხვერპლი გავხდით...

ტყეში — შევედით თუ არა, ვნახეთ, რომ დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ვარლამ სულაბერიძის წინამძღოლობით დასასვენებელი სახლისკენ მიემგზავრებოდა.

ნასადილევს მე და შალვა ჩვენს ოთა-

ხში წავედით მოსასვენებლად. თან შემოგვყვა ვარლამ სულაბერიძეც. ხაჩიკიანი არ ჩანდა, ალბათ, იგი ან აივანზე იყო გასული, ან თავის მეგობრებთან საუბრობდა. ორიოდე წუთის შემდეგ ჩვენთან შემოვიდა დიასახლისი ნუნუ, დაგვათვალიერა და შეგვეკითხა:

— აბა, ჩემო პატივცემულნო, მითხარით, როგორა ხართ, თავს როგორა გრძნობთ, ხომ არაფერი გაკლიათ?

— ყველაფერი წესრიგშია, სასაყვედურო არაფერი გვაქვს, — უპასუხა შალვამ.

მე ჩუმად ვიჯექი, ნუნუ მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— თქვენ, თქვენ ამხანაგო „პისატელ", როგორა ბრძანდებით?

— სავსებით ვიზიარებ შალვას განცხადებას: ჯერჯერობით საყვედური არაფერზე გვეთქმის. — ვუპასუხე მე.

ნუნუ საწოლთან შეჩერდა და განაგრძო:

— მე ხაჩიკიანს ერთ დღეს ორიოდე შეკითხვა მივეცი, მაგრამ მან პასუხი ვერ გამცა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმისი გაცემული პასუხით ვერ დავკმაყოფილდი. ახლა მინდა იგივე შეკითხვებით თქვენ მოგმართოთ. ვნახოთ, თქვენ რა პასუხს მომცემთ. გთხოვთ მითხრათ, რა სიმაღლის ქალი ვარ, რამდენი წლისა ვიქნები და როგორი პირისახისა?

მე ერთ წამს დავიბენი, ასეთ კითხვებს სულ არ მოველოდი, არ ვიცოდი რა პასუხი გამეცა.

— ნუნუს მიზანია შეამოწმოს თქვენი გრძნობა, ე. ი. რამდენად შეგწევთ უნარი ადამიანების გამოცნობისა. — აგვიხსნა ვარლამ სულაბერიძემ.

მთელი სხეული დავჭიმე, რაც ვიცოდი და რა შეგრძნების უნარიც შემწევდა ყველას ერთად მოვუყარე თავი, თვალებს ძალა დავატანე და ფანჯრიდან შემოსული მცხუნვარე მზის ბურუსით დაბინდულ შუქზე ერთ წამს ნუნუ გამომეცხადა.

— არც მაღალი ხართ, არც დაბალი, შუა ტანისა ბრძანდებით; არც მსუქანი ხართ, არც გამხდარი; პირისახე კი რძისფერი გაქვთ და მწვანე ფერთოხალივით გიღაჟღაჟებთ...

— ვაჰ, — ერთად წამოიძახეს შალვამ და ვარლამმა, — რა სწორად გამოიცნო! საკვირველი ამბავია!

— რამდენი წლისა ვიქნები? აბა ეგეც მითხარით? — აღტაცებით წამოიძახა ნუნუმ.

— ოცდათხუთმეტი ან ოცდაჩვიდმეტი.

— მართალია, მართალი, — განაცხადა ნუნუმ, გულთბილად მომეხვია და მხიარული სიცილით ოთახიდან გაიქცა.

— ასე, ჩემო მეგობარო, ამ სახლის დიასახლისი შეყვარებულია შენზე, — სთქვა შალვამ და გულიანად ჩაიხითხითა.

შალვას სულაბერიძეც აჰყვა და ოთახი გუგუნებდა მათი ხარხარისაგან. მალე ნუნუ ისევ შემოვიდა ჩვენთან და კისკისით გამოაცხადა:

— როგორც ეტყობა, ჩვენი „პისატელი" ხედავს, უეჭველად ხედავს, ნურვის ნუ გგონია თუ იგი უსინათლოა, არა, არა, დავიფიცავ, რომ იგი ნამდვილად ხედავს...

და კვლავ სწრაფი ნაბიჯით გაგვშორდა.

— აბა სწორად არ გეთქვა, მაშინ, რა თქმა უნდა, დიასახლისი დარწმუნებული იქნებოდა, რომ მხედველობას მოკლებული იყავით, — ღიმილით დასძინა სულაბერიძემ.

— დაე, დიასახლისს ეგონოს, რომ ხედავს, უფრო კარგია,—ჩაერია შალვა.

ვარლამ სულაბერიძე მოსასვენებლად გავიდა თავის ოთახში.

ნასადილევის დასვენების შემდეგ ხაჩიკ ხაჩიკიანმა გვითხრა, დღეს დამსვენებლებისათვის კონცერტს ვმართავთო, მერე წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა, მაუდის ახალ კოსტუმში გამოეწყო, და ლოდინი დაიწყო. მისი ანსამბლის წევრები მოვიდნენ და კომპოზიტორი მეო-

რე სართულზე აიყვანეს. მე და შალვა კი ეზოში ჩავედით.

ზღვიდან საღამოს გრილი სიო მოჰქროდა. დამსვენებლები გარეთ გამოფენილიყვნენ; ზოგი აივანზე იდგა, ზოგი ეზოში სეირნობდა, ზოგნიც გრძელ სკამებზე ისხდნენ და საუბრობდნენ. ერთი ნაწილი ქვითკირის კედელზე გადაყუდებულიყო და ზღვას გასცქეროდა. როგორც შალვა და ვარლამი მარწმუნებდნენ, დამსვენებელთა მხოლოდ თხუთმეტი პროცენტი იყო სავსებით უსინათლო, დიდ ნაწილს ცოტაოდენი მხედველობა ჰქონდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სრული მხედველობა გააჩნიათ, ამათგან ზოგი სხვის მაგივრად იყო ჩამოსული, დასასვენებლად, ზოგი კი ასპროცენტიან უსინათლოთა მხლებლები იყვნენ.

ცოტა რომ შებინდდა, ყველანი კონცერტზე გავეშურეთ. მეორე სართულის აივანზე ოცდაათი კაცისგან შემდგარი მომღერალთა გუნდი გამოვიდა დავით ჭკუასელის ხელმძღვანელობით. გუნდმა დიდი ოსტატობით შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. მომღერალთა გუნდი მესაზანდრეების ანსამბლმა შეცვალა, დასასრულ სიმებიანი ორკესტრი გამოვიდა ხაჩიკიანის ხელმძღვანელობით. ჩვენ დიდი ინტერესით ვუსმენდით უსინათლოთა თავისებურ კონცერტს. მათ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა, ქართულმა და რუსულმა მელოდიებმა აღტაცებაში მოიყვანა დამსვენებლები.

კონცერტის შემდეგ მე და შალვა ჩვენს ოთახში დავბრუნდით. პატარა ხნის შემდეგ ხაჩიკიც მოვიდა ავლაბრელი სერგოს დახმარებით. ჩვენ სერგოს კარგად ვიცნობდით, ის ხაჩიკის ხშირი სტუმარი იყო. სერგო დაახლოებით ოცდახუთმეტი წლისა იყო, ხაჩიკის ყოფილი მოწაფე. თვინიერი და ზრდილობიანი კაცი დიდხანს უჩიოდა თურმე თვალის ჩინის დაკლებას, ბოლოს მხედველობა დაეკარგა და, მისი თქმით, სინათლის შუქის მეტს ვერაფერს ამჩნევდა. მიუხედავად ამისა, იგი ხელჯოხს არ ხმარობდა, მაგრამ მაინც თავისუფლად დადიოდა, საგნებსაც ჰრჩევდა. ძალზე მარდი და ფიცხი იყო, უყვარდა ხუმრობა, თავის მასწავლებელ ხაჩიკს ავლაბრულ კილოზე ელაპარაკებოდა, თუმცა უღრმეს პატივს კი სცემდა. თავის თავს ავლაბრელ გიჟ სერგოს უძახდა. მოხდენილად იცვამდა, ზედმიწევნით კარგად უკრავდა პიანინოს, და წარმოიდგინეთ ამ ინსტრუმენტის შეკეთების უნარიც შესწევდა. თვითონ და ცოლი ორივე მუსიკის გაკვეთილებს აძლევდნენ, ძალიან კარგად ცხოვრობდნენ და ორ შვილს წესიერად უვლიდნენ.

— მე ავლაბრელი გიჟი სერგო ვარ, თუმცა ბრმა ვარ, მაგრამ ცხოვრებას უკან რად ჩამოვრჩები? ეს ხომ ლაჩრობაა. მუდამ მხიარულად ვატარებ დროს, ვუკრავ, ვმღერი, ვმხიარულობ. ბევრი ფიქრით მხედველობას ვერ აღვიდგენ, რაც მოხდა, მოხდა. კარგად ვიცხოვროთ, ვიქეიფოთ, თორემ, ჩემო ძმაო, ცხოვრება მერცხალივით გვერდით ჩაგვიქროლებს და ჩვენ არაფერი დაგვრჩება...

სერგოს მალე დავუმეგობრდით, ჩვენს ოთახში ის შინაური კაცი იყო, ისე შედი-გადიოდა, როგორც საკუთარ სახლში. მარტოდმარტო დადიოდა კორიდორში, ჩადიოდა ეზოში. მესამე სართულზე კი, სადაც მისი ოთახი იყო, შურდულივით ავარდებოდა ხოლმე. მუდამ მხიარული და ოხუნჯი იყო ავლაბრელი გიჟი სერგო. საოცარია ადამიანი, რაც უნდა დაბრკოლება გადაეღობოს, მაინც ცდილობს ლაღად ფრთების გაშლას.

5.

დილით ზღვისპირას დიდი გამოცოცხლება იყო. ზღვა ისე, მშვიდად და წყნარად გამოიყურებოდა, რომ სულ მცირე ტალღებიც კი არ შეინიშნებოდა მის ზედაპირზე. თოლიები ფრთების ტყლაშუნით ხან წყლის ზედაპირზე

მისრიალებდნენ, ხან ზევით ცაში აინავარდებდნენ. ჩვენი დასასვენებელი სახლის ყველა დამსვენებელი აქ იყო. მოსულიყვნენ, აგრეთვე, შემოქმედებითი წრეების წევრები. ხაჩიკაც თან წამოეყვანათ. საერთოდ ხაჩიკი ზღვას გაურბოდა, მაგრამ დღეს ისიც ჩამოსულიყო. ზღვის ნაპირი მოფენილი იყო ჩვენი დამსვენებლებით. ბატებივით ჭყუმპალაობდნენ ზღვაში ჩვენი მეგობრები. ორკესტრის წევრებმა ბევრი ხვეწნის შემდეგ ხაჩიკიც დაიყოლიეს, ხელი გაუყარეს, წყალთან მიიყვანეს და ბანაობაში ეხმარებოდნენ. ამდენ ხალხში მარტო სერგოს ხმა ისმოდა, ის ხან წყალში ჩაყვინთავდა, ხან ზედაპირზე იხვივით ცურაობდა. თან ხმამაღლა ყვიროდა:

— მიეშველეთ! დაეხმარეთ სერგოს! იხრჩობა, აღარ არის... სერგო მოკვდა, მოკვდა!..

ამხანაგები იცინოდნენ, ქალები მასხარად იგდებდნენ. მიცურდებოდნენ სერგომდის, მკლავებს დაუჭერდნენ და ისევ სიცილ-ხარხარით სასწრაფოდ განშორდებოდნენ. სერგო ცდილობდა ერთერთისთვის ხელი წაევლო, მაგრამ ვერ ახერხებდა: ისინი თევზებივით გაუსხლტებოდნენ ხოლმე ხელიდან და შორიდან დასცინოდნენ.

დროგამოშვებით ზღვაზე მოსეირნე ნავები გამოჩნდებოდნენ, ნაპირს უახლოვდებოდნენ, ახალ მგზავრებს სხამდნენ და მიყავდათ სასეირნოდ მწვანე კონცხზე, ბათუმში, ქობულეთში. ლაჟვარდოვან ცაში თვითმფრინავების გრუხუნი ისმოდა.

შალვასა და ვარლამის თანხლებით მეც ჩავედი ზღვისპირას და გავერიეთ მობანავეთა ჯგუფში. მე ჩემებურად ვფართხალობდი წყალში, ვარლამი კი ახალგაზრდასავით დასრიალობდა ზღვის ზედაპირზე, თან ბუხუნობდა:

— ოჰ, რა კარგია ზღვა, შენი ჭირიმე შენი...

— სერგო იცოცხლებს, უკვდავია, — ყვიროდა სერგო და ტალღიდან ტალღაზე მისრიალებდა. ვარლამი მიუახლოვდა მას და ხმადაბლა დაუძახა:

— სერგო...

— რა არის, მასწავლებელო, — ნუ თუ თქვენც აქა ხართ, — მაშინვე იცნო სერგომ ვარლამი.

ვარლამი მომიახლოვდა მე და მითხრა:

— საოცარია ბუნების კანონზომიერება: ადამიანს ერთი გრძნობა თუ წაართვა, მეორეს უძლიერებს. აი მაგალითად, უსინათლოებს, მხედველობის უნარი დაუკარგავთ, მაგრამ სმენის გრძნობა ძალზე კარგი აქვთ...

ხაჩიკი გამოიყვანეს და მზისგან გამთბარ ქვიშაზე დასვეს.

სერგო კვლავინდებურად ჭყუმპალაობდა, ყვიროდა, ოხუნჯობდა. მზე დასავლეთისკენ იხრებოდა. ვარლამის რჩევით წყლიდან ამოვედი და თბილ ქვიშაზე წამოვწექი. როცა ოთახში დავბრუნდით, ხაჩიკი თავის საწოლზე იჯდა, ისვენებდა.

— ჰა, ხაჩიკ, დღევანდელი ბანაობით კმაყოფილი ხარ? — შეეკითხა შალვა და თავის საწოლზე წამოგორდა.

— თუმცა ბიჭებმა ძალით წამიყვანეს, მაგრამ კარგა ვისიამოვნე, თითქოს გავცოცხლდი, — უპასუხა ხაჩიკმა.

უცბად ოთახში შემოვარდა სერგო, ხაჩიკს მოუჯდა გვერდით და სთქვა:

— ნეტა ყოველდღე ასეთი ამინდი იდგეს და ზღვაში ამდენხანს მაბანავა...

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მე მომმართა:

— დღეს ერთი კარგი ამბავი უნდა გახაროთ, ძალიან გაგეხარდებათ. რას იტყვით, გითხრათ თუ არა?

— რაშია საქმე, რა ჩაგიფიქრებია? — დავინტერესდი მე.

— მაინცდამაინც დიდი არაფერია, საგარაკო ოხუნჯობაა, უბრალო გართობა. მე ხომ ავლაბრელი გიჟი სერგო ვარ. მე რომ არ ვიხუმრო, ნაღველა გამისკდება, მოვკვდები...

უეცრად წამოხტა, გარეთ გავარდა და კარები მოაჯახუნა.

— ალბათ რაიმე ახალი ოინი მოუვიდა ჭკუაში. — წამოიძახა შალვამ.

სანამ ჩვენ რაღაცის მოლოდინში ვიყავით, შემოვიდა ნუნუ, გვერდზე მომიჯდა და მკითხა:

— თქვენ დამიძახეთ?

— არა, ქალბატონო, არა, არ დამიძახიხართ და არც არაფერი მჭირდება, ვინ შეგაწუხათ?

— წავიდე, რა დღეს დავაყენებ სერგოს, ის საძაგელი...

ამის თქმა იყო და ნუნუ სასწრაფოდ წავიდა.

ის იყო ნუნუ გავიდა, რომ კარი ისევ გაიღო, ოთახში ერთი ახალგაზრდა გოგონა შემოვიდა, გვერდით მომიჯდა და წკრიალა ხმით შემეკითხა:

— სერგომ გადმომცა, რომ თქვენ დაგიძახნიათ ჩემთვის, რა გნებავთ?..

მე მხრები ავიჩეჩე და განცვიფრებით შევეკითხე:

— უყურეთ იმ ეშმაკის ფეხს, როგორ აწუხებს ხალხს. ის ტუტუცი ისა, წავიდე ერთი მაგრა მივცხო.

ქალი გაგვშორდა.

ხაჩიკმა ხმაზე იცნო ის ქალი, იგი მომღერალთა გუნდის წევრი აღმოჩნდა, უსინათლოთა სკოლის მასწავლებლის შვილი.

— ნეტა ერთი განახვა, რა ახალგაზრდა, ცქვიტი, ლამაზი და მშვენიერი გოგონა იყო, — წამოიძახა შალვამ, როცა ქალი გარეთ გავიდა.

იმის წასვლის შემდეგ საუბარი განვაგრძეთ, მაგრამ, უეცრად ისევ გაიღო კარი და ოთახში ახლა დასასვენებელი სახლის ექიმი შემოვიდა, ხელში წამლები, შესახვევი დოლბანდი და შპრიცი ეჭირა.

— სერგომ მითხრა, რომ თქვენ ლურსმნით ფეხი გაგიჭრიათ, სისხლი გდით. ნება მიბოძეთ, თქვენს დაზიანებულ ფეხს სამედიცინო მომსახურეობა გავუწიო. — მომმართა ექიმმა.

— ამაოდ შეწუხებულხართ, ბატონო ექიმო, მე დაჭრილი არა ვარ, სერგოს ოინებია. სისულელე ჩაუდენია, — დამშვიდებით მივუგე მე. — ავლაბრელი ტუტუცი სერგო რეებს არ მოჩმახავს.

ექიმმა გულიანად გადაიხარხარა, გამოგვემშვიდობა და წავიდა.

სადილზე ქეთო კიდევ უფრო მოწყენილი იჯდა, თითქმის არაფერსა სჭამდა. იგი ჩიოდა, რომ ვაჟი უხეშად ეპყრობოდა, კვლავ გაურბოდა. ამ ამბავმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ვარლამმა და შალვამ გადაწყვიტეს საქმეში ჩარეულიყვნენ და საბრალო ქალს როგორმე დახმარებოდნენ. საღამოს ჩვენს ოთახში დიდხანს ვითათბირეთ. გადავწყვიტეთ მეორე დღეს ვაჟი მეზობლად მდებარე საბჭოთა მეურნეობის სასადილოში მიგვეპატიჟნა და იქ სერიოზულად მოვლაპარაკებოდით.

მეორე დღეს ვარლამ სულაბერიძემ ვაჟი გაგვაცნო და ჩვენ, ოთხნი, წავედით მახლობელ საბჭოთა მეურნეობის სასადილოში. გზა თვალწარმტაცი იყო, ორივე მხარეს ფორთოხლის, მანდარინისა და ჩაის პლანტაციები იყო გადაშლილი.

ქეთოს მეუღლე ოცდაშვიდი — ოცდარვა წლის, ძალიან ახლო მჭვრეტელი, გამხდარი კაცი იყო. სასადილოში ლუდი შევსვით, ლორი შევატანეთ. ვარლამი და შალვა განუწყვეტლივ ესაუბრებოდნენ ქეთოს მეუღლეს, არწმუნებდნენ, რომ ქეთო ზედმიწევნით კარგი ადამიანია, შრომისმოყვარე და კარგი მეოჯახე, რომ მასთან მეგობრობით იგი ცხოვრებაში უფრო მეტ სიამოვნებას ნახავდა, პატიოსან ოჯახს შექმნიდა. ვაჟი გულდასმით გვისმენდა და საწინააღმდეგოს არაფერს ამბობდა. დიდხანს ვისხედით სასადილოში, ლუდმა კარგად შეგვაზარხოშა, და უფრო დაბეჯითებით ვესაუბრებოდით ვაჟს ქეთოს დადებით თვისებებზე.

ამ შეხვედრის შედეგი ის იყო, რომ სადილობისას ქეთო ჩვენთან აღარ გამოჩენილა; ცოლქმარი ერთად ისხდნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ. ამავე

საღამოს შალვას თხოვნით მეორე სართულზე ორ საწოლიანი ოთახი განთავისუფლდა, და დიასახლისმა ქეთოს დაუთმო.

ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ შორდებოდნენ, მუდამ ერთად იყვნენ სასადილოში, სასეირნოთ, ზღვის პირას. ქეთო აღტაცებული იყო, გემრიელად შეექცეოდა საჭმელ-სასმელს და მხიარული ღიმილი არ შორდებოდა იმის პირისახეს.

ამ დღეს ნამდვილად კეთილი საქმე გავაკეთეთ.

6.

დასასვენებელი სახლი „ნაუკა" ციხისძირის რკინიგზის ბაქნიდან მცირე მანძილით არის დაშორებული. იგი მდებარეობს უშუალოდ ზღვის პირს, კლდოვან ბორცვზე.

ეს კლდოვანი ბორცვი სამი მხრიდან ზღვით არის გარშემორტყმული. აქ დასასვენებლად მოდიან უმაღლესი სკოლების ლექტორ-პროფესორები, მეცნიერი მუშაკები, დოცენტები; სახლის წინ ფართო ეზოა ხეივნებით მორთულ-მოკაზმული. შავი ზღვის ტალღები მედგრად ეხეთქებიან კლდეს და აყრუებენ არემარეს.

ამ დასასვენებელ სახლის გვერდით, პატარა ფარდულში, შუახნის აჭარელი პარიკმახერი მუშაობს, სახელად დურსუნი. ერთ დღეს მე და შალვა პირის გასაპარსად მასთან მივედით. აჭარელი მარდი, ყოჩაღი კაცი ჩანდა, ოთხ ენაზე ლაპარაკობდა — ქართულად, თურქულად, რუსულად და სომხურად.

პირველ ორ ენაზე თავისუფლად საუბრობდა, რუსულად და სომხურად კი ეძნელებოდა ლაპარაკი. დურსუნი თავის მშობლიურ აჭარაზე ჭეშმარიტად შეყვარებული უბრალო მოქალაქეა, ისე გატაცებით დაგიწყებთ საუბარს აჭარაზე, რომ მოიხიბლებით.

— ჩვენი ზღვის, მთების, წყლისა და მიწის ჭირიმე. პატარაა, მაგრამ ქვეყნის თვალია და მარგალიტი. იცით რამდენ ჩაის, ფორთოხალს, ლიმონს და მანდარინს ვგზავნით სხვა ქალაქებში და ქვეყნებში...

ჩვენ არაფერი გვეთქმოდა, მის სიტყვებში ხალისი სიმართლე იყო და უყოყმანოდ ვეთანხმებოდით.

როცა პარიკმახერის ფარდულიდან გამოვედით და ბათუმის მიმართულებით რკინიგზის ლიანდაგს მივყვებოდით, შალვამ მითხრა:

— აქვე მახლობლად კოლმეურნეობაა, თუ გინდა წავიდეთო.

მე დავეთანხმე და ნელი ნაბიჯით გავწიეთ. რკინიგზის ლიანდაგიდან მარცხნივ გადაუხვიეთ, ტყით შეფენილი გორაკი გადავლახეთ და ტაფობზე გავედით, სადაც ჩაის პლანტაციები იყო გადაჭიმული. ქალები და გოგონები თითების სწრაფი მოძრაობით ჩაის მწვანე ფოთოლს გამალებით კრეფდნენ. თავზე ჭრელ-ჭრელი თავსაფრები ეხვიათ, ტანთ ჩითის კაბები ეცვათ და ჩაის მწვანე პლანტაციაში ყვავილებივით მოჩანდნენ. უცბად ბუჩქიდან ერთი ხანდაზმული კაცი გამოვიდა, ცნობისმოყვარეობით შემოგვხედა და წამოიძახა:

— პატივცემულო შალვა, სალამი, ნუთუ ისევ დაუბრუნდით ძველ თანამდებობას?

შალვამ აუხსნა, რომ უკვე პენსიაზე იყო გასული, ამხანაგთან ერთად უსინათლოთა დასასვენებელ სახლში ისვენებდა, აქეთ კი სასეირნოდ ვართ გამოსულიო.

ხანდაზმული კაცი აჭარელი ახმედ მამალაძე იყო. იგი შალვას ძველი ნაცნობი აღმოჩნდა იმ დროიდან, როცა ჩემი მეგობარი მიწათმოქმედების სამინისტროში მუშაობდა და აქეთ ხშირად უხდებოდა მივლინებით ჩამოსვლა.

ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მამალაძემ მკლავში ხელი გაგვიყარა და გვითხრა:

— სახლი ახლო მაქვს, წავიდეთ, ცოტა ხანს დაისვენეთ.

უარი აღარ ვუთხარით და გავყევით. ათიოდე წუთის შემდეგ ახმედმა ციტრუსოვანი მცენარეებით დაბურულ ბაღ-

ში შეგვიყვანა, რომლის სიღრმეში ახალი ოდა იდგა. აივანზე ერთი ხანდაზმული დედაკაცი შემოგვეგება, როგორც ეტყობოდა ეს დედაკაცი ჩვენი მასპინძლის მეუღლე იყო. ახმედმა ოთახში შეგვიპატიჟა, ერთ დიდ ნათელ მდიდრულად მორთულ ოთახში შეგვიყვანა და თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან მოგვათავსა. ახმედი და თავის მეუღლე მეზობელ ოთახში გავიდნენ და მალე შემოიტანეს ერთი ბოთლი არაყი, ყველი, პური, ცხელი ხაშლამა, და ხილით სავსე ლანგარი. მამალაძე გვერდით მოგვიჯდა და გვითხრა:

— აბა, მეგობრებო, თითო ჭიქა არაყი შევსვათ, მადას გაგვიღვიძებს! ჩვენს პატარა პურის ჭამას გაუმარჯოს. კარგად ვიყოთ. — თქვა მასპინძელმა, გადაჭკრა და სახე დაღმიჭა. შალვამ უარი განაცხადა არაყის დალევაზე, მე მასპინძელს მივბაძე. ახმედი მადიანად ილუკმებოდა და თან თავიანთ ცხოვრებაზე გვესაუბრებოდა:

— ჩაის მეურნეობამ ხალხის გაჭირვებას ბოლო მოუღო. დღითი-დღე ჩვენი გლეხობა შეძლებული ხდება. მე სამი შვილი მყავს — ორი დაცოლშვილებულია, ჩემთან მუშაობენ კოლმეურნეობაში, უმცროსი შვილი ჯარშია. უფროსი ქალიშვილიც გავათხოვე, უმცროსი კი სკოლაში დადის. შარშან ჩემ პატარა ბაღიდან თხუთმეტი ათასი მანეთის მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი გავყიდე. შარშან კოლმეურნეობიდან მიღებული ფულით პიანინო, ახალი საწოლები და სხვა წვრილმანი ნივთები შევიძინეთ. ძროხაცა მყავს. მეტი რაღა მინდა? მგონი აღარაფერი...

უცბად სამი პატარა ბავშვი მხიარული ჟივილ-ხივილით შემოცვივდნენ, მაგრამ, ჩვენ რომ დაგვინახეს, მაშინვე გაჩუმდნენ და დამნაშავესავით აიტუზნენ კედელთან.

— ჩემი შვილიშვილები არიან, ჩემი ოჯახის ყვავილები! — აღტაცებით განაცხადა ახმედმა და ბავშვებს მიეფერა.

ახმედის ოჯახში კარგად ვისიამოვნეთ, დავისვენეთ და საღამო ჟამს უკან დავბრუნდით.

როცა დასასვენებლად სახლში მოვედით და ჩვენს ოთახს მივაკითხეთ, იქ ხაჩიკი და სერგო დაგვიხვდნენ, რომლებიც მეგობრულად მუსაიფობდნენ.

— თქვენ კარგად სეირნობთ, თქვენს ჭიას ახარებთ! — მხიარულად შემოგვძახა სერგომ.

— გუშინ რა ოინები ჩაიდინე, — ვუსაყვედურე მე, — ჩვენ რა, შენი თოჯინები ხომ არა ვართ?!

— დასასვენებელ სახლში რაიმეთი ხომ უნდა შევიქციოთ თავი. რომ არ ვიხუმროთ, არ ვიმხიარულოთ, რაღა დასვენება იქნება, — თავი იმართლა სერგომ.

7.

დასასვენებელი სახლის დირექტორი, ექიმი მანას ალექსანდროვიჩიც ფაქტიურად უსინათლო იყო. ისე ჰქონდა მხედველობა დასუსტებული, რომ ადამიანებს და საგნებს ძლივსღა არჩევდა. მანას ალექსანდროვიჩს მხედველობა სამამულო ომში დაეკარგა, კარგა ხანს ემკურნალათ ოდესის თვალის საავადმყოფოში, და ნაწილობრივ აღედგინათ მისთვის თვალის ჩინი. ვინ იცის რა არ გადახდენოდა ომგამოვლილ ექიმს. მიუხედავად ამისა, მაინც სავსებით წყნარი კაცი იყო, დინჯი და აუღელვებელი. დამსვენებლების ერთ ჯგუფს მანას ალექსანდროვიჩი შეუფერებლად მიაჩნდა ასეთი დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. რა ყურადღება უნდა მიაქციოს დაწესებულების მუშაობას მხედველობა დაკარგულმა კაცმაო, რა კონტროლი უნდა გაუწიოსო; მეორენი კი, პირიქით, იმ აზრისა იყვნენ, რომ სწორედ უსინათლო უნდა ყოფილიყო დირექტორად, მით უმეტეს, რომ მას თვალხილული გამოცდილი მოადგილე ჰყავსო.

მანას ალექსანდროვიჩი ძუნწი მოსაუბრე იყო, განსაკუთრებით ძალიან ცოტას ლაპარაკობდა თავის თავგადასავალზე. ამის მიზეზი არავინ იცოდა. იგი მეტწილად სხვების საუბარს უსმენ-

და, მოსაუბრის ხმას მტკიცედ იბეჭდავდა მეხსიერებაში, და მეორედ შეხვედრისას უკვე ბეჯითად იცოდა მისი ვინაობა.

ასე დაგვემართა ჩვენც: მეორედ შეხვედრისას დირექტორმა მაშინვე ხმით გვიცნო, სახელებით მოგვმართა და საუბარი გაგვიბა:

— ჩვენ განზრახული გვაქვს დასასვენებელი სახლის შენობის გაფართოება ისე, რომ სასადილოც მოთავსდეს და კლუბიც. ვფიქრობთ, აგრეთვე, შენობას კიდევ ერთი სართული დავადგათ, რადგან ყოველწლიურად გაიზრდება დამსვენებელთა რაოდენობა, და ყველას ვეღარ დავაკმაყოფილებთ.

რა გინდ დიდ უსიამოვნებას ჰქონოდა ადგილი, რა გინდ უხეშად მიემართათ, ან დაერღვიათ წესრიგი, იგი მაინც არასოდეს არ კარგავდა წონასწორობას; დაბალი ხმით მიმართავდა, მაგრამ მის კილოში ისეთი ძალა იგრძნობოდა, რომ ძნელი იყო სიტყვის შებრუნება.

საინტერესო პიროვნებაა დასასვენებელი სახლის მზარეულიც — ვლადიმერ ივანიჩი. ამჟამად სამზარეულო ეზოშია მოთავსებული ფანჯრები მუდამ ღიაა, ხშირად გვესმოდა ვლადიმერ ივანიჩის ბრძანება: — „ანა, მარილი და ბრინჯი მოიტა, ბოსტნეული გარეცხე, გაამზადე“. ან — „ნადია, კომბოსტო რა ქენი, კარტოფილი გაფცქვენი, მოამზადე!“

როცა მისი თანაშემწეები დროულად არ შეასრულებდნენ განკარგულებას, მაშინ კი გრგვინავდა ვლადიმერ ივანიჩის ხმა:

— რასა შვრები, ქალო, ქარსა ყლაპავ თუ მუშაობ?!..

სამზარეულოს მსახურთა უმრავლესობა ქალები იყვნენ, ისინი უსიტყვოდ ასრულებდნენ მზარეულის განკარგულებას. საღამოთი, შუქით გაჩირაღდნებულ სამზარეულოში, როცა ვლადიმერ ივანიჩი მაგიდაზე ნამცხვარს, ან სხვა ტკბილეულს ამზადებდა ვახშმისათვის, მისი ხმა და ბრძანებითი კილო უფრო მკაცრი იყო.

— შაქარი ჭიქით არწყე და ისე აურიე ფქვილში! კვერცხს ეგრე ურევენ ცომში, ჰა?...

თავისუფალ დროს ვლადიმერ ივანიჩი გაზეთსა კითხულობდა, პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობდა.

ესეც ომგამოვლილი კაცი იყო. როცა გერმანელმა ფაშისტებმა ნოვოროსიისკი დაიპყრეს, მისი მეუღლე გამოხიზნული იყო ქობულეთში. მაშინ თვითონ მტრის ურდოებს ეომებოდა. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ივანიჩი დაუბრუნდა თავის ოჯახს ქობულეთში, აქვე დაბინავდა, და დასასვენებელ სახლში მზარეულად დაიწყო მუშაობა ცოლთან ერთად. ალალმართალი კაცია ვლადიმერ ივანიჩი, სულ იმას ცდილობს, რომ სტუმრებს გემრიელი კერძებით მოაწონოს თავი, არავისი სამდურავი და საყვედური არ დაიმსახუროს.

— დიდი ხანია მზარეული ვარ, ჯარში მზარეულად ვმუშაობდი, საჭმელებს ვამზადებდი, კარგა ხნის გამოცდილება შემწევს. ჩემთვის დიდი სიხარულია, როცა გემრიელ და ნოყიერ საჭმელებს ვთავაზობ ჩვენი დასასვენებელი სახლის სტუმრებს. მარტო ერთსა ვთხოვ, რომ ხარისხიანი პროდუქტებით მოგვამარაგონ.

ამის გამო სასადილოს გამგე თამარ სერგეევნასა და მზარეულს ხშირად მოსდიოდათ ხოლმე კამათი. მოხდებოდა ხოლმე, რომ თამარ სერგეევნა ამა თუ იმ კერძის შესახებ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, დამსვენებლების აზრს და სურვილებს გადასცემდა, ვლადიმერ ივანიჩი ხელს მაგრა დაარტყამდა მაგიდაზე და ხმამაღლა უპასუხებდა:

—მარტო მზარეულის ხელოვნება არ კმარა, რომ კერძი ხარისხიანი გამოვიდეს — პროდუქტებსაც არჩევა უნდა...

8.

საღამო ჟამს ხაჩიკმა საჩქაროდ პირი დაიბანა, გაიპარსა და ახალ კოსტუმში გამოეწყო.

— საით, პატივცემულო კომპოზიტორო? — შეეკითხა შალვა.

— დღეს ვატარებთ კონცერტს დასასვენებელ სახლში — „შუქურა“, ხვალ საღამოს კი — დასასვენებელ სახლში— „ნაუკა,“ — გვიპასუხა ხაჩიკმა.

მალე მოვიდნენ ანსამბლის წევრები და ხაჩიკი წაიყვანეს. მე და შალვა ეზოში ჩავედით. იქ ვარლამ სულაბერიძეც შემოგვიერთდა და სამივემ გავწიეთ სასეირნოდ ხეივნისაკენ. მშვიდი და წყნარი საღამო იყო. ზღვიდან გრილი სიო უბერავდა. ცის ლურჯ თაღზე კანდელივით ჩამოეკიდა ბადრი მთვარე და ვერცხლისფრად გაანათა არემარე.

ვარლამ სულაბერიძეს ახალი გაზეთები წაეკითხა, და ცხელ-ცხელი ამბები მოგვიყვა ინგლისელებისა და ამერიკელების მაქინაციებზე ახლო აღმოსავლეთში.

— არ ისვენებენ, ახლა არაბთა ქვეყნებში გააბეს თავიანთი ქსელი. ჰორიზონტზე შავი ღრუბლები გროვდება, ომის სუნი ტრიალებს. იმპერიალისტები თავიანთ სისხლიან საქმეებს განაგრძობენ...

— ომი არ იქნება, ეხლა ატომის ხანაში ვცხოვრობთ, ომი ყველასათვის დამღუპველია, ისე რომ ისინი ჩვენზე თავდასხმას ვერ გაბედავენ, — სიტყვა შეაწყვეტინა შალვამ.

— იმპერიალისტები გაუმაძღარი სვავები არიან, გაუმაძღარისაგან კი ყოველგვარი ავანტიურაა მოსალოდნელი. განა ბოროტი და ხარბი მგელი, როცა მსხვერპლს ეპარება, ფიქრობს შედეგებზე? შენიშნა ვარლამმა.

შალვა კვლავ თავისას ამბობდა, რომ ომი არ იქნება, ჩვენს პირობებში ყველა გაითვალისწინებს ომის საფრთხეს და მის შედეგებსო.

— ნეტა ეგრე იყოს, ნეტავი ქვეყანაზე მუდამ სუფევდეს მშვიდობა, ხანგრძლივი მშვიდობა ხალხთა შორის. ჩვენს ქვეყანას დიადი პროგრამის შესრულებისათვის მხოლოდ ხანგრძლივი მშვიდობა სჭირია.

ღრმა ფიქრებით გართული მე ვუსმენდი შალვას და ვარლამის კამათს. ირგვლივ სიჩუმე იყო, ფიქვნარიდან სურნელოვანი ნიავი მოჰქროდა.

სეირნობა დავამთავრეთ, დაღლილ-დაქანცული უკან ვბრუნდებოდით, როცა სამზარეულოს ღია ფანჯრიდან მზარეულის ხმამაღალი ლაპარაკი მოგვესმა:

— ანა, ღმერთმა დაგწყევლოს შენ, ნაკლები შაქარი მიგიცია ნამცხვარში, უგემური გამოსულა, თამარ სერგეევნა მოვა და სულს ამოგვართმევს!

ის იყო ვახშამი მოვრჩით, ავტობუსი გაჩერდა ჩვენი დასასვენებელი სახლის წინ და მხიარული ჟრიამულით მომღერალთა გუნდის წევრები გადმოვიდნენ. მათ მოკრძალებით მოიყვანეს ხაჩიკი და საწოლზე დასვეს. ამ საღამოს ხაჩიკს საზეიმო შეხედულება ჰქონდა. თავის საწოლზე ამაყად იჯდა და კმაყოფილებით იღიმებოდა. მე და შალვამ ტანისამოსი გავიხადეთ და ლოგინში ჩავწექით. ხაჩიკსაც მივეცით წინადადება დაეძინა, მაგრამ რატომღაც მან ჯდომა არჩია.

— გეტყობა კარგ გუნებაზე ხარ, ხაჩიკ, როგორ ჩაატარეთ კონცერტი? — შევეკითხე მე.

— ჩინებულად, შუქურელები კარგად შეგვხვდნენ, მხურვალე ტაშით დაგვაჯილდოვეს. ძალიან შინაარსიანი ცხოვრებაა ჩვენს ქვეყანაში გადაშლილი. მარტო ის რად ღირს, რომ უსინათლოებსაც კი საშუალება აქვთ უჩვენონ თავიანთი ნიჭი და უნარი? — თქვა ხაჩიკმა, შეისვენა და კვლავ განაგრძო, — როდის ყოფილა ასე? ცხოვრების გერი, დევნილი, ადამიანებისაგან შეძულებული უსინათლო დღეს საზოგადოების პირველ რიგებშია, განა ამაზე დიდი საოცრება შეიძლება იყოს?

ჩვენ სიამოვნებით ვუსმენდით ხაჩიკს და უშენიშვნოდ ვიზიარებდით იმის შეხედულებებს ახალ ცხოვრებაზე. ხაჩიკი საერთოდ ძუნწი მოლაპარაკე იყო, მაგრამ ამ საღამოს არ ჩერდებოდა, ენამზიანობდა.

— მე დავიბადე ივლაბრის მიყრუე-

ბულ უბანში ერთი უღარიბესი ხელოსნის ოჯახში. დაბადებიდან უსინათლო ვიყავი და ამიტომ უპატრონოდ მიმაგდეს ერთ კუთხეში. ბევრჯერ ვყოფილვარ მშიერ-მწყურვალი, ტიტველ-შიშველი, როცა დღეს ჩემს ბავშვობის და ყრმობის შავბნელ დღეებს ვიგონებ, გული ლამის გამისკდეს. კაცმა რომ თქვას, უსინათლო, ბრმა ადამიანი აბა რისი მაქნისია! იგი ხომ კაცური კაცის ლანდია, საცოდავი, უბედური არსება და მეტი არაფერი. ჭიანჭველაც კი უფრო მარჯვეა, მიდის-მოდის, თავის ცხოვრებას აწყობს. აბა წაართვით რომელიმე ცხოველს, ფრინველს თვალის სინათლე, იგი ვეღარ იცოცხლებს, მოკვდება. ასეთივე იყო უსინათლო ადამიანის ხვედრი წარსულში. ის ყველასაგან მოძულებული იყო, ზედმეტი ბარგი, ვინ აგდებდა უსინათლოს ადამიანად, ვინ უწევდა ანგარიშს, მათ მხოლოდ და მხოლოდ ერთი გზა გააჩნდათ, რომ მოწყალების თხოვნით შეენარჩუნებინათ თავიანთი გაწამებული სიცოცხლე. ასეთი ტანჯვა-წამების გზა მეც გავიარე, მათხოვრობით შემოვაღე ახალი ცხოვრების კარი, მაგრამ დღეს ჩემს თავს ბედნიერადა ვთვლი: ოჯახი მაქვს, კარგი მეუღლე მყავს, საუკეთესო მეგობრები გარს მახვევიან, ვშრომობ, ვცხოვრობ, და კაცურ-კაცივით მეც ვარსებობ. ოჰ, ვერ წარმოიდგენთ თუ რა ძნელია სიბრმავე: დღიდან დაბადებისა მე არაფერი ვიცი ხილული სამყაროს შესახებ, არ ვიცი რა ფერებია ქვეყნად, როგორია მზე, მთვარე ვარსკვლავები, როგორია დღე, ღამე და, რაც მთავარია, როგორია ადამიანი!.. მიუხედავად ამისა, როცა პარალელს ვავლებ ძველსა და ახალს ცხოვრებას შორის, აშკარად ვგრძნობ, რომ ახალ ცხოვრებაში სიკეთე და კაცთმოყვარეობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე წარსულში, ამიტომ ჩემს გულშიც უფრო მეტი სიხარულია დაბუდებული და კიდევ უფრო დიდი ბედნიერებისაკენ მივისწრაფვი. არაფერი არ ანიჭებს ადამიანს იმდენ სიამოვნებას, რამდენიც იმის შეგნება, რომ შენ იპოვე შენი ადგილი საზოგადოებაში. მეც მივაგენი ჩემს ადგილს და თავს ვალდებულად ვთვლი პირნათლად ვემსახურო ხალხს, საზოგადო-სასარგებლო საქმე გავაკეთო და ამით ახალ-ახალი სულიერი კმაყოფილება ვიგრძნო. ამჟამად მე სწორედ ასეთ სულიერ მდგომარეობაში ვიმყოფები, ჩემო ძვირფასო მეგობრებო...

9

დღეს დასასვენებელ სახლში განსაკუთრებული გამოცოცხლება იყო: ვადაგადასული დამსვენებლები წასასვლელად ემზადებოდნენ. მიდიოდნენ, აგრეთვე, მომღერალთა გუნდის და სიმებიანი ორკესტრის მონაწილენი, მათ შორის ხაჩიკ ხაჩიკიანიც. საღამოს, ვახშმის შემდეგ წამსვლელებმა საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვეს, გამოეწყვნენ, ხელბარგი აიღეს და ეზოში მოგროვდნენ. მოვიდა ავტობუსი, დაიწყო გამომშვიდობების ცერემონიალი. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ქეთოს და მის მეუღლესთან გამოთხოვება. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, როგორც საკუთარ მშობლებს ისე გვემშვიდობებოდნენ. ვარლამ სულაბერიძე ორივეს გადაეხვია, გულზე მიიკრა დ უსურვა ბედნიერი და უდარდელი ცხოვრება. როცა ავტობუსი აგრიალდა, სერგომ სარკმლიდან გამოყო თავი და გადმოგვძახა:

— დარჩით მშვიდობით, ალალი გულით გეთხოვებათ ავლაბრელი გიჟი სერგო. წამსვლელებსაც და დამრჩომებსაც სიკეთე და გამარჯვება...

მათი წასვლით დასასვენებელი სახლი თითქმის დაცარიელდა; რამდენიმე დამსვენებელიღა დავრჩით. მოწყენილობამ დაისადგურა აგარაკზე და ჩვენ დაძინება ვარჩიეთ.

ღია ფანჯრიდან სასიამოვნო სიგრილე შემოდიოდა, მე მალე ჩამეძინა. დიდხანს მეძინა, შუაღამეს გადასული იყო, რომ ქარის გრიალმა გამომაღვიძა. დაჭრილი ლომივით ღმუოდა ზღვაც. ქარი თავისუფლად უბერავდა ფანჯრი-

დან და წვიმის შხეფებს სახეზე მასხამდა. წამოვდექი და ფანჯარა მივხურე.

— ხედავ, როგორ გამოიცვალა ამინდი, წამსვლელებმა ქარი და ჭექა-ქუხილი დაგვიტოვეს, — მომესმა შალვას ხმა. ქარიშხლის სასტიკ ღმუილს ისიც გამოეღვიძებინა. შალვა თავის ტკივილს და კუჭის ავადმყოფობას უჩიოდა, ხშირად კვნესოდა, ოხრავდა. დროგამოშვებით შალვას ასეთი მოვლენები ემართებოდა.

„საწყალი შალვა, როგორა კვნესის და ოხრავს“... ვბუტბუტებდი მე და ვწუხდი, რომ დახმარების გაწევა არ შემეძლო.

შალვა ლოგინიდან წამოდგა, ოთახიდან გავიდა. კორიდორში გაიარ-გამოიარა. მალე დაბრუნდა უკან და ისევ ჩაწვა ლოგინში.

— როგორა გრძნობ თავს, ტკივილები არ დაგიამდა, — შევეკითხე მე.

— ცოტა გამიარა. — დამშვიდებულ კილოზე მიპასუხა მან და რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ განაგრძო, — რაც უნდა გულდაგულ მოუარო თავს, რაღაც ნაწილი მაინც გამოვა წყობიდან და თავბედს გაწყევლინებს. საერთოდ კი, მე მგონია, კარგი იქნება ყველა კაცმა უპირველეს ყოვლისა მედიცინა შეისწავლოს, რომ უკეთ იცოდეს საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა...

გარეთ ქარიშხალი კვლავ ბობოქრობდა, აღელვებული ზღვის გუგუნი შიშის ზარსა გვცემდა.

დილით ქარი შენელებულიყო, მაგრამ აქაფებული ზღვის ტალღები მაინც შეუპოვრად ეხეთქებოდნენ ნაპირებს. წვიმა სცრიდა. ჩვენ აივანზე გამოვედით. იქ ვარლამი დაგვიხვდა და საუბარი გაგვიბა:

— გუშინდელმა წამსვლელებმა თითქოს თან გაიყოლიეს მზიანი და მშრალი დღეები. ხედავთ რა ამინდია? აქეთ ბუნებას ასეთი ზნე ჰირს, თუ წვიმა დაიწყო, სამ-ოთხ დღეს გასტანს, ზოგჯერ მთელ კვირასაც, აფსუს, ზღვაში ბანაობის ამინდი როგორ გაგვიფუჭდა!

ეზოში ავტობუსი შემოგრიალდა და დამსვენებელთა ახალი ჯგუფი მოიყვანა. ისევ გამოცოცხლდა ჩვენი აგარაკი. გაისმა საუბარი ქართულად, რუსულად, სომხურად და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩინურადაც კი. ჯერ ესენი არ იყვნენ დაბინავებული, რომ კვლავ ორი-სამი ახალი ჯგუფი მოადგა ჩვენს დასასვენებელ სახლს. ადმინისტრაციას დიდი ჯაფა დაადგა, იძულებული გახდნენ ოთახებში საწოლები დაემატებინათ. დირექტორმა და დიასახლისმა თავიანთი კაბინეტები დამსვენებლებს დაუთმეს, აქა-იქ დერეფანშიაც კი დადგეს საწოლები.

ჩვენ ოთახში თავისუფალ საწოლზე მოათავსეს ერთი ხანდაზმული კაცი, სახელად ღუკასი. მან მაშინვე წესრიგში მოიყვანა თავის კუთხე, ტანსაცმელი გამოიცვალა, თმები დაივარცხნა, პირი გაიპარსა. ეტყობოდა, რომ ყოჩაღი და ფხიზელი მოხუცი იყო, პროფესიით ფეიქარი აღმოჩნდა. თბილისის უსინათლოთა მეორე კომბინატის მუშა. თვალის ჩინი სულ არ ჰქონდა დაკარგული, მაგრამ ხშირად თვალები უწითლდებოდა, სისხლივით უხდებოდა.

— სამი წელი გავატარე ომში, ორჯერ დავიჭერი. ერთხელ ზამთარში, აუტანელმა ყინვამ, როგორც ეტყობა, თვალებიც დამიზიანა. იმ დროიდან ასე მემართება. ჯერ ცრემლი მდიოდა, ახლა კი ცრემლი შემიშრა და თვალებმა დამიწყო ტკივილი, — აგვიხსნა მან, როცა გავიცანით და დავმეგობრდით.

ღუკასი წარმოშობით სტეფანავანის რაიონის სოფელ კურთანიდან იყო. ბავშვობის წლები მწყემსობაში გაეტარებინა. ორმოცდაათიან წლებში, ქალიშვილის ავადმყოფობის გამო, ოჯახით თბილისში გადმოსახლებულიყო და მეუღლესთან ერთად კომბინატში დაეწყოთ მუშაობა.

—უკვე მოვხუცდი, შემიძლია პენსიაზე გავიდე, მაგრამ უსაქმოდ ვერ გავძლებ, სანამ ძალღონე შემწევს, უნდა ვიმუშაო. ექვსი შვილი მყავს — სამი ქალი, სამი ვაჟი. ვაჟები სამხედრო სამსახურში არიან და ოჯახით საბჭოთა კავ-

შირის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ. ქალებიდანაც ორი გავათხოვე, მარტო უმცროსი გოგონაა ჩემთან, იგი ჯერ სწავლობს სკოლაში.

ერთ წამს დაჩუმდა, მერე განაგრძო:

— შვილები ხშირად მნახულობენ, ზოგჯერ დახმარებასაც მიწევენ, თუმცა მათ დახმარებას არ ვსაჭიროებ, მაგრამ ხომ იცით მშობლის გული, მაინც მიხარიან, ნუგეში მეძლევა.

ის იყო დაამთავრა ღუკასმა საუბარი, რომ მასთან შემოვიდა საშუალო ტანის ცქვიტი მოხუცი. იგი ნაკითხი კაცი აღმოჩნდა, და როგორც კი გაიგო, რომ „ჩაუქრობელი ცეცხლის“ ავტორი ვიყავი, გულთბილი საუბარი გამიბა:

— დიდი ხანია თქვენთან შეხვედრა და საუბარი მსურდა, მე ვიცნობ თქვენს რომანს „ჩაუქრობელ ცეცხლს“. როცა ვკითხულობდი, ბევრი რამ გამახსენდა საკუთარი წარსულიდან, რადგან მეც გამოვიარე იმ ცეცხლში. არზრუმელი სომეხი ვარ და ვიდრე აქამდე მოვაღწევდი, თურქების ავკაცობამ მეც ბევრჯერ მაღვრევინა მწარე ცრემლები.

იგი მხურვალედ მომეხვია და გადამკოცნა. შემდეგ ახლოს დამიჯდა და დაწვრილებით მომიყვა თავისი თავგადასავალი.

ახლად გაცნობილი მეგობარი — გვარად ვართან ერანიანი,—სამოცდათოთხმეტი წლის ხანდაზმული მოხუცი იყო, მაგრამ ისეთი ენერგიული, რომ არავინ დაიჯერებს მის წლოვანებას. ამჟამად ისიც უსინათლოთა კომბინატში მუშაობდა საფეიქრო საამქროში.

ვართანი არზრუმის რაიონის მეზობელ სოფელში იყო დაბადებული გლეხის ოჯახში და სწავლა-განათლება სანასარიანის სკოლაში მიიღო.

— თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო სკოლა ვერ დავამთავრე, მაგრამ საკმარისი ცოდნა მაქვს. სკოლიდან გამოსვლის შემდეგ კინაღამ თურქეთის სისხლიანი იათაღანის მსხვერპლი გავხდი — პირველი იმპერიალისტური ომის დროს ძლივს გადავრჩი. ჩემი მშობლების ოჯახი მთლად განადგურდა, თურქებმა ყველა ამოჟლიტეს. მე რაღა დამრჩენოდა იქ, გავეფარე ლტოლვილების ტალღაში და ბედისანაბარად დავეხეტებოდი ერთი მხარიდან მეორეში. ვიყავი ვანში, ყარსში, ერევანში და საბოლოოდ თბილისში დავბრუნდი. პირველ ხანს მიწის მუშად ვმუშაობდი, მერე ქარხანაში დავიწყე მუშაობა. შვილები ყველა დაბინავებულები არიან, არაფერი უჭირთ, მე და ჩემი ცოლი ისევ ქარხანაში ვმუშაობთ, გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ. და მატერიალურად უზრუნველყოფილი ვართ.

როცა საუბრით კარგად ვიჯერეთ გული, დერეფანში გავედით. დერეფანში სამი უსინათლო მუშა — ილარიონი, ნიკო და ვალიკო — გავიცანით, რომლებიც ვართანს თბილისიდან ჩამოეყვანა. თავიანთი მსხვილი ყავარჯნებით კორიდორის სიგრძე-სიგანეს ზომავდნენ და, როგორც უსინათლოებს სჩვევიათ, გუნებაში მანძილს ანგარიშობდნენ. ასე ეცნობიან ბრმები იმ ადგილმდებარეობას, სადაც უხდებათ ცხოვრება. პირველი დათვალიერება ყავარჯნებით ისე ზუსტად აღიბეჭდება მათ გონებაში, რომ შემდეგ თავისუფლად შეუძლიათ სიარული გაზომილ ადგილებში.

მეორე დღეს დამსვენებელთა კიდევ ახალი პარტია მოიყვანეს. დასასვენებელი სახლის დირექტორი დაიბნა, აღარ იცოდა, სად მოეთავსებინა ამდენი ხალხი.

— რაშია საქმე, რომ გზავნიან და გზავნიან, რასა ფიქრობენ? ნუთუ ჩვენ პირობებს არ ითვალისწინებენ! — ჩიოდა იგი.

— ოცდაოთხი დღე უფასო ჭამა-სმას, ამ წალკოტში დასვენებას ვინ არ მოისურვებს, — ამბობდნენ დამსვენებლები.

—მანას ალექსანდროვიჩ, უდეპეშეთ, რომ ადგილები აღარ გაქვთ. — ურჩევდა შალვა.

— ვინ იცის რამდენი კაცი მოუთმენლად ელის აქ დასვენებას და გამო-

ჯანმრთელებას! როგორ გაუცრუვო იმედები?!

დიახ, მანას ალექსანდროვიჩი ცოდომადლიანი კაცი იყო, ეძნელებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

10.

წვიმა განუწყვეტლივ მოდიოდა, ხან კოკისპირულად ასხამდა, ხან სცრიდა. ჩვენი აგარაკი ბურუსში იყო გახვეული. ნაცრისფრად მოღუშულ ზეცას და აქაფებულ ზღვას თითქოს თავპირი ჩამოსტიროდა. ასეთ ამინდში დამსვენებლები გარეთ ვერ მიდიოდნენ, მეტ დროს ტალანში ატარებდნენ. ზოგი თავს იქცევდა შახმატით, დომინოთი, ზოგი გაზეთს კითხულობდა, ზოგი კი თავთავის საწოლებზე ისხდნენ და საუბრობდნენ. მე, შალვა, ვარლამ სულაბერიძე და ვართან ერანიანი ოთახში ვიყავით და ვსაუბრობდით. სულაბერიძემ ამ დღეს დაწვრილებით გვიამბო 1905 წელს გურიაში მომხდარი გლეხთა აჯანყების ამბავი. თვითონ ვარლამს აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ამ მოძრაობაში, და თხრობაც ემარჯვებოდა.

ვარლამმა რომ დაამთავრა ლაპარაკი, მე და ვართან ერანიანმა თურქეთში სომხების ხოცვა-ჟლეტის ამბები გავიხსენეთ, რამაც ვარლამი სიძულვილით აღანთო თურქი იანიჩრებისადმი.

— მაგ შარაგზის ყაჩაღებს ბევრი ქართველის ცოდვაც აწევდა კისერზე.— თქვა ვარლამმა.

სულ მალე ამ მწუხარე, გულსაკლავი ამბების თხრობას მოვეშვით და ვართანმა და ღუსაკმა ცხოველებზე ჩამოაგდეს საუბარი: როგორ იცავენ თავს გარეული მხეცებისაგან, განსაკუთრებით მგლისაგან, რამდენ წელს ცხოვრობენ, როგორ შეიძლება მათი წლოვანების გამორკვევა, რანაირი კვება სჭირდებათ, რა საინტერესო მოვლენებია მათ ცხოვრებაში და სხვა.

ამ თემაზე საუბრისას ღუკასსა და ვართანს შორის ცხარე კამათი გაიმართა. თვითეული თავის ნათქვამს ამტკიცებდა, ფაქტებს იშველიებდა, თავის აზრს დაჟინებით იმეორებდა.

საღამოზე, ვახშმის შემდეგ, კამათი კვლავ გაგრძელდა. პაექრობაში შალვა და ვარლამიც ჩაერია, და საუბარი უფრო გამძაფრდა. ჩვენს ოთახში გაჩაღებულმა ხმამაღალმა კამათმა და სიცილმა აივანზე მოსეირნე დამსვენებლების ყურადღებაც მიიპყრო, და ბევრი მათგანი ღია ფანჯრიდან გვისმენდა.

უცბად ოთახში დიასახლისი და ექიმი შემოვიდნენ.

— ჰა, რა გაქვთ გასაყოფი, რომ ასე გაცხარებით მსჯელობთ? — შეგვეკითხა ექიმი.

ჩვენ ავუხსენით საქმის ვითარება.

— მე კი მეგონა, ავლაბრელი გიჟი სერგო დაბრუნდა უკან და ახალი ოინით ააფორიაქა ჩვენი სტუმრები მეთქი — თქვა დიასახლისმა და ექიმთან ერთად გარეთ გავიდა.

11.

ძალიან საინტერესო ადამიანები იყვნენ ჩინელი ივანდო და მისი მეუღლე მარო, რომელთაც იქ გავეცანი.

გარეგნულად ცოლ-ქმარი ძალზე შეუფერებელი წყვილი იყო: კაცი საშუალოზე მაღალი ტანისა, კარგად ჩასხმული, ცოლი კი — დაბალი, გოშპარასავით პატარა, ძალზე მოკლე სასაცილო ფეხებით, განიერი თეძოებით და მხრებზე მიბმული პატარა თავით; გაწრიპული პირისახე ჰქონდა, ვიწრო შუბლი, რომლის ქვეშ ორი უნიათო თვალი მოუჩანდა. „ნეტა რამ მიიზიდა ივანდო, რომ თავისი ცხოვრება ასეთ ლილიპუტას დაუკავშირა,“ — გაოცებით ამბობდა შალვა.

მარო უმეტეს დროს დარბაზში ატარებდა. ხან ერთ დამსვენებელს ესაუბრებოდა ხან მეორეს. საუბრობდა დინჯად, წყნარად. მარო ჭკვიანი და გამოცდილი ქალი ჩანდა. იგი მუშაობდა თბილისის უსინათლოთა გაერთიანების პირველ კომბინატის წინდების საამქროში. წინდების ქსოვაში ისე გავარჯიშებულიყო, რომ ოსტატის თანამდებობაც კი დაეკავებინა. მაროც ბევრ ახალგაზრდა

მუშას ეხმარებოდა. მართალია, თვალის ჩინი საგრძნობლად აკლდა, მაგრამ მუშაობას მაინც თავს არ ანებებდა, პენსიაზე გასვლა არ უნდოდა: ძალიან მშრომელი ქალი იყო, კომბინატში მუშაობას ვერ ელეოდა, სახლში მშვიდად ყოფნა არ სურდა. იგი დასასვენებლად ჩვენს აგარაკზე გამოეგზავნათ, მეუღლე ივანდო კი გამოჰყოლოდა როგორც თანამგზავრი.

თუ როგორ შეხვედროდნენ ცხოვრების გზაზე ივანდო და ეს ქალი, რა გრძნობები აკავშირებდათ ერთმანეთთან, — ჩვენთვის ამოუხსნელი დარჩებოდა, რომ ერთხელ ივარდოს არ ეამბნა თავისი თავგადასავალი. ეს კაცი თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად, დალაგებულად გადმოსცემდა თავის აზრებს, გრძნობებს, მაგრამ სიტყვებს თავისებური ჩინური აქცენტით გამოსთქვამდა, ბგერებს კბილებში გამოსცრიდა. იგი წარმოშობით ჩინეთის ჩრდილოაღმოსავლეთის მხრიდან იყო, შანდუნის გუბერნიიდან.

— მრავალრიცხოვანი იყო ჩვენი ოჯახი, ძალზე გაჭირვებული ცხოვრება გვქონდა, პატარაობიდანვე მუშად ვმუშაობდი, რომ თავი მერჩინა. როცა წამოვიზარდე, მანჯურიაში მოვხვდი და რკინიგზაზე უბრალო მუშად ვმუშაობდი. რუსეთში ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ იფეთქა თუ არა, მეც, სხვა მუშებთან ერთად, წითელ ჯარში შევედი, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი სამოქალაქო ომში. ჩვენი ლეგიონი ციმბირით დასავლეთს გაემართა, ცენტრალური რუსეთისაკენ, ბრძოლებით მივაღწიეთ ბაქომდის, იქიდან ჩამოვედით თბილისში და ავლაბრის ყაზარმაში დავბინავდით. ყაზარმის პირდაპირ საკუთარ სახლში ცხოვრობდა პატარა გოგონა მარო. თითქმის ყოველ დღე ვხედავდი მაროს, ვცდილობდი მასთან დაახლოებას, გამოლაპარაკებას. რუს ამხანაგებთან მეგობრობამ რუსული ენა შემასწავლა. ენის ცოდნამ საშუალება მომცა ერთ დღეს მაროს გავცნობოდი. მალე მაროს იმდენად დავუახლოვდი, რომ იგი ხშირად ორცხობილათი, ძეხვით ან ხილეულით მიმასპინძლდებოდა. ნელ-ნელა მე იგი მომეწონა, შემიყვარდა, ხოლო დემობილიზაციის შემდეგ მაროს მშობლებმა თავიანთ სახლში მიმიწვიეს და მარო მომათხოვეს. იმ დღიდან ოცდათხუთმეტმა წელმა განვლო, არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენ ერთმანეთისათვის ზედმეტი სიტყვა გვეთქვას, გვეწყენინებინოს. მარომ წინდების ქსოვა ისწავლა, მე კი გამწვანების ტრესტში დავიწყე მუშაობა. სასახლეების, ქუჩების, სასეირნო ბაღების დეკორატიულ გაფორმებაში ისე დავხელოვნდი, რომ გაზეთებში ქებადიდების წერილებიც კი დაიბეჭდა ჩემს შესახებ... — სთქვა ივანდომ და საერთო რვეული ამოიღო, რომელშიც ჩაკრული იყო გაზეთებში სხვადასხვა დროს მოთავსებული სახოტბო წერილები. იგი ამ წერილებს ისეთი აღტაცებით კითხულობდა, თითქო ეს ქაღალდები დაუშრეტელ ენერგიას მატებენო.

ივანდო მამაკაცების ოთახში მოთავსდა, მარო კი—ქალების, მიუხედავად ამისა ივანდო მთელი დღე თავის მეუღლეს ფარვანასავით თავს ევლებოდა, დასტრიალებდა, სულ იმას ცდილობდა მაროს რაიმე უსიამოვნება არ შემთხვევოდა, არ გაბოროტებულიყო, ნერვები არ აშლოდა, დინჯად, მშვიდად ყოფილიყო და არ მოეწყინა. მუდამ ერთად საღილობდნენ, ერთად ვახშმობდნენ. დღისით მარო დარბაზში იჯდა, ქალებთან ბანქოს თამაშობდა, ივანდო კი გარეთ სეირნობდა. მაგრამ ცალი თვალი მაინც მაროსკენ ეჭირა და ამ პატარა დედაკაცს მხედველობის არედან არც ერთი წუთით არ ამბობდა:

როცა ხანდახან საუბარი გაიბმოდა ცოლების შესახებ, ივანდო აღტაცებით ამბობდა:

— ჩინებული დედაკაცია ჩემი მეუღლე, ჭკვიანი, შრომისმოყვარე. ამბობენ, კაცს არ ჰფერობს ცოლის ქებაო მე ამის მომხრე არა ვარ: მეუღლეა თუ მოკეთე, ამაგი არ უნდა დავუკარგოთ...

ქალებში, ცოლისადმი ივანდოს მოპყრობა, შურსაც კი იწვევდა.

— ერთი უყურეთ ამ ჩია დედაკაცს, ქმარი როგორ დაჰფოფინებს!

— ნეტავი რით მოაჯადოვა თავისი ქმარი?

— ცხოვრებას თუ ერთის მხრივ დაუჩაგრავს, მეორე მხრით — გაუბედნიერებია! ასეა ქვეყნის ამბავი.

ივანდოს და მაროს ერთი ვაჟიშვილი ჰყავდათ, სახელად ოთარი. თავისი ოჯახით ცხოვრობდა რუსთავში და მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა. ერთ დღეს ივანდოს შეეკითხეთ — ჩინეთში წასვლა ხომ არ სურდა. ახლა იქაც რევოლუცია მოხდა, იქაც ჩვენებური წესებიაო დამყარებული.

— არა, — მოკლედ გვიპასუხა ივანდომ, — ჩემი სამშობლო საქართველოა, თბილისი. მე საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომი ვარ, ჩემს მაროს როგორ მივატოვებ და სადმე წავალ?..

საღამოობით, როცა წვიმა გადაიღებდა, მე და შალვა ხეივანში ვსეირნობდით ხოლმე. ხშირად ჩვენ შემოგვიერთდებოდა ივანდოც. ამ დროს ივანდო საინტერესო საუბარს გვიმართავდა. მე ძალიან მომწონდა იმისი რუსული, თავისებური ჩინური აქცენტით. ზოგჯერ ვთხოვდით მას მშობლიურ ენაზე რომელიმე ლექსი წარმოეთქვა, იგი სიამოვნებით გვთანხმდებოდა და ჩვენც დიდი აღტაცებით ვუსმენდით მას. ერთხელ შეეკითხე:

— სუნიატ-სენი, თქვენი ეროვნული გამათავისუფლებელი მოძრაობის გმირი, გინახავს თუ არა მეთქი?

როგორც გამოირკვა, ივანდოს ბავშვობის დროს შორიდან დაენახა სუნიატ-სენი და ბუნდოვნად ახსოვდა ამ დიდი ჩინელის გარეგნობა.

ერთხელ ივანდოს ქალები გაეხუმრნენ, მიირბინეს მასთან და აღელვებით აცნობეს, მარო ცუდად გახდაო. ივანდომ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, სწრაფი ნაბიჯით აირბინა კიბის საფეხურები და ოთახთან მიიჭრა. მარო ჯანმრთელად დაუხვდა. ივანდო გადაეხვია და სიხარულისაგან აქვითინდა.

— ქალებმა მითხრეს, ცუდად არისო, მადლობა ღმერთს, რომ ტყუილი გამოდგა.

თავის მხრივ მაროც ძალიან ემადლიერებოდა ქმარს და მისი მოპყრობით აღტაცებული, კმაყოფილად იღიმებოდა ხოლმე.

12.

დილით რომ გამოვიღვიძე, გარეთ ისევ წვიმა სცრიდა. გული ბოღმით მქონდა სავსე, ღამღამობით სულ ჩემს შვილზე ვფიქრობდი. რამდენი ხანია მისგან წერილი არა მქონდა. ჩემი შვილი ლევონი პოლიტექნიკური ინსტიტუტის საალმშენებლო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. ამჟამად იგი პრაქტიკაზეა კრასნოდარის მხარეში, ქალაქ კურგანშია ხიდების მშენებლობაზე მივლინებული.

ვაი-ვაგლახით წამოვდექი ლოგინიდან. შალვა მამხნევებდა: ბევრს ნუ ნაღვლობ, ყველაფერი რიგზე იქნება, საჭიროა მოთმინებაო.

უიმისოდაც მოშლილი ნერვები უფრო მომეშალა, როცა ამ დღეს დასასვენებელ სახლში ჩამოვიდნენ მამა-შვილი ჭელიძეები. მამამ, სოლომონ ჭელიძემ,აქ ჩამოიყვანა უსინათლო შვილი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ვაჟიშვილი.

შალვა სოლომონს თბილისიდან იცნობდა. ნასადილევს შევხვდით მას, მეგობრულად მივესალმეთ, აივანზე დავსხედით და საუბარი გავაბით.

— ჩემო შალვა, — მიმართა სოლომონმა ჩემს მეგობარს, — ხედავ რა დღეშია შენი მეგობარი? მახსოვს, ერთხანს შენ სისხლის წნევას, თავის ტკივილს უჩიოდი, მხედველობაც თანდათან გაკლდებოდა. მე მაშინ გამხნევებდი, გულს გიმაგრებდი, იმედს გაძლევდი, ახლა კი მე თვითონ ჩავარდი შენზე ცუდ მდგომარეობაში. აგერ, რამდენი ხანია, ჩემს ერთადერთ ვაჟიშვილს, გურამს თვალთ სინათლე დააკლდა. თვითონ ხომ დაეხურა გული, და მე უფრო მეტად მეჩაგრება გული, როცა იმას ვუყურებ, დაღონებულსა და დაძმარებულს.

ჩემმა გურამმა ათწლედი დაამთავრა

თუ არა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე შევიდა. განსაკუთრებით უყვარდა ლიტერატურა და წარჩინებით მეცადინეობდა. შარშანწინ მეხუთე კურსზე იყო, როცა ეს უბედურება შეემთხვა. ერთ დღეს ბიჭი თავის ტკივილს უჩიოდა, ძალზე სტკიოდა შუბლი და საფეთქლები. ღამე მოუსვენრად ეძინა, კვნესით გაათენა. მე და ჩემი მეუღლე მთელი ღამე თავზე ვადექით და ვერ გაგვეგო რა იყო მიზეზი. დილით რომ გამოიღვიძა, თავის ტკივილს აღარ უჩიოდა, მაგრამ თვალებზე ბინდი ჰქონდა გადაკრული, ვეღარაფერს ხედავდა..

სოლომონმა ღრმად ამოიოხრა, ერთ წამს დადუმდა და მერე განაგრძო.

— ეხ, რა ვუთხრა ამ წუთისოფელს. ხალხი ამბობს: უბედურება უცაბედად ეწვევა ადამიანსო. ასე მომივიდა მეცაბა ერთი შეხედეთ, რა ვაჟკაცია, მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი, ჭკვიანი, მაგრამ უსინათლო, ხელების ფათურით დაიარება.

სოლომონის შვილის ამბავმა ისეთი ღრმა გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ კინაღამ დამბლა დაეცა...

სოლომონმა ღრმად ამოიოხრა, და ისევ განაგრძო:

— ექიმები მანუგეშებენ, იმედს მაძლევენ. ამან ცოტა არ იყოს დამამშვიდა. აი ხედავთ, დავდივარ, ვლაპარაკობ; ჩემს თავს მე თვით ვპატრონობ. თუმცა მარცხენა ხელ-ფეხი არ მემორჩილება, მაგრამ მაინც იოლად მივდივარ. ჩემი თავი ჯანდაბას, ნეტა ჩემი საყვარელი გურამი უსინათლოდ არ დამრჩენოდა. ბევრი ვეცადე, ოჯახში რაც კი გამაჩნდა ყველაფერი მივყიდ-მოვყიდე, ოდესაში, მოსკოვში წავიყვანე, დიდ სპეციალისტ ოკულისტებთან მყავდა, მაგრამ შედეგი არ გამოიღო, მითხრეს მხედველობის ნერვი აქვსო დაზიანებული, და ვერაფერს უშველითო. ამ მდგომარეობაში გურამმა მაინც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ახლა ბრაილის ანბანით კითხულობს წიგნებს. მეც პენსიაზე გავედი, მუშაობა აღარ შემიძლიან, შვილს დავდევ უკან, მას ვპატრონობ. ახლაც, ხომ ხედავთ, საგზურით მოვედით აქ დასასვენებლად.

ცოტა მოშორებით გურამი იჯდა, ბრაილის ნიშნებით დაწერილი წიგნი ედო მაგიდაზე და თითების შეხებით კითხულობდა.

— რა წიგნს კითხულობთ? — დავინტერესდი მე და მივუახლოვდი მას.

— შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს“ — მიპასუხა გურამმა.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო.

— ეს წიგნი ორჯერ მაშინ წავიკითხე, როცა თვალში ჩინი მქონდა, ახლა კი, მესამედ, უსინათლო ვკითხულობ. მიუხედავად ამისა, ამ წიგნის წაკითხვისას ახლაც დიდ კმაყოფილებასა ვგრძნობ, ყოველი წაკითხვისას ახალ-ახალი აზრები, გრძნობები და ფიქრები ჩნდებიან ჩემში. ოკეანესავით დაუშრობელია შოთას ამ პოემის გენიალური აზრები. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემისთანა უბედური ადამიანიც კი თავის სანუგეშებელ სულიერ საზრდოს პოულობს ამ პოემის ფურცლებზე.

გურამი ისე იყო გატაცებული რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“, რომ სიტყვებს ვერ პოულობდა თავისი ემოციებისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად. იგი ლაპარაკობდა დინჯად, სასიამოვნო ხმით, მკაფიო ლიტერატურულ ენაზე. გურამმა განაგრძო პოემის კითხვა, მე კი გვერდზე მივუჯექი სოლომონს, რომელსაც გაზეთი ეჭირა და საინტერესო ამბებს კითხულობდა.

— დედამიწის მესამე თანამგზავრს უკვე ათას ოთხასოცდახუთი წრე შემოუვლია. პირდაპირ საკვირველია, სადამდე მიაღწია მეცნიერებამ და ტექნიკამ. ჩვენ უკვე ატომის ხანაში ვცხოვრობთ, სამყაროს უკიდეგანო საზღვრების შესწავლის და დაპყრობის ხანაში. ყოველ დღე, ყოველ ჟამს მეცნიერება ახალ-ახალ აღმოჩენებს გვთავაზობს; ნუთუ მედიცინა და განსაკუთრებით ოკულისტები ვერ მიაღწევენ იმ სიმაღლეს, რომ

შესძლონ უსინათლოებს თვალის ჩინი დაუბრუნონ?..

— მიღწევები ამ ასპარეზზეც გვაქვს— ჩაერია შალვა, — აი, მაგალითად, კატარაქტისს ამჟამად ოპერაციის საშუალებით მკურნალობენ. საერთოდ ამ უბანზე მედიცინას საგრძნობი მიღწევები აქვს.

— მართალია, მიღწევები დიდია, მაგრამ ჯერჯერობით თვალის მრავალი დაავადების სათანადო მკურნალობა მოისუსტებს — მედიცინის ეს დარგი ჩამორჩენილია. ოდესის ფილატოვის სახელობის თვალის სამკურნალო დაწესებულებებში გაცხოველებული ცდები სწარმოებს. კერძოდ ჩემი შვილის დაავადების შესახებ ხსენებულ საავადმყოფოებში არა ერთი და ორი მოხსენება ჩატარდა. იმდენი რამ გავიგე იქ, რომ თითქმის თვითნასწავლი ოკულისტი გავხდი, და, ცოტა რამ დარიგება მეც კი შეძიძლია მივცე ასეთ ავადმყოფებს.

სოლომონმა წუთით შეისვენა და განაგრძო.

— მე მგონია, რომ ახლო მომავალში თვალების მკურნალობაც გადაჭრით გაუმჯობესდება და ჩემს საყვარელ შვილსაც, ალბათ, ეშველება — ეღირსება ამ მშვენიერი ქვეყნის ნახვა.

— ამავე აზრისა ვართ ჩვენც, და მოუთმენლად ველოდებით ამ ბედნიერ დღეს — უპასუხა შალვამ.

როცა ჩვენს ოთახში დავბრუნდით, შალვამ ნაღვლიანად მითხრა:

— ნეტავი შეგახედა რა სანახავია მამა-შვილი. ორივე მაღლები არიან, მხარბეჭიანი, სიმპატიურნი, მეტადრე მიმზიდველია შვილი. სასიამოვნო სახის ნაკვთები აქვს, ხუჭუჭი თმები. შავ სათვალეებს ატარებს და სულ არ ეტყობა, რომ უსინათლოა. სოლომონი მართალს ამბობს, ტექნიკა და მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ ადამიანის ფიქრთა ფრენა სამყაროს საიდუმლოებაშიც შეიჭრა, თვალის მკურნალობა კი ჩამორჩა. უკვე დრო არის, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან უბანსაც სათანადო ყურადღება მიექცეს

და სხვებივით ჩვენც ვიხილოთ ქვეყანა, დავტკბეთ მისი სილამაზით.

როგორც კი მარტო დავრჩი ჩემს ფიქრებთან, ისევ შვილი გამახსენდა. ძალზე ძნელია, როცა საყვარელი ადამიანისაგან დაშორებული ხარ და იმის შესახებ არავითარი ცნობა არა გაქვს...

ზარმა სადილზე მიგვიწვია. წამოვდექი და სასადილოსკენ გავწიე, მაგრამ სადილი ძალიან უგემური მეჩვენა: სრულებით მადა არ მქონდა. მართალია, შალვა მამხნევებდა, მაგრამ მწარე ფიქრებისაგან ვიტანჯებოდი, გამოსავალს ვერა ვპოულობდი, მეც ხომ გურამის დღეში ვიმყოფებოდი!

საღამო ჟამს აივანზე გამოვედი. იქ კვლავ გურამი ვნახე. იგი ისევ „ვეფხისტყაოსანს" კითხულობდა. მე გვერდზე მივუჯექი გურამს. მან კითხვა შეწყვიტა და აღტაცებით მომმართა:

— მხატვრული სურათების რა მშვენიერი განლაგებაა, სიტყვის და ბგერების რა მუსიკალური შერწყმა...

გურამმა პოემის კითხვას თავი დაანება და ჩვენ ლიტერატურის საკითხებზე დავიწყეთ პაექრობა. ამ ახალგაზრდამ კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა, წაკითხული ჰქონდა ქართველი კლასიკოსების თითქმის ყველა ნაწარმოები. განსაკუთრებით აღტაცებით ლაპარაკობდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის ლექსებზე და პოემებზე, ზოგიერთი ზეპირადაც კი წარმოთქვა.

— ლიტერატურა საუკუნეების სარკეა, ხალხის ფიქრებისა და გრძნობების ამსახველი. მე ძალიან მიყვარს ლიტერატურა, მეტადრე პოეზია. იგი ჩემი ოცნების და ფიქრების აღმაფრენაა...

გურამმა „მერანიდან" რამდენიმე ტაეპი ზეპირად წარმოსთქვა. ლექსს ისეთი პათოსით ამბობდა, ძნელი იყო, რომ მსმენელის ყურადღება არ მიეპყრო.

ამ პოეტს მეც ვიცნობდი, ამიტომ სიამოვნებით ეუსმენდი გურამის სიტყვებს იმ დიდი ადამიანის შესახებ.

გურამი კარგად ერკვეოდა ლიტერატურის საკითხებში, ახალი მოვლენები მისთვის ნაცნობი იყო და თავისუფლად

მსჯელობდა საბჭოთა მწერლებისა და მათი შემოქმედების შესახებ.

ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ, ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი შეხედულებები, ვიკამათეთ, და მანამდე არ დავცილდით ერთმანეთს, ვიდრე დასაძინებელი ზარი არ დაირეკა. მაშინვე ჩვენთან გამოცხადდნენ შალვა და სოლომონი და ჩვენ-ჩვენ ოთახებში წასასვლელად მოვემზადეთ.

— ნუ ღელავთ, ჩემო კარგო მეგობარო, მარტო თქვენი ხვედრი როდია ეს უბედურება. თქვენისთანები ბევრია. ამ სენით, მარტო საქართველოში ოთხი ათასამდე ბრმა და ნახევრად უსინათლოა, მთელ მსოფლიოში კი ორმოც მილიონამდე, ე. ი. იმდენი რამდენიც იტალიაში მცხოვრებთა რაოდენობა. ნუ სწუხართ, მოვა დრო, — და ეგ დრო შორს არ არის, — როცა მეცნიერები ყველას თვალს აუხელენ და ამ ბედით დაჩაგრულ ხალხს გააბედნიერებენ. გვითხრა სოლომონმა.

— ძალა აღმართსა ხნავს, ჩვენც ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენია. — სთქვა გურამმა და წამოდგა.

როცა ჩვენს ოთახში შევედით, ღუკასას უკვე ეძინა.

— შენ საიდან იცნობ სოლომონს? ეტყობა ჭკვიანი, გამოცდილი კაცია, ბევრი რამ უნახავს, — შევეკითხე შალვას.

— კარგა ხანია ვიცნობ. ერთ დროს იგი მიწათმოქმედების სამინისტროში მუშაობდა, მერე გადავიდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში. ცნობილი ეკონომისტია, ნასწავლი და ჭკვიანი, დარბაისელი კაცი. — მიპასუხა შალვამ.

ღამე ვშფოთავდი, ცუდად მეძინა, ისევ შვილზე ვფიქრობდი. გარეთ საშინელი ქარი ამოვარდა, წვიმა შხაპუნით ეხლებოდა ფანჯრის მინებს და შრიალებდა. დილით ჩემზე ადრე ამდგარიყვნენ ღუკასა და შალვა. როცა ჩემს ლოგინს ვასწორებდი, შალვა გაღიმებული შემოვიდა და ჩემი შვილის წერილი გადმომცა. წერილი რუსულად იყო დაწერილი, რომ შალვას წაეკითხა, მე იმის საწოლზე დავჯექი და შალვამ ხმამაღლა წამიკითხა წერილი:

— შვილმა კარგი წერილი მოგწერა, რაღა გადარდებს, — წამოიძახა შალვამ წერილის კითხვის დამთავრებისთანავე.

გუნება გამეხსნა, გემრიელად ვისაუზმე. საუზმის შემდეგ მოგვიახლოვდა ვარლამ სულაბერიძე. მან გვითხრა, რომ დასვენების დრო უკვე გაუთავდა, ბათუმში მიდის ნათესავებთან, იქიდან კი თბილისში გაემგზავრება. მე სურვილი გამოვთქვი რკინიგზამდე გაგვეცილებინა. მოღრუბლული დღე იყო, წვიმა არ მოდიოდა. გზა ნაწვიმარი იყო, სველმა ბალახმა ფეხსაცმელები დაგვისველა. სულაბერიძეს ძალზე უხაროდა, რომ ვაცილებდით.

— დიდი მადლობა, მეგობრებო, გაცილებისათვის. ერთად ყოფნის დროს ბევრი კარგი დღეები გავატარეთ, ამ ოცდაოთხმა დღემ სიზმარივით გაიარა, მხოლოდ ტკბილი მოგონებაღა დაგვრჩა...

— ნამდვილი პოეტივით ჭიკჭიკებ, ჩემო ვარლამ, — ჩაერია შალვა.

— თქვენ გენაცვალეთ, ეს წარმტაცი ბუნება ვის არ გახდის პოეტს, ან მხატვარს! — მხიარული ღიმილით გვიპასუხა სულაბერიძემ.

— ამიტომ უთქვამს ჩვენს სახელოვან მგოსანს ოვანეს თუმანიანს ქართველებზე: ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი ორმაგად პოეტიო — ჩავერიე საუბარში მე.

როგორც კი სულაბერიძე გავისტუმრეთ, ვუსურვეთ კეთილი მგზავრობა, მე და შალვა ზღვის პირით წავედით დასასვენებელ სახლში — „მეცნიერება“. ფანჩატურთან პარიკმახერი დურსუნი შემოგვეგება. მე გავიპარსე და როცა საპარიკმახეროდან გამოვდიოდი, დურსუნმა მკლავში წამავლო ხელი და მეგობრულად ქილიკობა დამიწყო:

— გაახალგაზრდავდი, გალამაზდი, ახლა ჩვენი, აჭარელი ქალებიც არ დაგიწუნებენ. მერე იცი რა ლამაზები

არიან, მათი კეკლუცი ტანის რხევა ბერსაც კი აურევს დავთრებს... იმათი ჭირიმე!..

13

ერთ დღეს ჩვენს აგარაკზე უგემურად დამზადებული სადილით გაგვიმასპინძლდნენ, ამის გამო მთელი აურზაური ავტეხეთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ დიასახლისი — თამარ სერგეევნა ცუდად შეიქნა და ექიმმა კაპლებით ძლივს მოაბრუნა. ეს გულკეთილი და უაღრესად პატიოსანი ადამიანი გამოესარჩლა დამსვენებლებს და მკაცრად გაკიცხა მზარეული და მნე, რომლებსაც მიუძღოდათ დანაშაული.

მეორე დღეს, პირიქით, სადილი ძალიან გემრიელი იყო.

— ეს ალბათ დიასახლის თამარ სერგეევნას გულის შეღონებამ იმოქმედა,— წამოიძახა შალვა გიორგის ძემ.

— არა, მეგობრებო, ეს ილარიონის დამსახურებაა, იმისმა პროტესტმა უშველა საქმეს. — მივუგე მე.

— სწორეა, — მხარი დამიჭირა ერთმა უსინათლომ, რომელსაც მიხაილოვიჩს ეძახდნენ — ჩვენი ამხანაგების პროტესტმა გასჭრა!

მე და მიხაილოვიჩს მეზობელი თანამესუფრე გამოგვესარჩლა და დასძინა:

— ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ, უსინათლონი, სუსტი და დაღუპული ხალხი ვიყოთ და როგორც მოეპრიანებათ ისე მოგვეპყრონ! არა, მეგობრებო, სახელმწიფო ჩვენთვის ზრუნავს, ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რომ ჩვენ კარგად, ადამიანურად ვიცხოვროთ. ჩვენი დიადი სამშობლო აუარებელ თანხებს ხარჯავს ჩვენი კეთილდღეობისათვის, და არავის მისცემს ნებას აბუჩად აგვიგდოს.

სადილის შემდეგ მე და მიხაილოვიჩი ეზოში ჩავედით, გრძელ სკამზე დავსხედით და შინაურული საუბარი დავიწყეთ. სასიამოვნო ამინდი იდგა, აღარა წვიმდა, ღრუბლები თანდათან იფანტებოდნენ.

ჩემი მესაუბრე ალექსი მიხაილოვიჩი საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. სავსებით ბრმა იყო, როსტოვიდან ამხანაგთან ერთად ჩამოსულიყო და ჩვენს აგარაკზე ისვენებდა. ორივენი უსინათლოთა კომბინატში მუშაობდნენ. მიხაილოვიჩი კომბინატში ერთ-ერთი საამქროს ხელმძღვანელი იყო. წინათ იგი სამხედრო სამსახურში ყოფილა, მაიორის ჩინით და მხედველობა სამამულო ომში დაუკარგავს.

— რა საშინელება იყო ომი, რამდენის ოჯახი დაინგრა, რამდენი ადამიანი გამოესალმა წუთისოფელს, რამდენი სოფელი და ქალაქი გასწორდა მიწასთან. ამ ომის ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ მეც. ჩემი პოლკი ომის პირველ დღიდანვე წინა ხაზზე იდგა სამხრეთის ფრონტზე, სისხლის მღვრელ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას ოდესის, მარიუპოლის, ტაგანროგის და შემდეგ როსტოვის მისადგომებთან. ჩვენ ვაქაცურად ვიცავდით ჩვენს უბანს, ვცდილობდით, მტერს ჩვენი ხაზი არ გაერღვია, ჩრდილო კავკასიაში არ შეჭრილიყო. სასტიკ ბრძოლებში ჩვენი პოლკი განადგურდა, მარტო რამდენიმე ათეული ჯარისკაციღა გადარჩა. მე გადაწყვეტილი მქონდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მებრძოლა, უკან არ დამეხია, მაგრამ მტერმა დიდი ძალები მოაყარა, როსტოვის ფრონტი გაარღვია და ჩრდილო კავკასიაში შეიჭრა. ერთ საღამოს ყუმბარა გასკდა ჩემს ახლოს და ნატეხები თვალებში მომხვდა. მე გრძნობა დავკარგე, მიწაზე გავიშხლართე, როცა გონს მოვედი, ირგვლივ წყვდიადი იყო გამეფებული, იდუმალი სიჩუმე იდგა. სად იყვნენ ჩემი ჯარისკაცები, სად იმყოფებოდა მტერი, სად ვიყავი მე?.. ვერაფერს მივხვდი. ხმადაბლა დავიძახე, მაგრამ არავინ არ გამომეხმაურა. მთელი ტანი სისხლით მქონდა მოსვრილი, მაგრამ მე მაინც ვმოძრაობდი. წამოდგომაც კი შევძელი: სჩანდა, სასიკვდილო ჭრილობა არა მქონდა. ამის შეგნებამ გული გამიმაგრა, გაგმამხნევა. ფორთხვით წინ წავცოცდი, რაღაც სა-

განს წავაწყდი; ჩემს წინ მკვდარი ადამიანი ეგდო. ტანსაცმელი, ქუდი გავუსინჯე, ვიცანი ჩვენიანი იყო. ავტომატი გვერდზე ეგდო. მაშინვე ხელი ვტაცე იარაღს, ხელების ცეცებით განვაგრძე მოძრაობა. მიწა ცივი იყო, შემოდგომის სუსხიანი ქარი უბერავდა. გასისხლიანებული ტანსაცმელი სიცივისგან გაყინულიყო და ტანზე მიმკვროდა. თვალებში, თავის არეში და მთელ სხეულში მწვავე ჩხვლეტას და ტკივილსა ვგრძნობდი. მწყუროდა, ვოცნებობდი საღმე წყალი მეპოვნა, რომ წყურვილი მომეკლა, მაგრამ ამაოდ: წყალი არსად იყო. მე მაინც წინ მივხოხავდი ტრამალზე, თუმცა არაფერი გამეკვებოდა, საით მივდიოდი, ან ვისთან. დრო გამოშვებით შევჩერდებოდი, ყურს ვუგდებდი. შორიდან რაღაც ხმაური მომესმა. მგლების ღმუილი იყო, თუ მტრის შეძახილები ვერ გავარკვიე. მე მიწას გავეკარი და ავტომატიდან ზედიზედ დავაყარე ტყვიები. ტრამალზე საპასუხო სროლის ხმა გაისმა და შემდეგ ყველაფერი ისევ მიყუჩდა. დავრწმუნდი, რომ არავინ მზვერავდა, არც არავინ მომდევდა და კვლავ წინ გავწიე. ჩემი გზა ძნელი გასავლელი იყო, წარამარა მხვდებოდა ოღრო-ჩოღრო ადგილები, თხრილები, ბუჩქები, და ქვა-ხრეშიანი ბორცვები. დავიღალე, ძალ-ღონე გამომელია, ვგრძნობდი, სიკვდილი მიახლოვდებოდა, მალე, სულ მალე სისხლისგან დავიცლებოდი და ჩემს ტანჯულ სულს ამ უდაბნოს მივაბარებდი. მინდოდა, უკანასკნელად მტერს მაინც შევხვედროდი, რომ ერთხელ კიდევ მებრძოლა და ბრძოლაში დამელია სული...

საზარელი სიცივისაგან ტანზე ბუსუსები დამაყარა, კბილს კბილზე ვაცემინებდი. მე ყოველგვარი იმედი დავკარგე, არ მეგონა თუ ამ საბედისწერო წუთებს თავს დავაღწევდი. მაგრამ ხალხი ტყუილად როდი ამბობს: ადამიანმა იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგოსო, წყალში დამხრჩვალმა ქაფსაც კი უნდა წაავლოს ხელიო. ამ ყოფნა-არყოფნის ჟამს უცბად ხელი რაღაც მიწურ ნაგებობაზე მომიხვდა, ვიგრძენი, რომ ვიღაცის საცხოვრებელ ბინას, სოფელს, თუ სადარაჯო ქოხს მივადექი, არ ვიცი, რა მომელოდა ამ უცნობ თავშესაფარში, მაგრამ მაინც გამეხარდა, ნუგეში მომეცა. ხელის ფათურით მოვძებნე ჭიშკარი და ეზოში შევფარფატდი. „ვინა ხართ? რა გინდათ?“ საიდანღაც თითქმის ჩურჩულით შემომესმა ქალის სუსტი ხმა.

— წყალი... დაჭრილი ვარ... — ვუპასუხე მე. მივხვდი კარი გაიღო და იმ ქალმა ისევ ჩურჩულით წინადადება მომცა, სახლში შევსულიყავი. მე ნაბიჯი წავდგი წინ, მაგრამ კარს ვერ მივაგენი, მაშინ ქალმა მკლავი გამიყარა და მიჩურჩულა... „თქვენ ალბათ თვალთ გაკლიათ, რომ ფეხებს ურევთ და სწორად ვერ მოდიხართ“. ქალმა მაგრა ჩამჭიდა ხელი და ისე შემიყვანა ოთახში. როცა დავჯექი, ჩემი პირველი შეკითხვა იყო, თუ სად ვიმყოფებოდი, რომელი საათი იყო, დღეა თუ ღამე? ქალმა ამიხსნა, რომ ერთ პატარა ხუტორში ვიმყოფებოდი და ეს-ეს არის თენდებაო. თან დასძინა: კიდევ კარგი, არავინა გნახა. ახლა არა გიშავს რა. წყეული ფაშისტების აგენტები ყველგან დაძრწიან, აგრემაც გამწყდარა მაგათი ქოქიო... — სიბრაზით წარმოთქვა დიასახლისმა და გასძახა: — „ტანია თბილი წყალი მოიტანე, ამ ჩვენს სტუმარს წყლული მოვბანოთ და ვუპატრონოთო.“ ამის თქმაზე დიასახლისმა იარაღი ამხსნა, ზედა ტანსაცმელი გამხადა, სამხრეები აარღვია და ჩემი ჭრილობების დაბანას შეუდგა. ჩასისხლიანებული თვალები ჩაის წყლით მომბანა და ლოგინში ჩამაწვინა. დიასახლისი ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, ტანია კი — ოცი წლის ქალიშვილი. მეუღლე და შვილი ჯარში იყვნენ გაწვეული, სადღაც იბრძოდნენ, რომელიღაც ფრონტზე. მათ შესახებ მასპინძლებმა არაფერი იცოდნენ. მართალია, თბილ ლოგინში ვიწექი, მაგრამ სასტიკ ტკივილებსა ვგრძნობდი, მეტადრე თავის

არეში, ისე მტკიოდა, რომ მეგონა გავარვარებულ რკინაზე მედო თავი. ვკვნესოდი, ვიტანჯებოდი. რამდენიმე თვე ვიწექი მათ ოჯახში, დედა-შვილი ისე მივლიდნენ როგორც თავიანთი ოჯახის წევრს. სტალინგრადთან ომიც დამთავრდა. ჭრილობები მომირჩა, ფეხზე წამოვდექი, მაგრამ თვალის სინათლე დავკარგე, დავბრმავდი...

ჩემი დიასახლისის მეუღლე და შვილი ომში დაიღუპნენ და მე გავხდი ამ ოჯახის ერთადერთი ნუგეში და იმედი. მე უცოლო ვიყავი, ჩემს ძმებს და დებს თავიანთი სახლ-კარი ჰქონდათ. ცხოვრობდნენ ბედნიერად. მე ტანია შევირთე, ის პატარა ქოხი გავყიდეთ და ქალაქში გადავედით საცხოვრებლად. ომის დამთავრების შემდეგ მე, როგორც ინვალიდს, პენსია დამინიშნეს და უსინათლოთა კომბინატში სამუშაო მომცეს. ახლა ორ ოთახიანი მშვენიერი ბინა მაქვს, ტანიასთან ორი ბავშვი შემეძინა და სიდედრთან ერთად ბედნიერად ვცხოვრობთ. დიახ, ორი ცუგრუმელა შვილი მყავს, ისინი მთელ ქვეყანას მირჩევნია, მათ ალერსში მავიწყდება პირადი უბედურება და ტკბილად ვატარებ ჩემს სიცოცხლეს.

მიხაილოვიჩი ერთ წამს გაჩუმდა, შემდეგ განაგრძო:

— ადამიანი ფოლადზე უფრო მაგარი ყოფილა, ყოველგვარ უბედურებას და გაჭირვებას უძლებს. აი, მე, რამდენი ტანჯვა-ვაება გადამხდა, რამდენი მწარე დღეები ვნახე, პირუტყვი რომ პირუტყვია, ისიც კი ვერ გადაიტანდა, ბოლოს დავბრმავდი კიდეც, მშვენიერ ქვეყანას, ახლობლებს, ბუნების სიკეკლუცეს ვეღარ ვუყურებ, წყვდიადით:ა მოცული ჩემთვის ნათელი, მაგრამ ამასაც შევურიგდი, ახლა ჩემი ერთადერთი ნუგეში გართობაა, ოჯახზე ზრუნვა და შრომა. ვერ ვივიწყებ აგრეთვე ამხანაგებს, რომლებიც მხარში ამომიდგნენ და ფეხზე დამაყენეს. ერთი ჭირი მარგებელიაო. თუ მხედველობა დავკარგე, სამაგიეროდ სხვა გრძნობები უფრო ელასტიკური გამიხდა. ასე, მაგალითად, სმენა, შეხება, თვალების მოვალეობას ხელები ასრულებენ. ჯარში თუ მთელ პოლკს ვმეთაურობდი, ახლა ვგავარ უჯარო გენერალს: ჩემს საამქროში ორმოცდაათამდე უსინათლო მუშა პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ისინი ჯაგრისებს ამზადებენ, მართალია, ძირითადად ხელებით უხდებათ საქმიანობა, მხედველობა სულ არ მონაწილეობს მათ მუშაობაში, მიუხედავად ამისა, კარგად ართმევენ თავს საქმეს, ოქროს ხელები გაუხდათ.

ალექსი მიხაილოვიჩი ძალიან იყო დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის ავკარგით, გულდასმით უსმენდა რადიო გადაცემებს და საჭირო დასკვნები გამოჰქონდა. სიამოვნებით შეიძლებოდა მთელი საათობით მასთან საუბარი.

14

საღამოზე, ვახშმის შემდეგ, დასასვენებელი სახლის კულტმუშაკის ინიციატივით პირველი სართულის აივანზე კინოსურათს უჩვენებდნენ.. ვისაც მხედველობა გააჩნდათ შეგროვილიყვნენ, დანარჩენები კი — სავსებით უსინათლონი — ეზოში გრძელ სკამზე ისხდნენ და მუსაიფობდნენ. მე ქვითკირის კედელთან დაღვრემილი ვიდექი, შალვა და სოლომონი ცოტა მოშორებით იდგნენ და საუბრობდნენ. უცბათ ერთი ქალიშვილი მომიახლოვდა და სასიამოვნო ხმით მომმართა:

— დიდი ბოდიში, გაწუხებთ. აგერ სკამზე დედაჩემის გვერდით თავისუფალი ადგილია, გთხოვთ მობრძანდეთ და დედაჩემს ესაუბროთ, დედას ძალიან უნდა თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი. სხვათაშორის, დედაჩემს წაკითხული აქვს თქვენი მოთხრობები ქართულ ენაზე.

მე უყოყმანოდ გავყევი ქალიშვილს.

ქალიშვილმა დედამისი გამაცნო, თვითონ კი ფილმის საყურებლად გაიქცა.

ამ ქალიშვილს ნანული ერქვა, დედას კი — დარეჯანი. დედა სავსებით ბრმა

იყო, ამიტომ თანამგზავრად თავისი შვილი წამოეყვანა.

ვიდრე კინო-სურათს უჩვენებდნენ, მე და დარეჯანი გრძელ სკამზე ვისხედით და ვსაუბრობდით. დარეჯანი განუწყვეტლივ აქებდა თავის ნანულის, როგორც საუკეთესო მეოჯახე ქალიშვილს, მშობლების მოყვარულს, განათლებულ გოგონას.

— მთელი დღე წიგნების კითხვით არის გართული ჩემი ნანული. მე ძალიან ვუყვარვარ, ერთ წამს გვერდიდან არა მშორდება, საკუთარ ბედზე კი სულ არ ფიქრობს, არა თხოვდება. სხვა გოგონაა ჩემი ნანული...

შემდეგ მან მიამბო თავისი პირადი ცხოვრების შესანიშნავი ეპიზოდები და მხედველობის დაკარგვის ამბავი.

— ჩემი ნანული თორმეტი წლისა იყო, როცა მამით დაობლდა. მეუღლის გარდაცვალების წლის თავზე, დედაც დავკარგე. ეს ორი უბედურება გახდა მიზეზი ჩემი სიბრმავისა. ყველაფერი ეს უეცრად მოხდა, ისე ანაზდეულად დავკარგე თვალის ჩინი, რომ ახლაც გონზედ ვერ მოესულვარ. ძნელი ყოფილა ხილული ქვეყნიდან უცბად წყვდიადში გადასვლა, მაგრამ რას ვიზამ, როცა სხვა გზა არ არის? ჩემმა უბედურებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ჩემი ოჯახი: მე ბრმა, გოგონა მცირეწლოვანი, სკოლის მოსწავლე. ვინ იყო ჩვენი იმედი და ნუგეში, ვინ მოგვაწოდებდა ერთ ლუკმა პურს? დავიწყე ოჯახის ზედმეტი ნივთების გაყიდვა, მერე, საჭირო და აუცილებელი საგნებიც ზედ მივაყოლე, დაგვრჩა მარტო ლოგინი და რაც ზედ გვეცვა. იმ მძიმე და საბედისწერო დღეებში ბევრჯერ ვიფიქრე თავის ჩამოხრჩობა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავცილებოდი ჩემი ოჯახის ტრაგედიას, მაგრამ როგორც კი მომაგონდებოდა ჩემი ნანული, რომელიც უპატრონოდ და წყალწაღებულის მდგომარეობაში დარჩებოდა ჩემი სიკვდილის შემდეგ, ძალაუნებურად გადაწყვეტილებაზე უმალვე ხელს ვიღებდი: მეცოდებოდა ნანული. მამით ობოლი, უჩემოდ ხომ სულ გაუბედურდებოდა... აი სწორედ ამ მძიმე დროს უსინათლოთა საზოგადოება დამეხმარა, ამიყვანა აღრიცხვაზე და პირველ კომბინატში მომცა სამუშაო. მე კომბინატის სართავ საამქროში დავიწყე მუშაობა და ჩემი ალალი შრომით ვინახავდი ჩემს საყვარელ გოგონას — ნანულის. ჩემი შრომით და კომბინატის დახმარებით გოგონამ წარჩინებულად დაამთავრა საშუალო სკოლა, მერე უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტი. ამჟამად ჩემი ქალიშვილი აკადემიაში მუშაობს და დიდი პატივისცემით სარგებლობს.

სამუშაოზე, სკოლაში წასვლამდე, გოგონას მივყავდი, იქიდან ისევ ნანულის მოვყავდი. ასე ერთმანეთის დახმარებით ჩვენი ოჯახის კერა არ ჩავაქრეთ. კომბინატში ოცდახუთი წლის მუშაობის შემდეგ პენსიაზე გავედი. ახლა მე პენსიას ვღებულობ, ნანული კი ხელფასს. კომბინატში აღარ ვმუშაობ, მაგრამ უსინათლოთა საზოგადოება მაინც პატივსა მცემს, ორი საგზური მომცეს ჩემთვის და ჩემი ქალიშვილისთვის და აქ გამოგვგზავნეს დასასვენებლად. ახლა მე სიკვდილზე სავსებით აღარა ვფიქრობ, სიცოცხლე ძვირად მიღირს და კვლავ დიდხანს მინდა დავტკბე სიცოცხლით...

დარეჯანმა სული მოითქვა, შეისვენა და განაგრძო:

— პენსიაში ვარ, მაგრამ ამ მდგომარეობაშიც გულხელდაკრეფილი როდი ვზივარ სახლში: მთელი დღე ოჯახური საქმეებითა ვარ გართული: ლოგინებს ვასწორებ, ტანსაცმელს ვწმინდავ, საჭმელს ვაკეთებ, ჭურჭელსა ვრეცხავ... ოჯახში ბევრი საქმეა გასაკეთებელი. დილით ნანულის ბაზრიდან სურსათსანოვაგე მოაქვს, მე კი კერძს ვამზადებ. ერთი სიტყვით, მეც ადამიანურ ცხოვრებას მოვესწარი და ჩემი ნანულიც კარგი მოქალაქე გავზარდე. ახლა კი, მგონია, ხანგრძლივი სიცოცხლის მეტი არაფერი მინდა...

ამ ლაპარაკის დროს ჩვენ მოგვიახ-

ლოვდნენ ქალი და კაცი, ქალი დარეჯანს მოუჯდა გვერდით, მამაკაცი — მე. ესენი დარეჯანის ნაცნობები გამოდგნენ, ქალს არუსიაკი ერქვა, მამაკაცს — გურგენი.

— მეგობრებო, რატომ კინოსურათს არ უყურებთ? — შეეკითხა დარეჯანი.

— ეგ სურათი თბილისში გვაქვს ნანახი, — უპასუხა არუსიაკმა. დარეჯანი ერთ წამს გაჩუმდა, მერე მიუბრუნდა გურგენს და უთხრა:

— აბა, გურგენ, მოდი შენი ცხოვრების ამბავი პატივცემულ წერუნსაც მოუყევი, მწერალი კაცია, შენი თავგადასავალი მისთვის საინტერესო იქნება.

გურგენი ადგილზე შეიშმუშნა, მაგრამ ხმა არ ამოიღო.

— გვიამბე, გურგენ, — მივმართე მე, — მზად ვარ გულდასმით მოგისმინო.

— აბა რა გიამბოთ, ჩემს თავგადასავალში სასიხარულო არაფერია, მწუხარება კი, რომ იტყვიან, ფუთობითაა. ძალზე მოგაწყენთ..

გურგენს ლაპარაკი უძნელდებოდა, ენა ჩლუნგი იყო, სიტყვებს ძლივს გამოსთქვამდა.

— არაფერია, დაიწყე. ნაღვლიანია თუ მხიარული, ჩვენ სიამოვნებით მოგისმენთ. ნუ გეშინია, ჯარიმას არ გადაგახდევინებთ — ხუმრობით გავამხნევე მე.

— გურგენჯან, ნუ გერიდება, ესენი ჩვენი უფროსი და-ძმები არიან, ხათრს ნუ გაუტეხავ, — ჩაერია ცოლი — არუსიაკი.

— მე დავიბადე თბილისში, 1933 წელს, — დაიწყო გურგენმა სიტყვების დამარცვლით, — ერთი წლისა ვიქნებოდი, როცა დედა გარდამეცვალა. მამაჩემი იძულებული გახდა მეორე ცოლი შეერთო. დედინაცვალს ძალიან არ ეპიტნავებოდა ჩემი მოვლა-პატრონობა, მაგრამ მამა ჩემის შიშით თუ ხათრით ნაძალადევ მზრუნველობას მიწევდა.

ოთხი წლისა ვიყავი, როცა ერთ საღამოს ოჯახში მილიციის თანამშრომლები გვეწვივნენ და მამა დააპატიმრეს. კარგად მახსოვს, გამომშვიდობების დროს, მამაჩემმა ამიყვანა და თვალცრემლიანმა დამკოცნა. ჩემს მეხსიერებაში ნათლად აღიბეჭდა მისი მსხვილი თვალები, ყავისფერი თმები; მამა წაიყვანეს და რაღაც ბოროტმოქმედების გამო ციხეში ჩასვეს, მერე კი შორს, ციმბირში გადაასახლეს. იმ დღიდან მე იმის შესახებ აღარაფერი გამიგია. ჩვენი ცხოვრება გაძნელდა, ლუკმაპურის ნატრული გავხდით. ჩემმა დედინაცვალმა წამიყვანა და საბავშვო სახლში მიმაბარა. ვიზრდებოდი ობოლ ბავშვებთან ერთად. როცა თექვსმეტი წლისა შევიქენი, საბავშვო სახლის ადმინისტრაციამ სადგურ ნავთლუღში გამაწესა სამუშაოდ. ასე თუ ისე, ჩემი ცხოვრება როგორღაც აეწყო: საარსებო ლუკმა საშოვარი აღარა მქონდა. სამი წლის წინათ, ერთ საღამოს, ჩემი დაუდევრობისა თუ გაუფრთხილებლობის გამო, როცა რკინიგზის ლიანდაგზე გადავდიოდი, სამანევრო მატარებლის ვაგონი დამეჯახა და კარგა მანძილზე გადამაგდო. მე მიწაზე დავენარცხე და გონება დავკარგე. წამიყვანეს რკინიგზის საავადმყოფოში, სადაც ხუთი თვე მკურნალობდნენ. თავის შერყევის გამო მხედველობა დამზიანებოდა. ახლა ძალიან ცუდად ვხედავ, თანაც, ერთი ფეხითა ვკოჭლობ. საავადმყოფოს ერთერთმა მუშაკმა თავის სახლში წამიყვანა, თავისი მეზობელი არუსიაკი გამაცნო და მალე ჩვენ შეეუღლდით. ამჟამად ვცხოვრობთ ნავთლუღის გარეუბანში. ჩვენთან ერთად ცხოვრობს არუსიაკის მამა, პატიოსანი და ტკბილი მოხუცი, პენსიონერი. მე და არუსიაკი ნავთლუღის უსინათლოთა გაერთიანების კომბინატში ვმუშაობთ და კარგადაც ვცხოვრობთ...

გურგენი ერთ წამს შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, დაისვენა. მე მაინტერესებდა, თუ რა ბედი ეწია გურგენის მამას, აგრეთვე — დედინაცვალს. როცა

ამის შესახებ შეკითხვა მივეცი, გურგენმა ჩაახველა და დაიწყო:

— ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ მე ბოლოს მამაჩემს შევხვდი. მას გადასახლებაში ორი-სამი წელი დაეყო, ბოლოს გამართლებულიყო და დაბრუნებულიყო თბილისში. დედინაცვალს ჩემს შესახებ ეთქვა, ავად გახდა და მოკვდაო, ჩემი საბავშვო სახლში ყოფნა დაემალა. მამაჩემზე ძალიან ცუდად ემოქმედა ამ ამბავს, ბევრი ეტირა, თავპირი გამოეთქვიფა, მაგრამ რაღას გააწყობდა, შერიგებოდა ამ მწარე ამბავს. შარშან, ამხანაგთან ერთად, დახურულ ბაზარში გავიარეთ, იქ სასადილოში შევედით ლუდის დასალევად და საუზმისათვის. სასადილოში ჩემი ყურადღება მიიპყრო ოფიციანტმა — თეთრფართუკიანმა ხანში შესულმა კაცმა. მას დიდრონი თვალები ჰქონდა, ყავისფერი თმები, და რაც მთავარია, ვიღაცამ ავეტიქა (მამაჩემის სახელი) დაუძახა. გული კინაღამ საგულედან ამომივარდა, ავფორიაქდი. მე თვალს ვერ ვაშორებდი ოფიციანტს. მან შენიშნა ეს, დაინტერესდა, მოვიდა, გვერდით მომიჯდა და სახელი მკითხა. ჩემი სახელის გაგონებაზე ხელი შუბლზე მიიდო, მწუხარებით ჩაქინდრა თავი და წაილუღლუღა: „ეჰ, ჩემს შვილსაც გურგენი ერქვა, მე იგი ოთხი წლისა დავკარგე“...

ეს რომ თქვა, თავში თითქოს რაღაცამ დამკრა და მთელ სხეულში გამირბინა. ხელფეხი ამიკანკალდა, წამოვხტი და შევძახე: — მამა... „შვილო, გურგენ“... — აქვითინდა მოხუცი და ერთმანეთს გულში ჩავეკარით. დიდხანს ერთი მეორეს ვეხვევოდით, მამაშვილური სიყვარულის გრძნობით გაბრუებულნი, და თან ვქვითინებდით. — „ახ, ჩემო შვილო, გენაცვალოს მამაშენი, ნეტა იცოდე თუ როგორ ვიტანჯებოდი, რამდენი ღამეები გამითენებია შენზე ფიქრში...“ მოსთქვამდა იგი და ყოველი სიტყვის თქმაზე ქვითინებდა, მკოცნიდა, ისევ-დაისევ გულში მიკრავდა... როცა დავმშვიდდით, დავსხედით, მე მოკლედ ვუამბე, როგორ მოვხვდი საბავშვო სახლში, შემდეგ რკინიგზის სადგურში, „დედაშენმა კი დამარწმუნა, რომ ავად გახდი და მოკვდი. ჩემო შვილო, გენაცვალოს მამაშენი“... — ამბობდა იგი და ღაპაღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა. ჩვენმა მოულოდნელმა შეხვედრამ სხვების ყურადღებაც მიიპყრო, ყველანი განცვიფრებული გვიყურებდნენ და მათაც სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდათ... როცა სასადილოს გამგემ გაიგო საქმის ვითარება, მამაჩემი იმ დღეს სამუშაოდან გაანთავისუფლა. — ჩვენ წავედით ნავთლულში ჩემს ოჯახში.

ასე დამთავრდა გურგენის თავგადასავალი. დარეჯანს კიდევ ერთი ხანდაზმული ქალი მიუახლოვდა და გვერდით მოუჯდა. დარეჯანი კარგად იცნობდა ამ ქალის განვლილი ცხოვრების გზას და მცირე დუმილის შემდეგ მისი თავგადასავლის თხრობა დაიწყო.

— მეგობრებო, ამ ქალს ნატაშა ჰქვია. ესეც ჩვენსავით ერთი გატანჯული მანდილოსანია, იმდენი ნაღველი და სევდა უნახავს, რომ, საკვირველია, ცოცხალი როგორღა გადარჩა. ამჟამად იგი მარტოდმარტოა, უსინათლოთა გაერთიანების ნავთლულის კომბინატში მუშაობს. წარმოშობით ნატაშა კურსკის ოლქიდანაა, დიდი სამამულო ომის წინ სამანქანო-სატრაქტორო სადგურში მუშაობდა თურმე. ომი რომ დაიწყო, ძმა და მეუღლე ფრონტზე წასულან და აღარ დაბრუნებულან. მეუღლის ომში წასვლის შემდეგ ნატაშა თავისი ორი ბავშვით საცხოვრებლად მშობლებთან გადასულა. ფაშისტებს უმიზეზოდ მოუკლავთ ნატაშას მამა, ყუმბარა უსროლიათ მათი სახლისათვის და მიწასთან გაუსწორებიათ. ამ დროს ნატაშა სახლში არ ყოფილა. როცა დაბრუნებულა და ეს საშინელი სურათი უნახავს — ნანგრევებში მოყოლილა დედა და ბავშვები — კინაღამ ჭკუაზე შეშლილა... ამაზე მეტი უბედურება? თქვენ მწერალი ხართ და ადვილად მიხვდებით ამ სურათის საშინელებას, — რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ეს ბედკრული დედაკაცი!...

— არა, ამ სურათის სრული წარმოდგენა შეუძლებელია. ამას ვერავინ ვერ აღწერს, ვერც ენით გამოთქვამს, — ჩაერია არუსიაკი.

ერთ წამს მძიმე დუმილი გამეფდა.

— ნატაშა როგორ მოქცეულა? — დავინტერესდი მე.

— ქალს შეშლილივით დაუწყია ღრიალი, გამწარებულს თმები გაუწეწია და ტყეში გაქცეულა. ბევრი ხეტიალის შემდეგ პარტიზანების ჯგუფში მოხვედრილა და მათთან ერთად სასტიკი ომი გამოუცხადებია ფაშისტი დამპყრობლებისათვის. როგორც გაბედულ პარტიზანს მალე სახელი გავარდნია. რაც კი ძნელი საქმე ყოფილა, ყველაფერს ნატაშა ასრულებდა: ხიდებს აფეთქებდა, მატარებლებს ლიანდაგიდან ჩეხავდა, საწყობებს ცეცხლს უჩენდა... იბრძოდა თურმე თავზე ხელაღებულივით. არაფერი აშინებდა, არც ტყვია და არც ყუმბარა. ვინ იცის რამდენჯერ დაჭრილა, მაგრამ როგორც კი გამოჯანსაღდებოდა, უმალვე კვლავ ფრონტზე მიდიოდა და თავგამეტებით იბრძოდა საყვარელი სამშობლოს დასაცავად, მის საკეთილდღეოდ. როცა ჩვენს ჯარებს უკუუგდიათ მტერი და კურსკი გაუნთავისუფლებიათ, ნატაშა ამ დროს საავადმყოფოში წოლილა დაჭრილი, იქიდან ზურგში გამოუგზავნიათ, საავადმყოფოდან — საავადმყოფოში გადაუყვანიათ და ბოლოს თბილისში ჩამოუყვანიათ. მკურნალობის შედეგად ნატაშა მორჩენილა, ფეხზე წამომდგარა, მაგრამ ოთხმოცი პროცენტით თვალის სინათლე და ყურთასმენა დაკლებია, მთელი სხეული კი ჭრილობებით აქვს დაფარული..

— ეჰ, საშინელებაა ომი, რაც გინდა მოხდეს, ოღონდ ომი აღარ იყოს, ომი ეს უდიდესი ბოროტებაა. — დასძინა არუსიაკმა.

— მართალი ხარ, ჩემო დაო, — განაგრძო დარეჯანმა, — ომის გამჩაღებლებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ! ჩვენს მთავრობას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მთელ ჩვენს ხალხს მშვიდობა გვწყურია და არავის აქვს ნება, ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების უფლება ხელჰყოს.

ნატაშა დუმდა. მე შეგნებულად ამ წარსულის გახსენებამ გულის ძველი ჭრილობები გაუხსნა, და თვალზე ცრემლი მოჰგვარა.

კინო დამთავრდა. დამსვენებლები თავიანთ ოთახებისაკენ მიიჩქაროდნენ. ნანული და შალვაც მოვიდნენ და ჩვენც წავედით. ღუკასას არ ეძინა. თავის საწოლზე იჯდა და გველოდა. შალვამ და ღუკასამ ტანისამოსი გაიძრეს, ჩაწვნენ ლოგინში და მაშინვე ხვრინვა ამოუშვეს. მე კი დიდხანს ვიწექი და ფიქრთა მორევში დავცურავდი... ისევ თვალწინ მედგა დარეჯანის, გურგენის და ნატაშას თავგადასავალი, მათი ცხოვრების გზა და საბნის ქვეშ მარჯვენა ხელის მკერდთან ცრუ მოძრაობით მეხსიერებაში ვიწერდი, გაგონილ საზარელ ამბებს, რომ კაცობრიობას არ დაეკარგოს ასეთი ხალხის ცხოვრება...

15.

— დღეს მშვენიერი ამინდია. ცაზე ღრუბლების ნასახიც არა ჩანს. გაქათქათებული მზე უხვად აფრქვევს სხივებს. ირგვლივ სიმხიარულეა, — წარმოთქვა შალვამ და ღუკასისთან ერთად ოთახში შემოვიდა.

ისინი აღრიან ამდგარიყვნენ, გარეთ მოეკლოთ და ახლა ჩემთან მოიჭრენ. გაღვიძებული ვიყავი. ლოგინში ვიწექი და ვფიქრობდი გუშინდელ ამბებზე.

— საინტერესოა გავიგო, ყველა მწერლები ასე გვიან დგებიან? — იკითხა ღუკასმა.

— საერთოდ მწერლები ღამღამობით ეწევიან შემოქმედებით მუშაობას — იმ დროს, როცა ყველას სძინავს და ირგვლივ სიწყნარე სუფევს, ამიტომ დილით გვიანა დგებიან, — მიუგო შალვამ.

— ამ კაცს ღამე არ უმუშავია, მაშ რადა ზარმაცობს და ადრე არა დგება?!.

ღუკასის შენიშვნამ იძულებული გამხადა, ავმდგარიყავი და საჩქაროდ ჩამეცვა ტანსაცმელი. ფანჯარაში გავყავი თავი, მართლაც სასიამოვნო ამინდი იდ-

გა, წვიმის შემდეგ ჰაერი ოზონით იყო გაჟღენთილი და ყველა ზღვისაკენ მიიჩქაროდა. მე და შალვამაც გადავწყვიტეთ ზღვისაკენ გასეირნება. ღუკასი არ გამოგვყვა, შვიდი ქაღალდი და კონვერტი ამოიღო, პატარა მაგიდას მიუჯდა და სთქვა:

— სამი წერილი ბიჭებს უნდა მივწერო, სამი გოგოებს, ერთიც — ცოლსო.

კიბეებზე ჩასვლისას ივანდოს შევხვდით. მას მაწვნით სავსე ქილა ეჭირა და ზევით ამოდიოდა.

— მაროსთვის მიმაქვს, ძალიან უყვარს მაწონი — და ჩქარი ნაბიჯით აირბინა კიბის საფეხურებზე.

— ივანდო, საბანაოდ არ წამოხვალ ზღვაზე? — შეეკითხა შალვა.

— არა, ვერ წამოვალ; მარო ვერ წამოვა, მე კი უიმისოდ არსად არ წავალ. ვერ მივატოვებ მაროს. დასასვენებელ სახლს საუკეთესო აბანო აქვს, მე და მარო იქა ვბანაობთ ხოლმე.

ამის თქმა იყო და ივანდო თვალს მოეფარა. ჩვენ ეზოში ჩავედით და ალვის ხეივნით დაბლა დავეშვით. ვართანი, ილარიონი, ვალიკო და ნინო ჯოხების ბრახუნით გზას იკაფავდნენ. ყველა დამსვენებელი ჯგუფჯგუფად, ან მარტო, ზღვისაკენ მიეშურებოდა. გურგენი და არუსიაკიც შემოგვიერთდნენ.

— შვილი არა გყავთ? — შეეკითხა შალვა. არუსიაკმა ხმა არ ამოიღო. გურგენმა კი ღიმილით უპასუხა:

— ეგეც მალე იქნება. ჯერ ახალგაზრდები ვართ, კიდევ რამდენიმე თვე და!...

ხეივნიდან დაბურულ ტყეში შევედით, მარჯვნივ, პატარა ღელეში, ნაკადული მიჩხრიალებდა, ირგვლივ ფრინველების საამური ჟრიამული ისმოდა, როცა ტყიდან გამოვედით გურგენი და არუსიაკი დაგვშორდნენ, ფოსტისკენ გასწიეს.

— ნეტა დაგანახვა, რა გამხდარია გურგენი, ახალგაზრდა კაცი და ასეთი გამხდარი და უფერული?! თვალებს ახამხამებს, ძლივს ახელს, მარჯვენა ფეხსაც გაჭირვებით ადგამს. არუსიაკი კი კარგა ჩასუქებულია, ჯანმრთელი და მხიარული. აშკარად ეტყობა, რომ ცოლი რამდენიმე წლით უფროსია ქმარზე. — შალვა პატარა ხანს გაჩუმდა, მერე განაგრძო:

— ჩემის აზრით, გურგენის მეუღლე ნამდვილად კარგი ქალია. თვალი სულ ქმარზე უჭირავს, უვლის, ეფერება, მარტო არა სტოვებს, გემოვნებით აცმევს. კიდევ კარგი გურგენი მეუღლით მაინც ბედნიერია.

— კარგი მეუღლე, ჩემო შალვა, — ვუთხარი მე, — ამ ქვეყნიური სამოთხეა. აბა ვის შეუძლია ისე ნაზად მამაკაცის გულის ჭრილობების განკურნება, როგორც ქალს, მეუღლეს! მე მგონია სხვა არავის. კარგი ქალი ბულბულია, ბულბულივით უცოდველი და საყვარელი.

ასე ლაპარაკით ზღვის პირას ჩავედით. იქ აუარებელი ხალხი შეგროვილიყო. ვართანი, ილარიონი და ვალიკო უკვე ჭყუმპალაობდნენ, მარტო ნიკო იჯდა ქვიშაზე ტიტველი და მზეს ეფიცხებოდა. ზედა ტანსაცმელი გავიხადე და გვერდზე მოვუჯექი. მზის თბილი სხივები ძალზე მესიამოვნა, დიდხანს გატრუნული ვიჯექი.

— ნიკო, შენ რატომ არა ბანაობ? ამხანაგებს რად ჩამორჩი?

ჩემს შეკითხვაზე ნიკომ მხრები აიჩეჩა და მიპასუხა:

— მე ზღვაზე პირველად ვარ, დაჩვეული არა ვარ.

— შედი წყალში, მიეჩვევი. იცი ჯანმრთელობისათვის რა კარგია ზღვის წყალი? — ვურჩიე მე.

მაგრამ ნიკომ ვერ გაბედა ზღვაში შესვლა.

— სრულებით ვერა ხედავ?

— სრულებით. თვალებზე ბისტი მაქვს გადაკრული.

— დიდი ხანია?

ნიკომ ღრმად ამოიოხრა და მიპასუხა:

— დიდი ხანია. მე თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი, როცა ასე დამემართა.

მე ვთხოვე ეამბნა თავისი თავგადა-

სავალი. ნიკო ცოტა შეყოყმანდა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და დაიწყო:

— დავიბადე სამხრეთ ოსეთში, სტალინირის აღმოსავლეთით კავკასიონის კალთებზე მდებარე სოფელში. მამაჩემი ღარიბი გლეხი იყო, ჰქონდა პატარა ქოხი თავისი საბოსტნე ნაკვეთით და ქვაღორღიანი საყანე მიწით. მამაჩემი ოჯახს ძლივს არჩენდა. ღარიბი იყო, მაგრამ ზვიადი, ძალიან ეჯავრებოდა სოფლის კულაკები და ბობოლები. თავის სიძულვილს ამ არამზადა წურბელების მიმართ არცა მალავდა. ჩვენს გვერდით სახლობდა შეძლებული გლეხი, ნამდვილი კულაკი. ამ ბობოლას თვალი სულ ჩვენს პატარა ქოხზე და ბაღ-ბოსტანზე ეჭირა, უნდოდა ხელში ჩაედო და გაფართოებულიყო. ერთი ხანობა მცირე საფასურსაც იძლეოდა, მაგრამ მამაჩემი დიდ უარზე იდგა და მართალიც იყო: რომ გაეყიდა, ცოლშვილი სადღა წაეყვანა? შემოდგომის ერთ უბედურ დღეს მამაჩემი შეშის მოსატანად წავიდა ტყეში და უკან აღარ დაბრუნებულა: ვიღაც თავდამსხმელების მსხვერპლი შეიქნა. საბრალო დედაჩემი დილიდან საღამომდე ტირილ-გოდებაში ატარებდა, თავპირს და მუხლებს ითქვეფავდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მამაჩემის მკვლელობაში მეზობლის ხელი ერია. მაშინ მე თხუთმეტი წლისა ვიყავი, სიბრაზისაგან სისხლი ყელში მაწვებოდა, ვფიქრობდი, როგორმე სამაგიერო გადამეხადა ბოროტი მეზობლისათვის. მასაც ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, წლოვანებით ცოტა უფროსი ჩემზე. ერთხელ კლდის თავზე ამ ბიჭს შემოვეყარე. მაშინვე საცოდავი მამაჩემი მომაგონდა, სიბრაზისაგან თვალები ამენთო, მივვარდი იმ ბიჭს, ხელები გადავუგრიხე, წავაქციე და ქვეშ ამოვიდე, მაგრამ როგორღაც ქვეშიდან გამომიძვრა და გამექცა. მართალია, ის კულაკის შვილი იყო, კარგა ჩასხმული, მაგრამ არც მე ვიყავი ნაკლები. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ამბავი იოლად არ ჩაივლიდა, უეჭველად დამიჭერდნენ, დამსჯიდნენ, მაგრამ არაფერი მოხდა: კულაკის შვილს თავმოყვარეობის გამო არავისთვის არ შეეჩივლა, ბოღმა გულში ჩაეკლა, და შესაფერ მომენტს ელოდა თურმე შურისძიებისათვის. ერთხელ მე სარწყავი არხიდან წყლის გადმოსაშვებად წავედი, რომ ბოსტანი მომერწყო. როცა დაღუნული წყალს ვუკვალავდი, კულაკის ვაჟი მალულად მოძეპარა და ერთი ვედრა ქვიშა სახეში შემომაყარა. ქვიშაში მინის წვრილი ნატეხები გაერია. მინის ნატეხები თვალებში მომხვდა და თვალის გუგა ჭრილობებით დამესერა. მე გონს მოვედი, უკან დავედევნე, მაგრამ ის ლანძღვა-გინებით გაიქცა და გაუჩინარდა. თვალებიდან სისხლი და ცრემლი მდიოდა, ვერაფერს ვერ ვხედავდი. დედაჩემმა მაშინვე წყლით მომბანა თვალები; ბევრნაირად ეცადა, მაგრამ მხედველობა ვეღარ აღმიდგინა—დავბრმავდი. ამის შემდეგ სოფელში ჩვენს ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა, საწყალმა დედაჩემმა სახლ-კარი და ერთადერთი მარჩენალი ძროხა გაყიდა და თბილისში გადმოვსახლდით. აქ სახელგანთქმულ თვალის სპეციალისტ ტარსაიძესთანაც კი მიმიყვანა. ექიმი ბევრს ეცადა ჩემთვის თვალის ჩინი დაებრუნებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კულაკმა კი თავის მიზანს მიაღწია: მამაჩემი მოაკვლევინა, მე დამაბრმავა და ჩვენი კარ-მიდამო ჩალის ფასად ხელში ჩაიგდო. აი, სადამდე მიდიოდა ძველად კულაკებისა და თავად-აზნაურების მუხანათობა. მალე რევოლუცია მოხდა, ცხოვრება შეიცვალა. ჩვენი სოფლის ბობოლა გაიქცა და თავიან-ფეხიანად გადაიკარგა , მაგრამ ჩვენ სოფელში აღარ დავბრუნდით. დედაჩემმა კარდაკარ სარეცხის რეცხვა დაიწყო და აღებული ფულით ძლივ-ძლიობით გვარჩენდა. ბევრი ტანჯვა-ვაება და უბედურება გამოვიარეთ, სანამ უსინათლოთა საზოგადოება დაარსდებოდა. საზოგადოების დახმარებით ოჯახი ფეხზე დავაყენე, ერთი უსინათლო ქალიშვილი შევირთე და ხელიხელ ჩაკიდებული ვშრომობდით. ოთხი შვილი შეგვეძინა. უფროსი ზეინკალია,

იმისი მომდევნო—მასწავლებელი, ორი კი ჯერჯერობით სკოლაში სწავლობს. რა იქნებოდა ჩვენი მდგომარეობა, რომ ოქტომბრის დიდი რევოლუცია არ მომხდარიყო, ალბათ შიმშილით გავწყდებოდით.

— მარტო როგორ მოხვედი აგარაკზე? — შევეკითხე მე.

— უფროსმა ქალიშვილმა მიმიყვანა სადგურში, ვაგონში ჩამსვა, და ამხანაგს ჩამაბარა.

— აბა, ნიკო-ჯან, გეყოფა მზეზე ჯდომა, ახლა წყალში შევიდეთ, ცოტა გავგრილდეთ.

მე მკლავში მოვკიდე ხელი, წამოვაყენე და ორივენი წყლისაკენ წავედით.

ტალღებში მონავარდე ამხანაგები ყიჟინით მოგვიახლოვდნენ და მათი დახმარებით ბანაობა დავიწყეთ.

ზღვა მშვიდი და წყნარი იყო, პატარა აქოჩრილი ტალღები უმნიშვნელო ბზარებს აჩენდნენ მის ზედაპირზე. ვიდექი ზღვაში და ზღვას კი ვერ ვუყურებდი. მე კი ზღვის გარდა რამდენი რამის ნახვა მსურდა! მსურდა, ერთხელ მაინც შემეხედა კავკასიონის თოვლიანი მთებისათვის, დიად საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვისათვის, კრემლისათვის, მისი ისტორიული ძეგლებისათვის, ქარხნებისათვის, მეცნიერების ტაძრებისათვის; მაგრამ რითი ვნახავდი, როცა საუკუნო სიბნელეში და წყვდიადში ვიმყოფები... და ჩემი ოცნება ოცნებადვე რჩებოდა.

ამ დროს მომიახლოვდა ვიღაც და ყურში ჩამჩურჩულა, რომ ცოტა წინ წავსულიყავი, მარცხნივ, იქ ზღვის ტალღები უფრო სასიამოვნოაო. მე ხმაზე ვიცანი ნანული.

— ნანული! — აღტაცებით შევძახე, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ჩემი ხმა წყლის შრიალმა დაჰფარა.

— რა ჩაგჩურჩულა იმ მშვენიერმა ქალიშვილმა? — შემეკითხა ვართანი.

— ნანულიმ მირჩია მარჯვნივ არ წავიდე, იქით სახიფათოა .

— რა კარგია, რომ ამ ქვეყნად ასეთი კეთილი ადამიანები ბევრია — მითხრა ვართანმა — ერთი შეხედე რა მოხერხებულად ბანაობს ის ქალიშვილი. ცოტა მოშორებით უსინათლო დედას ამხანაგებს და ლამის სულში ჩაიძვრინოს...

წყლიდან გამოვედით და ქვიშაზე წამოვწექით. ნიკო განაგრძობდა ბანაობას.

— კაცო, ნიკოს წყლისა ეშინოდა, ძალათი გავაბედინეთ · შესვლა, ახლა ისე გაერთო, რომ გამოსვლა აღარ უნდა!

— ხამია, პირველად ბანაობს ზღვაში, ხიფათი არაფერი შეემთხვეს! — ალაპარაკდნენ ამხანაგები.

ვართანი წავიდა, ხელი წაავლო ნიკოს, გამოიყვანა და გვერდზე დამისვა.

— ნიკო, როგორ მოგეწონა ზღვა, კარგია?

— ძალიან, ამიერიდან ყოველ დღე ჩამოვალ საბანაოდ.

ყველამ ტანისამოსი ჩავიცვით და მხიარული ჟრიამულით და ოხუნჯობით გავსწიეთ დასასვენებელი სახლისაკენ. კიბეებზე ასვლისას ნანულის ხმა შემომესმა — დედისათვის მკლავში გაეყარა ხელი და კიბეებზე ამოჰყავდა.

— ჩემო დაო, ნანული მართლაც სანაქებო ქალი გყოლია! ნეტარება იმ ოჯახს, სადაც ის ფეხს შესდგამს! — გამოველაპარაკე დარეჯანს.

— ჩემი ნანული ოქროა, ბაჯაღლო, ამას შემოევლოს ჩემი სიცოცხლე — მიპასუხა დარეჯანმა და წუთიერი დუმილის შემდეგ განაგრძო, — ყველაფრით კარგია ჩემი ნანული, მარტო ერთი ნაკლი აქვს, არა თხოვდება. რამდენი მთხოვნელიც მოვიდა, ყველა უარით გაისტუმრა, ჩემი მიზეზით. დიახ, მხოლოდ ჩემი მიზეზის გამო, საწყალი გოგო, ბედნიერებას თავს არიდებს. ათასჯერ ვეუბნები ვემუდარები, მაგრამ ამაოდ.

დასასვენებელი სახლის ეზოში სოლომონი ვიღაც მოხუც კაცს ეკამათებოდა. მე და შალვა რომ მივუახლოვდით მათ, სოლომონი თავაზიანად მოგვიბრუნდა და მოგვმართა:

— გაიცანით პროფესორი-ტექნოლოგი, სილვესტრი ფილატოვი. მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

პროფესორი ორივე თვალით იყო ბრმა, მიუხედავად ამისა იგი მხნე, გამრჯე ადამიანი ჩანდა და კვლავ განაგრძობდა თურმე მუშაობას თბილისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, როგორც მეცნიერი მუშაკი. პროფესორი და სოლომონი კამათობდნენ შემდეგ საკითხზე: სოლომონი ამტკიცებდა, რომ თვალების გლაუკომა გამოწვეულია სისხლის წნევითო, ფილატოვი კი საწინააღმდეგო აზრისა იყო.

— მე ათი წლის წინათ, ესე იგი 1948 წელს, დავკარგე თვალის სინათლე, ეგ მოხდა უეცრად, მოულოდნელად. თბილისის ოკულისტებმა და აკადემიკოსმა ფილატოვმა დაამტკიცეს, რომ მე დაავადებული ვარ გლაუკომით, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს სისხლის წნევა არა მქონია და არც ეხლა მაქვს. მაშასადამე თვალის ეგ დაავადება სისხლის წნევის შედეგი არა ყოფილა.

— დიახ, საუბედუროდ, თვალის მკურნალობა ჯერჯერობით ვერ დგას მეცნიერების თანამედროვე განვითარების დონეზე. ატომის საუკუნეში ვცხოვრობთ, ადამიანი ბუნების დაპყრობაში სასწაულებრივ ნახტომებს აკეთებს, მაგრამ თვალის მკურნალობა ჩამორჩა.

— მეც გლაუკომით ვარ დაავადებული, მეც სისხლის წნევამ დამიზიანა თვალები. სოლომონის მტკიცება სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს—ჩაერია შალვა.

— თქვენ ორივე გაუგებრობის ტყვეობაში იმყოფებით. სისხლის წნევას და გლაუკომას ერთმანეთთან არაფერი კავშირი არ აქვს, — დაჟინებით პასუხობდა პროფესორი.

სადილის ზარი დაირეკა და ჩვენი საუბარიც შეწყდა. ერთი ხანდაზმული დარბაისელი დედაკაცი მიუახლოვდა პროფესორს, მკლავში ხელი გაუყარა და სასადილოსაკენ წაიყვანა. ეგ ქალი ოლგა ვასილევნა იყო, პროფესორის მეუღლე.

მზეს და წყალს ჩანდა ზედმიწევნით კარგი გავლენა მოეხდინა ჩემზე, ამ დღეს თავს მხნედ ვგრძნობდი და კარგ გუნებაზე ვიყავი. გემრიელად ვისადილე, სიამოვნებით დავაყოლე ხილი და, ჩვეულებისამებრ, გავსწიე მკვდარი საათის ჩასატარებლად. დიდხანს მეძინა, როცა გამომეღვიძა, უკვე საღამოს ბინდბუნდში ეხვეოდა ჩვენი აგარაკი. გრილი და საამური საღამო იყო, ავდექი და ეზოში ჩავედი. გრძელ სკამებზე ისხდნენ დარეჯანი, არუსიაკი, ნატაშა, კიდევ ერთი ვიღაც უცნობი ქალი და ტკბილად საუბრობდნენ; შალვა, სოლომონი, და პროფესორი ფილატოვი ერთად დასეირნობდნენ და კვლავ კამათობდნენ. მე კედელს მივეყუდე და ზღვას გავცქეროდი. უცბად ისევ ნანულის ხმა მომესმა:

— ხომ არ ისურვებდით ხეივანში გასეირნებას?

— დიდი სიამოვნებით, წავიდეთ, — ვუპასუხე მე.

ნანულის მეგზურობით დაღმა დავეშვით და ხეივანში ერთმანეთის გვერდით დავსხედით დიდ ქვაზე. ირგვლივ საკმლის სუნი ტრიალებდა. ხეივანში ჩვენს გარდა არავინ იყო. შორიახლო ელექტრონის ლამპიონი ბჟუტავდა და მისი რძისფერი სინათლე ფოთლებ შორის ციმციმებდა. ზღვიდან ნაზი სიო უბერავდა და ფოთლებს აშრიალებდა. ბუნების ამ წალკოტში ახალგაზრდა ქალის გვერდით მარტოდ ყოფნამ, მისი სხეულის სითბომ, ახალგაზრდობა გამახსენა, გულმა სიჭაბუკე იგრძნო და შორეული მოგონებების ბურუსში გამხვია... ერთ ხანს სადღაც დავქროდი, ათეული წლების გადაღმა, ერთმანეთს სცვლიდა ჭაბუკობის დროისას განცდილი სიამოვნებანი... არ ვიცი როდემდის გაგრძელდებოდა ასე, რომ უცბად ნანული არ გამხსენებოდა. უმალ გონს მოვედი და იმაზე დავიწყე ფიქრი, რა თემაზე მელაპარაკა, რომ ნანულის არ მოეწყინა და უკმაყოფილო არ დარჩენილიყო ჩემთან გატარებული წუთებით. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე საუბარი ჩამომეგდო ნანულის მომავალზე და პირდაპირ შევეკითხე:

— ნანული, რატომ არა თხოულობ?

— ამ საკითხზე სხვებიც ხშირად მე-

კითხებიან. დღეს ზღვაზე რომ მივდიოდით, დედამ უკვე აგიხსნათ მგონი, —მიპასუხა ნანულიმ, და განაგრძო — აბა როგორ გავთხოვდე, დედა ვის ამარა დავტოვო, ის ხომ ბრმაა და მუდმივი პატრონობა სჭირდება?! რომ გავთხოვდე, ოჯახიდან წავიდე და ის უპატრონოდ მივატოვო ოთხკედელშუა, განა მე მშვიდად შემიძლია ეიცხოვრო? ვთქვათ, რომ იტყვიან, ზედსიძედ შემოვიყვანე ვინმე, ვინ იცის რა ბუნებისა და ხასიათის ადამიანი აღმოჩნდეს! ვაითუ დედაჩემთან საერთო ენა ვერ გამონახა, მერე? საერთოდ ხალხში გავრცელებულია, სიძეს სიდედრი არ უყვარსო. მათ შორის რომ კონფლიქტმა იჩინოს თავი, დედაჩემი ხომ უნდა დაიტანჯოს, და ისედაც ტანჯულ ადამიანს ახალი სევდა მოემატოს? ან ჩემს სიცოცხლეს რაღა ფასი ექნება, როცა ორწყალშუა ვიდგები!. მითხარით, ასეთ პირობებში რა აზრი აქვს ჩემს გათხოვებას?...

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ შვილი არ გინდათ? იცით, რა ტკბილია საკუთარ პირმშოს მოვლა-პატრონობა, აღზრდა, დავაჟკაცება...

— ეგ ჩემი ნატვრა და ოცნებაა, ბავშვები ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ამ ოცნებაზე ჯერჯერობით ზედმეტად მიმაჩნია ფიქრი. უსინათლო ქალმა ყველაფერი გააკეთა ჩემი აღზრდისათვის და დიდი უმადურობა იქნება ჩემის მხრივ, რომ ეს ამაგი ამ დავრდომილ ადამიანს არ დავუფასო, თუ გინდა ზოგიერთ პირად სიამოვნებაზე ხელის აღებაც მომიხდეს.

მე ვდუმდი. ნანულის მოყვანილი ფაქტები მართალი და დამაჯერებელი იყო.

— მთელი ცხოვრების სიამოვნებას დედის სიყვარულში ვგრძნობ. ეს კეთილშობილური გრძნობაა და ღირს მსხვერპლის გაღება. მე სხვები გამიკიცხავს მშობლისადმი უსულგულობისათვის, ამიტომ თვით უნდა ვიყო კარგი მაგალითის მიმცემი. ყოველგვარ სხვა სიამოვნებას ლიტერატურის კითხვით ვინაზღაურებ. ძალიან მომწონს პროზა, დიდი გატაცებით ვკითხულობ ჯეკ-ლონდონის, ბალზაკის, ჩეხოვის და გორკის ნაწარმოებებს. ქართველი მწერლებიდან აღტაცებით ვკითხულობ გამსახურდიას, ქიაჩელს და სხვა. ეს მწერლები საინტერესო თემებს ეხებიან, მკითხველს იტაცებენ. მომეწონა აგრეთვე თქვენი მოთხრობები.

ნანულის სიტყვა დაუმთავრებელი დარჩა, ლამპიონის მკრთალ შუქზე ადამიანების სილუეტები გამოჩნდა და მალე ჩვენ წინ აიტუზნენ შალვა, დარეჯანი, არუსიაკი და გურგენი.

— ბატონო წერუნ, ეს როგორ მოხდა, ჩემი ქალიშვილი მოიტაცე და აქ მოიყვანე, — წამოიძახა დარეჯანმა.

— ეს დამნაშავე არ არის, პირიქით, მე გამოვიტაცე! — მხიარულად წამოიძახა ნანულიმ.

ისინი გვერდით დაგვისხდნენ, და საუბრის თემაც შეიცვალა.

— როგორც კი ჩემი ნანული თვალიდან გადამცდება, პირდაპირ ჭკუა-გონებასა ვკარგავ. ჩემი ნანული, ჩემი იმედი და ნუგეში, მაგას ენაცვალოს დედა! — ჩივილით ამბობდა დარეჯანი.

ჩვენ ხეივანში კარგა ხანს დავრჩით და გული ვიჯერეთ საუბრით.

16.

დღეს დილიდან ისევ ზღვისპირას ვიყავით. კვირა დღეა, მთელი ციხისძირი აქ არის, დამსვენებლების ჟრიამულს საზღვარი არ უჩანს.

დარეჯანმა და ნანულიმ ტანსაცმელი გაიხადეს და ქვიშაზე გაწვნენ. მეც ასევე მოვიქეცი.

— ბატონო წერუნ, ჩვენ ორივე ვერაფერს ვხედავთ, ალბათ, სასაცილოები ვართ გახდილები, არა? — ხუმრობით წარმოთქვა დარეჯანმა.

— სამაგიეროდ, ნანული ორივეს გვხედავს, — მხიარული ტონით ვუპასუხე მე.

ჩემს პასუხზე ნანულიმ გულიანად გადაიხარხარა და დიდხანს კისკისებდა. ამ დღეს ნანული განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყო, მიუხედავად ხანდაზმუ-

ლობისა დარეჯანიც ძალზე სიცოცხლით სავსე ჩანდა. ჩვენ სამივე წყალში შევედით, დარეჯანი იქვე ნაპირზე ჩამოჯდა ქვებზე, ნანული კი ზღვის ტალღებში თევზივით ფართხალებდა. ჰაერში დროგამოშვებით გრიალით დაფრინავდნენ თვითმფრინავები.

„ნეტავ მეც მფრინავი ვყოფილიყავ, მეფრინა მაღლა, სულ მაღლა, ცის ლაჟვარდში. ავფრენილიყავი მთვარეზე, მარსზე და სხვა პლანეტებზე, მთელი სამყარო შემომევლო“... — ვფიქრობდი მე.

— ზღვაში დგახართ, რაღა გაქვთ საოცნებო, ბატონო მწერალო? — მომესმა ნანულის მხიარული ხმა.

ნანულის ხმის გაგონებაზე მაშინვე წყალში ჩავჯექი, ხელების ტყაპუნი დავიწყე და თან სახოტბო სიტყვებს ვთავაზობდი ნანულის... იგი გულდასმით მისმენდა და ხანდახან მერცხალივით ქღურტულებდა:

— გეყოთ, კმარა, ბატონო წერუნ, მაგდენი ქების ღირსი არა ვარ!

როცა წყლიდან გამოვედით და თბილ ქვიშაზე დავწექით, დარეჯანმა თქვა:

— თუმცა ბრმა ვარ, არაფერს ვხედავ, მაგრამ სიცოცხლე მაინც მწყურია, მინდა დიდხანს ვიცოცხლო, სულ დიდხანს...

— და რაც დიდხანს იცოცხლებ, დედი, ჩემთვის მით უკეთესი იქნება, ჩემი ბედნიერებაც გახანგრძლივდება! — გაამხნევა ნანულიმ.

სადილობის დრო იყო, მაგრამ ამ დღეს ზღვა ისეთი სასიამოვნო იყო, რომ გვეძნელებოდა მიტოვება. უგუნებოდ ჩავიცვით ტანსაცმელი და გზას გავუდექით დასასვენებელი სახლისაკენ. წინ მე და ნანული მივდიოდით, უკან დარეჯანი და არუსიაკი მოგვდევდნენ, ბოლოს ხელიხელ ჩაკიდებული გურგენი და ნატაშა მოდიოდნენ. ამ დღეს შალვა ჩვენთან არ იყო. დილიდანვე ბათუმში იყო წასული ძველი მეგობრების სანახავად.

აღმართზე რომ ავედით, მაღალი ალვის ხეების ქვეშ ერთ წამს შევჩერდით, ლრმად ამოვისუნთქეთ.

— ბატონო წერუნ! რომანი თუ არა პატარა ნარკვევი მაინც დაწერეთ ამ დასასვენებელი სახლის შესახებ. დაე, ხალხმა გაიგოს თუ როგორ უხდებათ ცხოვრება ამ დავრდომილ ადამიანებს.— მთხოვა ნანულიმ.

— კარგი აზრია, — ჩაერია საუბარში დარეჯანი, — მე ვუერთდები ჩემი ქალიშვილის თხოვნას. და თუ ვინიცობაა ჩემზე ლაპარაკი მოგიხდეთ, დასწერეთ ასე, რომ თუმცა მე ბრმა ვარ, ვერაფერს ვხედავ, მაგრამ გული ამ ზღვასავით ღია და ფართო მაქვს. სულიერად მხნედა ვარ და იცით რატომ? იმიტომ, რომ სამშობლომ ნანულისთანა ქალი აღმიზარდა, გარს მარტყია კარგი ამხანაგების ფართო წრე და დინჯ, წყნარ ცხოვრებას მოვესწარი!...

ჩვენ გზა განვაგრძეთ და მალე დასასვენებელ სახლში გავჩნდით. ღუკასი საწოლზე იჯდა და წერილსა კითხულობდა.

— დღეს მე სამი წერილი ერთად მივიღე, ცოლისაგან, უფროს ვაჟისაგან და პატარა გოგონასაგან. ქალი მწერს, რომ თავს კარგად მოვუარო, ზღვაში ფრთხილად ვიბანავო და არ გავცივდე. ვაჟიც ასეთივე დარიგებას მაძლევს.

ამ დღეს იგი ძალიან კარგ გუნებაზე იყო.

დაღამდა. შალვა ბათუმიდან შექეიფიანებული დაბრუნდა და მხიარული ხმით გვითხრა:

— არაფერია იმაზე კარგი, როცა ძველ მეგობრებთან ერთად დროს ატარებ. რამდენი რამ გავიხსენეთ, რამდენი ვიოხუნჯეთ... ასე მეგონა გავჯიელდიმეთქი.

17.

მეორე დღისით რომ ავდექით, შალვამ გამომიცხადა, აქედან წასვლამდე ორ ნახევარი დღეღა დაგვრჩაო.

— ე. ი. სულ რაღაც ორმოცდათვრამეტი საათი... — დავსძინე მე.

— ბარემ წუთები და წამებიც იანგარიშეთ, — გამქირდავი ღიმილით შეგვნიშნა ღუკასმა.

ყველას გაგვეცინა იმის ოხუნჯობაზე.

შალვა მეტისმეტად დაღონებული იყო: წასვლა ჯერ არ უნდოდა. მას ისე მოეწონა დასასვენებელი სახლი, რომ სიამოვნებით დარჩებოდა დიდხანს.

აივანზე გურამი ისევ თავის ადგილზე იჯდა, წინ „ვეფხისტყაოსანი“ ედო და ფურცლავდა. გურამის მამა, სოლომონი, ეზოში გველოდებოდა. როცა მე და შალვა მივუახლოვდით, მან მეორე სართულის აივნისაკენ მიგვახედა და გვითხრა:

— აბა შეხედეთ, პროფესორი ფილატოვი ოთხმოცი წლის მოხუცებულია, მაგრამ რა მარჯვედ ვარჯიშობს. თურმე ყოველ დილით ტანსაც იზელავს ცივი წყლით. პროფესორის მეუღლემ მითხრა.

— ტანვარჯიში, რასაკვირველია, კარგია, ტანის დაზელვაც სასარგებლოა სხეულის გაკაჟებისათვის, მაგრამ თუ უსულგულო მეუღლე ჰყავს ადამიანს, მაინც არაფერი უშველის — ყინულივით დადნება. პროფესორის სულიერი მხნეობის საწინდარი, უპირველეს ყოვლისა, ოლღა ვასილევნაა. ამ ქალის ყოველდღიური მზრუნველობა აკაჟებს პროფესორს ყველაზე მეტად. მე ასე მგონია. — სთქვა შალვამ.

ტანვარჯიშის შემდეგ პროფესორი ცოლის დახმარებით ეზოში ჩამოვიდა, პატარა ხანს ისეირნა და მერე სასაუზმედ წავიდა.

ამ დღეს ივანდო და მისი მეუღლე მარო საუზმეზე არ მოვიდნენ, მათი ადგილები თავისუფალი იყო. როცა სასადილო ოთახიდან გამოვედით, ტალანში აურზაური იდგა. ივანდო გაგიჟებული აქეთ- იქით დარბოდა, ექიმს დაეძებდა.

— რა მოხდა, ივანდო? — დავინტერესდით ჩვენ.

— მარო, ჩემი მარო ავადაა, სიცხე აქვს, — აღელვებით გვიპასუხა ივანდომ.

დარეჯანმა, ნანულიმ და არუსიაკმა აგვიხსნეს, რომ მაროს ავადმყოფობა საშიში არ არის, უბრალო ამბავია, კუჭი აქვს აშლილი და მეტი არაფერიო.

— გიჟივით უყვარს თავისი ცოლი. საკმარისია, მარომ წამოიკვნესოს, დაამთქნაროს ან წამოახველოს, რომ ივანდომ თავგზა დაკარგოს, გადარეულივით ირბინოს, არ მოისვენოს დილიდან საღამომდე ივანდო ჩვენი ოთახის კართან არის ატუზული, ვიდრე მარო გამოვა და მხიარული ღიმილით შეეგებება, — ამბობდა ნანული.

— ქალს ასეთი ქმარი უნდა ჰყავდეს, ასეთი თავდადებული და მოსიყვარულე, — დასძინა დარეჯანმა.

ამ დღესაც აუარებელი ხალხი იყო ზღვის პირას, ჩვენი დასასვენებელი სახლის მოაგარაკენი ყველანი აქ ირეოდნენ, ნიკო და ილარიონი წყალში დათვებივით ფართხალებდნენ და მხიარული ხუმრობით ერთობოდნენ. ალექსი მიხაილოვიჩიც თავის გამცილებელთან ერთად ბანაობდა. ჩვენი ჯგუფიც — არუსიაკი, ნანული, დარეჯანი და გურგენი — იქ იყო, ნანული დედას შველოდა, მეც მაფრთხილებდა შორს არ წავსულიყავი, მფარველი ანგელოზივით თვალყურს მადევნებდა. უეცრად პატარა ბავშვივით ანცობა დავიწყე, შევცურდი წყალში, კარგა მანძილი გავიარე და დავიძახე:

— მშვიდობით, მე მივდიყარ, კმარა სიცოცხლე, გისურვებთ ბედნიერებას და ჯანმრთელობას.

და ერთ წამს წყალში ჩავყვინთე.

— ვაი, ვაი, — წამოიყვირეს ქალებმა, მაშინვე ჩემთან გაჩნდნენ, ერთმა მკლავში ჩამავლო ხელი, მეორემ — ფეხში და უკან გამომწიეს. მათ შორის ერთერთი ნანული იყო. უმალვე ამოვხტი წყლიდან და გავიღიმე.

— ბატონო წერუნ! ასეთი ხუმრობა შეიძლება ზღვამ ძალიან ძვირად გიანგარიშოთ! — საყვედურით მითხრა ნანულიმ. — ზღვასთან ანცობა არ შეიძლება, ზღვა თვალწარმტაცი, მაგრამ ბოროტი ქალწულივითაა: გულში ჩაგიკრავს, მგრძნობიარე სატრფოსავით მოგეფერება, მერე გადაგყლაპავს და უფსკრულისკენ გაგაქანებს.

საღამოს ბათუმიდან მომხსენებელი ჩამოვიდა, ყველა შევგროვდით დარბაზში და საერთაშორისო საკითხზე მოხსენება ჩაგვიტარა. ორატორმა ერთი საათი

ილაპარაკა, დაწვრილებით ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო მდგომარეობას, ვრცლად შეჩერდა ახლო და შუა აღმოსავლეთის, მეტადრე ლიბანისა და იორდანიის ამბებზე: კოლონიზატორები ამ ქვეყანაში საფრთხეს უქმნიდნენ მშვიდობას. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. პირველმა გურგენმა ილაპარაკა. მან მკაცრად გააკრიტიკა ომის გამჩაღებლები და მტკიცედ დაიცვა არაბი ხალხების სასიცოცხლო ინტერესები — მათი დამოუკიდებლობა. მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მიხაილოვიჩმა.

ლექციის შემდეგ ეზოში სახელდახელო ცეკვა გაიმართა. ჩვენი ჯგუფიდან ცეკვაში მონაწილეობა მიიღო ნანულიმ და ნატაშამ.

— ნანული ცეკვაშიც მარჯვე ქალი ყოფილა, — აღტაცებით ამბობდა შალვა.

— მე განსაკუთრებით ნატაშას მხიარულება მახარებს, იმდენი მწუხარება გამოუვლია, რომ წარსულის დავიწყება ნამდვილად უპრიანია მისთვის! — ჩაერია დარეჯანი.

გვიან დაიშალნენ მოცეკვავენი. ამის შემდეგ წყვილ-წყვილად დავსეირნობდით ხეივანში და ვსიამოვნებდით საღამოს საამური ნიავით. ნანული გვერდით მომდევდა, ოხუნჯობდა, ტკბილად მესაუბრებოდა. მაგრამ, როცა შალვამ ჩამოაგდო საუბარი ჩვენს გამგზავრებაზე, ნანული ძალიან დაღონდა და სერიოზულად შეგვეკითხა:

— მართლა ამოიწურა დასვენების დრო, თუ ბატონი შალვა ხუმრობს?

— ზეგ უნდა გავემგზავროთ. სულ ორი ღამეღა დაგვრჩა, — უპასუხა შალვამ.

— აფსუს, რომ მიდიხართ: ჩვენ საუკეთესო კომპანია შევქმენით და დროსაც კარგად ვატარებდით, — წარმოსთქვა დარეჯანმა.

18.

დილიდანვე ჩვენი აგარაკი ნისლში იყო გახვეული. მზე ხან გამოანათებდა, ხან ღრუბლებს ეფარებოდა. სუსტი ნიავი ქროდა. დღეს ზღვისპირას ხალხი კანტიკუნტად ჩანდა. არც მე და შალვა წავედით, მთელი დღე ოთახში ვიყავით გამომწყვდეული.

მთელი დღე უხალისოდ გავატარეთ, თითქოს პირქუშმა ამინდმა ჩვენს გულშიაც დაისადგურა.

საღამო ჟამს ჩვენთან შემოვიდა ვართანი და კვლავ საუბარი გაიბა ჩვენი გამგზავრების შესახებ.

— ახლა თქვენ წასვლამდის რამდენი საათი, რამდენი წუთი და რამდენი წამია დარჩენილი? — ღიმილით შეგვეკითხა ღუკასი.

— წავალთ, სულ მალე, ერთი ღამეღა დაგვრჩა, — ვუპასუხე მე.

— არ გეგონოთ, მეგობრებო, რომ მე თქვენი წასვლა მსურდეს, პირიქით, ხომ გაგიგიათ, შეჩვეული ჭირი სჯობია, შეუჩვეველ სიკეთესო. ახლა იმის ფიქრში ვარ, ვინ შეგცვლით თქვენ, რა ხასიათის მეზობლები გვეყოლება, — წარმოთქვა ღუკასმა.

— ნანული დღეს ძალიან მოწყენილია! — სთქვა ვართანმა.

— გუშინ საღამოს, როცა ჩვენი წასვლის ამბავი გაიგო, ძალიან დაღონდა. — თქვა შალვამ.

— შეყვარებულია შენზე, წერუნ, ნამდვილად შეყვარებულია...

— კაცო რაებსა ბოდავ, — მკვახედ მოვუჭერი სიტყვა ვართანს, — მე ცოლშვილიანი კაცი ვარ, ხანდაზმული, ესეც არ იყოს სად მე და სად ის. განა ქალისა და კაცის მეგობრობაში მოციქული უსათუოდ სიყვარული უნდა იყოს?...

— ეჰ, სიყვარულმა წლოვანება არ იცის: მოხუცსა თუ ახალგაზრდას ერთნაირად ედება ცეცხლივით... — ისევ ოხუნჯობდა ღუკასი.

— ნანული ძალიან ახალგაზრდა როდია, ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული იქნება, თმაში თეთრი აქვს გამორეული. სახე სუფთა და ნორჩი აქვს, მიხვრა-მოხვრაც ცქვიტი, მაგრამ ამით მისი ასაკი როდი კლებულობს, — ღუკასს მხარი აუბა ვართანმა.

შალვა მიხვდა, რომ ვართანი და ღუკასი ხუმრობდნენ, ჩემს გახელებას

ცდილობდნენ, ველარ მოითმინა და დამშვიდება დამიწყო.

— ჩემო წერუნ, ნუ ფიცხობ, ნერვებს ნუ იშლი, ეგენი ხუმრობენ. ამათაც კარგად იციან, რომ ნანულის კი არ უყვარხარ, არამედ ებრალები; მათაც იციან, რომ ნანულისთანა კეთილი და მგრძნობიარე გული ყველა ქალს როდი აქვს...

ამ დროს ჩვენს ოთახში სოლომონი და გურამი შემოვიდნენ და ამაზე საუბარი შეწყდა. სოლომონმა შვილი სკამზე დასვა, თვითონ კი საწოლზე ჩამოჯდა.

— ახლა მეგობრებო, უკანასკნელი საღამოა, მოდით დღეს ზღაპრები, ანეგდოტები ვთქვათ მოკლეთ, გასართობ ამბებზე ვისაუბროთ, — თქვა შალვამ და მოხერხებულად მოეწყო თავის საწოლზე.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული და ყველანი მოემზადნენ მოსასმენად. პირველმა ვართანმა წამოიწყო. ჩაახველა, ხმა დაიწმინდა და დაიწყო:

— ქალაქ ბაღდადში ერთი დესპოტი მეფე ცხოვრობდა თურმე. მას არ მოსწონდა, როცა მისი ქვეშევრდომები მხიარულად დროს ატარებდნენ, და გადასწყვიტა ბოლო მოეღო მათი გართობისათვის. ამ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ღარიბ-ღატაკი ხელოსანი, დღედაღამ ეს კაცი თავის ქოხში ჩონგურს უკრავდა, ქეიფში და ღრეობაში ატარებდა დროს. დესპოტმა მეფემ პირველად მიზანში ეს კაცი ამოიღო...

მე უკვე მივხვდი, ვართანი რომელი მწერლის ზღაპარს ყვებოდა, მაგრამ არ შევაწყვეტინე, გული არ გავუტეხე და დუმილი ვარჩიე.

— ეგ ხომ ოვანეს თუმანიანის ზღაპარია „მოქეიფეს ქეიფი არ გამოელევა“. ეგ ძველი ამბავია, შენ ახალი სთქვი! — შეაწყვეტინა ლუკასმა.

ლუკასის შენიშვნამ ვართანი დააბნია. მას ეს ზღაპარი გაეგო, მაგრამ არ იცოდა, ავტორი რომ ოვანეს თუმანიანი იყო. ვართანის გაჩუმებით ლუკასმა ისარგებლა და ქორ-ოღლის ცხოვრებიდან ერთი იუმორისტული ეპიზოდი გვიამბო.

— კაცო, ეგ ხომ ანიზამის „ქორ-ოღლია“, — თავის მხრივ აიქოჩრა ვართანი, — მეც არა ვთქვი, ახალ საინტერესო ამბავს ყვებოდი. — თავის მხრივ ნიშნი მოუგო ვართანმა.

ვართანის და ლუკასის შეკინკლავებაზე ჩვენ ბევრი ვიცინეთ, შემდეგ ორიოდე სამხიარულო ამბავი მოვუყევით ერთმანეთს და დავიშალეთ.

19.

დავწექით დასაძინებლად, მაგრამ ძილი არ მომეკარა. უკანასკნელი ღამე იყო ამ ჭერქვეშ და რატომღაც ძილი გამიფრთხა, ფიქრების ქარავანმა გამიყოლა და სადღაც უდაბნოში დამაქროლებდა — თვალწინ დამიდგა ჩემი ბავშვობა, უდარდელი, ლაღი, შემდეგ სიჭაბუკის ხანა, ხანგრძლივ ტკბილ სიზმარს რომ ჰგავდა, მერე შრომა, ოჯახი, საზოგადო მოღვაწეობა... ბოლოს სიბერე, აქ, დასასვენებელ სახლში გატარებული დღეები... ახალი საზოგადოების მშენებლობაში ჩაბმული ადამიანების წრე, პატარა ადამიანები დიდი ადამიანური გულით... აი, თუ გინდა, მაგალითისათვის, ავიღოთ სოლომონი, თავისი მთელი ცხოვრება საკუთარი შვილისათვის უნაცვალებია; არუსიაკმა გული გაუთბო გურგენს, ბოროტი ადამიანის უგულობით გათანგულ ჭაბუკს; ჩინელი ივანდო ფარვანასავით დასტრიალებს ქართველ ქალს — მაროს; ახალგაზრდა ნანული უსინათლო დედის მოვლა-პატრონობას სწირავს თავს, რომ საბრალო ქალი კიდევ უფრო არ დაიტანჯოს, უპატრონობა არ იგრძნოს... აი, როგორი მაღალი გრძნობების და სპეტაკი სულის ადამიანებითა ვარ გარშემორტყმული..

მე ვერც კი ვიგრძენი როგორ შემომადნა ღამე და დილის ჟრიამულმა გამოაცოცხლა ჩვენი დასასვენებელი სახლი. საუზმის შემდეგ მე და შალვამ ჩვენი ტანსაცმელი და ნივთები ჩანთებში ჩავალაგეთ, დიასახლისისაგან საბუთები მივიღეთ და გამოვემშვიდობეთ.

როდესაც ჩვენი ბარგი-ბარხანით ეზოში ჩამოვედით, დამსვენებლები გამოეფინენ და ყველანი კეთილ მგზავრობას გვისურვებდნენ.

— მშვიდობით მგზავრობა. შაქრად შეგერგოთ აქ გატარებული დღეები! — იძახდა ერთი.

— ჩვენგან დიდი მოკითხვა გადაეცით თბილისს! — გვაბარებდა მეორე.

— მალე ჩვენც წამოვალთ! — მოგვაძახა მესამემ.

დასასვენებელი სახლის დიასახლისმა ნუნუმ და სასადილოს გამგემ თამარ სერგეევნამ დანარჩენ დამსვენებლებთან ერთად ტყის ბოლომდე გაგვაცილეს.

— მერმისაც გვეწვიეთ, ჩვენი დასასვენებელი სახლის კარები მუდამ ღიაა თქვენთვის, — გამოგვიცხადა ნუნუმ.

ჩვენ სათითაოდ გამოვემშვიდობეთ ყველას, მრავალი სიკეთე ვუსურვეთ დამრჩომებს და გეზი რკინიგზის ბაქანისაკენ ავიღეთ. რკინიგზის ლიანდაგამდე გამოგვაცილეს ღუკასმა, ვართანმა, სოლომონმა, ნანულიმ, არუსიაკმა და გურგენმა.

ჩვენ უარზე ვიყავით, რომ ბაქნამდე გავეცილებინეთ, მაგრამ არ მოგვეშვნენ.

— რა შეწუხება, რომელი შეწუხება, ჩვენ თვითონ გულით გვინდა თქვენი გაცილება, — სთქვა ნანულიმ და გვერდით გამომყვა.

— ჩვენთვის ეგ შეწუხება არ არის, არამედ სასიამოვნო გასეირნებაა, — დაუმატა არუსიაკმა.

ბამბუკის და ციტრუსოვანი ხეების ტყე ქარისაგან შრიალებდა, ზღვა შხუოდა და ტალღები მრისხანედ ეხლებოდა ნაპირებს, მაგრამ იმდენი კეთილი თვალი და გული მიგვაცილებდა, რომ პირქუში დღე უმშვენიერეს დღედ გვეჩვენებოდა.

ბაქანზე ვართ. გრიალით შემოიჭრა მატარებელი. ჩვენ გულთბილად გამოვემშვიდობეთ გამცილებლებს და ვაგონში ავედით. მატარებელი დაიძრა, ჩვენი აგარაკი უკან მოვიტოვეთ, უკან დარჩნენ ნაცნობი ადამიანებიც, მაგრამ უკან დარჩა გულიც, რომელიც მოკლე დროში ასე შეეთვისა ნანულისთანა კეთილ ადამიანებს.

თარგმანი **ივანე** და **არჩილ დავითიანებისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანაგოლი პრისგავკინი

★

მძიმე გავშვობა

პატარა მოთხრობები

ცეცხლი

ამ სულ ცოტა ხნის უკან ვეწვიე იმ ადგილებს, სადაც დავიბადე. ჩვენი ორსართულიანი სახლი, რომელიც ყველაზე დიდი იყო იმ ახლომახლო, ქვის ახალი სახლების გვერდით საოცრად პატარა მეჩვენა. შეთხელებულიყო ბაღი, სადაც გვირბენია, მიწასთან გასწორებულიყო გორაკი, სადაც გვითამაშნია, და გამახსენდა: ამ საუცხოო გორაკზე მოვახდინე უდიდესი აღმოჩენა. მე აღმოვაჩინე ცეცხლი. უკეთ რომ ვთქვათ, საოცარი ქვები, რომლებიდანაც შეიძლებოდა ცეცხლის დაკვესება. მივიყვანდი ხოლმე ბიჭებს, გავივსებდით ჯიბეებს ამ ქვებით და მერე ბნელ საკუჭნაოში მივდიოდით. იდუმალებით მოცულ ბინდბუნდში ქვას ქვაზე ვურტყამდით. და ჩნდებოდა მოყვითალოლურჯი ფერის ალი. მხოლოდ მერე მივხვდი, რომ ცეცხლს იმ ჩემი გორაკის რუხი ქვები კი არა, ჩემი ხელები აჩენდნენ. ამ საუცხოო გორაკივით მიწასთან გასწორდა ჩემი ბავშვობაც. აბა სცადე და იპოვნე კვალი... გორაკს გადაღმა ყოველი მხრით იწყებოდა ცხოვრება თავისი ნამდვილი სასწაულებით. მაგრამ რწმენა ჩემი ხელებისა, რომელთაც შეუძლიათ ცეცხლის გაჩენა, სამუდამოდ შემომრჩა. მე მონტიორად მივებარე.

ნახატი

საშა ჩემი მეგობარი იყო და კედელს გადაღმა ცხოვრობდა. მე მივდიოდი ხოლმე საშასთან, როცა ძიძა თავს ადგა, აჩქარებდა და ისიც ზანტად ამთავრებდა ალუბლის კისელს. მე არც კისელი გამაჩნდა და არც ძიძა. როკაპი დედაბერი მუდამ გარეთ მაგდებდა ხოლმე, საშა კი, ფუნთუშა, თეთრყირმიზა ბიჭი, მთქნარებით მიდიოდა, რომ სადილის მერე მოესვენებინა. ერთხელ უფროსებმა თქვეს, საშას საშიში სენი შეეყარა და მასთან სიარული სულ არ შეიძლებაო. მოვიდა ექიმი პაწია ჩემოდნით ხელში და, მეზობლებისგან რომ გამოდიოდა, თავს იქნევდა: „ცუდადაა, ძალიან ცუდადაა". საშას დედას ხელისგულები ლოყებზე მიეჭირებინა. მიყურებდა და ვერ კი მხედავდა.

მეცოდებოდა საშა. შევიპარებოდი ხოლმე სამზარეულოში და ყურს ვუგდებდი გულამოვარდნილ ხველას, ყავისფერშპალერიან ფიცრულ ტიხარს იქით რომ ისმოდა. ერთხელ ქაღალდის ფურცელზე დავხატე მზე, ბალახი და ჩემი თავი: წრე — პირისახე, ჯოხი — ტანი, და ამ ჯოხის იქით-აქეთ ოთხი ტოტი — ორი ფეხი და ორი ხელი. მერე შევედი სამზარეულოში, მივეყუდე ტიხარს და ჩურჩულით ვთქვი:

— საშა, ავადა ხარ?

— ...და ვარ, — შემომესმა ხმა.

— აჰა, გამომართვი. შენ დაგიხატე.—

ქაღალდი ჭუჭრუტანაში შევაძვრინე. იქიდან ქაღალდი დაითრიეს.

— ...ლობთ!..

კედელს გადაღმა ხველა შეწყდა. ვიღაც იცინოდა. თქმა არ უნდა, საშა იცინოდა. ფარდებჩამოფარებულ ჩაბნელებულ ოთახში მყოფი საშა ჩემი ნახატით მიხვდა, რომ გარეთ მზეა და თბილი ბალახი. და რომ ძალიან მსიამოვნებს სეირნობა. მერე გავიგონე, რომ დედამისს დაუძახა და ფანქარი სთხოვა. მალე ჭუჭრუტანაში გამოჩნდა ქაღალდის თეთრი ბოლო. ჩემს ოთახში გავიქეცი. ნახატში ცვლილება მომხდარიყო: ბიჭის გვერდით მეორე ბიჭი იდგა: წრე — პირისახე, ჯოხი — ტანი, და აქეთ-იქით ოთხი ტოტი... ბიჭი წითელი ფანქრით იყო დახატული და მე მივხვდი: ეს საშაა. მასაც უნდა მზეს შეეფიცხოს და ფეხშიშველამ იაროს. სქელი ხაზით შევაერთე ტოტები — ორი ბიჭის ხელები — ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ მაგრად ჩაეკიდათ ერთმანეთისთვის ხელები — და ქაღალდი ისევ გავაძვრინე ჭუჭრუტანაში. იმ საღამოს ექიმი მხიარულ გუნებაზე გამოვიდა მეზობლებისგან.

პირველი ყვავილები

საშას ველოსიპედი ჰქონდა. მეც მქონდა, ოღონდ იმისაზე უარესი იყო. მეზობლის გოგონა მარინა ხანდახან გვთხოვდა ხოლმე ველოსიპედს გასასეირნებლად, და ძალიან ვიტანჯებოდი, თუ ჩემი მეგობრის ველოსიპედს ამჯობინებდა.

ერთხელ საშას გამოვართვი ფერადი ტუშის ქილები, მამამისის მაგიდაზე რომ ელაგა, და გადავწყვიტე წერილის მიწერა. ჯერ გოგონასთვის წერილი არასოდეს მიმეწერა და მთელი დღე ვწერე. ყოველ სტრიქონს სხვადასხვა ფერით ვწერდი. ჯერ წითლით, მერე ლურჯით, მწვანით... მეგონა, ამაზე უკეთ ვერაფრით გამოვხატავ ჩემს გრძნობას-მეთქი.

ორი დღე არ მენახა მარინა, თუმცა ვცდილობდი სულ მის ფანჯრებთან მეტარებინა ველოსიპედი. მერე გამოვიდა მისი უფროსი ძმა და ჩაციებით დამიწყო თვალიერება. და სახეზე აშკარად ეწერა: „მე ყველაფერი ვიცი“. მერე ძმა შევიდა და მარინამ გამოირბინა. რათა ეჩვენებინა, არ გიწყრებიო, ველოსიპედი მთხოვა. ერთხელ გაატარა ყასიდად, მერე პაწია ფეხსაცმლის წვერით მიწას დაუწყო ჩიჩქნა და თან მითხრა:

— აი რას გეტყვი. გიპასუხებ წერილზე, თუ ყვავილებს მომიტან. — და მაგრად დააბაკუნა თავისი პაწია ფეხსაცმელი. — ყვავილები ახლავე მინდა!

გავქანდი ქალაქის ბაღში. ბაბუაწვერა ყვაოდა და მეც ვკრეფდი მათ, როგორც მიმოპნეულ მზის ათინათს. მალე შუა მდელოზე ყვითელი ბორცვი აღიმართა. და ანაზდად პირველმა მამაკაცურმა გაუბედაობამ შემიპყრო. რანაირად უნდა მიმეტანა მისთვის ეს ყველას თვალწინ? ყვავილებს ოროვანდის ფოთლები წავაფარე და შინ წამოვედი. უნდა დავფიქრებულიყავ და გამბედაობა მომეკრიბა.

მეორე დღეს მარინა ამხანაგებთან ერთად დახტოდა ცარცით დახაზულ ტროტუარზე და ძალიან მკაცრად შემომხედა:

— სადაა შენი ყვავილები?

ისევ გავიქეცი ბაღში. უკვე ვიცოდი, რაც უნდა მექნა. ვიპოვნე ჩემი მდელო, გადავწიე ოროვანდის ფოთლები — და გავშეშდი: ჩემს წინ დამღრალი ბალახი ეყარა. ყვავილთა ყვითელი ნაპერწკლები სამუდამოდ ჩამქრალიყო. და მათთან ერთად ჩაქრა ჩემი სასაცილო სიყვარული. მარინას იკითხავთ? მარინა მას მერე მხოლოდ საშას ველოსიპედით დასეირნობდა.

მამის სურათი

ეს ამბავი ომის დროს მოხდა. ჩვენი საბავშვო სახლის ბიბლიოთეკაში შემთხვევით წავაწყდი ერთ თხელტანიან წიგნს. ყდაზე დაბეჭდილი იყო ფოტოსურათი — ბეწვისქუდიანი, კურტაკიანი კაცი, ავტომატით ხელში. ეს კაცი ძალიან ჰგავდა მამაჩემს. წიგნი მოვიპარე, ყველაზე ბნელი კუნჭული მოვნახე, მოვახიე ყდა და უბეში ჩავიდე. და კარგა ხანს ვატარებდი ასე. ხანდახან თუ ამოვიღებდი, რომ დამეხედა. აბა რა სალაპარაკოა, რომ ეს მამაჩემი უნდა იყოს! სამი წელი იყო, რაც ომი დაიწყო, მე კი წერილებსაც არ ვღებულობდი მისგან. თითქმის დამავიწყდა კიდეც. და მაინც ვიცოდი: ეს მამაჩემია. ჩემი აღმოჩენა გავუზიარე ვოვკა აკიმცევს, ჩვენს საწოლ ოთახში ყველაზე ღონიერ ბიჭს. მან პორტრეტი ხელიდან გამომგლიჯა და გადაწყვიტა:

— სისულელეა! სადაური მამაშენია!

— მამაჩემია!

— წამო, აღმზრდელს ვკითხოთ...

ოლგა პეტროვნამ დახედა მოხეულ ყდას და თქვა:

— სად გაგონილა წიგნების გაფუჭება. და საერთოდ არა მგონია, რომ ეს მამაშენი იყოს. რატომ დაბეჭდავდნენ ვითომ? შენ თვითონ დაფიქრდი. მწერალი ხომ არაა.

— არაა. მაგრამ ეს მამაჩემია!

ვალოდკა აკიმცევმა არ მომცა პორტრეტი. დამალა და მითხრა, თავის მოწონება გინდა, ეგ სულ სისულელეა და არ მოგცემ ყდას, რომ სისულელეებს თავი ანებოო.

მაგრამ მე მამა მესაჭიროებოდა. მთელი ბიბლიოთეკა გადავატრიალე, რომ მეორე ისეთივე წიგნი მეპოვნა. მაგრამ წიგნი არ იყო. და ღამღამობით ვტიროდი.

ერთხელ ვალოდკა მომიახლოვდა და ჩაცინებით მითხრა:

— ეს თუ მამაშენია, ამის გულისთვის არაფერი არ უნდა დაიშურო. არ დაიშურებ?

— არა.

— შენს ჯაყვას მომცემ?

— მოგცემ.

— კომპასსაც?

— მოგცემ.

— ახალ კოსტუმს გამიცვლი ძველში? — და გამომიწოდა დაჭმუჭნული ყდა. — გამომართვი. არ მინდა შენი კოსტუმი. ვინ იცის, იქნებ მართლაც...

და ვალოდკას თვალებში დავინახე შური და ტკივილი. მისი მშობლები ფაშისტების მიერ დაპყრობილ ნოვოროსიისკში ცხოვრობდნენ. და მას არ ჰქონდა არავითარი ფოტოსურათი.

ჯ ა ფ ა რ ი

როცა ციმბირში ვცხოვრობდი, ჩვენი საბავშვო სახლის დარაჯი მოხუცი ჯაფარი იყო. თუმცა სულ იხოტრავდა ხოლმე თავს, მაგრამ მაინც ვერცხლის ბურთს მიუგავდა, ისეთი თეთრი თმა ჰქონდა. ლოყებსა და ნიკაპზე ამოჩროდა სქელი თეთრი ჯაგარი, როგორც მავთული საფხეკელაზე, რომლითაც ჯაფარი იატაკს ფხეკდა ხოლმე. ალბათ ძალიან მოხუცი იყო: ნელა და უხეიროდ მუშაობდა. ამბობდნენ, ჩეჩენიაო. და ცუდად რომ მუშაობდა, უფროსები ჩუმ-ჩუმად აგინებდნენ. ჩვენც უფროსებს ვბაძავდით, ოღონდ უფრო გაბედულად ვმოქმედებდით და ვცდილობდით რამე გვევნო მისთვის.

სექტემბრის ერთ თბილ დღეს მერხზე ვიჯექი ეზოში. გვერდით ჯაფარი მეჯდა. ის თითქმის თვალმოუჭუტავად შესცქეროდა მზეს, სითბოსთვის შეეშვირა სახე და ყვრიმალებზე გადაჭიმული რუხი კანი, ძველ ტომარას რომ უგავდა, სულ უკრთოდა და უცახცახებდა. ჩემთვის არც კი შემოუხედნია, უცებ მკითხა:

— სადაური ხარ, ბიჭუნა?

— მოსკოველი.

— ჰო-ო... ბე უფრო შორებელი ვარ. ჩვენში ახლა ოხ რა თბილა! — დადუმდა და გაიმეორა: — თბილა-ა...

ერთი ძანეთიანი მქონდა. თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი. მაგრამ სულ არ დამნანებია ჩემი მანეთი. ქუჩის კუთხეში მივირბინე და ჯაფარს ვაშლი ვუყიდე. კარგა ხანს ათვალიერა ვაშლი, თვალწინ ატრიალა. პატარაზე მოკბიჩა და მე დავავიწყდი. ნელის რწევით გააბა უხმო სიმღერა, და ბისი უსიცოცხლო თვალები გაიცქირებოდნენ სადღაც შორს იმ ჩის მესერიდან, რომლის წინაც ჩვენ ვისხედით.

ერთი თვის მერე ჯაფარი გაცივდა და საავადმყოფოში წაიყვანეს. მერე კი გვითხრეს, მოკვდაო. და ჩვენი ჩამრგვალებული გამგე, რომელიც საბავშვო სახლის სადილებით არჩენდა ვინც კი ნათესავი ჰყავდა, წავიდა ჯაფარის ვვამის გამოსაცნობად, მაგრამ ძალე დაბრუნდა და აგვიხსნა, ძალზე ბევრი მიცვალებულია და ვერ ვიპოვნე დარაჯიო.

— ანკი რა განსხვავებაა, — დაუმატა, — მას, როგორც უპატრონოს, საერთო სამარეში დამარხავენ.

ბიჭები ადრე დაწვნენ დასაძინებლად ცივ საწოლ ოთახში. და მაშინვე დაავიწყდათ დარაჯი. მე კი თავზე საბანი წავიხურე, რომ მორიგე ძიძას არაფერი გაეგონა. და ვტიროდი. მერე ჩამეძინა. და დამესიზმრა თბილი, თბილი კავკასია და დამესიზმრა, ვითომ მოხუცი ჯაფარი ვაშლებით მიმასპინძლდებოდა.

ფოტოსურათები

ჩვენ სახლიდან ძალიან შორს ვცხოვრობდით, მე და ჩემი დაიკო, რომელიც ექვსი წლისა იყო. მშობლები რომ არ დავიწყებოდა, თვეში ერთხელ მომყავდა ხოლმე დაიკო ჩვენს გაყინულ საწოლ ოთახში, ლოგინზე დავსვამდი და ამოვიღებდი ფოტოსურათებიან კონვერტს.

— ნახე, ლიუდა, აი ჩვენი დედა. ის შინაა, ძალიან ავადაა.

— ავადაა... — იმეორებდა გოგონა.

— ეს კიდევ ჩვენი მამაა. ფრონტზეა. ფაშისტებს მუსრს ავლებს.

— მუსრს ავლებს...

— აი ეს დეიდაა. კარგი დეიდა გვყავს.

— ამაზე ვინაა?

— ამაზე მე და შენ ვართ. აი ეს ლიუდოჩკაა. ეს კი მე ვარ.

და დაიკო ერთმანეთს შემოკრავდა პაწია გალურჯებულ ხელისგულებს და იმეორებდა: „ლიუდოჩკა და მე. ლიუდოჩკა და მე...“.

შინიდან მივიღეთ წერილი. უცხო ხელით ეწერა დედაჩვენის ამბავი. და მომინდა გავქცეულიყავი სადმე საბავშვო სახლიდან. მაგრამ აქ იყო ჩემი დაიკო. და მეორე საღამოს ჩვენ ვისხედით ერთმანეთს ჩაკრულნი და ვათვალიერებდით სურათებს.

— აი ჩვენი მამა, ის ფრონტზეა, აი დეიდა, აი პატარა ლიუდოჩკა...

— დედა სადღაა?

— დედა? რა იქნა დედა? დაიკარგებოდა სადმე... მაგრამ მერე ვიპოვნი. სამაგიეროდ ნახე, რანაირი დეიდა გვყავს. ძალიან კარგი დეიდა გვყავს.

გადიოდა დღეები, თვეები. ერთ დღეს, როცა ისე ჰყინავდა, რომ ფანჯრებში გარჭობილი ბალიშები ბომბორა თრთვილით დაიფარა, ფოსტალიონმა პაწია ქაღალდი მომიტანა. მეჭირა ხელში ეს ქაღალდი და თითები მეყინებოდა. და მუცელშიაც რაღაც მიშეშდებოდა. ორი დღე აღარ მივსულვარ დაიკოსთან. მერე კი ვისხედით ერთმანეთის გვერდით და ფოტოსურათებს ვათვალიერებდით.

— აი ჩვენი დეიდა. ნახე რა გასაოცარი დეიდა გვყავს! შესანიშნავი ქალია. აი აქ კი ლიუდოჩკაა და მე...

— მამა სადღაა?

— მამა? ახლავე მოვნახავთ.

— დაიკარგა, ხომ?

— ჰო. დაიკარგა.

დაიკომ ამომხედა კრიალა შეშინებული თვალებით და მკითხა:

— სულ დაიკარგა?

გადიოდა თვეები, წლები. და უცებ გვითხრეს, რომ ბავშვები მოსკოვს ბრუნდებიან, მშობლებთან. ჩვენც ჩამოგვიარეს რვეულით ხელში და გვკითხეს, ვისთან აპირებთ წასვლას, ვინა გყავთ ნათესავიო. მერე კი სასწავლო ნაწილის გამგემ გამომიძახა, ქაღალდებში ჩაერგო თავი და ისე მითხრა:

— ბიჭუნი, აქ სულ ცოტა ხნით რჩება ზოგი ჩვენი აღსაზრდელი. გადავწყვიტეთ შენცა და შენი დაიკოც დაგტოვოთ. დეიდათქვენს მივწერეთ, ხომ არ შეიკედლებთო. სამწუხაროდ, მან...

მე წამიკითხეს მისი პასუხი.

საბავშვო სახლში შეიქნა კარების ჯახაჯუხი, ერთმანეთს ადგამდნენ ლოგინებს, ახვევდნენ ლეიბებს. ბავშვები მოსკოვში წასასვლელად ემზადებოდნენ. მე და ჩემი დაიკო ვისხედით და არსად წასასვლელად არ ვემზადებოდით. ფოტოსურათებს ვათვალიერებდით.

— აი ლიუდოჩკა. ეს კიდევ მე ვარ.

— კიდევ?

— კიდევ? ნახე, აქაც ლიუდოჩკაა. აქაც. მეც ბევრი ვარ. ჩვენ ხომ ძალიან ბევრი ვართ, არა?

„შ ე ფ ე ბ ი“

ჩვენ ყველანი, ყიზლარის საბავშვო სახლის ბავშვები, მრავალი წელი იყო უმშობლებოდ ვცხოვრობდით და სულ დაგვავიწყდა, რა არის ოჯახური სიმყუდროვე. და უცებ მიგვიყვანეს სადგურში, გამოგვიცხადეს, რკინიგზელები თქვენი შეფები არიან და სტუმრად გპატიჟებენო. თითო-თითო ჩამოგვარიგეს. ძია ვასიამ, მსუქანმა და მხიარულმა უფროსმა, თავის სახლში წამიყვანა. მისი ცოლი ოხვრას მოყვა, საზიზღარ ოხვრას, დიდხანს მეკითხებოდა მშობლების ამბავს, მაგრამ ბოლოს შემოიტანა სურნელოვანი ბორშჩი და ტკბილი, შემწვარი კვახი. ძია ვასიამ კი თვალი ჩამიკრა და პატარა კასრიდან წითელი ღვინო გადმოასხა. თავისთვისაც და ჩემთვისაც. გავმხიარულდი. დავდიოდი ოთახებში, თითქოს რაღაც ბედნიერ კვამლში დავცურავდი, და სულ არ მინდოდა წამოსვლა. საბავშვო სახლში მთელი ის კვირა სალაპარაკოდ გვქონდა ეს დღე. „ოჯახური ცხოვრების“ უჩვეულო განცდებით აღვსილ ბავშვებს სხვა აღარაფერზე შეეძლოთ ლაპარაკი. სკოლაში კი, მერხის ახურავის შიგნითა მხარეს, სადაც ამოჭრილი მქონდა სამი ყველაზე უფრო საანუკვარი სიტყვა **ელექტრობა — ლექსები — ლიდა,** — მივაწერე კიდევ ერთი სიტყვა — **შეფები.**

ყველაზე მეტად მოსწონდა თავი ბელორუს ვილკას. ის თვით სადგურის უფროსთან მოხვდა სტუმრად, და დაებარებინა, კიდევ მოდიო. მეც ვინდოდა კარგი რამის მოყოლა ძია ვასიაზე და განვაცხადე, ის „ქვანახშირის საწყობის ყველაზე მთავარი უფროსია“ და შემიძლია გაჩვენოთ კიდეც, სადაც მუშაობს-მეთქი. ძალიან მინდოდა ძია ვასიას ჩვენება და მეც წავიყვანე ბავშვები. ძია ვასიას არ ეცალა. დაღვრემით შეხედა ბავშვებს, მე კი მითხრა:

— უდროო დროს მოხვედი, ბიჭო... ჯობია შინ მოდი, კვირა დღეს.

მეც მივედი. და ისევ შევექეცი კვახს და დავდიოდი ოთახებში. და კვლავ არ მშორდებოდა წყნარი ბედნიერება. ძია ვასიას ცოლმა კი მეზობელ ოთახში თქვა:

— რა უცნაურები არიან ეს ბავშვები. ნუთუ არ ესმით, რომ არ შეიძლება სულ სიარული? უხერხულია. ნათესავები ხომ არა ვართ, რომ ვაჭამოთ?

ძია ვასიამ კი მიუგო:

— აბა რა მექნა! შეფობის საკითხი

საერთო კრებაზე გადაწყდა. მოიგონეს რაღა...

ნელ-ნელა მოვეხეტებოდი ქუჩაში. რომ არავის ეკითხა, ასე ადრე რამ მოგიყვანაო, საღამომდე გამოცარიელებულ სკოლაში ვიჯექი. უკანასკნელად ამოჭრილი სიტყვა დანით ამოვჩიჩქნე, ახლა ვეღარავინ ამოიკითხავდა იმ სიტყვას. შავ სახურავზე მხოლოდ ღრმა თეთრი იარა დარჩა.

ასო „კ"

სლავა გალკინს არც მამა ჰყავდა და არც დედა. ცხრა წლისა იყო, საბავშვო სახლში ცხოვრობდა და სკოლაში დადიოდა. მასწავლებელი ქალი გვარად გალინა იყო. ყველა მოწაფეს მშობლები თან ატანდნენ შეხვეულ საუზმეს, სლავას კი არავინ ატანდა. და ხანდახან სლავა გაკვეთილებზე იჯდა და ოცნებობდა, რომ ის სულაც არაა გალკინი, უბრალოდ სადღაც შეეშალათ და ზედმეტი ასო ჩასვეს. მისი გვარი კი ისეთივეა, როგორიც მისი მასწავლებლისა, და ის ვიაჩესლავ გალინია. მაგრამ გვარის გამოცვლა ხომ არ შეიძლება, და სლავა მხოლოდ ოცნებობდა ამაზე. ოცნებობდა იმაზეც, რომ თუკი ყველაფერი ასე აღმოჩნდებოდა, მაშინ მასწავლებელი გამოდგებოდა მისი დედა და სკოლაში გაატანდა ხოლმე გამოხვეულ საუზმეს. და სლავას ცოტა არ იყოს ეჯავრებოდა ასო, რომელიც უმსხვრევდა მთელს ოცნებას. და წერისას ჩუმ-ჩუმად სტოვებდა ხოლმე ამ ასოს. კარნახში შეცდომებისთვის ორიანებს ღებულობდა. ერთხელ მასწავლებელი ძალიან გაუწყრა:

— გალკინ, რატომ ტოვებ სიტყვებში ასოებს? ეგეთი უცნაური შეცდომები არავის არა აქვს. ნახე რა დაგიწერია: „ცაზე იაფობდა აშაშა მზე და ჩვენ სოოების მოსარეფად წავედით". ვერაფერი გამიგია. ხვალ გაკვეთილის მერე ჩემთან შემოიარე.

და სლავა წავიდა მასწავლებელთან. მან უკარნახა საკარნახო, წაიკითხა სიტყვა, სადაც გამოტოვებული იყო ასო „კ". და გაჯავრდა. მერე რატომღაც მშობლების ამბავი ჰკითხა. უთხრა, კიდევ შემოიარეო. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ქალალდში შეუხვია გემრიელი საუზმე.

საშა მორბოდა სკოლაში და სიხარულით მიწას ფეხს არ აკარებდა. შესვენებაზე ჩვეულებისამებრ დერეფანში კი აღარ გასულა, — მან ამაყად ამოიღო თავისი საუზმე, თუმცა სულ არ შიოდა.

როცა მასწავლებელმა ახალი კარნახი შეამოწმა, მისი ყურადღება მიიპყრო სლავას რვეულმა. კარნახში ერთი შეცდომაც კი არ იყო. და ყველა ასო „კ" თავის ადგილას იყო. შეცდომა აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სიტყვაში. ხელმოწერილი იყო: „ვ. გალინი".

მაგრამ მასწავლებელმა უთუოდ ვერ შენიშნა ეს შეცდომა და არ გაუსწორებია.

გაცრუებული წერილები

საბავშვო სახლში სამი აღმზრდელი ქალი გვყავდა. და სამივე, თუმც ახალგაზრდა აღარ ეთქმოდათ, გაუთხოვარი იყო. ალბათ იმიტომ, რომ სამი წელი იყო, რაც ომი დაიწყო. ეს კია, რომ ოლგა პეტროვნას მიმოწერა ჰქონდა ბორისის მამასთან. ეს ამბავი მთელმა საბავშვო სახლმა იცოდა. ბავშვებს ცოტა არ იყოს შურდათ ბორისისა და ეუბნებოდნენ:

— მამაშენი ჩამოვა ფრონტიდან და შეირთავს. აი ნახავ თუ ასე არ მოხდეს! რამდენ წერილსა წერს, მგონი მაგდენს შენც არა გწერს!

— შეირთოს მერე, მე რა მენაღვლება... — ამბობდა ბორისი, გულში

კი ფიქრობდა, იქნებ ეს არც თუ ისე ურიგო ამბავია, ოლგა პეტროვნა კეთილია და ლამაზია...

როცა საბავშვო სახლში ფოსტა მოჰქონდათ, ბორისი მაშინვე სცნობდა მამის წერილებს. ლამაზ-ლამაზი საზღვარგარეთული კონვერტები იყო, ასოები კი მაღალ-მაღალი, და ძახილის ნიშნებს წააგავდნენ. ოღონდ მეტწილად ეს ლამაზი წერილები მის სახელზე არ მოდიოდა.

ოლგა პეტროვნა ალერსიანად შეხედავდა ხოლმე და მიხვედრილად ეუბნებოდა:

— მესტუმრე, ბორია. ჩაის შევექცეთ. სახარინით კი არა, ნამდვილი შაქრით. მამაშენის წერილს წაგიკითხავ.

— სულ არ მაინტერესებს, რასა გწერთ... — ეუბნებოდა ბორისი, მაგრამ სტუმრად მაინც მიდიოდა.

საბავშვო სახლის დირექტორს ვაჟი ჩამოუვიდა. და მესამე დღეს რომელიღაც ბავშვმა დანამდვილებით გვამცნო:

— ოლგა პეტროვნამ დირექტორის შვილთან ისეირნა!

— სტყუი... — გაფითრდა ბორისი.

— არაფერსაც არა ვტყუი. დილაობით საბავშვო სახლამდე მოაცილებს ხოლმე. ორი დღეა უკვე. წუხელ უკან მივყვებოდი, აი ასე მოხვია ხელი, ოლგა პეტროვნა კი იცინოდა...

დილით ბორისი შემოსასვლელთან იჯდა და ელოდა. ირგვლივ ბავშვები შემოსეოდნენ. ყველაზე სულწასულებს ახალ-ახალი ამბები მოჰქონდათ:

— სახლიდან გამოვიდნენ. ხელგაყრილი მოჰყვება.

— საბავშვო სახლისაკენ მოდიან. ოლგა პეტროვნა იცინის.

— გვერდით ხეივანში ჩაუხვიეს.

— ეხვევა. უკანვე ბრუნდებიან.

— ისევ ეხვევიან ერთმანეთს. ისევ ჩაუხვიეს.

ოლგა პეტროვნამ ორი საათით დაიგვიანა. აჩქარებულმა, ბედნიერმა გაირბინა ეზო და არც კი შეუმჩნევია, რომ არც ერთი ბავშვი აღარ შეგებებია სირბილით. ყურადღება არ მიუქცევია, პირველი შემთხვევაა, რომ წერილი არ მიმიღიაო. მას საამისოდ აღარ ეცალა.

ლამაზი საზღვარგარეთული წერილები კი კვლავ მოდიოდა, და ასოები ახლა უკვე კითხვითს ნიშნებს წააგავდნენ, თითქოს ვიღაცას ვერ გაუგია, რა მოხდაო. და არავის დაუნახავს, თუ როგორ იღებდა ყუთიდან ამ წერილებს ბავშვის ხელი და გაუხსნელად აწყობდა ლეიბს ქვეშ.

ვარსკვლავები

ჩვენს საწოლ ოთახში თერთმეტი ბავშვი ვიყავით. და ყოველ ჩვენგანს ფრონტზე ჰყავდა მამა. და რამდენჯერაც დაღუპვის ცნობას მოიტანდნენ საბავშვო სახლში, იმდენჯერ შიშით ილეოდა თერთმეტი პაწია გული. მაგრამ შავი ფურცლები სხვა საწოლ ოთახებში მიჰქონდათ. და ჩვენ ცოტათი გვიხაროდა და კვლავ ვიწყებდით მამების ლოდინს. ეს იყო ერთადერთი გრძნობა, რომელიც არ ჩაგვქრობია მთელი ომის განმავლობაში.

შევიტყვეთ, რომ ომი გათავდა. ეს ამბავი მოხდა მაისის კაშკაშა დილას, როცა ლაჟვარდ ცას ლამის ზედ აეკრა პირველი ლორთქო ფოთლები. და ვიღაცამ წყნარად ამოიხვნეშა და ფანჯარა მთლიანად გააღო. და გაისმა უჩვეულოდ ხმამაღალი სიცილი. და უცებ ყველანი, თერთმეტი ბავშვი, მივხვდით, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, რომ ჩვენ მოვესწარით მამების დაბრუნებას.

საბავშვო სახლში საღამოს ვაწყობდით, და ვიტკა კოზირევი სწავლობდა სიმღერას:

მთელი საღამო შუქს ღვრის სარკმელი,
ვით ენძელები გაზაფხულისას.
მალე ჩამოვლენ, ვისაც მოველით —
მამებს — მებრძოლებს ღვიძლ არმიისას.

ეს სიმღერა სხვებსაც უნდოდათ ემღერათ, მაგრამ კოზირევმა თქვა:

— მე თქვენზე მეტი ხანია ველოდები მამაჩემს. ეს ომი სად იყო, მამაჩემი რომ თეთრფინელებთან ომში წავიდა...

ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ, რა თქმა უნდა, ვიტკა კოზირევი ცოტა არ იყოს თავკერძა ვინმეა, მაგრამ კარგი მაინ ჰყავს და ფოტოსურათზე ძალიან ლამაზადაა გადაღებული თავისი ორდენებით. ამიტომ დაე ვიტკამ იმღეროს.

წყნარი საღამო იდგა. აენთნენ ვარსკვლავები, და ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ეს ჯარისკაცის პილოტურაზე დაბნეული ვარსკვლავებია — ოღონდ ხელი გაიწოდე და მიწვდები... რომ ამბობენ, ვარსკვლავების შუქი ძალიან გვიან აღწევს ჩვენამდეო, სულ ტყუილია. ვარსკვლავები აქვე იყვნენ, ჩვენ ეს კარგად ვიცოდით იმ საღამოს. გამოჩნდა ფოტალიონი, მაგრამ უკვე აღარ გავფაციცებულვართ მის დანახვაზე, უბრალოდ მივედით ფანჯარასთან და ვკითხეთ, ვის მოუვიდა წერილიო. კოზირევს გაუწოდეს ფურცელი. და უცებ საწოლ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ მოგვეჩვენა, რომ ვიღაცამ იყვირა. გაუგებარი და საზარელი რამ იყო.

„გაცნობებთ, რომ მამათქვენი, მაიორი კოზირევი, მამაცთა სიკვდილით დაეცა ორმოცდახუთი წლის შვიდ მაისს ბერლინის რაიონში“.

ჩვენს საწოლ ოთახში თერთმეტი ადამიანი იყო, და ათი ჩვენთაგანი სდუმდა. მაისის გრილი ღამე ფშვინვით შემოდიოდა ფანჯარაში. კიაფობდნენ შორეული ვარსკვლავები. და ცხადი იყო, რომ მათი შუქი ძალიან გვიან აღწევდა. ჩვენ დავხურეთ დარაბები.

შურკა

შურკა თითქმის დიდი იყო. ჩვენს სახლში ცხოვრობდა და ყველაფერი გამოუდიოდა ხელიდან. სულ ერთთავად რაღაცას ოსტატობდა, და ის ცხვირის თავზე დაყრილი ჭორფლი სპილენძის მოქლონების თავებს წააგავდა.

ხანდახან შურკა ეზოში გამოათრევდა ხოლმე ძველ ხის ფოტოაპარატს და მიბრძანებდა: არ გაინძრეო — გადამიღებდა და ერთის ყოფით ჩაიკეტებოდა საკუჭნაოში. მერე მოჰქონდა სურათები და წყრომით მეუბნებოდა:

— მე შენ გთხოვე, მეგობარო, სერიოზულად გაჩერდი-მეთქი! შენ კი იმოდენაზე გაიცინე, რომ პირი ყურებამდე მიგივიდა და გამიფუჭე ყველაფერი!

მაგრამ მალე შურკამ ცოლი შეირთო, მერე არმიაში გააცილეს, ცოლი გვერდით მიყვებოდა და გულში იკრავდა პაწია ბავშვს.

გათავდა ომი. მრავალმა წელმა განვლო. ერთხელ, როცა კიბეზე ვიჯექ, სახლიდან ბიჭუნა გამოვარდა. რაღაცა მოტორს მოათრევდა. მალე ისევ გამოჩნდა და მოათრია ძველი ხის ფოტოაპარატი. დავაკვირდი: ჩვეულებრივი ბიჭუნაა, ოღონდ ცხვირის თავზე ხუთი დიდრონი ჭორფლი აზის.

— ვისი ხარ?

— არავისი. შურკა მქვია. დედაჩემმა ბებიასთან ჩამომიყვანა სტუმრად.

— მამაშენი სადღაა?

— ფრონტზე მომიკლეს. გაიღიმეთ, ძია, და სურათს გადაგიღებთ. ოღონდ გაიღიმეთ და ნუ დაილაპარაკებთ.

საკუჭნაოში შეიკეტა და სურათები გამოამჟღავნა. მერე გამოვიდა და წყრომით მითხრა:

— სერიოზული გამოხვედით, ძია. აკი გთხოვეთ, გაიღიმეთ-მეთქი, თქვენ კი... თქვენ სულ არ შეგძლებიათ ღიმილი.

მერე ისევ გამხიარულდა და თავის აპარატიანად მესერისკენ გაიქცა.

და მის ცხვირის თავზე დაყრილი ჭორფლი სპილენძის მოქლონების თავებს წააგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბიჯები უკან

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, მოსკოვის თითქმის დაცარიელებულ ქუჩაში რომ მივდიოდი. სადღაც, პუშკინის თეატრთან, ათიოდე წლის გოგონას წამოვეწიე. უცებ ვერც კი მივხვდი, რომ ჩემს წინ უსინათლო იყო. ბორძიკით მიყვებოდა ტროტუარის კიდეს. წამით გაშეშდა ბოძთან და მერე გვერდი აუარა. გავუსწარი უსინათლოს და უკან მოვუხედე: ჩემს ნაბიჯებს აყურადებდა და მომყვებოდა. პუშკინის მოედანთან გადავუხვიე. მაგრამ მინდოდა ერთხელ კიდევ დამენახა, რას იზამდა უსინათლო. გოგონა შემოსახვევთან გაჩერდა და თავაწეულმა სმენა გაიმახვილა. იქნებ ელოდა, საით გაისმება ადამიანთა ფეხის ხმაო? არავინ სჩანდა. ორიოდ ნაბიჯზე მანქანები მისრიალებდნენ. მე მოვბრუნდი.

— საით მიდიხართ?

უსინათლოს თითქოს არც გაჰკვირვებია:

— სომხურ მაღაზიასთან, თუ შეიძლება.

— ახლა?

— ახლა ახლოს ვარ. გმადლობთ.

წუთით შედგა და მერე შემთხვევითი გამვლელის ფეხის ხმას გაჰყვა. ასე დასრულდა ეს შეხვედრა. ოღონდ მერე ვიფიქრე: ჩვენ ხომ მართლაც ხშირად გვავიწყდება, რომ უკან რჩება ჩვენი ნაბიჯების გამოძახილი. და მუდამ სწორად უნდა ვიაროთ, რათა არ მოვატყუოთ სხვა ადამიანები, რომლებიც დაენდვნენ ჩვენს ნაბიჯებს და კვალდაკვალ მოგვყვებიან. ესაა და ეს.

თარგმანი **ციალა ჩხეიძისა**

ჩვენი იუბილარები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მარგველაშვილი

★

გიორგი ლეონიძე

„გოგლა ლეონიძეს — ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს...“

მიხეილ ჯავახიშვილი (ნაჩუქარ წიგნზე მინაწერიდან).

I გზაჯვარედინზე

სადაა მისი პოეზიის სათავე? რა ნიადაგმა ზარდა იგი? რა საზრდო შეერგო? სიჭაბუკე ხომ ხარბი და გაუმაძღარია, ერთნაირად ეტანება ნაყოფს და სარეველას, აღარ არჩევს ლამაზსა და შელამაზებულს... აჭრელებული და მოუვლელი იყო პოეზიის „სევდის ბაღი“, სადაც გაუბედავად შეაბიჯა ლეონიძემ, რაკი იგრძნო პირველი პოეტური აღფრთოვანება. აქ ადვილი იყო გზაბნევა, მცდარ კვალზე დადგომა, ნაღდი პოეზიის მაცოცხლებელი შარბათის ნაცვლად „ნელა მოქმედი“, თუმცა იქნებ არც თუ მწარე „ნატიფ, ტკბილ და საამო“ საწამლავთა შესრუტვა. ცდუნება კი მრავლად იყო: ბოდლერის „ყვავილნი ბოროტებისა“ თუ ნოვალისის „ცისფერი ყვავილი“, „მკვდრის მზე“, ნამდვილს რომ წაგავდა, თუ რემბოს „მთვრალი ხომალდი“, შლეგად გაჭრილი არარაობის სივრცეში. დავუმატოთ ამას გამოცხადება ოსკარ უალდისა, რომელიც სილამაზისათვის ჯვარცმულ მესიად ესახებოდა ჭაბუკ პოეტს. 1915 წელს ლეონიძე წერდა უალდისადმი მიძღვნილ მარტიროლოგში: „ის სილამაზის მოციქული იყო... და იყო ბედნიერი რადგან ეზიარა მშვენიერებას ბარძიმში. ის მხოლოდ სილამაზით სულდგმულობდა. მან არ იცოდა ტანჯვა მიწისა, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიგნო, როცა მის არისტოკრატიულ ხელებს გადაეჭდა ციხის ბორკილი... მას თიბათვის ყვავილს ვადარებ სინაზით, მაგრამ მასვე ვეძახი ამირანს, რომელიც კავკასიონის მთებზე კი არ არის მიჯაჭვული, არამედ უფრო უსაშინელეს — ერთფეროვანი ცხოვრების მკერდზე“. ამ ტირადაში ყოველი სიტყვა უცხო მონაბერია, მაგრამ ესთეტურ ილუზიათა ეს ჯანღი უცებ როდი გაიფანტა პოეტის შეგნებაში — პირიქით, ერთ ხანს იგი შესქელდა კიდეც: 1918 წელს ლეონიძე დაუახლოვდა ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფს— „ცისფერყანწელებს“, რომლებიც მასავით მეცადინეობდნენ ქართულ ნიადაგზე მოდერნიზმის ყვავილთა გადმონერგვას. გიორგი ლეონიძის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩემი დროის ქართული პოეზია უპირატესად ალეგორიების, მორალიზაციის, სენტენციების პოეზია იყო. უფერული, გაცვეთილი სიტყვა, ძველი პოეტური ტექნიკა... სული ახლისაკენ ილტვოდა. მე განვიცდიდი მტკივნეულ ძიებებს, ვოცნებობდი თავისთავადობაზე, ახალ სახვით საშუალებებზე, „ალმასის სიტყვებზე“, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. სწორედ ამ დროს მოხდა ჩემი დაახლოება ქართველ სიმბოლისტებთან... ისინი ცდილობდნენ ახალი დასავლეთ-ევროპული პოეზიის პრინციპების ათვისებას, თუმცა აკეთებდნენ ამას მეტად თავისებურად... ცხოვრებაში — ბოჰემა, პოეზიაში — მისტიკა... ჯერ ისინი „დაწყეველილ პოეტებად“ თვლიდნენ თავს, განიცდიდნენ გავლენას ფრანგული და რუსული სიმბოლიზმისა — „საწყალი შეგირდის“ ფრანსუა ვიონის, არტურ რემბოსა და ალექსანდრე ბლოკის კულტით. 1919 წელს მათ გამოსცეს პროვინციულ ქუთაისში მალარმეს ლექსების წიგნი და ქუთაისის ქუჩებში კითხულობდნენ ხმამაღლა მის „გედს“. რამ მიმიყვანა მათთან? სიმბოლისტებში მე უპირველესად მხიბლავდა ტექნიკური სიმდიდრე, ფორმალური სირთულე, ძიება, ბრძოლა რითმისათვის და ლექსის მუსიკალობისათვის... 1918 — 1920 წლებში ბოდლერი, ვერლენი, ერედია, რემბო, ბლოკი, ანენსკი ჩემი უსაყვარლესი პოეტები გახდნენ. მალე მე ისეთ პოეტურ ნიჰილიზმამდე მივედი, რომ საერთოდ ზედმეტად მიმაჩნდა რემბოს შემდეგ რაიმეს წერა. ჩემს წარმოდგენაში „მთვრალი ხომალდის“ დაწერა „ილიადის“ შექმნაზე ბევრად რთული და ძნელი საქმე იყო... მაგრამ გავიდა დრო და მეც გული ამიცრუვდა ესთეტობაზე და განყენებულ არტისტიზმზე, დედამიწაზე ჩამოვდგი ფეხი, თანდათანობით ვძლიე სულიერი კრიზისი, სიმბოლისტური გავლენა, ესთეტთა კამერულობა და ცოცხალ ხალხურ სიტყვას დავუბრუნდი. ამაში **მე ეროვნულ ნიადაგთან მტკიცე კავშირმა გამიწია დახმარება“.**

აქ გულახდილად და საკმაოდ ზუსტად არის გახსნილი პოეტისა და მისი უფროსი მეგობრე-

ბის ესთეტიკურ ცთომილებათა ბუნება, მითითებულია ამ სულიერი სენის წარმომშობი მიზეზებიც და ის წამალიც, რომელმაც სნეულება დათრგუნა. ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ლეონიძისა და მის თანამოძმეთა მიერ განვლილი გზის სიძნელისა და სირთულის გაზვიადება, პირიქით; ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ გარკვეულ სარგებლობას, რომელიც ჯანსაღი და ნორმალური ორგანიზმისათვის ასეთ სიძნელეებს მოაქვს („ცისფერყანწელობა" ხომ ერთგვარი „ოსტატობის სკოლა" იყო ახალგაზრდა ქართველ პოეტთათვის!), მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ქართველ სიმბოლისტთა სულიერი „დუღილის" „შიგნიდან" გაშუქება, მათი სულის სიღრმეში ჩახედვა და თუ ერთგვარ სენზეა ლაპარაკი, — ამ სენის უფრო ზუსტი განსაზღვრა და დიაგნოსტირება, რათა თვალნათლივი გავხადოთ მოდერნისტული ესთეტობის ავადმყოფური ხასიათი. მით უმეტეს, რომ მოდერნიზმი გარეგნულად მეტად მომხიბლავი იყო, მან ბევრი ბრწყინვალე ტალანტი მიიზიდა, პოეტური კულტურის განახლებასაც შეუწყო ხელი, უანგარო და გულწრფელი თანამეგობრობით დააკავშირა ახალგაზრდა პოეტები. საკმარისია ითქვას, რომ რუსული სიმბოლიზმი ისეთ შესანიშნავ მგოსნებს აერთიანებდა, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ბლოკი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ინოკენტი ანენსკი, ხოლო „ცისფერყანწელთა" რიგებში დარაზმულნი იყვნენ ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე და რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი და გიორგი ლეონიძე.

სიმბოლისტური პერიოდის მეგობართა რიცხვში გიორგი ლეონიძე ალი არსენიშვილსაც მოიხსენიებს: „ალი არსენიშვილი — კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, იურისტი. „ჩვენი ალი" — „სევდიან გედთა და შროშანთა სულში ჩამწვდარი", ნატიფი გემოვნების იმპროვიზატორი — სწონიდა ყოველ ჩვენს სიტყვას და გვასწავლიდა, რომ ცუდი წიგნისთვის არსებობს მხოლოდ ერთი კრიტიკოსი — ბუხარი". როგორც ეტყობა, ალი არსენიშვილი „ცისფერყანწელთათვის" ერთგვარი ავტორიტეტი იყო და ჩვენც იმიტომ გავიხსენეთ აქ იგი, რომ მისი ბიოგრაფიის ერთი ფურცელი შუქსა ჰფენს ესთეტიზმის უნაყოფობისა და შინაგანი მანკიერების საკითხს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ „ცისფერყანწელთა" ჯგუფის ჩამოყალიბებამდე, ალი არსენიშვილმა, რომელიც დეკადენტური პოეზიის მძლავრ გავლენას განიცდიდა, წერილით მიმართა ალექსანდრე ბლოკს და მიიღო მისგან მეტად მოულოდნელი პასუხი. ბლოკის საპასუხო წერილი გასაოცარი და ამაღელვებელი ადამიანური დოკუმენტია, დიდი პოეტის ულმობელი გულწრფელობის ნიმუშია, ეს არის აღსარება, სადაც დეკადენტობის ფილოსოფიურ, სოციალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ მანკიერებათა ღრმა და ბრძნული ანალიზია მოცემული, ანალიზი მით უფრო ძვირფასი, რომ იგი რუსული სიმბოლიზმის უდიდესი წარმომადგენლისა და პოეტური ლიდერის მიერაა წარმოებული. მოგვყავს ნაწყვეტი ამ წერილიდან (მთლიანად იგი გამოქვეყნებული იყო თავის დროზე „მნათობში" და ამჟამად შესულია ა. ბლოკის უკანასკნელ ორტომეულში):

«8 марта 1912

Дорогой Алексей Ильич!

Спасибо Вам за Ваше любящее письмо. Не думайте, что оно мне безразлично; только вот что я думаю, читая его: для Вас стихи тех поэтов, о которых Вы пишете (и мои), как «елисейские поля» — благоуханные цветущие поляны... прошлого. Сюда относится Ваше такое тонкое и такое человеческое выражение: «с ними мне не так грустно, т. е. грустней еще». Я это чувство очень хорошо знаю, временами подчиняюсь ему, и не люблю его, или, выражаясь по вашему, «еще печальней люблю». В этом же смысле могу сказать: «не люблю я стихов» — т. е., «слишком болезненно люблю», за то, что все прошедшие стихи (и мои в том числе) способны стать вдруг «полянами блаженных», царством забвения. Чем меньше сил для жизни, тем слаще забвение.

Вы говорите: «есть сладкая тоска стихов». Без них — жить на свете тоска, просто дрянь». Я говорю Вам: понимаю Вас, но не хочу знать этого. Мы пришли не тосковать и не отдыхать. То чудесное сплетение противоречивых чувств, мыслей и воль, которое носит имя человеческой души, именно оттого носит это радостное (да, несмотря на всю «дрянь», в которой мы сидим) имя, что оно все обращено более к будущему, чем к прошедшему, к прошедшему тоже, — но поскольку в прошедшем заложено будущее. Человек есть будущее.

Когда же начинает преобладать прошедшее, хотя-бы в чистейших и благороднейших своих формах (именно эту сладкую ноту прошедшего прочел я в Вашем письме, может-быть ошибся?), то человеку, младенцу, юноше и мужу в нас, грозит опасность быть перенесенным в елисейские поля. Пусть все там благоуханно, пусть самый воздух синеет блаженством, — одно непоправимо: нет будущего. Значит нет человека.

Не видав Вас в глаза, хочу сказать Вам: Милый друг, берегитесь елисейских по-

лей; пока есть в нас кровь и юность, — будем веровать будущему. Если в современной противоречивой и вялой жизни многое тонкое и высокое бессильно сказать нам о будущем, будем беречься его, будем даже любить более грубое и более низкое (в культурном что-ли смысле), если там голос будущего громче. Например: если в моих стихах для Вас есть свое утешение от тоски — тоскою еще более глубокой, и, тем самым, более единственной, — более аристократической, — то лучше не питейтесь ими. Говорю Вам по своему опыту — боюсь я всяких тонких, сладких, своих, любимых, медленно действующих ядов. Боюсь и, употребляя усилия, возвращаюсь постоянно к более простой, демократической пище. Чтение произведений, которые говорят мне о прошлом только (Вы понимаете, в каком смысле я говорю «прошлое»), уже почти не занимает места в моей жизни, во всяком случае, гораздо меньше, чем занимало когда-то...

..Последняя просьба к вам: если Вы любите мои стихи, пдеодолейте их яд, прочтите в них о будущем.

Александр Блок».

ტიციან ტაბიძესაც, პაოლო იაშვილსაც, ვალერიან გაფრინდაშვილსაც, კოლაუ ნადირაძესაც და გიორგი ლეონიძესაც უთუოდ ელოდა „ელისეს მინდვრებზე გადასვლის საფრთხე“, მაგრამ ყველას მათ იმდენად უყვარდათ ადამიანი, უყვარდათ მომავალი, უყვარდათ სამშობლო, რომ დიდხანს ვერ შეჩერდებოდნენ ამ საზიფათო გზაჯვარედინზე; ყოველმა მათგანმა ადრე თუ გვიან, მეტად თუ ნაკლებად, დაძლია თავის თავში ის „საწამლავი“, რომელზედაც ბლოკი მიუთითებდა (არ არის გამორიცხული, რომ ალი არსენიშვილმა გააცნო თავის დროზე მეგობრებს ბლოკის ეგზომ მნიშვნელოვანი წერილი), მაგრამ ახალი მსოფლმხედველობის თანდათანობითი და არც თუ ისე იოლი ჩამოყალიბების მთელი სირთულის მიუხედავად, იყო ერთი რამ საერთო, რაც ყველაზე მეტად ეხმარებოდა მათ მოდერნიზმის კლანჭებისაგან განთავისუფლებაში: ეს იყო სწორედ ის ეროვნული ნიადაგი, რომელთან მყარ კავშირს აღიარებდა ლეონიძე ჩვენ მიერ ციტირებულ ავტობიოგრაფიულ ნაწყვეტში. აი სად უნდა ვეძიოთ მისი პოეზიის ჭეშმარიტი სათავე, აი რა საზრდო შეერგო მართლაც მას. ამიტომ რარიგადაც არ უნდა იყოს აჭრელებული პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი ფურცლები მაშინდელი მსოფლიო პოეზიის „ელისეს მინდვრებიდან“ გადმონერგილი ყვავილებით, ჩვენ ვერაფერს ვერ გავიგებთ მის მომავალ ზრდაში და განვითარებაში, თუ მეტის მეტად დიდხანს შევჩერდებით ამ „სიჭრელეზე“, არ ჩავიხედებით უფრო ღრმად, არ დავუბრუნდებით მისი პოეტური მსოფლშეგრძნების ჭეშმარიტ ნიადაგსა და სათავეებს.

პაოლო იაშვილმა ჯერ კიდევ 1918 წელს, ე. ი. „ცისფერი ყანწებით“ გახურებული თრობის ჟამს, დაინახა გიორგი ლეონიძეში ნამდვილი ეროვნული დვრიტა და თქვა კიდეც ამის შესახებ მისდამი მიძღვნილ ლექსში:

შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია,
შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,
შენი სული — აღდგომის ელოგია.
არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა:

შენ ოცნებით თამარისკენ წახვედი,
ჰგავხარ ლაშარს ანთებული სახეთი,
მოდი, ვნახოთ შენი გარე კახეთი,
სადაც სიტყვა წარსულით გაერთობა;

მოდი, ვნახოთ ნინოწმინდის საყდარი,
ნინოს ხატი ჭრილობებით გამხდარი,
ვნახოთ მხარე ,ერეკლეს ნატახტარი,
ძველი მადლი, ახალი უღმერთობა.

შენ ხსოვნიდან იმ ტკივილებს ამიშლი,
რაც დაგუბდა ობოლ საგურამოში,
და ყოველდღე და ყოველ საღამოში
გაჩაღდება არღნიანი მცხეთობა.

აქ კარგად არის დაჭერილი მომავალი პორტრეტი პოეტისა, რომელიც უკვე მაშინაც საგრძნობლად გამოირჩეოდა თავისი შინაგანი, ჯერ კიდევ ფარული სულიერი საწყისებით ზოგიერთი ორთოდოქსალური სიმბოლისტისაგან. „მოდი, ვნახოთ შენი გარე კახეთი!“ — პაოლო იაშვილმა, კარგად იცოდა, სად უნდა ეძია თავისი უმცროსი მეგობრის პოეტური აღმაფრენის პირველწყარო.

II სათავეები

ბავშვობისა და სიყრმის ოქროს დღეები! მშობლიური პატარძეული — გარეკახეთის ერთერთი მარგალიტთაგანი. ეს მიდამო განთქმულია არა მარტო ბუნების სიმშვენიერით, არამედ ისტორიული ძეგლებითაც, რომლებიც განუყოფელია კახეთის პეიზაჟისაგან. ძველი საყდრების ნანგრევები, ნაციხარები, ნახევრადწაშლილი ფრესკები — ყოველივე ამან წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა მომავალი პოეტის სულსა და შეგნებაში. ამ შთაბეჭდილებათა ძალის ყველაზე მკაფიო დადასტურებაა — უფრო გვიან, შემოქმედებითი სიმწიფის ჟამს, დაწერილი ლექსები, სადაც პირველქმნილი ელვარებითა და სხივმოსილობით არის აღდგენილი და გაცოცხლებული მშობლიური სურათები. ეს სამყარო ცოცხლობს და სუნთქავს ლეონიძის პოეზიაში — როგორც ოციანი და ოცდაათიანი წლების თამამ და თავშეუკავებელ, უცნაური სახეებით დახუნძულ სტრიქონებში, ისევე ამ უკა-

ნასკნელი ხანის შედარებით უფრო დინჯ და თავშეკავებულ, ნაკლებად მეტაფორულ, მაგრამ უფრო სურათოვან ლექსებში, სადაც არა მარტო წრეგადასული ენებათაღელვაა, არამედ ნათელი სევდით შეფერილი ჩაფიქრებაც და სადაც უშუალო განცდა და მძაფრი, თვალისმომჭრელი ხილვა ადგილს უთმობს ხშირად მოგონებას, გახსენებას ,უკან მოხედვას, განცდილისა და ნახულის შეფასებას ან ხელახლა განცდას.

ჩვენს თვალწინ და არა მარტო თვალწინ — სულისა და გულის წინაშე (ხომ არის კიდეც ასეთი ქართული სიტყვა — გულისყური!) გადაშლილი სამყარო კი მართლაც ზღაპრულია თავისი საკვირველი და უხვი ბრწყინვალებით. აი, პოეტი ისმენს პატარძეულის მიდამოებში აყღერებულ მაისის სიმთა ხმას; მღერიან ლერწმები, წკრიალებენ ნაკადულები. დილის ფრინველებთან ერთად მზის პირველ სხივებს ელეწება ფრთაშესხმული ჭაბუკი. თვითეულ სხივში — მზეს ხედავს, თვითეულ წვეთში ზღვას ხედავს, თვითეულ ზვირთის ნაშხეფში — სიცოცხლის კორიანტელია დაყენებული და სიცოცხლის ნექტარიცაა ჩამდგარი. აგერ მზის სხივი — სიყვარულის სავალ გზად თუ ბილიკად გადაიქცა და ამ ბილიკს სანუკვარი ნარჩიტა თუ გამოჰყვება. და ამ „მაისურ მაისობისას“ როგორ არ გაბრწყინდეს მზის ჩახჩახში ან როგორ არ გადნეს ცისარტყელაში — შეტრფიალებული, მზიური გზობის მაძებარი გული პოეტისა?

გაზაფხულს კი ბოლო არ უჩანს... გადადის ლექსიდან ლექსში, გასდევს სტრიქონებს, როგორც სისხლი ძარღვებს, ცოცხლობს ყოველ მფეთქავ და ათრთოლებულ სტროფში, ვინაიდან იგი მთელს გარესამყაროში და თვით პოეტის გულშიაც ცოცხლობს. სტუმარს გაზაფხული ნიაღვრის ყვირილმა ახარა, დაახალა მის გულს ია და დასტა-დასტა გვირილა, შავმა ღრუბლებმა მიწაზე ტყუპი იაგუნდები ჩამოჰყარეს. გულს კი, გულს რაღა მოსდის, „ქორის ბახალას“ თუ საყვარელ ნარჩიტას რომ დალოდებია? ამ გულისთქმასაც ვათხოვოთ ყური:

დავძრათ ბედაურები,
გავჰყვეთ მზის ხაკვალევსა,
ქარებს გავჰყვეთ, ნიაღვრებს,
ცისარტყელის მკლავებსა!

. . . . . .

მე ეს მინდა გახარო,
ჩემო თეთრო ნარჩიტა,
ყველაფერი ჩახჩახებს
სიყვარულის ხარჯითა!

დაე, ფერფლმა ნუშისა
ჩვენი მხრები მოთოვლოს;
გაზაფხულო,
აპრილო,
დაწვიმულო ფოთოლო!

ივრის ღამე თუ გინახავთ? იგი აპრილის დილაზე უფრო ფანტასტიკურია:

მთვარე შრიალებს ფიქვივით
დაუსრულებელ ოხვრაში,
ამოდის კოხტა ბიქვივით
ცისკარი ახალ ჩოხაში.

. . . . . .

შენ დამარწიე, იორო,
მაჩქეფე თავზე მირონი;
დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად
ეგ შენი სანაპირონი —

. . . . . .

შენი ბდღვრიალა კალმახი,
აცვია თითქოს ჩითები;
დილა, რომელსაც ნისკარტით
ეზიდებიან ჩიტები...

და უწმინდესი ტაძარი,
არხზე წისქვილი პატარა;
შენმა ტინებმა სიმაგრე
ლექსებში გამომატანა!

მაგრამ ვაითუ დაუდგა გაზაფხულს დასასრული, ვაითუ წავიდა და დაულოცა ქვეყანა შემზარავ შემოდგომასა და მთოშავ ზამთარს? მაშინ ხომ ლექსიც წავა და ახალგაზრდობის ნიშანსაც გაიყოლებს, იმ ივრის ღამის თრთოლაც ხომ თან წაჰყვება და იმ აპრილის დილის გულის ძგერანიც, ის ტალღაც ხომ წავა ან გაშრება, რომლის ნაშხეფში ტკბილი სიცოცხლის კორიანტელი იყო დაყენებული? მაშ რაღა ქნას მაშინ მგოსანმა, რომლისთვისაც სიჭაბუკე და ლექსი ერთია, გაზაფხული და ლექსიც ერთია? უამინდობის გულის გამაწვრილებელი განწყობილებაა დახატული ლექსში „შემოდგომა“, მაგრამ განა ეს მ ი ს ი სურათებია, მ ი ს ი ჰანგებია, მ ი ს ი განწყობილებაა?

არის თუ არა გამოსავალი ამ უღიმღამო უამინდობიდან, რომელმაც არათუ „ძველი ბალი“ — პოეტის სულიც დანისლა და დაასველა? გამოსავალი კი არსებობს თურმე, საშველიც ყოფილა ხელმისაწვდომი: თურმე თავის თავს არ უნდა უღალატო, გაზაფხული გულში შეინახო, არ მოსცილდე მას, საითაც არ უნდა გაიწიოს, არ მოეშვა, თან წაჰყვე:

სიჭაბუკევ, ისევ მოდი,
ფრინველების გესმის ტაში?
მოიწოდე ნუშის ტოტი,
ხელი სტაცე ჩანჩქერს ფრთაში!

თუ წავიდა გაზაფხული,
მშვენიერი, მზის დამფრქვევი, —
გზა არ დასთმო ზამბახური,
არ მოეშვე, **თან წაჰყევი!**

თუკი ეს შეიძელ, თუ სწვდი ფრთაში გაზაფხულის ჩანჩქერს, მოიწოდე ნუშის ტოტი და მასთან ერთად სიჭაბუკე, მაშინ ვერც ზამთრის სუსხი შეგაშინებს პოეტს. ასე იყო მარადჟამ. და აი, იელვებს ხსოვნაში, შემდეგ კი ლექსის ეპიგრაფად ლაგდება საიათნოვასა და იოანეს დიალოგი „კალმასობიდან“: იოანე მოუწოდებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერად აღკვეთილ მგოსანს, დათმოს ჭიანური და სიმღერა. საიათნოვა კი მტკიცე უარზეა — ბერად აღკვეთისას ჭიანურის სიმები ანაფორის, უბეში მქონდა შემონახული და ჩემთან ერთად არიან ნაკურთხნიო... შემოდგომისა თუ ზამთრის უამინდობის მომქანცავ „დაუმთავრებელ კითხვებზე“ დროულ და მოსწრებულ პასუხად მოევლინა გიორგი ლეონიძეს თავისი წინამორბედის ეს უკვდავი სიტყვები და მათ უმალ ნახეს გამოძახილი ლექსად:

თუ კი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით,
იანვარშიც აღარ გავიყინებით...
საათნოვას ანაფორის უბეში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები.

გაუმარჯოს, ვისი გულიც გულია!
ვისაც თოვლში ოცნებით გაუვლია!
ვინც გესროლა თოვლი და გაგიღიმა,
სიყვარულით ვინც კი გათანგულია!

ვისაც გულში სიმღერა ჩაგრჩენიათ
და სიმებზე არ დაგღლიათ ხელები,
დაიბუგეთ და იყავით იავარ!
მიანარცხეთ ჩანგზე საფეთქელები!

მე მაჟრჟოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დავინახე, მეხმა როგორ დააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება!

ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
შენ თუ გასძლებ, — შენივ სიტყვის
იმედით...
საათნოვას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...

როგორც ვხედავთ, ამ მეტად მძლავრ ლექსში სიჭაბუკის, გაზაფხულისა და ლექსის ერთიანობის მოტივი მეტად დიდ განზოგადებამდეა აყვანილი და მყუდროებადარღვეული საქართველოს ახალი ცხოვრების ნიშანთან არის გადანასკვული.

ასეთი განწყობილებით, გულში დაკვესებული ასეთი ცეცხლით მართლაც არ შეუშინდები საფრთხეს — იანვრის სუსხს თუ შემოდგომურ მოდუნებას, შეაგებებ პირველ თოვლს გამარჯვების სიმღერას, გულში იმის მტკიცე რწმენას დაიბუდებ, რომ შეგწევს ძალა დაეწიო „წასულ ახალგაზრდობას“ და თუნდაც ძალით, თოფით ხელში, დაითრიო გაქცეული სიჭაბუკე.

ეს თოვლია, თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები?
. . . . . .
ჩქარა,
მინდა ვუყელო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!
. . . . . .
ვაჲ, შენ ჩემო თეთრო მტრედო,
გულო ჩემო კრიალა!
საკალმახე წყალივით
ლექსი ვერ ვაწკრიალე,

და როგორც
ციცნათელა
აბედს არ ეკიდება,
სიჭაბუკის გარეშე,
ლექსს ვინ მისცა დიდება?
. . . . . .
— ეს ლექსია, თუ მღერის
გავლილ დღეთა კრებული?
გულია თუ მინდორი,
დილას მოფუტკრებული?

— არა!
ეს თოვლი არი
ვარსკვლავების ქაფითა;
არა, ეს მტრედებია,
მიმინომ დააფეთა!

ჩქარა!
მინდა ვუყელო,
თოფი ვტყორცნო ხმიანი,
ჩქარა, ზარით მარხილი,
ოქროს ჩარდახიანი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

ჩქარა, უნდა უყელო! სიჭაბუკეს მხოლოდ იმედთან ერთად თუ დაკარგავ. თოფიც ხომ დატენილია და ცხენიც მოკაზმული, მაშ გულის აბედსაც მოეკიდება ლექსის ნაპერწკალი! გაიხსენე: საათნოვას ანაფორის უბეში ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები! გიორგი ლეონიძის ამ ორი ლექსის — „თუ კი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით“ და „პირველი თოვლის სიმღერის“ შინაგანი კავშირი და თვისტომობა ცხადია, შემთხვევით როდია ორივე ლექსი ერთდროულად — 1926 წელს — დაწერილი და პოეტის კრებულებში შემთხვევით როდი მეზობლობენ. ოღონდ „საათნოვას ჭიანურის“ საწყისი სტრიქონების ბალადური „პოტენციას“ „პირველ თოვლში“ წმინდა წყლის ლირიკული ქღერადობა ცვლის. თემის ეს ლირიკული დამუშავება კი აქ მართლაც სანიმუშოა სახეთა ორიგინალობით, ხილულ, გააზრებულ თუ გრძნობისეულ ასოციაციათა უწმინდეს ძაფთაგან მონაქსოვ მეტაფორათა სირთულითა და სიღრმით.

მაგრამ განა მარტო იანვრის ღამეს, აპრილის

ლილას. მაისის სიმთა ხმას ან პირველ თოელს უბრუნებს მადლიერი პოეტი ლექსად მას, რასაც მისი თვალი და გონება, სმენა და გულისყური ცხადში დასწაფება. მშობლიური პეიზაჟი როდია უკაცრიელი და უდაბური; იქნებ იმიტომაცაა ასე დამშვენებული, რომ პატიოსანი და გამრჯე, გულადი და სათნო, ამაყი და მეოცნებე ადამიანებითაა იგი დასახლებული.

მათთან ნაცნობობა საკუთარ კერასთან იწყება. მამა — ნიკო ლეონიძე, რომელსაც ილიას „ივერიამ" ქართველი ხალხის განათლების თავდადებული და ერთგული მოამაგე უწოდა. გიორგის მამა ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მისი კეთილშობილი სახე აღდგა ახლობელთა მონაყოლში. მამის მაგალითი ბევრს ნიშნავდა ბავშვისათვის, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ამაგი მიუძღვის მის აღზრდაში დედას — სოფიო გულისაშვილს, რომელმაც პირველმა ჩააგონა მშობლიური ლიტერატურის სიყვარული, აზიარა სამშობლოს ისტორიას და პატრიოტული გრძნობა გაუღვივა. როგორც ავტობიოგრაფიულ მოგონებებში, ისე დედისადმი მიძღვნილ ლექსებში ლეონიძე არაერთგზის უსვამს ხაზს, რომ სწორედ დედამ გააღვიძა მასში პოეტი და მოქალაქე, რომ სწორედ დედის ხმაშია მისი „სიმღერის სათავე".

პატარძეული... ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა, — პატარძეული,
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა
იქა ყოფილა გადარწეული.
იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა დედა
და ხალხის ფიქრი ათასწლეული...

დედა და ხალხის ფიქრი ათასწლეული... დეიდები — მაიკო და ტასო, რომლებთან ერთად მომავალ პოეტს არა ერთხელ შემოუვლია გარემო მიდამოები ისტორიულ ძეგლთა სანახავად და ძველ საგანძურთა საძიებლად... ნინოწმინდა და უჯარმა, ალავერდი და გრემი...

დიდი გავლენა მოუხდენია ყრმის პოეტური ფანტაზიის განვითარებაზე სოფლის მგოსნებსა და მთქმელებს. განსაკუთრებით დახსომებია სახალხო პოეტი ბაგრატ ზაქუკიშვილი. მეწისქვილე რაჟდენის ნაამბობს ხომ ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ გიორგი ლეონიძე დღესაც დარწმუნებულია — ქართული პროზის საწყისები წისქვილთან უნდა ვეძიოთო. სოფლის უბრალო მუშაკაცების სახეებიც ჩაიბეჭდა სამუდამოდ პოეტის მახსოვრობაში — დაუღალავი და მოუსვენარი ზაქრო, რომელიც ავადმყოფობის დროსაც კი არ წვებოდა ლოგინად — მტერი რატომ გავახაროო? ოთხმოცი წლის გიგიტა — განთქმული გუთნისდედა, სიბერის ჟამსაც რომ ვერ შეელია გუთანს და ხან ერთ მეზობელს წაეხმარებოდა ხოლმე გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ხან მეორეს. სიკვდილიც კი არ შოინდომა სახლში და სახლიკაცებს თავი მინდვრად გააყვანინა. სოფლის უღარიბესი გლეხი იაგორა — ცხრაასხუთში „წითელი რაზმის" მონაწილე. თოფი ლეონიძიანთ ეზოში ჰქონდა ჩაფლული იმის იმედით კიდევ, გამოიაღგებაო! მეჯღანე იასე კი ყოველ კვირაძალს სანთელს დგამდა რუსთაველის სურათის წინ — მისი ნაწერი ღვთის საჩუქარია ჩვენი ხალხისთვისო!

გლეხკაცის მეტად საინტერესო სახე დახატა გიორგი ლეონიძემ თავის სიტყვაში მწერალთა მესამე საკავშირო ყრილობაზე. შეეხო რა ლიტერატურის ხალხურობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ ოცნება ხალხის სულის განუყოფელი თვისებაა და ასეთი მოგონებაც დაეყოლა ერთ თავის ყრმობისდროინდელ ნაცნობზე — მეოცნებე გლეხკაცზე:

„მახსოვს იგი ნაღვლიანი, ფერმკრთალი, ბეჩავი, ჩვრებსა და კონკებში გამოხვეული, შვიდი გამურული გოგოს მამა, რომელთა თვალებში შიმშილი იხედებოდა. ირგვლივ სისაწყლე, ტალახი, ძონძები. მას, ნაზი გულის ადამიანს, სურდა რაიმე გზით გაქცეოდა სასტიკ, ულმობელ სინამდვილეს და თავის მიერ მოგონებულ უცნაურ ოცნებებს აფარებდა ხოლმე თავს. მისი ოცნება იყო არა ჯადოსნური კუნძულები, ანუ სამოთხის ბაღები, არა: მისი აღთქმული ოცნება იყო ამ „უკვდავი ხის" დანახვა, რომელიც თურმე იანვრის უსასტიკეს ღამეში, უღრან ტყეში კიდევაც ჰყვავის და კიდევაც ნაყოფს ისხავს ერთი საათის განმავლობაში! და აი მშიერი, მაშვრალი, ძონძებში გამოხვეული დაძრწოდა ქვისხეთქელა ცივ ღამეებში და ზამთრულ ტყეში ეძებდა გაზაფხულურად აყვავებულ ხეს (ხაზი ჩემია — გ. მ.). თურმე იმ ხის ნახვას არაფერი არა სჯობდა! თანაც თუკი მისი ნაყოფი ხელს მოიგდე, მდიდარიც შენა ხარ და უკვდავიც! უკვდავებაზე, ცხადია, იგი სულაც არა ზრუნავდა, მაგრამ შვიდი გამურული გოგოს მამას ფული კი ძალზე სჭირდებოდა. ვინ უთხრა, ვინ ჩააგონა ეს ფანტაზია, დღესაც არ ვიცი. მაგრამ მას სწამდა ამ ხის არსებობა, ხშირად დადიოდა ტყეში ზამთრის მძვინვარე ღამეებში, დადიოდა ფრთხილად, თითქოს თავის ოცნებას ეპარებაო. შინაურებიც კი დასცინოდნენ ამ აკვიატებული ოცნებისათვის, მაგრამ თითონ კი შეუდრეკელი იყო...

... და აი, ზამთრის ერთ მზიან დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაჰქონდა, ტყიდან ურმით ჩამოასვენეს ჩვენი მეოცნებე — გათოშილი, გაფიჩხული მკვდარი, თავის მკვდარ ოცნებასთან ერთად.

თურმე ხის აყვავების მოლოდინში ის გათოშილიყო ერთი ხის ქვეშ, რომელიც მართლაც აყვავებულიყო ყინულის ლოლუების ათასნაირი ყვავილებით და არშიებით. ასე დაიღუპა ჩემი მეგობარი, უკვდავ ხეზე მეოცნებე.

დღეს შემახსენდა იგი ამ ჩვენს მეოცნებეთა ყრილობაზე, მაგრამ ძველად ოცნება უნაყოფო იყო. ბნელ წარსულ დროში ოცნებას ადამიანი

დაღუპვამდე მიჰყავდა ახლა კი სოციალიზმის ქვეყანაში ოცნება მთასა და ბარს სძრავს".

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობისა და ყრმობის ამ შთაბეჭდილებებშია საძიებელი გიორგი ლეონიძის პოეტური სამყაროს უღრმესი საწყისები. ჩვენ აქ არაფერს არ ვიტყვით იმ პირდაპირ, უშუალო გავლენაზე, რომელიც ლეონიძის პოეტურ აზროვნებაზე და პოეტურ სტილზე მოახდინა ქართულმა ენამ, ხალხურმა მეტყველებამ, ქართული მითების პოეზიამ, ხალხის რწმენისა თუ ცრურწმენის პოეტურმა მხარემ. მაგალითად, ცალკე გამოკვლევის თემად შეიძლება გამოდგეს ქართულ ხალხურ მეტყველებაში, პოეზიაში და მითებში დამკვიდრებული „მზის" სახის პოეტური ტრანსფორმაცია ლეონიძის შემოქმედებაში.

ერთ გარემოებას კი უნდა გაესვას ხაზი: ადამიანთა, ხალხის შვილთა ის კოლორიტული სახეები, რომლებიც გიორგი ლეონიძეს თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში აქვს დახატული, არ არიან უშუალოდ, ასე ვთქვათ ეპიკური ხერხებით ასახულნი მის პოეზიაში. ვერ შევხვდებით მის ლექსებში ვერც მეწისქვილე რაჟდენს, ვერც „საწყალ ბაგრატას", ვერც მოუსვენარ ზაქარიას, ვერც მოხუც გიგიტას, ვერც მეამბოხე იაგორას და მეჯღანე იესეს, თვით უბედურ მეოცნებე გლეხკაცსაც კი, „უკვდავი ხის" ძიებას რომ გადაყვა. მაგრამ ამავე დროს ყველა ეს სახე უხილავად ცოცხლობს ლეონიძის ლირიკაში. გიორგი ლეონიძე უპირატესად ლირიკული სულიერი წყობის პოეტია (მისი პოემებიც ხომ მეტწილად ლირიკული ან ლირიკო-ეპიკური ქმნილებებია) და იგი იშვიათად თუ ცდილა თავის ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა ეპიკურ, თხრობით ხორცშესხმას, თუმცა ყოველთვის აცოცხლებდა თავის ლირიკაში მშობელი ხალხის სულს. დედის სახეც კი გიორგი ლეონიძეს დახატული აქვს არა იმდენად პორტრეტულ-ბიოგრაფიულად, არამედ უფრო სიმბოლური განზოგადების ხერხით, რითაც აჰყავს ეს სახე, „ქართლის დედის" განსახიერების სიმაღლეზე (გავიხსენოთ თუნდაც ლირიკული ლექსის „პატარა ქვაო პატარძეულის" ბოლო სტროფები და ლირიკული პოემა „ფორთოხალა"). საყურადღებოა აგრეთვე ლირიკული მეტამორფოზა იმ მეოცნებე გლეხკაცის სახისა, რომელიც „ზამთრულ ტყეში" ეძებდა „გაზაფხულურად აყვავებულ ხეს". განა არ გადმოსახლდა ამ საკვირველი სოფლის რომანტიკოსის სული გიორგი ლეონიძის ლექსებში, სადაც პოეტი „იანვრის სუსხში" გაზაფხულის დაწევას ლამობს? აი რა მოულოდნელ და სახარბიელო ნაყოფს იძლევიან პოეტის სულში ფესვგამდგარი შთაბეჭდილებანი და მოგონებები...

დროთა მსვლელობაში გიორგი ლეონიძის გარემომცველი სამყარო ფართოვდებოდა და იზრდებოდა. ახალი ადამიანები, ახალი მოვლენები იჭრებოდნენ მის დაკვირვებათა და განცდათა რკალში. 1907 წლიდან იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის, ხოლო 1913 წლიდან—თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეა აქ ლეონიძე პირისპირ შეეჩეხა ცარიზმული რეჟიმის მთელს უკუღმართობას. როგორ უნდა განეცადა ყრმას, რომელიც უაღრესი პატრიოტული სულისკვეთებით იყო აღზრდილი, რომელსაც დედის ძუძუსთან ერთად ჰქონდა შეწოვილი სამშობლოსადმი სიყვარული, მისი წარსული, აწმყო და მომავალი ბედ-იღბლისადმი ხარბი ინტერესი, რომელმაც ცხრა-ათი წლის ასაკში ზეპირად იცოდა „ქართლის ცხოვრების" მთელი გვერდები, ვიმეორებთ, როგორ უნდა განეცადა მას ქართული ენის აღკვეთა, ქართული წიგნების აკრძალვა, მშობლიური ერის ღირსების დამცირება, ყოველდღიური თვალთვალი, „დანოსები" და რეპრესიები?.

მით უფრო საამო და ნათელია მოგონებები სულ სხვა ჯურის ადამიანებზე — სკოლაში თუ სკოლის გარეთ, — რომლებიც მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით წარმოადგენდენ მკვეთრ კონტრასტს თვითმპყრობელური სისტემის ყურმოჭრილ მსახურთა მიმართ. უდიდესი მადლიერების გრძნობით იგონებს ლეონიძე თავის მასწავლებლებს: ვასილ ბარნოვს, მესამოცდაათიანელეს შიო შიუკაშვილს, კომპოზიტორებს — ნიკო სულხანიშვილსა და კარგარეთელს, ისტორიკოსს ა. ნატროვს, პედაგოგს, შესანიშნავ რუს ადამიანს სტეფანე სელიხოვს. შიო შიუკაშვილი მე-19 საუკუნის ხელნაწერებს აძლევდა გიორგის გადასაწერად, რათა მას კარგი ქართული ესწავლა და ფულსაც უხდიდა ამ სამუშაოში. ნიკო სულხანიშვილი აღიზიანებდა: ტექსტი დამიწერე ეროვნული ჰიმნისათვის, საცაა განთავისუფლდებით ცარიზმისაგან და დაუჩქარეო! სტეფანე სტეფანეს-ძე სელიხოვმა შეაყვარა რუსეთის ისტორია და ლათინური ენა, სამუდამოდ ჩაუნერგა გონებაში სალიუსტის სიტყვები: „კარგია თუ მამულს საქმით ემსახურე არა ნაკლებ საპატიოა მისდამი სიტყვით სამსახურიცო".

სემინარიაში „ღვთისმეტყველთ" ამზადებდნენ, მაგრამ იგი არსებითად ათეიზმისა და სოციალიზმის ბუდეთ გადაიქცა. რეაქციული რეჟიმი მოსწავლეებში მხოლოდ წინააღმდეგობის გრძნობას აღვივებდა, სამშობლოსადმი უსასრულო სიყვარულს ნერგავდა. „სამშობლო და პოეზია" იყო ახალგაზრდების ერთადერთი დევიზი. შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა იყვნენ მათი გონებისა და გრძნობის მეუფენი. ვაჟა-ფშაველამ ხომ უშუალო გავლენაც მოახდინა გიორგი ლეონიძის ბედზე, როდესაც მოწაფის პოეტურ მიძღვნას საპასუხო ლექსით გამოეხმაურა და ამით თითქოს გზა დაუღოცა პოეზიაში სამოღვაწეოდ. ეს მოხდა 1912 წელს, ხოლო ლეონიძის პოეტური დებიუტი ცოტა ადრე — 1911 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „სინათლის" რედაქტორმა ივანე როსტომაშვილმა პირველი პატრიოტული ლექსი „მცხე-

თა“ დაუსტამბა. ეს ჯერ პირველი, მოწაფური ნაბიჯი იყო პოეზიაში და თავის შეგნებულ მწერლურ მუშაობას ლეონიძე 1915 წლით ათარიღებს. გიორგი ლეონიძის ამის მომდევნო შემოქმედებითს განვითარებას ჩვენ უკვე გავეცანით: 1913 წელს „ცისფერყანწელებთან“ დაახლოება, სახიფათო გზაჯვარედინზე აღმოჩენა და აშკარა საფრთხე იდეური და შემოქმედებითი ჩიხისა, რომელსაც დეკადანსის ზეგავლენა მოასწავებდა. ჩვენ ისიც ვთქვით, რომ ესთეტური მოდერნიზმის ილუზიათა დაძლევას ახალგაზრდა ქართველი პოეტების სულში მკვიდრად დაბუდებულებმა ეროვნულმა დვრიტამ შეუწყო ხელი, სიყრმის შთაბეჭდილებებმა — დიდი ქართული პოეზიის ტიტანების აღუხოცველმა ზეგავლენამ. მაგრამ ყოველივე ეს მეტად ხელსაყრელი, მაგრამ მაინც უპირატესად **სუბიექტური** პირობები იყო მათი მომავალი სულიერი აღორძინებისათვის. საჭირო იყო აგრეთვე ობიექტური, „გარეგნული“ ბიძგი **თვით სინამდვილის** წიაღიდან, რათა ამ კეთილშობილ და გულწრფელ პოეტურ თაობას თავი დაეღწია სულიერი და შემოქმედებითი კრიზისისათვის.

ასეთი ბიძგი იყო ჯერ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ხოლო შემდგომ — ქართული ოქტომბერი, 1921 წლის 25 თებერვალი.

III „ადიდებული, დამწიფებული“ სიცოცხლის მგოსანი

გიორგი ლეონიძის, როგორც გამოჩენილი საბჭოთა პოეტის, შემოქმედებას ჩვენ არ განვიხილავთ აქ მის ზრდა-განვითარებაში. ლეონიძის ოციანი, ოცდაათიანი, ორმოციანი თუ ორმოცდაათიანი წლების ქმნილებებს, მიუხედავად მწერლის იდეური ევოლუციისა და მისი მხატვრული ხერხების განვითარებასა (ორივე ეს პროცესი აშკარაა და მეტად საინტერესო საგანსაც წარმოადგენს საგანგებო განხილვისათვის) ახასიათებს ბევრი ისეთი **საერთო ნიშანი**, რაც მათი, ასე ვთქვათ, ფრჩხილებს გარეთ გატანის საშუალებას გვაძლევს.

გიორგი ლეონიძეს სამართლიანად თვლიან ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვითმყოფად და ეროვნულ ქართველ პოეტად, რომელიც უმჭიდროესად არის დაკავშირებული მშობლიური ენის იდუმალებასთან. ჩვენც აქ უნდა ვეძიოთ გიორგი ლეონიძის პოეტური თავისებურების საფუძველი და პირველწყარო. მართლაც აშვიათად თუ ვინმე შეედრება ჩვენი პოეზიის ამ დაუღალავ გუთნიდედას ქართული ენის ყამირის გატეხვაში, ტაბილქართულის ჯერ მიუკვლეველი და ხელუხლები ფენების ამობელტვაში, მის გადამალულ საუნჯეთა გამომზეურებაში, სიტყვის აღმოჩენა—გაცოცხლებაში, შეგროვება-შერჩევაში, მორთვა-მოკაზმვაში ან, თუ გნებავთ, შეთხზვა-გამოგონებაში... ხოლო ენა ხომ ლიტერატურის ეროვნული ფორმის პირველელემენტი და მთავარსაწინდარია. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ჯეროვნად შესწავლილი და შეფასებული, თუ რა დიდ და უნივერსალურ გავლენას ახდენს ენის ფენომენი არა მარტო პოეტური სტილის ყველა დანარჩენ კომპონენტზე, არამედ თვით პოეტური აზროვნების ხასიათზე. უფრო მეტიც—ყოველი ადამიანის (უკვე პოეზიის ფარგლებს მიღმაც კი) ეროვნულ თავისთავადობაზე, მისი ფსიქიკის, მისი სულიერი სამყაროს ეროვნულ გარკვეულობაზე.

სწორედ ქართული ენის სტიქიასთან (აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლექსიკა არ იგულისხმება) უღრმესმა და საოცრად ორგანულმა კავშირმა განაპირობა, როგორც ვთქვით, გიორგი ლეონიძის პოეზიის თვითმყოფადობა და განუმეორებელი თავისებურება.

ერთი აუცილებელი განმარტება: როდესაც ჩვენ ამა თუ იმ პოეტის თავისებურებაზე, მისი პოეტიკის სპეციფიკურ ნიშნებზე ვლაპარაკობთ და გამოვყოფთ მის რომელიმე განმსაზღვრელ თვისებას, — ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ თვისებას მოკლებულია ყველა სხვა პოეტი ან რომ ის პოეტი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მოკლებულია ყველა დანარჩენ ნიშანთვისებას პოეტიკა, სახვით საშუალებითა მდიდარი კომპლექსი და ურთულესი ხლართია, ხოლო პოეზიაში ინდივიდუალურ სპეციფიკას ამა თუ იმ ნიშნის უნიკალობა ან ამა თუ იმ პოეტურ ხერხზე მხატვრის მონოპოლია კი არ ქმნის, არამედ სტილისტურ კომპონენტთა ურთიერთკავშირი და მიმართება, ამ კავშირის ხასიათი და ბუნება, გარკვეული სტილისტური ელემენტის დომინანტური მდგომარეობა და, **რაც მთავარია**, ყველა ამ სახვით საშუალებათა გაცოცხლება, განპირობება თვით პოეტის სულიერი სამყაროთი, მისი მსოფლგაგებითა და მსოფლშეგრძნებით, ხასიათითა და ტემპერამენტით. ცოცხალ ბუნებაშიც ხომ სპექტრის შვიდადშვიდი ფერის სხვადასხვაგვარი შეხამება სულ სხვადასხვა ეფექტს იძლევა, ხოლო მსგავსი ქიმიური ელემენტების გაერთიანებული ურთიერთმიმართება ნაირნაირ ნივთიერებას წარმოშობს!

როდესაც ჩვენ გიორგი ლეონიძის პოეტური ენის თვითმყოფადობაზე და მშობლიური ენის იდუმალებასთან მგოსნის უღრმეს კავშირზე ვლაპარაკობთ, სრულიადაც არ ვგულისხმობთ სიტყვით თვითმიზნურ გატაცებას. პირიქით, ქართული სიტყვისადმი პოეტის ინტერესი სწორედ იმიტომაა ეგზომ ღრმა, რომ ენა მისთვის ის ცოცხალი ძაფია, რომელსაც მიჰყავს პოეტი ერის, ხალხის სულიერ საუნჯესთან, მის წარსულთან, აწმყოსთან თუ მყოფადთან, მის ოც-

ნებასთან თუ მოგონებებთან, ჭირთან თუ ვარამთან, ჭმუნვასთან თუ სიხარულთან მის ტრფიალთან, სიძულვილთან, ვნებათაღელვასთან, მის სიცოცხლესთან და არსობასთან.

სულ ჩემი გულის მონაწერია,
რაც დაეპწკარა ქაღალდს ლექსები,
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავეხესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

მარადი შუქით ბრწყინვალებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე მისი მშვენების იქით
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!

აღერდეს მისთვის პოეტის ენა
და ტკბილი სიტყვის გამართულობა
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა, —
ჩემი თქმულობა, ლექსქართულობა!

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი, —
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გიორგი ლეონიძის მეზის ავტოპორტრეტია; და ეს პროგრამაა, რომლის ერთგულია პოეტი იმ დღიდან, რაც მან ლექსის წერა დაიწყო.

დიახ, ეს ლირიკული აღსარება პატრიოტი — პოეტის მოქალაქეობრივი პროგრამაა, მისი ეთიკური კოდექსია. როგორიღაა მისი ესთეტიკური მრწამსი? ლეონიძის პატრიოტულ დეკლარაციას თუ სხვა ქართველი ოსტატებიც მოაწერენ სრული უფლებით ხელს, სილამაზის კონკრეტული ფორმებისადმი მათს მიდრეკილებაში ხომ არის საგრძნობი სხვაობა? ხომ სხვადასხვაა მათი წარმოდგენა იმ საუკეთესო ფორმაზე, რომელშიაც უნდა ჩამოაყალიბო თუნდაც მონათესავე გრძნობები და თვისტომი იდეალები?

აი ამომწურავი პასუხიც ამ კითხვაზე:

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.

დღევანდელი დღის პასუხ-მგებელი,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს, იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში!

და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არის ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი —
შენი სიტყვების ღიმილს მოელის.

შენ გელოდება დასასტამბავად
ათი ათასი ჩანჩქრის ბღავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!

სიცოცხლის სიჭარბე, სიუხვე, სიმწიფე, მისი უაღრესი „ავსებულობა", „სისავსე" და ამავე დროს მარადუკვნობი სიჭაბუკე — აი, გიორგი ლეონიძის ესთეტიკური იდეალი, მისი სიყვარულის საგანი, მისი არჩევანი. და მან არ იცის თავისი გრძნობის „მოზომვა", თავშეკავება. იგი არასოდეს არ უდებს ზღვარს „მღელვარე მეზის მიმოქცევას". შეიძლება გვითხრან, რომ არც სიცოცხლის სიჭარბე და არც მისი მარადიული სიჭაბუკე არ არის ლეონიძის გემოვნების მონოპოლია. მართალია, მაგრამ ეს მისი ერთადერთი სიყვარულია. ხომ არიან პოეტები, რომელთაც უყვართ წვიმანასხური განთიადი ან საღამოს მიმწუხრი და არა მცხუნვარე შუადღე, მწვანედ მობიბინე ჯეჯილი და არა დაპურებული ყანა, ზამთრის ან შემოდგომის მდინარისპირა პეიზაჟი და არა გაზაფხულის წყალდიდობა? ხომ არიან პოეტები, რომელთაც დასასტამბავად ელოდება არა ათი ათასი ჩანჩქრის ბღავილი, არამედ მორიღებული ნაკადულები, სულგანაბული ტბები, ანკარა წყაროები ან თუნდაც წყალმრავალი მდინარე, რომელსაც ზანტად, ამაყი ლივლივით მიაქვს თავისი ზვირთები ზღვისაკენ! აქ კი სწორედ ათი ათასი გიჟი ჩანჩქერი ლამობს ეძიროს, ბღავლით შეასკდეს პოეტის სტრიქონს, შეარღვიოს მისი ლექსის ჯებირები.

არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
ნარტყამი ხმალი საკაძისა,
არ მინდა სირჩა სხვისი ნასვამი,
ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა,
სხვის იალქანი ათრთოლებული!
მე მიპოვნია ჩემი სიმღერა,
ჩემი სიტყვები გამაპობელი, —
სიტყვა ამტყღარი წვიმასავითა,
ცისარტყელებით ვარაყფრქვეული!

. . . . . .

დე, ჩემი ლექსი დარჩენილიყვეს,
ვით ხმლის ნატეხი დაძველებული,
ვით წყალდიდობის ქაფი შემხმარი
დიდი მდინარის ნაპირებისა...

ვიცი, ფერფლიდან ტალღა წამოვა,
ძალა ექნება დაჯახებისა;
ვიცი, ტალღიდან წარღენა წამოვა
და არ ეყნება ბოლოკიდური.
შიგ დღევანდელი ხმა დაიძახებს,
ჩემი გულის ხმა სიცოცხლიანი...
ახალ ვაჟკაცთა ახალი ღონით,
ახალ ქართლის მზით გაჩაღებული...

ყავს პოეტს ერთი **დაუძინებელი მტერი — სიბერე.** ნუ გავიგებთ ამას მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით. წლების ტვირთს ზურგიდან ვერ მოიცილებ და ჭაღარასაც ვერ გადაუღობავ გზას. „სიჭაბუკე", ისე როგორც „გაზაფხული", ლეონიძისათვის ყოველთვის იყო „პოეზიის" სინონიმი. „სიჭაბუკე და ლექსი ერთია". ამიტომ „სიბერეც" პოეტისათვის არა იმდენად ბიოლოგიური, რამდენადაც **ესთეტიკური კატეგორიაა,** და, როგორც ასეთი, იგი ვერ ეგუება, მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება ლეონიძის ესთეტიკურ იდეალს, მისი პოეზიის ბუნებას. სადღა არის საწინდარი ლექსისიმ მარადუჭკნობი სიჭაბუკისა, რომლისკენაც ლეონიძე იმთავითვე ისწრაფვის? ლექსისა და მისი წარმომშობი ეპოქის თანხმოვანებაში. ლეონიძის ერთ-ერთი საოკეთესო ნაწარმოებთაგანი — „ძველი დაირა" სწორედ ამ ქვაკუთხედური პრობლემისადმია მიძღვნილი.

ნაშუალამევს, ქეიფის მიწურულს, გადაქანცულ ძველი დაირას ხმას ააყოლებს ნაზი ქალწული.

რამდენი თრთოლა ახსოვს მუხამბაზს,
რამდენი გულის გადაბრუნება,
რამდენჯერ გული შანთით უხაზავს,
დაუდაღია მისი ბუნება.

ეს ხმა კი არა, იყო სახმილი,
და ზედ ათასი ება ისარი, —
გაფიცხებული ვნების ძახილი,
ნანამქერალი, ნამაისარი...

ახლა კი მღერის ძლივს, ხმაწასული,
მთვარეში დამწვართ ოხვრის დამსკვნელად,
როგორც ქალწული დროგადასული
უკანასკნელად, უკანასკნელად...

შეტირებული, ბედის მჩივარი,
ძველი ხმა გულზე მომებოლება...

რაშია საქმე? განა ლეონიძე არ მიმართავდა სხვა ქართველ პოეტებზე მეტად წარსულს, იახლოებდა მას, რათა გაეზიარებინა საუკუნეთა მანძილზე მშობელი ხალხის სიხარული და ჭირვარამი? რატომღა „მოებოლა გულზე" ეს „ძველი ხმა"? იმიტომ, რომ, პოეტის ღრმა რწმენით, სიხარულიც და სევდაც **ორგანული** უნდა იყოს, პოეტის დღევანდელი განცდათ გამოწვეული, სულ ერთია — წარსულისაკენ, აწყოსაკენ თუ მომავლისაკენაა ეს გრძნობა მიმართული. სევდა ვერ იცოცხლებს მაოლოდ ინერციის ძალით ან იმიტომ, რომ მას ერთგვარი მომხიბლველობა გააჩნია, სიმღერა „ხმაწასული" და „დროგადასული" არ უნდა იყოს — მხოლოდ ცოცხალი გრძნობის ფეთქვაშია პოეზიის აზრი და დანიშნულება. რა ბუნებრივი და ორგანულიც არ უნდა ყოფილიყო სიმღერაში გადმოცემული განცდა ამ სიმღერის და ამ განცდის დაბადებისას („რამდენი თრთოლა ახსოვს მუხამბაზს, რამდენი გულის გადაბრუნება"), — ახლა ის მხოლოდ „გულზე მოებოლება" მამენელს, რადგან უკვე სიმღერა კი არ — გადამღერებაა.

ხმა ხმაურობდა საუკუნეში,
ეხლა დაღლილი ჩვენს წინ ეცემა.
. . . . . .
მაინც მღერიან და აწვალებენ
და მიტომ ჩემთვის სატანჯურია,
როცა ყურს ვუგდებ მუხამბაზს დაღლილს,
როდესაც გულზე არ მრჩება დაღი,
როცა თავისს დროს
აცალცალებენ
და მისი ცრემლი აღარ მწყურია...

თუ ძველ ყვავილებს მოალბობს ჟამი,
ძველ სიმღერებსაც ჰქონიათ ბედი,
თუ ხმას დაეცა სიბერის შხამი,
ველარც აანთებს გულის აბედი.

და ვერც ნამკვდრევმა ჰანგმა ასახოს
და ააღეროს ჩვენი ოცნება;
ახალ დღეს,
ახალ ვარდს
და გაზაფხულს
ახალი ხმები გაეკოცნება...

ნუ კი იფიქრებთ, რომ ლეონიძის პოეზია უდარდელად ოპტიმისტურია. დიახაც, ის დაბადებულია თავბრუდამხვევი სიხარულისათვის, წრეგადასული მხიარულებისათვის, აღტყინებული სიმღერისათვის. გამარჯვების ზეიმისათვის, მაგრამ მით უფრო გულისხმიერია იგი ადამიანური ჭირ-ვარამის მიმართ, მით უფრო ადვილია მისი დადარდიანება უბედურებით, მოშხამვა მწუხარებით, შეურაცხყოფა ულინდისობით. პოეტი თუ ამბობს — „არ დაიდარდო, დედაო", განა თვით ეს სიტყვები უდიდესი გულისტკივილის ამოგმინვა არაა? და ყველგან, ყოველთვის — სიჭარბე, სიუხვე, სისავსე გრძნობის გამომჟღავნებაში; სიხარული თუა — უზომო იყოს, ტკივილი თუა — დაუოკებელი. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა გიორგი ლეონიძის პოეტური ციკლი, მიძღვნილი საქართველოს

ისტორიული წარსულისადმი — „ქართლის ცხოვრება“. მკითხველის წინაშე ცოცხლდება ტრაგიკული ფერცლები პატარა ერის ისტორიისა, რომელმაც გასაცვიფრებელი თავგანწირვით, გმირობითა და შეუდრეკელობით მოიგერია რომაელთა და ბიზანტიელთა, მონღოლთა და ხაზართა, არაბთა და სპარსთა, თურქთა და ლეკთა სისხლიანი თავდასხმები. ტრაგიკული თემა ვარიაციებად გადადის ლექსიდან ლექსში (ლეონიძე პოეტური ვარიაციის დიდოსტატია) და ისეთია აქ პოეტური განცდის ძალა, ისეთია სისხლიდან დაცლილი ხალხის ტანჯვა-წამების გადმოცემის დამარეტიანებელი სიმართლე, რომ სახეები, რომლებიც ფორმალურად შეიძლებოდა ჰიპერბოლათა რიგისათვის მიგვეეუთვნებინა, არ აღიქმებიან როგორც ასეთნი, რეალისტურად ზუსტნი გვეჩვენებიან — **იმ ბრძოლებში** გამოკვეთილ ცოცხალ ნაპერწკლად, იქ დაღვრილი სისხლის წვეთად, **მაშინდელი** ნახანძრალების კვამლად და ნანგრევებს ფერფლად გვესახებიან. და ისევე, როგორც ლეონიძემ თქვა ქართველი ერის მატიანის „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ ლეონიძის ამავე სახელწოდებით დასათაურებულ წიგნზე:

გაშალე... ყველა ფურცელი
არის ფოლადის ნაცარი,
დამსხვრეულ ხმალთა ელრიალი,
დეკეცთა ნამამაკარი.

. . . . . .

და რაც თმას ყალყზე აყენებს,
რაც მწარედ გვემახსოვრება, —
ქართლის მკვლელობის ძველ
ამბებს
უწოდეს ქართლის ცხოვრება!“

ამ ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში მიგნებულია საოცრად ღრმა და ტევადი პოეტური სახე, რომელიც უაღრესი ლაკონიზმით გადმოგვცემს ლექსის თემის — საქართველოს ისტორიული ბედ-იღბლის მთელ ტრაგიკულ არსს. **სიკვდილი მონათლულია სიცოცხლედ.** განა მხოლოდ მწარე ირონიაა ეს? არა, ეს სახე უფრო ფართოა, უფრო მრავალისმთქმელი. არ შეიძლება არ დავინახოთ მასში ქართველი ხალხის სიცოცხლისუნარიანობით, მისი ცეცხლგამძლე ამტანობით აღტაცება, სიამაყე, არ შეიძლება არ დავინახოთ მასში ის **ისტორიული ოპტიმიზმი**, რომლის მატარებელია მუდამ ხალხი და მხოლოდ ხალხი. აი, რისი თქმა უნდოდა ლეონიძეს და თამამად შეგიძლია ვაღიაროთ, რომ ამ ისტორიული ოპტიმიზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული პოეტის თუნდაც ყველაზე ტრაგიკული სტრიქონები, მიძღვნილი „ქართლის ჭირისადმი“.

გიორგი ლეონიძე, რომელმაც ამდენი სტრიქონი შესწირა საქართველოს ისტორიულ წარსულს, „ქართლის ბედს“, არასდროს არ ყოფილა ამასთან ერთად პოეტი-არქაისტი, პოეტი-ანტიკვარი, პოეტი-არქივარიუსი. ისტორია მისთვის მუდამ განცდის ცოცხალი საგანი იყო. გავიხსენოთ კვლავ ბლოკის სიტყვები „ადამიანის სულის“ შესახებ, რომელიც უნდა ისწრაფვოდეს „უფრო მომავლისაკენ, ვიდრე წარსულისაკენ; წარსულისაკენაც, — ოღონდ იმდენად, რამდენადაც წარსულში მომავალია ჩასახული“. გიორგი ლეონიძე დაჯილდოებულია წარსულში მომავლის განჭვრეტის იშვიათი უნარით. აქვს ლეონიძეს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც განსაკუთრებული სიმკვეთრით არის გატარებული პოეტის სოციალ-ისტორიული კონცეფციისათვის დამახასიათებელი აზრი წარსულის მოღვაწეთა მიერ ელისეს მინდვრების საზღვრების გარღვევისა და მომავლისაკენ მკლავრი გაქანების შესახებ (როგორ არ გავიხსენოთ აქაც ბლოკის წერილი!):

ნაცისკრალია,
უკანასკნელი
შხამის წვეთები სულმა დალია,
თეთრი შროშანა დაგეცა გულზე
და ლურჯი ფერით თვალი მთვრალია.

შენი ვარსკვლავი უკვე გაშავდა
და შენი ზეცა ესრედ მზარავი:
ახლა სად გინდა, რომელ ტრამალზე,
დასცე მხედრული შენი კარავი?

იქნებ, ელისეს მინდვრებს გადაღმა
თანავარსკლავედს შეხვდე ყარიბი? —
ნაწყლულარებით იქნებ სამშობლოს
უფრო უმეტეს შეეყვარები?..

. . . . . .

უკვე გათავდა! კმარა, სიკვდილო,
შენთან კამათი და საუბარი...
აღარც განჯა და ავი ციება,
არც ანჩისხატის ვიწრო უბანი!

აღარც გამოვლილ უფსკრულთა სიღრმე,
აღარც გადახდა მძიმე ვალისა,
აღარც საყურე... მის ნაცვლად შუბლზე
ბრწყინავს ბეჭედი მომავალისა.

. . . . . .

ძველი ყაბახის მოედანიდან
შენ მოაჭენე ჩვენთან პირველმა,
საკუთარ გულის დამნაცრებელმა,
საკუთარ ფერფლის შემომწირველმა!

ჩვენ შეგაგებეთ ახალი ქართლი,
ახალ ოცნებით, ახალი ბუქით.

დღეს შენც ანათებ მის შარავანდედს
ქართლის ბრწყინვალე წინამორბედ!

ლეონიძემ ისე იცის წარსული ამბის განცდა, თითქოს ეს ამბავი ახლა, მის თვალწინ მომხდარიყოს. აქ პოეტური, სახეობრივი აზროვნების რაღაც საკვირველ მასშტაბურობასთან გვაქვს საქმე. ამ თვისებას ჩვენ ვერ ავხსნით ლეონიძის მხატვრულ სახეთა მხოლოდ და მხოლოდ ჰიპერბოლიზმით. ჰიპერბოლა ხომ პოეტური ხერხია მაინც, აქ კი ჩვენ თვით პოეტის სულის თვისებასთან გვაქვს საქმე. მის უნართან ისე განიცადოს დროით და სივრცით დაცილებული მოვლენები, თითქოს შესაძლებელი იყოს ქვეყნის მთელი ისტორიის დროის ისეთ მონაკვეთში კონცენტრირება, რომლის მოცვაც პოეტის სიცოცხლეს ძალუძს. ანდა, პირიქით, პოეტის ცხოვრება რომ იყოს დროით განუსაზღვრელი, სამშობლო მხარის მთელი ისტორიული ცხოვრების მოწმე და მონაწილე. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსი: „მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“,
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!

გამოვვარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარია, რომ ისევ დგეხარ!

შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას —
ამ ვარდებს ვისაც არგუნებ!

აქ წარხოცილია ზღვარი წარსულისა და აწმყოს შორის. წარსული საშინელების განცდით შეძრწუნებული პოეტი დღეს გამორბის გარეთ, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს თავისი მშობლიური ქალაქის უკვდავებაში, მის აღორძინებაში.

და რა გასაკვირია, რომ პოეტი, რომელმაც შავბნელი ისტორიის წყვდიადშიც კი განსჭვრიტა მზის სხივი და თვით სიკვდილში შეიცნო სიცოცხლის ზეიმი, რა გასაკვირია, რომ იგი გულიდან აღმოხეთქილი სიხარულის გრძნობით, აღტაცების ყიჟინით შეხვდა დღეებს, რომელთაც არგუნეს ბედნიერება ხალხს, სამშობლოს, გამარჯვება გონებასა და ადამიანობას? და თუ პოეტურ რკალს „ქართლის ცხოვრება“ ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ საზეიმო რეკვიემი, „ქებათა-ქება“, წარსულის გმირებისადმი მიძღვნილი, თუ წარმტაცი ციკლი ლირიკული პეიზაჟებისა, ჟანრული ჩანახატებისა და ელეგიური ნატურმორტებისა, რომელიც გაერთიანებულია წიგნში „თბილისის განთიადები“, შეიძლება ჩავთვალოთ თავისებურ რომანტიკულ სიუიტად, — უკვე ნამდვილ პათეტიკურ სიმფონიად ეღერენ პოეტის ლექსები, სადაც გადაშლილია განახლებული, აღორძინებული, აყვავებული საქართველოს თვალისმომჭრელი სურათები.

ვხედავ, არწივმა ასწია მიწა,
გულმა როგორ არ გაიმცნაუროს?
მიწა იღვიძებს, მიწა გუგუნებს,
დაძინებული ძარღვი ხმაურობს.

— გასჭერ ხეობა! —
იბრძვის წერაქვი,
ავარდა ნალმი, ბელტი გადადის.
— აღსდექ, შეხმარდი ქვეყნის დიდებას,
გესმის, იორო, ხალხის ღაღადი?

გეყოფა, მიწავ, ცხედრული წოლა,
უდაბნოება, ხავსი, ნაცარი, —
აღსდექი, მხრები შეიტორტმანე,
გვიჩვენე შენი ნამოღვაწარი!

. . . . . .

მე ვგრძნობ, ბეჭებში ფრთები მეზრდება,
მე ვხედავ, ვხედავ, ვერ ვუძლებ ლოდინს,
გულში ოცნების ზღვა გადიწურა,
მოდი, მაისო, ათასჯერ მოდი!

ვიცი, მოხვალ და მეც აქ დავხვდები,
როდესაც თბილისს ვარდებს მიაშლი...
გულო, აღდერდი თვალგადუწვდენელ
ზურმუხტ ყანების ლივლივ-ნიავში!

„პოეტური სიმფონიზმის“ პრინციპზეა აგებული გიორგი ლეონიძის ლირიკულ-ეპიკური პოემებიც — „ფორთოხალა“ და „სამგორი“, სადაც თანამედროვე თემა, „ახალი ქართლის“ თემა გადაწყვეტილია ისტორიულ თემასთან თავისებურ კავშირში და მიმართებაში. ამასთან, ისტორია და თანამედროვეობა ამ ნაწარმოებებში ურთიერთთან დაკავშირებულია როგორც კონტრასტის, ისე ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთიანობის გამომხატველი მხატვრული ხერხებით. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა პოემა „ფორთოხალა“. იგი მთლიანადაა აგებული წარსულისა და დღევანდელობის სწორედ ასეთ შეპირისპირებაზე: პოეტი ძველ საქართველოს მკვიდრს, გლეხის ქალს ფორთოხალას საუკუნეთა ბურუსიდან გადმოახედვინებს აწმყოში და დაანახვებს დღევანდელი, მართლაც რომ მზიური საქართველოს სურათებს. ფორთოხალა სიმბოლური სახეა. იგი განასახიერებს ქართლის დედას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შრომობდა კიდეც და შვილებსაც ზრდიდა,

წელს ახრიდა მონური არსებობის მძიმე უღელქვეშ.

ფორთოხალას ცხოვრების აღწერისას პოეტი არ გვაძლევს იმ ეპოქის რაიმე კონკრეტულ ნიშნებს, სადაც ფორთოხალა ცხოვრობდა. და თუმცა პოემის ერთ-ერთ კომენტარში ნახსენებია მე-11 საუკუნე, ხოლო თვით პოემის ტექსტში ნათქვამია, რომ ეს ამბავი მოხდა ათასი წლის წინათ, „ზოთას უწინ", ფორთოხალას ბედი ერთნაირად დამახასიათებელია როგორც უფრო ადრინდელი, ისე მოგვიანო პერიოდისთვისაც, რადგან, თავისი საერთო ჩანაფიქრის თანახმად, ლეონიძე ცდილობს გადმოგვცეს ის არსებითი, მთავარი თვისება, რომელიც ნიშანდობლივი იყო საერთოდ ფეოდალური ხანის საქართველოსთვის, მისი სოციალური ყოფისათვის: მშრომელი ხალხის მძიმე ხვედრი.

ზღვა დაშრება, — უთქვამთ ასე,
გინდ ქარიშხალს გაებრძოლოს,
ქარიშხალიც გაჩუმდება,
შენს ჯაფას კი არ აქვს ბოლო...

უმზეო და უვარსკვლავო,
ცხოვრება გაქვს ბნელზე ბნელი!
ჭაობი სჭამს შენს მოსავალს
და ბატონი — ბელზებელი.

ასე იცის ბედშაობამ,
მწარე დღეებს მიაწყვილებს;
მწარ ტანჯვაში დაიხარჯა
შენი ტურფა სიყმაწვილე!

მაგრამ მე-11 საუკუნესთან ფორთოხალას პირობითს „მიმაგრებას" აქვს მაინც თავისი მეტად ღრმა აზრი. აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ პოლემიკურ ამოცანაზე, რომელიც ავტორს აქვს დასახული. ლეონიძე ილაშქრებს ორი ტენდენციის წინააღმდეგ, რომლებიც დამახასიათებელი იყო ძველი ისტორიოგრაფიისათვის: საქართველოს ფეოდალური წარსულის იდეალიზაციის წინააღმდეგ (რაც გამოიხატებოდა ფეოდალებისა და გლეხების ვითომდა იდილიური დამოკიდებულების აღწერაში) და უბრალო, მშრომელი ხალხის ისტორიული როლის დამცირების, საქართველოს ისტორიის მხოლოდ და მხოლოდ როგორც მეფეებისა და დედოფლების ისტორიის ასახვის წინააღმდეგ. მკაცრი პოლემიკური პათოსით მათ მიმართ, ვინც ამცირებდა ან სრულ ვერ ამჩნევდა ხალხის როლს საკუთარი ქვეყნის ისტორიაში და ამავე დროს მშრომელი ხალხისადმი, ქართველი ერისადმი „ქართლის დედისადმი" უსაზღვრო სიყვარულის გრძნობითაა გამსჭვალული ლეონიძის პოემის მგზნებარე სტროფები.

„ფორთოხალა" ჰიმნია, მიძღვნილი ისტორიის შემოქმედ ხალხისადმი, უსახელო გლეხის ქალისადმი—მხვნელ-მთესველთა და მეომართა, ქვისმთლელთა და ოქრომჭედელთა, ხუროთმოძღვართა და მგოსანთა დედისადმი...

„ფორთოხალას" ავტორმა ლირიკული პოემა უწოდა. ამით აიხსნება მისი კომპოზიციის თავისებურებაც — თითქოსდა ფრაგმენტარობა, ინტონაციათა ხშირი ცვლა, რიტმული გადასვლები, თხრობითი, სახოტბო, ლირიკული და პუბლიცისტური მოტივების მორიგეობა და ამით განსაზღვრული პოეტური ტონალობის მრავალფეროვნება, პოემის საერთო ჟღერადობის აშკარა პოლიფონიური ხასიათი. პოეტი არ სახავდა თავის წინაშე წმინდა ეპიკურ (ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით) ამოცანებს. და ამიტომ ლირიკული პოემისათვის, რომლის მიზანია საქართველოს წარსულისა და აწმყოს, მე ვიტყოდი, ფილოსოფიური გააზრება, სავსებით კანონზომიერია ის პირობითი პოეტური ხერხიც, რომელსაც მიმართავს ავტორი, აჩვენებს რა ფორთოხალას დღევანდელ საქართველოს. ასევე ორგანულად ჟღერს პოემაში უშუალოდ ავტორის ხმა, მისი ლირიკული და პუბლიცისტური წიაღსვლები — სულერთია სამშობლოს წარსულზე ლაპარაკობს იგი, მის აწმყოზე, თუ მრისხანე გაფრთხილებით მიმართავს ბნელ ძალებს, რომლებიც ლამობენ კვლავ ჩაითრიონ იგი ახალი ტანჯვა-წვალების მორევში.

გიორგი ლეონიძის დიდი პოემები — „ეპოპეა" და „სამგორი", „ფორთოხალასაგან" განსხვავებით, უკვე საკუთრივ ეპიკური ნაწარმოებია, თუმცა მათშიაც მეტად მძლავრია ლირიკული ნაკადი. ამ პოემებშიც გამოვლინდა ყველა ის სპეციფიკური ნიშანთვისება, რომელიც „ადიდებული, დამწიფებული" სიცოცხლის მგოსანს ახასიათებს, აქაცა აქვს მას ნაპოვნი თავისი „სიმღერა" და „სიტყვები გამპობელი", აქაც არის მისი სიტყვა „ამტყდარი წვიმასავითა" და „ცისარტყელებით ვარაყმფრქეველი"; პოეტის ლექსი კვლავ სიშაბუკესთან არის დაწყვილებული „ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი" და, რაც მთავარია, ამ ლექსს აქაც არ უჩანს —

და არ ეჭნება ბოლოკიდური
შიგ დღევანდელი ხმა დაიძახებს,
ჩემი გულის ხმა სიცოცხლიანი
ახალ ვაჟკაცთა ახალი ღონით,
ახალ ქართლის მზით გაჩაღებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარგის კაკაბაძე

★

გიორგი ლეონიძე და ძველი ქართული კულტურის საკითხები

ჩვენი სახელოვანი პოეტი, რომლის დაბადების 60 წლისთავს აღნიშნავს ქართული საზოგადოებრიობა, დიდად ღვაწლმოსილია ძველი ქართული კულტურის საკითხების შესწავლის სფეროშიც. ცნობილია, რომ გიორგი ლეონიძის პოეზიას თანამედროვე საქართველოსა და მისი ბედნიერი მომავლის ღრმა რწმენასთან ერთად ასულდგმულებს დიდი სიყვარული მშობლიური ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი საუნჯისადმი. სწორედ იმიტომ რომ ჩვენი პოეტის შემოქმედებას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ჩვენი ხალხის ძველ საუკეთესო მონაპოვართა სამყაროში, გიორგი ლეონიძე გვევლინება, როგორც ჩვენი ხალხის ისტორიული კულტურის მეტად თვალსაჩინო და ნაყოფიერი მკვლევარი, მისი მცოდნე-სპეციალისტი და მეცნიერი.

ადრე, ჯერ კიდევ მოწაფეობისას, გიორგი ლეონიძე გამოდის ასპარეზზე, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი. მისი ჭაბუკობის დროის ნაწარმოებები და დაკვირვებები ამ დარგში ააშკარავებდნენ მომავალი პოეტის დიდ ინტუიციას, საკვლევო მუშაობის საღ უნარს, მის უღრმეს სიყვარულს საქართველოს ისტორიისადმი. ასეთია მის მიერ თავის დროზე, 1912—1914 წლებში, ფსევდონიმებით ან გვარის მიწერით ქართულ პერიოდულ ორგანოებში დაბეჭდილი წერილები კახეთის ისეთ ძველ ძეგლთა შესახებ, როგორიცაა კაწარეთის სამება, ნინოწმიდის ეკლესია და სხვა. ამავე პერიოდში ის სწავლობს უჯარმის უძველეს ქართულ ციხე-ნაქალაქარს და აქვეყნებს მეტად საყურადღებო წერილს მის შესახებ.

ამავე ხანას მიეკუთვნება გ. ლეონიძის მონოგრაფიული ნაშრომების გამოქვეყნება ამბროსი ნეკრესელისა (VI ს.) და მიქელ მოდრეკილის (X ს.) მოღვაწეობის შესახებ და, აგრეთვე, წერილები ორ ფელეტონად ათონის ივერიის მონასტერზე. პარალელურად ის ბეჭდავს თავის საყურადღებო დაკვირვებებს ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ.

საფიქრებელი იყო, რომ ამ პირველ საყურადღებო და ნიჭიერად დაწერილი ნარკვევების შემდეგ ავტორი შერჩებოდა საქართველოს ისტორიის კვლევაძიების ასპარეზს. მაგრამ გიორგი ლეონიძის შემოქმედებითს არეალში მალე გადასწონა პოეტურმა ბუნებამ, რამაც მისი მუშაობა ხსენებულ დარგში დააპირობა ძველი ქართული მწერლობის და, კერძოდ, ვერსიფიკაციის შესწავლის მიმართულებით. ამას მოჰყვა პირველი მისი სავსებით დადინჯებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელმაც მაშინვე მოუპოვა ავტორს უნარიანი და ნიჭიერი მკვლევარის რეპუტაცია. სახელდობრ, 1920 წელს გიორგი ლეონიძე აქვეყნებს ვახტანგ მეფესთან 1724 წელს რუსეთში გადასულ მამუკა ბარათაშვილის ჭაშნიკს, რომელიც დაწერილია მოსკოვში 1731 წელს. გიორგი ლეონიძემ ამ ჭაშნიკის ტექსტს უძღვნა თავისი ვრცელი გამოკვლევა, რომელშიაც ცხადყო მამუკა ბარათაშვილის, როგორც ქართული ლექსის ნორმების გამრკვევისა და მისი ახალი სახეების მომცემის მნიშვნელობა ჩვენს ძველ პოეზიაში. იქვე პირველად ჩვენს ლიტერატურაში მოცემულია მამუკა ბარათაშვილის ბიოგრაფია. გიორგი ლეონიძის ეს გამოკვლევა წარმოადგენდა მნიშვნელოვან მონაპოვარს ჩვენი ქართული პოეზიის ისტორიისათვის და ამიტომ მან მაშინვე მიიქცია ყურადღება როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმითაც, ეს ნაშრომი აღინიშნება არა მარტო წამოჭრილი საკითხების ღრმა ჩაწვდომით, არამედ თავისი მხატვრული ენით, რაც უჩვეულო იყო მაშინდელ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

1928 წელს გიორგი ლეონიძემ მოგვცა სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე-სიცრუის წიგნის ახალი გამოცემა. აზრიანად შედგენილი ლექსიკონისა და ტექსტის ინდექსის გარდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უაღრესად დეტალურად და მრავალი მასალის გამოწვლილით დაწერილი სულხან-საბას ვრცელი ბიოგრაფია. გიორგი ლეონიძის ეს ნაშრომი, რომელიც მცირე ფორმატის 212 გვერდს მოიცავს, წარმოადგენს საბას პირველ სერიოზულ მეცნიერულ ბიოგრაფიას, დაწერილს გაშლით-XVII—XVIII ს-ნეთა ამბების ფონზე. აქაც ავტორის მიერ წყაროების ღრმა ცოდნას და მის კვლევით უნარს ეჯიბრება მისივე მაღალსარისხოვანი ლიტერატურული ხერხიანობა და წერის მანერა. მაღალი კულტურის მკვლევარი და, ამავე დროს ბრწყინვალე ნიჭის მწერალი—ასეთად წარმოგვიდგება გიორგი ლეონიძე ამ თავის ნაშრომში.

გ. ლეონიძის დიდ ღვაწლს ისიც შე-

ადგენს, რომ მან, პირველმა, გამოსცა XVII საუკ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი.“ გამოცემას აწერია: „გიორგი ლეონიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით“. გიორგი ლეონიძე იყო მა ნაწარმოების ლენინგრადში დაცული უნიკალური ხელნაწერის მიმკვლევი და მისი ტექსტის გადამღებელი.

ხსენებულ გადმოცემას დართული აქვს თვით გიორგი ლეონიძის მიერ დაწერილი ვრცელი (56-გვერდიანი) გამოკვლევა „შაჰნავაზიანის“ ისტორიულ-ლიტერატურული რაობისა და ავტორის შესახებ. გამოკვლევაში წყაროების ამოწურვით დადგენილი იქნა, რომ ამ ისტორიული პოემის ავტორი ფეშანგი იყო ამირაშვილი ანუ ამირას ძე ხითარაშვილი. აქაც ჩვენ ვხედებით გ. ლეონიძის წერის მანერას—ცალკეული ისტორიული ფაქტების ზუსტად დადგენას და ამ ფაქტების მოხერხებით აწყობას ეპოქის მთლიანი სურათის წარმოსადგენად.

თვით შაჰნავაზიანის შესახებ მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ფეშანგი დაშორებული იყო პოეტის არჩილ მეფის პრინციპს ენის საკითხში. „არჩილის სკოლამ იოსებ ტფილელის და სულხან ორბელიანის მონაწილეობით ენის მხრივ სახელოვანი მუშაობა ჩაატარა: ამ სამმა ბრწყინვალე ოსტატმა ახალი პოეტური სტილი შექმნესო“ (გვ. 63). ფეშანგი ხნოვანობით იოსებ თბილელზე და, მით უმეტეს, არჩილზე უფროსი იყო, ამიტომაც „ის წინა სკოლის წარმომადგენელიაო“. საერთოდ, ფეშანგის შესახებ მკვლევარი არ არის დიდი აზრისა. „შაჰნავაზიანში“ აღინიშნება ზოგი სტილისტიკური ვულგარიზმები, თუმცა არა იმდენი, რამდენიც მოსალოდნელი იყო სავაჭრო წრიდან გამოსული მგოსნისაგან. პოემაში ბლომადაა წარმოდგენილი სპარსული-თურქული ლექსიკა, არის სომხური ტერმინები და წინადადებათა სომხური კონსტრუქციებიც.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფეშანგისთვის დამახასიათებელია მოკლე ხოტბის ფორმის მაჯამის ხმარება უფრო ლირიკულ ადგილებში. „მაჯამის ხმარება კი იმ დროისათვის, როგორც მოდა, მაღალ პოეტური ტექნიკის ნიშნად ითვლებოდა. ფეშანგის მაჯამები, ასევე როგორც სხვა პოეტებისა, უმეტეს შემთხვევაში სუმბურულია და შინაგანი სიცარიელის მაჩვენებელი—მაინც თავისებური ცდაა ოსტატობისა. მაჯამას ფეშანგის პოემაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს: მაჯამებით იგი აკარბებს თვით ნოდარ ციციშვილის ბარამ გურს, რომელიც მოცულობით უფრო დიდია, ვიდრე „შაჰნავაზიანი“. (გვ. 64). რით უნდა აიხსნებოდეს ფეშანგის ასეთი გატაცება მაჯამით, აყენებს კითხვას მკვლევარი და თვითონვე უპასუხებს: „საქმე იმაშია, რომ ეს უმაღლეს-უმცირესი ჟანრი, ქართულ ზმასთან ერთად, სასახლის ლხინების ერთი სამკაულთაგანი იყო“-ო. და სხვ.

მკვლევარს აღნიშნული აქვს, რომ ეპითეტებში და მეტაფორებში ფეშანგი ბაძავს უმთავრესად „ვეფხისტყაოსანს“ და „როსტომიანს“ და შემდეგ აღნუსხული აქვს, რომ მზე „შაჰნავაზიანში“ იხსენიება 56-ჯერ, მთვარე 20-ჯერ, მარგალიტი 23-ჯერ, ოქრო 25-ჯერ, ვერცხლი 18-ჯერ: შემდეგ ავტორი დაასკვნის: „შაჰნავაზიანის“ გმირთა სულიერი ანალიზი უბრალოა, ფსიქოლოგია — პრიმიტიული. სუვარბობს ჩვეული, დამღლელი სპარსული სანტიმენტალიზმი. ფორმალურ ეპიგონს, დაქირავებულ მგოსანს მეცენატის ქება დიდებაში ხანდახან სძინავს ისეთივე ძილით, რანაირიც ხშირად ემართებოდათ მისი რანგის და სკოლის მგოსნებს, რომელთაც „სთქვეს იძულებითა, ბრძანებითა და არა საკუთარი მოთხოვნილებით და საკუთარი ნებით“.

მაგრამ, ამავე დროს, გ. ლეონიძე აღნიშნავს, რომ თავისი ფორმით ფეშანგის ლექსი უფრო ენამეტყველია, ვიდრე მამუკა თავაქალაშვილის, ბარძიმ ვაჩნაძის, გალექსილი ამირან-დარეჯანიანის ავტორისა და სხვათა ლექსი. იდეოლოგიური არსითაც ფეშანგი მათზე წინ დგასო. „რაც მთავარია, — დაასკვნიდა გ. ლეონიძე, — სამეცნიერო ისტორიული პოემა შაჰნავაზიანი ეროვნული სიუჟეტური ნაწარმოებია, რეალისტური მოტივების შემცველი და ნაწილობრივადაც სავაჭრო ჯგუფთა ფსიქოლოგიის და მისწრაფებათა გამომსახველი“ (გვ. 66).

მკვლევარი აღნიშნავს „შაჰნავაზიანის“ მნიშვნელობას ყოფაცხოვრების თვალსაზრისით, რომ ეს ნაწარმოები მაშინდელი „ყოველდღიური ცხოვრების და საზოგადოებრივი ყოფის არა ერთს ცოცხალ სურათს იძლევა.“

ასეთი იყო, მკვლევარის დასკვნით, „შაჰნავაზიანის“ ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობა“ (რომლის საჩვენებლად ზემოთ მხოლოდ მცირეოდენი რამ იყო მოტანილი) და ამ მნიშვნელობის გამოვლინება, ტექსტის გამოცემასთან ერთად, გიორგი ლეონიძის ღვაწლს შეადგენს.

1939 წელს გიორგი ლეონიძემ მოგვცა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ ახალი გამოცემა ასევე ვრცელი (64 გვერდიანი) გამოკვლევით. „დიდმოურავიანი“ გ. ლეონიძის მიერ ამ გამოკვლევაში სამართლიანად შეფასებულია, როგორც მაღალი მხატვრული ღირსებების მქონე პოემა, რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს „დიდი წონის ისტორიულ ნაწარმოებს“. ეს გამოკვლევა ვრცლად მიმოიხილავს როგორც პოემის ავტორის, იოსებ თბილელის, ბიოგრაფიულ ცნობებს: და ამ მხრივ პირველად ადგენს ბევრს ახალ დეტალს, ისე ვრცლად ეხება თვით დიდ-მოურავის გიორგი სააკაძის პიროვნებას და მის ისტორიულ მნიშვნელობას და აზუსტებს ამ პოემის დაწერის თარიღსაც (უფრო 1664 — 1675 წლებს

შორის). მკვლევარს გარკვეული აქვს, აგრეთვე, იოსებ თბილელის ამ ცნობილი ნაწარმოების ლიტერატურულ-ისტორიული გავლენის დიაპაზონი, რომ მისი გამოყენებით დაწერილი იყო არა მარტო ეგრეთწოდებული „პარიზის ქრონიკა"— უსახელო ქართული საისტორიო ნაწარმოები, XVII—XVIII ს-ნთა მიჯნაზე (ეს გარემოება თავის დროზე აღნიშნული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს), არამედ დიდ-მოურავიანს ემყარებოდა ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილიცო. „ჩვენი მხრით, უნდა ავღნიშნოთ, — წერდა ხსენებულ თავის ნარკვევში გიორგი ლეონიძე, — დიდ-მოურავიანის დიდი ფაქტოლოგიური გავლენა ვახუშტის ისტორიაზე. შესაფერი დაკვირვების შემდეგ ცხადი ხდება, რომ ვახუშტის თხრობა გიორგი სააკაძეზე დიდ-მოურავიანიდან მოდის, რომ ვახუშტის თხრობა ტფილელის პოემის პერიფრაზაა. ვინც ჩვენ შეხედულებას დაწვრილებით შეამოწმებს, იგი ამაში ადვილად დარწმუნდება", და სხვ. მკვლევარს მოყავს ორი შეცდომა, რომლებიც ვახუშტის დაემართა დიდმოურავიანზე დამოკიდებულებით, ტექსტის უგულისყურო წაკითხვით. მაშინ ამის მიგნება არც მთლად ადვილი საქმე იყო, რადგანაც ცნობილია, რომ იოსებ ტფილელი და ვახუშტი გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შეფასების საკითხში დიამეტრულად ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ — იოსებ ტფილელი გიორგი სააკაძის მოღვაწეობას აფასებდა დიდად დადებითად, ვახუშტი კი, პირიქით, როგორც დინასტიური თვალთახედვის გავლენის ქვეშ მყოფი, დიდ-მოურავს ახასიათებდა უარყოფით. გ. ლეონიძემ აიყვანა დიდ-მოურავიანი მაღალ პიედესტალზე და ასწია მისი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. „დიდ-მოურავიანმა, — წერდა ის, — გაუძლო ორნახევარ საუკუნეს და ჩვენამდის მოაღწია როგორც მშვენიერმა პოეტურ ისტორიოგრაფიულმა ძეგლმა. მისი პატრონ-ყმური და რელიგიური იდეოლოგია დიდი ხნის წარსულს ეკუთვნის, მაგრამ პოემაში დაცული რაინდობის და პატრიოტიზმის გმირული სული ჩვენს დიდებულ თანამედროეობას ეხმაურება".

გ. ლეონიძის ისტორიული კვლევის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად უნდა იქნას მიჩნეული მისი „ბესიკი". ამ თითქმის ასგვერდიან გამოკვლევაში ავტორი ეხება სახელოვანი პოეტის მოღვაწეობის იმ ხანას, რომელიც მოიცავს თბილისში და, საერთოდ, აღმ. საქართველოში მისი ცხოვრების დროს და თავდება ასე: „ოცდა შვიდი წლის ბესიკმა (1777 წელს) თბილისი დასტოვა სამუდამოდ". ბესიკის ცხოვრების ფაქტებს ამის შემდეგი დროისათვის, ვიდრე მის სიკვდილამდის, გ. ლეონიძე ამ მონოგრაფიაში არ ეხება.

ბესიკის ეს ბიოგრაფია უაღრესად საყურადღებოა. ის მდიდარია ფაქტობრივი მასალით მაშინდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების შესახებ. შესავალში ავტორი მოკლედ და ზოგადად ახასიათებს ბესიკის პოეზიას „ბესიკი ბრწყინვალე პოეტური სახელოვნ ფუძე და მუსიკალური სტიქიაა: ბესიკის პოეზია მუსიკიდან გამომდინარეობს; ბესიკი და მისი პოეტური პრინციპი — მუსიკაა". ავტორი ხაზს უსვამს ბესიკის ძლიერ პოეტურ პათოსს, რომ ის გმირული პათოსის პოეტია, რომ XIX ს-ნის პირველ ნახევარშიც ბესიკს დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ ბესიკსა, ერთი მხრივ, და ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის, მეორე მხრივ, დიდი შინაგანი ერთობა და ღრმა კავშირი არსებობსო.

შემდეგ ავტორი პუნქტუალურად არკვევს გაბაშვილების გვარის ისტორიას და გენეალოგიას (გაბაშვილებს მამულები ჰქონდათ მაშინდელი თბილისის მისადგომზე, ვერაზე, ვაკესა და მიმდგომ ადგილებსა და სოფლებში).

ბესიკის მამა იყო ცნობილი ზაქარია მოძღვარი, კათალიკოსი ანტონ I-ის წინააღმდეგ მებრძოლი. მანამდის გამოუყენებელი მასალებით ავტორი ნათლად გვიხატავს ზაქარია გაბაშვილს, როგორც კონსერვატორულად მოაზროვნეს და დას. ევროპის ორიენტაციის მოწინააღმდეგეს. ავტორს კარგად აქვს გამორკვეული ანტონ I-ის წინააღმდეგ ორი დაჯგუფების დარაზმის ფაქტი. საერო მფლობელნი (თავადები და სხ.) უკმაყოფილო იყვნენ ანტონ I-ის რეფორმებით საეკლესიო მამულების მართველობის საქმეში, სასულიერო პირთ კიდევ არ მოსწონდათ ანტონის გადახრა პაპიზმისაკენ, რაც გამოიხატა რომის პაპის უპირატესობრივი მდგომარეობის აღიარებაში ეკლესიის სფეროში. ბესიკის მამა ზაქარია მოძღვარი იყო ორივე ამ ოპოზიციის გამაერთიანებელი და ანტონ I-ის დამბობის სულისჩამდგმელი. ავტორს სამართლიანად გამოყავს ზაქარია, როგორც „მძლავრი პიროვნება, პატივმოყვარე და ნიჭიერი კარიერისტი, პოლიტიკანი და ცეცხლიანი დემაგოგი" (გვ. 187). ის იყო, ნიჭიერი სატირიკოსიც. მისი ცნობილი სატირა „კატისა და თაგვის ბრძოლა" დიდ შეფასებას პოულობდა XIX ს-ნის პირველ ნახევარშიც. ამ სატირის და, აგრეთვე, ზაქარია მოძღვრის წინააღმდეგ მ-მართულ უსახელო პამფლეტის ანალიზი გ. ლეონიძეს მონოგრაფიაში მეტად მოხერხებულად აქვს წარმოდგენილი.

მონოგრაფიაში შემდგომ თავს წარმოადგენს „ბესიკის ყრმობა და სიჭაბუკე". რომელშიაც ხელნაწერ მასალათა გამოწვლილვით ბევრი ახალი ფაქტია წარმოდგენილი. სრულიად ახალსა და მანამდის უცნობ სურათს მაშინდელი ქართული უმაღლესი საზოგადოების შესახებ იძლევა თავი „ორბელიანთა წრე", რომელიც აგრეთვე დიდი ოსტატობით არის დაწერილი. თავები „ცოცხალი ბესიკი", „პოეტი კარისკაცი", „თბილისის ბაღებში ბესიკი და მოქალაქენი" გვიხატავენ იმ გარემოს და წრეს, რომლებშიაც უხდებოდა პოეტს მოღვაწეობა. ნაშრომის უკანას-

კნელი თავი ბრწყინვალედ ასახავს პოეტის პირად გრძნობებრივ განცდებს, რომელთაც მოჰყვა მისი განდევნა აღმ. საქართველოდან (1777 წ.).

მშვენიერი გამოკვლევა აქვს გიორგი ლეონიძეს დაწერილი მგოსან საათნავაზე. მანამდის ყველაზე უფრო სერიოზული მონოგრაფია საათნავას შესახებ ეკუთვნოდა ი. გრიშაშვილს და ლ. მელიქსეთბეგს. გ. ლეონიძემ თავისი ნაშრომით („ძიებანი ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან", გვ. 262 — 303) თვალსაჩინოდ წასწია საათნავას შემოქმედების შესწავლის საქმე. აქაც ჩვენ ვხედავთ, თუ გ. ლეონიძე როგორი სკრუპულოზური სიზუსტით ჩხრეკს ხელნაწერებითს მასალებს, შესაძლებლობის ფარგლებში სრული ამოწურვით აღრიცხვაზე იღებს ყველაფერს, რაც კი საათნავას პიროვნებას და მის ცხოვრებას შეეხება და კრიტიკული მიდგომით ადგენს ახალ ფაქტებს. ამ ძიებათა შედეგად გამოირკვა, რომ საათნავა იყო დაბადებით სანაინიდან, რომ ის არ მოუკლავთ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს თბილისში (1795 წ.), არამედ ის გარდაცვლილა ბუნებრივი სიკვდილით 1801 წელს ოთხმის 80 წლამდის მიღწეული (ორიოდე წელიწადი აკლდა). მკვლევარი, ამასთანავე, გამოთქვამს სინანულს, რომ ამ მეტად საინტერესო სახალხო მგოსნის შემოქმედება მაინც სათანადოდ არაა შესწავლილი, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, უპირველეს ყოვლისა, მგოსნის ნაწარმოებთა ტექსტების საბოლოოდ დადგენის მხრივ. თუმცა გიორგი ლეონიძემ თვალსაჩინოდ წასწია წინ საათნავას, როგორც კარის ხუმარის და პოეტის, შესწავლის საკითხი, მაგრამ ლიტერატურულმა თავმდაბლობამ მას ათქმევინა ეს, არსებითადაც ანგარიშ-გასაწევი სიტყვები.

გიორგი ლეონიძეს აქტივში უნდა ჩაეთვალოს ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის დაკავშირება თბილისში პირველი ქართული სტამბის დაარსების საკითხთან. ანთიმოზ ქართველი ცნობილი პიროვნება იყო რუმინელების კულტურის ისტორიაში, მაგრამ არ იყო ცნობილი რომ ამ, შემთხვევით უცხოეთში მიყოლილ და დიდი ინიციატივის მქონე, პიროვნებას იქაც ქართული გული უცემდა და რომ სწორედ მისი დახმარებით და მის მიერ გამოგზავნილი რუმინელი ოსტატებით შეძლო ქართლის გამგებელმა ვახტანგმა თბილისში პირველი ქართული სტამბის გამართვა. ქართული კულტურის ისტორიისათვის ამ საკითხის გარკვევას ჰქონდა, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს გიორგი ლეონიძის, როგორც ძველი ქართული სალიტერატურო მასალათა და ძეგლთა კოლექციონერის ღვაწლი. ჯერ კიდევ ყმაწვილობაში ის მზრუნველობას იჩენდა ამ მიმართულებით. შემდეგ კიდევ ამ მხრივ მის მიერ ჩატარებულ მუშაობათა დაწვრილებით აღნუსხვა ახლა არც ადვილი საქმეა. ის ეძებდა ძველ ქართულ საბუთებს, აწარმოებდა მათს გადაწერას, აძლევდა მოპოვებულ მასალებს არა მარტო დედნებს, არამედ თავის გადაწერილ ტექსტებს სათანადო საცავებს და სხ. ყველაფერი ეს კეთდებოდა ხარჯებით უანგაროდ, ყოველგვარი სასყიდელის გარეშე. საკმაოდ ბლომად არის მის მიერ საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში ამ წესით მიწოდებული ძველი ქართული საბუთები და მათი ტექსტები საქ. ცენტ. სახელმწიფო ისტორიულ არქივში. მისი მეშვეობით შევიდა თავის დროზე იმავე არქივში არვანბეგ საბაის ძის XIII ს-ნის სიგელი და ციციანთ სხვა საბუთები (XVII — XVIII ს-ნეების), რომელნიც თავისი შინაარსით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდნენ. მის მიერ იყო მოპოვებული უკვე საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებისათვის XVII ს-ნის და სხვა დროისაც მაღალაანთ რიგი საბუთები და მათ შორის, მაგ., განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პაპუა მაღალაშვილის ანდერძი.

მას შემდეგ რაც გიორგი ლეონიძე სათავეში ჩაუდგა მის მიერვე დაარსებულ სალიტერატურო მუზეუმს (ამაზე ქვემოთ), ის იქ აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ძველ ქართულ საბუთებს, რომელთა საკმაოდ კარგი კოლექცია ახლა ამშვენებს ამ მუზეუმს.

გიორგი ლეონიძე 1935 წელს თავისი ინტუიციით შეუდგა მოსკოვში ვორონცოვისეული არქივის გადათვალიერებას. მან ამ არქივში მიაგნო ზაზა ციციშვილისეულ ვეფხისტყაოსანს. გარდა იმისა, რომ თავისთავად XVII ს-ნის ამ ძლიერ კარგი და ხარისხიანი ხელნაწერის აღმოჩენას აქვს თვალსაჩინო მნიშვნელობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის, ამით გაირკვა კიდევ შოთას არსებული პორტრეტის საკითხიც. შოთას არსებული პორტრეტი მოდიოდა ნამესტნიკ ვორონცოვის დროს პარიზში შეკვეთილი ლითოგრაფიული სურათიდან, რომელიც ფერადებით მოთავსებული იყო მხატვარ გაგარინის მიერ პარიზშივე გამოცემულ დიდ ალბომში. ამ სურათის დედანი მოთავსებული იყო ვეფხისტყაოსნის იმ ხელნაწერებში, რომლებიც 1852 წლის ახლოს თეკლა ბატონიშვილის ოჯახიდან ამ თეკლას შვილმა ალ. ორბელიანმა გადასცა ხსენებულ ნამესტნიკ ვორონცოვს. როგორც ხელნაწერი, ისე შოთას სურათი ამის შემდეგ დაკარგულად ითვლებოდა. შოთას სურათს 1923 წელს ყიდდა ბათუმში ინგლისელებზე გენ. გიორგი ორბელიანისა და მისი ცოლის სიკვდილის შემდეგ ამ ცოლის ფავორიტი და ყოფ. მათი მოურავი — ყაზაროვი. სურათი მაშინ გადარჩენილი იქნა (როგორც „მნათობში" დაბეჭდილ ე. თაყაიშვილის მოგონებიდან ჩანს, ხსენებულ ყაზაროვს დაუყიდნია საზღვარგარეთ ორბელიანების კუთვნილი ძველი ხატები, რომელნიც ქართული ჭედვითი ხელოვნების ნივთებს წარმოადგენდნენ). ვეფხისტყაოსნის ზაზა ციციშვილისეულ XVII ს-ნის ხელნაწერის აღმოჩენის შემდეგ გა-

მოირკვა, რომ შოთას ხსენებული სურათი ამ ხელნაწერიდან ყოფილა ამოღებული და თავის დროზე გაგზავნილი პარიზში, საიდანაც დაბრუნების შემდეგ ის მოყვა ისევ ორბელიანების ხელში, ხელნაწერი კი დარჩა ვორონცოვის არქივში (ალბათ ვერ გაბედეს მაშინ მისი მოთხოვნა).

ასეთი ხელნაწერის მოპოვება, და ისიც არა შემთხვევით, არამედ გარკვეული მიზანდასახულობით, არ არის მცირე საქმე. სასიამოვნოა, რომ ჩვენს იუბილარს ამაშიც მიუძღვის თავისი მნიშვნელოვანი ღვაწლი.

ხსენებულ ხელნაწერს თვით გიორგი ლეონიძემ უძღვნა საუკეთესოდ დასაბუთებული გამოკვლევა, რომელიც მეორეჯერ დაიბეჭდა მის წიგნში „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (გვ. 304 — 323). ბევრი დოკუმენტალური მასალის მოხმით გ. ლეონიძე დაწვრილებით არკვევს ხსენებული ხელნაწერის შემკვეთის სარდალ-სახლთუხუცის ზაზა ციციშვილის ვინაობას და თვით ხელნაწერის შემდგომ ისტორიასაც. შენიშვნაში ავტორი წერს, რომ ყველა მონაცემის მიხედვით ვორონცოვისეულ არქივში უნდა ინახებოდეს სურათები, მინიატურები და შემკულობანი, რასაც იგი აღებინებდა მხატვრებს ძველ ქართულ ხიგელ-გუჯრებიდან. საჭიროა, დაასკვნიდა გ. ლეონიძე, შესწავლილ იქნეს ვორონცოვისეული არქივი ქართული მწერლობის და მხატვრობის ძეგლების გამოსამზეურებლად. ეს საკვლევი სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც უნდა ჩაეტარებინა ერთ-ერთ რომელიმე ქართულ სათანადო სამეცნიერო დაწესებულებას, ჯერ შესრულებული არაა.

გიორგი ლეონიძე არის სამუზეუმო დარგშიაც ლიტერატურულ მემკვიდრეობათა შეკრების აღნუსხვისა და მოვლა-მოწყობის დიდი ამაგდარი. მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს სალიტერატურო მუზეუმი. დიდი ამაგი დადო აგრეთვე მან საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმის დაარსებას და მოწყობას. თავისი ამაგი აქვს მას, აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმის დაარსებაში ყვარელში. საგურამოში ის ეძიებდა დაკით გურამიშვილის სახლ-კარის ადგილს და მიაგნო კიდეც მას.

გიორგი ლეონიძემ მიაქცია ყურადღება ისტორიულ გადმოცემებს, როგორც საისტორიო მასალას. მის მიერ, მაგ., შეკრებილ იქნა დამატებითი გადმოცემანი ვახტანგ გორგასლის შესახებ უჯარმის არემარეში. გადმოცემანი იძლევიან ახალ დეტალებს ამ დიდი ისტორიული პიროვნების ოჯახური ცხოვრებიდან და აგრეთვე სამეურნეო მოღვაწეობიდან.

გიორგი ლეონიძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ტოპონიმიკურ მასალას. ცნობილია, რომ მას დაგროვილი აქვს დიდძალი ტოპონიმიკური მასალა, რომელიც ელის გამოქვეყნებას. სხვათა შორის, ტოპონიმიკური მასალების შეკრების დროს მან შეძლო გამოერკვია, რომ [illegible] დარფაკა, სადაც სასიკვდილოდ [illegible] ვახტანგ გორგასალი, მდებარეობდა სართიჭალიდან დაახლ. 17 კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. რადგანაც ცნობილია, რომ ტოპონიმიკურ მასალას აქვს თავისი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის, ამდენად, გ. ლეონიძის მიერ ამ დარგში დიდად შრომატევადი და ძნელი სამუშაოს ჩატარება წარმოადგენს საპატიო დამსახურებას.

ჩვენი წერილი მიზნად ისახავს გიორგი ლეონიძის მოღვაწეობის მიმოხილვას და, ისიც, მეტად მოკლედ სამეცნიერო ისტორიულ-კულტურულ ასპარეზზე. მაგრამ არ შეიძლება, თუნდაც მარტივად აღნუსხვის მიზნით, არ აღინიშნოს, რომ ის არის გამოჩენილი ქართველი ხალხური მხატვრის ფიროსმანის პირველი ბიოგრაფი; მან 1922 წელს დააარსა პირველი ქართული ლიტერატურული გაზეთი „ბახტრიონი“, ბევრ წელიწადს ის იყო კრებულების „ლიტერატურული მატიანის“ ხელმძღვანელი. გ. ლეონიძე ეწეოდა ფართო პროპაგანდას ქართული კულტურისა და ლიტერატურის საკითხებზე ყველგან, სადაც კი მას ამისი შესაძლებელობა ჰქონდა. ცნობილია მისი როლი ამ მხრივ საბჭოთა მწერალთა ყრილობებზე თუ სხვა შემთხვევებში შინაარსიანი გამოსვლებით და მოხსენებების წაკითხვით. ასეთივე მოხსენებანი ჩატარა მან საზღვარგარეთაც დემოკრატიულ ქვეყნებში — უნგრეთში (1949 წ.) რუმინეთში (1950 წ.), ჩეხიაში (1952 წ.) აღმოსავლეთ გერმანიაში (1952 წლიდან) ბერლინში, ლაიპციგში, იენაში, ერფურტში, პოლონეთში კიდეე 1956 წელს, ად. მიცკევიჩის იუბილეს დროს. ზოგან ეს მოხსენება წარმოადგენდა ორსაათიან ლექციას. ბევრ ადგილას ამ გამოსვლების დროს ადგილობრივ გაზეთებში ქართული კულტურის საკითხებზე იბეჭდებოდა გ. ლეონიძის წერილები.

გიორგი ლეონიძის მთავარი სამეცნიერო გამოკვლევები, სხვადასხვა დროს დაბეჭდილი, მოთავსებულია კრებულში „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ. 1949 წ. გვ. 322. ამ წიგნის ბოლოში ავტორი დაპირებას იძლეოდა, რომ მეორე ტომში დაიბეჭდებოდა გამოკვლევები ისევ XVII — XVIII საუკუნეთა სხვა ქართველ მწერალთა შესახებ, მესამე ტომში კი თავმოყრილი იქნებაო ავტორის ნაშრომები XIX ს-ის ქართველ მწერალთა გარშემო. ცნობილია, რომ მას აქვს, მაგ. ფრიად ვრცელი გამოკვლევა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობაზე ამ დიდი ქართველი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფართოდ განხილვით და სათანადო შეფასებით. საჭიროა, რომ ყველა ეს შრომა გამოქვეყნდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავროსი კალანდაძე

★

ნათელი აზრისა და გრძნობის პოეზია

მე ასეთი შთაბეჭდილება მაქვს: თუნდაც არ იცნობდეთ მას პირადად, მაინც მიხვდებით, რომ ის პოეტია. მის უკეთეს ლექსებსაც ათას სხვა ლექსში გამოარჩევთ. მისი პოეტური ბუნება მეტად ღიაა. მე მინახავს იგი მხიარულიც, მშვიდიცა და აღელვებულიც და ყოველთვის შემიმჩნევია, რომ მის ოდნავ ღრმა თვალებიდან გამოკრთის რაღაცნაირი შუქი რომელიც, ასე გგონია, გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებში ყოველთვის იპერს რაღაც ახალ პოეტურ სახეს, ლირიკულ ნახატს. მთელი მისი სულიერი და ფიზიკური სახიერებიდან ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ მას ბედნიერად და ხალისიანად მოსდის ხელში სიმღერაც, ცხოვრებაც. ამავე დროს იგი ბევრს არა წერს. საყვედურიც არ ეთქმის. განა ბევრსა და უფერულს ცოტა და კარგი არა სჯობს? ის, მართლაც, ხალისიანი კაცია ჰუმორის გამახვილებული გრძნობით, სიცოცხლის დიდი მოყვარული, მთელი გულით რომ განიცდის ყოფიერების სიხარულს.

დავიწყე ამ გარეგნული ნიშნებიდან, რადგან, ვფიქრობ, მისი პოეზია უეჭველად გამოსახავს ამ ნიშნებს. ყოველი შემოქმედება და მით უმეტეს პოეტ-ლირიკოსის შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ხომ თვით შემოქმედის პიროვნებისა და მისი ბიოგრაფიის კვალს მისდევს.

შეიძლებოდა, რასაკვირველია, დაგვეწყო იქედანაც, რომ იგი იმ ქართველი კომკავშირელი პოეტების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლებიც ლიტერატურაში შემოვიდნენ 1928-1929 წლებში და ყოველგვარი ძველი ტვირთის გარეშე, უკან მიუხედავად გახდნენ ახალი ცხოვრების მომღერლები, რომ მათ განიცადეს დიდი, კეთილნაყოფიერი გავლენა გორკისა და მაიაკოვსკის. ესეც ყველაფერი სწორია. მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ირაკლი აბაშიძის პოეზიის ფესვები, უწინარეს ყოვლისა, ქართული პოეზიის ნიადაგშია წასული. შესაძლოა, დაწყებაც აქედან სჯობდეს.

პოეტის ერთ-ერთ უახლეს ლექსს იმ ლექსთაგან, რომლებიც მან ინდოეთში მოგზაურობის შედეგად შექმნა, ხომ „რუსთაველის ნაკვალევზე“ ეწოდება. მაგრამ საქმე სახელწოდებაში როდია, თუმცა ისიც საგულისხმოა.

ამ ლექსში, როგორც ცნობილია, პოეტი მისთვის დამახასიათებელი უშუალობითა და მღელვარებით გადმოგვცემს იმ ძლიერ შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე მოახდინა ინდოეთმა — ამ ეგზოტიკური ფერადების ზღაპრულმა ქვეყანამ. მაგრამ ამ ლექსის არსი მარტო მის მღელვარე და თანაც მეგობრულ-სასაუბრო კილოში როდია, თუმცა ეს კილო უეჭველად წარმტაცია.

„წარმოიდგენ
თეირანის მტვრიან ბინდებს,
მაგრამ ვერა
ფენჯაბსა და ლახორს,
უნდა ნახო,
უნდა ერთხელ ჩამოფრინდე,
უნდა ნახო,
შენი თვალით უნდა ნახო“.

არსებითი მაინც ლექსის მთავარი პოეტური მოტივია. პოეტმა ნახა მისთვის უცხო და უცნობი ქვეყანა, ნახა და განცვიფრდა. პოეტიც ხომ საზოგადოდ განცვიფრება და აღფრთოვანება, მოწყენა და სიხარულია. ვისაც ამ უნართა განსაკუთრებული ძალა არ შესწევს, იგი ხომ ვერც სხვას განაცვიფრებს და აღაფრთოვანებს, მაშასადამე, ვერც პოეტი იქ-

ნება. აქაც ამ ლექსში, პოეტი ბევრს ახალს არაფერს გვატყობინებს თვით ინდოეთის შესახებ, გვატყობინებს და გვაღელვებს მხოლოდ მით, რომ თავისი პოეტური არსების პირველ საწყისს — პოეტური განცვიფრებისა და აღფრთოვანების ნიჭსა და ძალას უკავშირებს რუსთაველის უკვდავ სახეს, მისი ნაკვალევის ძებნას. ამ გრძნობის გამოხატვა მხოლოდ ლექსით შეიძლებოდა.

„და მეც დავალ
ვინძლო მის კვალს ვინიშნებდე
ინდოეთის
გადაკარგულ გზებზე;
რვაასი წლის,
რვაათასი წვიმის შემდეგ
მის ნაფეხურს,
მის ნაკვალევს ვეძებ.
სად იარა,
სად უცქირა ცრემლთა ფრქვევას,
სად მიუსწრო
ძმას შეფიცულს ძმასთან?..
არაბეთის ზღვასთან იდგა?
მეც აქ ვდგავარ,
მეც აქ მოველ,
არაბეთის ზღვასთან“.

ასე შევყავართ პოეტს ნათესაური სულიერი ფესვების განცდათა თავისებურ სამყაროში... და ჩვენ ხომ ვიცით, რომ არა მარტო ირაკლი აბაშიძის პოეზია, არამედ ყოველივე უკეთესი, რაც კი მთელ ქართულ ლიტერატურაში მოიპოვება, არასდროს არ კარგავდა მემკვიდრეობითს კავშირს რუსთაველის უკვდავ გენიასთან.

ირაკლი აბაშიძე მთლიანი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პოეტია. შეიძლება ვილაპარაკოთ მისი ნიჭის, მისი ოსტატობისა და მისი იდეურ-ესთეტიკური მისწრაფებების განვითარებასა და მომწიფებაზე და არა რაიმე გარდატეხასა და მობრუნებაზე მის შემოქმედებაში. მთელი მისი პოეზია — ეს არის ცხოვრების ახალი სოციალისტური წყობის, ახალი ჰუმანიზმის ნათელი იდეების დამკვიდრების პოეზია. თუ ამ თვალსაზრისით გავადევნებთ თვალს პოეტის მთელ შემოქმედებითს გზას და განვიხილავთ ყოველ მის ლექსს, დავრწმუნდებით, რომ მან თავისებურად, მაგრამ მეტად ცხადად გამოხატა ახალი, საბჭოთა პოეზიის საერთო სულისკვეთება, დამყარებული მშრომელი ადამიანის ძალისა და სილამაზის მტკიცე რწმენაზე, იმის ღრმა რწმენაზე, რომ კაცობრიობა ძნელი გზებით, მაგრამ მტკიცედ და განუწყვეტლად მიიმართება ცხოვრების ფორმათა სრულყოფისაკენ, ბედნიერებისაკენ. ბუნებრივია, რომ ასეთი პოეზიისათვის დამახასიათებელია სამყაროს აღქმის სისავსე, მთლიანობა და უცხოა გრძნობათა ყოველგვარი დახლეჩა და დარღვევა. ეს ასეა, მაგრამ ეს მეტად ზოგადი რამ არის. ყველაზე მთავარი და, თუ გნებავთ, ყველაზე ძნელი ის არის, რომ გამოვარკვიოთ კონკრეტული, ინდივიდუალური პოეტური კონცეფცია, ე. ი. მივაგნოთ იმ განსაკუთრებულს, რითაც ეს პოეტი იპყრობს ჩვენს ყურადღებას და აღელვებს ჩვენს გრძნობებს. შეგვიძლია, რასაკვირველია, ვილაპარაკოთ პოეტის ცალკეულ წარმატებებსა თუ მარცხზე, შეგვიძლია სათითაოდ მოვყვეთ მისი ლექსების შინაარსი, მაგრამ ამით მისი პოეტური თავისებურება მაინც ვერ გავარკვიოთ (სხვათაშორის, ლექსების მოყოლა, რასაც ჩვენ ხშირად მივმართავთ ხოლმე, ჩემი აზრით ,უმეტეს შემთხვევაში პოეზიის პროფანაციას მოასწავებს, რადგან მოყოლა ლექსს ყოველთვის აცლის მუსიკას, რიტმს, საღებავებს და საერთოდ ყოველივე იმას, რის მეოხებითაც ლექსი პოეზიად იქცევა).

ამავე დროს შესაძლებელია მთელი პოეტი გამოჩნდეს ერთ ან რამდენიმე მისთვის დამახასიათებელ ლექსში.

ირაკლი აბაშიძეს, ისე როგორც ყოველ ნამდვილ პოეტს, აქვს რამდენიმე ლექსი (ოცი — ოცდახუთი), რომელთა გარეშე მას არ ექნებოდა თავისი განსაკუთრებული პოეტური სამყარო, საკუთარი პოეტური ხმა. მხედველობაში მაქვს ისეთი ლექსები, როგორიცაა მაგალითად, „პირველი თოვლის სიმღერა“, „ყველა სიმღერა“, „მამა“, „საქართველოს პოეტებს“, „კაპიტანი ბუხაიძე“, „აქ დავსახლდები“, „მშვიდობა ჯუგაანში“, „პატარა გორი დიდია“

„ინგილოები“, „მონადირის ღამე“ „ბევრი ამ ქვეყნად“, „რუსთაველის ნაკვალევზე“, „მცხეთაში“ „აღმოსავლეთის პოეტებს“ და სხვა. ამ ლექსებმა უკვე მტკიცედ დაიმკვიდრეს. თავისი ადგილი პოეზიის ქართველ მოყვარულთა სულიერ ბიოგრაფიაში.

საკმაოდ მრავალფეროვანია ირ. აბაშიძის პოეზიის თემატიკა.

როგორიღაა მისი პოეტური საშუალებები? როგორია მისი თავისებურება?

ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემას მე ვერ ვიკისრებ, რადგან ჭეშმარიტ პოეზიას გამოსხივების ძალიან ბევრი კუთხე აქვს და ყველა ამ კუთხის მიგნება ძნელი საქმეა.

ირაკლი აბაშიძე თავის ბუნებით, თავისი სულიერი წყობით არის ლირიკოსი პოეტი, განწყობილებების პოეტი. მისთვის პოეზია, უწინარეს ყოვლისა, ეს არის დაგროვილ და გამძაფრებულ გრძნობათა, აზრთა და შთაბეჭდილებათა მოულოდნელი აფეთქება. მაგრამ აფეთქება არა მრგვინავი და გარეგნული ,არამედ შეკავებული და შინაგანი. შეიძლება ითქვას, რომ მთელ მის შემოქმედებითს განვითარებასა და შემოქმედებითს ძიებებს პოეტი მიჰყავდა იმისაკენ, რომ ეპოვნა თავისთავი თავის სტიქიაში — ლირიკულ განცდათა სტიქიაში, სადაც იგი ძლიერი და წარმტაცია.

სამაგალითოდ ავიღოთ საყოველთაოდ ცნობილი ლექსი, ურომლისოდაც უკვე წარმოუდგენელია ირაკლი აბაშიძე, — „კაპიტანი ბუხაიძე“. ეს ლექსი დაწერილია ფრონტზე, 1942 წლის მძიმე დღეებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იმ დღეებში არც ერთ ლექსს არ აუღელვებია ქართველი მკითხველის გული ისე ძლიერ, როგორც ამ ლექსმა ააღელვა. იგი სავსებით სამართლიანად არის შესული ქართული საბჭოთა პატრიოტული პოეზიის საუნჯეში. რაშია მისი ძალა? იგი დაწერილია სწორედ ერთი ძლიერი პოეტური ამოსუნთქვით, ნიაღვარივით მოვარდნილი დიდი გრძნობით. მას მრავალმხრივი პოეტური წაკითხვაც აქვს. ჯერ ერთი, ამ ყოველგვარ ხელოვნურობას მოკლებულ ლექსის მსუბუქსა და გამჭვირვალე ქსოვილში შეიძლება მივაკვლიოთ აკაკის პოეზიის, კერძოდ მისი ლექსის — „ქართველი დედის“ ტრადიციის შემოქმედებითი განვითარება. გარდა ამისა, თვით ფორმა ლექსისა — ბრძოლაში დაღუპულ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტის მონოლოგი — საიდანმე ნასესხები ან შემთხვევით ხელში მოხვედრილი უბრალო მხატვრული ხერხი კი არ არის, არამედ ისეთი შინაგანი სიმძაფრის გამოხატულებაა, როდესაც პოეტმა შეძლო ორგანულად შედუღებოდა გმირს და ამეტყველებულიყო მისი ენით:

„მე ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს“.

ეს არ არის გარედან დანახვა, ეს სწორედ შედუღებაა იმასთან, რაც სამშობლოსადმი უანგარო ერთგულებას და ცხოვრების განვლილი გზის მართებულობის ღრმა შეგნებას განასახიერებს. გაგონდებათ ფაშისტების მიერ დახვრეტილ კომუნისტთა სიკვდილისწინა აღსარებანი; მეორე სიცოცხლეც რომ მოგვცემოდა, ცხოვრების იმავე გზას გავივლიდით, რომელმაც ასეთ დასასრულამდე მიგვიყვანაო.

რაოდენი ერთგულებაა იდეალებისადმი! ცხოვრების რა ნათელი გზა გვეშლება თვალწინ! ისინი ჩვეულებრივი ადამიანური ადამიანებია და ამავე დროს განსაკუთრებული სულიერი აღნაგობის გმირებიცაა. ვერავითარი მსხვერპლი და ტანჯვა ვერ გადაარწმუნებს მათ ჰუმანური იდეალებისათვის ბრძოლის სიდიადეში. ამ მაღალი ადამიანურობისათვის მათ შეუძლიათ ბევრი რამ გაიღონ მსხვერპლად, ბევრ რამეს შეელიონ ცხოვრებაში... და სწო-

რედ ამით არიან ისინი მთლიანნი და მშვენიერნი. რაღაც დიდი რამ ანათესავებს ამ ადამიანებთან კაპიტან ბუხაიძეს და პოეტის ზოგიერთი სხვა ლექსის ლირიკულ გმირსაც. ისიც კი, რომ ლექსი ასეთ პირდაპირ ასოციაციას იწვევს, მის პოეტურ ძალას მოწმობს.

ირაკლი აბაშიძეს კარგად ესმის პოეტურ მოულოდნელობათა ზემოქმედებითი ძალა. მაგრამ აღწევს მათ არა იმდენად მოულოდნელი მეტაფორებითა და შედარებებით, სიტყვების უჩვეულო განლაგებებითა და ლექსის გარეგნული სამკაულებით, რამდენადაც თვით პოეტური აზრის, პოეტური სახის მოძრაობით, მათი თავისებური მობრუნებით. აი, დიდიხნის დაბრმავებული მამის ამაღელვებელი სახე ლექსიდან „მამა“.

„თუ იმერეთში სინათლით სავსე
გინახავთ ჩემი პატარა თემი
და უსინათლო ვაჟკაცი გახსოვთ, —
მშობელი მამა ის იყო ჩემი.
მას ერთხელ გაჰკრა სიკვდილმა გვერდით
და თვალში მოხვდა რჯულძაღლის ცელი,
და მერე ჩამქრალ თვალების სევდით
ოდაში იჯდა თხუთმეტი წელი.
ხან თემშარაზე ფრთხილად და ჩუმად
გამოჩნდებოდა ჩალისფერ ჩოხით
და სიცოცხლის და სიკვდილის შუა
გზას მიიკვლევდა ბამბუკის ჯოხით“.

მოულოდნელი აქ არც ერთი სიტყვა, არც ერთი პოეტური სამკაული არ არის. მაგრამ მოულოდნელი და ამაღელვებელია თვით პოეტური სახისა და პოეტური აზრის მობრუნება. რა მნიშვნელოვანი და რა მეტყველია ეს გზის გაკვლევა სიცოცხლესა და სიკვდილს შუა ბამბუკის ჯოხით. უსინათლო მამა მოკვდა ისე, რომ „არ ჩარჩენია ჯავრად მშვენება ლურჯი ველების, ლურჯი ქედების“. და ამას მოსდევს შეშფოთებული კითხვა ლირიკული გმირისა, — აღსავსე სამყაროს მშვენიერების მძაფრი შეგრძნებით:

„მე კი, მე იმ დროს რა მეშველება,
ორივე თვალში რომ ვიხედები“

და ლექსი გვაღელვებს, გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას თავისი ტრაგიკული პათოსითაც კი. ყოველივე ეს ხომ უაღრესად ადამიანურია და ადამიანური არაფერია ჩვენთვის უცხო.

ირაკლი აბაშიძის ლექსი თითქმის ყოველთვის ჩვეულებრივიდან და ყოველდღიურიდან გამოდის. თავის ლირიკულ საუბარს პოეტი არასდროს იწყებს რაღაც გასაოცარიდან და უცნაურიდან, იგი ყოველთვის იმას ესწრაფვის, რომ განსაცვიფრებელი იყოს ლექსის სახე, მისი აზრი და სულისკვეთება და არა მისი ნივთიერება. ლაპარაკია, რასაკვირველია, არა რაიმე განსაკუთრებულ ღირსებაზე, არამედ პოეტის თავისებურებაზე. ირაკლი აბაშიძის პოეზია თავის უდიდეს ნაწილში ეს არის გადასვლა ჩვეულებრივიდან და ყოველდღიურიდან განსაკუთრებულში, ინდივიდუალურსა და განუმეორებელში.

პოეტს საკმაოდ მახვილი სმენა აქვს. მისი ლექსები, როგორც ვიცით, არ არიან მოკლებულნი საამო მელოდიურობას, ნარნარ ჟღერადობას. მაგრამ ირაკლი აბაშიძის პოეტური თვალი გაცილებით უფრო მახვილი და მგრძნობიარეა. ამიტომაც მის პოეზიაში მეტია ხაზებისა და ფერების შეზავება, ვიდრე რიტმისა და ბგერების ჰარმონია.

ეს ფერები და ნახაზები, ცხადია, თავისებურად კიდევაც მღერიან პოეტის ლირიკულ სურათებსა და ნახატებში, მაგრამ მეტწილად ისინი გვიჩვენებენ, თვალნათლივ და საგნობრივად გვიჩვენებენ განახლებულ სამშობლოს, განახლებულსა და განუმეორებელ საქართველოს. რასაკვირველია, ეს ის სამშობლოა, რომელიც ყოველ ჩვენგანს ასე უყვარს და აღელვებს, რომლის ხატება მუდამ გულით დაგვაქვს. მაგრამ პოეტი ერთ ძარღვსაც ვერ შეგვიტოკებდა, რომ ეს ათასჯერ, ათასნაირად და ათას სხვადასხვა შემოქმედის მიერ აღმოჩენილი საქართველო, ისევ არ აღმოეჩინა თავისებურად, თავისი კუთხითა და თავისი ფერადებით. სწორედ ეს მისი აღმოჩენილი და ჩვენთვის ასე ახლობელი თანამედროვე საქართველო თავისი აწმყოთი, წარსულით და მომავლით — მოჩანს პოეტის ლექსების ციკლში: — „ჰყვავის გურია!“, „სიმღერა მკის დროს“, „მონადირის ღამეები“, ნათელ

და გამჭვირვალე ფორმის საბავშვო პოემაშიც — „რას გადაურჩა თბილისი“, ისეთ ლექსებშიაც, როგორიცაა, „კოლხიდის საგანძური“, „თბილისი“, „დმანისი“, „სამი ციხე“ და სხვ. თუ თქვენ პოეზია გიყვართ, არ შეიძლება ამ ლექსებმა დროდადრო არ დაგიძახონ და არ მოგანდომოთ პოეტის წიგნის გადაფურცვლა, რათა ერთხელ კიდევ იგრძნოთ პოეტის თვალით დანახული ქვეყანა.

ირაკლი აბაშიძის ნიჭის ერთ-ერთ თავისებურებას, ჩემი დაკვირვებით, ისიც შეადგენს, რომ იგი მეტწილად ხედვისა და თხრობის პოეტია. იმისათვის, რომ აენთოს და ამღერდეს, საჭიროა მან დაინახოს ან მეტად საგნობრივად წარმოიდგინოს. ამ მხრივ, ძლიერ პირობითად შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო ვაჟას ხაზზე დგას, ვიდრე აკაკის, ხოლო თანამედროვე ქართველ პოეტთაგან უფრო ახლოა გ. ლეონიძესთან, ვიდრე გალაკტიონ ტაბიძესთან, რომელიც ლექსს, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უდებდა გრძნობათა მელოდიას და მხოლოდ ამის შემდეგ პლასტიკურ ფორმას.

ძნელია იმის თქმა, სად არის უფრო ძლიერი ირაკლი აბაშიძე — ნახაზებში, აკვარელის ნაზ ფერადებში თუ ზეთის ცხოველ საღებავებში. ლირიკოსი თითქოს აკვარელის ფერადებს უფრო ეგუება. მაგრამ თუ ისეთ ლექსებში, როგორიცაა „ხე და ქარი“, „პირველი თოვლის სიმღერა“, „მშვიდობა ჯუგაანში“, „იანვარი განგის ნაპირას“, — თვალს უფრო აკვარელის ფერადები იტაცებს, სამაგიეროდ, ისეთ ლექსებში როგორიცაა „წულუკიძის სიკვდილი“, „ინგილოები“, „მონადირის ღამე“, „ნინოშვილის ჩანჩეთი“ — ყურადღებას იქცევს უფრო ცხოველი საღებავები. ამავე დროს შეიძლება პოეტური ოსტატობის რაღაც ნატიფობა მივიკვლიოთ იმაში, რომ განწყობილების ამ საშუალებათა განაწილებას საფუძვლად უდევს შესაბამისი პოეტური მოტივები: პირველ შემთხვევაში — სიყვარულისა და ვნების, სიწმინდისა და სიფაქიზის, მშვიდობიანი შრომისა და სულგრძელობის, ქვეყნებისა და ადამიანების — მეგობრობის, მეორე შემთხვევაში კი — რევოლუციური ძალისა და მწუხარების, მხედრული ვაჟკაცობისა და გმირული შრომის, პირველქმნილი ბუნებისა და ადამიანურ ვნებათა ძლიერების, მშრომელი ადამიანის ბედუკუღმართობისა წარსულში და მისი აღზევებისა აწმყოში.

ირაკლი აბაშიძეს აქვს ყოველი ხელოვანისათვის ესოდენ საჭირო ზომიერების გრძნობა. იგი გაურბის ყოველგვარ პოეტურ ზედმეტობას, სიტყვიერ სიკეკლუცეს. ძნელად მიუგნებთ მას შემთხვევას, როდესაც ლექსის ლექსიკური და მეტაფორული წყობა არ ემთხვეოდეს აზრებსა და განწყობილებას.

აი, ლექსი „მთის არწივი“. ბუნების ზვიადი საგნების მოშველებით, მათი სკულპტურული გამოკვეთილობით, ლაკონურობითა და დინჯი მოძრაობებით ამ ლექსში პოეტი ქმნის სიდიადის გაწყობილებას, — რათა ლენინისა და მისი ერთგული თანამებრძოლის სტალინის რევოლუციური აზრის, მათი დიდი ადამიანური მაშტაბების პოეტურ განცდამდე მიგვიყვანოს.

„მთის არწივია“, — სახელგანთქმული
მაღალ ოცნებით ,უკვდავ აზრებით...
იდგნენ ბინდისფრად გადაბამბულნი
კავკასიონის ბუმბერაზები.
გაქათქათებულ ბროლის ქიმზედა
მძიმე ნამქერის ედოთ უღელი,
მაინც ილტვოდა
ცისკენ იწევდა
ბერი თეთნულდი ქედმოუხრელი.
მაინც ზეცისკენ ჰქონდა თვალები
შხარას დიდებულს,
უშბას ელვარეს;
ცა დასცქეროდა იდუმალებით
კავკასიონის პირქუშ მწვერვალებს.
უცებ ტატნობზე თვალთუხილავი
ტალღა შეირხა ზღვისფერ უბეში
და ფრთაგაშლილი ლეგა ფრინველი
მთებზე გამოჩნდა ცის სიმუქეში.
ლაჟვარდ სივრცეში დასრიალებდა,
მთებს ეხებოდა ფრთამოსასმელად,
თითქოს ამირანს დასტრიალებდა,
თითქოს ეძებდა გამოსაბსნელად“

გული გეთანაღრებათ, რომ ამ მკაფიოდ დანახულ სურათში სადღაც ოდნავ ჩახშულია შინაგანი რიტმი.

აზრისა და გრძნობის სიცხადე, ნახატის სიზუსტე, სახეთა თვალნათლივობა, პოეტური საღებავების სიწმინდე და სიფაქიზე — აი რას ესწრაფვის თავის შემოქმედებაში ირაკლი აბაშიძე. უნდა ვიფიქროთ, შემთხვევითი არ არის ის ,რომ პოეტს ასე უყვარს პირველი თოვლი. პირველი თოვლის სიმღერით უმღერა მან ჩვენი ქვეყნის განახლებას, პირველი თოვლის სიმღერით გამოხატავს იგი ზოგჯერ თავის მგზნებარე სიყვარულს სამშობლოსადმი, თბილისადმი და... სატრფოსადმიც; ცდილობს დაუკავშიროს მათ სიწმინდის, სიფაქიზის, სინატიფის, სილამაზისა და ბუნების სიბრძნის შეგრძნება.

მაგრამ ეს პირველი თოვლი არ არის საერთოდ თოვლი, რომელიც დედამიწის ყველა კუთხეში მოდის, არამედ იგი სწორედ ამ პოეტის თოვლია, ამ პოეტის განსაკუთრებული საღებავია და ამავე დროს სწორედ თბილისის, სწორედ საქართველოს თოვლია.

„დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი ,თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული“.

ამრიგად, ჩვენ მივადექით პოეტის საფუძველთა საფუძველს, სახელდობრ, იმას, რომ მას „სულ ქართული ჰქონდა ბუნება“. მისი სიმღერა ქართულია, იგი ახალი საქართველოს მომღერალია. სხვაფრივ შეუძლებელიც იყო, რადგან წარმოუდგენელია საბჭოთა პოეტი, რომელიც შეიძლება არ იყოს თავის სამშობლოს მომღერალი და სიმღერა მისი არ იყოს მისი ხალხის სიმღერა. მაგრამ პოეტურის თვალსაზრისით არსებითია ის, რომ სამშობლოს გრძნობას ირაკლი აბაშიძის პოეზიაში აქვს თავისი განსაკუთრებული დღაბი, თავისი ელფერი და თავისი საკუთარი „შორეთს იქით შორეთი“ (იგულისხმება ტვარდოვსკის ამ სახელწოდების ლირიკული პოემა და მისი პატრიოტული სულისკვეთება). პოეტის ეს გრძნობა თავისი სამშობლოს ლამაზი ბუნებისა და თავისი ხალხის თავისებურებათა უბრალო, ანგარიშმიუცემელი ტრფიალი კი არის, არამედ იგი გააზრებული და ახალი შინაარსით გავსებული გრძნობაა. აქ, ისე როგორც მთელ თავის შემოქმედებაში და ისე როგორც ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი, პოეტი არ შეიძლება არ ეყრდნობოდეს საერთოს, ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო მსოფლმხედველობას. მხოლოდ მიმტკნარებულ სკეპტიკოსებსა და სნობებს შეუძლიათ არად ჩააგდონ ეს საერთო პოეტურ შემოქმედებაში.

ამ შემთხვევაში ეს საერთო ის არის, რომ პოეტისათვის საქართველო, უწინარეს ყოვლისა, ეს არის მკაფიოდ თავისებური და თავის სახიერი, მაგრამ განუყოფელი ნაწილი ხალხთა დიდი სოციალისტური ოჯახისა. საქართველოს თემა პოეტის შემოქმედებაში ორგანულად არის შედუღებული ხალხთა მეგობრობის თემასთან. და შეიძლება ითქვას, რომ ამ თემების, ამ მოტივების ერთიანობა შეადგენს ირაკლი აბაშიძის პოეზიის ერთ-ერთ მთავარ ჯავარს.

ბევრ თავის ლექსში თავისი საკუთარი პოეტური კუთხით, თავისი განსაკუთრებული და განუმეორებელი ხმით გამოხატა პოეტმა დიდი სიყვარული სამშობლოსადმი. გავიხსენოთ მისი ცნობილი ლექსი „აქ დავსახლდები“. ამ ლექსში მეტად მკაფიოდ მოჩანს პოეტის ნიჭის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება — უღრმესი გულითადობა, გულწრფელი ინტიმურობა. სწორედ ეს გულითადობა, გულღია მეგობრული საუბარის კილო — ქმნის ამ ლექსის წმინდა და თბილ ემოციურ ატმოსფეროს. სამშობლოს ყველა კუთხეში პოეტი პოულობს იმდენ წარმტაცსა და მშვენიერს, იმდენ თავის სისხლხორცეულს, რომ ვერცერთ მათგანს ვერა თმობს.

„რომელ' ერთს ვუთხრა: შენ მემეტები, —
ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,
ყველა ტრამალი, მთები, ქედები
ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.
ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდე,
ჩვენი ხორცია, ჩვენი გულია

და ნუ გაოცებს — თვისკენ გეძახდეს
იქით კახეთი აქეთ გურია“.

მაგრამ, როგორც ვთქვით, საქართველოს მოტივი პოეტის შემოქმედებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთა მეგობრობის მოტივთან. ირ. აბაშიძის ლექსები ამ თემაზე ყურადღებას იპყრობენ ღრმა აზრობრივი დატვირთვითაც. პოეტის აზრით, ხალხთა მეგობრობა, როგორც უმაღლესი გამოხატულება ყველაზე მშვენიერი და ჭეშმარიტი ადამიანური საწყისისა—ადამიანის ადამიანთან კავშირის სასიცოცხლო მოთხოვნილებისა, არის ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ლამაზი და ბედნიერი გახადოს ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე. მისი ფესვები ყველა ხალხის ისტორიაშია წასული. ხალხთა მეგობრობის იდეა გამოვლილია ყველა ხალხის კეთილშობილი გრძნობების, მისწრაფებებისა და იდეალების ყველა მცირე თუ დიდ ტრაგედიებში, რადგან ადამიანთა კავშირის ვარეშე არ არსებობს არც სიყვარული, არც თავისუფლება, არც ბედნიერება. გასაგებია, რომ პოეტი საბჭოთა ხალხების მეგობრობას განიცდის, როგორც დიდ პირად ბედნიერებასაც.

არც ენების, არც კანის ფერისა და არც ხასიათთა სხვადასხვაობა, არამედ მხოლოდ ეგოისტური ინტერესები, წვრილმანი ვნებები და ინდივიდუალისტური მიდრეკილებანი, წარმოშობილნი საუკუნეობრივ სოციალურ უკუღმართობათა შედეგად, სთიშავდნენ და აშორიშორებდნენ ადამიანებს. ისე კი თავიანთ კეთილშობილ გრძნობებსა და აზრებში ადამიანები არ შეიძლება არ იყვნენ ერთიანნი. და ყველა სხვადასხვა ენის სიდიადე და სიმშვენიერე სწორედ იმაშია, რომ ყველა ისინი სათითაოდ შეიძლება იყოს ენა ჭეშმარიტებისა, სილამაზისა, სიბრძნისა, სიყვარულისა, ენა ყველა ხალხისა და ყველა სამშობლოს ბედნიერებისა. ამიტომ თვითეული ამ მრავალ ენათაგან შეიძლება იყოს ასლი, ძმა თუ ორეული ყველა სხვა დანარჩენისა. დიახ, ეს ზოგადი აზრია, მაგრამ ზოგადი, რომელიც ანაყოფიერებს კონკრეტულს, პოეტურს.

ირაკლი აბაშიძემ ლექსში „აღმოსავლეთის პოეტებს“ ჭკვიანურად და შთაგონებულად გამოხატა პოეტური განცდა მრავალფეროვნების ამ დიადი ერთიანობისა.

„ასი ენა გვაქვს აღმოსავლელებს,
ჩვენზე მდიდარი ქვეყნად ვინ არის.
ას მღერალ ტალღას ერთად აელვებს
ერთი დინება ზვიად მდინარის.
ჰანგი ჰანგს გვიგავს,
ენა ენას ჰგავს,
შიგ ჩვენი აზრი, ჩვენი გულია;
ასი კი არა,
ერთი ენა გვაქვს,
ეს ჩვენი ენა — სიყვარულია.

. . . . . .

მგოსნის სიმღერა ვერ დათმობს ფრენას,
მღერის მგოსანი რაც ემღერება,
აღმოსავლეთო!
ჩვენ შენს ას ენას
ვაქცევთ ასეულ ათას ფერებად
და შენს მთა და ბარს ვუძღვნით ყველა ზმას.
ყველა სინაზეს ამ მწველ ფერების;
ასი კი არა,
ერთი ენა გვაქვს —
ენა სამშობლოს ბედნიერების“.

გასაგები და გადამდებია, როგორც პოეზია, როგორც მაღალი პოეტური აზრი, რომ სამშობლო, მისი აგებულება, მისი ენა ,მისი აწმყო, წარსული და მომავალი პოეტისათვის არა მარტო უღრმესი სიყვარულის საგანია, არამედ ქვეყნიერებასთან პოეტური კონტაქტის ყველა ცოცხალი ძაფის წყაროცა და ფერადების თვალწარმტაცი პალიტრაც.

პოეტურობის ნივთიერება ერთი არ არის, მრავალგვარია. ვთქვათ, რით არ არის პოეტური აზრიცა და გრძნობაც პოეტისა, რომ მისი პოეტური „მე“ შედუღებულია სამშობლოსთან, სამშობლო კი — სოციალისტური ქვეყნების დიდ ოჯახთან.

თავისი ქვეყნის ხატება ყველგან თან დაჰყვება პოეტს, ყველა ახლობელ და შორეული გზაზე. ამ ხატების მეშვეობით აღიქვამს იგი ქვეყნიერებას. აი, მან მეგობრის კეთილი თვალი მოავლო უცხო ქვეყანას და უმალვე სამშობლოს გაეხმაურა:

„ცხელ ინდოეთის ვიყავ სტუმარი,
სულით შევეწყვე, გულით გავენდე,
მიწას არ ქონდა რამ საწუნარი
ოკეანიდან ოკეანამდე.
რის დაწუნება, რა დაწუნება,
ისიც შენგვარად აოის ზღაპარი,
მაგრამ შენ არ ხარ მარტო ბუნება,
მაგრამ შენ არ ხარ მარტო მთა-ბარი“.

მაშ, რა არის სამშობლო? — უკვდავი გოლიათი — ხალხი, მისი ცხოვრების და მისი სულის წყობა, მისი ენა და მისი ფიქრები. სწორედ ეს სამშობლოა გადაქცეული პოეტის სუნთქვად.

„სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანცქალი,
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა,
მაგრამ მცირე ხარ,
შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულისოდენა.
. . . . . .
მაგრამ შენს სვე-ბედს განა დაზრახავს
შენი მგოსანი, შენი პოეტი?
იყავ რაცა ხარ,
იყავ რაცა ხარ...
დაგვილოცნია ეს ინდოეთი“.

ეს სატრფოსადმი სიყვარულის ახსნასაცა ჰგავს და ყრმა შვილისადმი მიალერსებასაც. სწორედ ამ კილოსა და ამ უშუალობაშია ამ ლექსის ძალაც.

ირაკლი აბაშიძის პოეზიის ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისება ისიც არის, რომ მეტწილად იგი უბრალო და გულგახსნილი საუბარია თანამედროვეობის სხვადასხვა საგნებზე და საკითხებზე. პოეტს ახასიათებს ძლიერ განვითარებული და გამახვილებული გრძნობა ადამიანებთან კავშირისა, გრძნობა მხარის ამბისა. მის ლექსებში ყოველთვის იგრძნობა პირდაპირი მისამართი მსმენელისა თუ მოსაუბრისადმი, განცდათა მოზიარისა თუ მოკამათისადმი ,მეგობრისა თუ მოწინააღმდეგისადმი.

აი პოეტი წერს ღია წერილს ამერიკელ მწერალს — ერსკინ კონდუელს და პირდაპირ, გულახდილად ესაუბრება მას ჩვენი დროის მწერლის მოქალაქეობრივ მოვალეობაზე. ეს წერილი მგზნებარე პოლიტიკური ლირიკის თავისებურ ნიმუშს წარმოადგენს.

ირაკლი აბაშიძე, როგორც პოეტი, არ არის უნაკლო თავის ხელოვნებაში. მას უხდებოდა და ახლაც უხდება ნოლმე ადრინდელი სქემატიზმის გადალახვა, გონებითი მკვრეტელობის დაძლევა. თუმცა უნდა ითქვას, რომ თავისი პოეტური ნიჭის ბუნებას არც ეგუება ეს თვისებები.

ამავე დროს გახარებთ ის, რომ პოეტის შემოქმედებაში კლებულობს რამეთა გამო ნაკეთები ლექსები და მატულობს მომწიფებული აზრისა და გამძაფრებული გრძნობის პოეტური სიტყვა.

ირაკლი აბაშიძის პოეტური მსოფლშეგრძნებისათვის უცხოა დაეჭვების, წინააღმდეგობისა და გათიშულობის სულისკვეთება. პოეტს მოვლენათა, საგანთა და ურთიერთობათა უფრო ჰარმონიული და მთლიანი ფორმები იტაცებს, ვიდრე წინააღმდეგობრივი და დრამატული. ალბათ, ნაწილობრივ ამასთან არის დაკავშირებული მისი პოეზიის შედარებით წყნარი ტონალობა, მისი ლირიკული გმირის თანაბარი და ნარნარი ხმა.

მაგრამ პოეტის შემოქმედებითი განვითარების გზაზე ეს არ გამორიცხავდა დრამატული დაძაბულობის თანდათანობით გაძლიერებას მის დამოკიდებულებაში სამყაროსადმი. პოეტის ლექსებში, განსაკუთრებით უახლოეს წლების ლექსებში მატულობს მწვავე და მტკივნეული საკითხები, დრტვინვა, ღრმა პოეტური დაფიქრებანი. პოეტი თითქოს აღრმავებს და აფართოებს თავის ადრინდელ თემას — ადამიანის გადარჩენისა და ადამიანის აღორძინების თემას. სოციალურად, ცხადია, ადამიანი ჩვენს ქვეყანაში უკვე დიდიხანია გადარჩენილია. და მით უმეტეს ჩვენი ეპოქის — საბჭოთა ეპოქის ღრმა ჰუმანისტურმა სულისკვეთებამ რატომაც არ უნდა გაამახვილოს ჩვენი აზრი და გრძნობა ადამიანის ბედნიერების ამა თუ იმ უსრულობაზე?

არა, ეს ტკივილი, ეს წუხილი ოდნავადაც არ ბღალავს ირაკლი აბაშიძის

პოეზიის ღრმა ოპტიმისტურ სულისკვეთებას. პირიქით, აძლიერებს მის პოეტურ ენერგიას, რადგან უდრტვინველი, უშფოთველი და უტკივილო პოეზია, თუნდაც მეტად ნატიფი და დახვეწილი, უეჭველად ჰგავს გამოხდილ წყალს, რომელსაც ასე თუ ისე შეუძლია წყურვილი მოგვიკლას, მაგრამ გემო კი არაფრისა გააჩნია.

იმისათვის, რომ ძლიერად და ამაღელვებლად თქვათ რამე ადამიანზე, უნდა შეგეძლოთ ტანჯვა მის გამო და მის მაგიერ. საზეიმო სიცოცხლისმოყვარეობა, რაშიაც ადრე ჩვენი პოეტიც არ ყოფილა მთლად უცოდველი, ვერ არის ხელსაყრელი ნიადაგი მაღალი სამოქალაქო სულისკვეთებით გამსჭვალული პოეზიისათვის.

მაგრამ აი, ირაკლი აბაშიძე თავის პოეტურ გულითადობას აძლიერებს პოეტური წუხილითა და დრტვინვით ადამიანის ბედზე. ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ ლექსები: „ალაზანთან“, „თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება“, „პაოლო იაშვილს“, „მცხეთაში“, „ხან წუთი, ხან საუკუნე“ და სხვ.

ლექსი „მცხეთაში“ ლირიკული გმირის საპაექრო მონოლოგია. იგი პოეტურად „ასაბუთებს“ სრულიად ოპტიმისტურ აზრს, რომ ადამიანთა შემოქმედებითი აზრის ყველა იმ ქმნილების მეშვეობით, რომლებიც ჩვენამდე აღწევენ და სიხარულს გვანიჭებენ, შორეულ წინაპართა ოდესღაც შეწყვეტილი სიცოცხლეც ერთვის ყველა შემდგომი თაობის სიცოცხლეს. და ადამიანთა სიცოცხლე ჩაუქრობელია სწორედ თავისი შემოქმედებითი საწყისით. მაგრამ თვით იმ კითხვაში, რომლითაც პოეტი იწყებს კამათს მოწინააღმდეგესთან, უკვე არის ერთგვარი ტკივილი და წუხილი, არის პოეტური დრტვინვა:

„თუ ყველაფერი არის სიზმარი
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ეკვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?
რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავროს სვეტი მცირე და დიდი,
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?“

ღრმა პოეტური მღელვარებითა და თრთოლვით არის დაწერილი ლექსი „პაოლო იაშვილს“ — ტრაღიკულად დაღუპულ პოეტის ბედზე.

ჩვენ, შესაძლოა, გვქონდეს ზოგიერთი რამ სადავო პოეტის ამა თუ იმ მოტივთან. ღმერთმაც ნუ ქნას, რომ სადავო არა გვქონდეს. სრულიად უდავო მხოლოდ ის არის, რაც უკვე მკვდარია. ასე, მაგალითად, ჩემი აზრით, ლექსი — „ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე“ — თავისი განწყობილებით მდარეა და „კაპიტან ბუხაიძის“ ფილოსოფიასთან მიუსადაგებელი. გარდა ამისა, უეჭველად დასანანი იქნება, რომ კარგი პოეტური დრტვინვისა და წუხილის სულისკვეთება ირაკლი აბაშიძის პოეზიაში განვითარდეს მრავალჯერ გადამღერებული მოტივების მიმართულებით... მაგრამ შემოქმედებაში ყოველგვარი გარეშე კარნახი უნაყოფოა. პოეტს უწინარეს ყოვლისა, როგორც შოლოხოვი ამბობს, თავისი გული კარნახობს, გული კი მას მგზნებარე აქვს, მგზნებარე სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულით.

ქართული ლექსის თვალსაჩინო ოსტატს — ირაკლი აბაშიძეს 50 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა 1909 წელს დაბა ხონში (ახლანდელ წულუკიძეში). მან განვლო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ოცდაათწლიანი გზა. მაგრამ მე მჯერა, რომ მისი ყველაზე ძლიერი სიმღერა ჯერ კიდევ წინ არის. ნამდვილი ნიჭი, როგორც ამბობენ, არ ბერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ენუქიძე

★

საზოგადოების ცხოვრებიდან მსოფლიო ომის გამორიცხვის რეალური შესაძლებლობის შესახებ

სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „დედამიწაზე სოციალიზმის ჯერ კიდევ სრულ გამარჯვებამდე, როცა მსოფლიოს ნაწილში კიდევ იქნება კაპიტალიზმი, წარმოიშობა რეალური შესაძლებლობა გამოირიცხოს მსოფლიო ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში“. ეს დებულება ემყარება და წარმოადგენს სკკპ XX ყრილობის დებულების შემდგომ გაღრმავებას და გაფართოებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აღარ არსებობს ომის ფატალური აუცილებლობა.

კლასობრივ საზოგადოებებში ომი ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც შეეხება უკანასკნელ კლასობრივ საზოგადოებას — კაპიტალისტურს, მას ომებისა და ძარცვა-გლეჯის გარეშე არსებობა არ შეუძლია. საშიში და გამანადგურებელი აღმოჩნდა ომები კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის ეპოქაში. ბურჟუაზიული იდეოლოგები და პოლიტიკური მოღვაწენი ცდილობენ კიდეც, რომ თეორიული საფუძველი შეუქმნან ომების აუცილებლობას. ისინი ამტკიცებენ, რომ ომი კაცობრიობისათვის აუცილებელია, ის აახალგაზრდავებს საზოგადოებას, მართალია ანგრევს, მაგრამ ქმნის ახალი ჩქარი მშენებლობის პირობებს, რომ თუ საზოგადოების განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე ეპიდემიები ავლებდა მუსრს მოსახლეობას, ახლა ის ფართო მასშტაბით უნდა გააკეთოს ომმა, რომ ვინც იბადება, ყველას გამოკვება მიწას არ შეუძლია და ომის შედეგად უნდა დარჩეს ის, ვინც ცხოვრების ღირსია, ვისაც ეყოფა ის დოვლათი, რასაც დედამიწა გვაძლევს. კაცობრიობის ამ შეხედულებათა მომხრენი, რა თქმა უნდა, შორს არიან იმ ურყევი დებულებისაგან, რომ იმპერიალიზმის დროს კიდევ უფრო მეტი სიმდიდრის დაგროვებისათვის ამზადებენ და აჩაღებენ ომებს გაბატონებული კლასები, რომ ხალხის საკეთილდღეოთ მშენებლობის გაშლისათვის არ არის საჭირო ომის წარმოება, რომ ომი არა თუ აახალგაზრდავებს კაცობრიობას, არამედ ის, ანადგურებს რა ეკონომიურ და კულტურულ განძეულს, უკან სწევს საზოგადოებას ეკონომიურად და სულიერად, რომ მეცნიერების ტექნიკისა და კულტურის განვითარების გამო დედამიწას შეუძლია გამოკვებოს ყველა ის, ვინც დაიბადება და შრომით განიზრახავს ცხოვრებას.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ მხოლოდ გაბატონებული კლასები ამზადებენ და აჩაღებენ ომებს, რომ მშრომელები ყოველთვის მშვიდობის მომხრე და ომების წინააღმდეგი არიან. რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით პირველად შეიქმნა ისეთი მთავრობა, რომელმაც საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად ხალხთა შორის მშვიდობა გამოაცხადა. ახალი საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი პირველი დეკრეტი სწორედ მშვიდობის საქმეს ემსახურებოდა და მთლიანად გამოხატავდა მშრომელი ხალხის სურვილებს.

მართლაც, როგორც ამას აღნიშნავენ მეცნიერული მარქსიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი, როდესაც მშრომელები დაამხობენ ექსპლოატატორული კლასების ბატონობას და თვითონ აიღებენ ხელში ძალაუფლებას, მათი მთავარი ამოცანა იქნება შრომა და მისი შესაბამისი მშვიდობა. საერთაშორისო ბურჟუაზიამ განიზრახა საბჭოთა რესპუბლიკის მოსპობა და ამ მიზნით ფართოდ გაშლა მშრომელთა ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ სამოქალაქო ომი და სამხედრო ინტერვენცია. უთანასწორო ბრძოლიდან — საბჭოთა ქვეყანა გამარჯვებული გამოვიდა. ის შეუდგა ჯერ პირველი მსოფლიო ომის, ხოლო შემდეგ უცხოეთის იმპერიალისტების მიერ თავსმოხვეული სამოქალაქო ომისა და ინტერვენციით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. მიზნათ იქნა დასახული სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომში მისი სოციალისტური

გზით განვითარება. ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ კეთილშობილური ამოცანის განხორციელება ხდებოდა კაპიტალისტურ გარემოცვაში. ისეთ ვითარებაში, როდესაც ერთადერთ სოციალისტურ ქვეყანას მოკავშირე არ გააჩნდა, ხოლო საბჭოებთან შეიარაღებულ ბრძოლაში დამარცხებული საერთაშორისო იმპერიალიზმი თავისას არ იშლიდა და ახალი ინტერვენციის სამზადისში იყო.

აქცევდა რა მთავარ ყურადღებას ქვეყნის ეკონომიურ გაძლიერებას, საბჭოთა მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში თანამიმდევრულად და განუხრელად ატარებდა ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. საბჭოთა კავშირი თავისი განვითარების ყველა ეტაპზე უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში გამოდიოდა მშვიდობისა და ხალხთა შორის უშიშროების პრინციპიდან. საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ წამოუყენებია მშვიდობის განმტკიცებისაკენ მიმართული კონკრეტული წინადადებანი. პერიოდი პირველიდან მეორე მსოფლიო ომამდე, რომელიც ფაქტიურად იყო არა მშვიდობის პერიოდი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ ახალი ომის მომზადების პერიოდი, სავსე საბჭოთა ქვეყნის წინადადებებითა და პროექტებით რომლებიც მიმართულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისაკენ. სამწუხაროდ, საბჭოთა მთავრობის სიტყვა ჯეროვნად არ იქნა გაგონილი და კაპიტალისტური ქვეყნების ყველაზე უფრო აგრესიულმა ძალებმა შეძლეს მეორე მსოფლიო ომის მომზადება და გაჩაღება.

პირველი მსოფლიო ომი თავისი მასშტაბითა და სიღრმით მანამდე არნახული იყო კაცობრიობის ისტორიაში. მასში მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა დიდი და 30-მდე საშუალო და პატარა ქვეყანა, რომელთა მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 62%-ს შეადგენდა. ომი გრძელდებოდა 4 წელსა და სამ თვეს და იგი ათ მილიონზე მეტი კაცი მოკლულით და დასახიჩრებულით დაუჯდა კაცობრიობას. ევროპის სახალხო მეურნეობა გაჩანაგებული აღმოჩნდა.

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში მეომარი ქვეყნების გაბატონებული კლასები პირდებოდნენ ხალხებს, რომ მტერზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ მსოფლიოში გაბატონდება მშვიდობა და კაცთმოყვარეობა და ამრიგად ეს ომი უკანასკნელი იქნებოდა ხალხებს შორის ურთიერთობაში.

ეს დაპირება უსაფუძვლო აღმოჩნდა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან ოცი წლის შემდეგ გაჩაღებულ იქნა კიდევ უფრო მძიმე და ხანგრძლივი მეორე მსოფლიო ომი. მეორე მსოფლიო ომი გრძელდებოდა სრულ ექვს წელს და მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიო მოსახლეობის 80%. [illegible] მსოფლიო ომი მიმდინარეობდა [illegible] ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის ასპარეზად გადაიქცა როგორც ევროპა, ისე აზია, აფრიკა და წყნარი ოკეანის ბასეინი.

მეორე მსოფლიო ომის ინიციატორის ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე ვერაგულად თავდასხმით და მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ქვეყნის ჩაბმით ფაშიზმია წინააღმდეგ ომის დემოკრატიული და განმათავისუფლებელი ხასიათი საყოველთაოდ ცნობილი შეიქმნა. მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარული ხალხების ზიზღი ფაშიზმისადმი ისე ძლიერი იყო, რომ თუ სსრ კავშირზე თავდასხმისას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომს მხოლოდ 8 სახელმწიფო აწარმოებდა, მისი კაპიტულაციის დღეს მასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა 44 სახელმწიფო. ფაშისტური გერმანიის მესვეურები ვარაუდობდნენ სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის მოწყობას და ამ ქვეყნის მოსპობას. ფაქტიურად კი მსოფლიო ხალხებმა ჯვაროსნული ომი თვით ფაშიზმის წინააღმდეგ მოაწყვეს და საბჭოთა კავშირის მეთაურობით სასტიკი და სამართლიანი მარცხი აგემეს ფაშისტურ გერმანიას და იმპერიალისტურ იაპონიას.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი ცვლილებები შეიტანა მსოფლიო ვითარებაში. აი მოკლედ ეს შედეგები: 1) განადგურებულ იქნენ იმ დროისათვის ყველაზე უფრო აგრესიული სახელმწიფოები — ფაშისტური გერმანია და იტალია და იმპერიალისტური იაპონია; 2) ომამდე ძლიერი იმპერიალისტური ქვეყნები — ინგლისი და საფრანგეთი — საკმაოდ დასუსტდნენ და დაკარგეს თავიანთი ადრინდელი მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში; 3) კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე უფრო ძლიერ ქვეყნად დარჩა ამერიკის შეერთებული შტატები; 4) კაპიტალისტურ წყობილებას როგორც ევროპაში, ისე აზიაში ჩამოსცილდა მთელი რიგი ქვეყნები, რომლებშიც დამყარდა დემოკრატიული წყობილება და ამით სათანადოდ შემცირდა კაპიტალიზმის მოქმედების ასპარეზი, ხოლო გაფართოვდა სოციალიზმის ასპარეზი; 5) საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო ძლიერი, გაიზარდა მისი ავტორიტეტი და გადიდდა მისი როლი მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში; 6) ჩქარი ტემპით წავიდა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა; 7) გაიზარდა და გაძლიერდა კომუნისტური და მუშათა პარტიების როლი მთელ მსოფლიოში. დასასრულ, როგორც ეს სკკპ XXI ყრილობამ აღნიშნა,

მეორე მსოფლიო ომის უმთავრესი შედეგია სოციალიზმის გადაქცევა მსოფლიო სისტემად.

ხალხებს, რომელთაც მეორე მსოფლიო ომის უდიდესი სიმძიმე გადაიტანეს, ყოველი საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის ხელმძღვანელთა დაპირებები: ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების შემდეგ ხალხები თავისუფალ ცხოვრების საშუალებას მოიპოვებდნენ; თავიანთ სუვერენიტეტს განამტკიცებდნენ; ეკონომიურ და კულტურულ დონეს აღიმაღლებდნენ. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთის მოკავშირეთა მეოხებით საერთაშორისო ურთიერთობაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხაზი ჩამოყალიბდა: — ერთი იმპერიალისტური ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნებს შორის სადავო საკითხების ომის საშუალებით გადაწყვეტას, ხალხებისა და სუსტად განვითარებულ ქვეყნების დამონებას, სოციალიზმის დამარცხებას და მსოფლიოში გაბატონებას; მეორე ხაზია სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა საბჭოთა კავშირის მეთაურობით, რომლის მიზანია სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარება; სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა, ხალხების დემოკრატიულ პრინციპებზე დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება. ამჟამად მთელი საერთაშორისო პოლიტიკა მიმდინარეობს და ვითარდება ამ ორი მთავარი ხაზის გარშემო.

ცნობილია, რომ თანაარსებობის ლენინური პრინციპი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია, აქედან გამომდინარე სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხელმძღვანელები ღრმად დარწმუნებული არიან, რომ არ არსებობს ქვეყნებს შორის ისეთი სადავო საკითხი, რომლის მოგვარება არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით და საჭირო იყოს იარაღისადმი მიმართვა. მით უმეტეს, რომ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ხალხებს შორის სადავო საკითხებს ომები ვერ წყვეტენ, პირიქით, კიდევ უფრო ართულებენ და შეუძლებელს ხდიან ასეთი საკითხების გადაწყვეტას და ხალხების სასარგებლოდ მათ მოგვარებას.

საბჭოთა მთავრობა, ისე როგორც მაშინ, როდესაც მარტო იყო, ახლაც, როდესაც მასთან ერთად არიან დიდი სახალხო ჩინეთი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, ევროპასა და აზიაში ატარებდა და ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას. კაპიტალისტური ქვეყნების იდეოლოგები და პროპაგანდისტები საბჭოთა ქვეყნისა და საერთოდ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საგარეო სამშვიდობო პოლიტიკის საფუძველს ეძებენ არა ამ ქვეყნების სახელმწიფო წყობილების ნამდვილ დემოკრატიულობაში, არამედ ამ ბანაკის ქვეყნების ვითომდა სისუსტეში ან და სოციალისტური ქვეყნების ბრძოლას მშვიდობისათვის აფასებენ როგორც პროპაგანდას და მეტს არაფერს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმპერიალისტური ქვეყნის არც ერთ სერიოზულ პოლიტიკურ მოღვაწეს არ შეუძლია ილაპარაკოს სოციალისტური ქვეყნების ბანაკის ეკონომიურ, პოლიტიკურ ან სამხედრო სისუსტეზე. თავისი სიძლიერე საბჭოთა ქვეყანამ დაადასტურა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის მარტო იყო. ახლა კი როდესაც მასთან არიან დიდი სახალხო ჩინეთი და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები, ევროპასა და აზიაში სისუსტეზე ლაპარაკი სავსებით უსაფუძვლოა. რაც შეეხება პროპაგანდას, მას უთუოდ დიდი, მაგრამ ჭრაგადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რადგან ხალხთა ხოცვა-ყლეტის აუცილებლობის ქადაგების ნაცვლად, როგორც ამას ბურჟუაზიული პროპაგანდა ეწევა, საბჭოთა პროპაგანდის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა სისტემების სახელმწიფოების მშვიდობიან თანაარსებობას და ხალხთა შორის მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას ატარებენ არა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი სუსტია და მას ეშინია იმპერიალისტური ბანაკის ქვეყნებისა, არამედ იმიტომ, რომ მიზნად აქვთ დასახული ქვეყნის შემდგომი ეკონომიური განვითარება, ხალხის ეკონომიური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლება. სულ 41 წელია, რაც საბჭოთა ქვეყანა არსებობს. აქედან 18 წელი ჩვენმა ხალხმა მოანდომა გარედან თავსმოხვეულ ორი ომის წარმოებას და ამ ომების მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კიდევ უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა საბჭოთა კავშირის ხალხების ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა, თუ არა ეს ომები და მათი უარყოფითი გავლენა.

საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ როგორც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ისე იმ ქვეყნების ხალხები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაამსხვრიეს კოლონიალიზმის უღელი და მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

იმპერიალისტური ქვეყნების მესვეურთ

განზრახული აქვთ მომავალშიც განაგრძონ ე. წ. „ცივი ომი“, აწარმოონ პოლიტიკა „ძალის პოზიციიდან“ ე. ი. სადავო საკითხები გადაწყვიტონ არა დიპლომატიური მოლაპარაკების, გზით, არამედ ომის საშუალებით.

ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში საკითხი დგას ასე:

ან სახელმწიფოები წავლენ მშვიდობიანი თანამშრომლობის გზით, მოუწესრიგებელ საკითხებს გადაწყვეტენ მშვიდობიანად დიპლომატიური მოლაპარაკებით—და მაშინ კაცობრიობის წინაშე დადგება პერსპექტივა მშვიდობიანი განვითარებისა, ადამიანების განუსაზღვრელი მატერიალური და სულიერი პროგრესისა.

ან მსოფლიოში გაგრძელდება „ცივი ომი“ და კაცობრიობა საბოლოო ჯამში დადგება მისი „ცხელ“ გამანადგურებელ ომში გადაზრდის საფრთხის წინაშე.

მაგრამ რას ნიშნავს ომის გაჩაღება თანამედროვე პირობებში, ატომგულის იარაღის, კონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ქონების პირობებში? ასეთ ვითარებაში დედამიწის ყველაზე უფრო შორეული კუთხე შეიძლება გადაიქცეს ატომგულის ომის ასპარეზად, რომელიც სიკვდილს მოუტანს მილიონობით ადამიანს და გაანადგურებს აურაცხელ მატერიალურ სიმდიდრეს. თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნიკას შეუძლია დაამზადოს ისეთი წყალბადის ბომბები, რომელთა დამანგრეველი ძალა 5-10 და მეტ მილიონ ტონა ტროტილს უდრის. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ასეთი ბომბის აფეთქებას შეუძლია დააცალიეროს ტერიტორია ასეული კილომეტრების რადიუსით. ის არაფრით არ შეედრება იმას, რაც მოხდა 1945 წელს ხიროსიმასა და ნაგასაკში.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ატომის იარაღი 1945 წელს გამოიყენა იაპონიის წინააღმდეგ, არაიმდენად იაპონიის დასამარცხებლად, ვინაიდან იაპონია უკვე დამარცხებული იყო, რამდენადაც საბჭოთა კავშირის დასაშინებლად. ატომის ბომბებმა დაანგრიეს და გააჩანაგეს იაპონიის ორი დიდი ქალაქი — ხიროსიმა და ნაგასაკი, იმსხვერპლეს 115 ათასი კაცი, დაჭრეს 60 ათასზე მეტი კაცი და მძიმე ფიზიკური ზიანი მიაყენეს 300 ათასზე მეტ კაცს. ატომის ბომბების გამოყენების შედეგად 50 ათასამდე კაცმა გადაიტანა გამოსხივების ავადმყოფობა. ის, ვინც ცოცხალი გადარჩა, განწირული იყო ჩქარი მოხუცებულობისა და ადრე სიკვდილისათვის.

მაგრამ ეს იყო 14 წლის წინათ. ამ ხნის განმავლობაში ატომის ტექნიკა დიდათ განვითარდა და მასში ნამდვილი გადატრიალება მოხდა. თუ პირველი ატომური ბომბის აფეთქების ძალა 1945 წელს უდრიდა 20 ათასი ტონა ტროტილის აფეთქების ძალას, ეხლანდელი წყალბადის ბომბის აფეთქების ძალა შეესაბამება 20 მილიონ ტონა ტროტილს, ე. ი. სიმძლავრით ათასჯერ აღემატება ატომის პირველ ბომბს. ასეთი ბომბის აფეთქებას შეუძლია დაანგრიოს ყველა ჩვეულებრივი ნაგებობა 200 კვადრატული კილომეტრის ფართობზე და მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვიოს 500 კვადრატული კილომეტრის ზონაში. თუ მოვიგონებთ, რომ პარიზს უკავია 104 კვ. კილომეტრი ფართობი, ლონდონს—300 კვ. კილომეტრი, ხოლო ნიუ-იორკს — 816 კვ. კილომეტრი, აშკარა გახდება რომ უდიდესი ქალაქები, კულტურისა და ცივილიზაციის ეს მ'იშვნელოვანი კერები ატომისა და წყალბადის იარაღის გამოყენებისას ნანგრევებად გადაიქცევიან.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 12 წლის განმავლობაში, 1946-1957 წლებში, ატომის იარაღის განვითარებასა და სრულყოფაზე დახარჯეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 6.300 მილიარდი ფრანკი, ინგლისმა — 600 მილიარდი ფრანკი, ხოლო საფრანგეთმა — 140 მილიარდი ფრანკი. კაპიტალისტურ სამყაროში საფრანგეთი ატომის იარაღის მქონე მესამე ქვეყანაა. ის ვარაუდობს, რომ ამ საქმეში ჩამორჩა, და ამიტომ განზრახული აქვს 1957—1961 წლებში ამ მიმართულებით დახარჯოს 500 მილიარდი ფრანკი.

მსხვილი იმპერიალისტური ქვეყნები თავიანთი სახელმწიფო ბიუჯეტების 60%-ზე მეტს ხარჯავენ სამხედრო საქმეზე. ისეთი მრავალრიცხოვანი არმიები, როგორიც ამჟამად ჰყავთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, არასდროს მათ მშვიდობიან პერიოდში არ ჰყოლიათ, 12 მილიონი კაცი იარაღქვეშ არა ომის დროს, არამედ მშვიდობიანობისას უთუოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით შეკოწიწებულ სამ აგრესიულ ბლოკში — ნატოსა, სეატოსა და ბაღდადის პაქტში — გაერთიანებული 20 ქვეყნის მესვეურნი თავიანთ საგარეო პოლიტიკას წარმართავენ არა მხოლოდ სხვა ქვეყნების ხალხების, არამედ თავიანთი საკუთარი ხალხების სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ. განა შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, რომ ადენაუერი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციით გერმანელი ხალხის სასარგებლო საქმეს აკეთებს? ან დე გოლი გერმანიის სამხედრო პოტენციალის აღდგენის ხელშეწყობით ფრანგი ხალხის სასარგებლო საქმეს აკეთებს? ან ამერიკის შეერთებული შტატები ჩან კაი-შის ხროვისათვის მხარდაჭერით

ამერიკელი ხალხის სასარგებლო საქმეს აკეთებს?

მხოლოდ ერთი მთავარი აგრესიული ბლოკის — ნატოს მონაწილე 14 ქვეყნის (ისლანდიას შეიარაღებული ძალები არა ჰყავს) პირდაპირი სამხედრო ხარჯები შეადგენდა 1949 წელს 18.723 მილიონ დოლარს, ხოლო 1957 წელს — 59.586 მილიონ დოლარს. მათ შორის ამ ბლოკის შექმნის ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1949 წელს დახარჯეს 13.580 მილიონი დოლარი, ხოლო 1957 წელს 44.278 მილიონი დოლარი. ჩვენ მხედველობიდან არ ვუშვებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული სამი აგრესიული ბლოკის მონაწილე ქვეყნები თავის მხრივ სამხედრო ხელშეკრულებებით დაკავშირებული არიან სხვა ქვეყნებთან, როგორც, მაგალითად, სეატოს მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატები იაპონიასთან (IX 1951), სამხრეთ კორეასთან (X 1953), ჩანკაი-შის ხროვასთან (XII 1954) და სხვ.

დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეები განაგრძობენ ატომური ომის მომზადების კურსს, უარს ამბობენ გერმანიის საკითხისა და სხვა მომწიფებული პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტაზე, აფართოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ბაზების ქსელს. ხდება სახელმწიფო აპარატის მილიტარიზაცია. თუ 1953 წელს სამოქალაქო სახელმწიფო ორგანოებში იყო 9 გენერალი და 58 პოლკოვნიკი, 1957 წელს უკვე იყო 200 გენერალი და ადმირალი, 1300 მეტი პოლკოვნიკი და 6 ათასამდე უფრო დაბალი რანგის ოფიცერი.

ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ომის საფრთხე დღის წესრიგიდან არ არის მოხსნილი და სანამ არსებობს მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, ასეთი იმპერიალისტური ომის გაჩაღების საფრთხე ყოველთვის იქნება. ამიტომაა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში და სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციაში ლაპარაკია ახალი ომის საფრთხეზე, იმაზე რომ ის დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. XXI ყრილობამ მოუწოდა საბჭოთა ხალხს, ყველა მშვიდობისმოყვარე ძალებს გამოიჩინონ უდიდესი სიფხიზლე ან გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. როგორც მოხსენებაში, ისე რეზოლუციაში დასაბუთებულადაა აღნიშნული, რომ არსებობს საზოგადოების ცხოვრებიდან ომების გამორიცხვის რეალური შესაძლებლობა. ამ სწორი დებულების განმარტების მიზნით საჭიროა პასუხი გავცეთ ორ კითხვაზე:

ა) რაში გამოიხატება ეს რეალური შესაძლებლობა? და

ბ) რა არის საჭირო, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს?

საბჭოთა სახელმწიფოს ხელოვნური წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგ, 1917 წელს, შეადგენდა სამ პროცენტზე ნაკლებს. მძიმე ეკონომიურ და სამხედრო ვითარებაში საბჭოთა რესპუბლიკას მოუხდა სამოქალაქო ომის წარმოება და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის მოგერიება. უთანასწორო ბრძოლაში წითელმა არმიამ ძლევამოსილად გაუძლო მსოფლიო კაპიტალიზმის იერიშს, მაშინ როდესაც ეს არმია იყო ფაქტიურად უიარაღო, ნახევრად მშიერი და შიშველი და ჰყავდა ისეთი მეთაურები, რომლებიც მანამდე არც თუ ისე კარგად იცნობდნენ სამხედრო საქმეს. მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, როდესაც არმიამ იცის რისთვის იბრძვის, ის უძლეველია. რევოლუციურმა ენთუზიაზმმა და იმისმა შეგნებამ, რომ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ, სხვა მთელ რიგ ფაქტორებთან ერთად საბოლოო ჯამში ძლია 14 იმპერიალისტური ქვეყნის თავით ფეხებამდე მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ არმიებს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იმ დროს საბჭოთა ქვეყანას რეალური დახმარების მიღება არსაიდან შეეძლო, მას მოქმედება უხდებოდა კაპიტალისტური სამყაროს მკაცრ გარემოცვაში.

გავიდა წლები. საბჭოთა ქვეყანა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და თავისი არსებობის სულ რაღაც 20 წლის მანძილზე ეკონომიურად და კულტურულად ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად გადაიქცა მსოფლიოში. საერთაშორისო იმპერიალიზმს ხელი არასდროს არ აუღია საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობის გეგმაზე. მაგრამ მსოფლიო ხალხები, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკით, რომელიც ამ ხალხების ინტერესებს შეესაბამებოდა, და დიდი ეკონომიური მიღწევებით, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა, მხურვალე სიყვარულითა და სიმპათიით ეპყრობოდნენ საბჭოთა კავშირს. მეორე მსოფლიო ომი უაღრესად არახელსაყრელი აღმოჩნდა კაპიტალისტური სამყაროსათვის. თუ პირველი მსოფლიო ომის შედეგად, მან დაკარგა რუსეთის იმპერია, სადაც შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური რესპუბლიკების დიდი კავშირი, მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალისტურ სამყაროს ჩამოსცილდა მთელი რიგი ქვეყნები როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ამ ქვეყნებში მოისპო კაპიტალისტური წყობილება, დამყარდა და განმტკიცდა სახალხო დემოკრატიის რეჟიმი. ამჟამად კაპიტალისტურ სამყაროს უპირის-

პირდება არა მხოლოდ საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, რომელთა ხვედრითი წონა მსოფლიო მოსახლეობაში შეადგენს 35%. ეს დიდი ძალაა და იმპერიალისტური ომის მოტრფიალეთ არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ მას.

მართალია, სამ იმპერიალისტურ აგრესიულ ბლოკში გაერთიანებული 20 ქვეყნის მოსახლეობა 600 მილიონზე მეტ სულს შეადგენს, მაგრამ ჯერ ერთი, ამ ქვეყნების მოსახლეობის თუ მეტი არა 95% მაინც ომის წინააღმდეგია და ,მეორეც, ამ ქვეყნების მთავრობებს შორის არსებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებები მეგობრობის შესახებ ვერ შეედრება სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის არსებულ ხელშეკრულებათა სიმტკიცეს და მნიშვნელობას. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სოციალისტური სისტემის ბანაკის ქვეყნებთან ერთად ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ ბურჟუაზიული წყობილების ქვეყნებიც, პირველ რიგში, ისინი რომელთაც ახლახან დააღწიეს თავი კოლონიალიზმს და მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

ამრიგად, სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევამ და „მშვიდობის ზონის" შექმნამ შეცვალა „კაპიტალისტური გარემოცვის" არსი. სოციალისტური სისტემის განვითარების ამ ეტაპზე საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული ზოგიერთი პუბლიცისტის აზრი იმის შესახებ, რომ სოციალიზმი კი არ აღმოჩნდა კაპიტალისტურ გარემოცვაში, არამედ კაპიტალიზმია სოციალიზმის გარემოცვაში. შეიძლება ასე თქმა ჯერჯერობით გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ იგი საერთო სულისკვეთების აუცილებელი მაჩვენებელია. ასეთია რეალური შესაძლებლობის იდეოლოგიური ფაქტორი.

სოციალისტური სისტემის ბანაკის ქვეყნები მნიშვნელოვან ეკონომიურ ძალას წარმოადგენენ. გასულ, 1958 წელს ამ სისტემის ქვეყნების ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 33%-ზე მეტს შეადგენდა. სკკპ XXI ყრილობის მიერ მოწონებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის და მსოფლიო სოციალისტური ბანაკის როგორც მშვიდობისა და პროგრესის მძლავრი დასაყრდენის პოზიციებს, გამოიწვევს მშვიდობის ძალთა შემდგომ ზრდას და ომის ძალების შესუსტებას.

შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად 1965 წელს საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში იქნება 50%-ზე მეტი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სამრეწველო წარმოების 67%, რომელიც ამჟამად კაპიტალისტური ქვეყნების ხვედრითს წონას შეადგენს, მთლიანად იმპერიალისტურ აგრესიულ ქვეყნებს როდი ეკუთვნის. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის სწორედ იმ კაპიტალისტურ ქვეყნებზე, რომლებიც თავიანთი სოციალურ-ეკონომიური წყობილების მიუხედავად ომის წინააღმდეგნი არიან და მთელ რიგ შემთხვევაში მშვიდობის სასარგებლოდ მოქმედებენ. გარდა. ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, — და ეს მეორე ხარისხოვანი ფაქტორი როდია, — რომ იმპერიალისტური ქვეყნების ეკონომიური რესურსები ამ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობებია და ქიშპობის გამო არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სრულყოფილად. ამის ფაქტები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება მეორე მსოფლიო ომის ისტორიიდან და იგი მნიშვნელოვნად აუფასურებს იმპერიალისტური ქვეყნების ხვედრი წონის შედარებით მაღალ პროცენტს.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიკა გეგმიანობის საფუძველზე უაღრესად ჩქარი ტემპებით ვითარდება. ამ ქვეყნების ეკონომიკა მჭიდროდ არის შეკავშირებული და, შეიძლება ვთქვათ, რომ წარმოადგენს ერთ მთელს. სწორედ ასეთი მჭიდრო კავშირიდან, გეგმაზომიერი განვითარებიდან და ურთიერთდახმარებიდან გამოდიოდა ნ. ს. ხრუშჩოვი, როდესაც ამბობდა, რომ ეს ქვეყნები თითქმის ერთდროულად გადავლენ კომუნიზმში.

სოციალისტური სისტემის ქვეყნების ასეთი ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ 33%-ს, ვიდრე ეს ამ ციფრებითაა გამოხატული. სოციალიზმის ქვეყნებს შორის ასეთი მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა და ამ ქვეყნების თავის მხრივ უანგარო ეკონომიური დახმარება იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად დააღწიეს თავი კოლონიალიზმს და ეკონომიურად სუსტად განვითარებული არიან, ქმნის საერთო ეკონომიური განვითარების ფართო ასპარეზს და აძლიერებს ეკონომიური განვითარების მნიშვნელობას მშვიდობისა და პროგრესის საქმეში. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერად განვითარებისა და ყოველი სახალხო დემოკრატიის ქვეყნის მიერ მეურნეობის იმ დარგების განვითარებით, რომელიც უფრო შესაძლო და მისაღებია ამა თუ იმ ქვეყნისათვის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ეკონომიკის განვითარებამ მაღალ დონეს მიაღწია და ახლა არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საქონელი, რომელიც საჭირო რაოდენობით ამ ქვეყნებში არ მზადდებოდეს. ეკონომიური განვითარების შედეგად არნახული ტემპებით ვითარდება

მეცნიერება და ტექნიკა. ამ დარგში მიღწევებით სამართლიანად ამაყობენ საბჭოთა კავშირი და მისი თანამოძმე სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. იმპერიალისტური ქვეყნების მესვეურნი შეშფოთებული არიან საბჭოთა კავშირის მიერ ეკონომიკის, მეცნიერებისა და, კერძოდ, ტექნიკის დარგში მოპოვებული მიღწევებით. ამას კი დიდად გამომაფხიზლებელი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მოუფიქრებლათ წამოწყებული აგრესია არ შეიძლება სავალალო არ აღმოჩნდეს მისი წამომწყებისათვის.

„სოციალისტური ქვეყნების ახალი წარმატებანი, — ნათქვამია სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციაში. — გამოიწვევენ მშვიდობისმოყვარე ძალების ზრდასა და განმტკიცებას მთელ მსოფლიოში. სახელმწიფოებს, რომლებიც მშვიდობიანი განმტკიცებისათვის იბრძვიან, სულ ახალი და ახალი ქვეყნები შეუერთდებიან. ხალხთა შეგნებაში კიდევ უფრო ღრმად დამკვიდრდება ის იდეა, რომ ომი დაუშვებელია. დაეყრდნობიან რა სოციალიზმის ბანაკის სიმძლავრეს, მშვიდობისმოყვარე ხალხები შეძლებენ მაშინ აიძულონ იმპერიალიზმის აგრესიული წრეები ხელი აიღონ ახალი ომების გაჩაღების გეგმებზე“.

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათისაა.

კაცობრიობის დიდი ნაწილი დარწმუნებულია იმაში, რომ ომებს უბედურების მეტი არაფერი არ მოაქვთ ხალხებისათვის, პირველი და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომი ამ აზრის მკაფიოდ დამადასტურებელია. იმპერიალისტურ ქვეყნებშიც კი გაბატონებული კლასების მთელი რიგი მოღვაწენი აშკარად ილაშქრებენ ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ. ისინი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით მოიპოვებიან, მაგრამ ეს ფაქტი უთუოდ ეპოქის დამახასიათებელია. კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნების შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთ არ შეუძლიათ სათანადო დასკვნა არ გააკეთონ წარსული მსოფლიო ომებიდან და ამიტომ იარაღის ქღარუნს ერიდებიან, ვინაიდან, ასეთი ქღარუნი ხალხების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება და, მათს მოწონებას არ იმსახურებს. მართალია ავანტიურისტულად განწყობილი ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე, — როგორც აშშ ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონია, ფიქრობს, რომ ვინაიდან დრო საბჭოთა კავშირისათვის მუშაობს, სანამ გვიან არაა, წამოწყებულ იქნეს პრევენტული ომი. მაგრამ უფრო „ზომიერნი“, ეიზენჰაუერი, და სხვები — ფიქრობენ, ასეთი ნაბიჯი შეიძლება გადადგმული იქნეს მხოლოდ კარგად მომზადების შემდეგ, ვინაიდან იმათ, კერძოდ, ეიზენჰაუერმა, კარგად იცის საბჭოთა კავშირის ძალა.

საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ხალხთა მასებში და ამ პოლიტიკას იმპერიალისტური ქვეყნები უპირისპირებენ უაღრესად არაპოპულარული, შემაშფოთებელი პოლიტიკა „ძალის პოზიციიდან“. მეორე მსოფლიო ომის ისეთი მძიმე, ხანგრძლივი და დაუვიწყარი აღმოჩნდა ხალხებისათვის, რომ ამის შემდეგ წამოწყებული სამხედრო ავანტიურები კორეაში, ვიეტნამში, ჩრდილოეთ აფრიკაში არაპოპულარული აღმოჩნდა და მათ ხალხების აღშფოთება გამოიწვიეს. გარდა პოლიტიკური ვითარებისა, იმპერიალისტურმა ბანაკმა არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს სოციალისტური სისტემის ქვეყნების თავდაცვის უნარიანობას. ჩვენ ბევრს ვაკეთებთ იმისათვის რომ მშვიდობა შენარჩუნებულ იქნეს და შეიარაღებულ შეჯახებამდე საქმე არ მივიდეს. ომის მოტრფიალეებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირს ომი არ სურს, მაგრამ ომისათვის მზადაა, რომ სამშვიდობო პოლიტიკასთან ერთად, ის ატარებს თავდაცვის პოლიტიკას, რომ ომის წამოწყება იმპერიალიზმისათვის თვითმკვლელობა იქნება, ხოლო თვითმკვლელობა ომის მეშვეობით კაპიტალისტური სისტემის ლოგიკურ დამთავრებას ნიშნავს.

ზემოთ აღნიშნულია მხოლოდ ძირითადი ფაქტორები — მორალური, ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო, რომლებიც საზოგადოების ცხოვრებიდან ომების გამორიცხვის რეალურ შესაძლებლობას იძლევიან. მაგრამ ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისათვის საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება.

ხალხებს ომი არ სურთ, ყოველ შემთხვევაში მსოფლიო მოსახლეობის 95% მშვიდობის მომხრეა და ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ იბრძვის. ბურჟუაზიული თეორიები, რომ ომი შეიძლება აწარმოოს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილმა რამდენიმე სამხედო შენაერთმა და დამთავრდეს რამდენიმე დღის თუ კვირის განმავლობაში, — უსაფუძვლოა. მასების მონაწილეობის გარეშე ომის წარმოება შეუძლებელია. როგორც აღნიშნული იყო, პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა მოსახლეობის 62%, მეორე მსოფლიო ომში — მოსახლეობის 80% და სად არის იმის გარანტია, რომ მესამე მსოფლიო ომი, თუ მის მომზადებას და გაჩაღებას შეძლებენ იმპერიალისტები, მთელ მოსახლეობას არ მიიზიდავს? ასეთი პერსპექტივები კაპიტალისტურ წყობილებას არაფერს კარგს არ უმზადებენ. ბურჟუაზიული პროპაგანდა გვისაყვედურებს, რომ რატომღაც ყველაზე უფრო თავგამოდებით მშვიდობას იცავენ კომუნისტები და რომ ვითომ სხვას მშვიდობა არ აინტერესებს. კო-

მუნისტები რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან, ეს ბუნებრივია. ყოველი ყეთილშობილური საქმის ინიციატორები კომუნისტები არიან და რა არის გასაკვირი, რომ მსოფლიო ხალხებისათვის სასიცოცხლო საქმეს კომუნისტები უდგნენ სათავეში.

საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის პრობლემა არის თანამედროვეობის ძირითადი პრობლემა, რომელიც აღელვებს მთელს კაცობრიობას. რომ თანამედროვე ვითარებაში ომის ფატალური აუცილებლობა არ არსებობს და რომ რეალურად შესაძლებელია ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან ომის გამორიცხვა ამის მაგალითებს იძლევა ცხოვრება.

სწორედ სოციალისტური ბლოკის ქვეყნების მიღწევების და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და პოპულარობის ზრდის გავლენის შედეგია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში ერთგვარი შემობრუნება იმ მიმართულებით, რომ სახელმწიფოებს შორის სადავო საკითხები შეიძლება მოგვარდეს მშვიდობიანი გზით. ამ მხრივ უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების ამხანაგების ა. მიკოიანის (1959 წლის იანვარში) და ფ. კოზლოვის (1959 წლის ივნის — ივლისში) მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო ამერიკის ეროვნული — პრეზიდენტ რ. ნიქსონის ყოფნას (1959 წლის ივლის — აგვისტო) სსრ კავშირში.

ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს იმის ბრწყინვალე დადასტურებას, თუ კომუნისტები, საბჭოთა ხალხი როგორ იცავენ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ურყევ პრინციპს. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ეს ვიზიტი მთელი მოწინავე კაცობრიობის მიერ შეფასებულია, როგორც უდიდესი მოვლენა მსოფლიო ისტორიაში. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის კომუნიკეში ნათლად არის ნათქვამი, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი უნდა გადაწყდეს არა ძალის პოზიციიდან, არამედ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულ ვიზიტს თვალყურს ადევნებდნენ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ამ ტრიუმფალურ გამარჯვებაში ხედავენ ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ურყევ საწინდარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. კიკნაძე

★

შილერი ქართულ თეატრში

ბ. ბელინსკი ამბობდა, რომ ფრიდრიხ შილერი „დიდია არა მხოლოდ მხატვრული გენიის ძალით, არა მხოლოდ კაცობრიობისა და ჰეშმარიტების მგზნებარე სიყვარულით, არამედ იმითაც, რომ მის ნაწარმოებებს მსოფლიოს მომცველი, მარად ახალი და მარად განვითარებაში მყოფი შინაარსი აქვს“. სწორედ ეს „მარად ახალი“ შინაარსია, რომ თანამედროვეთათვისაც ასე გასაგებსა და ახლობელს ხდის შილერს. იგი თავისი დიდი ჰუმანიზმით, „ნაციონალისტური ფანტაზიისადმი“, კოცონებისა და შოლტებისადმი ღრმა სიძულვილის გამო, გახდა ქართველი ხალხის მეგობარი და მისი სულიერი ცხოვრების თანაზიარი საუკუნეთა მანძილზე. შილერი დიდხანს მოუწოდებდა გერმანელ ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის საბრძოლველად. ბუნებრივია, რომ ამ მოწოდებამ თავისი აქტიური გამოძახილი ჰპოვა საქართველოში. სწორედ გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

ცნობილია, რომ თერგდალეულებმა ახალი საფიქრალი და საზიარანავი შემოიტანეს ქართულ მწერლობაში. წამოიჭრა ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა, მაგრამ უმთავრესი მაინც ეროვნული საკითხი იყო. მათ ბრძოლაში ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს მოწინავე მწერლობას. ამიტომ იყო, რომ ასე ფართო გასაქანი მიეცა მთარგმნელობით მუშაობას. განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა პიესების თარგმნის თვალსაზრისით. ამას ორი არსებითი ხასიათის მიზეზი ჰქონდა. პირველი: ორიგინალური პიესების ნაკლებობა, მეორე — თეატრი პროპაგანდის ყველაზე ეფექტური საშუალებაა და ამიტომ მსოფლიოს პროგრესული მწერლობის იდეები თეატრის საშუალებით უკეთ იკვლევდა გზას ხალხისაკენ. ეს კარგად იცოდა იმ ხანად სახელმწიფო მმართველობამ და ყოველნაირად ცდილობდა შეეფერხებინა „ჩვენი ეროვნების საჯარო“ ნიშანი, — ქართული თეატრი. აიკრძალა პროგრესული ლიტერატურა. ქართული თეატრის ისტორიამ ბევრი პიესის აკრძალვის მაგალითი იცის. მათ შორის ყურადღების გარეშე არც შილერი დარჩენილა. ქართველმა ხალხმა კი შილერი იმთავითვე იწამა და შეიყვარა. გულთან მიიტანა მისი ტკივილი და დიდი ჰუმანისტური იდეალი.

ფ. შილერის პიესების ქართულად თარგმანის პირველი ცდები ეკუთვნის ნ. ავალიშვილს. 1867 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა „ვილჰელმ ტელის“ ნაწილი, მალე „დროებაში“ გამოქვეყნდა მეორე სცენაც ამავე პიესიდან გ. წერეთლის თარგმნით. შემდეგ ჟურნალმა „მნათობმა“ დაბეჭდა „ვილჰელმ ტელის“ სრული თარგმანი, შესრულებული ნ. ავალიშვილის მიერ. იგივე პიესა მრავალჯერ ითარგმნა სხვადასხვა დროს. ასე, რომ ქართულად არსებობს „ვილჰელმ ტელის“ მრავალი თარგმანი, ამ პიესას მოჰყვა „ყაჩაღების“ თარგმნა — ნ. ავალიშვილისავე ინიციატივით. ამ საპატიო საქმეში ნ. ავალიშვილი შემდგომ მარტო არ ყოფილა. ფ. შილერის შემოქმედების შესწავლამ საქართველოში სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათი მიიღო. გაზეთმა „კვალმა“ 1905-ის რევოლუციის წინა პერიოდში დაბეჭდა წერილების სერია: „შილერის პოეზიის ძირითადი თვისებანი“. ერთ-ერთი წერილი ასე მთავრდებოდა: „ძირს მეფე! გაუმარჯოს მეგობრობასა და სიყვარულს, გაუმარჯოს თანასწორობას, გაუმარჯოს სიტყვის, აზრისა და სინდისის თავისუფლებას“. („კვალი“ 1903 წ. № 1 გვ. 12-14) ამ ფაქტიდანაც კი სავსებით ნათელია თუ რატომ შეიყვარა ხალხმა ასე შილერი, რატომ გაიხადა იგი თანამებრძოლად ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1905 წელს, რევოლუციური აზრის მოზღვავების პერიოდში, საქართველომ ხაზგასმით იზეიმა შილერის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი. მაშინ „ნაკადულმა“ ასე შეაფასა ვ. შილერი: „შეუძლებელია არ შეიყვაროს კაცმა, ისეთი ნაწარმოებების ავტორი, რომელიც კითხვის დროს გაჯადოებს, ჰუმანურ აზრებს გიღვიძებს, გაკეთილშობილებს. შილერის თხზულებანი წყაროა კეთილ მისწრაფებათა აღტაცებისა. თავისუფლების მოციქულია, სიყვარულის ემბაზია“. შექსპირის შემდეგ მსოფლიო დრამატურგიაში არ არის მეორე მწერალი, რომელიც ქართულ აუდიტორიასთან ასე მგზნებარედ, ასე ახლოს მისულიყოს. ის ფაქტი, რომ ქართულმა თეატრმა საუკეთესოდ შესძლო თავის სცენას „დაუფლებოდა“ მსოფლიოს კლასიკური მწერლობის ნიმუშები. ბევრ

რამეზე მეტყველებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდია ქართული თეატრის დიაპაზონი, მას შეუძლია მონუმენტალურ ფორმებში ჩამოაქანდაკოს ინგლისელი და გერმანელი, ფრანგი და ბერძენი, იტალიელი, ესპანელი და სხვა ეროვნების ადამიანთა ტიპიური სახეები. აქ საქმე მარტო ოსტატობაში როდია. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ქართული თეატრი არასოდეს არ ყოფილა ნაციონალიზმით შეზღუდული, კარდახშული. აქაც გამოვლინდა ერის ინტერნაციონალური ბუნება, რაც მთავარია ქართული თეატრი ყოველთვის მხარში ედგა ხალხს. იგი ხალხის იდეების პოზიციებიდან ასახავდა სინამდვილეს. ყოველივე ამან ჩვენს თეატრს მისცა ძალა და სტიმული, რომ ორგანულად მიეღო და აეთვისებია შილერის მდიდარი დრამატურგიული შემოქმედება.

ფ. შილერის პიესებიდან ქართულ თეატრში ყველაზე ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია „ყაჩაღებს" აქვს. შილერი „ყაჩაღებში" — წერდა ენგელსი თავისუფლებისაკენ ისწრაფოდა, „ყაჩაღები" იყო პირველი გაფრთხილება, რომელიც მისცა მან სერვილიზმით გაჟღენთილ თავის ეპოქას; მაგრამ მაშინ ამგვარ მისწრაფებებს ჯერ კიდევ არ შეეძლო გარკვეული, კონკრეტული ფორმები მიეღო". ეს ამომწურავი შეფასებაა!

„ყაჩაღების" დადგმამ მანჰაიმის თეატრში დიდი სენსაცია გამოიწვია. ერთ-ერთი მაყურებელი წერდა: „თეატრი საგიჟეთს დაემსგავსა: ანთებული თვალები, მოღერილი მუშტები, ფეხებით ბრახუნი, ხმა ჩახლეჩილი შეძახილები. უცნობი ადამიანები ცრემლმორეული ეხვეოდნენ ერთი მეორეს. ქალებს გული უწუხდებოდათ, ეს იყო საყოველთაო აღგზნება, ქაოსი, რომლის წყვდიადიდანაც ახალი ქმნილება ჩნდებოდა". ასეთი ეფექტური წარმატება მართლაც, რომ იშვიათი მოვლენაა. მაყურებელი ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდა კარლ მოორის ტიპის გამოჩენას ასპარეზზე. კარლის სახემ მთელი თაობები ააღელვა. ათეიცად გაუღვიძა მათ ბორკილებისა და ტირანიისადმი ზიზღის გრძნობა. „გერმანელი ახალგაზრდობა — წერდა „სახ. გაზეთი" — ძალიან იყო გატაცებული კარლოსის იდეით და კეთილშობილნი მისნი ზრახვანი აღელვებდნენ, ბრძოლისაკენ და თავისუფლებისაკენ მოუწოდებდნენ მას".

რევოლუციამდელ ქართულ თეატრში ფრანცის როლის პირველხარისხოვან შემსრულებლად ლ. მესხიშვილი გვევლინება. გაზ. „ცნობის ფურცელმა" დადებითად შეაფასა ლ. მესხიშვილის პირველივე გამოსვლა ფრანცის როლში. „სხეულითა და სულით მახინჯი, მაგრამ ძლიერი გრძნობისა და გონების პატრონი ფრანცისკო მოორი, რომელსაც კაცობრიობა სძულს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მახინჯი შეუქმნია ბუნებას და რომელიც ყოველ წამს მზად არის „სამაგიერო" გადაუხადოს ამ კაცობრიობას. საკვლევით დაგვიხატა ბ-ნი მესხიშვილი, ზუსტად ნიჭიერმა თამაშმა". ამასვე წერენ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. ქართულ ისტორიაში საგანგებო ფაქტად დარჩა ლ. მესხიშვილის მიერ ერთსადაიმავე სპექტაკლში ორი როლის (ძმები მოორების!) ერთდროულად შესრულება, ეს მძიმე ტვირთია ყოველ მსახიობისათვის, რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყოს იგი.

უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო მომენტი. ქართულ თეატრში „ყაჩაღები" სულ რაღაც ოთხმოცჯერ დაიდგა. თქმა არ უნდა, რომ ეს რიცხვი დიდი არაა. მიუხედავად ამისა „ყაჩაღებმა" საგრძნობი კვალი დაჩნია ქართულ რეპერტუარს. იგი პოპულარული გახდა, მის ირგვლივ იწერებოდა რეცენზიები, სპეციალური სტატიები. გ. წერეთელმა „ავაზაკების" (ასე უწოდებდნენ ხშირად „ყაჩაღებს" — ვ. კ.) დადგმას ღრმად მოფიქრებული წერილი უძღვნა. იგი შილერის ნაწარმოებებს მიიჩნევს „კაცობრიობის გონების განსავითარებლად და მისი ზნეობის ასამაღლებლად". კრიტიკოსი პიესას უკეთებს რა ანალიზს ფილოსოფიურ-ესთეტიურ თვალსაზრისით, ხაზგასმით მიუთითებს, რომ ასეთი რთული ნაწარმოების სცენიური გახსნა ძლიერ აქტიურულ ანსამბლს საჭიროებს. „მართლაც ბუნებით ნიჭიერებით შემკული გონებაგანვითარებული მსახიობები სჭირდებიან ასეთ თხზულებას, რი.ვ იგი სულ-ხორც შებმული გამოჩენილიყო სცენაზე". ავტორს მიაჩნია, რომ წარმოდგენაში მონაწილე მსახიობებმა დასძლიეს სირთულე და სანაქებოდ გაართვეს თავი მოვალეობას.

„ყაჩაღებმა" შესძლო სულიერი კონტაქტის დამყარება ქართულ აუდიტორიასთან. კარლის სახე მაყურებელში აცოცხლებდა სიმართლისათვის ამხედრებულ ადამიანებს, ეს იქნებოდა არსენა, კაკო ყაჩაღი თუ სხვ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არსენა და კაკო ქართველი ხალხის საყვარელი გმირებია, ადვილი გასაგებია ისიც თუ როგორი პატივისცემა ჰქონია ქართველ ხალხს კარლოსისადმი.

ლ. მესხიშვილის გარდა სხვადასხვა დროს სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, გ. არადელ-იშხნელი, კ. მესხი, კ. შათირიშვილი და სხვ. ყოველ მათგანს თავისებურად ჰქონდა გააზრებული როლი, ადგილი ჰქონდა ლ. მესხიშვილის ტრადიციის გაგრძელებასაც, ზოგჯერ მიმბაძველობასაც. ამაზე მიუთითა კიდეც პრესამ.

ა. იმედაშვილს, ისე როგორც ლ. მესხიშვილს არაერთხელ შეუსრულებია ძმები მოორების როლები ერთდროულად. პრესის აღიარებით „ერთიც და მეორეც ზომიერად იყო შესრულებული ახალგაზრდა მსახიობის მიერ", მაგრამ მისი „საგვირგვინო" როლი მაინც კარლი

იყო. ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყოლია რევოლუციამდელ ქართულ თეატრში, შეიძლება ითქვას, რომ ძმები მოორების სცენიურ სახეთა ეექვნია ისტორია ქართულ სინამდვილეში „ყაჩაღების“ ისტორიაც არის.

კლასიკურ მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების აღიარებული პრინციპი და ობიექტურობა მოითხოვს, რომ მიუხედავად არა ერთი დიდი წარმატებისა, რევოლუციამდელ ქართულ თეატრში „ყაჩაღების“ დადგმას მაინც ჰქონდა სერიოზული ხასიათის ნაკლი. აქ ჩვენ არ ვგულისხმობთ სპექტაკლის, სინტეტიური ხელოვნების საერთო პროფესიულ დონეს. პირველ რიგში ეს ითქმის მასობრივ სცენებზე. სპექტაკლებში ხშირად სტუდენტობა მოცემული იყო, როგორც შეუგნებელი, არა ორგანიზირებული ძალა რომელსაც არ გააჩნდა არც კულტურა და არც მაღალი იდეალები. ცხადია ეკონომიური პირობები სერიოზულად ზღუდავდა თეატრს ფართოდ გაეშალა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა. შეექმნა მონუმენტური მასობრივი სცენები. მაგრამ ეს მაინც არ იყო ამ შემთხვევაში გადამწყვეტი!..

არც ისე იშვიათად ხდებოდა კარლ მოორის ტექსტის დამახინჯება — შემოკლება. ზოგჯერ იგი გამოწვეული იყო საცენზურო პირობებითაც, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ კარლოს სახეს ჩქმალავდა ფრანცი, გარკვეულ ჩრდილს მაინც აყენებდა წარმოდგენის იდეურ მხარეს. ერთხელ „სახალხო გაზეთმა“ აღნიშნა კიდეც „მეტი ყურადღება ბატონებო, თორემ, კვირას „ყაჩაღები“ კი არა ფრანც მოორის ოინები იხილეთო“: ყოველივე ამას თავის ღრმა მიზეზები ჰქონდა. საერთოდ კი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, რევოლუციამდელ ქართულ თეატრში „ყაჩაღების“ დადგმა სერიოზული კულტურული მოვლენა იყო.

შილერის ნაწარმოებთა ყველაზე საუკეთესო დადგმა ქართულ სცენაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა. 1933 წელს რუსთაველის თეატრში „ყაჩაღების“ დადგმას გამორჩეული ადგილი უჭირავს შილერის პიესათა სცენიურ ისტორიაში. ამაზე მეტყველებს სპექტაკლის შესახებ არსებული დიდძალი მასალის საფუძვლიანი შესწავლა და პირველ ყოვლისა თვით წარმოდგენის ანალიზი.

რუსთაველის თეატრმა „ყაჩაღების“ დადგმით დაასრულა თავისი შემოქმედებითი სიჭაბუკის პერიოდი. მან ამ ისტორიულ ეტაპს სწორედ შილერი და სწორედ „ყაჩაღები“ შეეფერება.

ს. ახმეტელმა თქვა: „კლასიკური ნაწარმოების გადაწყვეტისას პირველ სტადიად ავიღეთ შილერი, ვფიქრობდით შილერი უფრო ახალი იყო ჩვენთან და შილერის გადაწყვეტით დამშვიდებული სინდისით შევძლებდით სხვა კლასიკურ ნაწარმოებებზე გადასვლას“. და შემდეგ „შილერის ტრაგედიის გადაწყვეტას საფუძვლად ვუდებთ ნამდვილი, თანამედროვე ეპოქის მსოფლმხედველობას“. ამ პერიოდში რუსთაველის თეატრი ნაციონალური ფორმის ძიებაში იყო. უფრო სწორად გარკვეულ ეტაპს ამთავრებდა. როგორც ყოველ ძიებას, აქაც იყო ჩრდილოვანი მხარეები, მაგრამ თეატრის საერთო შემოქმედებითი გზა სწორი იყო.

როდესაც გაზეთებზე მიდიოდა ახმეტელი თქვა: „მთელი ჩვენი მუშაობა შემცდარი იქნება, ჩვენ დავმარცხდებით თუ ჩვენს ნაციონალურ ფორმაში გაუგებარი დავრჩებით“. დიდი რეჟისორის წინდახედულობამ თავისი შედეგი გამოიღო. მოსკოვისა და საზღვარგარეთის პრესამ ერთხმად აღნიშნა რუსთაველის თეატრის ტრიუმფალური გამარჯვება: „თეატრალური ოქტომბრის დროშა გადავიდა ახმეტელის ხელში“ — წერდნენ კრიტიკოსები და ამით ხაზგასმით მიუთითებდნენ თეატრის სოციალისტურ შინაარსზე. ახმეტელის თეატრი დაუცხრომლად ეძებდა ეროვნულ ფორმებს, მაგრამ მან იცოდა, რომ ამ ფორმებში ზოგადი იდეები უნდა მოქცეულიყო „ჩვენ ვამბობთ, რომ წერდა ახმეტელი — ეროვნული თეატრი უპირველესად და უმთავრესად ეყრდნობა შინაგან წყაროებს და ამ წყაროებს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა კი არ აქვთ, არამედ საერთო საკავშირეოც“. ეს მან პრაქტიკულად განახორციელა. ამის დაუნახავობა არ შეიძლება, ეს სიბეცე იქნება, ანდა საკითხის შეგნებული დამახინჯება. დღეს შესაძლებელი გახდა გამოსწორდეს ის ნაკლოვანებანი, რომელიც წლების მანძილზე დოგმა და უცვლელი იყო. სამწუხაროდ ზოგიერთებს არც ეხლა სურთ სერიოზულად გადახედონ თავიანთ დრომოჭმულ პოზიციებს ს. ახმეტელის შეფასებაში. ახლა მაინც შეხედონ მას ქართული ეროვნული საბჭოთა თეატრის განვითარების ინტერესების პოზიციებიდან. ჟურნალმა „მნათობმა“ ამასწინათ საკადრისი პასუხი გასცა გოიანის გამოხდომას. ამას იმიტომ ვიგონებთ, რომ საქართველოში ახლაც აქვს ადგილი ს. ახმეტელის შემოქმედების შეუფასებლობას. ზოგი ისე აფასებს ამ პერიოდის რუსთაველის თეატრს, როგორც ეს იყო ამ ათი და მეტი წლის წინათ უფრო მეტიც—ნებით თუ უნებლიეთ იმეორებენ ცნობილ საბრალდებო დასკვნას დიდ რეჟისორზე. ჩვენს წინ დევს ნიკო ურუშაძის მიერ თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა „ფრიდრიხ შილერი ქართულ სცენაზე“. სტენოგრამა გამოსცა საქ. სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

ნ. ურუშაძე ლაპარაკობს რა „ყაჩაღების“ დადგმაზე რუსთაველის თეატრში გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ დროს რუსთაველის თეატრი ეძებდა ნაციონალურ ფორმებს და სურდა იგი „მსოფლიო დრამატურგიის ამ ერთ-ერთი

შედეგრის მიმართაც გამოეყენებინა, მაგრამ თეატრის „ამ დროისათვის აღებული არ ჰქონდა სწორი შემოქმედებითი ხაზი: იგი გადაჩეხილი იყო ვიწრო ეთნოგრაფიზმსა და ეგზოტიკაში, რომლის რეციდივები შილერის ამ სპექტაკლშიც გამოვლინდა“. (ხაზი ჩვენია — ვ. კ.) დიახ, ასე მსჯელობდნენ და წერდნენ მაშინ, როდესაც შეგნებულად ცდილობდნენ მისი მოღვაწეობის პერიოდი დაესახათ როგორც მცდარი და „გადაჩეხილი“. მიუხედავად ამისა დღეს თურმე საჯარო ლექციებიც კი იკითხება, სადაც უმჯერთოდ არის თავუკუღმა დაყენებული რუსთაველის თეატრის „შემოქმედებითი ხაზი“. სჩანს, რომ არ სურთ თავი შეიწუხონ, ახლებურად განიხილონ საკითხი. ღრმა ანალიზი გაუკეთონ ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებას მის ევოლუციას. არ სურთ გონივრულად შეისწავლონ „გადაჩეხილთა“ მხატვრული პოზიცია. არ უნდათ დაფიქრდნენ იმაზე, თუ რატომ ხვდა ტრიუმფალური წარმატება ახმეტელს „თეატრალურს მეჭაში“. ცნობილი კრიტიკოსი იუზოვსკი „უაჩაღებზე“ ამბობდა: — „ეს მთელი მოვლენაა შილერის ისტორიაში“.

გამოჩენილმა ამერიკელმა კრიტიკოსმა განაცხადა ახმეტელის სპექტაკლებზე „ამის მსგავსი რამ არსად არ მინახავს“. ნორვეგიელებმა მას შთამაგონებელი სიმფონია უწოდეს. მ. კაშენი განცვიფრდა, ნ. მარი სპექტაკლებზე „დამარცხდა, როგორც მეცნიერი“. ს. მ. კიროვი ადგილზე ვერ ჩერდებოდა, სცენაზე მინდა გადავიდე და შეუერთდე მათ რევოლუციურ აღფრთოვანებასო. XVI პარტყრილობის დელეგატები ზედიზედ წერდნენ აღფრთოვანებულ წერილებს. ხაზს უსვამდნენ თეატრის რევოლუციურ სულისკვეთებას. ა. ლუნაჩარსკიმ ჯამი გაუკეთა და სთქვა — „რუსთაველის თეატრი წინაურდება მსოფლიო თეატრების პირველ რიგში“. ქებათა-ქებას უძღვნიდა გაზეთი „პრავდა“, „იზვესტია“. კრიტიკოსმა ემ. ბესკინმა „უაჩაღებზე“ დაწერა, რომ მოსკოვის ბევრმა თეატრმა მისგან მაგალითი უნდა აიღოსო. ხოლო ნორვეგიის სამხატვრო ჟურნალის „სალტიდის“ რედაქტორმა სკაუნმა განაცხადა: „ჩვენ საბჭოთა ხელოვნების მიზანსწრაფვამ ისევე გაგვაოცა, როგორც მთელმა საბჭოთა მშენებლობამ... ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს საბჭოთა კავშირის მიერ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა, რასაც მოწმობს ქართული. ეროვნული რუსთაველის თეატრის შესანიშნავი მაგალითი“. აღარ ვიტყვით იმაზე, თუ რა დიდის პატივით სთხოვდნენ თეატრს ნიუ-იორკსა და პარიზში, ვარშავასა და ლონდონში, რომში, მადრიდში, პრაღაში, ვენაში და სხვაგან. რუსეთის საზოგადოებამ, ჩვენმა საკავშირო პარტიულმა პრესამ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი ხაზი სწორად მიიჩნია. და ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ალუტად იმეორებენ: თეატრის ხაზი არ ყოფილ სწორეთ, თითქოს თეატრი „გადაჩეხილი იყო“, და ა. შ. ვინ იტყვის, რომ თეატრს შემოქმედებითი ძიების გზაზე არ ჰქონდა ნაკლი. მაგრამ განა შეიძლება ასე უპასუხისმგებლო განცხადება, როგორც ეს გოიანს, როგორც ეს ნ. ურუშაძესა და მათ თანამოაზრეებს ემართებათ!? განა სხვა დიდი რეჟისორები იყვნენ უნაკლონი? რაშია საქმე, რატომ ვართ ასე დაჟინებითი მსურველნი მხოლოდ ახმეტელის ნაკლი დავინახოთ და კარგს ნაცარი წავაყაროთ? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსთაველის თეატრი თუ დღეს პატივისცემითა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საკავშირო სარბიელზე, ამაში ყველაზე დიდი ღვაწლი ს. ახმეტელსა და მის სპექტაკლებს მიუძღვით. ეს მიუდგომელი ფაქტია! ფაქტია ისიც, რომ ამ საპატიო საქმეში დიდი წვლილი შეიტანა შილერმა თავისი „უაჩაღებით“ აქ ერთ მომენტზედაც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ხშირად, როდესაც რუსთაველის თეატრის „უაჩაღებს“ აკრიტიკებენ „დაუძლეველი ფორმალიზმის“ გამო პირველყოვლისა ასახელებენ ლუდხანისა და ბოჰემიის ტყის სცენას. საინტერესოა ნ. ურუშაძის შენიშვნა, რომელიც თითქოს „პერიფერიზირებულია, „მოლოდაია გვარდიას“ ფურცლებიდან. სადაც თურმე აღნიშნულია, რომ „სცენები მოორები სასახლეში, ლუდხანასა და ბოჰემიის ტყეში გაკეთებულია თეატრალური სანახაობის ძიების თვალთახედვით, მაგრამ ამასთანავე წერილში ხაზგასმულია, რომ სპექტაკლში არის ამაღლებული სცენები“. სწორედ რომ უცნაური შენიშვნაა. თუმცა იგი ძალზე ბუნებრივია მედავითნეობისა და სქოლასტიკოსებისათვის. განა ნაკლია, რომ სცენები „გაკეთებულია თეატრალური სანახაობის ძიების თვალთახედვით“? ვისაც ოდნავ მაინც ჩაუხედია შემოქმედების სფეროში, ვფიქრობ მას ასეთი ძიება გულწრფელად გაახარებს!.. მე მგონი როცა მემკვიდრეობის შესწავლაზე ვლაპარაკობთ, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მხატვრული ფაქტის შეფასებისას ვდგავართ თუ არა თანამედროვეობის პოზიციაზე. იქნება ისიც ვიფიქროთ, რომ თუ რამდენიმე წლის წინ „თეატრალური სანახაობის ძიებას“ უმალვე რეალიზმიდან გადახვევად და ფორმალიზმად ნათლავდნენ, დღეს საკითხი სხვაგვარად დგას. ზოგიერთ ჩვენს სპექტაკლს რამდენიმე წლის წინ ალბად „ფორმალიზმში გადაჩეხილის“ იარლიკს მიაკრავდნენ, მაშინ, როდესაც იგი ასეთი არ არის. ამიტომ დღეს მიტი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო, როდესაც რუსთაველის თეატრის ახმეტელისეული პერიოდის გადახრაზე ასე კატე-

გორიული ტონით ლაპარაკობენ! იგივე ითქმის „ყაჩაღების“ მიმართაც.

რუსთაველის თეატრის „ყაჩაღები“ პოლიტიკურად მძაფრი და რევოლუციურად შემართებული სპექტაკლი იყო. ა. ხორავა კარლ მოორში გამოჩნდა როგორც „მხურვალე ტრიბუნი, რომელიც ტირანიის წინააღმდეგ ხალხს იარაღისაკენ მოუწოდებს“ (ლიტ. გაზ. 5. 8. 33 წ.) სხვათა შორის ს. ახმეტელმა პრემიერას „ყაჩაღები“ კი არა in tiranos უწოდა „ტირანიის წინააღმდეგ!“ ასე განსაზღვრა მან სპექტაკლის იდეური მიმართულება. სპექტაკლში კარლოსის როლს ასრულებდა აგრეთვე გ. საღარაძე, ხოლო ფრანც მოორისას ა. ვასაძე, გ. დავითაშვილი და ნ. ჩხეიძე.

ა. ვასაძის ფრანცი უაღრესად ექსპრესიულია და ძლიერი, ნ. ჩხეიძისა კი უფრო სუსტი ხოლო გ. დავითაშვილის მშვიდი და თავის ძალაში დაჯერებული. საინტერესოა სამივე. განსაკუთრებით ფართო რეზონანსისაა ა .ვასაძის ფრანცი. მისი მოორი კარიერისტი ადამიანია. იგი არაფერს ერიდება მიზნის მიღწევისათვის მან არ იცის სამყაროს პასიური ჭვრეტა. იგი უაღრესად შემტევია თვით განყენებული ფილოსოფიური მსჯელობის დროსაც კი. „ვასაძის ფრანცი — წერდა „ლიტ. გაზეთა“ —ეს არის სახე ძალაუფლების ბატონობის, ჩაგვრის, დამონების და ყველაზე განდიდების დაუცხრომელი წყურვილისა“.

ვასაძის მდიდარ შემოქმედებით ბიოგრაფიაში მრავალი უღელტეხილია. არის მწვერვალები, რომელიც ძალიან შორიდან ჩანს. ძნელია კატეგორიული განცხადება, მათ შორის რომელია ყველაზე მაღალი იაგო, ფრანცი, პეპია თუ სხვა, მაგრამ ჩვენის აზრით ფრანცს მაინც გამორჩეული ადგილი უჭირავს. ჩვენი წერილის ხასიათი არ იძლევა საშუალებას კონკრეტული და ამასთანავე დეტალური ანალიზი გაუკეთოთ ვასაძის მიერ შექმნილი ფრანცის სახეს. აქ იმდენი რამ არის საინტერესო და ღრმად ჩასახედი, რომ იგი უთუოდ გაიჩენს თავის სპეციალურ მკვლევარს მომავალში.

ფ. შილერის „ყაჩაღები“ ერთი წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრში 100-ჯერ იქნა წარმოდგენილი. სახელგანთქმულმა თეატრმა შილერის თეატრის ისტორიას „ყაჩაღების“ ბრწყინვალე დადგმა დაუტოვა. თეატრს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე სეზონში კვლავ აღადგინოს თავის სცენაზე „ყაჩაღები“, ისე როგორც ეს ს. ახმეტელს ჰქონდა დადგმული. აღდგენაზე იმუშავებს ა. ხორავა.

„ყაჩაღები“ დაიდგა ქუთაისის, სოხუმის, გორისა და სხვა თეატრების სცენაზეც. ამათგან გამორჩეული ქუთაისის დადგმა (დამდგმელი საქ. სახ. არტისტი დ. ანთაძე) პრესამ კარგი შეფასება მისცა წარმოდგენას.

„ყაჩაღების“ გარდა ქართულ თეატრში დაიდგა „ვერაგობა და სიყვარული“, „მარიამ სტიუარტი“, „დონ-კარლოსი“, „ვილჰელმ ტელი“, „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“, „პრინცესა ტუარნდოტი“.

პირველი გერმანული პოლიტიკურად ტენდენციური დრამა, „ვერაგობა და სიყვარული“. დრამატურგიული თვალსაზრისით მაღლა დგას „ყაჩაღებზე“. აქ ყოველი მოქმედი გმირი ორგანულად არის ჩართული დრამის მექანიზმში. უფრო კონკრეტულია და მოქმედებაში გამოვლენილი ნაწარმოების იდეაც. პიესაში რომანული ეპიზოდები დაწერილია ლირიკული მგზნებარებით, ბელინსკის მითითება, რომ ლირიზმი გაბატონებული ელემენტია გერმანულ ლიტერატურაში, ამ ნაწარმოების მაგალითიდანაც კარგად ჩანს.

საქართველოში „ვერაგობა და სიყვარული“ ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოებია. იგი პირველად 1895 წელს დაიდგა ქუთაისში. პიესის დადგმა გამეორდა 1916 წელსაც მაგრამ „ვერაგობა და სიყვარულის“ დამკვიდრება ქართული თეატრის რეპერტუარში მაინც საბჭოთა ხელისუფლების წლებს ეკუთვნის. იგი დაიდგა ქუთაისის, ბათუმის, გორის, თელავის, ცხაკაიას, ზუგდიდის, სოხუმის, ფოთის, ბორჯომისა და სხვა რაიონების თეატრების სცენაზე. გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ დადგმათა უმრავლესობაზე არ არსებობს რაიმე ხელშესახები მასალა. ეს იმიტომ, რომ რაიონის თეატრების წარმოდგენათა დიდი ნაწილი დღესაც პრესის შეფასების გარეშე რჩება.

ყველაზე საინტერესო დადგმა მარჯანიშვილის სახ. თეატრმა განახორციელა 1934 — 35 წლის სეზონში. ლუიზას შთამაგონებელი, არტისტული კეთილშობილებით სავსე სახე შექმნა ვ. ანჯაფარიძემ, ფერდინანდის როლში გამოვიდნენ პ. კობახიძე და გ. შავგულიძე. შ. ღამბაშიძე ასრულებდა ვალტერს. ამ წარმოდგენას ფართოდ გამოეხმაურა პრესა და თეატრალური საზოგადოება. თეატრმა არ დაზოგა შესაძლებლობის მაქსიმუმი და ნათლად გვიჩვენა შილერის მემკვიდრეობის სწორად ათვისების კიდევ ერთი ფაქტი.

დიდი სამამულო ომის წლებში აქტიური როლი მიენიჭა შილერის შემოქმედებას. კაცთმოძულებისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ მებრძოლის სახეში საბჭოთა მაყურებელი მის ერთეულ მოკავშირეს ხედავდა ფაშიზმთან ბრძოლაში. გერმანელი დიდი კლასიკოსის ეს შესანიშნავი ტრაგედია — წერდა თელავის გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ — მთელი სიცხოველით მოქმედებს სამამულო ომის ინტერესებით განწყობილ ადამიანებზე“. და შემდეგ „ერთ ადგილზე ფერდინანდი ამბობს: „ინახოთ ვინ გაიმარჯვებს ურჩხული, ცრუ რწმენა თუ ადამიანობა?“ ჩვენ მთელი ხმით ვიმეორებთ ახ-

ლაც ჭეშმარიტებისათვის მებრძოლთა სახელით ვუპასუხებთ: ურჩხული განადგურდება, გაიმარჯვებს ადამიანობა. ასე ღრმა იდეურსა და ემოციურ გავლენას ახდენდა შილერის პიესა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კრიტიკულ მომენტში. ასე, რომ ჩვენი დიდი თანამედროვეების სულისკვეთებით აღერდა ქართულ თეატრში ფ. შილერის ეს პიესაც.

1799 წელს, 26 აპრილს ფრიდრიხ შილერმა გოეტეს მისწერა — „ჯერჯერობით მე ვეცნობი დედოფალ ელისაბედის მეფობის ისტორიას და შევუდექი მარიამ სტიუარტის პროცესის შესწავლას. ვფიქრობ, რომ ეს სიუჟეტი განსაკუთრებით გამოსადეგია ევრიპიდესეული მეთოდისათვის, რომელიც სულიერი მდგომარეობის სრულ გამოხატვაში მდგომარეობს, რადგან მე მგონია, შეიძლება მთელ სასამართლო პროცესს და პოლიტიკას გვერდი აუარო და ტრაგედია საბრალდებლო განაჩენით დავიწყო.“ შილერმა განახორციელა ეს უკანასკნელი, მაგრამ პოლიტიკურ ტენდენციას მაინც ვერ აუარა გვერდი. მარიამისა და ელისაბედის შეგრძნებაში სწორად გახსნა მათი დროის იდეოლოგიური ბრძოლის ხასიათი. სხვანაირად შეუძლებელიც იყო შილერის ტიპის მწერლისათვის. „მარიამ სტიუარტი“ საქართველოში მე-19 საუკუნის მიწურულში დაიდგა. როგორც ირკვევა წარმოდგენაში ხაზგასმით ჩანდა თეატრის სიმპატია მარიასადმი. 1909 წელს ქუთაისმა დიდის ზეიმით აღნიშნა შილერის დაბადებიდან 150 წლისთავი. საიუბილეო დღეს ეძღვნა „მარიამ სტიუარტის“ დადგმაც. გაზეთებმა დიდი ადგილი დაუთმეს იუბილარს. დაიბეჭდა სტატიები, ლექსები, ცნობები თუ ვინ როგორ აღნიშნა ეს თარიღი. შილერისადმი მიძღვნილ წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. მარიამ სტიუარტის როლს ნინო ჩხეიძე ასრულებდა. გაზ. „დროებამ“ დაწერა: „პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... უკანასკნელმა სცენამ ხომ ბევრის გული შეაღონა და შიშით წამოაკივლა. როგორი იყო ნინო ჩხეიძე მარიამ სტიუარტის როლში? ჩვენი აზრით თვით რომელიმე საუკეთესო სცენაზე, რომ შეესრულებინა მას ეს როლი, იმ სცენაზე სადაც გამოჩენილი და პირველხარისხოვანი მსახიობები არიან დამსწრენი აღტაცებით მიეგებებოდნენ“. სჩანს ამ დადგმაშიაც მარიამის პიროვნება იდგა ცენტრში.

1955 წელს შილერის გარდაცვალებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით მარჯანიშვილის სახ. თეატრმა ვ. ყუშიტაშვილის რეჟისორობით დადგა „მარიამ სტიუარტი“. სპექტაკლში მარიამისა და ელისაბედის როლებს ვ. ანჯაფარიძე და ს. თაყაიშვილი ასრულებდა. ამ ორი ძლიერი მსახიობის მონაწილეობამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. ს. თაყაიშვილი იშვიათად თუ გამოსულა ამგვარი ტიპის როლებში. იგი სახასიათო როლების ბრწყინვალე ოსტატია და ეს გარემოება დიდად დაეხმარა მას ელისაბედის სახის შექმნაშიც. მან ინგლისის პირქუში დედოფლის — მსხვერპლშიც იპოვა ყოფითი სახასიათო ნიშანი და იგი ნიჭიერად გამოიყენა შინაგანად ძლიერი, მაგრამ ფარისეველი ადამიანის სახის გასახსნელად. ს. თაყაიშვილის ელისაბედი გულხვიადი, თავის ძალაში დაჯერებული ადამიანია.

ვ. ანჯაფარიძე მკაფიოდ გამორჩეული არტისტული ხმის მქონე შემოქმედია. და ეს ბევრს მატებს მის აქტიორულ რეპუტაციას. მარიამი — ანჯაფარიძე სცენიურ ცხოვრებაში ორმაგი ხასიათს ამეღავნებს. ხან საოცრად ნაზია და სევდიანი, ქალურად სუსტი და მსუბუქ ხაზებში წარმოდგენილი, ხან კიდევ მკაცრი მსჯავრდებელი, ძლიერი პროტესტანტი, რომელსაც ძალუძს შეაჩვენოს ელისაბედის კანონმდებლობა. „ვხედავ იმასაც, რომ ეს თქვენი ზედა პალატაც, ქვედას თანაბრად მექრთამეა და უსირცხვილო“ (თარგმანი ვ. ბეწუკელი'ა) ამბობს იგი. დონ-კარლოსს საეტაპო მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობისათვის, შილერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქვეყნის ხანა განათლებულ მონარქში დაინახა. მაგ აზრით „რესპუბლიკურ მოთხოვნილებათა განხორციელებისათვის“ საჭიროა სახელმწიფო „სათავეში იდგეს განათლებული მონარქი“,

შილერს „დონ-კარლოსი“ გერმანული თეატრისათვის არ დაუწერია. მას სათქმელი აწუხებდა ინკვიზიციის წინააღმდეგ და სთქვა კიდეც. ამის შესახებ ერთ თავის მეგობარს წერდა:

„ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ამ პიესაში ინკვიზიციის გამოსახვით შური ვიძიო შეგნებულ კაცობრიობისათვის, სამარცხვინო ბოძზე გავაკრა ინკვიზიციის საზიზღარი საქმიანობა. მე მსურს თუნდაც ამის გამო ჩემმა კარლოსმა სცენა ვერ იხილოს რომ ტრაგედიის მახვილი შიგ გულში ჩაესოს ადამიანთა ამ მოდგმას, რომელსაც იგი აქამდე მხოლოდ ოდნავ კაწრავდა“. და მართლაც შილერმა საოცარი ძალით ახადა ნიღაბი ბნელ სამყაროს, მეფის მოძღვარის დომინიგოსა და ჰერცოგ ალბას სახით ამხილა რეაქცია.

დონ კარლოსს საქართველოში არ აქვს დიდი სცენიური ისტორია. იგი პირველად 1914 წელს დაიდგა. ჯერ 13 თებერვალს თბილისში და შემდეგ 20 სექტემბერს ქუთაისში. მიუხედავად ამისა დადგმა მეტად საყურადღებო იყო. პირველ რიგში ეს ითქმის სპექტაკლის დეკორატიული გადაწყვეტის თვალსაზრისით. დამდგმელ ჯგუფს მთელი წარმოდგენა ერთ დეკორატიაში მოექცია. იგი ტექნიკურად მარტივი, მაგრამ ეფექტური იყო. ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ აღნიშნა: „ერთ დეკორაციაში იყო მთელი წარმოდგენა. მხოლოდ უკანა კედელზე

ფარდის იქით ოდნავ იცვლებოდა დეკორაციები. ჩვენ ძლიერ მოგვეწონა ეს ანტუანისებური შეცვლა დეკორაციებისა, რის მეოხებითაც შესაძლებელი ხდება სამი-ოთხი საათის განმავლობაში მეტად რთული პიესის წარმოდგენა". არაფერია ისე ძნელი წარმოსადგენი, როგორც საგაზეთო წერილით სპექტაკლი, მაგრამ სტრიქონებს შორის მაინც გამოჩნდება ხოლმე წარმოდგენის კონტური, რომელიც გვანიშნებს თუ რა ხასიათისა იყო იგი. ასეა ამ შემთხვევაშიც. „დონ კარლოსის „ანტუანისებურმა" დადგმამ ერთგვარი სიახლე შემოიტანა. ამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შილერის „დონ კარლოსი" მე-20 საუკუნის დასაწყისის ფონზე.

„ვილჰელმ ტელი" შილერის ყველაზე სრულყოფილი დრამაა. როგორც ბელინსკი სამართლიანად შენიშნავს, შილერი აქ „გამოდის ჰეშმარიტ დრამატიკოსად". პიესის დაწერა შილერმა გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაამთავრა. ეს იყო შემოქმედებითად საკ:ებით ჩამოყალიბებული პოეტის უკანასკნელი გაბრძოლება ტირანიის წინააღმდეგ. იგი დარწმუნდა, რომ ძალა ხალხის ერთობაშია, მხოლოდ მას შეუძლია დესპოტიზმის აღგვა და კაცთმოყვარეობის ატმოსფეროს შექმნა.

„მხარი მხარს ძმებო, სამუდამოდ... მტკიცედ
ურყევად...
თავისუფლებას მოვიპოვებთ მხოლოდ
ერთობით...
ველიდან ველზე, მთიდან მთაზე გყავდეთ
მზვერავნი,
ერთმანეთს ხელი გაუწოდეთ, იყავით
ძმურად.
სამარადისოდ განუყრელად, სამარადისოდ..."
(თარგმანი გ. ნადირაძისა)

ამ სტროფში გამოხატულია შილერის იდეური კრედო, მისი პოლიტიკური შეხედულებანი. სამწუხაროდ „ვილჰელმ ტელი" რევოლუციამდელ ქართულ თეატრში არ დადგმულა. მისი დადგმა პირველად დ. ანთაძის მიერ იქნა განხორციელებული 1926—27 წლის სეზონში რუსთაველის თეატრის სცენაზე. სპექტაკლის შესახებ გაზ. „კომუნისტი" წერდა: „რეჟისორსა და მხატვარს დიდი შრომა დაუხარჯავთ დრამის ადგილობრივი და ისტორიული კოლორიტის გადმოსაცემად... სპექტაკლი რეჟისორის სცენიური კულტურის კვალს ატარებს. განსაკუთრებით გამოიყოფა შეთქმულების სცენა." მიუხედავად ამისა წარმოდგენას არ ჰქონია დიდი რეზონანსი. და მაინც ქართულ სცენაზე იგი იყო „ვილჰელმ ტელის" დადგმის პირველი და საჭირო ცდა!

1948—49 წლის სეზონში „ვილჰელმ ტელი" დადგა ქართულმა მოზარდმაყურებელთა თეატრმა. „ფიესკოს შეთქმულება" საქართველოში ორჯერ დაიდგა. პირველად 1900/31 წლის სეზონში სოხუმის თეატრის სცენაზე, ხოლო მეორედ 1931/32 წ. თელავის თეატრში ვ. გარიკის თარგმანით. 1955/56 წლის სეზონში მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა დადგა „პრინცეს ტურანდოტი" (რეჟისორი ს. ჭელიძე)

ასე რომ, თვალის გადავლებაც კი საკმარისია წარმოვიდგინოთ თუ რა გულწრფელად და სიყვარულით ცდილა ქართული თეატრი გამორჩეული ადგილი დაეთმო შილერისათვის. ფ. შილერი უყვარს მოწინავე კაცობრიობას, უყვარს მისი ბრძოლა თავისუფლებისა და ჰუმანიზმისათვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 1955 წელს დიდი ზეიმით აღნიშნა შილერის გარდაცვალებიდან 150 წლისთავი.

დღეს მთელი მსოფლიო კვლავ დიდი სიხარულით აღნიშნავს შილერის საიუბილეო თარიღს დაბადებიდან 200 წლისთავს. ამ საერთო სიხარულს გულწრფელად იზიარებს ქართველი ხალხიც. იგი შილერთან ერთად იმაღლებს ხმას, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის დასაცავად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმე მეზრეველი

★

ალაგირელი ქართველები*

რაზმის უფროსის მოადგილე დავით გავაშელიშვილი ხშირად მოაკითხავდა მას და ირკვევდა წამლისა და ტყვიის მარაგის მდგომარეობას. მეტრეველი კი ყოველთვის იმედს აძლევდა და ეუბნებოდა: მებრძოლებმა სროლა შეძლონ და მე ყოველთვის მზად ვიქნებიო. იჯდა ბუხრის წინ, ადნობდა ტყვიასა და სპეციალურ ხელსაწყოში (ყალიბში) ასხამდა.

ვასილ მეტრეველის ხშირი სტუმარი იყო ალაგირში მცხოვრები 60 წლამდე მიღწეული ძველი მონადირე სისო მოხაშვილი, რომელსაც ერთსროლიანი თოფი ჰქონდა და ამ თოფით ბევრი შავრაზმელი გამოასალმა წუთისოფელს. მას ერთი-ერთი სტრატეგიული ადგილი ჰქონდა გამაგრებული და გასაქანს არ აძლევდა მტერს; ამ ბრძოლაში დიდი სახელი მოიხვეჭა.

მოსახლეობიდან მტერთან ბრძოლებში გმირულად იბრძოდნენ აგრეთვე ლუკა გრიგოლისძე გავაშელიშვილი, გიორგი კონსტანტინეს-ძე გუგეშაშვილი, არტემ ალექსის-ძე ლობჟანიძე, ერასტი მეტრეველი, სერგო კაციას ძე ლობჯანიძე, ვანო ქაიხოსროს ძე არჩუაძე, პავლე ალექსის ძე ლობჯანიძე, ისიდორე მოსეს ძე გუგეშაშვილი და სხვები.

იმდენად დაძაბულ მდგომარეობაში ვიყავით, რომ საჭირო იყო დაკავშირება ვლადიკავკავთან და სერგო ორჯონიკიძესა და საშა გეგეჭკორისათვის შეტყობინება მაშველი ჯარის გამოგზავნის შესახებ, მაგრამ ვლადიკავკავთან რომ კავშირი არ გვქონოდა, ბანდამ ყველა მიმართულებით სატელეფონო ხაზი დააზიანა და ყოველი მხრიდან იზოლირებული აღმოჩნდით. რამდენიმეჯერ გაიგზავნა ცხენოსანი რაზმელები, მაგრამ სოფლის გარეთ ვერ შეძლეს გასვლა და რამდენიმე მებრძოლი დაგვიხოცეს კიდეც ჩასაფრებულმა ბანდიტებმა.

ამ ცხარე ბრძოლებში მოხუცები, ქალები და ბავშვები შეხიზნული იყვნენ სარდაფებში და ისეთ სახლებში, სადაც ნაკლები საშიშროება მოელოდათ. შეხიზნული იყვნენ უბნების მიხედვით.

ამ დაძაბულ ბრძოლებში ერთ-ერთი ქუჩიდან ბანდიტებმა შეძლეს შემოჭრა. ამ უბანში ცხოვრობდნენ სოფელ ხირხონისიდან გადასახლებულები (ეძახდნენ ხირხონლების უბანს). უბნის მოსახლეობა შეხიზნული იყო მალაქია სოლომონის ძე ლობჯანიძის სახლის სარდაფში. ბანდის შეჭრისთანავე სარდაფში მყოფმა ქალებმა და ბავშვებმა ტირილი მორთეს. ატყდა საშინელი ამბავი, შავრაზმელები არ დაერიდნენ არაფერს, ტყვია დაახალეს ერთ-ერთ მოხუცს (გლახუა ლობჟანიძეს) და წუთისოფელს გამოასალმეს, რამდენიმე კი დაჭრეს. სარდაფში უფრო საშინელი ამბავი დატრიალდა, დიდი და პატარა ტირილით ეხეთქებოდნენ კედლებს, გასასვლელი ადგილი კი არსაიდან იყო.

სარდაფში მყოფი ქალებიდან ათანასია ლობჟანიძე არ დაიბნა, გადაიძრო თავსახვევი, გაიწეწა თმა, გაიხსნა გულისპირი და წარუდგა წინ ბანდიტებს. მას მიბაძეს სხვა ქალებმაც და წივილ-კივილით გადაეღობნენ მტერს. ათანასიამ შესძახა ოსურად: თქვე უსინდისო დიაცებო, რას გვიხოცავთ მოხუცებს, ჩვენ გვესროლეთ, თუ ვაჟკაცობა შეგწევთო! ამით ნაწილობრივ შეაჩერეს წინააღმდეგობა (ათანასიამ ოსური ენა კარგად იცოდა).

წივილ-კივილი შემოესმათ ამ სახლიდან უფრო ახლოს ჩასაფრებულ გეგეჭკორის რაზმის მებრძოლებს, ერთმანეთს გადახედეს და თქვეს, აქ რაღაც ცუდი ამბავი არისო, და რამდენიმე მებრძოლმა ფრთხილად, ფეხაკრეფით მიაშურა ამ სახლისაკენ, ამ სახლს ბაღის მხრიდან მიუახლოვდნენ და სროლა აუტეხეს ბანდიტებს. ატყდა სროლა ორივე მხრიდან, ბანდიტებმა რომ შეატყვეს, ცუდად არის ჩვენი საქმეო, მოკურცხლეს. ამ შეტაკების დროს მოკლეს რამდენიმე მოწინააღმდეგე, ხოლო ჩვენი მებრძოლებიდან იმსხვერპლეს საშა გეგეჭკორის რაზმის აქტიური მებრძოლი ალექსი მაისურაძე და ორი სხვა.

ბრძოლა თანდათან დაძაბულ ხასიათს იღებდა. ვლადიკავკავთან კი მაინც ვერ შეეძელით დაკავშირება, რომ მაშველი ჯარი გამოეგზავნათ. ამ მდგომარეობას ხელი შეუშალა იმანაც, რომ ბოლშევიკების ჯარის ნაწილში თავი იჩინა ეპიდემიურმა დაავადებამ („ისპანკამ") გარდა ამისა, ბოლშევიკების ჯარს ტყვია-წამალი და იარაღი შემოაკლდა.

საშა გეგეჭკორის სახელობის რაზმი და, მასთან ერთად, მებრძოლი ქართველები მაინც მტკიცედ იდგნენ თავიანთ სადარაჯოზე, გულს არ იტეხდნენ და მამაცურად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ მამაცურად იბრძოდნენ ჩინელებიც რომლებიც ამ რაზმში ირიცხებოდნენ.

ბანდამ ვერ შესძლო ალაგირში შემოჭრა და ჩვენი დამარცხება, მიტომ სხვა ხრიკებს მიმართა. ბანდა, რომელშიაც არა ნაკლებ 1000

* დასასრული. იხ. „მნათობი" № 11.

ცხენოსანი იქნებოდა, ალაგირში შემოვიდა მოტყუებით და ქართველთა სკოლის წინ შეჩერდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საშა გეგეჭკორის რაზმის შტაბი მოთავსებული იყო ამ სკოლაში, მათ წინაშე სასწრაფოდ წარდგნენ რაზმის უფროსის მოადგილე დავით გავაშელიშვილი და ლუარსაბ ლობჯანიძე. წინა ხაზზე მდგომმა დავით გავაშელიშვილს გადასცა დოკუმენტები, რომლებშიაც ეწერა, რომ ისინი ვითომდა იყვნენ კერმენისტები, მიდიან ვლადიკავკაზში და მოითხოვდნენ ღამის გათევას ყაზარმებში, რომლებიც ქართველების სკოლასთან ახლოს იყო განლაგებული.

გავაშელიშვილი გაეცნო დოკუმენტებს, შემდეგ გადასცა ლუარსაბ ლობჯანიძეს, გაეცნო ისიც და ერთმანეთს გადაულაპარაკეს ქართულად იმის შესახებ, რომ ეს დოკუმენტები ყალბია. დოკუმენტების გასინჯვის დროს მე დავითთან გვერდით ვიდექი. მან ქართულად გადმომილაპარაკა: „მაქსიმ, შედი ახლავე სკოლაში, გააფრთხილე ოცეულის უფროსი არტემ ლობჯანიძე და სხვები, ტყვიამფრქვევები დადგან ფანჯრებში და მზად იყვნენ საომარ მდგომარეობაშიო. მერმე სასწრაფოდ შეატყობინე არტილერიის უფროსს, მზად ჰქონდეს ზარბაზნებიო“. ეს დავალება ჩემ მიერ შესრულებული იქნა დაუყოვნებლივ.

ბანდას მიზნად ჰქონდა რაზმისათვის აეყარა იარაღი, ხელში ჩაეგდო ტყვიამფრქვევები, ზარბაზნები და დაეკავებინა ალაგირი. ამ მდგომარეობას კი მოჰყვებოდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ალაგირის აწიოკება.

დავით გავაშელიშვილი და ლუარსაბ ლობჯანიძე დარწმუნდნენ იმაში, რომ დოკუმენტები ყალბი იყო. ისინი „იყვნენ არა „კერმენისტები“, არამედ კონტრრევოლუციური ბანდა. გასცეს განკარგულება, გაეხსნათ ცეცხლი მათ წინააღმდეგ. ქართველთა სკოლის ფანჯრიდან ივრიალა ტყვიამფრქვევებმა, ყაზარმის შენობიდან კი დაიჭიქა ზარბაზნებმაც. (ყაზარმა, რომელშიაც ზარბაზნები იყო განლაგებული ,მეფის რუსეთის ცხენოსანი ჯარისათვის იყო აშენებული) .ატყდა სროლა ორივე მხრიდან; სროლა მიმდინარეობდა იმ უბანში, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ.

ბანდიტებმა პირი იბრუნეს ,იწყეს უკან დახევა და გაქცევა, ვინ სად გარბოდა, აღარ იცოდა, ასე რომ, შავრაზმელების განზრახვა, რომ მოტყუებით გატეხდნენ ბოლშევიკების რაზმის წინააღმდეგობას ,დაბანაკდებოდნენ ალაგირში და დენიკინის ბანდას „გამარჯვებული შეხვდებოდნენ“, არ გამართლდა. 1000 ცხენოსანი უკუვაქციეთ. ბევრი შავრაზმელი დაეცა განგმირული. გაქცეული ბანდიტები აღარ ინდობდნენ გზაში შემთხვევით შეხვედრილ ოიარაღო ქართველ მოსახლეობასაც და ხოცავდნენ.

ამ ბრძოლაში დაიღუპნენ: დარაფეი სოლომონის ძე მეტრეველი, ილია დავითის ძე ქებაძე, ბასილა სულთანიშვილი, ივანე ნონიას-ძე ლობჯანიძე და სხვები..

ამ დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა სოფლის გარედან შემოტევა, მაგრამ შიგნით შემოსვლა მაინც ვერ შეძლეს, იმასაც კი გრძნობდნენ, რომ ვლადიკავკაზიდან მაშველი ჯარი შემოვიდოდა ჩვენს დასახმარებლად, მაგრამ დახმარება არსაიდან იყო.

რაკი ცხენოსანი მებრძოლების გაგზავნა შეუძლებელი გახდა, რაჭის ხელმძღვანელობამ (აგურცოვმა და გავაშელიშვილმა) გადაწყვიტა კავკავში გაეგზავნათ ჩვენი სოფლის ერთ-ერთი ხეიბარი (ჭკუაზე შეშლილი) სპირიდონ ბუაძე, დაუკავშირდნენ მას, ესაუბრნენ ვლადიკავკავში წასვლისა და პაკეტის წაღების შესახებ. ხეიბარი ბუაძე დათანხმდა ვლადიკავკავში წასვლაზე, მოსახლეობა კი შეჰპირდა, შენს სიცოცხლეში გარჩენთო.

ალაგირში მცხოვრები ოსები და მეზობელი სოფლების ოსებიც კარგად იცნობდნენ სპირიდონს და ეს იყო იმის მიზეზი, რომ გაგზავნილიყო. რაზმის ხელმძღვანელობა სწორედ ამაში იყო დარწმუნებული, რომ მას, როგორც ჭკუაზე შეშლილს, არავინ არაფერს არ ეტყოდა, ვლადიკავკავამდე მშვიდობიანად გაიიღოდა და დანიშნულებისამებრ ჩააბარებდა პაკეტს.

რაზმის უფროსმა აგურცოვმა და მისმა მოადგილემ (გავაშელიშვილმა) გაამზადეს პატაკი, აღწერეს ალაგირში არსებული დაძაბული მდგომარეობა, ჩადეს პაკეტში და სპირიდონს მის ძველ პალტოს შიგნით უბეში გამოუკერეს. პაკეტი უნდა მიეტანა ვლადიკავკავში ს. ორჯონიკიძისათვის. სპირიდონ ბუაძე იმეღიანად გაემგზავრა ვლადიკავკაზისაკენ. გატანებული პაკეტით ალაგირი მაშველ ჯარს მოელოდა, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და ვლადიკავკაზიდან არავითარი ცნობა არ არის .ამბის მოტანას ელოდებიან სპირიდონ ბუაძისაგან, მაგრამ არც ის ჩანს.

საშას რაზმელებსა და მებრძოლ გლეხკაცობას თანდათან აკლდებათ ტყვია-წამალი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა, გარედან გაფფრებულ შემოტევას აწარმოებდა ბანდა. მაგრამ საშას რაზმი და ქართველი მებრძოლები მედგრად იდგნენ თავიანთ სადარაჯოებზე.

მებრძოლები სიმაგრეებსა და შემოსასვლელ სტრატეგიულ - ადგილებს არ შორდებიან .დოროთე ალექსის-ძე ლობჯანიძე (ამჟამად მარნეულის რაიონის ვეტერინალური ექიმია) ამბობს: როდესაც დედაჩემს, ანუსიას, საჭმელი მიჰქონდა მებრძოლებისათვის, მათთან მისვლამდე მიიმედ იქნა დაჭრილი მტრის ტყვიითა და დიდხანს უგრძნობლად ეგდო ქუჩაში, როდესაც გონზე მოსულა, მებრძოლ ბიჭებს ის შეუყვანიათ იმ სარდაფში, სადაც შეხიზნული იყო ჩვენი ქუჩის მოსახლეობა.

ვლადიკავკაზში წასვლა იკისრეს გიორგი

პეტრესძე დოკვაძემ, ერთ-ერთმა ჩინელმა რაზ-მელმა და კატასონოვმა. ამ სამმა ახალგაზრდა მებრძოლმა გადახედ-გადმოხედა ბრძოლის ადგილებს და მიზნად დაისახა ერთ-ერთი ქუჩიდან გაერღვია რკალი. სამმა ცხენოსანმა მიზანს მიაღწია, სროლით რკალი გაარღვია და სოფლის გარეთ გავიდა. გიორგი დოკვაძე გადმოგვცემს, მინდვრებში უგზო-უკვლოდ ვიარეთ, როდესაც ვლადიკავკაზში მივედით, ღამის ორი საათი იყო, დილითვე მივაშურეთ ბოლშევიკების სარდლობას. მოახსენეს ყოველივე ს. ორჯონიკიძეს.

ვლადიკავკაზიდან 1919 წლის 9 იანვარს გაშოგზავნილი რაზმი 10 იანვარს შემოვიდა ალაგირში საღამოს 9-10 საათზე. ალაგირის მისადგომებში წააწყდნენ უმნიშვნელო წინააღმდეგობას, მაგრამ ბანდიტები მალე გაიქცნენ ყველა კუთხიდან, ეს რაზმი ალაგირში შემოვიდა „ურას“ ძახილით. მებრძოლებისა და მოსახლეობის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მაშინვე მოიხსნა საფრკები და მებრძოლები ერთმანეთს ულოცავდნენ გადარჩენას. ეს იყო ალაგირელთა დიდი საზეიმო საღამო.

სწორედ აქედან დაიწყო ალაგირელთა ცხოვრებაში ახალი ეტაპი. ალაგირელმა ქართველებმა რომ გაიგეს, ჯარის ნაწილი მეორე დღესვე უნდა დაბრუნდეს ვლადიკავკაზშიო, საგონებელში ჩავარდნენ. მოსახლეობის ნაწილი იმის შომხრე იყო ,რომ დარჩენილიყვნენ ალაგირში, თუკი ჯარის ნაწილი დარჩებოდა ალაგირში, ან საშას რაზმი, მაგრამ მათ ნაბრძანები ჰქონდათ, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ და თან წაეყვანათ საშას რაზმი, რომელიც ალაგირში მტრის წინააღმდეგ იბრძოდა. დიდი მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ გაჰყოლოდნენ ბოლშევიკების ჯარს. ზოგიერთი მაინც ასე მსჯელობდა: 40 წელიწადი მიცხოვრია ალაგირში, ჩემი ახალგაზრდობა აქ გამიტარებია, დიდი ტანჯვისა და ვაების შემდეგ ძლივს სახლი დამიდგია, რაღაც გამიკეთებია და ამოვინი ნამაგარი როგორ მივატოვო 24 საათშიო, — დაე ისევ აქ მოკვდე, ის მირჩევნია, ვინემ ახლა სადმე ცხოვრებას შევუდგეო, როდის ვეღირსები კიდევ სახლის დადგმასო და სხვ.

1919 წლის 11 იანვარს ქართველებმა დატოვეს ალაგირი, დატოვეს თავიანთი კარმიოამო და გამოეფინენ ქუჩებში ბარგშეკრული. ბოლშევიკების ჯართან ერთად, ზოგი ცხენის ურმებით, ზოგი კი ფეხით მიაბიჯებდა შორეულ მიწა-წყალზე, ხოლო სად გაუღიმებდა მათ ბედი, თვითონაც არ იცოდნენ. ერთში კი იყვნენ დარწმუნებული, რომ მათ პატრონობას გაუწევდნენ მხოლოდ ბოლშევიკები. ისაც გამწევი ძალა ჰყავდა, ძლივს შეძლეს მხოლოდ ლოგინის წამოღება, ვინც ამ საშუალებას მოკლებული იყო, ბევრმა ვერც ლოგინი წამოიღო.

როდესაც ჩვენ ალაგირს ნახევარი კილომეტრით გამოვცდით, ვნახეთ, გზის პირას გაშლართული ეგდო მკვდარი სპირიდონ ბუაძე, რომელიც ამბის გამოსატანად იყო გაგზავნილი. გზაში იგი დიდი წამებით მოეკლათ ბანდიტებს. მას ვაშლი ჰქონდა პირში ჩაჩრილი. [illegible] ძველ პალტოში გამოკერებულ [illegible] (საბუთები) ამოეღოთ და წაეღოთ. ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ, როგორც ხეიბარს ,არაფერს ეტყვიან, ვლადიკავკაზში ამბებს მიიტანს და მაშველ ჯარს სასწრაფო წესით გამოგზავნიან-თქო.

ალაგირში არავინ არ დარჩენილა, გარდა ორი მოხუცისა (ალექსი და ზაქარია ლობჟანიძეები).

ალაგირის დატოვებისთანავე სოფელში შემოიჭრა ბანდა, რომელმაც დაიწყო სახლების დაწვა, დატოვებული ქონების დატაცება და განადგურება. მიადგნენ ალექსი ლობჟანიძის სახლს, წაუკიდეს ცეცხლი, ხოლო მოხუცები ალექსი და ზაქარია ლობჟანიძეები, თოკით ხელ-ფეხშეკრულნი, ცეცხლის ალში გაახვიეს და დაწვეს.

ჯარის ნაწილი და საშას რაზმი ორად გაიყო, ერთი ნაწილი წინ გაუძღვა ლტოლვილ მოსახლეობას და მეორე ნაწილი კი უკან მოექცა, რომ ლტოლვილებს საფრთხე ასცილებოდა. განვაგრძობდით სვლას, როგორც იქნა, ტანჯვა-ვაებით, ამ ცივ ზამთარში, მივაღწიეთ სტანიცა არდონამდე. აქ ჩვენ ღია ცისქვეშ გვიხდება ცხოვრება.

შიმშილმა და ღია ცისქვეშ, ყინვაში ცხოვრებამ გამოიწვია ავადმყოფობა, გავრცელდა „ისპანკა“ და ბევრი იმსხვერპლა.

აი რას წერენ საბლინი და ფაზინი წიგნში «Чрезвычайный Комиссар»: Путь к Ногкау лежал через станицу Ардон. «Тут стоял штаб Комиссара Мартинова. Подъезжая к станице, Серго увидел разбросанные по полю палатки и возы, около которых бродили мужчины, женщины и дети. Они жались кучками у костров. Это были беженцы из Алагира. Серго сжал губы и нахмурился. Машина свернула в переулок и через минуту остановился у штаба» (გვ. 258).

როდესაც სტანიცა არდონში დავბანაკდით, სერგო ორჯონიკიძე მეორე დღესვე გამოვიდა კავკაზიდან ,არდონში, დიდხანს გვესაუბრა (ამ საუბარში მეც ვიღებდი მონაწილეობას).. სერგოზე ძალიან იმოქმედა, რომ ლტოლვილი ქართველები და რუსები ასეთ უმწეო მდგომარეობაში გვნახა, ამ ცივ ზამთარში, ღია ცისქვეშ სტანიცის შუა მოედანსა და ქუჩებში. სოფლის სახელით სერგოს ესაუბრა ივანე საბას-ძე ლობჟანიძე (ამჟამად მუშაობს ექიმად ლაგოდეხში) და ნესტორ ხვდისიას-ძე ლობჟანიძეზოგიერთმა სერგოსთანაც წამოჭრა საკითხი ალაგირელების უკან დაბრუნების შესახებ, თუკი გარნიზონს დააყენებდნენ ალაგირში, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა. სერგოც იმ აზრისა იყო, რომ არ ავბრუნებულიყავით, მან თქვა: „ბანდა, რომელთანაც ჩვენ თქვენთან ერთად გვიხდებოდა ბრძოლა, შეკოწიწებული იყო მეფის რუსეთის ოფიცრებისა და სხვა მოხელეების მიერ

ძირითადად ალაგირის, სალუგარდანის და სხვა სოფლების მოსახლეობიდან. ამიტომ თქვენი უკან დაბრუნება არ შეიძლება, როგორმე გამოაღწიეთ ვლადიკავკავამდე და გიპატრონებთო".

ეს საკითხი ადვილი გადასაწყვეტი იყო 5—10 კომლის მიმართ, მაგრამ 260 კომლზე მეტი ლტოლვილი ქართველებისათვის და 120 კომლი რუსებისათვის არც ისე იოლი საქმე იყო, ისიც იმ აფორიაქებულ დროში.

ვინც ტიფით იყო დაავადებული, სტანიცა არდონში დარჩა ,ასევე დარჩნენ ლტოლვილი რუსები რომლებმაც ქართველებთან ერთად მიატოვეს ალაგირი.

აი რას იწერებოდა ვ. ი. ლენინი ლტოლვილების შესახებ:

Владикавказскому Ревкому
Копия: члену Реввоенсовета
Кавфронта
тов. Орджоникидзе

По полученным в СНК сведениям алагирские беженцы гражданской войны, бежавшие от контрреволюционной банды в 1919 году из сел. Алагир в количестве свыше 300 семей находятся в станице Ардонской и во Владикавказе в чрезвычайно бедственном положении. Несмотря на все свои хлопоты, беженцы до сих пор не могут добиться возвращения в родные места или помощи по переезду и устройству на новых местах.

Срочно удовлетворить законные требования беженцев и окажите им действительную помощь по устройству на постоянное жительство».

предсовнарком (Ленин)»[1]

ლენინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები აშკარად ადასტურებენ, რომ ალაგირელ ქართველებს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით ბოლშევიკების გამარჯვების საქმეში და კონტრრევოლუციური ბანდის წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული.

ლტოლვილებმა მიაშურეს ვლადიკავკავს დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ. როგორც იქნა, გაიარეს 35 კილომეტრი და მიაღწიეს ვლადიკავკავამდე. აქაც ღია ცისქვეშ მოგვიხდა ყოფნა. ვლადიკავკავამდე გაგვაცილა ჯარის ნაწილმა.

ბანდიტები ქურდულ თავდასხმას აწყობდნენ ლტოლვილების მიმართ და რამდენიმე კიდეც გამოასალმეს წუთისოფელს. მიუხედავად ფიზიზლად ყოფნისა, ბანდიტებმა მაინც შეძლეს გაეტაცებინათ ივანე საბას-ძე ლობჟანიძე და ონისიმე მაქსიმეს-ძე ლობჟანიძე. შეიყვანეს ისინი ტყეში, თოკებით მიაკრეს ხეზე და დიდი წამებით დახოცეს: ხანჯალის წვერებით დათხარეს თვალები, სხეულზე და სახეზე ნაწილ-ნაწილ აჭრიდნენ ხორცს, ჩხვლეტდნენ ხანჯლის წვერებით...

ბოლშევიკების ცენტრი ვლადიკავკავში დიდ გაჭირვებას განიცდიდა იმ პერიოდში, არ ჰქონდათ საკმარისი იარაღი, სურსათი. ჯარისკაცები დაავადებული იყვნენ ტიფით. მიუხედავად ამისა, ლტოლვილებს მაინც არ აკლებდნენ მზრუნველობას. საშა გეგეჭკორი ამ დროს მძიმედ იყო დაჭრილი სტანიცა არხონკაში, აქ იგი ჩასული იყო თავისი რაზმით კონტრრევოლუციურ ბანდის ლიკვიდაციის მოსახდენად. დიდი ბრძოლების შემდეგ საშამ შეძლო სტანიცაში მოთავრეშე ბანდის სრული ლიკვიდაცია. საშას მტრის ტყვია მოხვდა ფეხში, ცხენზე მჯდომარეს, სტანიცის მისადგომებთან.

* *
*

დენიკინის ბანდამ, ისარგებლა რა ბოლშევიკების ჯარში გავრცელებული ტიფის ეპიდემიით. იწყო თერგის ოლქში შემოჭრა და თანდათან იწევდა კავკავისაკენ. დენიკინის ბანდის გენერალ შკუროს მაინც დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა ბოლშევიკების რაზმების მხრივ.

ბოლშევიკების ჯარის ნაწილები საბოლოოდ გამაგრდნენ ვლადიკავკავის მისადგომებთან, მაგრამ აქაც ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლეს.

ბოლშევიკების ჯარის ნაწილებს სადმე უნდა შეეფარებინათ თავი. ერთი გამოსავალი იყო საქართველოს ტერიტორიაზე გადასვლა, მაგრამ მენშევიკების მთავრობა წინააღმდეგობას გვიწევდა. ბოლოს მენშევიკები დაყაბულდნენ, ისიც მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა უთხრეს, ჩვენ დიდძალი ქონება და იარაღი გვაქვს და არ გვინდა დენიკინის ბანდას ჩაუვარდეს ხელშიო (გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და მოხსენებები, ტ. I, გვ. 86).

ბოლშევიკების ჯარს მიჰყვნენ ლტოლვილი ქართველებიც. როდესაც დარიალის ხიდამდე მივაღწიეთ, გვარდიელებმა იწყეს ლტოლვილების ჩხრეკა, აწეწ-დაწეწეს ურმებზე დაწყობილი ბარგი, რამაც ჩვენში დიდი უკმაყოფილება და ზიზღი გამოიწვია. ზოგს ჯიბეებიც კი გაუჩხრიკეს, ალბათ ეგონათ ოქრო-ვერცხლით გვექნებოდა ჯიბეები სავსე. როგორც იქნა. გამოვცდით დარიალის ხიდს, განვაგრძეთ სვლა საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ ამ ცივ ზამთარში.

ძნელია იმის აღწერა, რაც ჩვენმა ხალხმა ალაგირის დატოვების შემდეგ განიცადა. საქართველოს სამხედრო გზაზე ხშირი იყო თოვლიანი და წვიმიანი ამინდი, ვცხოვრობდით ღია ცისქვეშ, შარაგზაზე. აუტანელი იყო ბავშვებისათვის და მოხუცებისათვის ასეთ პირობებში ცხოვრება, ყოველთვის გვესმოდა მოხუცებისაგან: „ჩვენ ამ ტანჯვაში გვიხდება ცხოვრება მშიერ-მწყურვალებს, ჩვენს სახლებში კი ჩვენი მტრები ცხოვრობენ, მიტოვებულ სურსათ-სანოვაგეს მიირთმევენო".

გულისმომკვლელი იყო ბავშვების ძახილი — „მშია“ „მცივა“... გავრცელდა ავადმყოფობა, ბევრი დაგვეხოცა გზაში, მიცვალებულებს შარავზის პირებზე ვასაფლავებდით, მრავალი ოჯახი აატირა სიკვდილიანობამ. ეს გარემოება აფერხებდა მგზავრობას და მიცვალებულთა ოჯახებს უხდებოდათ დარჩენა, მიცვალებულები რომ მიწისათვის მიებარებინა.

დიდი ტანჯვისა და წვალების შემდეგ ჩამოვაღწიეთ თბილისამდე. მენშევიკების მთავრობამ დიდი ნაწილი მოათავსა ორთაჭალაში (თითო ოთახში ორ-ორი, სამ-სამი ოჯახი).

იმდენად გავრცელდა ავადმყოფობა, რომ ლტოლვილები იძულებული გახდნენ მიემართათ მთავრობისათვის თხოვნით, გაეხსნათ რამდენიმე საწოლიანი სტაციონარი. ბოლოს ორთაჭალაში გაგვიხსნეს 10-საწოლიანი სტაციონარი, მაგრამ ვაი ამ გახსნას! ამ სტაციონარის ვამგედ დანიშნეს ექიმი, ვინმე დიდი ვაჭრის მანთაშევის შვილი, რომელმაც, ნაცვლად მკურნალობისა, ათეული ავადმყოფი გამოასალმა წუთისოფელს. გარდაცვალებულთა დასაფლავებას ვეღარ ავუდიოდით და ორთაჭალის მაღლა გორაკებზე ვასაფლავებდით. ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამ ამბავმა და ლაპარაკობდნენ განგებ ხომ არ მოგვიწყო მთავრობამ, რომ ექიმად ეს კაცი დაგვინიშნაო.

ამ საავადმყოფოსა და ექიმ მანთაშევის „მოღვაწეობის“ შესახებ გამოვაქვეყნე წერილი გაზეთ „საქართველოში“. ეს იყო 1919 წლის აპრილმაისში. წერილს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამან ძლიერ გაანაწყენა ექიმი მანთაშევი, ეძებდა ავტორს, მაგრამ ამაოდ (ჩემი წერილი ხელმოუწერელი იყო).

ლტოლვილ ქართველებს მოსწყინდათ ასეთი ტანჯვა-ვაებით ცხოვრება, ბევრჯერ მივმართეთ მთავრობას, მოეცათ სადმე დასასახლებელი ადგილები და, ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყდა მოეცათ კახეთში თავად ჯანდიერის მამული მდინარე კაბლის პირას. (ალბათ თავადი ჯანდიერი ცოცხალი არ იყო, თორემ მის საკუთარ ადგილ-მამულს ვინ მოგვცემდა). სოფელმა ითხოვა დასასახლებელი ადგილი მდინარე კაბლის მარცხენა ნაპირზე, სახელწოდებით „ნატესი“, მაგრამ ამაოდ (აქ მეორე წელსვე შეიძლებოდა ხვნა-თესვა და ამიტომ უფრო უნდოდათ ლტოლვილებს). ისევ ჯანდიერის ადგილი მოგვცა. ეს ადგილი იყო უღრანი ტყიანი, ჭაობიანი და ციებ-ცხელებიანი.

რაკი გადაწყდა, რომ აღარ აგვცდებოდა ჯანდიერის მამულში დასახლება, ლტოლვილებმა გადაწყვიტეს დაეტოვებინათ თბილისი და წასულიყვნენ კახეთში. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ლაგოდეხამდე. აქ მოვთავსდით გაუქმებულ ყაზარმებში, სამხედრო ცხენების ნადგომ თავლებში, რომლებსაც არ ჰქონდა არც კარები და არც ფანჯრები. ბევრიც მოსახლეობამ შეიფარა ლაგოდეხში, შრომაში, ბაისუბანში, აფენსა და სხვა სოფლებში.

სამოსახლო და სახნავი მიწების დასაყოფად თბილისიდან გამოგვაყოლეს მიწის მზომელი ალექსანდრე დარიალაშვილი, საჭირო იყო, რაც შეიძლება მალე მოგვარებულიყო ადგილების დანაწილება, რომ შევდგომოდით დასახლებას, ამას კი უნდოდა საქმის ორგანიზაცია, მიწის მზომელმა მოითხოვა, ეოველდღიურად მასთან ყოფილიყო მუშახელი 10 კაცის რაოდენობით. ეს კი მოითხოვდა სათანადო ხელმძღვანელობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა ლტოლვილთა საერთო კრება. მიწის მზომელთან სამუშაოდ და სოფლის საერთო ხელმძღვანელობაში გამომყვეს მე. ამავე კრებაზე გამოყვეს ცალკე უბნების მიხედვით ოცისთავები, მათ ევალებოდათ მუშა-ხელის გამოყვანა მიწის მზომელთან სამუშაოდ; ამ კრების დადგენილების თანახმად, ოცისთავებს უნდა გაეწიათ ჩემთვის დახმარება.

ამ უღრან ტყეში რომ სამოსახლო ადგილები დაყოფილიყო, მუშახელისათვის საჭირო იყო, პირველ რიგში, ცული, ხერხი და სხვა რასაც მოკლებული ვიყავით, მაგრამ ამ საკითხში ადგილობრივმა მოსახლეობამ დიდი დახმარება გაგვიწია. შეიუდექით მუშაობას გაუვალ ტყეში, მუშებს უნდა ემუშაოთ მიწის მზომელთან 3-3 დღე და შემდეგ სხვებით უნდა შეცვლილიყვნენ. ამიტომ მე პირადად ხშირად მიხდებოდა ლაგოდეხში ამოსვლა და ოცისთავებისათვის დავალების მიცემა მუშახელის გამოყვანის თაობაზე. ამ ტყეში ღია ცისქვეშ გვიხდებოდა ცხოვრება, ამიტომ გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება მალე აგვეგო ერთი პატარა ფარდული. ძალიან ფერხდებოდა მუშაობა იმის გამო, რომ ციებ-ცხელებამ დააავადა ხალხი.

შრომისმოყვარე რაჭველი გლეხკაცობა ენერგიულად შეუდგა ახალი სოფლის გაშენებას მდინარე კაბლის მარჯვენა ნაპირზე. სოფელი დაგეგმილი იყო სამ გრძელ ქუჩად.

გამოყოფილი იყო მხერხავები და დურგლები და სასკოლო ადგილისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ორი კვირის განმავლობაში შეეძელით აგვეგო ფარდული, რომელიც დახურული იქნა ლამფით ხის ბოძებზე. იგი ჩვენთვის დროებით თავშესაფარსა და სადგომს წარმოადგენდა. სოფლის გაშენების წინასწარი სამუშაოების ჩატარების საქმეში თავდადებით შრომობდნენ ალექსი მაისურაძე, ლუკა გავაშელიშვილი, სილოვან მეტრეველი, შიო მაისურაძე, სისო მოხაშვილი, სარდიონ მაისურაძე, ნესტორ ლობჟანიძე, ბათლომე და ლუკა ლობჯანიძეები და სხვები.

როგორც იქნა, დიდი გაჭირვების შემდეგ, დამთავრდა სამოსახლო და სახნავი ადგილების დაყოფა და დანაწილება. აი, ასეთი გაუვალი უღრანი და დაბურული ტყე იყო. რაკი ეს ტყე დაჭაობებული იყო, ნატესჯამ გლეხკაცობამ ვერ

აიტანა ჰავა და უმეტესი ნაწილი ციებ-ცხელებით დაავადდა. სამოსახლო ადგილების განაწილება მოხდა უბნების მიხედვით — ვის, ვისთან ახლოს უნდოდა ცხოვრება. მხედველობაში იყო მიღებული ნათესაური დამოკიდებულებაც.

ლტოლვილები შეუდგნენ ქოხმახების გაკეთებას, აპობდნენ შეშას და კედლებად იყენებდნენ, სახურავად კი — ხის ტოტებს; იატაკი — მიწისა იყო. ეს იყო თავდაპირველი ნაგებობანი ალაგირელებისათვის.

1920 წელს, საერთო კრების დადგენილებით, სოფელს დაერქვა „გიორგეთი“, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სოფელი სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს და მდებარეობს ლაგოდეხის რაიონში, კავკასიონის მთის კალთებქვეშ, მდინარე კაბლის მარჯვენა ნაპირზე.

სწორედ ეს სოფელია, რომელიც ჩვენ ალაგირიდან საქართველოში ჩამოღწევის შემდეგ გავაშენეთ, ყოფილ თავად ჯანდიერის მიწაწყალზე.

ხშირად ამოიოხრებდნენ ხოლმე და გულგატეხილი იტყოდნენ გლეხები: როდის იქნება ის დრო, როდესაც ამ ქუჩებში ურმები გაივლისო. ციებ-ცხელებით დაავადებულ ლტოლვილებს მკურნალობა ესაჭიროება, მაგრამ მენშევიკების ბატონობის პერიოდში ლაგოდეხის რაიონში მხოლოდ ერთი აფთიაქი იყო და ქინაქინისათვის 20 კილომეტრის მანძილზე ლაგოდეხში უხდებოდათ წასვლა; ხშირ შემთხვევაში წამლების შოვნა ჭირდა და გულგატეხილი უკან ბრუნდებოდნენ.

მენშევიკების ბატონობის ხანაში ლაგოდეხის რაიონში ერთი ექიმი იყო, გვარად პანკევიჩი, რომელიც სამხედრო უწყებას მოჰყოლია და ლაგოდეხშივე დასახლებულა. ასე რომ, ხალხი მოკლებული იყო სამედიცინო მომსახურებას.

ჩვენ ხალხს დიდი სამსახური გაუწია ჩვენმა თანასოფლელმა ივანე საბას-ძე ლობჟანიძემ. მას პირველი იმპერიალისტური ომის დროს დაუმთავრებია საფერშლო-სანიტარული კურსები; მომსახურებას უწევდა როგორც ჩვენს სოფლელებს, ასევე მეზობელი სოფლების მოსახლეობას აფენ-ლელიანის ზონაში, სადაც ამჟამად ოთხი სასოფლო საბჭოა. იმდენად გულისხმიერი იყო ივანე ლობჟანიძე, რომ, თუ ვინმეს წამლის ფული არ ექნებოდა, თვითონვე ყიდულობდა წამლებს ან ფულს აძლევდა და ისე კურნავდა ავადმყოფებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივანე საბას-ძე ლობჟანიძეს შესაძლებლობა მიეცა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისა კრასნოდარში და ამჟამადაც, იგი როგორც საბჭოთა ექიმი, დაუღალავად ემსახურება მშრომელ მოსახლეობას (ამჟამად 66 წლისაა და, მთავრობის დადგენილებით, დამსახურებული ექიმის სახელს ატარებს). 1913—1916 წლებში ის ამერიკაში მუშაობდა ღიღურ მუშად.

სანამ თავის მოსავალს ეღირსებოდნენ, ალაგირელ ქართველებს ყოველდღიურად სამუშაოზე უხდებოდათ გასვლა მეზობელ სოფლებში, რათა ოჯახი შიმშილისაგან ეხსნათ. მეზობლებს ერთმანეთი იოლად გაჰყავდათ, სესხულობდნენ ერთმანეთისაგან ჯამობით პურისა და სიმინდის ფქვილს, და სხვ. ძირითადი საჭმელი ხომ ჭინჭარი იყო და ამის შოვნაც კი ძნელდებოდა. ახლაც სალაპარაკოდ აქვთ სოფელში ერთ-ერთი ბალახეულის შესახებ, რომლითაც სილოვან მეტრეველმა და ბიჭიკო ბაქრაძემ პირველად გააკეთეს კერძი. ამ ბალახს ეძახიან „სილიას მხალს“. ჭინჭრისაგან გაკეთებულ ფხალთან, შედარებით ამ ბალახისაგან გაკეთებული კერძი ძალზე უგემური იყო, მაგრამ იძულებული იყვნენ გამოეყენებინათ (რაჭველები ჭინჭრისაგან გაკეთებულ შეჭამადს „ფხალს“ ეძახიან).

ღიღურ სამუშაოზე გადიოდნენ აგრეთვე სოფელ ყვარელსა და ახალსოფელში, გურჯაანსა და კარდანახში, ამ სოფლებში რამდენიმე ღღით მიდიოდნენ სამუშაოდ, ღამის გათევა უხდებოდათ სოფლის შუა ადგილზე სადაც სავაჭროები იყო განლაგებული. ღამის გათევა ღია ცისქვეშ უხდებოდათ, თავქვეშ ქვები ედოთ, ბალიშის მაგიერად. ღიღურ სამუშაოზე აღებული სურსათი ზურგზე აკიდებული მოჰქონდათ. ახალ წელსა და სხვა სადღესასწაულო ღღეებზე თუ რომელიმე ოჯახში ლობიოს კერძი გაკეთდებოდა, ეს დიდი ამბავი იყო.

მენშევიკურ მთავრობას არც მატერიალური და არც სხვა რაიმე დახმარება არ გაუწევია ალაგირელი ქართველებისათვის. სკოლის შენობის აგებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სამოქალაქო ომში სწავლას ჩამორჩენილი ბავშვები ისევ მოწყვეტილი იყვნენ სწავლას, არც ერთი საშუალო სკოლადამთავრებული არ გეყოფა, მაშინ როდესაც ალაგირში 40 წელზე მეტხანს ცხოვრობდნენ ქართველები.

თანდათან მოდიოდა ხმები რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შესახებ კონტრრევოლუციურ ბანდებთან ბრძოლებში, რასაც დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით ხვდებოდა საქართველოს მშრომელი მოსახლეობა და, განსაკუთრებით, სამოქალაქო ომში დაზარალებული, ტანჯული და გაღატაკებული ალაგირელი ქართველი გლეხკაცობა.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში ლაგოდეხში მომხდარ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ალაგირელმა ლტოლვილებმაც. სხვებთან ერთად აჯანყებას ხელმძღვანელობდა ალაგირელი ლუარსაბ კაციას-ძე ლობჟანიძე. ბოლშევიკებს რამდენიმე ღღეს ჰქონდათ დაკავებული ლაგოდეხის რაიონი.

ხალხს ნატვრა აუსრულდა და საქართველოს ტერიტორიაზე მეთერთმეტე არმია შემოვიდა. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა მათს შემოსვლას.

როდესაც ლაგოდეხის რაიონში წითელი არმიის ნაწილი შემოვიდა, ბოლშევიკების წინააღმდეგ მტრულად განწყობილმა ელემენტებმა ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონის საზღვარზე ბანდა შეაკოწიწეს. ეს სწრაფად გაიგო ჩვენმა სოფელმა; რამდენიმე კაცი გაგზავნეს ლაგოდეხში, შეატყობინეს ჯარის ნაწილს და იქიდან სწრაფად გამოიგზავნა ასეული, რომელიც, ტყის კალთებზე გამოვლით, მიუახლოვდა ბანდას და სროლა აუტეხა ტყიდან. ჩვენც მეორე მხრიდან ავუტეხეთ ბანდას სროლა და ნახევარი საათის განმავლობაში ბანდა ლიკვიდირებული იქნა; ბანდის შემკოწიწებელი მეთაურები დააპატიმრეს, წაიყვანეს ლაგოდეხში. დანარჩენთაგან — ვინ სად გარბოდა, აღარ იცოდა. გაქცეულები იარაღს გზაში ყრიდნენ და ალაზნისაკენ გარბოდნენ.

ერთ-ერთს ტყვიამფრქვევი მიჰქონდა ჩვენი სოფლის გამოვლით, დაუხვდნენ ჩვენი სოფლელები, ჩამოართვეს ტყვიამფრქვევი და წითელი არმიის ნაწილს ჩააბარეს.

მტრულად განწყობილ ელემენტებს სოფლებში გაგზავნილი ჰყავდათ თავისი „აგიტატორები“, რომლებიც იწვევდნენ კრებებს და ახმარებას თხოულობდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ მათს ანკესზე ხალხი არ წამოეგო და უარით ისტუმრებდნენ. ჩვენს სოფელში ბანდის 3 წარმომადგენელი გამოეგზავნათ, შემოვიდნენ და მოითხოვეს კრების მოწვევა. მართლაც, მოვიდა ჩვენი სოფლის გლეხკაცობა ამ კრებზე და „წარმომადგენლებმა“ თქვეს, „ინგლისის ჯარები შემოვიდნენ, ბოლშევიკებს ცუდ დღეში აყენებდნენ. ვალიკო ჯუღელი თავისი ჯავშნოსანი მატარებლით და ჯარით უკვე მოსულია წნორში და თქვენმა სოფელმა 50 კაცი უნდა მოგვცეს დასახმარებლადო“. „წარმომადგენლებს“ არ გაუვიდათ ეს ტყუილი, ჩვენ მაშინვე გავიგეთ მათი ოინები და პირდაპირ განეუცხადეთ: „ჩვენ არც ერთ მებრძოლს არ მოგცემთ და ტყუილად თავს ნუ იწუხებთ-თქო“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩვენი სოფელიც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

მთავრობის დადგენილებით, ჩვენს სოფელს 1925 წ. ერთდროული ფულადი დახმარება მიეცა 100000 მანეთის ოდენობით, ასეთივე დახმარება მიეცა მათ, ვინც ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩა.

აღნიშნული თანხა ჩვენმა სოფელმა სულთა რაოდენობაზე გაანაწილა, ხოლო ამ თანხიდან 10000 მანეთი სკოლის მშენებლობისათვის გადადო, ბანკიდან მიღებული ფულის საჩეკო წიგნაკი ხელიდან ხელში გადადიოდა; სკოლისათვის გადადებული თანხიდან სოფელმა ააგო ხის შენობა.

როდესაც მოსწავლეთა რაოდენობამ იმატა, დაისვა საკითხი ათწლედისათვის შენობის აგების შესახებ, მთავრობამ საკითხის გადაულებლად მიიღო გადაწყვეტილება სკოლის შენობის ასაგებად, შეტანილ იქნა ბიუჯეტში საკმაო თანხა და მალე დამთავრდა ამ შენობის აგება.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენს სოფელში 120-ზე მეტს უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. საშუალო და სპეციალური სკოლის დამთავრების გარეშე კი არც ერთი ახალგაზრდა არ არის დარჩენილი. ეს მაშინ როდესაც ალაგირში 30—40 წელი ცხოვრობდნენ ქართველები და არც ერთს საშუალო ცოდნა არ ჰქონდა მიღებული.

საკოლმეურნეო მშენებლობამ და წყობამ კიდევ უფრო გააუმჯობესა სოფლის ეკონომიური პირობები. სანამ კოლმეურნეობა ჩამოყალიბდებოდა, ნესტორ ღვთისიას-ძე ლობჟანიძის, გიორგი ქიტესას-ძე მეტრეველის, პორფილე თეოდორეს-ძე ლობჟანიძისა და სხვების ინიციატივით ჩამოყალიბდა მიწის საერთო ძალით დამამუშავებელი ამხანაგობა, რამაც ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო არტელის წყობაზე გადასვლის საქმეს.

თუ 1919 — 1920 წლებში და მანამდეც ლაგოდეხის რაიონში მხოლოდ ერთი ექიმი იყო, ისიც ჯარის ნაწილიდან შემორჩენილი, ამჟამად რაიონშია რაიონული მნიშვნელობის საავადმყოფო, პოლიკლინიკები, სამშობიარო, სამი სასოფლო საავადმყოფო, 14 საექიმო უბანი, ტროპსადგური და სხვა. რაიონში 56-ზე მეტი სხვადასხვა სპეციალობის ექიმი მუშაობს და 95-ზე მეტი საშუალო მედპერსონალი. თუ წინათ რაიონში ერთი აფთიაქი იყო, ახლა 9 აფთიაქია. ამჟამად მიმდინარეობს რაიონული მნიშვნელობის დიდი საავადმყოფოს მშენებლობა.

კოლმეურნეთა ოჯახში ანათებს ილიჩის ნათურები კაბალჰესის სადგურიდან. მთავრობის მზრუნველობისა და დახმარების შედეგად სოფელმა მიიღო არტეზიანული ჭის წყალი, რომელიც შუა სოფელში ამოქუხს და ამშვენებს სოფლის ცენტრს.

ამჟამად სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობისათვის წამყვან კულტურას არ წარმოადგენს მარტო პური და სიმინდი, — წამყვან კულტურად ითვლება თამბაქო; გლეხობა კარგად არის დაუფლებული თამბაქოს მოყვანის საქმეს. ამ სპეციალურმა კულტურამ წელში გამართა კოლმეურნეობის წევრები. ეს კოლმეურნეობა სახელმწიფო გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს და რაიონში მოწინავეთა რიგებში ითვლება.

ასეთია ალაგირელი ქართველების წარსული, ასეთია მათი აწმყო, ბედნიერი და საამური დღევანდელობა.

მოსე გოგიბერიძე

★

ნ. გარათაშვილის „მერანის“ ესთეტიკური ანალიზი*

სულ სხვარიგად დააყენა ეს პრობლემა ბარათაშვილმა. ბარათაშვილიც იწყებს ტიტანური ბრძოლით ადამიანსა და ბედისმდევარს შორის. პოეტს ბედისმდევრის როლში გამოყავს თვალბედითი შავი ყორანი, სიმბოლო სიკვდილისა და სასაფლაოსი, თავისუფლების მაძიებელი ინდივიდუუმი მოცემულია როგორც მხნე მხედარი, მჯდომარე მერანზე, რომლის „ჭენებას არ აქვს სამძღვარი“. გამძაფრებული ბრძოლა წარმოებს შავ ყორანსა და გაბედულ მხედარს შორის. ეს არის ბრძოლა ინდივიდუუმისა თავისუფლებისათვის. რამდენად წინ მიდის მხედარი, იმდენად ამძაფრებს ბრძოლის სტიქიონს ყორანი. გამძაფრებული და გაინტესივებული ბრძოლა აღწევს კრიტიკულ მომენტს: ვითომ პიროვნების განთავისუფლება და გამარჯვება უკვე განწირულია, ვითომ ბედისწერის წინასწარი განაჩენი განხორციელდება, როგორც ანტიკურ დრამაში, ვითომც პიროვნების სრული დამარცხებით დამთავრდება ტიტანური ბრძოლა. მაგრამ ამ კრიტიკულსა და გადამწყვეტ მომენტში მებრძოლი ადამიანი თავის ძალების უკანასკნელ მობილიზაციას მოახდენს და გაასკეცებული ენერგიით გამოაცხადებს თავის უკანასკნელ გადაწყვეტილებას. მხედარი ეუბნება თავის მერანს:

„გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

ამ მომენტში ბრძოლა ახალ აზრს და ახალ შინაარსს იღებს.

ბედისმდევრის გამარჯვება, — აუცილებელი პირობა ანტიკური დრამისა, — საეჭვო ხდება. ეს არის სოციალური პოზიცია. ადამიანის ბრძოლა ბედისმდევართან, როგორც ინდივიდუუმის ბრძოლა, საკუთარი ძალების მეშვეობით დამთავრდა და ახალი ბრძოლა გაიშალა. როგორც სოციალური ბრძოლა, როგორც ბრძოლა სოციალური პოზიციებიდან. ამ პოზიციების მიმართ ბედისმდევარი სუსტი აღმოჩნდა. ახალი პოზიციიდან ადამიანის აწმყოსა და მომავლის პერსპექტივა სულ სხვაგვარი გამოდგა პიროვნება თავისუფლდება შიშისაგან, ბრძოლა იქცევა შეგნებულ თავგანწირვად. ახლა მან იცის, რომ მისი დამარცხება, როგორც ინდივიდუუმისა, არ ნიშნავს ადამიანისათვის ბრძოლის წაგებას, მისი ბრძოლით მოპოვებული პოზიციითა და შედეგით საქმეს მისი მოძმე და მისი შემდგომი თაობა გააგრძელებს და ამ კოლექტიური და სოციალური ღონისძიებით ადამიანი, როგორც ასეთი, გაიმარჯვებს ბედისმდევარზე. ამრიგად, ინდივიდუალური ბრძოლა იქცევა სოციალურ ღირებულებად, ინდივიდუალურის ადგილს დაიჭერს უნივერსალური და პიროვნებისათვის არსებობის ახალი კატეგორია ჩამოყალიბდება: — რწმენა მომავლისა და კმაყოფილება მიღწეულით. ამ გადამწყვეტ მომენტში მებრძოლი პიროვნება სპონტანურად აღმოაჩენს ცხოვრების აზრს და დააფასებს მის მიერ გავლილი ბრძოლების მომენტებს, — ეს აღმოჩენა საბოლოოდ განამტკიცებს მის შინაგან მეობას... უკვე გავლილი ბრძოლის გზა აივსება აზრით, მებრძოლი, საბოლოოდ გამხნევებული, ქვეყანას აუწყებს, რომ მას ბედისმდევრის არ ეშინია და ამიტომ კიდევ ერთხელ ქვეყანას შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებს:

„ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“

ამრიგად, ბედისმდევარმა ვერ შეძლო გამარჯვება მოეპოვებია ადამიანზე. ადამიანი აჯანყდა განგების განაჩენის წინააღმდეგ. მორჩილების მაგივრად, ბრძოლა გაასკეცა. ყოველი ახალი გამარჯვება მებრძოლს მოუწოდებს ახალი პოზიციებისაკენ.

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 11.

მიმზიდველობა ბრძოლისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას ისე არა აქვს დასასრული, როგორც მერანის „ჟენებას არ აქვს სამძღვარი“. ბრძოლით აღებული თითოეული პოზიცია ამაგრებს და ამტკიცებს მებრძოლთა ნებისყოფას და ამართლებს მის ამოსავალ იდეას: რაც არ უნდა მოხდეს, ის უდავოა, რომ გზა, რომელიც ადამიანმა განვლო ბრძოლით და არ დაემორჩილა ბედისწერის განაჩენს, მარად დარჩება, როგორც წარუშლელი დოკუმენტი განვლილი ბრძოლისა და მაგალითი მომავლისათვის. მებრძოლთა შემდგომი თაობა გაიკვლის წინანდელის მიერ გათელილი გზით, ამით კი მის მოძმეს, ე. ი. შემდგომ თაობას, სავლელი გზა გაუადვილდება. რადგან თითოეული ახალი მებრძოლის გამოცხადება ბრძოლის ველზე არის სიმბოლო გამარჯვებისა, ცხადია, მებრძოლ ადამიანს აღარ ეშინია ბრძოლისა, იგი ამაყად აცხადებს, რომ თავს გრძნობს ბედისმდევრის მოციქულის თვალბედითი შავი ყორნის მოსისხლე მტრად.

ამრიგად, ბრძოლის გზა უსასრულო პროცესია. წარსულმა იბრძოლა აწმყოსათვის, ხოლო აწმყო იბრძვის მომავლისათვის, თითოეული ახალი საფეხური მომავალ გარემოებად გულისხმობს გადაზრდას შემდგომ გარემოებაში და, ამრიგად, ბრძოლა იშლება ადამიანის წინ, როგორც მისი არსების გამომხატველი კოლექტიური პროცესი, როგორც მისი არსებობის სოციალური აზრი...

მაშასადამე, ბარათაშვილმა სულ სხვა სინათლეზე გააშუქა ადამიანისა და ბედის განაჩენის პრობლემა, ვიდრე ეს კლასიკურ ბერძნულ ცივილიზაციას ჰქონდა წარმოდგენილი თავის პოეზიაში და ფილოსოფიაში. ბარათაშვილი ადამიანს ათავისუფლებს შიშისაგან ბედის განაჩენის მოულოდნელი მსჯავრის წინაშე. ადამიანი აღარ თრთის „თვალბედითი შავი ყორნის“ ჩხავილის ხმაზე. იგი ყორანს ურჩობას უცხადებს, იგი ბედისმდევრის წინააღმდეგ ჯანყდება და ამ ბრძოლაში, რომელიც არის კოლექტიური და სოციალური ღონისძიება, ადამიანი, როგორც ინდივიდუუმი, ნახულობს სიმშვიდეს და მოიპოვებს ბედნიერებას. ადამიანის აზრი იმარჯვებს განგების განაზრახვაზე, ლოგოსი — „ჰეიმარმენეზე“.

ნ. ბარათაშვილის „მერანი“, მაშასადამე, **მებრძოლი პიროვნების გამარჯვების** და სოციალური ბრძოლის გამართლების **ფილოსოფია** არის **და არა პესიმიზმი**, როგორც ეს ჩვეულებრივ პგონიათ.

IV

ადამიანის ბრძოლა ბედისმდევართან იყო ანტიკური კლასიკის თემა, ხოლო წინააღმდეგობა ოპტიმისტური და პესიმისტური თვალსაზრისისა იყო დასავლეთის ფილოსოფიური რეფლექსია, ესოდენ რელიეფურობით აღბეჭდილი ახალი დროის პოეზიაში. ორივე პრობლემა წყვილს ერთი საერთო საფუძველი ჰქონდა: ადამიანის დამოკიდებულება თავისუფლების პრობლემისადმი. ბარათაშვილის პოეზიის ცენტრალური თემა იყო აგრეთვე თავისუფლების პრობლემა. 1832 წლის საქართველოს ამბებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა გენიალურ ყმაწვილზე და ეროვნული უბედურება ეროვნული თავისუფლების გიგანტურ წყურვილად აქციეს მისთვის. ამ საფუძველიდან ამოსული მივიდა მისი სული პიროვნების თავისუფლების ზოგად პრობლემასთან და ამავე პრობლემის გადაჭრის მოთხოვნილებამ გაარკვია პოეტის პოზიცია, როგორც ბედისმდევრის კლასიკური, ისე ახალ დროში დაბადებული პესიმიზმის პრობლემისადმი. ბარათაშვილს უსათუოდ სტანჯავდა საკითხი: იყო თუ არა საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა ქართველი ხალხის ბედისწერა, სრულდებოდა თუ არა ბედისმდევრის განაჩენი ქართველი ერის მიმართ. ჰოყოფა ამ საკითხისა, რასაკვირველია, ბარათაშვილს პესიმიზმამდე მიიყვანდა, მისი უარყოფა კი ნიშნავდა პესიმიზმის გადალახვას და ბედისმდევრის კლასიკური გაგებისათვის ომის გამოცხადებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბარათაშვილმა თავისი შემოქმედებით და, უპირველეს ყოვლისა, „მერანით“ გადალახა მისი პოეტური ჰანგისათვის დამახასიათებელი პესიმიზმი და ბედისმდევრისადმი პერმანენტული ბრძოლის გამოცხადებით შექმნა საფუძველი ოპტიმისტური თვალსაზრისისათვის, რომელიც მომავლის იმედს და მარადისობის განცდის სურვილს მაღალი პოეტური ოსტატობით აერთებს თავის შემოქმედებაში. „მერანი“ იყო მანიფესტი განახლებისა...

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებულად ითვლება ის აზრი, რომ ბარათაშვილი გამოჩენილ პესიმისტ პოეტთა — შელის, ბაირონის და ლერმონტოვის ოჯახს ეკუთვნის. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგი რამ უსათუოდ ამართლებს ამ თვალსაზრისს, ხოლო გენიალური ქმნილება ბარათაშვილის ლირიკისა „მერანი“, სული მისი პოეზიისა, სულ სხვა რაიმეს გვეუბნება.

ბარათაშვილის მსოფლმხედველობა არ არის პესიმისტური. მართალია, ჰანგი მისი პოეზიისა მინორის ტონზეა შესრულებული, მაგრამ თავის განვითარებაში ბარათაშვილის მსოფლმხედველობა მარადისობის წვდომის ფილოსოფიით მთავრდება, და იგი უფრო სოციალური ბრძოლისკენ მოწოდებაა, ვიდრე ბრძოლაში დამარცხებული ინდივიდუუმის კარჩაკეტილი და მომენტით განსაზღვრული კაეშნისა და ლამაზი დუდუნის ლირიკული სასოწარკვეთილება. არ შეიძლება პესიმიზმად ჩაეთვალოთ ისეთი

მსოფლმხედველობა, რომელსაც ბრძოლა მომავლისათვის თავის რწმენად გაუხდია.

ჰამლეტის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ბრძოლის ნებისყოფას იყო მოკლებული, რის გამო მან არ იცოდა, საით წასულიყო და რა ემოქმედა, ბაირონისა და ლერმონტოვისათვის თვით არსებობას აზრი დაეკარგა, ქვეყნიერება მათთვის იყო არა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო პოეზიის თვალსაზრისით და ამიტომ აზრსა და არსებობის უფლებას მოკლებული.

სულ სხვა პრინციპულ სიმაღლეზე დგას პესიმიზმისა და ოპტიმიზმის საკითხი ბარათაშვილის „მერანში“. სანამ ინდივიდი, მჯდომარე მერანზე, გადაწყვეტდა გადაელახა ბედის საზღვარი და აჯანყებოდა თავის ბედისმდევარს, მანამ კაეშანი და უიმედობა მოიცავდა მის სულს. მაგრამ მან მიიღო რა გადაწყვეტილება, აჯანყებოდა თავის ბედისმდევარს, მასში მებრძოლის სისხლმა იწყო ჩქეფა, მისი ენერგია გაასკეცდა: იგი, მჯდომარე შეუპოვარ მერანზე, ძლევს თვალბედითს შავ ყორანს, ალარ ეშინია მისი, არ ხდება მონა ბედისა.

ბარათაშვილის მხედარმა არ გაამართლა ანტიკურობის ცნობილი სიბრძნე: „ბედს ვერსად დაემალები!“ იგი შეებრძოლა ბედს, ამიტომ მას დამალვაც არ დასჭირდა, მისი იდეალი შეიქმნა არა ბედისაგან დამალვა, არამედ ბედისმდევრის დამარცხება, ბრძოლით გამარჯვება ბედზე. ბრძოლის პროცესში აღმოჩნდა აზრი ბრძოლისა, ნათელი გახდა, რომ ტიტანურ ბრძოლას ინდივიდუუმისა თავისუფლებისათვის აზრი მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ მიეცემოდა სოციალური შინაარსი, ბრძოლას მაშინ ექნებოდა აზრი და გამარჯვების პერსპექტივა, თუ იგი მეორე ინდივიდუუმისათვის, რომელიც თავის ცხოვრების საველელ გზას პირველის შემდეგ დაიწყებდა, საბრძოლველ პოზიციას მოამზადებდა და ამით საველელ გზას გაუადვილებდა.

ამ უკანასკნელის ბრძოლას თავის ბედისმდევართან უნდა გაეადვილებინა გზა შემდგომისათვის და ასე თაობიდან თაობაზე გადასვლით ადამიანისა ბედისმდევართან უნდა გამხდარიყო კოლექტიურ საქმედ კაცობრიობისა უკეთესი მომავლისათვის. წარმოუდგენელია, რომ მოაზროვნემ, რომლისათვის არარაობად იქცა სიცოცხლე, ასეთი სოციალური ღონისძიება გამონახოს ინდივიდის იდეალის განხორციელებისა და თავისუფლების გამარჯვების მიზნით. ასეთი მსოფლმხედველობა საკუთრებაა იმის, ვისაც სიცოცხლე სწყურია და კიდევ სწამს სიცოცხლის უპირატესობა სიკვდილზე, ბედნიერებისა — უბედურებაზე, იმედისა — უიმედობაზე და ასე უსასრულოდ.

ამრიგად, პოეზიის შინაგანმა ჰეშმარიტებამ ბარათაშვილის ინდივიდუალიზმი აქცია უნივერსალიზმად, სუბიექტური პარტიკულარიზმი — სოციალურ კოლექტივიზმად, ნაციონალიზმი — კოსმოპოლიტიზმად. რასაკვირველია, თავისი რეფლექსია და პოეტური შემოქმედება მან ნაციონალური უბედურებიდან გამოსვლისა და თავისუფლებისადმი მისასვლელი გზის ძებნით დაიწყო, მაგრამ შემოქმედების პროცესში მისმა გენიამ ინტუიციით იხილა, რომ ქართველი, როგორც ერი, განთავისუფლდებოდა ადამიანის განთავისუფლებასთან ერთად. პოეტმა იწამა ადამიანის განთავისუფლება და ამიტომ ურჩია ვიზიონერმა თავის მოძმეს ჩაბმულიყო საერთო ადამიანური განთავისუფლების ბრძოლის საქმეში, დაეკავშირებინა თავისი ეროვნული საქმე საკაცობრიო დიდი საქმისათვის.

ასეთი ბრძოლის პროცესში ადამიანი გამოიმუშავებს იმედს მარადისობის ხილვისა და პერსპექტივას უსასრულოდ პროგრესისაკენ სვლისა და, ცხადია, ამ კოლოსალური მიზნის მისაღწევად ადამიანს პესიმიზმი არ გამოადგება. იმისთვის, ვინც მტკიცედ გადაწყვიტა, არ დაემორჩილოს ბედის განაჩენს, აუჯანყდეს ბედისმდევარს, გადალახოს ბედის საზღვარი, მისთვის, ცხადია, პესიმიზმი მსოფლმხედველობა არ არის. ბედის საზღვარს მხოლოდ ის გადალახავს, ვისაც ბრძოლის უსასრულო უნარი აქვს და მარადისობის შემეცნებისაკენ ის შებედავს, ვისაც შეუძლია სრბოლა სივრცისა და დროის უსასრულობაში.

თუ ეს აზროვნება დაიწყო უიმედობით არსებულის მიმართ და კაეშნით გარემოების მიმართ, თავის განვითარებისა და შემოქმედებად გაფორმების პროცესში, ეს აზროვნება თავის საწინააღმდეგოში გადავა და იქნება იმედი მომავლის გამარჯვებისა. უიმედობის ფილოსოფია იქცევა იმედად, პესიმიზმი — ოპტიმიზმად.

ეს მსოფლმხედველობა არსებულის ქაოსიდან წარმოშობს აზრით მოწესრიგებული მომავლის პერსპექტივას. ხოლო როცა ადამიანის გონებასა და ტანჯვას გაუჩნდება იმედი მარადისობის ხილვისა და უსასრულობის აქტუალური შემეცნებისა, მის მთელ არსებას მოიცავს ისეთი უსასრულო ძალა, ისეთი უსაზღვრო ენერგია, რომ მის პატრონს შეუძლია ყოველივე დაბრკოლების გადალახვა, დაუძლევლის დაძლევა, იგი აღივსება არსებობისა და მოქმედების დაუშრეტელი სურვილით, ბრძოლისა და მოქმედების სურვილი აღავსებს არსებობის აუცილებლობის განცდას. პესიმიზმი არის სოციალური ინდიფერენტიზმისა და ინდივიდუუმის უმოქმედობის ფილოსოფია, ბარათაშვილის „მერანის“ მხედარი კი არის მოქმედი პიროვნება, საქმის კაცი. მისთვის, როგორც გოეთეს „ფაუსტისათვის“, უმაღლესი სიბრძნე არის დებულება: „დასაბამი არის საქმე“.

მხედარი ნ. ბარათაშვილის „მერანისა“ არის ფაუსტის ტიპის ტიტანი და არა ჰამლეტის ტიპის ინდივიდუუმი. ფაუსტი დასავლეთის სიმბოლოა. მისმა დაუდგრომელმა სულმა განვლო ბევრი მეტამორფოზა და ბევრი გამოცდა. ტანჯვასა და სიხარულს, დამარცხებასა და გამარჯვებას, სიყვარულსა და სიძულვილს არ ყოფილა მოკლებული მისი ცხოვრების სავლელი გზა. დასასრულს კი ფაუსტის სულის დაუდგრომელი განცდა და მარადიული ძიების წყურვილი მივიდა ცხოვრების უკანასკნელს ნავსადგურთან და ფაუსტმაც იგრძნო კოლოსალური მოთხოვნილება აეშენებინა ახალი ქალაქი, ახალი ქვეყანა. გოეთეს განუმეორებელმა გენიამ ამ იდეით გამოხატა შემოქმედებითი ძალა ახალი დროის ცივილიზაციისა, მოსვლა იმ ურბანისტული ცივილიზაციისა, რომლის შემოქმედი შეიქმნა ის კოლექტიური სულის მქონე ადამიანი, რომლის სოციალური საქმე და სამეურნეო თაოსნობა მარქსმა განსაზღვრა როგორც ისტორიული აუცილებლობა, როგორც შედეგი მეცნიერული რეფლექსიისა...

ფაუსტის უკანასკნელი მეტამორფოზა და მისი ეს უკანასკნელი თაოსნობა უსათუოდ იყო სიმბოლო კოლექტივიზმის შემცველი სულის გამარჯვებისა ინდივიდუალიზმზე, უნივერსალიზმის გამარჯვებისა სუბიექტივიზმზე. ფაუსტი ამ იდეამდე მივიდა მას შემდეგ, რაც მან განვლო გრძელი გზა ინდივიდუალისტისა და ტიტანური მეობის მქონემ, გადაიტანა ათი ათასი ბრძოლა პიროვნების და ინდივიდუუმის უფლებისათვის. ამ ბრძოლების ვერც ერთ საფეხურზე ფაუსტის პიროვნებამ მოსვენება ვერ იპოვა და მისმა სულმა კმაყოფილების ნავსაყუდელს ვერ მიაღწია. ადამიანური მეობის გენია, რომელიც ცხოვრობდა ფაუსტის პიროვნებაში, სულიერ სიმშვიდეს და კმაყოფილებას მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, როცა თავისი სულის სიღრმეში სოციალურ ინსტიქტს აღმოაჩენს და ახალი მსოფლიო ქალაქის აშენებას დაიწყებს. ფაუსტი აშენებს მსოფლიო ქალაქს და ამიტომ თვითონ გრძნობს თავის თავს მსოფლიო მოქალაქედ, ადამიანთა მოდგმისათვის მოჭირნახულეობს, ამაში პოულობს მისი დაუდეგარი სტიქია სიმშვიდესა და ზნეობრივ დაკმაყოფილებას.

დასავლეთის ახალი დროის უდიდეს გენიოსს გოეთეს ასე ესმოდა სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე. ეს იყო იმის სიმბოლო, რომ ევროპელი ადამიანის სულში გაიმარჯვა სოციალურმა მოტივმა და აქედან, ბუნებრივია, კოლექტიური და სოციალური სულისკვეთება ყოფისა და შემოქმედების თვითეულ სფეროს უნდა დაუფლებოდა. მე-17-18 საუკუნეების ევროპული კაცობრიობის ინდივიდუალიზმს და სუბიექტურ თაოსნობაზე აშენებული ძებნა თავისუფლებისა და რევოლუციებისა რომ არ დამარცხებულიყო, ცხადია, მე-19 საუკუნის დასაწყისში მსოფლიო მოქალაქის სოციალურად მსოფლმხედველობა არ იქნებოდა ესოდენ აქტიური. დამარცხდა რა ინდივიდუალურ თაოსნობაზე და სუბიექტურ თავისუფლებაზე დაყრდნობილი რევოლუცია, შექმნილი მდგომარეობიდან ორი გამოსავალი იყო: ნიჰილიზმი და პესიმიზმი ევროპელი კაცისა. ამან თავისი გამოხატულება პოვა ბაირონის ნეოსუბიექტივიზმში, ანდა მსოფლიო ქალაქის შენების წყურვილში სოციალური გრძნობით გატაცებული ევროპელისა, რომლის მესიტყვე შეიქმნა გოეთე და ამან თავისი გაფორმება „ფაუსტის“ მეორე ნაწილში პოვა.

„ფაუსტის“ იდეებისაგან სავსებით დამოუკიდებლად, საქართველოს ისტორიის გმირული ბრძოლის დამარცხებისა და სამშობლოში უბედობის დამკვიდრებით დაკოდილი სული ნიკოლოზ ბარათაშვილისა მიდის ანალოგიურ მსოფლმხედველობამდე და, ხანგრძლივი ქანაობის შემდეგ ბაირონისებურ პესიმიზმსა და გოეთესებურ ოპტიმიზმს შორის, საბოლოოდ ამ უკანასკნელის ანალოგიურ შემოქმედებითს პოზიციებზე დადგება და ავტონომიური ძალებით აღმოაჩენს სიცოცხლისა და არსებობის აზრს.

ეს იყო სოციალური აზრი ადამიანის სიკეთისა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იბრძოლებდა ისე და იმდაგვარად, იმოქმედებდა იმ წესით, რათა მას, შემდეგ მის მოძმეს, სიძნელე გზისა გაადვილებოდა. როცა ბარათაშვილის მხედრის ტიტანურმა და დაუდეგარმა სულმა ეს აღმოჩენა გააკეთა თავის თავში, იგი დამშვიდდა, მის არსებობას აზრი მიეცა, მისმა სულმა კმაყოფილება იგრძნო ისევე, როგორც გოეთეს ფაუსტმა უთვალავი მეტამორფოზის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ახალი მსოფლიო ქალაქის აშენებაში პოვებდა იგი სულიერ სიმშვიდესა და ბედნიერებას.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ბარათაშვილი და გოეთე ოპტიმისტ მოაზროვნეთა ოჯახს ეკუთვნიან და არა პესიმისტთა ოჯახს. ისინი სოციალური აზროვნების ადეპტები არიან და არა სოლიპსიზმის მოციქულები.

სოლიპსისტი ფილოსოფიისა და ლოგიკის გზით საკუთარი თავის უარყოფამდე უნდა მივიდეს, პესიმისტი კი — თვითმკვლელობამდე. როცა ანტიკურ საზოგადოებას სკეპტიციზმი და პესიმიზმი დაეუფლა, საზოგადოებამ არსებობის უფლება, ხოლო მოქალაქემ იმედი დაკარგა და თვითმკვლელობა შეიქმნა ერთადერთი გამოსავალი მოაზროვნე ადამიანისათვის. ათენში, რომსა და ალექსანდრიაში ათასობით აგიტატორი თვითმკვლელობის სიტკბოებას ჩასჩიჩინებდა მსმენელებს. საზოგადოება ისე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მარადი მოს-

ვენება სამარეში თუ ლეგენდარული ძილი სამოთხის ბაღში გაცილებით უფრო ტკბილი იყო, ვიდრე მატანტალა ცხოვრება ანტიკურ მსოფლიო ქალაქში, რომ ერთ მშვენიერ დღეს, — ავტენტური მოწმობის თანახმად, — ერთ-ერთი ასეთი პესიმისტური შინაარსის მქონე ლექციის შემდეგ, ლექციის მსმენელმა ქალაქ ალექსანდრიაში ყელი გამოიჭრა. ეს იყო პესიმიზმის ლოგიკური და, ამავე დროს, ბუნებრივი შედეგი.

ყველა ქვეყნის დონ-ჟუანები რომ შეკრებილიყვნენ და დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ გრძნობა ადამიანისა არასდროს არ გაძღებოდა, უარი ეთქვათ ცხოვრებაზე, ცხადია, მათ არავინ არ გაასამართლებდა ამ აბსოლუტური ნიჰილიზმისათვის. დასაშვებია, რომ ბარათაშვილის „მერანის“ მებრძოლი მხედარი როდესმე მივიდეს ასეთ მსოფლმხედველობამდე? რასაკვირველია, არა, არასდროს. ბედისმდევართან ბრძოლის დროს მან დაკარგა ყველა ამქვეყნიური ბედნიერება და სიამოვნება: მშობელი, სატრფო, სამშობლო, მიწა-წყალი, მამა-პაპათა საფლავი და სხვა, მაგრამ მან შეინარჩუნა მებრძოლის სულისკვეთება და არც ერთი სიტუაციის დროს უარი არ თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. ბედის ყველა ეს მძიმე განაჩენი მან გაბედულად მიიღო, ყოველივე ამას იგი შეურიგდა, მწარე ხვედრს ეზიარა, მაგრამ მებრძოლის ფარხმალი არ დაყარა და **დასასრულ** მისთვის ნათელი გახდა, რომ ცხოვრება და ბრძოლა აზრს მოკლებული არ იყო, რომ მის ტანჯვას უშედეგოდ **არ** ჩაუვლია, მან გზა გაკაფა, რათა მის მოძმესა და მომავალს თაობას საველი გზა გაადვილებოდა.

ამრიგად, ინდივიდუალურად დაწყებული საქმე იქცა სოციალურ ღირებულებად, სუბიექტურად განაზრახი აქტივობა იქცა კოლექტიურ ღონისძიებად. **ეს აღმოჩენა** მებრძოლისათვის იყო უმაღლესი მორალური კმაყოფილებისა და ბედნიერების სათავე, რომელმაც მის აზროვნებას მისცა **უსასრულო პერსპექტივა** და მისი მსოფლმხედველობა აქცია მარადისობის აქტუალურ გააზრებად. მებრძოლმა შეამჩნია, რომ იგი თავისი ბრძოლითა და საქმით თავის ირგვლივ შექმნის ტრადიციას, ე. ი. მისი ინდივიდუალური საქმე იქცევა საზოგადო, საკაცობრიო ისტორიად, მომავალ თაობათა მაგალითად და წაბაძვის ნიმუშად. ამ რწმენით ინტუიტურად აღსავსე მისი სული უსაზღვროებაში განცდათა მოსვენებას მოიპოვებს და ნიავს თან გაატანს ფიქრებს, შავად მღელვარსა და იმედს მოკლებულს. ახლა მებრძოლისათვის ყოველივე ამაობა ამა ქვეყნისა არის წარმავალი, მას დარჩა მხოლოდ ერთი **საზრუნავი** და ერთი აზრი — **ბრძოლა მომძეთა უკეთესი მომავლისათვის.**

V

ამრიგად, ნ. ბარათაშვილის „მერანზე“ ასვლა მსოფლიო მოქალაქე, ახალი დროის ადამიანი, რომელმაც შეძლო ამაღლებულიყო რენესანსის ეპოქის მოქალაქის ტრადიციულ ღირებულებაზე, ინდივიდუალიზმზე და სუბიექტივიზმზე, პარტიკულარულზე და ნაციონალურზე. გოეთეს გენიალურ ზმანებაში პირველადაა წარმოსახული ახალი ქალაქის მშენებელი კაცი, რომლის სულიერი ცხოვრების შინაარსს შეადგენენ ზოგადადამიანური მოტივები და რომლის პოლიტიკური მსოფლმხედველობა მიმართულია მსოფლიო მოქალაქეობისაკენ. ასეთი ალტრუისტულად განწყობილი მოქალაქის სულისკვეთებამ წარმოშვა ევროპული ინტერნაციონალიზმი, როგორც მიზნობრივი პოლიტიკური და რაციონალური მოგვარება ეროვნული საკითხისა, განსხვავებით ანტიკურობის კოსმოპოლიტიზმისაგან, რომელიც იყო ბუნდოვანი და, ამავე დროს, ნაციათა ინდივიდუალური მეობის უსაფუძვლოდ უარისმყოფელი მსოფლმხედველობა.

ბედისმდევართან ბრძოლა რომ დაიწყო ბარათაშვილის მერანზე მჯდომარე მხედარმა, იგი ინდივიდუალიზმისა და ნაციონალიზმის ტრადიციების გუშაგი იყო. სამშობლო ქვეყნის ცა იყო ყველაზე ულამაზესი ცა ქვეშეთში, ღვინო საკუთარი მამულისა, იყო ყველაზე უძვირფასესი ქვეყანაზე, სატრფო — ყველაზე უმშვენიერესი და მამა-პაპათა საფლავი — ერთადერთი წმიდათა წმიდა მთელ სამყაროში. ლამაზი, პატიოსანი და მოკრძალებითი იყო მისი ოცნება, მაგრამ, პერსპექტივას და მომავალს მოკლებული, შეენარჩუნებინა შეუპოვარ მხედარს ეს მსოფლმხედველობა, ცხადია, იგი ბედისმდევართან ბრძოლაში დამარცხდებოდა. თვალბედითი შავი ყორნის ჩხავილმა მას ხელი ააღებინა ყოველივე ინდივიდუალურსა და კერძო ადამიანურ სათნოებაზე, მაგრამ იმით, რომ მან ყორანთან ბრძოლაში არასგზით არ დათმო **ზოგადადამიანური** ღირებულება, **არ** დათმო სოციალური მრწამსი ადამიანისა, ბრძოლა ადამიანის გამარჯვებით დამთავრდა. **ეს იყო გამარჯვება ზოგადადამიანური,** სოციალური, საზოგადო ადამიანურისა კერძოსა და ინდივიდუალურ ღირებულებაზე. ადამიანის სულში ამ ზოგადადამიანური მოტივის გამარჯვებით მან **გაიმარჯვა ბედისმდევარზე** და ამ ფაქტით **დაამკვიდრა მორალური** და პოლიტიკური მსოფლმხედველობა **ახალი დროის მოქალაქისა,** ახალი დროის პროგრესის იდეისა.

ახლა მომავლისათვის მებრძოლის სული ახალი ღირებულებითა და ახალი მშვენიერებით, ახალი მორალით და ახალი იდეებით აივსო, მისი აზროვნების პერსპექტივა გაფართოვდა და გაღრმავდა, სამშობლოს სიყვარული გაუ-

ნივერსალდა და იქცა ჩაგრულ ერთა და ხალხთა თავდადებისათვის მზად ყოფნად, **სიყვარული სატრფოსა და მშობლის მიმართ განზოგადდა და იქცა კაცთმოყვარეობად.** ქრისტიანი მოყვასის სიყვარული გაფართოვდა და იქცა შორეულის სიყვარულად.

მოყვასისა და ახლობლის სიყვარული ბუნებრივი და მართალი გრძნობაა, მაგრამ იგი დიდ პიროვნებას, დიდ საქმეს და დიდ ნდობას არ გულისხმობს. ეს არის პატარა კაცუნას მადლობა, აშენებული მცირე ანგარიშზე. სულ სხვაა შორეულის სიყვარული, იგი შეუძლია დიდ ბუნებას, დიდ გრძნობას, ღრმა ეთიკას და ძლიერ ნებისყოფას... მთელი მისი ზნეობრივი არეული და მეცნიერული მსოფლმხედველობა მჭიდროდ მივიდა უნივერსალობამდე და მისი კვლევის უნარი, უნივერსუმის ძალების მორევში მოქცეული, ცოდნის ტრადიციულ საზღვრებს განშორდა და ადამიანის ბუნებაზე გაბატონება ყველასათვის ხელმისაწვდომ ფაქტად აქცია. იგი ამ მომენტში არის უარისმყოფელი სუბიექტის ტრადიციული ქედმაღლობისა, არის ბრძენი, რომლისთვის, რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, სულ ერთია „უბედობა თუნდა ბედი“, იგი პირისპირ უყურებს სამყაროს და ამიტომ ამაყად აცხადებს:

„მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა,
ვამცნო გულისა მე საიდუმლო“,

ეს არის მსოფლიო მოქალაქის უნივერსალიზმის თვალსაზრისი, შინაარსით ინტერნაციონალური და ფორმით ნაციონალური, რომელიც განირჩევა ანტიკური კოსმოპოლიტიზმისაგან იმით, რომ არის მოქმედებისა და ბრძოლის ფილოსოფია, სიცოცხლის მაძიებელი, ქალაქის მშენებელი, ცხოვრების ორგანიზატორი და რეორგანიზატორი, აქტივისტური და არა საფლავის მეტაფიზიკა, როგორიც იყო კოსმოპოლიტიზმი ადრინდელი ქრისტიანობისა, არც პესიმისტური ჰუმანურობიდან გამომდინარე კოსმოპოლიტიზმი ელინისტური ეპოქის ალექსანდრიელი მოქალაქისა.

ამრიგად, ნ. ბარათაშვილის „მერანში“ თავისი **გამოხატულება პოვეს ახალი დროის აზროვნებისა და შემოქმედების პრობლემებმა.** ასეთებია კარდინალური საკითხები ახალი ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, როგორიცაა საკითხი პიროვნების თავისუფლებისა და ავტორიტეტის, ინდივიდუალურისა და ზოგადადამიანურის, სუბიექტივიზმისა და უნივერსალიზმის, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის და სხვა. ავიდა რა პოეტის რეფლექსია ზოგადისა და უნივერსალურის მწვერვალზე, ეზიარა რა მისი პერსპექტივა უსასრულობის ასპექტს, აოხანყდა რა თავისუფლების მაძიებელი პიროვნება ტრადიციას და რეაქციას, იგი გახდა მესიტყვე განახლების, რევოლუციის. **ყოველივე მოცემული წარსულ საუკუნეთა** მიერ და გამომუშავებული წინაგენერაციის ადამიანებისაგან — ადათი, ზნე-ჩვეულება, მორალი, ოჯახი და სიყვარული ინვოლირებული იქნა ზოგადსა და უნივერსალურში, მემკვიდრეობით ათვისებული იქნა თავისუფლებისა და რევოლუციის მაძიებელი სულისაგან...

პოეტმა და მოაზროვნემ აღმოაჩინა, რომ ადამიანური და სუბიექტური, ინდივიდუალური და ეგოცენტრული რეალურად განხორციელდება უნივერსალურისა და ობიექტურის საშოში, ასე თავსდება და ხორციელდება ნაციონალური ინტერნაციონალურში, კერძო — ზოგადში, ქვეყნიური — კოსმიურში, წარმავალი — მარადიულში, განზღვრული — განუზღვრელის უსასრულობაში. ამიტომ ბარათაშვილის პოეზიის ასპექტისთვის სინამდვილე და სიცოცხლე იშლება, როგორც მარადი პროგრესი, როგორც გზა მარადისობისაკენ, როგორც უსასრულო პერსპექტივა აქტივობისა. მდიდარი და უსასრულო, საყოველთაო და უნივერსალურია აზრი პოეტი-ფილოსოფოსის, იგი მომენტის ასპექტიდან ხედავს უსასრულობას, აწმყოდან ჰვრეტს მომავლის მსვლელობას. ამიტომ არის იგი ოპტიმიზმი და მოქმედების ფილოსოფია.

ბარათაშვილის მერანზე ზის აზრი მსოფლიო მოქალაქის, მსოფლიო ქალაქის მშენებლის, რომლის კედლებშიაც ერთნაირად უნდა დაისვენოს ყველა ადამიანმა — ნაზარეველმა თუ რომაელმა. ბარათაშვილის „მერანში“ პოეტური გამოხატულება პოვა ახალი დროის ფილოსოფიურმა სულისკვეთებამ და მეცნიერული აზროვნების თავისებურებამ, რომელთა ძიება ჰეშმარიტებისა და კვლევა ბუნებისა რენესანსის ეპოქაში დაიწყო იმით, რომ ღმერთის ცნებას ადამიანის აზრმა წაართვა პერსონალიზმი და აქცია იგი ინფინიტივიზმად, ე. ი. უსასრულობად.

მომდევნო ეპოქის ადამიანმა — ფილოსოფიამ და მეცნიერებამ — ადრინდელი რენესანსის ეს ბუმბერაზული აზრი უნივერსალობას აზიარა, გადაიტანა რა იგი მათემატიკისა და ფილოსოფიის საშუალებით ბუნების პრობლემებისა და ადამიანის სულიერი ცხოვრების შესწავლის საკითხებზე. ამ რევოლუციურ საქმეს ახალი დროის მეცნიერებასთან და ფილოსოფიასთან ერთად აკეთებდა და ასრულებდა ახალი დროის პოეზია: — დანტე, შექსპირი და გოეთე, დეკარტე, ნიუტონი და ლაიბნიცი. ასე დაიბადა ე. წ. ახალ დროში მე-15-18 საუკუნეების ფილოსოფიური მსოფლმხედველობა...

იდეები, რომლებითაც ფიზმძიმედ იყო მე-19 საუკუნის შუა წლები, გააზრება უსასრულობისა და ბოლომდე შემეცნება ბუნების საი-

დუმლოებისა, რეორგანიზაცია სოციალური ყოფისა და მსოფლიო რევოლუციის იდეა, იდეა ადამიანის და ერის თავისუფლებისა, იდეა ჰუმანიზმისა და შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლისა და სავა, — ეპოქალურ გამოხატულებას პოულობენ „მერანის“ მხატვრულ კომპოზიციაში, მის ცენტრალურ იდეაში, ე. ი. იდეაში ადამიანის აჯანყებისა ბედისმდევრის წინააღმდეგ და შეუპოვარ ბრძოლაში კაცობრიობის მომავლისათვის.

ბარათაშვილის მერანზე ზის მსოფლიო მოქალაქე, რომელსაც აწუხებს ბედი და მომავალი ადამიანის, როგორც ასეთის, როგორც ზოგადისა და არა კერძოს, უნივერსალურისა და არა ინდივიდუალურის. მან იცის, რომ თუ საზოგადო საქმე გაკეთდება, მაშინ კერძო, ინდივიდუუმის საქმეც გაკეთებული იქნება. ამიტომ მსოფლიო მოქალაქე თავის თავში გრძნობს ძალას მებრძოლისა ადამიანობის ზოგადი პრინციპებისათვის, ადამიანის კიდევ უფრო სრულყოფისათვის, იგი შეგნებულად იბრძვის იმისათვის, რათა მის შემდგომს ადამიანს და კაცობრიობას წინ სავლელი გზა გაუადვილდეს და თავისი გრძელი ძიებისა და გარდაქმნების შედეგად აშენებს მსოფლიო ქალაქს, სადაც ადამიანი იქნება თავისუფალი, სადაც შრომაც განთავისუფლდება, სადაც აუცილებლობა მოძმის ინტერესებისათვის ბრძოლისა არის შედეგი ინდივიდუალური თავისუფლებისა. მოკლედ, **ნ. ბარათაშვილის მერანზე მჯდომარე მხედარი ქართული ორეულია გოეთეს ფაუსტისა.**

VI

იდეა უნივერსალიზმისა და ზოგადადამიანური სულისკვეთება, თუ მსოფლიო მოქალაქეობა ბარათაშვილის მხედრისა, იყო, რასაკვირველია, არა ამოსავალი პრინციპი ბარათაშვილის პოეზიისა, არამედ მისი, ასე ვთქვათ, უკანასკნელი ნავსაყუდელი, გადარჩენისა და დამკვიდრების ერთადერთი შანსი და უკანასკნელი იმედი.–

ეს იდეები იყო იმ ეპოქის მიერ მონაბერი აზრები, რომელთა სანდო ნაპირებთან შეჩერდა ბედისწერასთან ნაბრძოლი გემი თავისუფლების მაძიებელი პიროვნებისა და, მასთან ერთად, საბედისწერო კომპანია ისტორიული უბედობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი ერისა. ბარათაშვილის გენიამ იგრძნო, რომ გადარჩენა და მეობის შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლების მაძიებელი მისი სამშობლო თავის ბედსა და აზრს საზოგადო თავისუფლების მაძიებელ ზოგადადამიანურ სტიქიონს შეუერთდება. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, და ეს ცნობილიცაა, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიის ამოსავალი წერტილი და დასაბამი იყო მძიმე „ბედი ქართლისა“.

უკეთესი ბედის ძებნისას ქართველი ხალხი მისმა უკანასკნელმა მეფემ და, გმირმა ერეკლე II დიდ რუსეთს შეუერთა. მეორე გზა ბარათაშვილის პოეზიისა, გამპირობებელი აგრეთვე მისი შემოქმედების პეიზაჟისტური ჰანგითა და უნივერსალური იდეებით, სუბიექტური ხასიათისა იყო და გამომდინარეობდა ტიტანური ბუნების მქონე პოეტის ადამიანური ტრაგედიიდან, პირადი ბრძოლიდან, ცხოვრების სიდუხჭირისა და მისი ოჯახური ხასიათის უბერხულობისა თუ უბედობიდან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დიდ პოეტს არწივის პერსპექტივა აღმოაჩნდა და, სასოწარკვეთილებისა და წუწუნისაგან შორს მდგომმა, გაბედულად უარი თქვა სუბიექტური ბედნიერების ძებნაზე და თავისი ადამიანური სამშვიდე და კეთილდღეობა მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ერისა და ეპოქის ბედის პრობლემას. ნ. ბარათაშვილმა თავისი ადამიანური ტემპერამენტიც კი მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ერისა და ეპოქის საერთო სულისკვეთებას, რის გამო იგი არის მარად მხიარული და კოსმიურად კაეშნით დაბურული პიროვნება ერთსა და იმავე დროს. ამიტომ ბარათაშვილი ცხოვრობდა და აზროვნებდა ღრმა რწმენით, რომ ქართველი ხალხისათვის ადრე თუ გვიან ბედნიერების ჟამი მოვიდოდა და დამარცხებული ძველი საქართველო გამარჯვებას მოიპოვებდა, როგორც ახალი საქართველო, საქართველო ცივილიზაციისა და განათლებისა. წინასწარხედვის უნარი ამ ვიზიონერისა პირდაპირ კოლოსალური იყო.

ისტორიის ენით თუ ვიტყვით, ბარათაშვილის გენია დაიბადა იმ დღეს, რა დღესაც მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ იგრძნო მთელი სიმძაფრე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისა... 1832 წლამდე ქართველობას იმედი ჰქონდა, რომ რუსთა მეფე სიტყვას არ გატეხდა და, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, საქართველოს სახელმწიფო ტახტზე ბაგრატიონთა გვირგვინოსანს დასვამდა. 1832 წლის ამბებმა კი რეალური მდგომარეობა, ნათელი გახადა. გენია ნიკოლოზ ბარათაშვილის გაფორმდა და გაღრმავდა ამ ეროვნული ტანჯვისა და გონების ცეცხლში. ბრძენად დაბადებულმა ყმაწვილმა ეს ისტორიული ტრაგედია მთელი თავისი სიმძიმით თავის სულის სიღრმეში გადაიტანა და მისი სიმწვავე განიცადა იმ ინტენსივობით, რომლითაც არც ერთ მის თანამედროვესა და თანამემამულეს მომხდარი ამბავი არ განუცდია.

სამშობლოსათვის ბარათაშვილის ტრირის ჰანგი იყო, ამავე დროს, ზოგადადამიანური ხმა გოდებისა და მინორისა, წარმოშობილი სწორედ

იმ დროს, როცა შოპენის გენია პოლონეთის ხალხის ბედსა და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას ტიროდა, **შოპენის მუსიკა და ბარათაშვილის პოეზია ანალოგიური წყაროდან იღებდნენ შემოქმედების ნექტარს** და ამიტომ ანალოგიური ხასიათის მოვლენანია ადამიანური ინტუიციის გზით მარადისობის შთაგონებისათვის...

ნ. ბარათაშვილისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, რომ პირადი ტრაგედია არ იყო, ეს ნათლად ჩანს ერთი მოგონებიდან, რომელიც ეკუთვნის ბარათაშვილის სიყრმის მეგობარს მამაცაშვილს.

კ. მამაცაშვილი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ნ. ბარათაშვილთან საუბრის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა ერეკლე მეფის უკანასკნელ დღეებზე, 1795 წ. 14 სექტემბრის მარცხზე, და ყოველივე იმაზე, რაც ამას მოჰყვაო. ლაპარაკის დროს ნიკოლოზის სახე მყისვე შეიცვალა, მისთვის ჩვეული მბიარული ტონი გაქრა, იგი ცრემლს იწმენდდა ხელსახოცით და აღელვებულმა მითხრა: „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა“, და ოხვრით დაუმატა — „ვაი ჩვენი ქართლის ბედი“.

აი, სად უნდა ვეძიოთ პესიმისტური ტონი ბარათაშვილის პოეზიისა და არა უიმედო რომანში ეკატერინე ჭავჭავაძესთან, მშვენიერების ნამდვილ ქანდაკებასთან, პოეტის სიყრმის სატრფოსთან და შემდგომ — სამეგრელოს მთავრის მეუღლესთან. მისი პოეზია, საერთოდ, ინსპირირებულია საქართველოს ეროვნული ტრაგედიით მე-18 საუკუნის დასასრულს და ამის გამო ძირითადად სოციალური ხასიათისაა და არა რომანულისა. მუსიკა „მერანისა“, მინორული აკორდები მისი დასაწყისისა, პესიმისტური ჰანგი ლექსისა თავის ამოსავალს ამავე სოციალური მოტივიდან ღებულობს და ეროვნული თავისუფლება ბარათაშვილის შემოქმედებისა და აზროვნებისათვის არის ის ერთადერთი და უმაღლესი იდეალი, რომელიც მას, როგორც პოეტს, ხელოვნების საერთაშორისო ფართო შარაგზაზე გამოჰყვა.

ბარათაშვილი იდეოლოგი და მესიტყვეა იმ დიდებულ ქართველთა, რომელთა სახელმწიფოს და ისტორიის დაკარგვასთან ერთად პატივი ქართველი ხალხისა პირად ნეტარებაზე, რუსის მეფის მიერ ნაბოძებ ორდენებზე არ გადაუცვლიათ. ამ შემთხვევაში მან თავისი პოზიცია და პოლიტიკური სახე ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა უკვდავი ლექსით:

„რა ჭილ-ყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჭირსაც ვით ლხინსა, ერთგულ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?“ (გვ. 57).

მაღალი აზრი, დიდი აღგზნება და მოვლენათა უღრმესი გაგება ჰქონდათ უსათუოდ ამ ქართველებს, რომლებმაც 1893 წელს ბარათაშვილის ცხედარი თბილისში გადმოასვენეს და იგი დიდუბის პანთეონში დაასვენეს, საფლავის ქვაზე კი ეს ლექსი წააწერეს. დიახ, თავისუფლებისათვის ოცნება და ბრძოლა იყო ქვაკუთხედი ნ. ბარათაშვილის პოეზიისა. მხედარი მისი შედევრისა იყო, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებისათვის მებრძოლი.

ძნელი იყო იმ დროს გზა საქართველოს თავისუფლებისათვის მეოცნებისა და მებრძოლი **პოეტისათვის**, — სინათლე არსად ჩანდა, იმედი უკეთესი მომავლისა მცირე იყო. ამიტომ ბარათაშვილის გენიალური ლექსები და, უპირველეს ყოვლისა, „მერანი“ იწყება მინორული ჰანგითა და პესიმისტური სულიერი განწყობით, მაგრამ შემოქმედების მაღალ მწვერვალზე რომ ადის გენიალური პოეტი, მაშინ მის პოეზიაში, როგორც შოპენის მუსიკაში, ხდება კოლოსალური გარდატეხა, ოხვრა და ტირილი საიდუმლო შინაგანი ხმებით სიამოვნების წყაროდ იქცევა, შებრუნდება სამყაროს განცდა, უიმედობიდან დაიბადება იმედი, უარსაყოფი მომენტიდან — მარადისობა დროისა, შემოქმედება მას შინაგანი ინტუიტური, სპონტანური ძალებით ადამიანის სულის ემოციონალური კონსტიტუციის საპირისპირო პოზიციებზე გადაიყვანს, დაბადებული იმედი გააქარწყლებს უიმედობის კაეშანსა და სიკვდილის აჩრდილს. აქ ბარათაშვილის ლექსის მიერ ტენდირებული შინაგანი აზრი შეიჭრება ადამიანის სულის **უღრმეს** რეგიონებში და შთაგონებს მას, რომ სიცოცხლეა აზრი აქვს, რომ გამარჯვება ეკუთვნის მებრძოლს უკეთესი მომავლისათვის, რომ მთავარია, ფარ-ხმალი არ დავყაროთ და განაჩენს ბედისწერისა უპასუხონ ჯანყით, ე. ი. შემოქმედებითი ინტუიცია ადამიანს შთაუნერგავს მოვალეობის გრძნობის განცდას და ეს შინაგანი განცდა მოვალეობის გრძნობისა იქცევა ადამიანური ყოფის უმაღლეს ღირებულებად.

ამ მოვლენას ვუწოდებთ ჩვენ **სოციალური აზრის დაბადებას პოეტურ აქტში** და, ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ნ. ბარათაშვილის **„მერანი“ უნიკალური მოვლენაა პოეზიის ისტორიაში. მუსიკის ისტორიაში მისი ორეული შოპენის მარშია**, რომლის მინორისა და გოდების შესრულების დროს მწუხარების ჰანგი იძლევა იმოდენ კეთილხმოვან ჰარმონიას, რომ მის შემსრულებელსა და მომსმენ ადამიანს სურვილი ებადება ამ მდგომარეობის მარად გაგრძელებისა, ე. ი. სიკვდილის განცდიდან გენიალური მუსიკა **ბადებს უკვდავების რწმენას**. სწორედ ასე, ბარათაშვილის „მერანით“ შთაგონებული მოვალეობის განცდა იქცევა

მარად შინაგან მოთხოვნილებად ადამიანის მორალური, ე. ი. სოციალური არსებისა, იგი იქცევა უტკბეს ბედნიერებად ყოფისა და ადამიანის დანიშნულების ამაყი შეგნებისა. ამიტომ, როგორც შოპენთან, ისე ბარათაშვილთანაც შემოქმედების ტონირების მიმდინარეობისას **ოპტიმიზმი იპერს პესიმიზმის ადგილს,** სიცოცხლის მშვენიერების გამარადისების სურვილი კი სცილდება სასაფლაოს აჩრდილს და სიკვდილის მოახლოების შიშს.

ამოსავალი პრინციპი ორივე გენიალური შემოქმედებისათვის იყო ანალოგიური: სახელმწიფობრივი დამოუკიდებლობის გემის დაღუპვა. ორივე გენიოსი სტიროდა თავისი ქვეყნისა და ხალხის მწარე ისტორიულს წვლილს, სტიროდა ისეთი გენიალური ხმითა და ტონით, რომ ქართველ და პოლონელ აზნაურთან ერთად სტიროდა ადამიანის სული საერთოდ. მაგრამ ამ გენიალურ ტირილში, ამავე დროს, ნათლად ისახება რწმენა იმისა, რომ ხალხი, რომლის შვილს ასეთი შთაგონებით შეუძლია ატიროს ადამიანის სული დაკარგული ბედნიერების გამო, არასდროს არ მოკვდება, არ მოკვდება ისე, როგორც არ მოკვდება მუსიკა და პოეზია, შექმნილი ამ ხალხების გენიალური შვილების მიერ. აი შემოქმედებითი შინაგანი რწმენისა და ინტუიციის ამ მაღალ მოტივს **ვუწოდებთ ჩვენ უიმედობიდან დაბადებულ იმედს მარადისობის აქტიური ხილვისა.**

VII

ნიკ. ბარათაშვილმა აღადგინა რუსთაველის სული საქართველოში. მან, პირველმა, ახალი დროის ქართველ პოეტთა და მოაზროვნეთა შორის ეროვნული უბედობა საკუთარი ქვეყნისა დაუკავშირა ადამიანის ბედისა და უბედობის ზოგად საკითხებს, მიმართა რა ამით პოეზიის ინტერესი ზოგადადამიანური პრობლემების კვლევისაკენ, შემოქმედებას მაღალი აზრი და იდეურობა შთაუნერგა. თავისი შემოქმედებით მან ერთხელ კიდევ ნათელყო ის ჭეშმარიტება, რომ მაღალი მხატვრული შემოქმედება, პოეზია იქნება ეს თუ ხელოვნების სხვა რომელიმე დარგი, წარმოუდგენელია დიდი იდეისა და ღრმა შინაარსის გარეშე.

იდეურობა მხატვრული შემოქმედების ისეთი უცილობელი საფუძველია, როგორიც არის სტილი. „მერანი" ბარათაშვილისა იმით არის ალალი ნიმუში ხელოვნებისა, რომ ლექსის მომხიბლავ ფორმას ორგანულად შეერთებული აქვს ეპოქის უზოგადესი და უღრმესი იდეები. ანტიკური კლასიკიდან ნასესხები იდეა თავისუფლებისა და პიროვნების ავტონომიის მაძიებელი ინდივიდუუმის ტიტანური ბრძოლისა ბედისმდევრის ანუ ეტლის განაჩენთან, ნ. ბარათაშვილთან, „მერანში" **განსახიერდა, როგორც სოციალური იდეა მსოფლიო მოქალაქისა,** როგორც თავისი ეპოქისა და მომავლისათვის ქალაქის მშენებელის ზრუნვა მომავლისა კეთილდღეობისათვის. ამით ბარათაშვილი პირველად ახალი დროის საქართველოში გამოვიდა დიდი პოეზიის შარაგზაზე და თავისი შემოქმედების იდეურობით გვერდით ამოუდგა ისეთ მსოფლიო ბუმბერაზს, როგორიც იყო გოეთე. ნ. ბარათაშვილის გენიამ ტრადიციული ქართული ლიტერატურა ერთი დაკვრით გაათავისუფლა აზიურ-აღმოსავლური დაჩაჩანაკებისა და მსუბუქი ღიღინის ტოხისაგან. „მერანის" ავტორს უდავოდ უფლება აქვს თავისი დროის დასავლური ლიტერატურისა და პოეზიის გენიოსთა რიგებში მოიპოვოს ადგილი.

პუშკინი და ლერმონტოვი, რომლებსაც, რასაკვირველია, ბარათაშვილზე გავლენა ქონდათ ამ მიმართულებით, ცხადია, დასავლეთის პოეზიის ოჯახს ეკუთვნიან და მათ არაფერი აქვთ საერთო აღმოსავლეთთან, თუმცა მათი ქვეყანაც, როგორც ბარათაშვილის სამშობლო, ზღვასთან იყო მოთავსებული დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

ნ. ბარათაშვილი პირდაპირ მეტაფიზიკური ძალებით იყო დაკავშირებული საქართველოს წარსულთან. ამავე დროს, მოციქული ახალი დროის დემოკრატიისა და რევოლუციის იდეებისა, იგი მტკიცე მესიტყვე და აღფრთოვანებული მიმდევარი იყო საქართველოში საყოველთაო ტრადიციად ქცეული მეფისა და ხალხის **ერთობლიობის** იდეისა. მიუხედავად ამ ტრადიციული რწმენისა, ბარათაშვილის გენიამ შემოქმედების მდინარეში შეცურების პირველსავე დღიდან ინტუიტურად აღიქვა მაღალი იდეა იმის შესახებ, რომ ხანა ქართველი ხალხისა არის საქმე არა ქართველი მეფისა, არამედ თვით ქართველობის საკაცობრიო პრობლემების დიდ შარაგზაზე გამოსვლისა.

პოემა „ბედი ქართლისა" შეიცავს დიალოგს ერეკლესა და ს. ლიონიძეს შორის.

ბარათაშვილმა გაიაზრა ის ჭეშმარიტება, რომ თავისუფლებას სამშობლო ქვეყანას ახალი ადამიანი, ახალი იდეა და ეპოქა დაუბრუნებდა, რომ ეს ახალი ადამიანი იქნებოდა ის მებრძოლი, რომელიც დაძლევდა ტრადიციას, აუჯანყდებოდა ბედისმდევრის განაჩენს და ბრძოლით მოიპოვებდა ახალ ქვეყანას. ბარათაშვილი პირველად დაინახავს საქართველოში, რომ დასახული იდეალის განხორციელება მჭიდროდ დაკავშირებულია საკაცობრიო ზოგადი იდეების განხორციელებასთან. პოეტური ზმანებით, ჯერ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გარკვეულად, იგი პირველად მიხვდა, რომ მალე **ქართველი ხალხი** საერთაშორისო ბრძოლის, თავისუფლებისა და თანასწორობის რიგში ჩადგებოდა.

ამ მაღალი იდეურობით ხასიათდება არა მარტო ბარათაშვილის „მერანი“, არამედ თვითეული მისი კლასიკური ლექსი. ასეთია, მ.გალითად, „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „ფიქრი მტკვრის პირას“. ეს ორი მარგალიტი ქართული პოეზიისა წარმოადგენს იმ მსოფლმხედველობის პირველ ვარიანტს, რომელიც შემდეგ სრულქმნილი სახით განხორციელდა „მერანში“. ორივე ლექსი დაწერილია პესიმისტური ჰანგით, მაგრამ შინაარსისა და იდეის განვითარებისას ავტორი აღმოაჩენს ადამიანის სოციალური ყოფის ღირებულებას და ამის ზეგავლენით შეიცვლება ლექსის დასკვნითი აზრი და სასოწარკვეთილებისა და უარყოფის ადგილს დაიპყრს სიცოცხლის გაგრძელების სურვილი.

თუ დასაწყისში პოეტს მოსვენებას არ აძლევდა შავი ფიქრები და უაზრობა ყოფისა, თუ სევდა კავკასიონის სიმძიმით თავს აწვა მის სულსა და პიროვნებას თავისუფლებას უბოჭავდა, ლექსის დასასრულს კაეშანთან ტკბილმოუბარი პოეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აზრი არსებობისა და სიცოცხლის „ყოფისა სოფელში“, ე. ი. სოციალური ყოფისა, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა „იზრუნოს სოფლისათვის“.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;
იყოს სოფელში და სოფლისთვს არა იზრუნვოს!“ (გვ. 10).

აქ დასმული სოციალური პრობლემა თავის საბოლოო გადაწყვეტილებას პოვებს „მერანში“, სადაც მებრძოლი პიროვნება თავისი არსებობის გამართლებას დაინახავს იმაში, რომ ჭედს მომავალს თავისი მოძმისათვის, რათა მოამზადოს პირობა, რომ „შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“.

თუ მხედველობაში მივიღებთ ცნობას, რომ „მერანის“ პირველი ვარიანტი ბარათაშვილმა ჯერ კიდევ მოწაფეობისას დაწერა, მაშინ ნათელი იქნება, რომ იდეა ბედისმდევრის დაძლევისა და მებრძოლ ინდივიდის მიერ ბრძოლის სოციალური აზრის აღმოჩენისა მისი პოეზიის ლაიტმოტივი იყო შემოქმედების პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე.

ამ მაღალ იდეურობას ნ. ბარათაშვილი უმაღლესი ოსტატობით უერთებს ლექსის სრულყოფილ ფორმას და ადგენს კლასიკურობის ნორმას ქართულ პოეზიაში, რომელიც ერთხელ კიდევ ასაბუთებს იმ დებულებას, რომ მაღალი იდეა და ეპოქალური შინაარსი თავისთავიდან სპონტანურად წარმოშობს ლექსის სრულქმნილ ფორმასა და წარმტაც მუსიკას.

ბარათაშვილის ლექსი ამტკიცებს, რომ ლირიკის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო იდეალითა და რომანით მონაბერი მყუდროება სულისა და სინაზე ხმისა, არამედ დიდი იდეები და მოტივებიც, ზოგადადამიანური იდეებიც, ადამიანთა სოციალური ყოფის უნაპირო ოკეანეს რომ აღვიებენ. ეს ვითომ განყენებული, ზოგადი იდეები თურმე შესაძლებელია პოეზიის ისეთსავე წარმტაც ფორმაში და ითქვას ისეთი მომხიბლავი სიტყვით და იმღერონ მინორით, როგორც რომანით წარმოშობილი ტანჯვა თუ ბედნიერება ადამიანის სულისა.

ამ მაღალი იდეურობით ბარათაშვილი უერთდება მსოფლიო გენიოსებს, როგორიც იყვნენ: დანტე, გოეთე, შექსპირი, ბაირონი, პუშკინი, რუსთაველი და სხვა. როგორც ლირიკოსს, ბარათაშვილს, თუ გნებავთ, ერთგვარი უპირატესობაც აქვს ყველა ამათზე. თითოეული ამათგანი დიდი იდეის სათქმელად გადის რომანის ხიდზე, როგორც, მაგალითად, დანტე, რუსთაველი. ბარათაშვილი კი რომანის გარეშე, უშუალო და შინაგანი შთაგონებით მიგვიყვანს იდეასთან და, ამავე დროს, რჩება **უებრო ლირიკოსი** პოეზიისა და ჰარმონიის მფლობელი და მესაიდუმლე, და არსად მისი ლექსი არ იფლობა ტენდენციურობასა და რეზონომენტში.

ნ. ბარათაშვილის მაღალი პოეზიის დასაბამი იყო **პატრიოტიკა**, ქართველური განცდა სამშობლოს სიყვარულისა. სიყვარულის გარეშე არც ერთი დიდი საქმე არ მოვლენილა ამ ქვეყნად. სამშობლოს სიყვარული იმთავითვე არის სოციალური, თუ გნებავთ, კოლექტიური ბუნებისა. ამიტომ ნაციონალური საბოლოო ანგარიშში არის სოციალური და საკაცობრიო, ზოგადი ადამიანური აზრი, გამოთქმული პოეზიის საშუალებით, გაფორმებული ქართული ლექსით და შთაგონებული ქართული ისტორიული სინამდვილით.

ამიტომ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ფუძემდებელი დიდი სტილის ქართული პოეზიისა ახალ დროში, აღმდგენი რუსთველის შემოქმედებითი სულისა, მოჭირნახულე ქართული სიტყვისა და აზრის, პირველი რევოლუციონერი ტრადიციული ქართული კარჩაკეტილობის წინააღმდეგ. ბარათაშვილმა ერთი დაკვრით, შემოქმედების ერთი მადლიანი აქტით ქართული ეროვნული სული გამოიყვანა საკაცობრიო იდეებისა და შემოქმედებითი მოტივების ფართო შარაგზაზე. ამით მან ქართველური შემოქმედებითი გენია ორგანულად დაუკავშირა დიდ ეპოქას ევროპული ნეოკლასიციზმის ხელოვნებაში.

როცა საქართველოს სახელმწიფომ დაკარგა დამოუკიდებლობა ,მაშინ მოვიდა ბარათაშვილის გენია, მწარე ცრემლით იტირა წარსული, იტირა გენიალურად, განუმეორებელი მინორით, მაგრამ, ამავე დროს, მან დაქუცმაცებული, დაჩაჩანაკებული ქართული სული იდეურად შეკრიბა, საქართველო პოეზიის ამოცანების ირგვლივ გააერთიანა და ქართველ ახალგაზრდობას მომავლის იმედი აგრძნობინა. ნათელი გახდა ინტუიტურად, რომ ერი, რომლის შვილსაც შეუძლია დაწეროს „მერანი“, არ უნდა წახდეს, არ უნდა დაიღუპოს.

სანამ საქართველო XIX საუკუნის დამლევს ნაციის სახით გაერთიანდებოდა და წარმოშობდა ერს თანამედროვე გაგებით, ბარათაშვილის პოეზიამ იგი სულიერად გააერთიანა. „ბედი ქართლისას“ ავტორმა მას მისცა ამომავალი სახელმწიფოებრივი აღორძინების პროგრამა. ამით კი ქართველ კაცს მამულისა და აღორძინების იმედი შთაუნერგა ბარათაშვილის მ-ერ დაფუძნებულმა და მას შემდეგ სწორფინანსურ-ჯით განვითარებულმა ქართულმა ლიტერატურამ. მალე ორგანიზებული ქართული მწერლობა შეიქნა ერის სულიერი ხელმძღვანელობის ცენტრი. ამ ეპოქიდან დაწყებული ქართველ კაცს მარად თან ახლდა იმედი მომაკლიცა და რწმენა თავისუფლებისა. ამის გამო იგი მუდმივ იმეორებდა ნ. ბარათაშვილის პროფეტულ სიტყვებს, თქმულს პოეტის მიერ მთაწმინდისადმი:

„მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს
ბინდსა
ის განანათლებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ მახათაძე

★

შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი დაზიანებული და დამახინჯებული ადგილის შესახებ*

ამრიგად, დავას არ იწვევს ის აზრი, რომ 655 სტრ. „ვეფხისტყაოსნისა“ ჩანართია. მაგრამ ამის მიხედვით გამოდის, რომ პოემაში ლ ა ხ ტ ი მხოლოდ ერთხელ გვხვდება. 1109 სტროფში.

უკვე ეს გარემოება აყენებს მას ეჭვქვეშ. მაგრამ განვიხილოთ თვით სტროფიც. იგი ასეთ კონტექსტში გვხვდება.

ჩაჩხაგირისაგან შეშინებული ფატმანი მიმართავს ავთანდილს: მოჰკალი ის კაცი, და ამით მე და ჩემი ოჯახი გვიხსენ დახოცვისაგან. შემდეგ მე გიამბობ ჩემი ცრემლთა დენის მიზეზს (1107),

თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა,
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე, მი, რითა.
ეჭვ, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჭირითა,
თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაჭმევს კბილითა. (1108).

რუსთაველი თითქოს განაგრძობს:

რა ესმა ესე ავთანდილს ლაღსა, ბუნება — ზიარსა,
ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა!
«ამა საქმისა ვერ-ცნობა, — თქვა, — ჩემი სიძუნწე არსა».
ნუ ეჭვ სულ-დგმულსა ქვეყანად, თუ ვითმე ძისებრი არსა! (1109)
ფატმანს უთხრა: «კაცი მომეც მასწავლელად, წინანმძღვარად» (1110),

და წავალო.

1109 სტროფის ავთენტურობას აკად. აკ. შანიძე[1] სრულიად მართებულად ეჭვის ქვეშ აყენებს. მაგრამ თუ სტროფის მიმართ ასეთი რადიკალიზმიდან თავს შევიკავებდით, ლ ა ხ ტ ი ს უფლებამოსილება მაინც საეჭვო და საძიებელია.

მართლაც და საიდან გაუჩნდა იგი ავთანდილს? ის ხომ «ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიცვამს არას მისსა» (1080), და გულმოდგინედ მალავს თავის «ჭაბუკობას». ამის გამო და ასეთ პირობებში მას არ შეუძლია ესოდენ მყვირალა საბრძოლო იარაღი ატაროს, როგორიც არის ლ ა ხ ტ ი. ვთქვათ, იგი მას ფატმანმა უშოვა. ავთანდილი მას ვერ დაიჭერს ხელში იმავე მიზეზით: იგი მეტად დემონსტრაციული იარაღია. ავთანდილი კი ჩაჩნაგირის მოკვლას აპირებს ჩუმად, საიდუმლო პირობებში: მისი წინამძღოლი მას «ხმა — მდაბლად ჰკადრებს: ისია სრა მისიო» (1113); ჩაჩნაგირის კარის მცველ მონებსაც ავთანდილი «გაეპარა» (1114). კაცი, რომელიც მკვლელობის ჩადენას აპირებს საიდუმლო პირობებში, შეიარაღებული ასე აშკარად, თუ არ ავანტურისტი, ქალაქის ქუჩებს ვერ გადაჭრის და მსხვერპლს თავს ვერ დაესხმის. ავთანდილი კი, ვიცით, რარიგ ფრთხილია.

დავუშვათ, რომ ესეც მოხერხდა. მკვლელობა მაინც უნდა ლ ა ხ ტ ი თ შესრულდეს.

მაგრამ პოემით, როცა ავთანდილი დანიშნულ ადგილს მივიდა,
კარსა წინა დარაჯანი ორნი უწევს მას, გლახ, ყმასა
ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ვირე ხმასა,
თვითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ხდასა,
თავი თავსა შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა (1114).

ლ ა ხ ტ ი, როგორც ვხედავთ, აქ არაფერ შუაშია. მოსალოდნელია ავთანდილი ამ „ბადაღებულ ლ ა ხ ტ ს ერთხელაც არის გამოიყენებს და მით ჩაჩნაგირს მაინც მოკლავს. ალბათ, ამისოვის შემოინახა მან იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღად წაათრია ამოდენა გზაზე, სამკაულად?

ამგვარ სამკაულებს ახლა იგი არ ატარებს და ჩაჩნაგირის საწოლშიც მოვლენები ასე განვითარდა.

იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა;
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჯანითა;
ვერღა აესწრა, იდუმალ მოკლა, თუ ვერცა ვცანითა,
ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა (1115).

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 11.

[1] ვეფხისტყაოსნის სიმფონია, 1956 გვ. 033

როგორც ვხედავთ, ავთანდილმა ჩაჩნაგირი «დაკლა დანითა» და არა «მოკლა ლახტითა». სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ლ ა ხ ტ ი ისევე: როგორც კ ე ტ ი, ბ ე ურ ზ ი, ხ მ ა ლ ი, მხოლოდ გაშლილ ველზე იხმარება. ოთახში იგი გამოუყენებელია: მოქნეული შეიძლება მოხვდეს კედელს, ჭერს, და ყველაფერი მისი მფლობელის საზიანოდ დატრიალდეს. ამასთანავე, ლ ა ხ ტ ი ს ც ე მ ა რომ ქვეყნის შემარყეველ ხმას გამოსცემს, ამაში ერთნაირად გვარწმუნებენ როგორც «შაჰ-ნამე» და მთელი აღმოსავლური ლიტერატურა, ისე ჩვენი პოემის ჩანართი 655 სტროფი. ავთანდილს კი არ შეეძლო ასეთი იურზაური აეტეხა ჩაჩნაგირის ბინაზე. მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა განზრახვა ჰქონდა. მას სურდა, მკვლელობა საიდუმლოდ მოეხდინა, კვალი დაეფარა, რათა, ალბათ, სახელი არ გაეტეხა (და პასუხისმგებლობაც აეცდინა, ცხადია). ის ასეც მოიქცა: «იდუმალ მოკლა, თუ ვერცა ვცანითაო», შენიშნავს რუსთაველი. მან დახოცილები ზღვაში გადაყარა და მიზანსაც მიაღწია, კვალი დაფარა:

ხმა მათისა დახოცისა არ გაისმა არსით არა...
ესე მიკვირს, სისხლი მათი ასრე ვითა
მოიპარაო (1117).

გაკვირვებას გამოსთქვამს რუსთაველი.

ამგვარად, აშკარაა, რომ ლ ა ხ ტ ი არც 1109 სტრ. არ უნდა იკითხებოდეს. ავტორს, თუ იგი რუსთაველია, ცხადია, ექნებოდა: «ადგა და დანა აიღო». მაგრამ პირველმავე გადამწერმა ვერ გაიგო რუსთაველის ჩანაფიქრი. მას არ მოეწონა ავთანდილის ხელში დანა. ეს რა ვაჟკაცის საქმეაო, გაიფიქრა მან და ავთანდილს ხელში დ ა ნ ი ს ნაცვლად ლ ა ხ ტ ი ჩასჩარა. აღნიშნულ 1109 სტრ. მან ადვილად შეცვალა დ ა ნ ა ლ ა ხ ტ ი თ: არ ირღვეოდა მეტრი, რიტმი, რითმა... თითქმის ყველაფერი თავის ადგილზე რჩებოდა. სხვაგან კი აღარ მოხერხდა ოპერაციის ასევე უმტკივნეულოდ ჩატარება. ყალბის მქნელი ვეღარ იტყოდა: მიწასა დაასკვნა, დაკლა ლახტითაო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ირღვეოდა რითმა.

ამრიგად, ვფიქრობთ ნათელია, რომ პოემაში ლ ა ხ ტ ი არ გვხვდება.

მაგრამ ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ ეს 1109 სტროფის ლ ა ხ ტ ი თავის ადგილზეა, და ამას გარდა თვით იარაღი, საგანი, ნივთი, რომელსაც აღნიშნავს ტერმინი ლ ა ხ ტ ი, პოემაში გვხვდება მისი თურქული სახელითა კ ო ტ ა[1].

კოტაც პოემის მხოლოდ ორ სტროფში გვხვდება. ესენია: 611 და 1383.

ტარიელი უამბობს ავთანდილს: როცა ბიძაშვილთან დაჭრილი ფრიდონი გავიცანი და მულღაზანზარს გავყევი:

მივედით მისსა ქალაქსა, ტურფასა, მაგრა ცოტასა,
გამოეგებნეს ლაშქარნი, ისხმიდეს მისთვის ოტასა;
პირსა იხოკდეს, გაჰყრიდეს ნახოკსა, ვით ნაფოტასა,
ეხვეოდიან, ჰკოცნიდეს ხრმალსა და სალტეკოტასა (611)

მეორეგან კი ფრიდონი ქაჯეთზე ლაშქრობის წინ ეუბნება ძმადნაფიცებს:

ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი (1387)

ჯერ პირველი კ ო ტ ა ს შესახებ.

დავუშვათ, რომ კ ო ტ ა აქ მართლა ლ ა ხ ტ ს გულისხმობს, მაგრამ ვიკითხოთ: საიდან გაუჩნდა იგი აქ ფრიდონს? ის არ იყო, რომ ტარიელს შესჩივლა: «ხრმალსა მივენდევ, გამიტყდა, ისარნი დამელეოდეს», (1606) უიარაღო დავრჩი, ამის გამო „ნავით გარდვიხტუნვე, ზღვა-ზღვა ცურვით წამოუვე, ჩემი მჭვრეტი გავაცბუნვეთ“ (607)? ფრიდონს რომ აქ ლ ა ხ ტ ი ჰქონოდა, დიახაც გამოიყენებდა მას ამ უთანასწორო ბრძოლაში. ცხადია, ფრიდონს ამ ბრძოლაში ლ ა ხ ტ ი არ ჰქონია და არც ლაშქარს შეეძლო დაეკოცნა მისთვის არარსებული იარაღი.

ასევე ნათლად გადაწყდება კ ო ტ ა ს რაობა და შინაარსი სტროფში «ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი». გამოდის თითქოს ფრიდონმა თქვა: ჩვენ ხმალს ლახტი დავაგოთო. მაგრამ რატომ იტყოდა ასეთ რამეს ფრიდონი, ეს პატივცემულ მკვლევარს არ დაუსაფუძვნებია.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პოემაში ლ ა ხ ტ ი არც ამ სახელით გვხვდება, არც მისი თურქული სინონიმით. გასაკვირი, მოულოდნელი, შეუძლებელი ან საწყენი აქ არაფერია, რადგან ლ ა ხ ტ ი ქართული იარაღი არ არის: არც «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი», არც «ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი», არც ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, არც მათი წინამორბედნი ლ ა ხ ტ ს, ან მის სინონიმურ ტერმინებს თუ მონათესავე იარაღების სახელებს არ ახსენებენ, როგორც ქართული იარაღის სახელებს. მართალია, ლიტერატურულ ძეგლებში ლახტი გვხვდება და აქ განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია «ამირანდარეჯანიანი», მაგრამ მის სამხედრო გარემოს არაფერი აქვს საერთო რუსთაველურთან. აი ერთი ადგილი ამ ძეგლიდან: «გამოვიდა სეფედავლე. თეთრსა ტაიჭსა ზედა ჯდა. პოლოტიკნი რკინანი დაეკიდნეს სატკივართა ადგილთა ცხენისთვისცა და თუითცა. ჩაბალახნი გარდაეკიდნეს. აგრეთვე ცხენისა მკერ-

[1] ვეფხისტყაოსანი, 1927 წ. ლექსიკონი.

დსა, თავსა და ფერდთა. და, სამნი ხრმალნი დაეკიდნეს: ერთი ალმედად (მხარიღლივ, მ. მ.), ერთი წელთა შემოერტყა და მესამე ტახტასა ჩამოეკიდნა“... [1] იმავე ეპიზოდში ვკითხულობთ: ერთ დღეს «შეიკაზმეს ოც-ოცი ტაიჩი, გავიდეს და შეიბნეს... მას დღესა ოცივე ცხენი მოუკლა სეფედავლემ ამირანდარეჯანისძესა და თხუთმეტი ცხენი დარეჯანისძემან მოუკლა სეფედავლესა» [2]...

«ამირანდარეჯანიანის» სამხედრო გარემო დიდად არის დავალებული «შაჰ-ნამესაგან». მეორეს მხრივ, მთელი მისი რაინდული სინამდვილე წინამორბედია იმ დასავლური რომანისა, რომელმაც თავის დროზე უკვდავ სერვანტესს ბიძგი მისცა უკვდავი «დონ-კიხოტის» შესაქმნელად. მაგრამ ეს სხვა საკვლევი საკითხია და მას აქ აღარ გამოვუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ «ვეფხისტყაოსანში» ლ ა ხ ტ ი არც შეიძლება იხსენებოდეს და 1109 სტრ., თუ იგი პოემაში დარჩა, უნდა იკითხებოდეს: ავთანდილი «ადგა და დანა აიღო».

11. 1193[3]. სხვასა რას მნუკევთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია, უთქვამს ნესტანს ხადუმებისათვის. მაგრამ საბრალო ნესტანს მელიქსურხავის სასახლეში ვინ რასა სთხოვს, რომ ვინმე მას რაიმეს შეეხვეწოს? მას პირდაპირ განუცხადეს, რომ იგი მეფის სასძლოა და მორთეს კიდეც სადედოფლოდ მისი ყოველგვარი თანხმობის გარეშე. ამის გამო აქ უნდა გვქონდეს «**ვნუკევთ**». ეს სხვაა: მე გეხვეწებით სხვა რაღაცას! (და არა დედოფლობას) გამაპარეთ, გამიშვითო, უთხრა მან ხადუმებს.

12 1223[1]. როშაქ ბრძანა: მო-მცა ვინ-მკლას*,
მე ტირილსა არ დავჰხვდები,
მინდორს წავალ, ვიმეკობრე, ალაფითა
ავივსები;
შინა მოვალ შოებული, ადრე ზედა
მოვეჭრები
მეფე დისა დატირებად წავიდოდეს,
წაცავჰყვები.

აქ ერთმანეთს არ ეგუება «ტირილსა არ დავჰხვდები» და «წაცავჰყვები». წინააღმდეგობა, ვფიქრობთ, აშკარაა. აკად. აკ. შანიძე ფიქრობს, რომ **არ დავჰხვდები** ნიშნავს **არ დაველოდები**, ან **ანგარიშს არ გავუწევ**. არც ერთი გაგება. სტროფს არ ეგუება: არსაიდან არ ჩანს, რომ დულარდუხტი, როსანი და როდია ქაჯეთში არ არიან, რომ ლაპარაკი იყოს მათი დაბრუნების დროს სასახლეში მოსალოდნელ ტირილზე, მას არ დაველოდებიო. როშაქი ვერ იტყოდა აგრეთვე, მეფეთა ცრემლს, როცა დის გარდაცვალებას გაიგებენ, მე ანგარიშს არ გავუწევო, ისევე, როგორც პოემის არც ერთი გმირი საერთოდ არ იტყვის, მეფისა და სასახლის მგლოვიარობას მე ანგარიშს არ გავუწევო. ამის გამო 1223[1] უნდა გვქონდეს «**არ დავჰცდები**». ახლა ყველაფერი გასაგებია. როშაქს უთქვამს: მე კიდეც რომ მომკლას ვინმემ, ტირილს არ დავჰცდები, ოღონდ ჯერ წავალ, ვიმეკობრე, ალაფით ავივსები, ადრე დავბრუნდები და შემდეგ «მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წა-ცა-ვჰყვებიო».

აღნიშნული დაზიანებაც, «დავჰცდების» ნაცვლად «დავჰხვდები», ნუსხურის ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს.

13. 1437. პოემაში ვკითხულობთ:

პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს
ვითა ხიდსა

ქაჯეთიდან გამარჯვებით მომავალი გმირები ზღვათა მეფის მიერ ტარიელისთვის გადახდილ ქორწილშიო.

ჯერ კიდევ პოემის პირველ მკვლევარსა და გამომცემელს ვახტანგს განუზრახავს, განემარტა სიტყვა პ ე რ პ ე რ ა. იგი წერს: «რაც რამ მოსაკაზმავს გარდა სხვა კიდევ რამ კარგი მიუტატოს» (იგულისხმება — ადამიანმა თავის ჩაცმა-მორთულობას: ბეჭდები, სამაჯურები, გულისქინძისთავები, საერთოდ, ძვირფასეული), იმას ეწოდებაო. ეს განმარტება სულხანიდანაა. მის «სიტყვის კონაში» ვკითხულობთ: «პერპერა, რომელ არს ფუდულობა. ყოველივე, რაიცა არა არს სახმარად, არამედ საშუენებლად მოიგების, პ ე რ პ ე რ ა ს ი აქვს შესმენა» (sic.) ფ უ დ უ ლ ო ბ ა კი, სულხანით, «ბერძულია. ესე არს სახმართ ნამეტნაობა, რომელ არს ქართულად პერპერა». ს ა ხ მ ა რ ი კი «ჩასაცმელი, შესასხმელი და... შესაწევნელი» ყოფილა. შ ე ს ა ს ხ მ ე ლ ი ს. ორბელიანს განმარტებული არა აქვს, შ ე ს ხ მ ა კი «ქება, შემკობა, გინა სამკაულთ შებმა, გინა ნოტიო რამე შეათხიო» არისო, გვასწავლის ლექსიკოგრაფი.

ამრიგად, პ ე რ პ ე რ ა ს. ორბელიანის განმარტებით, ქართული სიტყვაა და ეწოდება სამკაულებს, ძვირფას ნივთებს, რომელთაც ადამიანები აისხამენ ხოლმე, ან ატარებენ დასამშვენებლად. ის როგორღაც კავშირშია ჩასაცმელთანაც: პერპერა — ფუდულობა — სახმარი — ჩასაცმელი...

თუმცა ს. ორბელიანს პ ე რ პ ე რ ა ქართულ სიტყვად მიაჩნია, მისი განმარტება ცხადყოფს, რომ იგი მას გამოჰყავს ლათინური სიტყვიდან purpura, purpureus, რაც ევროპულ ენებშიც დამკვიდრდა და ძვირფას ,მდიდრულ მორთულ-მოკაზმულობას ნიშნავს (გენეზისურად შეიძლება მასთან კავშირში იმყოფებოდეს ქართული ფ უ ფ უ ნ ე ბ ა).

ახალი დროის ლექსიკოგრაფებსა და რუსთაველმცოდნეებს პ ე რ პ ე რ ა ოქროს ფულის სახელად მიაჩნიათ. «პერპერა»... ბერძნული წარ-

---

[1] ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. II, თბილისი, 1949, გვ. 77.

[2] იქვე, გვ. 76.

მოშობისაა და აღნიშნავს ბიზანტიურ ოქროს ფულს... იხსენიება XI — XII ს-ბის (ჩვენს) წერილობით ეგლებში: ათონის აღაპებში, დავით აღმაშენებლის ანდერძში და «ვეფხისტყაოსანში», — წერს მკვლევარი — ნუმიზმატი თ. ლომოური[1]. ასევე ესმის პერპერა თანამედროვე რუსთაველმცოდნეთა აბსოლუტურ უმრავლესობას, მხოლოდ ს. კაკაბაძეს მიაჩნია იგი სპარსული ოქროს ფულის სახელად, და საეგებიოდ — ბერძნულიდან მომდინარედ, მაგრამ მაინც ოქროს ფულის სახელად[2].

მივუყენოთ ახლა ჩვენ საკვლეო სტროფს პერპერას ორივე განმარტება. აღმოჩნდება, რომ ორივე შემთხვევაში იგი უაზრობაა. მართლაც, როგორც წინამავალ, ისე მომდევნო სტროფებში (1433, 1438, 1439, 1440) ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მეფე მელიქსურხავმა გულუხვად დაასაჩუქრა სტუმრები ერთი განმარტებით — ძვირფასი სამკაულებით, თუ ტანსაცმელით, მეორე განმარტებით — ოქროს ფულით, საერთოდ კი — პერპერათი, და დასაჩუქრებულნიც სწორედ აი ამ

პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს ვითა ხიდსა...

მაგრამ რას ნიშნავს «პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს ვითა ხიდსა?» თუ ეს პოეტური შედარება გვაუწყებს, რომ გმირები ისე სცვეთდენ მიწოდებულ საჩუქარს ფეხით, როგორც ხიდს — სიარულით, ეს ძღვენის თავზე გადაჭერტყებაზე უარესია, რაც ეწინააღმდეგება ყოველგვარ ეთიკას და ამას სტუმრები, ისიც ისეთი რანგისა, ცხადია, არ ჩაიდენენ;

ისიც აღსანიშნავია, რომ ხიდი (და არა, ვთქვათ, ბოგირი), არც თუ ისე ადვილად ცვდება სიარულისაგან: რუსთაველის დროს ზოგიერთი მათგანი საქართველოში ცამეტი საუკუნის ისტორიას ითვლიდა; მათ ჩვენ დროამდეც მოაღწიეს და პირნათლადაც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. თუ ეს შედარება გვეუბნება, რომ სტუმრები ამ საჩუქარს ისე სცვეთდენ, როგორც ხიდზე სცვეთენ პერპერას, ეს კიდევ უფრო უაზრობაა: ხიდზე არც ძვირფასი სამკაულების, არც ფულის ცვეთას არავინ არ აწარმოებს. ამის გამო ცხადი ხდება, რომ შედარებას «პერპერასა... ზედა სცვეთდეს ვითა ხიდსა» გამართლება არ აქვს.

შედარება გაშინაარსიანდება, თუ მასში ნაცვლად ზმნა-შემასმენელისა «სცვეთდეს» ჩავსვამთ ზმნა — შემასმენელს «ჰხვეტდეს» და სიტყვას «ხიდსა» მივიჩნევთ არა პირდ. დამატებად, არამედ უთანდებულო გარემოებად მიოიმითის ფორმით (რაც პოემაში ხშირად გვხვდება):

პერპერასა დაფანტულსა ზედა ჰხვეტდეს ვითა ხიდსა.

ეს ნიშნავს: ქაჯეთში გამარჯვებული ფრიდონის მეომრები, გულუხვად დასაჩუქრებულნი მელიქ-სურხავისაგან, დაფანტულ პერპერას ისე ჰხვეტდენ, როგორც ხიდზე ჰხვეტენ ხოლმე პერპერასო. ხიდზე სამკაულების, ან ოქროს ფულის ცვეთას, ვიმეორებთ, არავითარი დასაბუთება, საფუძველი არა აქვს. ამის გამო იგი არც შედარების საფუძვლად გამოდგება. ხიდზე ფულს კრეფენ (ჰიპერბოლურად — ჰხვეტენ) საბაჟოები (ან მათხოვრები) და ფეოდალიზმის პირობებში (აგრეთვე შემდეგაც) იგი დიდი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენდა. რუსთაველი აქით გვაცნობებს, რომ მელიქ-სურხავმა მდიდრულად დაასაჩუქრა არა მარტო მისი მაღალი სტუმრები, არამედ მათი მეომრებიც, რომელთა დახმარებითაც გმირებმა აიღეს ქაჯეთი, ამიერიდან—ზღვათა მეფის სამფლობელო.

ზღვათა მეფე გარდაიხდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა,
ქაჯეთიცა დაუმალა, არ გაუშვებს დღესა შვიდსა,
უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა,
პერპერასა დაფანტულსა ზედა ჰხვეტდეს ვითა ხიდსა.

აღნიშნული დაზიანებაც ნუსხურის ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს.

14. 380. ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა;
ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ, ლხინი რად დამეთვალოდა!
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალოდა;
აწ პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალოდა.

დამოწმებული სტროფი არ იკითხება ქართველიშვილის გამოცემაში. იგი ყალბად იქნა მიჩნეული საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის მიერაც. პოემაში მაინც შეიტანეს, როგორც ტარიელის სიტყვები, რომლითაც იხურება ნესტანის პირველი წერილი ტარიელისადმი.

მაგრამ ტარიელმა ბევრად მეტი განიცადა ნესტანის სიყვარულისა გამო, ვიდრე ეს გადმოცემულია აღნიშნულ სტროფში. აქ კი ლაპარაკია ასმათის, როგორც დამხმარისა და შუამავლის, განცდებზე. ამას პირდაპირ მიუთითებს პირველი ტაეპი: რას ეუბნებოდა ასმათი ტარიელს? სწო-

[1] ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 296.

[2] ვეფხვისტყაოსანი, 1927 წ., ლექსიკონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ მომდევნო ტაეპებს: «ჩემი რა გითხრაო» და სხვ. ამის გამო სტროფში პირველი ტაეპი უნდა დამთავრდეს ორი წერტილით, მომდევნო სამი ტაეპი კი უნდა ჩაისვას დამოუკიდებელ ბრჭყალებში:

ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ
მეკრძალოდა:
«ჩემი რჩ გითხრა, რა ვიყავ» და სხვ.

სტროფის აზრი ასეთია: ასმათი მეუბნებოდა, დიდ შიშსა და მღელვარებას განვიცდიდი, სანამ თქვენ საქმეს კეთილად დავაბოლოებდი; ახლა კი მხიარული ვარო. აქ ოუსთაველი გვიხატავს ასმათის, როგორც მეკობარ — შუამავალის, ფსიქოლოგიას: იგი უდიოეს სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი მეგობრები ბედნიერნი არიან და რომ ამის მოპოებაში ჯარკვეული წვლილი მასაც უძევს.

სასურველი იქნება ზოგიერთ ტაეპში ჩასწორდეს სასვენი ნიშნები ქვემოხაჩვენები სახით:

15. 205[2]. ვთქვით, თუ: «მზეაო ქვეყანად, ნუ
ვეუბნებით, ცად, ენითი».
16. 311[1]. ინდოეთს, შვიდთა მეფეთა, —
ყოველი კაცი ხარმცნობელი, — ექვსი
სამეფო და სხვ.
17. 603[2]. არ ამოვჰკრეფდი გამოყოფთა,
ვთქვი: «ჩემთა რად დავრიდო, და».
18. 1396[1]. აბჯრითა გავლა არად მიჩნს,
ჭირად — გატანა ფარისა.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ

სამი სერიოზული დაზიანება ტექსტში:

1. მომხვდეს **ხისაცა რგულისა** ნაცვლად იმისა, რომ იკითხებოდეს: **«ცისაცა მრგულისა»** 153).

2. მე ტირილსა არ **დავჰხვდები,** ნაცვლად იმისა, რომ იკითხებოდეს: «არ **დავჰცდები»** (1223);

3. პერპერასა... ზედა **ჰცვეთდეს,** ვითა ხიდსა, ნაცვლად იმისა, რომ გვქონდეს: «ჰხვეტდეს, ვითა ხიდსა» (1437), უნდა აიხსნებოდეს ნუსხურის ნიადაგზე: აღრევა უნდა მომხდარიყოს ან ნუსხურიდან ნუსხურად, ან ნუსხურიდან მხედრულად გადაწერის ვითარებაში.

ამ სტროფების სათვალავი კი (153, 1223, 1437) მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე მიუთითებს: ნუსხურიდან მომდინარეობის კვალი მხოლოდ ძირითად ტექსტში ეტყობა. ჩვენ გულდასმით ვეძებეთ იგი გაგრძელება — დამატებებში, მაგრამ მას ჯერჯერობით ვერსად წავაწყდით. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, არც მოულოდნელი, არც შემთხვევითი არ არის: თუ მე-12 მე-13 საუკ. მიჯნაზე ნუსხურის ხმარება ჯერ კიდევ საკმაოდ, აღორძინების ეპოქის საერო წრეებში, რომელშიაც შეიქმნა გაგრძელებ-დამატებანი, იგი სრულიად აღარ იხმარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. გოზალიშვილი

★

ნიკო ნიკოლაძის წერილები სერგეი მესხისადმი*

Paris, 92, 6e de Port—Rogue

9 იანვარს 1875

28 დეკემბერს 1874.

ძმაო სერგეი!

ვიცი, გაგიკვირდება ჩემი წიგნის მიღება, მაგრამ როცა წაიკითხავ უფრო გაკვირდები, რომ ამისთანა უბრალო საგნებზე გწერ წიგნს. საქმე იმაშია, რომ შენი მდგომარეობა აქ ცოტაოდნათ დასუსტდა, ზოგიერთი შენი გულითადი მეგობრები შენ ათასნაირ ავაზაკობას და მახინჯობას გაბრალებენ; შენ მიგიცია პატიოსანი სიტყვა ფულებს ამა და ამ ვადაზე გამოვგზავნიო, და ეს სიტყვა ვითომ არ აგისრულებია. შენი „უწმინდესი“ და უმანკო მეგობრები ამბობენ, რომ ეს პადლეცობაზე უარესიაო. არა მგონია, რომ შენთვის სასიამოვნო იყოს ამ გვარი ბრალის დადება. შენ ჩემ თავზე გამოცდილი უნდა გქონდეს, **რანაირათ ამოჰყოფს თავს ამგვარი ბრალეს** დადება რვა და ათი წლის შემდეგ, როცა შენ აღარც კი ფიქრობ, თუ ვისმესი რამე გემართა და არ გარდაგიხდია. ისეთი კაცებიც გამტყუნებენ, რომლების შენ, — მე ეს კარგათ ვიცი — გროშიც არ გმართებს. არ გეგონოს, რომ ამას მე იზმაილოვზე [1] გწერდე, მაგრამ ხომ იცი, ის ამაებს არ დასდევს, ის გაყუჩებულია, არავის ეწინააღმდეგება, და ბრალის დადება კი რჩება და სივდება. ჩემის მხრით, როცა მე ამგვარ უხეირობას ვესწრები, როცა ამგვარ ცილისწამებებს შენზე ჩემ წინ წარმოსთქვამენ, მე ადვილათ შემეძლებოდა გაჩუმება და ამგვარი ფიქრებით თავის გართვა: — ნახოს ეხლა სერგეიმაც, რამოდნათ სასიამოვნოა ამგვარი ცილისწამებები და რამოდნათ სივდება ხოლმე და ზიანობს სრულიად უსაფუძვლო დავიწყება. — მაგრამ, რა ვქნა, გული არ მიჩერდება და ვერ ეიტანს ამგვარ ეგოისტიკურ შეხედულობას! ამნაირი გაუჩენივარ ბუნებას, და ალბათ ამნაირი მოვკვდები. მაშ ისმინე.

თუ ძმობა გწამს, რაც შეიძლება მალე გამოუგზავნე ჯაფარიძეს [2] ის ასი მანეთი, რომელიც იმას შენთვის უსესხებია ვიღაც რუსიდამ, ქენევაში, და რომელიც იმას თავის საკუთარი ჯიბიდამ გადაუხდია დაპირებულ ვადაზე.

ეს ერთი, მეორე თუ რამე გმართებს დადიანის, ან თუ იმას შენზე რამე დაუხარჯავს შენს აქ ყოფნაში გაიხსენე და გამოუგზავნე. ის ამას როდი თხოულობს, მაგრამ, — სჯობია რომ გამოუგზავნო.

მესამე. იზმაილოვმა [1] ყანჩელს გამოართვა შენთვის 100 ფრანკი და გადუხადა. იმას ეხლა ფული ძლიერ სჭირია, ნურავის აძლევ ნებას იძახოს, რომ მესხმა იზმაილოვი დაჩაგრაო.

მეოთხე. დანილოვის ცოლისთვის გამოუგზავნე იზმაილოვს 60 ფრანკი. ეს გმართებია მისი, და არა 25 ფრანკი. მე ეს ფული ვერ გარდაუხადე.

მეხუთე. შახტახტინსკის უსათუოდ გამოუგზავნე რამე. აქაურები იმას ამბობენ, რომ მესხს დროზე შახტახტინსკი რომ გაესტუმრებინაო, დღეს ჩვენ მისგან ფულის სესხება შეგვეძლებოდაო, და ეს „преступление“-აო მესხის მხრითო.

დადიანი, ჯაფარიძე, დანილოვის ცოლი და შახტახტინსკი — ერთი სიტყვით ყველანი აქ, პარიჟში, არიან, მაშასადამე შეგიძლია ფულები იზმაილოვს გამოუგზავნო, და ის ყველას დაურიგებს, მისი ადრესი კი იცი, მაგრამ მაინც გწერ: 31, 6 — S-Michel, Paris.

მე კარგათ ვიცი, რომ ეხლა, წლის დამწყებში შენ ფულები ბლომათ გექნება. თუ არა გაქვს ურიის ვალი აიღე და გამოგზავნე. ნუ ათქმევინებ ნურავის, რომ ძმას შიმშილით ჰკლავსო, თვითონ ფულებში ცურავსო, და ჩვენ გვატეხს თავის ვალებსო.

ჩემზე რა მოგწერო? ცუდათ ვარ და საქმე დაფუშულია. გროში არა მაქვს და წამოსვლა მიჭირს. მაგრამ თებერვლის პირველს მე პარიჟიდამ გამოვალ, თუნდ გროშიც არ მქონდეს.

„დროებაზე“ რა გითხრა? რატომ ასრულებაში არ მოიყვანე შენი პროექტები? „დროება“ ერთობ სუსტია, ერთობ მჩატეა შიგნეულობით და მძიმე — გარეგნობით. ფელეტონები ერთობ გაკლია, და საზოგადოთ მარტო ერთი ცვლილება ეტყობა გაზეთს: ის — შენი ახალი დოქტრინალური ტონი. რატომ ან მიქელაძე [3], ან სხვა არაფერს არ სწერენ?

რატომ მე არ მიგზავნიდი „დროებას“? „ბოტიას“ მაინც გამოუგზავნე, ამიტომ რომ ჩემი წამოსვლის შემდგომ აქ მასთან ან კატო, ან ოლიკო იქნებიან.

შენი ნ. ნიკოლაძე.

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 9, 11.

ვისაც ვახსოვდე გულითადი მოკითხვა გარდაეცი, — იზმაილოვმა მთხოვა დაუმატო, რომ ფული თუ გამოუგზავნო, ტელეგრაფით გამოგზავნო უსათუოთ.

XIII წერილი

ქუთაისი, 7 აპრილს [1876 წ.]

ძმაო სერგეი.

გთხოვ „დროებაში“ დაბეჭდო უსათუოთ შემდეგ ნომერში (34):

წიგნი რედაქტორთანა

ბატონო რედაქტორო!

ქუთაისში მე ორი ნაბიჯი ვერ გადამიდგამს ისე, რომ ვინმე არ შემხვდეს და ანგარიში არ მომთხოვოს იმ კანდიდატებზე [1], რომლების სახელი „დროების“ წარსულ ნომერში იყო გამოცხადებული. უმორჩილესად გთხოვთ ამ გაჭირვებისგან გამომიხსნათ და გამოაცხადოთ, რომ მე თფილისში არ ვყოფილვარ, როცა თქვენ ის სია შეადგინეთ და გამოაცხადეთ.

თქვენი მორჩილი **ნ. ნიკოლაძე.**

7 აპრილს 1876

ქ. ქუთაისი.

გთხოვ შემდეგი (№ 35)[2] მე მათხოვო, ქუთაისის უსტავის გასარჩევლათ. სტატიას (მთელი ნომრის ასავსებლათ) ხვალ უსათუოთ გამოგიგზავნი.

შენი **ნ. ნიკოლაძე.**

XIV წერილი

ქუთაისი, 8 აპრილს 1876.

ძმაო სერგეი!

დიდის გაჭირვებით გავათავე როგორც იქნა ეს უშველებელი და უსარგებლო სტატია, რომელსაც მარტო ის მნიშვნელობა აქვს, რომ მე აქ გატარებას არ მაძლევენ: „აკი დაგვპირდი უსტავს გავარჩევო, ეხლა ხომ დაბეჭდა ის უსტავიო, ხომ ხელში გაქვსო, რატომ არ ბეჭდავ მის კრიტიკასაო“. აი დავწერე და გიგზავნი. თუ ჩემი ძმობა გწამს, თუ ცოტაოდენი მეგობრობა გაქვს, ყოველი ღონისძიება იხმარე, რომ 35 № სრულათ, გაუყოფლათ დაბეჭდო და რაც შეიძლება მალე გამოაგზავნო, რომ 14 ან 15 აპრილს აქ მოვიდეს „დროება“, რომელშიაც ის იქნება დაბეჭდილი [1]. გთხოვ ოცი ეგზემპლიარი იმ ნომრისა, გამოვიდეს თუ არა, ბანდეროლის ქვეშ გამომიგზავნო, ფოჩტით კი არა რკინის გზით (почтовый вагонъ). ლავრენტია დაიბარე და იმას გაატანე, ჩემ მაგიერ უთხარი და შეასრულებს, შეიძლება, რომ შენ ზოგიერთებში ან მთლათაც არ დამეთანხმო ამ სტატიის აზრებში. მაგრამ ამას, იმედი მაქვს, არ მიხედავ. აკაკი [2] თანახმაა მის დაბეჭდვაზე, და თუ შენ და ილიკო [3] თანახმა არ იყოთ, რა ნაირი შენიშვნა გინდათ ის გაუკეთეთ და ისე დაბეჭდეთ. იმედი მაქვს, რომ არც შენ არც ილიკო არ მოინდომებთ ჩემს გამობახებას და შერცხვენას მერე ამისთანა დროს: ეხლა ღოღობერიძეებს [4] თურმე ხელზე დაუხვევიათ გარჩევის დაუბეჭდელობა, და ყოველგან იმას ყვირიან — მაგის კაცობა იქიდამ დაინახეთ, რომ დაგვპირდა გარჩევა და არ არჩევსო, და არის ერთი უშველებელი ლაპარაკი ამაზე — ალბათ მშვენიერი უსტავია, თუ ნიკოლაძემ მასზე ხმის ამოღება ვერ გაბედაო. ყოველ შემთხვევაში უნდა გითხრა წინდაწინვე, რომ ამ სტატიის დაუბეჭდველობას, ბესარიონის ხათრით ან თქვენი სიის (კანდიდატების) მიხედვით რომ არ დაბეჭდო ეს სტატია, მე დაუვიწყარ მტრობათ ჩავთვლი შენი, ილიკოს და „დროების“ მხრით. მაგრამ ვიცი, შენ ამისთანა საქმეს თავზე არ მომაყენებ, მით უფრო, რომ ჩემი სტატია თქვენს კანდიდატებს არც კი ეხება და მარტო საზოგადო, სამერმისო ინტერესებს სდევს.

ეხლა ორიოდე სიტყვა მათქმევინე შენთვის კანდიდატების სიაზე. უარესს შეცდომას „დროება“ მგონია თავის დღეში ვერ იზამდა. შენ ნახამ, თუ ბესარიონ ღოღობერიძის მეტი ერთი ვინმე ამოარჩიონ თქვენ კანდიდატებიდამ. დიმიტრი დადიანს თუ გაიყვანებენ, გაიყვანებენ მეგრელები, როგორც დირექტორს, და არა როგორც კანდიდატს. ვინც კი ვნახე მე აქ, „დროების“ კეთილის მყოფლები, ყველანი გადარეულები არიან „ჩვენ აღარას გვკითხავენო, ჩვენ აღარაფრათ გვაგდებენო, ჩვენ რაღა ვართო, ისინი რომ ირჩევენო!“ ეს ფორმას შეეხება. ეხლა მოსდგენ კანდიდატებს, და არის მათი ლანძღვა და გინება: ვინ არიანო, ჩვენ იმათ არაკი ვიცნობთო, საიდან მოდიანო, მათი დედა, მათი მამა და სხვა. როგორ ვერ გაიცანი აქნობამდი შენ იმერეთის ხალხი, რომ ასე მჩატეთ ექცევი მის თავმოყვარეობას და თავის მოწონებას? როგორ მოხდა, რომ იმ თქვენს ყრილობაზე ერთი მაინც არ გამოჩნდა ჩვენი ხალხის მცოდნე კაცი, რომ ეს ეთქვა? აქ ღოღობერიძეების პარტია (მაგ. ს. ღოღობერიძე) ეხლა იმას ამბობს თურმე, რომ „დროებამ“ ის სია მტერობით დაბეჭდაო, იცოდა, ასე გადაირევოდა ჩვენი საზოგადოებაო. მითხრეს, ვითომ ს. ღოღობერიძეც დაესწრო თქვენ კრებას. მართალია? თუ მართალია, ამას უწინ რატომ ვერ მიხვდა და ეხლა რაღა დროს მაგისი თქმაა?

საქმე აქ მიდის მხურვალეთ. მთელი ქვეყანა ცდილობს, მთელი ქვეყანა ინტრიგობს. დაიწყეს კონსილიაბულები, სახლს ვერ იპოვი ისეთს, რომ შიგ დიდი რჩევა და ყაყანი (საიდუმლო) არ იყოს. კანდიდატები ათასია, მეტი თუ არა. დავით ბაქრაძე [5] (ბილო) გამოდის ბ. ღოღობერიძის მოწინააღმდეგეთ, და ამბობენ, ბევრი შანსი არა აქვსო. პ. ნაკაშიძე [6] ძლიერ ცდილობდა აქ თურმე, და უფრო მეტს მისთვის სხვები ცდილობენ. იმას გვარიანი შანსები აქვსო. მაგრამ უეჭველია, მგონია, რომ ბესარიონ ღოღ [ობერიძეს] ამოირჩევენ, თუ თვითონ არ წაიხ-

დინა თავის საქმე ან თავის ბიძაშვილებს არ წაახდენინა[7]. როდის ჩამოვა. მითხრეს შენც აპირობ ჩამოსვლასო? დროებას ვისლა უტოვებ? მე აქ ვრჩები. ჩემი ცოლი უქეიფოთ არის და ჩემი ჯიბე — ხომ იცი, — მომაკვდავია. ვცდილობ სუდებში, იქნება რამე მოვახერხო საქმეების მოსაბრუნებლათ, მაგრამ იმედი კი ცოტაა.

ნაცნობები, მეგობრები და ამხანაგები მომიკითხე. როგორ არ გრცხვენია, აღდგომას ისე საშინლათ რომ დამთვრალხარ?

შენი **ნ. ნიკოლაძე**

კიდეზე მინაწერი: თუ ძმა ხარ კორექტურა რიგიანად უყავი ამ სტატიას.

შენიშვნები

I

[1] ნიკო ნიკოლაძის წერილები (14 წერილი) სერგეი მესხთან დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ს. მესხის ფონდში № 38.

[2] ნიკო ნიკოლაძე იმ პერიოდში იმყოფებოდა საზღვარგარეთ. მოიარა იტალია, შვეიცარია და გერმანია. ფრანკფურტიდან, საიდანაც ეს წერილია, ნ. ნიკოლაძემ გამოუგზავნა სერგეი მესხს გაზეთ „დროებაში" დასაბეჭდათ სტატია სათაურით — „ქვეითათ და რკინის გზაში" (მოგზაურის შენიშვნები). სერგეი მესხმა ნ. ნიკოლაძეს შეუსრულა სურვილი და ეს სტატია დაუბეჭდა „დროებაში" ორ ნაწილად (იხ. ნ. სკანდელის ხელმოწერით, გაზ. „დროება", 1869, 16 აგვისტოს № 33 და № 34). სტატიაში მოთხრობილია ნ. ნიკოლაძის ფრანკფურტში მოგზაურობის დროს მიღებული და განცდილი შთაბეჭდილებანი და სხვა.

[3] გიორგი წერეთლის (1842—1900) რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „დროება" 1866 წლიდან 1869 წლის 16 აპრილამდე. 1869 წლის 17 აპრილიდან „დროების" რედაქტორობა გ. წერეთელმა დროებით სერგეი მესხს გადასცა. ამის შესახებ „დროება" თავის მკითხველებს აუწყებდა: „რადგან „დროების" რედაქტორი თავის საჭიროებისათვის მიდის პეტერბურგს, იმის მაგიერად დროებით რედაქტორობა გაზეთისა იკისრა უფ. მესხმა" (იხ. „რედაქტორის განცხადება", — გაზ. „დროება", № 16, 1869 წ.).

იმ პერიოდში გ. წერეთელი პეტერბურგში იმყოფებოდა, სადაც მალე ნიკოლაძეც აპირობდა საზღვარგარეთიდან გამგზავრებას. იხ. გ. წერეთლის გაზ. „დროებაში" დაბეჭდილი წერილები: — „მიმოსვლა რუსეთისაკენ. წინასიტყვაობა ანუ მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკი" (№ 42, 1869 წ.); „პეტერბურგიდგან ნიჟნამდის" (№ 43. 1869 წ.); „რუსეთისკენ მგზავრობა. ვოლგაზე" (№№ 47, 49, 1896 წ.).

[4] რაფიელ ერისთავის ლექსიდან — „სიყვარული" (იხ. „ჩონგური", შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, პეტერბურღი, 1864. გვ. 103—104), სერგეი მესხს ნ. ნიკოლაძის სტატიაში შემდეგი ადგილი ჩაუმატებია:

„ოდეს ტურფას შეეყარო, ვისთვისც გიძგერს
მარად გული,
თუ რომ გიყვარს ჰეშმარიტათ, ასე უნდა
სიყვარული:
ხელი წელსა გარდაჰხვიე, ვით რომ სურო
ხესთან რგული,
ისე მტკიცედ დაეკონე, ვით ფათალო
ჩაწმახვნული!
. . . (აქ გამოტოვებულია ერთი სტროფი)
მაშინ უნდა მშვენიერსა თვალი თვალში
გაუყარო,
თავი თავსა, თმა დალალსა, მკერდი მკერდსა
დაამყარო,
ტუჩი ტუჩსა შეაწებო, გულით გული
გაახარო"...

(აქ ბოლო ერთი სტრიქონი აკლია მხოლოდ).

[5] იხ. „ჩონგურში" რაფ. ერისთავის ლექსი სათაურით „სიყვარული", — ოდეს ტურფას შეეყარო..." გვ. 103—104.

[6] ნ. ნიკოლაძის (ნ. სკანდელის ფსევდონიმით) წერილებს მეფის ცენზურა ძალიან უფრთხოდა, ხშირად თვითნებურად ამოკლებდა და ამახინჯებდა. ამიტომ თხოვდა ნ. ნიკოლაძე სერგეის: „გეთაყვა, ცენზურას ნუ დააკოდვინებ ნამეტნათ ამ წერილს. ეცადე, ეომე, იქნება ბევრი არა დააკლოს რა. მართალი კი რომ გითხრა, მე შით ვერას ვხედავ დასაყვერავს". მიუხედავად ნ. ნიკოლაძის ასეთი წინასწარ თადარიგისა და სერგეი მესხის გაფრთხილებისა, ცდა მაინც უშედეგოდ რჩებოდა. კერძოდ ამ შემთხვევაშიაც ნ. ნიკოლაძის ფელეტონი — „ქვეითათ და რკინის გზაში" (მოგზაურის შენიშვნები) ვერ ასცდა ცენზურის ულმობელ მსახვრალ ხელს. გაზეთში ნაბეჭდი ფელეტონის ტექსტი შიგადაშიგ მრავალწერტილებით არის ამოკენკილი, რაც ცენზურის მიერ ამოშლილი ადგილების მაჩვენებელია (იხ. „დროება", 1869, №№ 33, 34).

[7] ნიკო ნიკოლაძის უმცროსი ძმა — ვლადიმერ იაკობის ძე ნიკოლაძე (1849—1872) იმყოფებოდა შვეიცარიაში, ქ. ციურიხში უმაღლესი განათლების მისაღებად. იგი ერთ თავის დღიურში წერდა: „4 დეკემბერს 1871 წელსა მოველი მე ციურიხში. რასაკვირველია, სამშობლო იმიტომ მივატოვე დროებით და ასე შორს წამოველი, რომ აქ ერთი უმაღლესთაგან სწავლა მივიღო. მთელი გზა ვფიქრობდი, თუ რომელი სწავლა ვარჩიო მეთქი..." (იხ. გაზ. „დროება", 1872 № 22, გვ. 3, ი. მესხი, ნეკროლოგი).

საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ვლ. ნიკოლაძის ორი წერილი სათაურით — „შვეიცარია. ციურიხიდამ („დროების" კორესპონდენ-

ცია", — ვ. ნ.-ის ინიციალებით დაიბეჭდა გაზ. „დროებაში" (იხ. 1872 წლის № 4, გვ. 3, № 8, გვ. 3—4); მისი თარგმანი — „ინგლისზე, თხზულება ღეინრიხ-ღეინესი" — ვლ. ნიკოლაძე-ს ხელმოწერით დაიბეჭდა აგრეთვე 1871 წელს (იხ. კრებული, წიგნი მეოთხე, გვ. 127—142).

ვლ. ნიკოლაძის გარდაცვალების გამო ივ. მესხი, ციურიხიდან გამოგზავნილ ნეკროლოგში, დიდი გულისტკივილით წერდა: „...განსვენებული მარტო სიტყვით არ აცხადებდა თანაგრძნობას სამშობლო ლიტერატურისადმი და ცოტა რამე მაინც გააკეთა. მაგრამ, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ შემდეგში ის არ დაემსგავსებოდა იმ ჩვენ ზოგიერთ მაყვირალ ახალგაზრდებსა, რომელნიც ყველას გასაგონათ ვითომც ბევრს სიკეთეს უქადებენ თავის სამშობლოს".. (იხ. გაზ. „დროშა", 9 ივნისი, 1872, გვ. 22, გვ. 3).

ვლ. ნიკოლაძეს უთარგმნია აგრეთვე დრამატიული თხზულება (ლექსი) ლესინგისა — „ნატან ბრძენი" და სხვა. ამის შესახებ ივ. მესხი ნეკროლოგში სხვათაშორის აღნიშნავდა: „განსვენებულის ძმა (ნიკო ნიკოლაძე), რომელმაც წამოიღო ყველაფერი იმისი ჭკუის ნაწარმოები, ერთს დროს გარდახედავს იმათ და შემდეგ დაჰბეჭდს, სადაც რიგია".

ვლ. ნიკოლაძე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1872 წლის 25 მაისს ციურიხში და იქვე დაკრძალეს.

[8] კირილე ლორთქიფანიძე (1839 — 1918)— პუბლიცისტი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ახლო მეგობარი ნ. ნიკოლაძისა და სერ. მესხისა. იგი უახლოეს მონაწილეობას იღებდა „დროების" გამოცემაში. მისი რედაქტორობით გამოდიოდა „დროება" 1873—1874 წლებში, როცა სერგეი მესხი დროებით საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

[9] ნ. ნიკოლაძეს აქ მხედველობაში ჰყავს მ. ა. ანტონოვიჩი (1835—1918), ჩერნიშევსკის ახლო მეგობარი, 60-იანი წლების ცნობილი ლიტერატორ-კრიტიკოსი, „სოვრემენიკის" უახლოესი თანამშრომელი. ამ ჟურნალის ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილების ხელმძღვანელი იყო 1861 წლიდან, ნ. ა. დობროლუბოვის გარდაცვალების შემდეგ. ნ. ნიკოლაძე მ. ა. ანტონოვიჩს პირადად იცნობდა და მასთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ერთ დროს იგი ნ. ნიკოლაძის „ობზორის" თანამშრომელიც იყო. ნ. ნიკოლაძე — „მოგონებანი სამოციან წლებზე", მის შესახებ წერდა: ერთად-ერთი პირი, რომელიც თავისუფლად შედიოდა ჩერნიშევსკის კაბინეტში მ. ა. ანტონოვიჩი იყო, რომელსაც ჩვენ დობროლუბოვის მემკვიდრედ ვთვლიდითო (იხ. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 123).

[10] აქ უნდა იგულისხმებოდეს სტეფანე მელიქიშვილი (1841 — 1886) გაზ. „დროების" გამომცემელი. მან 1864 წელს ნ. ოლობერიძესთან, ვახ. თულაშვილთან და დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად დააარსა სტამბა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა „დროება". ის იყო ცნობილი ქართველი მეცნიერისა და ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის — პეტრე მელიქიშვილის ძმა და სერგეი მესხის ცოლის ძმა. იგი „დროებას" დიდ მატერიალურ დახმარებასაც უწევდა პ. უმიკაშვილის გადმოცემით „ს. მელიქიშვილი დიდად ეხმარებოდა „დროების" გამოცემის საქმეს. უმელიქიშვილოდ „დროებას" იქნებ დიდი განსაცდელი დასდგომოდა" (იხ. „ივერია", 1883 № 8).

II.

[1] ნ. ნიკოლაძე გულისხმობს ნ. სკანდელის ხელმოწერით „დროებაში" დაბეჭდილ თავის სტატიას — „ქვეითათ და რკინის გზაში" (მოგზაურის შენიშვნები), „დროება", 1869, №№ 33, 34. (იხ. ზემოთ პირველი წერილის შენიშვნები— 2 და 6).

[2] იგულისხმება გიორგი წერეთელი (იხ. პირველი წერილის შენიშვნა 3), რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა.

[3] კირილე ლორთქიფანიძე (იხ. პირველი წერილის შენიშვნა 8). გაზეთი „დროება" — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გამოდიოდა 1866—1885 წლებში. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი (1866—1869 წლებში); მის შემდეგ „დროებას" სერგეი მესხი რედაქტორობდა (1869—1883 წლებში); სერ. მესხის დროებით საზღვარგარეთ გამგზავრების დროს „დროებას" რედაქტორობდა კირილე ლორთქიფანიძე 1873 წლის 8 ოქტომბრიდან — 1874 წლის 3 ოქტომბრამდე; 1880—1881 წლებში სერგეი მესხი „დროებას" ილია ჭავჭავაძესთან ერთად რედაქტორობდა. ს. მესხის ავადმყოფობისა და მისი სიკვდილის შემდეგ „დროების" რედაქტორად მის დახურვამდე ივანე მაჩაბელი იყო (1883—1885 წლ.). ნიკო ნიკოლაძე უახლოესი თანამშრომელი იყო გაზ. „დროებისა" 1869—1873 და 1876—1877 წლებში. 1877 წელს ნ. ნიკოლაძე დაშორდა ს. მესხს და საკუთარი ორგანო „ობზორი" დააარსა.

„დროება" ბიბლიოგრაფირებულია მთლიანად (იხ. ქართული ბიბლიოგრაფია). მის შესახებ იხ. ლიტერატურა: 1) „გაზეთ „დროების" 50 წლისთავი" (გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916, № 518); 2) ს. მგალობლიშვილი, — „პირველი ქართული გაზეთი" (გაზ. „სახ. გაზეთი", 1916, №№ 520, 525); 3) დ. კარიჭაშვილი — „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა" (ჟურ. „ქართული მწერლობა", 1929, № 6—7, გვ. 141—142); 4) ს. ხუნდაძე — „სოციალიზმის ისტორია საქართველოში", ტ. II, 1927, გვ. 81—141 — „დროების" სოციალისტური პრინციპები".

[4] მ. ა. ანტონოვიჩი (იხ. პირველი წერილის შენიშვნა 9).

[5] სერგეი მესხის უმცროსი ძმა — ივანე მესხი (1849—1932) გაზეთ „დროების“ და „კრებულის“ თანამშრომელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. 1871 წლიდან იმყოფებოდა ციურიხში უმაღლესი განათლების მისაღებად. აქ იგი იყო ქართველ მოსწავლე ახალგაზრდების წრის — „ულელის“ მდივანი და მისი აქტიური მონაწილე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობდა ქუთაისში, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მდივნად; ქუთაისისა და შემდეგ ბათუმის თვითმართველობის მდივნად, გამგეობის წევრად და სხვ.

III.

[1] გიორგი წერეთელი (იხ. 1 წერილის შენიშვნა 3).

[2] აკაკი წერეთელი გაზეთ „დროების“ უახლოესი თანამშრომელი და მისი რედაქტორის— სერ. მესხის დიდი მეგობარი იყო (იხ. აკაკის და სერ. მესხის მიმოწერა). როგორც ამ წერილიდან ჩანს, იმ დროს აკაკის და ნიკო ნიკოლაძის შორის დროებით ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო იყო რომ მას ასე იხსენიებს. საერთოდ ნ. ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი ერთმანეთს დიდად აფასებდნენ და პირადი მეგობრობაც ჰქონდათ (იხ. ნიკო ნიკოლაძის მიმოწერა აკაკისთან).

[3] ანტონ ფურცელაძე (1839—1913) მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1858 წლიდან თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკარში“. 1869 წლიდან იგი უახლოესი თანამშრომელია ჟურ. „მნათობისა“ (1869—1872 წლებში). 1873—1876 წლების პერიოდში იგი რედაქტორობდა ჟურ. „გუთნის დედას“. აქ მან დაბეჭდა მნიშვნელოვანი წერილები: „მამულის საერთო მფლობელობა“ (იხ. „გუთნის დედა“, 1874, №№ 9, 10, 11); „ბანკების მნიშვნელობა“ (1875, № 9); „სასოფლო წერილები“ (1873, № 17) და სხვ. „გუთნის დედა“ დახურეს 1876 წ. ან. ფურცელაძე უმთავრესად წერდა: ქ ე რ ე ლ ი ბ ე ქ ა ს და ზ უ რ ა ბ მ ო ე ნ ი ძ ე ს ფსევდონიმით. იმ ხანებში ან. ფურცელაძე პოლემიკას აწარმოებდა „დროების“ ჯგუფთან: გ. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან და სხვ. ერთხანს იგი „დროებაშიც“ თანამშრომლობდა.

[4] როგორც ჩანს, ამ გარემოებით აიხსნებოდა, რომ სერ. მესხი „დროების“ 1870 წლისთვის გამოცემის პირობების შესახებ განცხადებაში არ აქვეყნებს გაზეთის მომავალი წლის თანამშრომელთა სახელობით სიას და კმაყოფილდებოდა საერთო-ზოგადი ხასიათის განცხადებით.

„დროება“ განცხადებით იუწყებოდა: „მომავალი წლიდან „დროება“ გადადის ახალი რედაქციის ხელში. წლევანდელი „დროების“ მკითხველები ცოტაოდნათ მაინც იცნობენ ახალ რედაქციას დროებითი რედაქტორობიდან. შემდეგში ის ეცდება, შეძლებისადაგვარათ, მისცეს გაზეთს ჯეროვანი მიმართულება და მომატებული სიცხოველე და გაჰხადოს ყოველგვარი ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო და სასარგებლო ორგანოთ. გაზეთის გაუმჯობესებაში მომავალი წლიდან რედაქციას მოემხრობიან საუკეთესო ჩვენი მწერლები“. (იხ. 1869, № 47).

[5] კირილე ლორთქიფანიძე (იხ. I წერილის შენიშვნა 8).

[6] გიორგი წერეთელი (იხ. I წერილის შენიშვნა 3) იმ დროს უკვე პეტერბურგიდან სამშობლოში იყო დაბრუნებული.

[7] იგულისხმება ს. მესხის ძმა — ივანე მესხი (იხ. II წერილის შენიშვნა 6), რომელიც იმ დროს განათლების მისაღებად პეტერბურგში იმყოფებოდა.

[8] დ. ი. პისარევი (1840—1868) — ცნობილი რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი. 1862 წელს დასწერა წერილი არალეგალური ჟურნალისათვის, სადაც მოითხოვდა რომანოვების ჩამოგდებას. ამ წერილის გამო მას მიუსაჯეს ოთხნახევარი წლით პატიმრობა პეტრე-პავლეს ციხეში. ციხიდან იგი თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. 1865 წელს იგი ციხიდან გაანთავისუფლეს. 1868 წლიდან დაიწყო თანამშრომლობა ნეკრასოვის „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“. იმავე წელს ზღვაში დაიხრჩო.

პისარევის თხზულებათა გავლენა დიდი იყო 60—70-იანი წლების ქართველ მოწინავე ახალგაზრდობაზედ. მისი პოლიტიკურ-სოციალური და ესთეტიკური შეხედულებების გავლენა მოჩანს ქართველი პუბლიცისტებისა და მწერლების (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, სერ. მესხის და სხვ.) ნაწერებშიც. საერთოდ დიდი იყო პისარევის თხზულებების გავლენა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე. მიუხედავად მისი ადრე გარდაცვალებისა, მან მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

IV

[1] ნიკო ნიკოლაძე 1869 წლის აგვისტოში საზღვარგარეთიდან პეტერბურგში დაბრუნდა, სადაც დარჩა დეკემბრის ბოლომდე. 1870 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, პეტერბურგიდან დაბრუნებული, იგი უკვე ქუთაისში იმყოფებოდა.

[2] მ. ა. ანტონოვიჩი (მის შესახებ იხ. I წერილის შენიშვნა 9).

[3] კირილე ლორთქიფანიძე (მის შესახებ იხ. I წერილის შენიშვნა 8).

[4] აქ უნდა იგულისხმებოდეს ნიკო ინაშვილი, ჟურ. „მნათობისა“ და გაზ. „დროების“ ნიჭიერი და მოწინავე თანამშრომელი. გარდაიც-

ვალა სრულიად ახალგაზრდა 1870 წელს. იხ. მისი წერილები — „ქალების განთავისუფლება“, ჟურ. „მნათობი“ (მაისი-ივნისი), 1869, გვ. 1—2; „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი“, ჟურ. „მნათობი“, (მარტი), გვ. 7—8, 1869 წ.; ხელმოუწერელი წერილი — „ზნეობითი, გონებითი და ესთეტიკური გახსნა“, „დროება“, № 36, 1868 წ. და სხვ.

ნ. ინაშვილის შესახებ იხ. ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) წერილი — „ნიკო ინაშვილის სიკვდილზე“, გაზ. „დროება“, 1870, № 45; სიმ. ხუნდაძის — „ნიკო ინაშვილი და ქალთა განთავისუფლების საკითხი“, წიგნში — სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი I, სახელგამი, 1927, გვ. 127 — 141.

[5] აქ იგულისხმება სერ. მესხის ძმა ივანე მესხი, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იყო (იხ. II წერილის შენიშვნა 6).

V

[1] ნიკო ნიკოლაძის მამა — იაკობი შთამომავლობით გლეხი, ხოლო მამამისი მამუკა ნიკოლაძე აბაშიძეების ნაყმევი ყოფილა. ნიკო ნიკოლაძე გადმოგვცემს: — „იაკობი უსწავლელად იყო დარჩენილი; ქართული წერა-კითხვის და ანგარიშის მეტი არა იცოდა-რა. ამიტომ ის არავითარ ხარჯს და მეცადინეობას არ ზოგავდა ჩემი რიგიანად აღსაზრდელად“ (იხ. წარსულიდან, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931).

„ბაბუაჩემი პირველი ქართველი ყოფილა, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე, — რომელსაც ვაჭრობა დაუწყია იმერეთში, იქნება საქართველოშიაც. მანამდე ქართველებში ვაჭრობას თაკილობდნენ და მას მარტო უცხოელები აწარმოებდნენ“ — იაკობ ნიკოლაძე თავისი მამის კვალს გაჰყოლია, ვაჭრობისათვის მიუყვია ხელი და შეძლებულ კაცად ითვლებოდა მაშინ მთელს იმერეთში. იაკობი სავაჭრო საქმეების გამო ხშირად დადიოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და საზღვარგარეთაც (ლაიპციგის იარმუკაში და სხვ.).

„იმ დროს ქუთაისიდან რუსეთში სავაჭროდ მარტო სამი კაცი დაიარებოდა: გორიდან გადმოსახლებული სომეხი პეტრე მღებრელი, აგრეთვე გორელი ფრანგი გაბრიელ ენდრონიკაშვილი და მამაჩემი“ — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე. ვაჭრობით თურმე იმდენად გაითქვა შემდეგ სახელი იაკობ ნიკოლაძემ, რომ ტოლი აღარ ჰყოლია ვაჭრებში.

ვაჭრობის საქმიანობის გარდა, იაკობ ნიკოლაძე საკმაოდ გონებაგახსნილი და ქართული მწიგნობრობის მოყვარეც ყოფილა. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: „მამა-ჩემს ტფილისიდან ყოველი ახალი წიგნი მოდიოდა ქართულ ენაზე, რომელიც აქ იბეჭდებოდა. სიყმაწვილეში ის ერთად იზრდებოდა თურმე გორს ზ. ანტონოვთან, რომელმაც ქართული თეატრის დაარსების შემდეგ, ვორონცოვის დროს, თავი იჩინა ნიჭიერი კომედიებით“. (იხ. წარსულიდან, რჩ. ნაწერები, ტ. I, 1931).

[2] იგულისხმება მწერალი და საზოგადო მოღვაწე — გიორგი წერეთელი (იხ. მის შესახებ I წერილის შენიშვნა 3).

[3] „სასოფლო გაზეთი“ (1868—1880 წ.)—ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი, დაარსდა 1868 წელს. მისი რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: გიორგი წერეთელი (1868 წ.); სერ. მესხი (1869 წ.); გ. წერეთელი (1870—1873 წწ.); პეტრე უმიკაშვილი (1874 — 1880 წწ.). ეს იყო პირველი სასოფლო-საგლეხო პოპულარული გაზეთი, რომელიც უმთავრესად გლეხობისა და სასოფლო-სამეურნეო საკითხებს ეხებოდა. პ. უმიკაშვილის რედაქტორობის დროს 1880 წლის დასაწყისში უსახსრობის გამო დაიხურა.

„სასოფლო გაზეთი“ ბიბლიოგრაფირებულია (იხ. „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ნაკვეთი I, თბილისი, 1940 წ.; მის შესახებ იხ. დ. კარიჭაშვილის „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“ (ჟურ. „ქართული მწერლობა“, 1929, № 6—7, გვ. 149—150).

[4] კირილე ლორთქიფანიძე 1870 წლამდე პეტერბურგში იმყოფებოდა და იქიდან თანამშრომლობდა „დროებაში“. (მის შესახებ იხ. I წერილის შენიშვნა 8).

VI.

[1] გაზ. „დროების“ რედაქტორი სერ. მესხი იმ დროს ცოტახნით ქუთაისში იმყოფებოდა გაზეთის ხელისმომწერთა შესაგროვებლად და სხვა საქმეების გამო, მის მაგიერ გაზეთის გამოშვებაზე ნ. ნიკოლაძე მუშაობდა, თუმცა „დროება“ მაინც სერ. მესხის ხელმოწერით გამოდიოდა.

„დროების“ მეხუთმეტე ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო — „რუსეთის ამბები. ლიფლანდიის აზნაურობის ადრესი ხელმწიფე იმპერატორთან“, გამოვიდა ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით 1870 წლის 20 აპრილს. მასშივე დაიბეჭდა პიერ ბონაპარტეს პროცესის შესახებ — „პოლიტიკა. საფრანგეთი“ (იხ. „დროება“, 1870, № 15, გვ. 2—3).

[2] ფელეტონი „ძველი ჩინოვნიკის გულისტკივილი“, რომელიც ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ (20 აპრილი 1870, № 15, გვ. 1—3), ნ. ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის. ფელეტონი ცენზორის მიერ საკმარისად დამახინჯებული გამოვიდა, როგორც ეს წერილიდანაც ჩანს. შიგადაშიგ მრავალწერტილებით ამოკენკილი ადგილები ცენზორის მიერ შემცირებულ-დამახინჯებული ადგილების მაჩვენებელია.

[3] დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრესძე (1836—1861) 60-იანი წლების ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი. იგი სრულიად ახალგაზრდა—25 წლისა გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მან თავისი თხზულებებითა და ახალი იდეებით დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა თანამედროვეთა შორის, განსაკუთრებით მოწინავე ახალგაზრდობას შორის. იგი განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა აგრეთვე ქართველ მესამოცეანელი თაობათა შორის 60 — 70-იან წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად არის მითითება მის წერილებზე. მისი სტატია იტალიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ იხ. „საქ. მოამბეში" (1863, № 1, გვ. 54—110). კ. ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი დობროლიუბოვის რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა „დროებაში" და „კრებულში".

[4] ლუარსაბ ლოლუა ქუთაისის ქალაქის თავი იმ დროს, რომელიც ეხმარებოდა და ხელს უწყობდა „დროების" გავრცელებასა და გავლენას ქუთაისში. (იხ. „დროება", 1870, №№ 47, 48, გვ. 1); იგი 1876 წელს არჩეული იქნა ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტში.

[5] გერასიმე კალანდარიშვილი (1836—1874) ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, განათლებული, მოწინავე და მაღალი ზნეობის მოღვაწე. დიდი გავლენით სარგებლობდა ახალგაზრდობაში. იგი განიცდიდა დევნას მეფის მთავრობისაგან თავისი მოწინავე იდეებისა და მოღვაწეობის გამო. ქართული სკოლებისათვის მან პირველმა შეადგინა რუსული ენის პირველი სახელმძღვანელო, რომელიც გამოდიოდა 1866 წლიდან.

გ. კალანდარიშვილი თანამშრომლობდა „დროებაში", ეხმარებოდა და ხელს უწყობდა სერ. მესხს გაზეთის გავრცელებას ხელისმოწერის ჩატარებით ქუთაისში. (იხ. „ხელისმოწერა „დროებაზე", გაზ. „დროება", 1870, №№ 47, 48, 49, გვ. 1 და სხვ.). იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ქ. ქუთაისში.

VII

[1] სტეფანე მელიქიშვილი (იხ. I წერილის შენიშვნა 10).

[2] ნიკო ნიკოლაძეს სასამართლო პროცესი ჰქონდა ნოვოსელსკისთან ტყიბულის ქვანახშირის მადნის საქმეზე. ამის შესახებ სერგეი მესხი წერილში — „ნოვოსელსკისა და ნიკოლაძის საქმე" „დროებაში" წერდა: „გუშინ, იანვრის 18-ს თფილისის სასამართლო პალატამ განიხილა სამოქალაქო საქმე, უფ. ნიკოლაძესა და ნოვოსელსკის შუა, ტყიბულის ქვანახშირის თაობაზე, საქმე, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიქცია"... (იხ. „დროება", 21 იანვარი, 1873, № 3, გვ. 4).

VIII.

[1] ნიკო ნიკოლაძე 1873 წლის დასაწყისში რამდენიმე თვით საზღვარგარეთ გაემგზავრა, საიდანაც აგზავნიდა წერილებს — „დროებაში" დასაბეჭდად. სტამბოლიდან 1870 წლის 7 თებერვლის თარიღით გამოგზავნილი ფელეტონი რუბრიკით — „სხვათაშორის" ნ. სკანდელის ხელმოწერით დაიბეჭდა „დროებაში "1873 წლის 24 თებერვალს. (იხ. „დროება", 1873, № 8, გვ. 1—3). წერილში მგზავრის შთაბეჭდილებანი: („ხმელეთმა არ მიმკვლია — სტამბოლის გაზეთებში. — ახალი ამბები. — ახალი ვეზირი. — ოსმალეთის გაღვიძება. — „შუა-აზიის საქმე". — ინგლისელების ბაქიობა. — გერმანელებისაგან ცეცხლის შეკიდება. — საქმის დასკვნა, ყველაფერი კარგია, რაც კარგათ თავდება. — იმედი").

შემდეგი ფელეტონი — პარიზიდან 28 მარტს გამოგზავნილი სათაურით—„სხვათაშორის (ჩვენი ფანტაზიელი კორრესპონდენტისაგან)" „დროებაში" დაიბეჭდა 1873 წლის 20 აპრილს (იხ. „დროება" 1873, № 15). მასში მოცემულია მგზავრის შთაბეჭდილების სახით: „ორი კორრესპონდენტის ბაასი.—პოლიტიკა.— დ. მიქელაძე და „ტრა-ლა-ლა-ლა!" — პარიეში გასეირნება. — ორი პარიეი. — ლეგიტიმისტის სურათი. — სხვადასხვა პარიეელი გაზეთები და მათი მკითხველები. — ირონია ვადღეგრძელოთ!"

საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ეს ფელეტონები — „სხვათაშორის", „დროებაში" დაიბეჭდა ცენზორის მიერ „გაშალაშინებული". ბევრგან შიგადაშიგ ცენზორის მიერ ამოგდებული ადგილები მრავალწერტილებით არის ამოკენკილი.

[2] გიორგი წერეთელი (იხ. I წერილის შენიშვნა 3).

[3] ბესარიონ ჯაფარიძე (1850—1877) გაზეთ „დროების" თანამშრომელი, რომელიც ბ. ჯ-ს ინიციალებით აქვეყნებდა წერილებს. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც 1868—1869 წლებში სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, იჯდა პეტრე-პავლეს ციხეში. 1869 წელს ჟანდარმერიის განკარგულებით იგი გაგზავნილ იქნა თავის სოფელში, რაჭაში და პოლიციის სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. 1870-იანი წლების დასაწყისში მოახერხა ჟენევაში წასვლა და სწავლის გაგრძელება. იქ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველი ახალგაზრდების მიერ დაარსებული საზოგადოება „უღელის" მუშაობაში. იგი მეტად ნიჭიერი და საიმედო ახალგაზრდა იყო. გ. წერეთელი 1873 წლის ბოლოს ციურიხიდან გამოგზავნილ წერილში ნიკო ნიკოლაძეს ბ. ჯაფარიძის შესახებ სწერდა: „ყმაწვილებზე რა გითხრა, ისინი არიან ორი წრისანი: ჟენევაშია ჯაფარიძე, მეტად მოსაწო-

ნი ყმაწვილია, მტკიცე და მაგრათ შეთვისებული აზრებითა. ის თავის გონების ძალით დგას მხოლოდ მაგრათ, ის აზრში და მოქმედებაში დამოუკიდებელი ახალგაზრდა კაცია, ის სხვისი ტვინით და აზრებით არ დადის, მაგრამ არ ვიცი, საქმეში როგორი მხნე გამოდგება" (იხ. ს. ხუნდაძის „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის", 1949, გვ. 114).

სამწუხაროდ ბ. ჯაფარიძე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1877 წელს (იხ. მის შესახებ ივ. მესხის წერილი „ივერია", № 44, 1877 წ.).

[4] 1873 წლის განმავლობაში „კრებულში" გამოქვეყნდა ნ. სკანდელის (ნიკო ნიკოლაძის) მნიშვნელოვანი სტატიები: „ნაპალეონ მესამის ცხოვრება თავი I — XI, (იხ. „კრებული", წიგნი პირველი, გვ. 115—135; წიგნი მესამე, გვ. 65—128); „ახალი ახალგაზრდობა", („კრებული", წიგნი პირველი, გვ. 275—337); „ჩვენი მწერლობა. გრიგოლ ორბელიანი" (თ. გრ. ორბელიანის ლექსები, გამოც. პ. უმიკაშვილისა, თბილისი, 1873), („კრებული" წიგნი მესამე, გვ. 145—202); „სხვათაშორის (ნაგრძნობი და გაგონილი)," („კრებული", მეოთხე წიგნი, გვ. 1 — 236) და სხვა.

IX.

[1] კირილე ლორთქიფანიძემ დროებით იკისრა „დროების" რედაქტორობა 1873 წლის 8 ოქტომბრიდან — 1874 წლის 3 ოქტომბრამდე, სერგეი მესხის საზღვარგარეთ გამგზავრების გამო.

[2] მაქსიმოვიჩი — ცენზორი.

[3] დავით მიქელაძე (1844—1918) 1873 წელს იმყოფებოდა საზღვარგარეთ, პარიზში და სხვაგან, საიდანაც აგზავნიდა პოლიტიკური და სოციალური ხასიათის სტატიებს ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გაზ. „დროებაში" დასაბეჭდად. ცენზურა მის სტატიებს, თავისი რადიკალური ხასიათის გამო, ძლიერ ემტერებოდა და ამახინჯებდა შიგადაშიგ ადგილების ამოგდებით. კერძოდ 1873 წლის „დროების" №30-ში ხელმოუწერლად დაბეჭდილა: „უცხო ქვეყნები. შვეიცარია, სპარსეთი". იქვეა: „ნარევი. ისტორიული სურათები" (საფრანგეთის ნაციონალური კრების შესახებ). ეს წერილები, როგორც ნ. ნიკოლაძის მიერ დ. მიქელაძისადმი 1873 წლის 8 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, დ. მიქელაძის კალამს ეკუთვნის, ცენზორს საკმაოდ შეუკრეჭია. ამის შესახებ წერილში ნ. ნიკოლაძე დ. მიქელაძეს სწერდა: „ცენზურამ გარდაწყვეტით აღგვიკრძალა პოლიტიკური სტატიების და კორრესპონდენციების ბეჭდვა, თუ იმ წყაროებს არ ვაჩვენებთ, რუსულ გაზეთებში, საიდამაც გადმოგვითარგმნია ჩვენი სტატია. აი ეს და მარტო ეს იყო მიზეზი უკანასკნელი შენი სტატიის (№ 30) დამახინჯებისა. ამის გამოისობით აუცილებლათ საჭიროა, რომ შენ დღეის იქით შენი თანამშრომლობის კილო თუ არა ხასიათი (ფორმისა, რასაკვირველია) შესცვალო".

[4] ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს საბანკო საკითხებზე ატეხილი მწვავე პოლემიკა ბესარიონ ღოღობერიძის მომხრეებსა და ნიკო ნიკოლაძის მომხრეებს შორის გამართული. იხ. ამის შესახებ ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძის)— „ქუთაისის ბანკი", „დროება", 1873, № 21; „იმერეთის ამბები", „დროება", 1873, №№ 25, 26, 27; „ბეს. ღოღობერიძის ტიტინი", „დროება", 1873, № 29; „ქუთაისის ბანკის გარშემო", 1873, №№ 34, 35.

ბეს. ღოღობერიძის საპასუხო წერილი — „მოთხრობა ჩემის ოინობისა", „დროება", 1873, №№ 28, 29 და სხვ.

[5] ექვთიმე ხელაძე სტამბის მეპატრონე. ქართული წიგნების გამომცემელი.

[6] „ეგმონტი, ტრაგედია ხუთ მოქმედებათ გოტესი (1788) თარგმნილი გერმანულით გ. წერეთლისაგან", პირველი ნაწილი, დაიბეჭდა „კრებულში", 1873. წიგნი № 5—6, გვ. 1—112; წიგნი № 7, გვ. 31—169; „ეგმონტის" გარჩევა არ დაბეჭდილა „კრებულში".

[7] „კრებულის" მეოთხე წიგნში (1873 წ.) მთლიანად დაბეჭდილია ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) — „სხვათა შორის (ნაგრძნობი და განაგონი)".

[8] „გვართა ბრძოლა საქართველოში" გ. გორისელისა (გ. წერეთლის), იხ. „კრებული" წიგნი 5—6, 1873, გვ. 113—182.

[9] „მგზავრის წიგნები" პირველი ნაწილი გ. წერეთლისა იხ. „კრებული" წიგნი 5—6, 1873, გვ. 189—353; ნაწილი მეორე, „კრებული", წიგნი 9, გვ. 1—151.

[10] ილია ჭავჭავაძის — „გლახის ნაამბობის" გარჩევა ნ. სკანდელისა (ნ. ნიკოლაძის) იხ. „კრებული" წიგნი 5—6, 1873, გვ. 401 — 436, — (სათაურით: „ჩვენი მწერლობა. „გლახის ნაამბობზე", „გლახის ნაამბობი", მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა").

ეს მოთხრობა დაიბეჭდა „კრებულში" 1873, წიგნი I, გვ. 1—95; წიგნი II, გვ. 1—56, წიგნი III გვ. 1—39.

[11] ნ. ნიკოლაძემ ანტონ ფურცელაძის საპასუხო წერილი დაბეჭდა „კრებულის" მეშვიდე წიგნში (ნაცვლად მეხუთე-მეექვსე წიგნისა), 1873, გვ. 171—230, — სათაურით — „ჩემ პიროვნებაზე"; ეს წარმოადგენს პასუხს ჟურ. „მნათობში" ა. ფურცელაძის დაბეჭდილი სტატიისას — „საწყალი კუდაბზიკა!" („კრებულ-დროება" და იმათი ყვინჩილაობა), (იხ. „მნათობი", 1872, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი).

[12] „რუსეთის ცხოვრება (მიმოხილვა)", ნ. სკან-

დელისა (ნ. ნიკოლაძის) იხ. „კრებული“, 1873, წიგნი 5—6, გვ. 355—397.

[13] გათვალისწინებული შინაური მიმოხილვა „კრებულის“ მეშვიდე წიგნში არ დაბეჭდილა; იგი არც შემდეგ ნომრებშია დაბეჭდილი, როგორც ჩანს, ცენზურას დაუკავებია.

[14] „სკაპენის ცუღლუტობა“ (მოლიერისა), თარგმანი აკაკი წერეთლისა, დაიბეჭდა „კრებულის“ მერვე წიგნი (იხ. 1873, გვ. 1—140).

[15] აქ იგულისხმება ივანე მესხის ი. ი.-ს ინიციალებით დაბეჭდილი სტატია — „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში“ (პირველი წერილი), იხ. „კრებული“, მერვე წიგნი, 1873, გვ. 141—166.

[16] კირილე ლორთქიფანიძე.

[17] გიორგი წერეთელი.

[18] 1873 წლიდან ნ. ნიკოლაძესა და ბ. ღოღობერიძეს მწვავე პოლემიკა ჰქონდათ გამართული საბანკო საკითხებზე. ამის შესახებ 1873 წლის 8 აგვისტოს ნ. ნიკოლაძე დ. მიქელაძეს სწერდა: „ბ. ღოღობერიძესთან პოლემიკას ალბათ თვალს ადევნებდი. მოიწერე, თუ ძმახარ, რა აზრისა ხარ შენ ამ პოლემიკაზე და რა შენიშვნები გაქვს ამ საგანზე ჩვენთვის მოსაცემი“.

[19] კონსტანტინე ბებუთოვი გაზ. „Тифлисский Вестник“-ის რედაქტორ-გამომცემელი 1873—1880 წლებში. ნ. ნიკოლაძე ამ გაზეთის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა 1873—1877 წლებში.

[20] ბობომილა (ბოცია) გელეოდორის ასული ზემიანსკაია — ციურიხში ქართველ მოსწავლეთა ახალგაზრდობის მიერ (1873 წ.) დაარსებულ საზოგადოება—„უღელის“ ერთ-ერთი წევრი, ტომით პოლონელი, ნიკო ნიკოლაძის პირველი ცოლი.

[21] ამის შესახებ იხ. გაზ. „Тифлисский Вестник“, 31 ივლისი, 1873, № 80,—„Моншерик к монщеру“ (Открытое письмо), П. Ботин-ის ხელმოწერით. ამის შესახებ 1873 წლის 17 სექტემბერს პარიზიდან ს. მესხი ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილს ციურიხში სწერდა: „...ზემიანსკის ქალს გამოართვი, კეკე, ის №-რი „Тифлисский Вестник“. რომელშიც, როგორც ნიკოლაძე იწერება, ჩვენ გალანძღული ვართ და უთუოდ გამომიგზავნე. მე ძალიან მიყვარს ჩემი ლანძღვის კითხვა“ (წერილის ავტოგრაფი დაცულია ლიტერატ. მუზეუმში).

[22] დავით გიორგის ძე ერისთავმა (1847—1890) გამოაქვეყნა ბიბლიოგრაფია „კრებულზე“, იხ. „Библиография. Сборник (Кребули“), книжка 1-я и 2-я за 1873 год., Д. Эр-ов-ის ხელმოწერით, გაზ. „Тифлисский Вестник“. 1873, № 82, стр. 1—2.

X

[1] აქ იგულისხმება მგზავრის ხელმოწერით დაბეჭდილი — „დროების“ კორრესპონდენცია. სიღნაღი, 26 ივლისი, („დროება“, 10 აგვისტო 1873, № 31), რომელშიაც მხილებულია ადგილობრივი ვაჭრებისა და მოხელეების მიერ გლეხობის შევიწროება მექრთამეობითა და სხვა მოქმედებათა შესახებ.

[2] კირილე ლორთქიფანიძე, სერ. მესხის საზღვარგარეთ გამგზავრების გამო, დროებით რედაქტორობდა გაზ. „დროებას“.

[3] ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს „დროებაში“ დაბეჭდილი სტატიები: „გაკვრა-გამოკვრა“ (იხ. „დროება“ 10 აგვისტო 1873, № 31, გვ. 1—2) და „თანამედროვე სურათები. ანრი როშფორის დაკარგვა“ (იხ. „დროება“, 17 აგვისტო 1873, № 32, გვ. 3—4).

[4] გიორგი წერეთელი.

[5] ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს გ. წერეთლის: „მგზავრის წიგნები“ პირველი ნაწილი (იხ. „კრებული“, 1873, წიგნი № 5 — 6, გვ. 189—353); ნაწილი მეორე. კიკოლიკის ცხოვრება (იხ. „კრებული“, 1873, წიგნი № 9, გვ. 1—251).

[6] ბოცია ზემიანსკაია (იხ. ზემოთ).

[7] მაქსიმოვიჩი — ცენზორი.

[8] კონსტანტინე ბებუთოვი (იხ. ზემოთ).

[9] როგორც წერილიდან ჩანს გაზ, „Тифлисский Вестник“-ის № 80 და № 81 გამოსულა ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, გაზეთის რედაქტორის კ. ბებუთოვის იმ დღეებში ბორჯომში წასვლის გამო.

[10] ნ. ნიკოლაძე გულისხმობს გაზ. „Тифлисский Вестник“-ში დაბეჭდილი ბ. ბოტინის ფელეტონებს: — „Моншерик к моншеру“, 31. VII. № 80, стр. I; „Из воспоминаний туриста“ (с французского), 2. VIII. 1873., № 81, стр. 1—2; „Персидския письма“, II. VIII. 1873, № 84, стр. 1—2.

[11] არწრუნი გრიგოლ (1845—1892) სომეხი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც 1872 წლიდან თბილისში დაიწყო სომხური გაზეთის — „მშაკ“-ის გამოცემა.

[12] გ. ჩიქოვანი ლიტერატორ-მთარგმნელი. თანამშრომლობდა ჟურ. „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.) და „კრებულში“ (1871—1873).

[13] სპარსეთის შაჰი თბილისს ესტუმრა 1873 წლის 17 აგვისტოს.

[14] ივანე მესხი ი. ი.-ს ინიციალებით დაბეჭდილი სტატია — „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში“ (პირველი წერილი) იხ. „კრებული“, მერვე წიგნი, 1873, გვ. 141—166; წერილი მეორე, „კრებული“ წიგნი მეათე, 1873, გვ. 49—94.

XI

[1] ბოცია (ბოტია) ზემიანსკაია (იხ. ზემოთ).

[2] დავით მიქელაძე (მეველე) (იხ. ზემოთ).

[3] იგულისხმება სტეფანე მელიქიშვილი.

[4] „დროების კალენდარი“ პირველად გამოვიდა 1875 წელს (დასაწყისში). მასში დაიბეჭდა

ს. მესხის „დავით ლივინგსტონი“, რომელიც დაწერილია მისი საზღვარგარეთ ყოფნის დროს — პარიზში 1874 წლის 14 თებერვალს.

5 „კრებულის“ გამოსვლა შეწყდა 1873 წელს მეათე წიგნის გამოსვლით, ისე რომ მასში ს. მესხისა არაფერი დაბეჭდილა.

6 პეტრე წულუკიძე — გაზ. „დროების“ თანამშრომელი 70-იან წლებში.

7 ნ. ნიკოლაძე სერგეი მესხს ატყობინებს ი. გოგებაშვილის — თვითმკვლელობის განზრახვით მტკვარში გადავარდნის შემთხვევას, რაც გამოწვეული იყო მაშინდელი განათლების სისტემაში მოკალათებულ მოხელეთა მიერ დევნისა და შევიწროების შედეგად. ბედნიერი შემთხვევით ი. გოგებაშვილი მაშინ გადარჩა მტკვარში დახრჩობას.

XII

1 პავლე იზმაილოვი — თბილისელი სომეხი, საზოგადო მოღვაწე, ახლო მეგობარი ნ. ნიკოლაძის, დ. მიქელაძის, სერგეი მესხისა და გიორგი წერეთლისა; აქტიური მონაწილეობა მიიღო 1873 წელს საზღვარგარეთ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ დაარსებული წრის — „უღელის“ მუშაობაში. მისი მონაწილეობით ნ. ნიკოლაძემ და დავით მიქელაძემ 1873 წელს გამოსცა გექტოგრაფზე დაბეჭდილი არალეგალური, სოციალისტური მიმართულების ქართული გაზეთი „დროშა“ (სულ გამოვიდა ათი ნომერი).

3. იზმაილოვი 90-იან წლებში იყო თბილისის ქალაქის თავი.

2 ბესარიონ ჯაფარიძე.

3 დავით მიქელაძე — მეველე.

4 ბოტია ზემიანსკაია.

XIII

1 გაზეთ „დროებაში“ (№ 33, 31 მარტი 1875 წ.) გამოცხადებული იყო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობაში ასარჩევი კანდიდატები.

ნ. ნიკოლაძის ამ თხოვნის საპასუხოდ გაზ. „დროების“ ღიღურში გამოცხადდა: „საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ როდესაც „დროების წინანდელი (33) ნომერი დაიბეჭდა, იმ დროს უუ. აკაკი და ნ. ნ. სკანდელი (ნიკოლაძე) არ ყოფილან თფილისში“. („დროება“, 1876, № 34, გვ. 2).

2 გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა — „წესდება მიხაილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისს“. (იხ. „დროება“ 1876, №№ 1, 2, 3, 4, 15, 20, 31, 32, 33), რომელიც ნ. ნიკოლაძემ გაარჩია (იხ. „დროება“, № 35, 1876 წ.).

XIV

1 აქ საუბარია ნ. ნიკოლაძის სტატიაზე — „ქუთაისის ბანკის საქმე“, რომელიც დაიბეჭდა „დროებაში“ (იხ. № 35, 1876) მთლიანად, გაუყოფლად. მას დართული აქვს რედაქციის შემდეგი შენიშვნა: „თუმცა კი ამ სტატიას ვბეჭდავთ, მაგრამ სიმართლე ვალსა გვდებს გამოვაცხადოთ, რომ მაგ სტატიაში გამოთქმულს აზრებსა და მსჯელობას არ ვეთანხმებით“.

2 აკაკი წერეთელი იმ დროს „დროების“ განახლებული რედაქციის წევრი და უახლოესი თანამშრომელი იყო.

3 ილია ჭავჭავაძე იმ დროს „დროების“ განახლებული რედაქციის წევრი იყო და გაზეთის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა. გაზეთ „დროების“ არსებობიდან ათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით 1876 წლის 4 მარტს ახალი რედაქცია შედგა: აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის შემადგენლობით.

განახლებული რედაქციის შემადგენლობამ დიდხანს ვერ იარსება. მათ შორის თავი იჩინა უთანხმოებამ საბანკო საკითხების გამო და რამოდენიმე თვის შემდეგ დაიშალა. პირველად ილია ჭავჭავაძემ მიატოვა რედაქცია, ხოლო შემდეგ, 1877 წელს ნიკო ნიკოლაძეც გავიდა.

ილია ჭავჭავაძემ ნ. ნიკოლაძის სტატიას — „ქუთაისის ბანკის საქმე“, სპეციალური წერილი უძღვნა: „უ. ნ .ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“ (იხ. „დროება“, № 39, 1876).

ნ. ნიკოლაძემ ილიას სტატიის საპასუხოდ დაბეჭდა „დროებაში“ — „მრუდე გამოსარჩლება (პასუხი უფ. ილია ჭავჭავაძეს“), (იხ. № 44, 1876).

4 იგულისხმება ბესარიონ, ნიკო და სიმონ (სისო) ღოღობერიძეები.

5 დავით ბაქრაძე ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტში იქნა არჩეული 1876 წლის აპრილში.

6 პეტრე ნაკაშიძე ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტში იქნა არჩეული 1876 წლის აპრილში.

7 ქუთაისის ბანკის არჩევნების დროს 1876 წლის აპრილში ამორჩეული იქნა: ქუთაისის ბანკის მართველობა, მათი კანდიდატები და ზედამხედველი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ბესარიონ ღოღობერიძე, დირექტორები: ნ. ტ. დადიანი, დავით ერისთავი; ამათი კანდიდატები: ნეს. ერისთავი, დ. ა. ლორთქიფანიძე, დ. ბ. ჩხეიძე, ზედამხედველი კომიტეტი: ლუკა ასათიანი, დავით ბაქრაძე, ლუარსაბ ლოლუა, ანტონ ლორთქიფანიძე, ივ. ჯაიანი, პეტრე ნაკაშიძე. (იხ. „დროება“, 1876 წ.).

მეცნიერება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვუკოლ ბერიძე

★

ოდი, ოდიში და ოდოია

„ოდიშიდან“ დავიწყოთ. ნ. მარს ოდიში სიტყვის ეტიმოლოგია ამგვარად აქვს წარმოდგენილი: ო ადგილის პრეფიქსია, რომელიც ქართულ სა პრეფიქსს უდრის; დიშ-ი სახეცვლილი დიხ-ია — ტომობრივი სახელწოდებაა: ო-დიხ-ი, ე. ი. დიხების, ძიხების ანუ ჯიქების ქვეყანაა, მხოლოდ „ხ“ მაგიერ აქ, ამ შემთხვევაში „შ“ გვაქვს, რაც საბოლოოდ ოდიში სიტყვას იძლევაო (Н. Марр. История термина „Абхаз“ გვ. 701).

ი. ყიფშიძესაც ამგვარად ესმის ოდიშის ეტიმოლოგია. იგი მთლიანად იმეორებს ნ. მარს Грамматика мингрельского языка, ლექსიკონი).

რამდენად სწორია ხსენებული ეტიმოლოგია? არაა სწორი!

ნ. მარის ეტიმოლოგია რომ მივიღოთ, მაშინ გამოდის, რომ სამეგრელო ჯიქების ქვეყანა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ოდესღაც, ანდა: ჯიქები იგივე მეგრელები არიან, რაც ისტორიულ სინამდვილეს აბსოლუტურად არ შეეფერება!

ეს გარემოება სრულიად საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ უარგვეყო ხსენებული ეტიმოლოგია.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოვიხმოთ სხვა საბუთი იმის მაუწყებელი, რომ ო ოდიშ-სიტყვაში არ არის პრეფიქსი, არამედ ძირეულია და დავამტკიცოთ, რომ ოდიში ჯიქების ქვეყანა არასდროს არ ყოფილა.

ოდიშ სიტყვაში ო რომ თავსართად ვიგულოთ, მაშინ მას, ო-ს, თავისი შესაფერი ფარდი სუფიქსი ე ან ო უნდა ექნეს, სახელდობრ: ო-დიშ-ე ან ო-დიშ-ო, ე. ი. სა-დიშ-ე, ან სა-დიშ-ო, სხვაგვარად: დიშ-ეთ-ი—დიშების ქვეყანა.

სწორედ ისე, როგორც გვაქვს ო-სიმი(ნ)დ-ე (სასიმინდე), ო-მან-ე, ო-მან-ო (ბუნაგი), ო-გვაჯ-ე (საბუდარი), ო-ხვა-მე (სამლოცველო), ო-ჭვათ-ე, ო-ჭვათ-ო (საწვეთელი) და სხვა მრავალი.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ო-ჯალ-ე-ში, და არა ო-ჯალ-ე-შე ე. ი. ო თავსართი და მისი ფარდი სუფიქსი (ერთი შეხედვით) ში და არა შე!

ეწინააღმდეგება თუ არა ამგვარი წარმოება ზემომოყვანილ მაგალითებს?

არა, არ ეწინააღმდეგება! არის სიტყვა ჯა, ანუ სრულად ჯალი, აქედან იქნება მხოლოდ ო-ჯალ-ე, ე. ი. სუფიქსი იქნება ე და არა ი! მაშასადამე, წარმოება სწორია! ში რაღაა? ში მეორეული წარმოებაა, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ო-ჯალ-ე-ში ანუ ქართულად სა-ძელ-ის-ი (საძელისი!), ე. ი. ძელზე, ხეზე ამყოლი ვაზი. ოჯალეში ქართულად გაგებულია როგორც სახელობითი ბრუნვა.

შეიძლება თუ არა ჩვენ გვქონდეს ო-სიმინდი? არა! მაგრამ ო-სიმინდ-ე, ო-სიმინდე-ში კი.

ერთი სიტყვით, თავსართი ო+სახელი (უკეთ სახელის ფუძე)+ბოლოსართი ე ან ო. ასეთია წესი!

მართალია, ძველად ჩვენ გვხვდება ოდენ-პრეფიქსის წარმოება, მაგ. საგანი (საგანე) საყურ-ი (სა-ყურ-ე), საკაცი (სა-კაცე), სა-ხელ-ი (სახელო), მაგრამ ამგვარი წარმოება, ისიც მეტად იშვიათი, ცნობილია მხოლოდ ქართულისათვის, მეგრულმა ის არ იცის!

ოდიშ-სიტყვაში ო თავსართი არაა და იგი არცგამოიყოფა.

ოდიში-მეგრული ნათესაობითი ბრუნვაა: ოდი-ში, ე. ი. ოდის კუთვნილი რამ, მაგ. ქვეყანა, ოდიში, ოდის ქვეყანა. ნათესაობითი ბრუნვა აქ გამოყენებულია როგორც ადგილის სახელწოდება: ჩხოუ-ში, ქუთე-ში, ჯიხაი-ში, კულა-ში, ტვი-ში, ჩხენი-ში, ცაი-ში და სხვ. მრავალი.

ყველა ეს სახელწოდება, მათ შორის, ოდიში, ქართულში გაგებულია როგორც ნანათესაობითარი სახელობითი.

მაშ: ოდიში—ოდის ქვეყანა!

ვინაა ეს ოდი, რომელმაც მთელ კუთხეს, მთელ ქვეყანას მისცა სახელწოდება?

ოდი ქვეყნის პატრონია, მის მიწაწყალზე დასახლებულთა ღვთაება.

მაშასადამე, ჯერ ღვთაება, ქვეყნის პატრონი და შემდეგ ღვთაებისაგან თვით ქვეყნის სახელწოდება.

შეიძლება თუ არა ასეთი რამ? შეიძლება. არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც ღვთაების სახელწოდებით ისახელება ქვეყანა, მიწა-წყალი, და ამ მიწა-წყალზე დასახლებული ხალხი. მაგ.

„ჰათენა“ — ღვთაება, ჰათენაი“ — ათენი.

„აპოლო“ — ღვთაება, აპოლონია ქალაქები თრაკიასა და მაკედონიაში.

„ჰერაკლეს“ — ღვთაება, ჰერაკლია ქალაქი თესალიაში.

ქალდე—ღვთაება. ქალდია—ქვეყანა, ქალდი—ქალდიის მცხოვრები.

ა ი— ღვთაებაა, კოლხეთის პატრონი, ა ი ა— კოლხეთი[1] და სხვ. და სხვ.

ამისდა მიხედვით:

ოდი—ღვთაებაა, ოდიში—ოდის ქვეყანაა, ოდიშარი — ოდიშის მცხოვრები.

რა ღვთაება უნდა ყოფილიყო ოდი? ო დ ი მიწის ღვთაებაა, იგი მოსავლისა და ჭირნახულის ღმერთია. მაშასადამე, ო დ ი ყველაზე უფრო ახლომდგომია ხალხთან.

ო დ ი ცხოვრების მიმნიჭებელია, ო დ ი ს უმისოდ სიცოცხლე შეუძლებელია, რადგან მოსავალი ის საფუძველია, რომელსაც ემყარება ადამიანის სიცოცხლე, მთელი მისი არსება. ო დ ი **მ თ ა ვ ა რ ი** ღ ვ თ ა ებ ა ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ა.

მაგრამ მოსავლის საქმე ხომ ცვალებადია, იგი ხომ ბუნებაზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით პირველყოფილი ადამიანისათვის, რომელიც მაღალი ტექნიკით არ იყო შეიარაღებული.

სხვაგვარად:

მოსავალი ხან კარგი იცის, ხან ცუდი და ამის გამო, მოსავლის პატრონიც გაურკვეველია, იგი ორჭოფ მდგომარეობაშია, და ეს ორჭოფი მდგომარეობა მოსავლისა ჰქმნის „ორჭოფ“, დუალისტურ შეხედულებას თვით ღვთაებაზე, სახელდობრ: როდესაც გვალვაა, იწვის ყველაფერი, გამრავლებულია მომსვრელი სენი ადამიანისა, მაშინ უკანასკნელის წარმოდგენით, ო დ ი გაბოროტებულია, მან ხელი აიღო ადამიანის მზრუნველობაზე: ო დ ი მოედო ყველაფერს, მან დ ა ა ო დ ა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი. ხოლო, როდესაც ქვეყნად ამინდი დადგა, მოსავალმა პირი იბრუნა, სენი შედგა, მაშინ ოდი კვალად კეთილადაა განწყობილი დედამიწისადმი, კვალად ადამიანის მწყალობელია, ადამიანისათვის სიკეთის მომგვრელია.

ო დ ი ღვთაებაა როგორც მოსავლისა, ისე მოუსავლობისა;

ო დ ი ღმერთია როგორც წვიმისა, ისე მზისა, ანუ როგორც საბა ამბობს: ო დ ი წ ვ ი მ ა-მ ზ ი ა ნ ი ს ნ ა წ უ ყ ე ნ ო ბ ა ა (მზე-წვიმათ ნაწყენი).

მოკლედ: ო დ ი „ზოგჯერ მომცემი პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზადაო“.

აქედან: ოდიში თავდაპირველად (და თითქმის დღესაც!) არამთლიანი სამეგრელოს სახელწოდებაა, არამედ მხოლოდ დაბლობი სამეგრელოსი, სადაც ერთგვარად მაზიანებელია როგორც გარდამეტებული წვიმა, ისე გადაჭარბებული გვალვა.

ადამიანისათვის, მაგ., დიდზე უდიდესი პატიჟია, როდესაც ო დ ი ქვეყნად ჩამოვა და ყანას გაუჩნდება, ანუ, როგორც დ. გურამიშვილი ამბობს:

მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ
პასუხი უყო ცოდვისა:
ცა რისხვით შუა განიპის,
ქვეყანა შეიძროდისა;
ვენახთ უწვიმის სეტყვანი,
მსგავსი ნახეთქი ლოდისა,
და მკალია დასცის ყანებსა,
ქარი უქროდის ო დ ი ს ა.

ერთი სიტყვით, ო დ ი (და აქედან წარმოებული დ ა ო დ ვ ა, დ ა ო დ ვ ი ლ ი მ ო ო დ ვ ი ლ ი და მისთანანი) უხსოვარი დროიდან ცნობილია ჩვენში როგორც ყანის მომსვრელი, მომსპობი და გამანადგურებელი სენი.

აქედან: ო დ ო შ ი. რას ნიშნავს ოდოში? „ნუშთა, ნიგოზთა და ეგევითართა, ცერცვთა, სიმინდთა და ეგევითართა დაუქამებელსა სიმაგრენაკლებსა ოდო-შსა უწოდებენო, ამბობს საბა. მაშასადამე, ოდოში თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ოდის გამო განუვითარებელი, დღენაკლული მცენარეა, შემდეგ: საერთოდ დაუქამებელი და სიმაგრენაკლები მცენარე.

აქედანვეა: ოდოშლერიც.

რაა საჭირო იმისათვის, რომ ო დ ი (ღვთაება) მოლბეს და ქვეყანას სიკეთე მოჰფინოს? საჭიროა მისი მოლმობიერება. როდის? მაშინ, როდესაც მოსახლეობის კეთილდღეობას ფუძე ეყრება, სახელდობრ, ხვნის, თესვისა და განსაკუთრებით თოხნის დროს.

და სწორედ ამ საფუძველზეა აღმოცენებული შრომის სიმღერა ო დ ი ა (სამეგრელოში) და ო დ უ რ ი (კახეთში).

ო დ ი ა და ო დ უ რ ი ძველის ძველი ხალხური სიმღერებია .თავდაპირველად მათ უთუ-

---

[1] Г. Читая. Земледельческие системы и пахотные орудия Грузии. Вопросы этнографии Кавказа. 1952.

ოდ სიტყვები ჰქონდა. შემდეგში, ქრისტიანობის დროს, როდესაც სიმღერა იდეოლოგიურად მიუღებელი შეიქნა, მათ სიტყვები ჩამოაცალეს. სიმღერა უსიტყვოდ დარჩა, მაგრამ სიტყვის დანაკლისს მუსიკა ავსებს.

როგორც ოდოიაისე ოდურიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ყოველ შემთხვევაში სამი ნაწილი მკაფიოდ გამოირჩევა.

სიმღერა მეტად ნელი ტემპით იწყება. უსიტყვო მელოდია არაჩვეულებრივი შიშისა და კრძალვის მაუწყებელია. ჩანს, ღმერთი განრისხებულია და მას მოლმობიერება უნდა. აი, გუნდს გამოეყო კორიფე და ტემპი ააჩქარა, მას გუნდიც აჰყვა, ჩქარი სიმღერა თანდათან ძლიერდება. ღმერთიც მოლბა და პირი იბრუნა ქვეყნისაკენ.

ეს გარემოება მთოხნელთ ახალისებს, და ხალისი სიმღერასაც ემჩნევა. იგი თანდათან მკვირცხლდება, გამარჯვების იერით მიდის და, თავდაპირველად ორპირულად ნამღერი, დასასრულ გაერთიანებული, თოხების აწევითა და ოდო-ოდოიას შეძახილით დიდი ზარითა და ზეიმით მაღლა ჰაერში მეხად, მგრგვინავად განიკვანძება.

ასეთია ოდი და მისგან წარმოებული სიტყვების გავრცელებულობა და მნიშვნელობა ჩვენში.

ჩემი ძირითადი მიზანია, უკეთ, ძირითადი წინასწარი მიზანია ნათელვყო, რომ ნ. მარის ეტიმოლოგია ოდიშისა არაა სწორი, რომ ოდიში დიხების, ჯიხების, ჯიჭების ქვეყანა არაა, რომ ოდიში ოდის (სამეგრელოს ღვთაების) ქვეყანაა.

ყველა დანარჩენი იქ მოხმობილი მასალა მხოლოდ საილუსტრაციო, დამხმარეა.

ყველაფერს ამას, როგორც ძირითადს, ისე დამხმარეს, ცხადია, უნდა დაზუსტება, შევსება, შესწორება.

მაგრამ ძირითადი დებულება მე მაინც დამტკიცებულად მიმაჩნია.

საუბრები ენის საკითხებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ძიძიგური

★

საერთაშორისო სიტყვები

ყოველ კულტურულ ენაში შესულია წყება სიტყვებისა, რომლებიც განეკუთვნებიან ინტერნაციონალურ ლექსიკას. ესაა მეცნიერებისა და ტექნიკის, პოლიტიკისა და ხელოვნების სპეციალური სიტყვა-ტერმინები, რომელთა უმრავლესობა საერთაშორისო წარმოშობისაა. თუ ავიღებთ ასე თუ ისე სრულ „უცხოურ სიტყვათა ლექსიკონს". რომელიც ცალკეულ მეცნიერებათა სპეციალურ ტერმინოლოგიასაც შეიცავს, ვნახავთ, რომ 80.000 — 100. 000 ინტერნაციონალურ სიტყვამდისაა შესული ამგვარი ხასიათის ლექსიკონში. უფრო მოკლე „უცხოურ სიტყვათა ლექსიკონში" დაახლოებით 25. 000 სიტყვაა წარმოდგენილი.

ასეთი ინტერნაციონალური, ეგრეთწოდებული „მოხეტიალე სიტყვები" მსოფლიოში ვრცელდება განსაკუთრებით ახალ საუკუნეებში.

XV—XVI საუკუნეებში საერთაშორისო „მოხეტიალე სიტყვების" კერა იტალიაა, რომელიც წარმოადგენდა ადრინდელი კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყანას. იტალიური ომების ეპოქაში, მაგალითად, საფრანგეთის მეფეების კარზე გაბატონებულია იტალიური მოდები, იტალიური აღორძინების ლიტერატურა და ხელოვნება მისაბაძია, არისტოკრატიის ენა აღსავსეა იტალიზმებით.. ამ ხანაში იტალიზმები ფრანგული ენის მეშვეობით შეიჭრა ევროპის მრავალ ენაში. ესაა უმთავრესად სამხედრო, საზღვაო, საფინანსო, ხელოვნების (არქიტექტურა, მხატვრობა. უფრო გვიან—მუსიკა) და სხვა დარგების ტერმინოლოგია. ეს სიტყვებია, მაგალითად, სალდათი, ბატალიონი, ბრიგადა, ატაკა (სამხედრო ტერმინოლოგია) — ბანკი, კრედიტი, მილიონი (საფინანსო ტერმინოლოგია), — ბალკონი გალერეა, ფასადი, სალონი (არქიტექტურა) და მისთანანი. ეს და მისთანა სიტყვები იტალიურიდან შევიდა ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში...

აბსოლუტიზმის ეპოქაში—XVII — XVIII ს. ს. — მოწინავე ქვეყანა საფრანგეთია. ეკონომიურად ჩამორჩენილი და პოლიტიკურად დაქუცმაცებული გერმანია ამ დროს კულტურული განვითარების მხრივ საფრანგეთის პროვინციას წარმოადგენს. გერმანიის სამეფო კარზე მეტყველებენ და წერენ ფრანგულად, თვით გერმანულ ენაში მოზღვავებულია ფრანგული სიტყვები. ფრანგული ენა გარკვეული დროის მანძილზე „საერთაშორისო ენადაა" მიჩნეული. ევროპის სხვა ქვეყნების არისტოკრატია ბაძავს ფრანგულ არისტოკრატიას...

ფრანგული ელემენტები საერთაშორისო ლექსიკაში თავისი შედგენილობით სხვადასხვაგვარია: უმთავრესად ესაა სიტყვები, აღმნიშვნელი მოდებისა, გართობისა და ეთიკეტისა, კოსტუმებისა, ფუფუნების საგნებისა, კულინარიისა და სხვა. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, მოდა, ტუალეტი, მებელი, ბუდუარი, კორსეტი, პალტო, ასამბლეა ოტელი, ელეგანტური, ილუმინაცია, ეთიკეტი, კომპლიმენტი, დამა, ბულიონი, ომლეტი და სხვ. აქვე შემოდის პრივილეგიური კლასის ყოფითი ფსიქოლოგიის ამსახველი ტერმინები: დელიკატური, ექსტრავაგანტური და მრ. სხვ. ფრანგულისავე მეშვეობით დაინერგა საერთაშორისო ლექსიკაში პოლიტიკური ტერმინები, რომლებიც შედგენილია ბერძნულ-ლათინურის ენობრივი მასალის მიხედვით. ესენია: არისტოკრატია, დემოკრატია, მონარქია, ანარქია, რესპუბლიკა, პროლეტარი, რევოლუცია, კონსტიტუცია, სოციალური, პატრიოტიზმი, კლასი და სხვა, რევოლუციამ საფრანგეთში ეს სიტყვები უფრო და უფრო მკვე-

---

* ჟურნალის სპეციალური განყოფილება — „საუბრები ენის საკითხებზე" მიზნად ისახავს სისტემატურად გააშუქოს ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საენათმეცნიერო საკითხები. რაკი ამგვარ კომპილაციურ წერილებს საუბრების ფორმა აქვთ, ამიტომ გასაგებია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი ამბები აქ დალაგებულია პოპულარულად, ლიტერატურის მიუთითებლად და სპეციალური ტერმინოლოგიის გამოუყენებლად. რედ.

ური გახადა და მათს გავრცელებას დიდი დიაპაზონი გადაუშალა, პოლიტიკური ხასიათის სიტყვებს ახალი აქტუალური შინაარსი მისცა, პოლიტიკური ლოზუნგების ხარისხში აიყვანა. ერთი გერმანელი მწერალი 1801 წელს ამბობდა: მე მინდოდა დამეთვალა, რამდენჯერ წარმოითქვა და დაიბეჭდა სიტყვა რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ევროპაში 1781 წლიდან 1789 წლამდის და 1789 წლიდან 1797 წლამდის; ასეთი შეფარდებაა: 1: 1000 000.

ზოგიერთ სიტყვას, რომლებიც სპეციალურ მეცნიერებებში იხმარებოდნენ, ახალი პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა. მაგალ. მანამდის ბუნებისმეტყველებაში გავრცელებული სიტყვები კ ო ა ლ ი ც ი ა, რ ე ა ქ ც ი ა, ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა და სხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ტერმინებად იქცნენ. რაკი საფრანგეთის რევოლუციამ საერთაშორისო ყურადღება გამოიწვია, ფრანგული პოლიტიკური ლექსიკონიც ამის შესაბამისად სულ მალე საერთაშორისო კუთვნილებად იქცა. 1898 წლამდის საფრანგეთმა შეინარჩუნა მეწინავეობა პოლიტიკური იდეოლოგიის სფეროში. მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საფეხურზე, უტოპიური სოციალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, საფრანგეთიდან გავრცელდა მსოფლიოში ისეთი სიტყვები, როგორიცაა ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი, კ ო მ უ ნ ი ზ მ ი, კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი და სხვა.

XVIII საუკუნიდან იწყება ინგლისის ენობრივი გავლენა მსოფლიოში, ინგლისისა, რომელიც ამ დროს კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყანა.

ინგლისურიდან ვრცელდებიან საერთაშორისო ლექსიკაში უმთავრესად ისეთი სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვაჭრობის, მრეწველობის და ფინანსების, რკინიგზის, ზღვაოსნობის სფეროებს; აქვე შემოდის, აგრეთვე, სალონური ცხოვრების, გართობისა და სპორტის ლექსიკა. ასეთი ინგლისური სიტყვებია, დანერგილი საერთაშორისო ლექსიკაში: პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი, ბ ი უ ჯ ე ტ ი, მ ი ტ ი ნ გ ი, ლ ი დ ე რ ი, ინ ტ ე რ ვ ი უ (პოლიტიკური და საზოგადოებრივი ტერმინოლოგია), კ ა ბ ი ნ ა, ი ა ხ ტ ა, დ ო კ ი, ბ ა ლ ა ს ტ ი (ზღვაოსნობის ტერმინოლოგია, — ვ ა გ ო ნ ი, რ ე ლ ს ი, ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ი, ტ რ ა მ ვ ა ი (სარკინიგზო ტერმინოლოგია) — ი მ პ ო რ ტ ი, ე ქ ს პ ო რ ტ ი, ჩ ე კ ი, ო ბ ლ ი გ ა ც ი ა, ტ რ ე ს ტ ი (ეკონომიური ცხოვრება), — შ ე ვ ი ო ტ ი, პ ლ ე დ ი, შ ა ლ ი (მრეწველობა, — ს პ ო რ ტ ი, ფ უ ტ ბ ო ლ ი, ბ ო ქ ს ი, მ ა ტ ჩ ი, რ ე კ ო რ დ ი, ტ ე ნ ი ს ი, ტ უ რ ი ს ტ ი (სპორტი),—დ ე ნ დ ი, კ ო მ ფ ო რ ტ ი, ტ ო ს ტ ი და მრ. სხვ. ბევრი ასეთი სიტყვა ნაწარმოებია ფრანგული თუ ლათინური სიტყვების ბაზაზე, მაგრამ სწორედ ინგლისურში მიენიჭა მათ ის ახალი მნიშვნელობა, რომელიც დამკვიდრდა სხვა ენებში.

გერმანული სიტყვები საერთაშორისო ლექსიკაში შედარებით მცირეა. ეს იმით აიხსნება, რომ გერმანია XVII — XVIII ს. ს. ჩამორჩენილი იყო ეკონომიურად და კულტურულად შედარებით ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. მართალია, XIX საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ არც იმდენად. გერმანული ენის გავრცელებას ისიც აფერხებდა, რომ ეს ენა არ ეყრდნობა ლათინურს, ლათინურს, რომელიც დასავლეთში ინტერნაციონალური ლექსიკის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. იმ მცირერიცხოვან სიტყვათაგან, რომლებიც შეიჭრა გერმანულიდან ინტერნაციონალურ ლექსიკაში, ერთი წყება ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა; ამ კატეგორიის სიტყვებს ნაციონალური ელფერი არა აქვთ (მაგალ., თ ე ლ ე ო ლ ო გ ი ა, ნ ა ც ი ო ნ ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი..). არის მეორე წყება სიტყვებისა, რომლებიც ითარგმნა გერმანულიდან რომელიმე ენაზე. ასეთია, მაგალითად, ფილოსოფიური ტერმინი Weltanchaung, საიდანაც მივიღეთ ისეთი ბედგენილობის სიტყვა, როგორიცაა, მაგალითად, რუსული мировоззрение, ქართული მსოფლმხედველობა. ამავე რიგისაა კ მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში ნახმარი პოლიტიკური სიტყვები: Klassenkampf— „კლასობრივი ბრძოლა“, Diktatur des Proletariats — „პროლეტარიატის დიქტატურა“, Mehrwert—„ზედმეტი ღირებულება“, Weltmarkt— „მსოფლიო ბაზარი“ და სხვ.

პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში საერთაშორისო ენობრივი გავლენის მძლავრ კერად საბჭოთა კავშირი იქცა. რუსული ენიდან შევიდა საერთაშორისო ლექსიკაში, მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიცაა совет, большевик, меньшевик, колхоз, кулак“... ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს ამბობდა: „ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ სიტყვა „საბჭო“ გასაგები გახდა ყველა ენაზე“ (თხზულებანი, ტ. 29, გვ. 44); „...ყველგან მსოფლიოში სიტყვა „საბჭო“ არათუ გასაგები გახდა, არამედ პოპულარული, საყვარელი გახდა მუშებისათვის, ყველა მშრომელისათვის“ (იქვე, გვ. 283); „სულ მივარდნილ კუთხეებში, იტალიის რომელიმე პოშეხონიეში, იკრიბებიან მოჯამაგირეები და მუშები და აცხადებენ: „ჩვენ მივესალმებით გერმანელ სპარტაკელებსა და რუს საბჭოელებს და მოვითხოვთ, რომ მათი პროგრამა მთელი მსოფლიოს მუშების პროგრამა გახდეს“ (იქვე, გვ. 44).

გარდა ზემოჩამოთვლილი სიტყვებისა, სოციალისტური რევოლუციის ეპოქამ წარმოშვა სხვა ახალი საგნები და ცნებები, რომელთა გამომხატველი სიტყვები პირდაპირი თარგმნის გზით გავრცელდა მსოფლიოს ენებში, ე. ი. იქ-

ცნენ საერთაშორისო სიტყვებად. ასეთი „სოციალიზმებია“: пятилетка — „ხუთწლედი“, გერმ. Fünfjahrplan, ინგ. five year plan, ფრანგ. plan quinquennel; ударник—„დამკვრელი“ გერმ. Stossarbeiter, ინგლ. Shoc-Worker, ფრანგ. ouvrier de choc; социалистическое соревнование—„სოციალისტური შეჯიბრება“, გერმ. sozialistischer Wettbewerb, ინგლ. Socialist competition, ფრანგ. émulation socialiste; самокритика — „თვითკრიტიკა“, გერმ. selbstkritik, ინგლ. selfcriticism, ფრანგ. autocritique და სხვ.

როგორც დავრწმუნდით, საერთაშორისო სიტყვებად მსოფლიოს კულტურულ ენებში გავრცელებულან უმთავრესად ახალი ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვები — იტალიური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული ლექსიკის მასალა. ეს ენებია კერები ისეთი სიტყვებისა, რომელთა დამკვიდრება ყოველ კულტურულ ენაში სავალდებულოა მეცნიერებისა და ტექნიკის, პოლიტიკისა და ხელოვნების საყოველთაო ტერმინებად. ამიტომ ეწოდება ამგვარ საყოველთაო სიტყვებს ინტერნაციონალური სიტყვები.

მაგრამ ინტერნაციონალური ლექსიკის უმთავრესი წყარო მაინც ძველი ენებია — ლათინური და ბერძნული.

საშუალო საუკუნეებში, განსაკუთრებით, კათოლიკურ დასავლეთში ძალიან გავრცელებული იყო ლათინური ენა, როგორც ინტერნაციონალური ენა. ლათინურად იწერებოდა თხზულებები, ლათინური ენა იყო მიჩნეული კულტურის უმთავრეს ენად. ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განთიადზე თანდათან იფურჩქნება დასავლეთის ქვეყნების ეროვნული კულტურა, იქმნება მწერლობა, მეცნიერება, ტექნიკა ნაციონალურ ენებზე, მაგრამ ანტიკური კულტურა მაინც სამაგალითოდაა მიჩნეული და მისი ელემენტები უხვად იჭრება ახალი კულტურული სამყაროს შედგენილობაში.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კულტურის ნაციონალიზაცია სხვადასხვა დროს მოხდა. მაგალითად, საფრანგეთში უნივერსიტეტში ლექციებს ფრანგულ ენაზე (ნაცვლად ლათინურისა) უკვე XVI საუკუნიდან კითხულობენ. ამ საუკუნის ბოლოსთვის უკვე კარგა ძალი ფრანგული წიგნებია დაწერილი მათემატიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, მედიცინის, იურისპრუდენციის, ისტორიის, ენათმეცნიერების, ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის დარგებში. „თუ მე ვწერ ფრანგულად, ჩემი ქვეყნის ენაზე, ნაცვლად ლათინურისა, რომელიც ჩემი მასწავლებლების ენაა, — ამბობდა გამოჩენილი ფილოსოფისი დეკარტე (1637 წ.), — ეს იმიტომ, რომ ვიმედოვნებ, ჩემს შეხედულებებს უფრო შეითვისებენ ისინი, ვინც იყენებს თავის წმინდა ბუნებრივ გონებას, ვიდრე ისინი, ვისაც სწამს მხოლოდ ძველი წიგნებიო“.

გერმანიაში ეს გარდატეხა იწყება XVIII საუკუნეში. პირველ საუნივერსიტეტო ლექციებს უკვე გერმანულ ენაზე (ნაცვლად ლათინურისა) კითხულობს თომაზიუსი (1687 წ.), გამოჩენილი ფილოსოფოსი და მეცნიერი ლაიბნიცი (1646 — 1716) თავის ფილოსოფიურ და მეცნიერულ ტრაქტატებს წერს ლათინურადაც და ფრანგულადაც; მხოლოდ მისი მოწაფე ვოლფი უშვებს სახელმძღვანელოთა მთელ სერიას მხოლოდ გერმანულად. ამ წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს გერმანული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნაში. მიუხედავად ზემოთქმულისა, ლათინური მაინც რჩება ინტერნაციონალურ ენად, და საფრანგეთში, მაგალითად, განათლების სრული ნაციონალიზაცია მხოლოდ რევოლუციის ეპოქის მონაპოვარია.

გასაგებია, რომ ამ პირობებში ლათინური და ბერძნული სიტყვები მძლავრად შეიჭრებოდა ახალი ევროპის კულტურულ ენებში, როგორც ტერმინები ცივილიზაციისა. ერთი ფრანგი ჰუმორისტი (1380 წ.), არისტოტელეს პირველი მთარგმნელი ფრანგულად, იძულებულია აღიაროს, რომ მან ორიგინალის ენიდან (ე. ი. ბერძნულიდან) ისესხა და შემოიტანა ფრანგულ ენაში ისეთი „უცხოური სიტყვები“, როგორიცაა ანარქია, არისტოკრატია, დემოკრატია, მონარქია, პოლიტიკა, ეკონომია, პერიოდი, პოემა, მელოდია და მრ. სხვ.

ცნობილი მწერლის რაბლეს თხზულებებში, მაგალითად, დათვლილია 952 ლათინური და 517 ბერძნული სიტყვა.

ამრიგად, ლათინურ-ბერძნული „კულტურული ტერმინები“ მოზღვავდა ევროპის ახალ ენებში და ეს სტიქიური პროცესი გრძელდება აღორძინების ეპოქიდან ჩვენ დრომდის.

„მეცნიერული“ ლათინიზმებით იმთავითვე სარგებლობდა არა მხოლოდ ისეთი დისციპლინები, როგორიცაა მედიცინა და ფარმაკოლოგია, ქიმია, ბოტანიკა და ზოოლოგია, გეოლოგია და პალეონტოლოგია, რომლებიც საჭიროებდნენ ვიწროსპეციალურ ტერმინოლოგიას სხვადასხვა სახის დაავადებათა და წამლების, ქიმიური შენაერთების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს სახეობების, წიაღისეული ელემენტების აღსანიშნავად. ამასთანავე, მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, ჰუმანიტარული დარგები, ფილოსოფია, პოლიტიკა, ხელოვნება, XIX საუკუნიდან — ტექნიკა უხვად დაესესხნენ ბერძნულ-ლათინურ ენობრივ სამყაროს და ფართოდ დანერგეს ამ ძველი ენებიდან მომდინარე ტერმინები, ამჟამად რომ საერთაშორისო მეცნიერულ ტერმინებადაა მიჩნეული.

არის ისეთი საერთაშორისო სიტყვებიც, რომლებიც არ გვხვდება კლასიკურ ენებში (ბერძნულ-ლათინურში), მაგრამ, შემუშავებულია

ბერძნულ-ლათინური სიტყვიერი მასალის საფუძველზე ახალ ევროპულ ენებში, — ზოგ ბერძნულ-ლათინურ სიტყვასაც ახალი გააზრება აქვს მიღებული.

დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი.

სიტყვა მანუფაქტურა ასეა შედგენილი: მანუს ლათინურია და ნიშნავს ხელს, ფაკერ ნიშნავს გაკეთებას, ე. ი. ხელშრომა, ხელსაქმე. სიტყვა წარმოიქმნა XVI საუკუნეში კაპიტალისტური მრეწველობის გარიჟრაჟზე. ფრანგული რევოლუცია ლათინური ძირეული მასალის საფუძველზეა შექმნილი (ლათინურად ნიშნავდა „უკან დაბრუნებას“) და XVII ს. სამეცნიერო ენაში ეწოდებოდა გადახრას პლანეტების მოძრაობაში, — XVIII ს. ბურჟუაზიულ პუბლიცისტიკაში ღებულობს გადატრიალების, სახალხო აჯანყების მნიშვნელობას, და ეს მნიშვნელობა განამტკიცა საფრანგეთის რევოლუციის მაგალითმა. ინგლისური სიტყვა იმპერიალიზმი დაფუძნებულია ლათინურ სიტყვაზე („იმპერიუმ“), შემოდის ხმარებაში XIX საუკუნეში და აღნიშნავდა ბრიტანეთის იმპერიის კოლონიალური ექსპანსიის პრინციპებს; XX საუკუნეში ეს სიტყვა გამოხატავს სხვა დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ასეთსავე პრინციპებს, ხოლო ვ. ი. ლენინმა ამ სიტყვას ახალი შინაარსი მისცა „იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის“ ანალიზით. ტელეგრაფი და ტელეფონი აღნიშნავენ XIX ს. ტექნიკური გამოგონებებს ბერძნული ძირების გამოყენებით („შორსსაწერი“ და „შორსსასმენი“ აპარატები). ეს უკანასკნელი ეკუთვნის ედისონს. ავტომობილი შედგენილია ბერძნული და ლათინური სიტყვების კომბინაციით (ბერძნ. „ავტოს“ — თვით, ლათ. „მობილის“ მოძრავი, ე. ი. თვითძრავი).

ქართულ ენაში ინტერნაციონალური ლექსიკა ჯერ კიდევ ძველ საუკუნეებში ინერგებოდა (ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან უშუალო კონტაქტის პირობებში). მრავალი სიტყვა გადმოვიდა ახალ საუკუნეებში, განსაკუთრებით XIX საუკუნეში.

რაკი მთელი რიგი საერთაშორისო სიტყვები რუსული ენის გზით გავრცელდა ჩვენს ენაში, ამიტომ მათ ეტყობა ეს „შუალობითი გზა“.

რაში გამოიხატება ეს?

ყოველი ენა თავისებურად გადააკეთებს უცხოურ სიტყვას, დაუმორჩილებს თავის ფონეტიკურ კანონზომიერებას. მაგალითად, რუსულს არა აქვს ბგერა „თ“, ამიტომ იმ უცხოურ სიტყვაში, რომელშიაც „თ“ ურევია, „ტ“-დ გადააკეთებს ხოლმე. არც „ჰ“ აქვს რუსულ ენას, — მის ადგილას „გ“-ს ხმარობს და ა. შ. რაკი ბევრი საერთაშორისო სიტყვა რუსულის მეშვეობით შემოვიდა ჩვენს ენაში, „თ“-ია და „ჰ“ ს შემცველი სიტყვები რუსულისებურად „ტ“-თი და „გ“-თია გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ქართულს აქვს „თ“-„ჰ“ ბგერები. ამით აიხსნება, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში არაიშვიათად გვხვდებოდა, მაგალითად, ესტეტიკა, ტემა, აპატია, ენტუზიასტი, სინტეზი, ფილანტროპია, ტერმომეტრი, ეპიტეტი, ატეისტი და მისთანანი. ბერძნულს ახასიათებს „თ“, გერმანულ-ფრანგულსაც „თ“ აქვს (თუმცა დღეს აღარ გამოითქმის, დაწერით კი „თ“-ს წერენ). ამიტომ ბერძნულ-გერმანულ ფრანგულ საერთაშორისო სიტყვები, რომლებიც „თ“-თია წარმოდგენილი, ქართულშიც „თ“-თივე უნდა გადმოიცეს, და ასეცაა დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში დაკანონებული (ესთეტიკა, სინთეზი, ეპითეტი..). თუ „ტ“ არის ამ ენათა სათანადო სიტყვებში, რასაკვირველია, „ტ“-თივე გადმოიცემა ქართულში (ბეტონი, კაბინეტი, ვიტრინა..).

ასეთივე მდგომარეობაა „ჰ“-ს შემცველ სიტყვებში. თუ რუსულს „ჰ“ არა აქვს და ამიტომ „გ“-თი გადმოგვცემს, მაგალითად, სიტყვებს — гигиена, гимн, галюцинация, гегемония, гипноз, ქართულისათვის ბუნებრივია ასეთი დაწერილობა: ჰიგიენა, ჰიმნი, ჰალუცინაცია..

არევ-დარევა იყო წინათ „გ“-ს შემცველ საერთაშორისო სიტყვებშიც. წერდნენ ღრამატიკა, კატიღორია, ლოღიკა, ტრაღედია და სხვ. (ივ. მაჩაბლის თარგმანებში, მაგალითად. ტრაღედია გვხვდება!). ბერძნული γ მართლაც ნაირნაირი ბგერა იყო. ის ერთი იყო „ი“ და „ე“-ს წინ, სულ სხვანაირი — დანარჩენ შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში ის ისეთი ბგერა იყო, რომ ქართულმა საჭიროდ დაინახა მისი გადმოცემა „გ“-თი (ძველიდანვე ცნობილია გიორგი, გერონტი, მაგისტროსი), ხოლო მეორე შემთხვევაში ბევრგან „ღ“ მოგვცა: პითაღორა, ლიკურღოსი, მაღნისი. ასე რომ, თუ ძველი წესი დარჩა ძალაში, სწორედ ლოგიკა უნდა იწერებოდეს და არა ლოღიკა, ტრაგიკული და არა ტრაღიკული. მაგრამ იმ მეორე შემთხვევაში „ღ“ არ გამოხატავდა ზედმიწევნით γ-საგან განსხვავებულ მეორე γ-ს და ამიტომ შემდეგ ხანებში ორივე γ-ს გადმოცემა ერთმანეთში აირია (მაგალ. დიოღენი), რაკი სალაპარაკო ენაში მეტწილად განიანი ფორმებია გაბატონებული და ეს „გ“ გამართლებულია ისტორიითაც, „გ“ დარჩა ისეთი შემთხვევებისთვისაც, როგორიცაა ლოგიკა და ტრაგიკული, სადაც „ღ“-ს არავითარი საფუძველი არ მოეპოვება, და, მაშასადამე, ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში „ღ“ საზოგადოდ არ გვექ-

ნება. ამგვარად, დღეს გაბატონებულია: ა გ ი ტ ა ც ი ა, ა ლ ე გ ო რ ი ა, გ ე ნ ე რ ა ლ ი, გ ე ნ ი ო ს ი, გ რ ა მ ა ტ ი კ ა, ტ რ ა გ ე დ ი ა, ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი, ლ ო გ ი კ ა... (იხ. სალიტერატურო ქართულის ნომრები, I).

რუსულისავე გავლენით იხმარებოდა წინათ „ხ" ისეთ სიტყვებში, სადაც ბერძნულის კვალობაზე „ქ" უნდა ყოფილიყო ქართულშიც. ამბობდნენ და წერდნენ: ა რ ხ ა ი ზ მ ი, ბ რ ო ნ ხ ე ბ ი, ტ ე ხ ნ ი კ ა, ტ ე ხ ნ ი კ უ მ ი, ტ ე ხ ნ ო ლ ო გ ი ა,, ფ ს ი ხ ი კ ა, ხ რ ო ნ ი კ ა. ხ რ ო ნ ო ლ ო გ ი ა და მისთანანი. რაკი ქართულში „ქ" მკვიდრი ბგერაა, დაკანონდა ზემოჩამოთვლილი სიტყვების ასეთი დაწერილობა: ა რ ქ ა ი ზ მ ი, ტ ე ქ ნ ი კ ა, ფ ს ი ქ ი კ ა...

ქართულ სამეცნიერო ენაში გვხვდებოდა ასეთი პარალელური ფორმები: ზ ო ო ლ ო გ ი ა — ძ ო ლ ო გ ი ა, ზ ო ო ტ ე ქ ნ ი კ ა — ძ ო ო ტ ე ქ ნ ი კ ა, პ რ ო ტ ო ზ ი ა — პ რ ო ტ ო ძ ი ა და სხვა. აქ „ზ-ძ"-თი გადმოცემულია ბერძნული z (ლათ. z zoologia...). ძველი ბერძნულში z მართლაც გამოხატავდა დაახლოებით „ძ"-ს, ხოლო შემდეგ ხანებში მან როგორც ბერძნულში, ისე ლათინურში მოგვცა „ზ". ეს დამკვიდრდა ჯერ კიდევ ძველ სალიტერატურო ქართულში (ზ ა ქ ა რ ი ა, ზ ე ვ ს ი, ზ ე ნ ო ნ ი, ზ ო დ ი ა ქ ო, მ ო ნ ა ზ ო ნ ი, ტ რ ა პ ე ზ ი...). იგივე გამოთქმა „ზ" გაბატონდა ევროპულ ენებში (რუსულში, ფრანგულში, ინგლისურში). ამიტომ „ძ" ქართულშიც გაუმართლებელია და მიღებულია „ზ"-ს შემცვლელი სიტყვები: ზ ე ფ ი რ ი, ზ ო ნ ა, ზ ო ო ლ ო გ ი ა, პ რ ო ტ ო ზ ი ა... (იხ. სალიტერ. ნორმები, I).

უმართებულოდ იყო, აგრეთვე, ქართულში გავრცელებული ევროპის ენებიდან მომდინარე ისეთი სიტყვები, რომლებშიაც გვაქვს „ლა" და „ლუ" ჯგუფები. წინათ ქართულში იხმარებოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, ე ვ ო ლ უ ც ი ა, ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ა, — ი ზ ო ლ ი ა ც ი ა, კ ო მ პ ი ლ ი ა ც ი ა, პ ო პ უ ლ ი ა რ უ ლ ი, მ ა ლ ი ა რ ი ა და მისთ. ამჟამად დაკანონებულია: რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ა, — ი ზ ო ლ ა ც ი ა, მ ა ლ ა რ ი ა... რატომ? ამ სიტყვების სამშობლო ენაში ლ ა-ლ უ გვაქვს (მალარია, რევოლუცია...). რუსულმა ამ ჯგუფების შემცველი სიტყვები ასე გადმოიღო: малярия революция, ე. ი. ля და лю ჯგუფები გაბატონა. ეს იმიტომ, რომ რუსულს ორგვარი „ل" აქვს: მაგარი და რბილი. ქართულისათვის შესაფერისია ლ ა-ლ უ ჯგუფები და ამიტომაა დღეს გაბატონებული მ ა ლ ა რ ი ა — რ ე ვ ო ლ უ ც ი ა-ს ტიპის ფორმები, ისევე როგორც გვაქვს ამგვარი სიტყვების სამშობლო ენაში.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ეგრეთწოდებული ინტერნაციონალური სიტყვები ყველა კულტურულ ენაში შედის, ამგვარი ლექსიკა აუცილებელია ყველა ენისათვის, რომელსაც სალიტერატურო ენა მოეპოვება. მაგრამ ევროპულ ენებს ზოგჯერ აქვთ ამა თუ იმ ინტერნაციონალური სიტყვის შესაბამისი საკუთარი სიტყვა, რომელიც ზუსტად გამოხატავს რომელიმე საერთაშორისო კულტურული სიტყვის შინაარსს. ასეთ შემთხვევაში სასურველია ენამ იხმაროს სწორედ ეს საკუთარი ძირეული სიტყვა, ტერმინად დამკვიდრებული, რათა არ მოადუნოს ენის შესაძლებლობანი და საკუთარი ენობრივი წიაღიდან მომდინარე საჭირო სიტყვას გასაქანი მისცეს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც იგი იბრძოდა რუსული სალიტერატურო ენის გაწმენდისათვის. ლენინი ამბობდა: „რუსულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ. უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე. ვხმარობთ მათ უმართებულოდ. რატომ უნდა ვამბობდეთ „დეფექტი", როცა შეიძლება ვთქვათ ნაკლი ან ხარვეზი (недочеты или пробелы)?

რა თქმა უნდა, — განაგრძობს ლენინი, — როცა ადამიანი, რომელსაც ახლახან უსწავლია საერთოდ კითხვა და განსაკუთრებით გაზეთის კითხვა, იწყებს მის გულმოდგინედ კითხვას, ის უნებლიეთ ითვისებს გაზეთის ენას. მაგრამ სწორედ გაზეთის ენაც იწყებს გაფუჭებას ჩვენში. თუ იმას, ვისაც კითხვა ახლახან უსწავლია, ეპატიება იხმაროს, როგორც ახალი რამ, უცხოური სიტყვები, ლიტერატორებს ეს არ ეპატიებათ. განა დრო არ არის, ომი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვების ხმარების საჭიროების გარეშე?" (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 354).

ზემომოყვანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს დიდი ლენინის სიტყვების სამართლიანი აზრი; ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე უცხოურ სიტყვათა ხმარება მიზანშეუწონელია, უცხოური სიტყვების ბ ო რ ო ტ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ხელს უშლის პარტიას მის საგიტაციო მუშაობაში, მიაწვდინოს მასებს თავისი იდეები ყველაზე უფრო გასაგები და დამარწმუნებელი ენით.

ახლა ჩვენ გავეცნოთ ერთ მიმდინარეობას, რომელიც მოწოდებულია, ხელოვნურად უარყოს ყოველგვარი საერთაშორისო სიტყვა ამა თუ იმ ენაში და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს საერთოდ უცხოური სიტყვების გამოყენებას. სულ წაიშალოს ენებში კვალი ინტერნაციონალური სიტყვებისა — ა ი, ამ რწმენის ადამიანთა ლოზუნგი. ამ მიმდინარეობას პ უ რ ი ზ მ ი ეწოდება.

საფრანგეთში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დიდი მოძრაობა იყო, რათა იტალიური და ლათინური სიტყვები სულერთიანად აელაგმათ ფრანგულ ენაში; გერმანიაში XVII — XVIII

ს. ს. შეიმჩნევა რეაქცია ფრანგული ელემენტების წინააღმდეგ. მაგრამ გერმანიაში პურისტული ტენდენციები უფრო XIX—XX სს. ისახება. გერმახელმა ნაციონალისტ-პურისტებმა 1885 წელს დააარსეს „საერთოგერმანული ენობრივი კავშირი“, რომელსაც საკუთარი ჟურნალიც ჰქონდა. ეს გაერთიანება მიზნად ისახავდა შეექმნათ „იმპერიის ენობრივი სამმართველო“, რომელიც გაატარებდა ახალ ენობრივ პოლიტიკას და ადმინისტრაციული წესით ალაგმავდა ყოველგვარ კულტურულ სიტყვას, შემოსულს სხვა ენათაგან. „საერთოგერმანული ეროვნული კავშირის“ კარნახით, გერმანიის ფოსტის დირექტორმა თავის უწყებაში ალაგმა რამდენიმე ასეული უცხოური სიტყვა და მათ ნაცვლად ხელოვნურად შექმნილი გერმანული ტერმინები გააბატონა; იმავე ხანებში სარკინიგზო უწყებაში აიკრძალა ათასამდე საერთაშორისო სიტყვა; სამხედრო უწყებამ აღკვეთა მთელი რიგი სამხედრო ტერმინები უცხოური წარმოშობისა, და ა. შ ამ გამძვინვარებულ კამპანიას ხელს უწყობდა ოფიციალური ნაციონალისტური პრესა. გერმანელი პურისტების მთავარი იდეოლოგი ენგელი მის მოწინააღმდეგეებს „ეროვნულ ღალატში“ სდებდა ბრალს, რაკი ისინი აღიარებდნენ საერთაშორისო კულტურული ტერმინების გამოყენების აუცილებლობას გერმანულ-ენაში. ერთგან ენგელი ამბობს: „ბასრი დანით უნდა ამოიკვეთოს ეს საბედისწერო სიმსივნე გერმანული ენის, გერმანული ხალხის, გერმანული ეროვნული ღირსების საღ სხეულზეო“. ე ი., ენგელის აზრით, გერმანულ ენაში დამკვიდრებული ინტერნაციონალური სიტყვები, საყოველთაო კულტურული ტერმინები მეცნიერებისა და ტექნიკისა, ხელოვნებისა მავნებელია და აღმოსაფხვრელი გერმანული ენის განვითარების თვალსაზრისით. „ყოველი უცხოური სიტყვა უნდა შეიცვალოს გერმანული სიტყვით“, ირწმუნებოდა „ენათმეცნიერული ოპტიმიზმის“ წარმომადგენელი ენგელი. მან შეადგინა კიდევაც ლექსიკონი, სადაც ყოველ უცხოურ, საერთაშორისო სიტყვას მიწერილი აქვს გერმანული ეკვივალენტი (ლექსიკონის მე-5 გამოცემა 1929 წ. განხორციელდა). აქ მოცემულია მეცნიერებაში დაკანონებული სპეციალური ტერმინების გერმანული თარგმანი. ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი ა ასეა შეცვლილი: „მოძღვრება სხეულის შესახებ“, ბ ი ო ლ ო გ ი ა „მოძღვრება სიცოცხლის შესახებ“, რ ე ვ ო ლ უ ც ი ა — „გადატრიალება“, „სახალხო აჯანყება“, ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი — „სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა“, კ ო მ უ ნ ი ზ მ ი — „ერდგილ-მამულის ერთობა“ და ა. შ.

ცხადია, საკაცობრიო კულტურის საყოველთაო ტერმინების ხელაღებით უარყოფა და მათ ნაცვლად გერმანული ხელოვნური, მრავალსართულიანი რთული სიტყვების (კომპოზიტების) შემოღება არ იქნა ყველას მიერ გაზიარებული.

გამოჩენილი გერმანელი მწერლები წინააღმდეგობას უწევდნენ ფანატიკოს პურისტებს, სასტიკად ილაშქრებდნენ ამ გაუმართლებელი ექსპერიმენტების წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ უდიდესი მწერლები ლესინგი და გოეთე პურისტების თვალსაზრისს კიცხავდნენ და თავგამოდებით იცავდნენ გერმანულ ენაში საერთაშორისო ლექსიკას. აი რას ამბობდა გოეთე 1795 წელს: „ვწყევლი ყოველგვარ ნეგატიურ პურიზმს, რომელიც კრძალავს სიტყვის გამოყენებას მაშინაც კი, თუ უცხოურმა ენამ შექმნა გაცილებით მეტი და უფრო ნატიფი სიტყვები!“

ფ. მერინგი აღნიშნავდა, რომ, როგორც კი მოხვდება ენგელის ყურადღების ასპექტში მარქსიზმის წარმომადგენლები (სოციალისტები), მის მიერ „უსწორობათა“ „მხილების“ ტონი განსაკუთრებით „გაჯავრებული“ ხდება. მაგალ., ენგელი აკრიტიკებს შესანიშნავ სტილისტს ფ. ლასალს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი იყენებს უცხოურ სიტყვას — რ ე ვ ო ლ უ ც ი ა. იგი უარყოფს კ. მარქსის ნაწერებში ისეთ ტერმინოლოგიასაც, როგორიცაა „კაპიტალისტური წარმოების წესი“ და მოითხოვს ამგვარი უცხოური სიტყვების შეცვლას გამოგონილი, ხელოვნური გერმანული სიტყვებით.

ინტერნაციონალიზმების წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩეხი პურისტებიც (XIX ს.). პურისტული ტენდენციები რუსეთშიც იყო. ამ თვალსაზრისზე იდგნენ უმთავრესად მემამულურ-ბურჟუაზიული მწერლები და ორიოდე ენათმეცნიერიც. ცნობილი ვ. ი. დალიც, რომელიც ავტორია რუსული ენის კაპიტალური ლექსიკონისა, ვერ ასცდა პურისტულ შეხედულებებს, რის გამოც სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა განსაკუთრებით ნ. ჩერნიშევსკის მხრივ.

პურიზმმა თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო ქართული ენის სინამდვილეშიაც. ესე, მაგალითად, ერთ დროს იყო ცდა საყოველთაო ტერმინები—პ რ ო ს პ ე ქ ტ ი, ვ ა გ ო ნ ი, ტ ე ლ ე ფ ო ნ ი და სხვ. უკუეგდოთ და მათ ნაცვლად ხელოვნურად შეთხზული სიტყვები გაებატონებინათ: გ ა მ ზ ი რ ი (პროსპექტი), რ ო ნ ო დ ა (ვაგონი, — ვითომ „ოდა“, რომელიც „რონინებს“!), ე ლ ს მ ე ნ ი (ტელეფონი) ს ა ტ უ ც ა ვ ი (კალოშები)... რა თქმა უნდა, ენამ არ მიიღო ამგვარი გაუმართლებელი ტერმინები, ნაცვლად მთელ კულტურულ სამყაროში დამკვიდრებული სიტყვებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი ესთეტიკის საკითხებზე

★

ნ. ჭავჭავაძის წიგნში „ესთეტიკის საკითხები" განხილულია საკმაოდ ფართო წრე საკითხებისა. ესთეტიკური პრობლემების განხილვისას, როგორც წესი, თავს არიდებენ ისეთი საკითხების კვლევას, როგორიცაა საკითხი ესთეტიკისა და მოსაზღვრე მეცნიერებათა ურთიერთობის შესახებ; განხილვის გარეშე რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ესთეტიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობა. ამის გარეშე კი, ცხადია, შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ესთეტიკურის ბუნებაზე. სარეცენზიო წიგნი რამდენადმე ავსებს ამ ხარვეზს.

ნ. ჭავჭავაძე საკმაოდ ეფექტურად აკრიტიკებს ესთეტიკაში გავრცელებულ სხვადასხვა თვალსაზრისებს, მათ შორის საბჭოთა ესთეტიკოსების მოსაზრებებს. საბჭოთა ესთეტიკოსები ბუროვი და ვანსლოვი იმ თვალსაზრისს იცავენ, რომ ხელოვნებას გააჩნია არა მხოლოდ სპეციფიკური ფორმა, არამედ, აგრეთვე სპეციფიკური შინაარსი და საგანი. ნ. ჭავჭავაძეც ამ თვალსაზრისზე დგას და ამ მიმართულებით წამოაყენებს გონებამახვილურ არგუმენტებს; მეორე მხრივ, იგი მსგავსი გონებამახვილობით აკრიტიკებს დასახელებული ავტორების მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა უნდა მივიჩნიოთ ხელოვნების სპეციფიკურ საგნად და შინაარსად.

ვანსლოვი, მაგალითად, ფიქრობს, რომ ხელოვნების საგანია სინამდვილის მოვლენათა ესთეტიკური თვისებები. ეს უკანასკნელები კი გაგებულია, როგორც სავსებით ობიექტური ვითარებანი; ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულად დგება საკითხი ესთეტიკის მეცნიერებისა და ხელოვნების განსხვავების შესახებ; ესთეტიკაც ხომ ამ ესთეტიკური თვისებების ასახვა უნდა იყოს (თუკი ასეთი რამ არსებობს). და მაშინ რაღაშია ხელოვნებისა და ესთეტიკის საგანთა სხვაობა! ვანსლოვი ცდილობს მონახოს აქედან გამოსავალი იმაზე მითითებით, რომ ხელოვნება და ესთეტიკა ამ თვისებებს სხვადასხვა მიზნით ასახავენო. ამგვარი გამოსავალის შესახებ კი ნ. ჭავჭავაძე სავსებით მართებულად აღნიშნავს: „ხელოვნება და მეცნიერება რომ სინამდვილეს (თუ მის რომელიმე მხარეს) სხვადასხვა მიზნით ასახავენ, ეს ასახვის საგნების განსასხვავებლად არ გამოდგება".

ნ. ჭავჭავაძის აზრით ხელოვნების შინაარსისა და საგნის სპეციფიკურ, მეცნიერების შინაარსისა და საგნისაგან განმასხვავებელ მომენტს წარმოადგენს ინტელექტუალურ ელემენტთან თავისებურად გაერთიანებული უშუალო შეფასებითი დამოკიდებულება. ცხადია, ამ თვალსაზრისსაც თავისი სიძნელეები გააჩნია, რომელთაგანაც ზოგიერთს თვითონ ნ. ჭავჭავაძეც ითვალისწინებს, მაგრამ ასეთი თვალსაზრისი ზოგადად ჩვენი აზრით მაინც უფრო დამაჯერებელია (თუ რა ნაკლი ახასიათებს ამ თვალსაზრისის კონკრეტულ განვითარებას ნ. ჭავჭავაძის მიერ, ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

საერთოდ სარეცენზიო წიგნის ღირსება ისაა, რომ მასში საკითხებზე პასუხი არასოდეს არაა მიღებული ერთბაშად, არამედ ყოველთვის სიძნელეების გათვალისწინებისა და გარჩევის გზით. იგი გამოირჩევა ღრმა შინაარსიანობითა და დამაინტერესებლობით; ეს გარემოება კი იმასაც მოასწავებს, რომ სარეცენზიო წიგნი ხშირ დათანხმებასთან ერთად ზოგჯერ დავისა და კამათის სურვილსაც აღძრავს.

როგორც ვთქვით, ნ. ჭავჭავაძეს შედარებით უკეთესი პოზიცია უჭირავს ხელოვნების შინაარსისა და საგნის სპეციფიკის გარკვევის საკითხში; მაგრამ ამ მხრივ მასთანაც ბევრი რამ რჩება სადავო.

ნ. ჭავჭავაძე კარგად გრძნობს იმ სიძნელეებს, რომლებიც თავს იჩენენ ესთეტიკაში ობიექტივისტურ თვალსაზრისის მიღების შემთხვევაში ანუ იმისი აღიარების შემთხვევაში, რომ ხელოვნების საგანი და შინაარსი ფაქტიური ადამიანური ფსიქიკური ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი და, ამდენად, ობიექტური ვითარებაა. მან კარგად იცის, რომ ე. წ. „ესთეტი-

კურ მსჯელობაში", აუცილებლობით მონაწილეობს შეფასებითი მომენტი და რომ, მაშასადამე, მის საგნად და შინაარსად გარკვეული ღირებულება იგულისხმება; ხოლო ღირებულების გააზრება, როგორც სავსებით ობიექტური ანუ ემპირიული სუბიექტისაგან დამოუკიდებელი გარემოებისა, გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. ამ სიძნელეების გამო ნ. ჭავჭავაძე უარყოფს ესთეტიკაში მკაცრად ობიექტივისტურ თვალსაზრისს და ცდილობს შეიმუშაოს ისეთი შეხედულება რომელიც იქნება ერთისმხრივ ობიექტივიზმის ხოლო მეორესმხრივ ფსიქოლოგიზმისა და ანთროპოლოგიზმის (ანუ სუბიექტივიზმის) ცალმხრივობათა დაძლევა. მისი აზრით ხელოვნების საგანი და შინაარსი არც მთლად ობიექტურია და არც მთლად სუბიექტური; იგი სუბიექტურ-ობიექტურია.

ვიმეორებთ, რომ წიგნის ავტორი კარგად გრძნობს ესთეტიკური ობიექტივიზმის სიძნელეებს, (ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აქ და ყველგან ობიექტივიზმის ტერმინის ქვეშ ვგულისხმობთ ისეთ თვალსაზრისს ესთეტიკაში, რომლის მიხედვითაც ესთეტიკური წარმოადგენს სავსებით ობიექტურ გარემოებას). მაგრამ იგი ბოლომდე ვერ ითვალისწინებს იმ სიძნელეებს, რომლებიც ჩნდება ობიექტივიზმისაგან გადახვევის შემთხვევაში. ჩვენი აზრით ობიექტივიზმის ყოველი უარყოფა რამდენადმე მოასწავებს უმართებულო დათმობას ფსიქოლოგიზმისა და ანთროპოლოგიზმის მიმართ.

მართლაც, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, როგორ უნდა მოახერხოს ავტორმა ესთეტიკის განსხვავება ფსიქოლოგიისაგან, თუკი ესთეტიკურობის ნიშანი საგანს გააჩნია მხოლოდ ადამიანის ფაქტიური ფსიქიკური ორგანიზაციისათვის ანუ, რაც იგივეა ემპირიული სუბიექტისათვის? ფსიქოლოგიის საგანია ადამიანი როგორც ემპირიული სუბიექტი და, აგრეთვე, საგანთა ყოველი ისეთი ნიშან-გარკვეულობანი, რომლებიც მათ გააჩნიათ მასთან მიმართებაში და არა მისგან დამოუკიდებლად: და თუკი ესთეტიკურობის ნიშანი სინამდვილის ის ნიშანია, რომელიც მხოლოდ ამ მიმართებაში ჩნდება, მაშინ იგი ფსიქოლოგიის საგანი ყოფილა. აქ საქმეს ვერ უშველის იმაზე მითითება, რომ „ესთეტიკას ესთეტიკურის ბუნება აინტერესებს, ფსიქოლოგიას — ის, თუ რა ხდება ადამიანის ფსიქიკაში ესთეტიკურთან ურთიერთობის. (მშვენიერების ჭვრეტის ან მხატვრული შემოქმედების) დროს „(გვ. 14). საქმე ისაა, რომ ესთეტიკურის ბუნება განმარტებულია როგორც ადამიანის თავისებური დამოკიდებულება სინამდვილესთან ანუ როგორც ისეთი რამ, რაც ჩნდება მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში; ხოლო იმის განმარტების გარეშე თუ რა იგულისხმება აქ ადამიანში შეუძლებელია ესთეტიკურის პრინციპული გამიჯვნა ფსიქოლოგიურისაგან.

ავტორის აზრით სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგისტური თვალსაზრისისადმი დამორჩილებული ობიექტივისტური თვალსაზრისი ჩვენს ესთეტიკაში აუცილებლობით მოასწავებს იმავე დროს „ფიზიკალისტურ" თვალსაზრისს ანუ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მშვენიერება საგნების ფიზიკურ თვისებათა რიგის კატეგორიაა. ასეთი ობიექტივიზმი, ცხადია, სიყალბეა; მაგრამ, ესთეტიკური ობიექტივიზმის შედეგად სრულიადაც არაა საკალდებულო, რომ „ფიზიკალიზმი" მივიღოთ ისევე, როგორც ეს საკალდებულო არაა, მაგალითად, ლოგიკაში ობიექტივისტური თვალსაზრისის აღიარებისას; ლოგიკური ხომ გაგებული გვაქვს, როგორც მკაცრად ობიექტური გარემოება მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიადაც არ წარმოადგენს საგნების ფიზიკურ თვისებათა რიგის კატეგორიას. ამიტომაც, „ფიზიკალიზმის" საფრთხემ ხელი არ უნდა აგვაღებინოს ესთეტიკაში ობიექტივიზმისაგან.

ავტორის აზრით ხელოვნების შინაარსის სპეციფიკას განსაზღვრავს მასში შეფასებითი მომენტის მონაწილეობა; ხოლო შეფასებითი მომენტი გაგებული აქვს როგორც სუბიექტური ხასიათისა. აქედან ღებულობს ავტორი იმ მოსაზრებას, რომ ხელოვნების შინაარსი და საგანი სპეციფიკური მომენტის სახით შეიცავს სუბიექტურ მომენტს. მაგრამ, სინამდვილისადმი ადამიანის შეფასებითი დამოკიდებულება ერთისმხრივ რაღაც სუბიექტური (ადამიანის მიერ შესრულებული) აქტია, მეორესმხრივ მას შეიძლება ჰქონდეს ობიექტური შინაარსი და საგანი; ეს იქნება ობიექტური ღირებულება. ავტორს შეუძლებლად მიაჩნია რაიმე ღირებულების მკაცრი ობიექტურობის აღიარება და ამიტომაა, რომ მას არ სურს მიიღოს ხელოვნების შინაარსისა და საგნის ობიექტივისტური განმარტება. ავტორს თავისი პოზიცია საკმაო არგუმენტაციით აქვს გამაგრებული; მიუხედავად ამისა, მსგავსი თვალსაზრისი დაკავშირებულია ისეთ უხერხულობებთან, რომელთა გამოც, ჩვენი აზრით ავტორისათვის უფრო გამართლებული იქნებოდა ესთეტიკური ობიექტივიზმის დასაბუთების ცდა.

ერთი უხერხულობა მდგომარეობს შემდეგში: ადამიანის განვითარებას მოაქვს მისი თავისუფლებისა და აქტიურობის ხარისხის ზრდა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს ობიექტურ სამყაროსადმი თანხმობისაგან განთავისუფლებას და სუბიექტური მომენტის გაძლიერებას; შემეცნების დაბალი საფეხური — გრძნობადი აღქმა — შედარებით პასიური მდგომარეობაა და მასში ობიექტურობის ხარისხიც ნაკლებია; აზროვნებაში პრინციპულად მეტია ობიექტურობის ხარისხი. გრძნობად აღქმაში ადამიანი ეცნობა

სამყაროს იმ მხრივ, თუ როგორიცაა იგი მასთან მიმართებაში; ხოლო აზროვნების მეობებით ადამიანი სწვდება სამყაროს ისე, როგორიცაა იგი არა მხოლოდ ამ ერთ მიმართებაში გამოვლენილი სახით, არამედ ზოგადად და არსებითად. აღქმა, გრძნობადობა უფრო სუბიექტურია; აზროვნება — უფრო ობიექტური. ამიტომაც, უხერხულია ადამიანის სახელოვნებო მოღვაწეობის სპეციფიკური შინაარსი სუბიექტურად გამოვაცხადოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი (ხელოვნება) ადამიანური მოღვაწეობის დაბალ საფეხურად უნდა ჩავთვალოთ.

ესთეტიკაში ობიექტივისტური თვალსაზრისის დასაბუთებას (რაც აუცილებელია დასახელებულ უხერხულობათა აცილებისათვის) სჭირდება საერთოდ (ანიმე ღირებულების და სპეციალურად ესთეტიკური ღირებულების ობიექტურობის შესაძლებლობის დამტკიცება; ეს თავისთავად არაა მარტივი საქმე, მაგრამ არც შეუძლებელია.

ცხადია, არა ყოველგვარი შეფასების შინაარსი ანუ ყოველგვარი ღირებულება იქნება ერთნაირად ობიექტური ხასიათისა. გრძნობადი აღქმის მსგავსად გრძნობადი შეფასება ანუ შეფასება ფიზიოლოგიურ საარსებო მოთხოვნილებათა საფუძველზე ნაკლებად ობიექტური შინაარსისაა; ე. წ. სულიერ შეფასებათა შინაარსი ანუ სულიერი ღირებულებანი, აზროვნების შინაარსის მსგავსად, უფრო ღრმა და არსებითი ობიექტურობით უნდა ხასიათდებოდნენ. მაგრამ კონკრეტულად როგორ გავიგოთ, რითი გავამართლოთ ღირებულების ობიექტურობა?

ამგვარი გამართლებისა და დასაბუთების საფუძველი უნდა მოგვცეს განვითარების ცნებამ, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ფილოსოფიის ერთერთ ფუნდამენტურ ცნებას. თავისთავად ანუ ობიექტურად ღირებულის ქვეშ უნდა გავიგოთ ყოველივე ის, რაც ასეთია იმისი ძალით, რომ მას, როგორც მაღალ ფორმას, მოითხოვს სამყაროს განვითარების ობიექტური პრინციპი, ობიექტური ტენდენცია. აქედან გასაგები გახდება ადამიანის მიერ სინამდვილის შეფასების შინაარსის ობიექტურობის შესაძლებლობა; ადამიანის მიერ შეფასება ობიექტური იქნება მაშინ, როცა მისი შინაარსი თანხვდება განვითარების ობიექტური პრინციპის, განვითარების ობიექტური ტენდენციის მიერ მოთხოვნილ გარემოებას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ჭავჭავაძის წიგნი „ესთეტიკის საკითხები“ ფრიად დადებითი მოვლენაა ჩვენს ესთეტიკურ ლიტერატურაში. იგი შეიცავს მაღალ ღირსებებს და ამ ღირსებებს არ ამცირებს ზემოაღნიშნული ნაკლოვანება, რამდენადაც ეს უკანასკნელი გამოწვეულია დასახელებული პრობლემის დიდი სირთულით და არა წიგნის ავტორის კვლევის თავისებურებით.

ზურაბ კაკაბაძე

სიმონ ფვერავას მოთხრობები და ნარკვევები

★

ს. ფვერავას წიგნი „მჭედლების უბანში“ მწერლის ოცდაათი წლის ლიტერატურული მოღვაწეობის თავისებური შეჯამება — ანგარიშია. წიგნი ორ ნაწილად იყოფა, პირველში — მოთხრობები, მეორეში — ნარკვევები.

მოთხრობა „ლანქერი“ გამოირჩევა თემატიკური აქტუალობით. ამ მოთხრობაში მწერალმა დაგვიხატა მოქმედ პირების კოლორიტული სახეები, რეალისტურად აღწერა მათი მოქმედება და მისწრაფებანი. ცალკეული გმირები ისე რელიეფურად არის გამოკვეთილი, რომ მკითხველი რწმუნდება, ისინი ნამდვილად ცხოვრებიდან არიან აღებული, ყოველგვარი შელამაზების გარეშე შემოიყვანა ავტორმა მხატვრულ ნაწარმოებში და შეუნარჩუნა გმირებს მათთვის დამახასიათებელი მეტყველებაც კი.

„ლანქერი“ იშლება ომისშემდგომ სოფლის ცხოვრების ფონზე, როცა ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ვაჟკაცებს არა ნაკლები საქმე ელოდათ შინ, ვიდრე ფრონტზე. აქაც ახალი ფრონტი იხსნებოდა. ამ ფრონტზე ტანკების ნაცვლად ტრაქტორები გუგუნებდა. თოფის ნაცვლად თოხი და ბარი აკეთებდა დიდ საქმეს. ამოცანა გარკვეული იყო: სამშობლო ომის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშებასა და სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას მოითხოვდა. ამისათვის მთავარი იყო კადრები, რომლებიც დარაზმავდნენ მასებს პარტიის ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად. და, აი, სოფელ ქარჩხეთში ომიდან ბრუნდება კომუნისტი ლევან ლეშკაშელი, ახალგაზრდა, ბრგე, წარმოსადეგი ვაჟკაცი მრავალი ორდენითა და მედლით მკერდდამშვენებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე პატიოსანი, მაგრამ დროსა და მომენტისათვის შეუფერებელი, უნიათო, ბიკენტი ბოგვეულაძე გრძნობს, თუ როგორ ეცლება ნიადაგი ფეხ-

ქვეშ. ლევან ლეშკაშელი ჯერ მხოლოდ ბრიგადირია, მაგრამ მისი სახით იგი ხედავს აშკარა მეტოქეს, რომლის სასარგებლოდ მუშაობს დრო. ბიკენტის თავმოყვარეობა არ აძლევს საშუალებას თვითკრიტიკულად შეხედოს თავის მოღვაწეობას. კოლმეურნეობაში მოშლილია შრომის დისციპლინა, ეკონომიურად ძალზე ჩამორჩენილია, ამიტომ გაურბიან გლეხები შრომას. აი, რას ამბობს კოლმეურნე კიწი ფაღავა: „ჰმ, კერძო სამუშაოზე არ გახვიდეო! მაშ ვინ არჩინოს ჩემი ცხრა შვილი? კერძო სამუშაოზე სიარულით მიდგას სული. ზოგს ურმებს ვუკეთებ, ზოგს სახლს, ზოგს ჭიშკარს. ასე გამაქვს ეს გაძაღლებული ჩემი თავი“.

ამ სიტყვებს ნამდვილად იტყოდა გლეხი, რომელსაც უვარგისი ხელმძღვანელი ეყოლება. თანაც ისიც ირკვევა, რომ კიწი ფაღავა ზარმაცი და უქნარა კოლმეურნე როდია. არც ბოლი და შაკი საქმეებით არჩენს ოჯახს. იგი მშრომელია, შრომის საფასური მომეცი — ამას მოითხოვს კიწი.

ლევან ლეშკაშელს უნდა, რომ ასეთ ლაპარაკს ბოლო მოეღოს. ეს კი მაშინ იქნება, როცა არტელის ეკონომიკა გაიზრდება, კარიერიზმი და ეგოისტური ზრახვები შორს არის ამ სპეტაკი ადამიანისაგან. მას ერთი მიზანი ამოძრავებს: მშობლიური სოფლის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში გამოიყვანოს, შექმნას მატერიალური დოვლათი და თანასოფლელებს შეძლებული ცხოვრებისაკენ გაუკაფოს გზა.

ლევან ლეშკაშელმა თავისი ბრიგადიდან დაიწყო. ბევრი წინააღმდეგობანი ხვდება მოთხრობის მთავარ გმირს, მაგრამ ლევანი ეყრდნობა აქტივს, კოლმეურნეებს, რომლებსაც დიდი შრომითი გამოცდილება გააჩნიათ მიწის დამუშავების საკითხში.

რაიკომის მდივანი ვალიკო ბუღაძე, რომელიც ძალიან ფერმკრთალადაა მოთხრობაში დახატული, ვერ გაუგებს ლევან ლეშკაშელის გულისთქმას. ლევანს პარტიულ სასჯელს ადებენ. საქმე ისაა, რომ ლევანს მოსავლის გადიდების მთავარ საშუალებად სასუქი მიაჩნია. სასუქი კი კოლმეურნეობას არ გააჩნია, ამიტომ ლევანი განიზრახავს ცხენისწყლის შემოშვებას თავისი ბრიგადის საყანე მიწებში და ასეთი საშუალებით მის მოშლამვას, მის განოყიერებას. ბრიგადირი ამას აკეთებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი სახის ღონისძიება სცილდება არა მარტო ბრიგადის ფარგლებს, არამეო რაიონის ფარგლებსაც. ეს რესპუბლიკის მასშტაბის სამოშაოა.

მწერალმა მიმზიდველად დაგვიხატა ბრიგადირის — ლევან ლეშკაშილის სახე. ლევანი პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის ადამიანია. რაკი დარწმუნდა, რომ შლამი მოსავლის გადიდების აღიარებული საშუალებაა, უკან აღარ დაიხია, ქედი არ მოიხარა მოწინააღმდეგეთა წინაშე. ყოველივე ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ მისი მტკიცე პოზიცია რაიკომის ბიუროს სხდომაზე. ამ სხდომაზე იგი დროებით მარცხდება, მაგრამ ყანების მოშლამვის საქმეს ბოლომდე მიიყვანს და სიმინდის მაღალ მოსავალს მიიღებს.

გარდა ლეშკაშელისა, კარგად არიან ასახული რიგითი კოლმეურნეები: ელისაბედი სათნო და კეთილი ქალია, მრავალი ჭირისა და გაჭირვების მომსწრე, მარიკა ნამდვილი საბჭოთა ქალიშვილია, ცხოვრებისეული სიმართლითაა დახატული მარიკასა და ლევანის სიყვარული რომელიც დაფუძნებულია პატიოსან შრომითი ურთიერთობაზე და მაღალ მორალზე.

დაუჯერებელია ის, რომ კიკილია დარსაველიძემ, ამ უქნარამ და ლაქლაქამ, ცეცხლი წაუკიდოს სახერხ ქარხანას, იმიტომ რომ მარიკას ლევანი უყვარს. თანაც კიკილია ქარხნის დაწვას ლევანს აბრალებს. ეს, სხვა თუ არაფერი, გულუბრყვილობაა. კიკილია თავგზააბნეული დოყლაპიაა. როცა ლევან ლეშკაშელი გამძვინვარებულ ცეცხლს ებრძვის, ერთგან ავტორი წერს „საამქროს მარცხენა კედელი ჩაიწვა, ჩაინგრა და ლევანიც შიგ მოიყოლია, მაგრამ ეს არავის შეუნიშნავს. იმ ადგილას კვამლი ურჩხულივით შავად დაიგრაგნა და მერე ცაში ავარდა“. შემდეგ ქუთაისიდან მოსული სახანძრო რაზმი აქრობს ცეცხლს. ამ ხნის მანძილზე ლევანი ცეცხლში ეგდო და ავტორის თქმით „მხოლოდ თმა შეტრუსული ჰქონდა, ხალათი დამწვარი“. ავტორს უყვარს თავისი გმირი, ეს ბუნებრივია, მაგრამ რა საჭიროა ასეთი დაუჯერებელი სიტუაციაში მისი ჩაყენება? ანალოგიური შემთხვევაა მოთხრობაში „უსახელო მთასთან“. ეს ნაწარმოები მოგვითხრობს საბჭოთა მეომრების ღრმა პატრიოტიზმზე და მეგობრობაზე, მათ საბრძოლო შემართებაზე ხასანის ტბასთან, სადაც იაპონელი იმპერიალისტები ვერაგულად დაგვესხენ თავს ჯერ კიდევ სამამულო ომამდე. მოთხრობის მთავარი გმირია სანდრო ბენდუქიძე. იგი ბრძოლაში დაიჭრება. ჯერ მარცხენა მუხლის ზემოთ, შემდეგ მარჯვენა ძუძუსთან ტყვია ირიბად გაუვლის. „მოტყუვდით, სულძაღლებო, გეგონათ მკერდში მომარტყით! — წამოიძახებს სანდრო“. ალბათ ავტორს სურდა ეთქვა გულში მომარტყით. და ასეთი დაჭრილი დაუძლურებული კაცი შეტევაზე გადასულ თავისი ასეულის მეომრებსაც კი გაუსწრებს. ესა და შემდეგი ეპიზოდები, რომელიც დაჭრილ სანდროს მამაცობას შეეხება, დამაჯერებლობას მოკლებულია. საჭირო იყო მხატვრული ზომიერების დაცვა. მით უმეტეს რომ „უსახელო მთასთან“ ავტორის მიერ საფუძვლიანად არის გადამუშავებული.

მოთხრობები „მჭედლების უბანში“ და „გან-

თიადი“ დაწერილია ამ ოცდაათი წლის წინათ და მწერლის პირველ ნაწარმოებებს განეკუთვნება. ისინი კოლექტივიზაციის პირველ პერიოდს ასახავენ. ამ მოთხრობებში ასახულია გამძაფრებული კლასთა ბრძოლა. ერთ მხარეზე არიან კულაკები და გზააბნეული ზოგიერთი გლეხი, ხოლო მეორეზე მოჯამაგირეები და ღარიბები. მიუხედავად მტრების გააფთრებული ბრძოლისა — ყალიბდება კოლმეურნეობა.

მოთხრობა „გაწყვეტილი სიმის“ პირველი ნახევარი საყოფაცხოვრებო მასალაზეა აგებული. არჩილისა და ფაქიზოს სიყვარული დამაჯერებლად არის ასახული.

„გაწყვეტილ სიმში“ მწერალი უმღერის მარადიულ და უძლეველ სიყვარულს. ფაქიზოს სჯერა არჩილის დაბრუნება, არჩილი ხომ ავტორის თქმით სამშობლოსა და სიყვარულის დასაცავად წავიდა ფრონტზე. მოთხრობის ბოლო სტრიქონები სიცოცხლისა და სიყვარულისადმი დიდ გამამხნევებელ სიმღერად გაისმის. ფაქიზოც, ამ სიმღერით, მართალია, სევდიანი, მაგრამ მაინც ჯანსაღი სიმღერით ცოცხლობს.

„საზღვარზე“ სამოქალაქო ომის თემას ეხება. მასში მოცემულია რუსი და ქართველი ადამიანის მეგობრობა. ზინაიდა ტიპიური წარმომადგენელია რუსი ადამიანისა. ავტორმა, სიყვარულით დაგვიხატა ამ კეთილი, გულის ქალიშვილის სახე. ასევე კარგად არის გახსნილი ქართველ რევოლუციონერის, ჯოტოს, ხასიათი.

„შინდის ჯოხის“ თემა ეხება პირველ მაისობას, რომელიც ჩატარდა 1901 წელს. ამ მაისობაში აქტიურად მონაწილეობს მუშა იაგორა, რომელსაც პოლიციელები კლავენ. მაგრამ მამის გზას აგრძელებს მისი შვილი ხუტუნია.

წიგნის მეორე განყოფილება უჭირავს ნარკვევებს, რომელთაგან გამოირჩევა „შეხვედრა ტარიბანაში“. იგი ექვსი ნარკვევისაგან შედგება: „დარაჯი და სტუმარი“, „წარსულიდან“, „მილარზე“, „მკა ჯაფარიძეში“, „შეხვედრა ტარიბანაში“, „თავმჯდომარის კაბინეტში“. ყველა ნარკვევი ერთმანეთთან სიუჟეტურად დაკავშირებულია და ერთ მიზანს ემსახურება: გვიჩვენოს ახალი, საბჭოთა შირაქი და მისი აყვავებისათვის მებრძოლი ადამიანები. ამ მიზანს ავტორი წარმატებით აღწევს.

ალ. კოკაია.

ქართული ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“

★

დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა ქართული ზღაპრის „მიწა თავისას მოითხოვს“ ფრანგული და ინგლისური თარგმანები, რომლებიც ცალკე წიგნებად დაიბეჭდა პარიზს.

ამ ზღაპარს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში. ზღაპარში ორიგინალურადაა გადაწყვეტილი უკვდავებისა და მშვენიერების თემა, იშვიათი მსოფლიო ფოლკლორისათვის. ამ ფილოსოფიური ქართული ზღაპრის სიუჟეტზე კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა ცნობილი ნოველა „მშვენიერება“. ერთ ფრანგ კომპოზიტორს თურმე ოპერის შექმნაც განუზრახავს ამ იშვიათი ზღაპრის მიხედვით (ეკეთ. თაყაიშვილს უამბნია მიხეილ ჩიქოვანისათვის).

ზღაპრის „მიწა თავისას მოითხოვს“ ფრანგული და ინგლისური თარგმანები რუსულიდანაა გადაღებული. ფრანგი მთარგმნელი გვამცნობს: ეს ლეგენდა „კავკაზ“-ში იყო გამოქვეყნებული და იქიდან ვთარგმნეო. („Кавказ“, 1897 г., 13 апр., № 98, стр. 4. „Земное — земле“, Грузинская сказка).

ზღაპრის რუსული თარგმანის ტექსტი, რომელიც საფუძვლად დაედო ფრანგულ თარგმანს, ძირითადად ისეთივეა, როგორიც იგი თედო რაზიკაშვილმა ჩაიწერა. მხოლოდ: თედოსეულ ჩანაწერში გმირის სახელი არ მოიხსენიება, რუსულ თარგმანში კი გმირის სახელია „როსტომ“, „როსტომელა.“

იდეა ზღაპრისა „მიწა თავისას მოითხოვს“ ასეთია: მიწა თავისას მოითხოვს, არაფერია ქვეყნად უკვდავი, მხოლოდ მშვენიერება — სილამაზეა მარადისი უკუნისამდე. „მშვენიერება“ — ასეთია სათაური ამ ზღაპრის ფრანგული და ინგლისური თარგმანებისა.

ფილოსოფიურობით „მშვენიერება“ ამირანის თქმულებას უტოლდება, ენის ლაპიდარულობით — საბას არაკს. ლირიულობითა და ხატოვანებით — „ეთერიანს“. გმირი ზღაპრისა „მიწა თავისას მოითხოვს“ ამბობს: „განა მე ვთხოვე ღმერთს გამაჩინეო? მომცა სიცოცხლე და კვლავ მიაქვს? ეს უსამართლობაა!.. რაც არ უნდა დამიჯდეს მაინც მოვძებნი ადგილს, სადაც სიკვდილი არაა“.

უკვდავების მძებნელი ვაჟი იქაც კი არ რჩება, სადაც მანამდის იცოცხლებს, ვიდრე ირმის რქები ცამდი გაიზრდება, ვიდრე ყვავი კენჭებით ამოავსებს უფსკრულს, — „თუ ვიცოც-

ხლებ, უნდა მუდამ ვიცოცხლოო“. მთელი მსოფლიო მოიარა ყრმამ, ქვეყნის კიდესაც მიაღწია, მაგრამ ყველგან არის სიკვდილი; მარადიული სიცოცხლის ქვეყანა კი-არსადაა.

მერე ზღვის პირას ერთ ბროლის კოშკში ულამაზეს ქალწულს შეხვდა. მის სიტურფესთან მზეც კი დაკარგავდა ნათელს. ვაჟს ჰგონია ყმაწვილი ქალი 16 წლისა იქნებაო. არა! ქალი ეუბნება: „მე შექმნის პირველ დღესა ვარ გაჩენილი და სულ ასე ვიქნები, როგორც მხედავ, ვიდრე ქვეყანა-სოფელი იარსებებს. მე ვარ ბედნიერება და ჩემშია ცხოვრების აზრი. მე „ტურფა“ მქვია. მაგრამ, მოკვდავო, გეტყვი, რომ მხოლოდ ჩემით ცხოვრება, მხოლოდ ჩემთან ცხოვრება ადამიანს არ შეუძლია. კაცი მიწისაგანაა შექმნილი და მისი მოვალეა.. თუ გსურს დარჩი ჩემთან. ვიდრე მე მიცქერ, შენ არ ეკუთვნი მიწას. ჩემს სასახლეში სიკვდილი არ შემოდის.“ ვაჟი რჩება აქ. ათასი წელი ათას წუთივით გაივლის. ხალხი ხომ ასე აღიქვამს დროს „წუთისოფელი“. ვაჟს მოენატრება მშობლები, და არ ჯერა, რომ ამოდენა დრომ განვლო და მისიანები აღარ იქნებიან.

ხალხს არ მიაჩნია, რომ „ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე“ („დაბადება“, 1884 წ. გვ. 239). ყოველი იცვლება. სამშობლოში დაბრუნებულ ვაჟის ენას ხალხი ძლივს იგებს,—ასე ძველ მატეანეებში წერიაო. დაცემულან ძველი ქალაქები და ახლები შექმნილან. „დედამიწა იცვლიდა პირს“, ვიდრე ვაჟი ყმაწვილ ქალთან იყო. მიწა თავისას მოითხოვს; მარადიული სიცოცხლის მძებნელი კვდება, „ოდეს ყოველნი მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი“,—X საუკუნის პოეტ რატი ორბელის სიტყვით რომ ვთქვათ. ამაო იყო მარადიული სიცოცხლის, უკვდავების ძებნა.

მაგრამ ზღაპრის მორალი არ არის ასკეტიზმის, უიმედობის, ამაოთა ამაოების იდეა, თუნდაც მხოლოდ იმით, რომ ამ ზღაპრის მიხედვით, ყველაფერზე დომინირებს სილამაზე — მშვენიერების უკუნისამდე უკვდავების იდეა. მშვენიერება გაჩენის დღიდან თან სდევს ცხოვრებას. ამ ზღაპრით „ქართველმა ხალხმა დიდბუნებოვანთათვის დამახასიათებელი მსოფლშეგრძნების საუკეთესო ნიმუში მოგვცა“.— წერს მიხეილ ჩიქოვანი; ეს ზღაპარი „წარმოადგენს ფილოსოფიას ძველი ერისა, რომელმაც დროთა ბერვარამს გაუძლო“,—წერს ინგლისელი კარინგტონი.

ეს ნათელგონიერი გამსჭვალულობა ცოცხლდება ბარათაშვილის პოეზიაშიც, ესე იგი დღევანდლამდე მოგვიტანია ის, რომ თვით სანუკვარ სიყვარულსაც „აცისკროვნებს მშვენიერება“, რომ „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დაბერებს.“

ეს მართლაც საამაყო ჩვენი ქართული ზღაპარი უკვდავების ძიების მოტივით ათასწელთა გადალმა ბაბილონს შექმნილ ეპიკურ ნაწარმოებს „გილგამეშ“-ს ეხმაურება; ეხმაურება მსოფლიოში ცნობილ „აგასფერის ლეგენდას“ („Эта легенда искусно соединяет в себе и заветную мечту человека о бессмертии..“ Горький), რომელიც თავისი ძირებით ქრისტეს ეპოქის მიღმა იკარგება. უთუოდ საუკუნეებს მოითვლის „მიწა თავისას მოითხოვს“. ამ ზღაპარს „თაობა თაობას გადაცემდა ჯერ კიდევ ქრისტემდე“, — წერს ინგლისელი კარინგტონი.

ასეთია ზოგადად ღირებულება ამ ქართული ზღაპრისა, რომელიც ფრანგულად სთავმნა ბარონ დე ბაიმ (1853—1931). აქვე უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა საქართველოს ამ მეგობარზე.

დე ბაი ფრანგია, არქეოლოგ—ეთნოგრაფი. მრავალგზის ყოფილა ჩვენში. მისი მრავალი წიგნი ჩვენს მხარეზე, მდიდარი აღწერილობით და მეცნიერული მასალით, გარკვეული ყურადღების ღირსია. დე ბაის გადაუღია „საპროექციო სურათები“ აკაკიზე და საერთოდ საქართველოზე. ეს მასალა საფრანგეთის გეოგრაფიულ საზოგადოებაში უნდა იყოს.

დე ბაი მეგობრობდა ილიას, აკაკის, თ. სახოკიას, ე. თაყაიშვილს, გ. გაბაშვილს და სხვებს. 1898 წელს საქართველოში ყოფნისას ილიასადმი ნაჩუქარ საკუთარ ნაშრომზე „კავკასიის ქედის სამხრეთით“ დე ბაიმ ფრანგულად დააწერა: „პოეტს, შვილს მშვენიერი ქვეყნისა, სადაც მარად მზე ნათობს. „Тифлис. 12 nov 1899. Сосико де Бай“. ფრანგული „ეოზე“ ქართულ „სოსიკო“-დ გადაუკეთებია.

ილიას დე ბაისათვის საკუთარი სურათი უჩუქებია, წარწერით: „ბარონს დე ბაის. ილია ჭავჭავაძე. ტფილისი, 1899.“ ეს სურათი დე ბაიმ 1900 წელს გამოცემულ საკუთარ პატარა წიგნ „ტფილის“-ში გამოაქვეყნა. ამავე წიგნაკშია გიგო გაბაშვილის სურათი დე ბაისადმი ნაჩუქარი 1899 წელს.

დე ბაიმ მთელი საქართველო შემოიარა. ყოველივე ამას დე ბაი ფრანგული პათეტიკით აღწერს მრავალ გვერდზე წიგნისა „კავკასიის ქედის სამხრეთით“. „ქართველ ერს აქვს ისეთი ტრადიციები და ხასიათები, რაც იმის ღირსია, რომ შევიცნოთ ისინი და შევტრფოდეთ მათ. ამ ერს ახასიათებს დიდი აზრები და ზოგჯერ პირდაპირ გენიალური თვისებები“. ამის ნათელსაყოფად სხვა მაგალითებს შორის დე ბაის მოაქვს ოდნავ შემოკლებული თარგმანი ზღაპრისა „მიწა თავისას მოითხოვს“.

შემდეგ ამ ზღაპრის სრული თარგმანი დე ბაიმ 1900 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პარიზს. ყდას აწერია: „La Beaute, Legende Georgienne“

ე. ი. „მშვენიერება, ქართული ლეგენდა...“ წიგნს დართული აქვს 6 ილუსტრაცია. საინტერესოა „ტურფას“—მშვენიერების სურათი. ეს არის ტიპიური ქართველი ქალი. ქართული ზეპირსიტყვიერებისადმი ინტერეს დე ბაი შემდგომაც იჩენდა. 1901 წ. გურიაში დე ბაის ჩაუწერია სხვადასხვა თქმულებები. „ეს ლეგენდები, ეს ძველი თუ თანამედროვე სიმღერები... ხელს გვიწყობენ გავიცნოთ ნიჭიერება და პიროვნება ამ პატარა ერისა, რომლის ხასიათი, გაქღენთილი პატრიარქალური და ბიბლიური ზნე-ჩვეულებებით, სავსეა მომხიბველელობით“,—წერდა იგი ქართული ფოლკლორის ამ ძეგლებზე.

1932 წ. დე ბაის მიერ ნათარგმნი ქართული ზღაპარი ინგლისურად გადაიღო და გამოსცა ცალკე წიგნად ბელ კოლბი კარინგტონმა სათაურით „Beauty“ (მშვენიერება). ყდაზე გამოხატულია სიმბოლური გაშლილი ვარდი. თარგმანი უზუსტეს სიახლოვეშია დე ბაისეულ ტექსტთან.

ინგლისელი მთარგმნელის მცირე წინასიტყვა სავსეა ქართველი ერისადმი დაუფარავი სიყვარულით და პატივით. და წარმოდგენას იძლევა თუ როგორ აშუქებს ევროპელი მთარგმნელი ქართული ფოლკლორის ამ ძეგლს და საერთოდ საქართველოს:

„დიდი სიამოვნებით ვაწვდი ჩემს მკითხველებს საქართველოს, ოქროს ვერძის ქვეყნის, ამ ლეგენდას, რომელსაც თაობა თაობას გადაცემდა ჯერ კიდევ ქრისტემდე, და მთქმელები დღესაც ამბობენ მას კავკასიის მთებსა თუ ტფილისის განათლებულთა სახლებში. იგი წარმოადგენს ფილოსოფიას ძველი ერისა, რომელმაც დროთა ჭირვარამს გაუძლო.

ლეგენდა „მშვენიერება“ მხოლოდ ორჯერ დაიბეჭდა. ჯერ რუსულ გაზეთ „კავკაზ“-ში გამოქვეყნდა და აქედან ფრანგულად თარგმნა და გამოსცა პარიზს 1900 წელს ბარონ დე ბაიმ; ის იცნობდა საქართველოს და უყვარდა იგი. აქედან მე გავაკეთე ჩემი ეს თარგმანი.

მხოლოდღა ვიმედოვნებ, რომ ჩემმა მკითხველებმა ეგების იგრძნონ მისი მომჯადოებლობა, როგორც მე ვიგრძენი, გაეღვიძოთ ინტერესი დიდებული ისტორიის ამ უბედურ ერისადმი, ჩვენი რასის აკვანისა, ქრისტიანობის ბურჯისა საუკუნეთა მანძილზე ურწმუნოთა თავდამსხმელ ურდოების წინააღმდეგ, ერთადერთი ქვეყნისა, რომლის შვილებს ნება ჰქონდათ შესულიყვნენ იერუსალიმს გაშლილი ბაირაღებით—ქვეყნისა, რომელიცაა საქართველო.

ბელ კოლბი კარინგტონ.“

„ქართული მითოლოგია ფილოსოფიამდელი საფეხურია ადრინდელი ქართველების წარმოდგენათა განკითარებისა, როგორც ეს მოცემულია მის მთავარ ძეგლში—„ამირანი“, სწერს შ. ნუცუბიძე. ფილოსოფიამდელი ნაზრევის ელემენტებიდან დასახელებულ ძეგლში შ. ნუცუბიძე საგანგებოდ გამოჰყოფს ორ პრობლემას: „ადამიანის ბედის საკითხი“ და „შეხედულება მიწის ძალის შესახებ“. ქართულ ფილოსოფიურ წარმოდგენათა ამავე საკითხებს არკვევს „მიწა თავისას მოითხოვს“. ამ ნაწარმოების გმირისათვის, როგორც ამირანისათვის, დაუძლეელი რჩება მიწის ძალა და ბედის ძალა. თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი, რაც ანათესავებს ქართული ზეპირსიტყვიერების ძეგლს „მიწა თავისას მოითხოვს“ „ამირანთან“, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული ფილოსოფიის ისტორიას ფილოსოფიამდელი ხანის ბევრ პრობლემას, ცხადყოფს იმ უაღრესად დიდ მნიშვნელობას, რაც ენიჭება ზღაპარს „მიწა თავისას მოითხოვს“.

ირაკლი კენჭოშვილი

თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ფილოსოფიაში

★

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის 1957 წ. თათბირის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია: „გმობენ რა დოგმატიზმს, კომუნისტური პარტიები თანამედროვე პირობებში მთავარ საფრთხედ თვლიან რევიზიონიზმს, სხვანაირად რომ ვთქვათ, მემარჯვენე ოპორტუნიზმს, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებას, რომელიც ბოჭავს მუშათა კლასის რევოლუციურ ენერგიას, მოითხოვს კაპიტალიზმის შენარჩუნებას ან აღდგენას“.

სკკპ XXI ყრილობამ რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩათვალა. ამიტომ განსაგები უნდა იყოს ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია

ო. ბაკურაძე, თანამედროვე რევიზიონიზმი ფილოსოფიაში, „საბჭოთა საქართველო“, 1959,

ო. ბაკურაძის წიგნმა „თანამედროვე რევიზიონიზმი ფილოსოფიაში“.

თანამედროვე რევიზიონიზმი, რომელიც ახალი მოვლენა არ არის და არც ძველი რევიზიონიზმის უბრალო განმეორებას წარმოადგენს, პირდაპირ კავშირშია ძველ, მე-19 საუკ. დასასრულისა და მე-20 საუკ. დასაწყისის რევიზიონიზმთან. ამ კავშირის დასახასიათებლად წიგნში მოცემულია რევიზიონიზმის მოკლე ისტორია („რევიზიონიზმის ისტორიიდან“). ძველი და თანამედროვე რევიზიონიზმის კავშირის დახასიათებით ო. ბაკურაძე ერთი მხრივ შუქს ჰფენს რევიზიონიზმის განვითარების კანონზომიერებას, ხოლო მეორე მხრივ ცხადყოფს თანამედროვე რევიზიონიზმის კლასობრივ და პარტიულ მიზანდასახულობას და, მაშასადამე, მისი კრიტიკის მნიშვნელობასაც.

წიგნში სამართლიანად არის ნაჩვენები გ. პლეხანოვის ღვაწლი ფილოსოფიური რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მარქსისტული ფილოსოფიის დაცვისა და პროპაგანდის საქმეში. შრომებში „ბერნშტეინი და მატერიალიზმი“, „Cant კანტის წინააღმდეგ ანუ ბ-ნ ბერნშტეინის სულიერი ანდერძი“, „კონრად შმიდტი კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის წინააღმდეგ“, „მატერიალიზმი ან კანტიანიზმი“, „ბ-ნი პ. სტრუვე საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტული თეორიის კრიტიკოსის როლში“ და სხვ. გ. პლეხანოვი ამხელდა ფილოსოფიურ რევიზიონიზმს და ამტკიცებდა, რომ კანტის ფილოსოფია და მარქსიზმი საპირისპირო თეორიებია, რომელთა არც მორიგება და, მით უმეტეს, არც პირველით მეორის „შეესება“ შეიძლებაო. ავტორი მიუთითებს გ. პლეხანოვის შეცდომებზედაც (ფილოსოფიის პარტიულობის გაუგებრობა, ცდის არასწორი გაგება, შეგრძნებების ჩათვლა ეიროგლიფებად, ფოიერბახის მატერიალიზმისა და მარქსის მატერიალიზმის განსხვავების არასწორი გაგება და სხვ.).

ფილოსოფიური რევიზიონიზმის, და საერთოდ რევიზიონიზმის, განადგურება, განვითარების ახალ საფეხურზე მარქსიზმის აყვანა ვ. ი. ლენინის სახელთანაა დაკავშირებული. „რევიზიონიზმის ლენინური კრიტიკის მნიშვნელობა, — ნათქვამია წიგნში, — არ შემოიფარგლება მარტო იმ რევიზიონისტული მიმდინარეობის განადგურებით, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც მას მოუხდა. ეს კრიტიკა დღესაც ინარჩუნებს ძალას თანამედროვე რევიზიონიზმის მიმართ, ვინაიდან ეს უკანასკნელი მრავალ პრინციპულ საკითხში იმეორებს ძველი რევიზიონიზმის არგუმენტებს და ცდილობს ეპოქის ცვლილებებით გაამართლოს ისინი“ (გვ. 26).

წიგნი ფართოდ აშუქებს ვ. ი. ლენინის ბრძოლას ყველა სახის რევიზიონისტულ მიმდინარეობებთან („ლეგალური მარქსიზმი“, „ეკონომიზმი“, ბერნშტეინი და მახიზმი, ტროცკიზმი და სხვ.), ნათელყოფს მის უდიდეს დამსახურებას პარტიისა და საერთაშორისო შუშათა მოძრაობის წინაშე.

სამწუხაროდ ო. ბაკურაძე მხოლოდ ეხსენებს კომუნისტური პარტიის ბრძოლას რევიზიონისტულ კონცეფციათა წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. ეს პერიოდი მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებთან კომუნისტური პარტიის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია და სათანადო გაშუქებას საჭიროებდა.

ავტორი ხსნის იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს რევიზიონიზმის გამოცოცხლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში დროებითი მაღალი ეკონომიური კონიუნქტურა, ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის გავლენა და სხვ.); შემდეგ კი ახასიათებს თანამედროვე რევიზიონიზმის ძირითად ნიშნებს.

პოლონელი რევიზიონისტები ზ. სხობოვსკი, ი. შატსკი, ლ. კოლაკოვსკი, ი. ვიატრი, ზ. ბაუმანი, ფრანგი რევიზიონისტი ა. ლეფევრი და სხვ. „კრიტიკის თავისუფლების“ ლოზუნგით გამოდიან, უარყოფენ ფილოსოფიის პარტიულობას. პოლიტიკის შეჭრა ფილოსოფიის სფეროში მავნე გავლენას ახდენს მის განვითარებაზეო, ამბობს ა. ლეფევრი. „მარქსიზმსა და არამარქსიზმს შორის საზღვრის ზუსტად დადგენა შეუძლებელია“, აცხადებს ლ. კოლაკოვსკი. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ფრაზებით „კრიტიკის თავისუფლების“ შესახებ ისინი ცდილობენ დაფარონ თავიანთი ღალატი რევოლუციური მარქსიზმისადმი. „კრიტიკის თავისუფლება“, — წერს ვ. ი. ლენინი, — არის თავისუფლება ოპორტუნისტული მიმართულებისა სოციალ-დემოკრატიაში, თავისუფლება სოციალ დემოკრატიის გადაქცევისა რეფორმათა დემოკრატიულ პარტიად, თავისუფლება ბურჟუაზიული იდეების და „ბურჟუაზიული ელემენტების ჩანერგვისა სოციალიზმში“ (თხზ., ტ. 5, გვ. 440 — 441).

ყალბი და უსაფუძვლოა რევიზიონისტთა მტკიცებანი უკლასო კაპიტალისტური წყობილების, „სახალხო კაპიტალიზმის“ და სხვ. შესახებ. ა. ბიტელმენი იქამდეც კი მივიდა, რომ აშშ-ის სახელმწიფოს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ უწოდებს და ამტკიცებს აშშ-ში კლასობრივ წინააღმდეგობათა გაქრობას. დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში დამყარდა კლასობრივი ზავი, ამტკიცებს ამერიკელი რევიზიონისტი ჯ. პეიტსი თავის ნაშრომში „დადგა დრო ცვლილებებისათვის“, სოციალური რევოლუციების ეპოქა კი წარსულს ჩაბარდაო.

წიგნში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ

რევიზიონისტთა შეხედულებებს საერთო არაფერი აქვთ რეალურ სინამდვილესთან, რომ მათი „სოციალური სტრატიფიკაციის“ (სტრატიფიკაცია ნიშნავს საზოგადოების დაყოფას სტრატებად ანუ ჯგუფებად), „სოციალური მობილობის“ თეორიები სინამდვილის შეგნებულ შელამაზებას, სოციალურ ურთიერთობათა ნამდვილი სურათის დამახინჯებას წარმოადგენს. ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „კლასებს შორის განსხვავების ძირითადი ნიშანი არის მათი ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში და, მაშასადამე მათი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი“ (თხზ., ტ. 6, გვ. 324).

ო. ბაკურაძე სწორად მიუთითებს, რომ რევიზიონისტებს კლასებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტული თვალსაზრისის უარყოფა ძირითადად იმისათვის სჭირდებათ, რომ დაამტკიცონ სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ-ლენინური თეორიის არამეცნიერულობა, ის, თითქოს ეს თეორია არ გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მოთხოვნებს, თითქოს კაპიტალიზმი სოციალიზმში არ შეიძლება გადავიდეს სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გზით. „რევიზიონისტები შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მრავალი ნიშნით, მაგრამ სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფაში ისინი ისევე ერთსულოვანი არიან, როგორც კაპიტალიზმის ყველა მსახური“ (გვ. 71). რევიზიონისტები ჯოლიტი, ჰეიტსი, ბიტელმენი, ნორმანი, კარონი, სმიტი, სოლსბერგი და სხვ. სავსებით უარყოფენ სოციალისტური რევოლუციის იდეას და სოციალიზმს განიხილავენ როგორც მხოლოდ და მხოლოდ რეფორმების შედეგს, ამით საბოლოოდ ადასტურებენ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას.

სარეცენზიო წიგნში სწორად არის გავლებული პრინციპული ზღვარი სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის მარქსისტულ-ლენინურ და თანამედროვე რევიზიონისტულ გაგებას შორის. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, როგორი ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს იგი (პარლამენტი, სამოქალაქო ომი და სხვ.), მარქსისტ-ლენინელებისათვის ნიშნავს მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას თავისი შინაარსით. ხოლო რევიზიონისტები 1) მშვიდობიან გზას ერთადერთ გზად თვლიან; 2) მშვიდობიან გზას მიიჩნევენ სოციალიზმის „შეზრდად“ კაპიტალიზმში; 3) უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას; 4) უარყოფენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმართველ როლს სოციალისტური წყობილების სისტემაში (გვ. 83).

ო. ბაკურაძე საფუძვლიანად იხილავს იუგოსლაველ რევიზიონისტთა შეხედულებებს, გვიჩვენებს მათ სრულ შეუთავსებლობას მარქსიზმ-ლენინიზმთან. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ახალი პროგრამაში „კონცეპტრაცია ჰპოვა რევიზიონისტულმა შეხედულებებმა სახელმწიფოს შესახებ: სახელმწიფო უკვე აღარ წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოების რომელიმე კლასის ორგანოს, ის უკვე აღარ ასახავს და არ იცავს ამ კლასის განსაკუთრებულ ინტერესებს; ბურჟუაზიული სახელმწიფო „კლასების არბიტრია“, რომელიც ერთი კლასის განსაკუთრებული ბატონობის იარაღს არ წარმოადგენს და ა. შ. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ასეთი შეფასება თავიდან ბოლომდე ანტიმარქსისტულია, ჭეშმარიტების სრული უგულვებელყოფაა. ამიტომ გასაგებია, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა ასე მკაცრად რატომ გააკრიტიკეს ეს პროგრამა.

იუგოსლაველი, და საერთოდ ყველა ჯერის რევიზიონისტები მარქსიზმ-ლენინიზმს ამახინჯებენ იმითაც, რომ ერთმანეთს მეტაფიზიკურად უპირისპირებენ საზოგადოებრივი განვითარების ზოგად და სპეციფიკურ მხარეებს, წყვეტენ მათ ერთმანეთისაგან და არსებითად მიაჩნიათ მხოლოდ ის, რაც სპეციფიკურია თვითეული ქვეყნისათვის. აქედან წარმოდგა „ნაციონალური კომუნიზმის“ თეორია, რომლის ანტიმეცნიერული, ანტიინტერნაციონალური ხასიათი სავსებით სწორად არის გახსნილი წიგნში. „ნაციონალური კომუნიზმის“ მიხედვით ყოველ ქვეყანას აქვს სოციალიზმის მშენებლობის საკუთარი გზა, რომელიც არსებითად განსხვავდება სოციალიზმის მშენებლობისაგან სხვა ქვეყნებში. სოციალიზმის მშენებლობის ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც აქვს საბჭოთა კავშირს, ამ თეორიის მიხედვით უკუგდებულია. სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილება ინტერნაციონალური, საერთაშორისო მნიშვნელობისაა და მისი გამოყენება ყველა ქვეყნისათვის აუცილებელია. კომუნიზმის მშენებლობას ერთი კანონზომიერება აქვს და იგი ყველა ქვეყანაში არსებითად ერთნაირად უნდა განხორციელდეს. ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: **პროლეტარიატის დიქტატურა**“ (თხზ., ტ. 25, გვ. 508).

ო. ბაკურაძე სამართლიანად წერს: „..თანამედროვე ფილოსოფიურ რევიზიონიზმს პირდაპირ შეიძლება ეწოდოს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ნაწილი“ (გვ. 117). ამ აზრის დასასაბუთებლად იგი სპეციალურად

განიხილავს თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთ ყველაზე „გამოჩენილ“ კრიტიკოსთა შეხედულებებს.

ნაშრომს პრეტენზია არა აქვს თანამედროვე რევიზიონიზმის ყოველმხრივი და ამომწურავი სურათი წარმოგვიდგინოს. მისი მიზანია თანამედროვე ფილოსოფიური რევიზიონიზმის ზოგიერთი ძირითადი ნიშნის დახასიათება და კრიტიკა. ეს ამოცანა ავტორს შესრულებული აქვს.

ნოდარ კუპრავა.

წიგნი სახელოვან წინაპარზე

★

ახლახან გამოაქვეყნა გამომცემლობა „ცოდნამ“, აოოფეესოო საოგის კაკაბაძის სამეცნიერო პოპულარული წიგნი — „ვახტანგ გორგასალი“.

მოხოგოაფიის ავტორი ძიოლოდ ვაატანგ გორგასლის ბიოგრაფიითა და ძის მოღვაწეობასთან დაკავშირებული თარიღების უეიალო გადმოცემით კი აო იფარგლება, არამედ იგი იმ ეპოქის ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების მეცხიეოულ ანალიზს გვაძლევს.

ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და საქმიანობის შესასწავლად მთავარი წერილობითი წყარო ჯუანშერის ნაწარმოებია, რომელიც სავსეა ავტორის ფანტაზიით გამოგონილი ამბებით. ამიტომ ს. კაკაბაძე გადმოსცემს რა ჯუანშერის ძიერ აღწერილ ეპიკურ ამბებს, მეცნიერული სიფრთხილით ეპყრობა მათ და იქვე ურთავს სათანადო ახსნა-განმარტებებს.

ვაატანგის მამა იყო ქართლის მეფე მირდატი, დედა საგდუხტი კი სპარსეთის ჩრდილოელი პროვინციების დიდი მარზპანის (მმართველის ანუ სამაარეო მეფის), ასული. მიუხედავად ირანული წარმოშობისა იგი თავდადებით იღწვოდა ქრისტიანობისათვის; ვახტანგის სრული სახელი იყო ვარან-ხოსრო-თანგ, რაც ქართულად შემდეგნაირად იშიფრება: ვარან წილი ხოსროსი (ხოსროებად სპარსეთში იწოდებოდნენ მეფედ-მეფეები). სახელი „ვახტანგ“ შემდეგში ისე შეუსისხლხორცდა ქართულ ენას, რომ იგი დღეს წმინდა ქართულ სახელად მიგვაჩნია, „გორგასალი“ კი, როგორც ცნობილია სპარსულად „მგელთავას“ ნიშნავდა. ზოგიერთები შემდგომში „გორგასლანს“ წერდნენ და გამოთქვამდნენ, მაგ. აკაკი წერეთელი. ასეთი გააზრება სახელს იმიტომ მიუღია, რომ სპარსულად „გორგასლან“ „მგელ-ლომს“ ნიშნავს.

15 წლის ჭაბუკმა ვახტანგმა მიიღო პირველი ვაქკაცური საბრძოლო ნათლობა ოსების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მან დარიალის ვიწროებში, თერგის ნაპირთან გადაიხადა.

საომარ მოქმედებაში გორგასალმა გამოავლინა არა მარტო სარდლის საუკეთესო თვისებები, არამედ პირადი მაძაცობაც, რაც ესოდენ საჭირო იმ პერიოდში, როცა გადამწყვეტ ბრძოლებს ხელჩართული ხასიათი ქონდა. პირისპირი ბრძოლაში ვახტანგმა საკუთარი ხელით გაგმირა მოწინააღმდეგეთა ორი ყველაზე ძლიერი გოლიათი — თურქ-ხაზართა რიგებიდან გამოსული თარხანი და ოსი ბუმბერაზი ბაყათარი. ეს ომი, ქართველთა მბედრობამ გორგასლის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ მოიგო და ამით დიდი ხნით საზღვარი დაუდო ჩრდილოეთის ტომების თარეშს ქართლის ტერიტორიაზე. მალე ამ ამბის შემდეგ, როგორც ავტორი მიუთითებს, ვახტანგ .გორგასალი გაიწვიეს სპარსეთში, სადაც მან 16 წელი დაპყო და ერთერთ ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ირანის გამუდმებულ საომარ ოპერაციებში.

ცალკე პარაგრაფშია გადმოცემული იმ დროის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამბავი—შუშანიკის ცხოვრება, მარტვილობა და მისი აღწერა ქართულ და სომხურ ენებზე. ამ პარაგრაფში მკითხველს თვალში ეცემა სიახლე შუშანიკის გარდაცვალების ქრონოლოგიურ დაზუსტებაში: კ. კეკელიძის აზრით, რომელიც მტკიცედაა მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, შუშანიკი გარდაიცვალა 475 წლის 17 ოქტომბერს, ხოლო მისი წამება დაწერილია 476—483 წლებს შორის, ხოლო ს. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ შუშანიკ დედოფლის გარდაცვალება მოხდა 446 წლის 17 ოქტომბერს და ამავე წლის ბოლოს დაიწერა იაკობ ხუცესის ნაწარმოებიც.

ვახტანგის სპარსეთში ხანგრძლივი ყოფნის დროს ირანის მთავრობის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ არარაობამდე დაეყვანათ ქართლის სახელმწიფოებრივობა. ამ პოლიტიკამ ყველაზე რელიეფური გამოხატულება ჰპოვა იდეოლოგიურ — სარწმუნეობრივ

სარგის კაკაბაძე „ვახტანგ გორგასალი“ გამომცემლობა „ცოდნა“ 1959.

სფეროში. განსაკუთრებით სომხეთში სპარსეთის მთავრობის ღონისძიებანი ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად იყო მიმართული. მაგრამ ერის მოწინავე ძალების და ფართო მასების აქტიური წინააღმდეგობით ეს პოლიტიკა ძარცხით დამთავრდა. და ბოლოს ცეცხლთაყვანისმცემლური მთავრობა სპარსეთისა იძულებული გაიდა შეეწყვიტა ქრისტიანობის დევნა.

როგორც ავტორი აღნიშნავს, ამის შემდეგ ვახტანგის ბედიც გამოირკვა. მას სპარსეთის მთავრობის წრეებში მეტად კარგი სახელი ქონდა მოხვეჭილი. სპარსეთის მთავრობამ შესაძლოდ ცხო ქართლის მეფობის აღდგენა და მეფედ ვახტანგის დამტკიცება. ვახტანგის ქართლში დაბრუნება მოხდა მეფე იეზდიგერდ მეორეს მეფობის უკანასკნელ წლებში ე. ი. დაახლოებით 456—457 წლების მიჯნაზე.

სამშობლოში დაბრუნებულ ვახტანგს მეტისმეტად უსიამოვნო ინციდენტი მოუხდა ქართლის ეპისკოპოსთან მიქელთან. როგორც ერთი წყარო გადმოგვცემს, აქ ინციდენტით აღელვებული ვახტანგი თითქოს ქრისტიანობის სრულიად აღმოფხვრას იმუქრებოდა.

ამასთან დაკავშირებით ს. კაკაბაძე შემდეგს სწერს: „ცეცხლთაყვანისმცემლობა, თავის ჩამორჩენილობის გამო, არათუ შეუწყობდა ხელს, პირიქით, დასცემდა ქართული კულტურის განვითარებას და ხელს მოუმართავდა ქართველებში გასპარსელების პროცესის გაძლიერებას. ამიტომაც ვახტანგი კვლავ ქრისტიანობისაკენ იბრუნებს პირს და შემდეგში კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში ქრისტიანულ ეკლესიას ემყარება. ამასთანავე მთელი ეს ინციდენტი ამტკიცებს, რომ ვახტანგი არ იყო ვიწრო სარწმუნოებრივი ფარგლებით შეზღუდული პიროვნება, რომ საზოგადოდ ფართოდ აზროვნებდა და კერძოდ რელიგიას და ეკლესიას უყურებდა, როგორც ერთერთ საშუალებას გარკვეული პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული მიზნების განსახორციელებლად“ (გვ. 28).

ქართლის მთავარეპისკოსთან მომხდარი ამ კონფლიქტის შემდეგ ვახტანგი უმალვე განშორდა მცხეთას და სამოღვაწეოდ გადმოვიდა თბილისს. მომდევნო წლებიდანვე იწყება თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის ისტორია, რომელმაც უკვე თხუთმეტ საუკუნეს გადააბიჯა. რაც შეეხება თბილისის დასახლებას, როგორც ეს დედაქალაქის წიაღიდან ამომზეურებულმა მატერიალური კულტურის ძეგლებმა დაადასტურა, იგი შორეულ, გარდასულ საუკუნეთა სიღრმეში იწყება, ხოლო ქალაქის ნიშანდობლივი თვისებები თბილისს მანამდე გააჩნდა, სანამ იგი მცხეთას წაართმევდა დედაქალაქობას. ის კია, რომ დედაქალაქად გამოცხადების შემდეგ გაცილებით სწრაფი ტემპით ვითარდება თბილისის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრება.

„ამ პირველი ამბების შემდეგ იწყება ვახტანგის ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართველი ხალხის სასარგებლოდ, რამაც უკვდავყო მისი სახელი საქართველოს ისტორიაში. ვახტანგის შემდგომ მოღვაწეობაში განსაკუთრებით ცხადი შეიქნა მის დიდ ჭკუასთან და ნიჭთან ერთად მისი იშვიათი საორგანიზაციო უნარი, რაც ასე საჭირო იყო ყოველთვის სახელმწიფო საქმეების წარმართველი პირისათვის“. (გვ. 29).

თბილისის დედაქალაქობის წინა პერიოდის ისტორიის მოკლედ გადმოცემის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს იმ ფართო მშენებლობითი საქმიანობის შესახებ, რომელიც ახალ დედაქალაქში გაჩაღდა. ბევრმა იმდროინდელმა ნაგებობამ ხომ ჩვენამდეც მოაღწია!

ვახტანგის მეფობის საგარეო-პოლიტიკური ამბებიდან ერთერთი უმნიშვნელოვანესია ეგრისის დიდი ნაწილის ქართლის სამეფოსთან შემოერთება, რაც რომაელების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლით იქნა მოპოვებული. ამას დიდი მნიშვნელობა ქონდა ქართული ეროვნულობის მთლიანობის გასამტკიცებლად.

წიგნის ცალკე თავშია განხილული ვახტანგის შინაური საქმეები: სამხედრო რეფორმა, საკარგავის შემოღება, კათალიკოსობის დაფუძნება, მამასახლისების ინსტიტუტის შესუსტება და სხვ.

ქართლში მეფედ დაბრუნებისა და აქ ნაყოფიერი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის რამდენიმე წლის შემდეგ ვახტანგ გორგასალს სპარსეთის შორეულ ლაშქრობებში ვხედავთ. ავტორის აზრით ეს უნდა ყოფილიყო 474—475 წლების ახლოს. მაგრამ ამ ლაშქრობებიდან დაბრუნების შემდეგ ქართლისა და ირანის ურთიერთობა მწვავდება და მათ შორის იმართება ომი, რომელშიაც გორგასალი ჩვეული ვაჟკაცური შემართებით იბრძვის.

ინტერესს იწვევს ავტორის მიერ გარჩეული ვერსიები ვახტანგ გორგასალის დაღუპვის შესახებ.

მონოგრაფიაში კარგადაა გაშუქებული ის თვალსაჩინო მიღწევები ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, რომლებითაც აღინიშნა ვახტანგ გორგასალის მეფობისა და მისი მომიჯნავე ქრონოლოგიური პერიოდები...

ვახტანგის პიროვნების საუკეთესო თვისებების დახასიათებისას ავტორი სავსებით სწორად დაასკვნის: „ვახტანგის პიროვნების იდეალიზაცია შემდგომ თაობათა ხსოვნაში გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა მისი დიადი სახელმწიფოებრივი დამსახურებით... . მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვახტანგის პიროვნული სიდიადე ვერას გახდებოდა, რომ თვით ქართველი ხალხი მაშინ თავის თავად და თაიისი წამყვანი ფენების სახით არ ყოფილიყო მაგარი თავისი

შინაგანი აღნაგობით და ძლიერი სულიერად თავისი თვითმყოფობის დაცვის საქმეში".

თბილისის დაარსებაზე გავრცელებული ცნობილი ლეგენდა, რომელიც ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული, იმდენად პოპულარულია, რომ ავტორს ზედმეტად მიუჩნევია მისი შრომაში მოხსენება.

სარგის კაკაბაძეს, როგორც ქართველი ერის წარსულის ცნობილ მკვლევარს ჯერ კიდევ ჩვენმა სასიქადულო მგოსანმა აკაკი წერეთელმა მიაქცია ყურადღება. უძღვნა რა სპეციალური სტატია მის მოხსენებას, მოუწონა მოსაზრებანი და წააქეზა კვლავაც გულმოდგინებით ემუშავნა ჩვენი ისტორიის ჯერ კიდევ ბნელითმოცული საკითხების ნათელსაფენად. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ქართული ისტორიოგრაფია მძლავრ მეცნიერებად იქცა, რაშიაც სერიოზული წვლილი შეიტანა პროფესორმა სარგის კაკაბაძემაც. სარეცენზიო შრომაც ამის ერთი მაგალითია. მართალია, თავის ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობისას მან ბევრი ორიგინალური და ერთი შეხედვით უცნაური მოსაზრება გამოთქვა ჩვენი წარსულის მრავალ საკითხზე, მაგრამ ამაზე ჩვენ გვინდა გავიმეოროთ აკაკის სიტყვები, რომლებიც მან ს. კაკაბაძის მოხსენების გამო თქვა: „...დიდი საქმეა ცნობისმოყვარეობა და მკვლევარობა! სამუშაოდ გამოსულ ქართველობას ყოველთვის ვთხოვდით და ვთხოვთ არა კაჭურად სხვების ნათქვამის განმეორებას... არა სხვების ნაღეჭის ცოხნას, არამედ თავის საკუთარ ნაგრძნობისა და ნაფიქრალის გამოფენას, გინდ შემცდარიც იყოს!.. მკვლევარობა დიდი საქმეა და მისი შედეგიც სასარგებლო". (აკაკი წერეთელი, ტომი 6. გვ. 199).

დავით ჩაკვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გვრიტიშვილი

★

წერილი რედაქციის მიმართ

„მნათობის“ 1959 წლის № 8-ში დაიბეჭდა ა. ბაქრაძის წერილი „მხატვრული ფილმი თუ ისტორიის სახელმძღვანელო“?

ეს წერილი შეეხება 1959 წლის 30 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას — „ჩვენი ისტორია და ფილმი „მაია წყნეთელი“.

ა. ბაქრაძე ცდილობს ჩემს წერილში აღძრული საკითხები უგულებელყოს და „გაამართლოს“ „მაია წყნეთელი“.

პირუთვნელმა მკითხველმა იცის, რომ ჩემი წერილი საქმის ინტერესებიდან გამოდიოდა და იმის რჩევას იძლეოდა, რომ, თუ კინოხელოვნების მუშაკები მჭიდრო ურთიერთობაში იქნებიან სათანადო დარგის სპეციალისტებთან, ამით თავიდან აიცილებენ რიგ გაუგებრობასა და შეცდომებს. „მაია წყნეთელი“ კი, ჩვენი აზრით, იმის ნიმუშია, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ხელოვანი თავისთავში უკონტროლო დაჯერებამ.

რა მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ ისტორიულ თემაზე მომუშავე კინოხელოვანს? აუცილებელია, რომ მან ისტორიული სინამდვილე არ დაამახინჯოს, წარსულის გმირული მაგალითების ჩვენებით ხელი შეუწყოს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს. დაკმაყოფილოს მაყურებლის მაღალი ესთეტიკური მოთხოვნილებანი. აქამდე ასე ვიცოდით, რომ ყოველი დიდი ხელოვნება იმიტომ იყო დიდი, რომ ის სინამდვილეს, ცხოვრებას სრულყოფილად წარმოგვიდგენდა, ეპოქის სულს სწორად გადმოგვცემდა. ა. ბაქრაძე ამტკიცებს: მხატვრული ასახვა უფრო მეტია, ვიდრე ესა თუ ის კონკრეტული ისტორიული ეპოქაო. იგი წერს: „როცა მხატვრულ ნაწარმოებთან (სულ ერთია, პროზაული იქნება იგი თუ კინემატოგრაფიული) გვაქვს საქმე, ტერმინი — ისტორიული პირობითად უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან ის, რასაც ხელოვანი ამბობს, უფრო ფართოა მოცულობით და აზრით, ვიდრე ესა თუ ის კონკრეტული ისტორიული ფაქტი, რასაც კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენათი“ ამბობს, ვინ ჩაატევს მხოლოდ გიორგი პირველის მეფობის ვიწრო ფარგლებში“.

ა. ბაქრაძემ რომ გიორგი პირველის ეპოქა ღრმად იცოდეს, მიხვდებოდა, რომ ეს ეპოქა მრავალ „დიდოსტატის მარჯვენას“ მოითხოვს, რათა იგი სრულყოფილად წარმოვიდგინოთ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ა. ბაქრაძე ისტორიულ ერეკლეს ფოლკლორულ ერეკლედ გადაკეთების მომხრეა. ფოლკლორულ მასალას მაშინ მოვიშველიებთ ხოლმე, როცა ისტორიული მასალა ამა თუ იმ მოვლენაზე პასუხს არ იძლევა. ამ ელემენტარულ მოთხოვნას უგულებელყოფს ჩვენი რეცენზენტი. მაგრამ გახა „მაია წყნეთელის“ ერეკლე ჰგავს თუნდაც ხალხურ ერეკლეს?“ რა თქმა უნდა, არა.

რაც მთავარია, რეცენზენტი ერეკლეს დროინდელი ეპოქის გაგებაში გვედავება. თურმე ჩვენ არ გვცოდნია მე-18 საუკუნის საბუთები, თორემ დავინახავდით, რომ გლეხი დაბეჩავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ა ბაქრაძე იმოწმებს სათანადო საბუთებს, მაგრამ მას რომ თვალყური ედევნებინა ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი მიღწევებისათვის, ეცოდინებოდა, რომ ყველა ეს და სხვა აუცილებელი საბუთი მე გამოყენებული და გაანალიზებული მაქვს ჩემს მონოგრაფიაში „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ (გამოვიდა 1955 წ.). მაგრამ ამ ფაქტებიდან მე სულ სხვა დასკვნა გამომაქვს. აი, რა მაქვს მე იქ ნათქვამი: „...აქ განხილული საბუთები სრულიადაც არ გვაძლევს ისეთი დასკვნის უფლებას, თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება, როგორც, სამწუხაროდ, ზოგიერთებს ჰგონიათ, ხელს უწყობდა ფეოდალთა თავაშვებულებას, თითქოს არ იყო არავითარი კანონზომიერი ცხოვრება, გარდა თავაშვებული ძალადობისა“.[1]

მე არაერთგან, და იმაზე უფრო მეტი საბუთიანობით, ვიდრე ბაქრაძეს წარმოუდგენია, აღნიშნული მაქვს თავადური სისტემის თანამგზავრი — ყმის ყიდვა, აკლება, გახეიბრება, დარბევა და სხვ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება დაშლილი იყო და ყველანი ერთმანეთს ისე უყურებდნენ, როგორც მგელი ცხვარს, მარტო ციციშვილები რომ ყოფილიყვნენ საქართველოში, მაშინ საქართველო აღარ გადარჩებო-

[1] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

და. საქართველოში, ციციშვილების გარდა, იყვნენ არჩილ მეფეებიც, ვახტანგ მეექვსეებიც, ერეკლე მეორეებიც. მათ ესმოდათ, რომ, თუ ამოწყდებოდა გლეხ-კაცი, საქართველო დაძაბუნდებოდა[1].

ჩვენი რეცენზენტი იმდენად გაკადნიერებულა, რომ გულდამშვიდებით წერს: „პროფესორი დ. გვრიტიშვილი ფილმის ავტორებს უკიჟინებს და ბრალს სდებს „ჩვენი ქვეყნის წარსულის ნამდვილი ისტორიული სურათის“ „დამახინჯებაში“. სინამდვილეში კი თვითონ უშვებს ორ შეცდომას მეთოლოგიური ხასიათისას“: 1. დ. გვრიტიშვილი წერს: „ფილმის ერთი უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ნაწარმოების მიხედვით ერეკლეს ეპოქის საქართველოს ფეოდალური საზოგადოება დაშლილია ანტაგონისტურ კლასებად...“

მოაქვს რა ჩვენი წერილიდან ეს ადგილი, ბაქრაძე დასძენს: „აქ ჩვენი ავტორი ამახინჯებს მარქსიზმის ფუძემდებელ იდეას კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული როლისა და მნიშვნელობის საკითხებზე“. შემდეგ იმოწმებს იგი ენგელსს და მოაქვს ამონაწერი ენგელსის ცნობილი ნაშრომიდან. რადგან ბაქრაძეს ჰგონია, რომ მე მარქსიზმს ვამახინჯებ, იძულებული ვარ, ეს ამონაწერი მეც მოვიტანო: „სახელმწიფო აღიარებაა იმისა, რომ საზოგადოება გაიხლართა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობაში თავის თავთან, **გაითიშა შეურიგებელ წინააღმდეგობებად**, რომლისაგანაც თავის დაღწევა მას არ ძალუძს. მხოლოდ იმისათვის, **რომ ამ წინააღმდეგობებმა, კლასებმა თავისი ანტაგონისტური ეკონომიური ინტერესებით** არ გაანადგურონ ერთმანეთი და საზოგადოება უნაყოფო ბრძოლაში, აუცილებელი გახდა ისეთი ძალა... რომელმაც უნდა შეანელოს ეს კონფლიქტი და „წესრიგის“ ჩარჩოებში დააკავოს იგი. ეს ძალა კი სახელმწიფოა“ (კ. მარქსი ფ. ენგელსი. რჩ. ნაწარმ. ტ. 11, გვ. 383). ბაქრაძე გვირჩევს: „პროფესორი ვალდებულია თავი დაიზღვიოს ამგვარი შეცდომებისაგან, ისიც პრინციპული მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობისას“. სწორედ ამაზე იტყვიან: „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო“.

მე კი არ დამიმახინჯებია მარქსიზმი, არამედ ა. ბაქრაძე ვერ არჩევს „დაშლას“ „გათიშვისაგან“. ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. ენგელსი ლაპარაკობს, რომ საზოგადოება გაითიშაო, მე ვლაპარაკობ არა გათიშვაზე, არამედ დაშლაზე. როცა კლასობრივი საზოგადოება ჩნდება, საზოგადოება ითიშება კლასებად, ეს კლასები ანტაგონისტური არიან, წარმოებს კლასთა ბრძოლა, მაგრამ ეს არ იწვევს საზოგადოების დაშლას. ეს ბრძოლა ამ საზოგადოების შიგნით ხდება. ამაშია დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის დედაარსი. საზოგადოების დაშლა საზოგადოების სიკვდილს გამოიწვევს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ი. სტალინს, როცა წერდა: „რა თქმა უნდა, მართალი არ არის, რომ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის არსებობის გამო საზოგადოება თითქოს დაიშალა კლასებად, რომლებიც ერთმანეთთან ეკონომიურად დაკავშირებული აღარ არიან ერთ საზოგადოებაში. პირიქით, სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ბურჟუები და პროლეტარები დაკავშირებული იქნებიან ერთმანეთთან მთელი ეკონომიკით, როგორც ერთიანი კაპიტალისტური საზოგადოების ნაწილები. ბურჟუები ვერ იცხოვრებენ და ვერ გამდიდრდებიან თუ თავიანთ განკარგულებაში არ ეყოლებათ დაქირავებული მუშები: პროლეტარები ვერ იარსებებენ თუ კაპიტალისტებს არ მიექირავნენ. მათ შორის ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა ნიშნავს ყოველგვარი წარმოების შეწყვეტას, ხოლო ყოველგვარი წარმოების შეწყვეტა იწვევს საზოგადოების დაღუპვას, თვით კლასების დაღუპვას. გასაგებია, რომ არც ერთი კლასი არ მოისურვებს თავის მოსპობას. ამიტომ კლასობრივმა ბრძოლამ, რარიგ მწვავეც უნდა იყოს იგი, არ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაშლა, მხოლოდ უმეცრებს მარქსიზმის საკითხებში და ენის ბუნების სრულ გაუგებლობას შეეძლო ეკარნახა ჩვენი ზოგიერთი ამხანაგისათვის ზღაპარი საზოგადოების დაშლის შესახებ“ (ი. სტალინი, მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, 1950 წ. გვ. 19).

ა. ბაქრაძე მიკიჟინებს, თითქოს მე კლასთა ჰარმონიის თეორიას ვქადაგებდე და ერთიანი ნიადაგის თეორიის პოზიციებზე ვიდგე. **რა საბუთი მოაქვს? ჩემ** მიერ მოტანილ ილიას ერთ ადგილს იმოწმებს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ილიას კვლავ გავიმეორებ: „ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია. საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად. იმიტომ, რომ საისტორიო ჯაჭი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან, ამიტომაც ისტორიაში მოქმედ მამა-პაპის ავად ხსენება გლეხის მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და მას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს“.

ნუთუ ეს არის ერთიანი ნიადაგის თეორიის მაუწყებელი? აქ ილიას მხოლოდ იმის თქმა უნდა, რომ ის პირი, რომელმაც განურჩეველად

[1] იქვე, გვ. 235.

სოციალური კუთვნილებისა, თუ ღირსსახსოვარი საქმე ჩაიღინა, თავი ისახელა თავისი მოღვაწეობით, ეროვნული კულტურა გაამდიდრა, ერის ისტორიაში რჩება, როგორც ქების ღირსი და მისი აუგად ხსენება არ შეიძლებაო.

განა საქართველოს მთელი ისტორია იმის მაუწყებელი არ არის, რომ ილია მართალი იყო?

ვახტანგ გიორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, ერეკლე მეფე, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები, გიორგი საკაძე (ფეოდალთა კლასიდან), მაია წყნეთელი, არსენა ოძელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი და სხვ. (გლეხთა კლასიდან) საისტორიო პირები არ არიან?

აი, ასეთი პირები ჰყავდა მხედველობაში ილიას, როცა ზემოთ მოტანილ სტრიქონებს წერდა. რა იცოდა დიდმა ილიამ, რომ ბაქრაძის მსგავსი ნიჰილისტები ასე შეურაცხყოფდნენ, თორემ უფრო „გასაგებად“ დაწერდა.

ა. ბაქრაძე მირჩევს, სჯობდა, ბარემ, ა. ჯამბაკურ ორბელიანისაგან გესესხაო, ისიც ხომ „ჩვენი ავტორის მსგავსად ილაშქრებდა ყველას მიმართ, ვინც არ აღიარებდა და უარყოფდა ბატონისა და ყმის მამაშვილობას... „საერთო და განუყრელ“ მამა-პაპობაზე მსჯელობს პროფ. დ. გვრიტიშვილი, როცა ის ავითარებს თავის ყალბ შეხედულებას იმის შესახებ, რომ აქაო-და ღირსეულად უნდა შეფასებულიყო ფილმში ფეოდალთა ნაწილის დამსახურება სამშობლოს დაცვის საქმეში გლეხთა დამსახურების პარალელურად“.

ეს, რბილად რომ ვთქვათ, ცილისწამებაა. აი რას ვწერ მე: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის მიწა, რომელსაც გლეხი ამუშავებდა, ფეოდალს ეკუთვნოდა. გლეხს არ შეეძლო უფეოდალოდ ეცხოვრა, გლეხი ამუშავებდა ფეოდალის მიწას და ბეგარას უხდიდა თავის ბატონს. გლეხის ფეოდალური საკუთრება იყო ორი კლასის ფეოდალთა და გლეხთა კლასის ურთიერთობის შინაარსი. რა თქმა უნდა, ეს მეგობრობა კი არ გამორიცხავდა კლასთა ბრძოლას, პირიქით, ამწკაცებდა და ქვეყნის შინაგანი ცხოვრება მწკავე კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიდიოდა“. ეს სტრიქონები ხომ მე მეკუთვნის, სად არის აქ ალექსანდრე ორბელიანის მიმბაძველობა? მე ფეოდალთა და გლეხთა შორის მამაპაპურ დამოკიდებულებას კი არ ვქადაგებ, არამედ ვხედავ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული საფეხურის კანონზომიერ მოვლენას, სადაც კლასთა ბრძოლა ანტაგონისტურ ხასიათს ატარებს, საზოგადოება გათიშულია შეურიგებელ კლასებად, მაგრამ ეს საზოგადოება დაშლილი არ არის. კლასთა ბრძოლა ამ საზოგადოების შიგნით მიდის და ამიტომ „ფეოდალური ხანის ქართული კულტურა, ყოფა, ქვეყნის ხსნა-გადარჩენისათვის ბრძოლა ფეოდალური საზოგადოების მთლიანობაში უნდა წარმოვიდგინოთ“.

ა. ბაქრაძეს ასეთი დებულებები ერთიანი ნიადაგის თეორია ჰგონია. ეს ჩემი ბრალი არ არის. მას „მაია წყნეთელი“ ისტორიულად უნაკლო ფილმად მიაჩნია, მე კი ის ისეთ ფილმად მესახება, სადაც ისტორიული სინამდვილე დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. ჩვენი გაგება სხვადასხვაა, იმიტომ რომ ერთნაირად არ ვიცით საქართველოს წარსული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

★

გამოგზავნილია „საბჭოთა მწერალი“

ირაკლი აბაშიძე — მაღალი ოსტატობისათვის. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 110, ფასი 2 მან. 30 კაპ.
შალვა რადიანი — თანამედროვენი. რედ. ე. ქარელიშვილი. გვ. 272, ფასი 7 მან. 70 კაპ.
ლევან გოთუა — გმირთა ვარამი. წიგნი მესამე. რედ. ს. ჩიქოვანი. გვ. 559 ფასი 12 მან. 90 კაპ.
ო. ბალზაკი — რომანები და მოთხრობები. რედ. გ. მელაძე, თ. კოპლატაძე. გვ. 626, ფასი 23 მან. 5 კაპ.
გიორგი მდივანი — პიესები. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 344, ფასი 9 მან.
ვასილ გორგაძე — ორბის სიფაბუკე. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 234, ფასი 5 მან. 60 კაპ.
ოთარ მამფორია — ციხკრის ვარსკვლავი. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 129, ფასი 2 მან 5 კაპ.
შალვა ფორჩხიძე — გზაჯვარედინზე. რედ. რ. მარგიანი. გვ. 92, ფასი 1 მან. 75 კ.
ლადო მრელაშვილი — ლექსები. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 48, ფასი 80 კაპ.

საბლიტგამი

ხულხან-საბა ორბელიანი — იგავ-არაკები. რედ. ვ. ძიძიგური. გვ. 32, ფასი 3 მან.
ილია ჭავჭავაძე — **პორტრეტები და ილუსტრაციები.** შემდგენლები: ნ. ალანია, ლ. მახარაძე, ჯ. დადიანი. რედ. ი. გრიშაშვილი. გვ. 140, ფასი 30 მან.
ჩარლზ დიკენსი — დავით კოპერფილდი. თარგ. ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვასი. რედ. პ. ინგოროყვა. გვ. 520, ფასი 11 მან. 60 კაპ.
ჟიულ ვერნი — კაპიტან გრანტის შვილები. თარგ. ნიკო კურდღელაშვილისა. რედ. გივი მელაძე. გვ. 715, ფასი 18 მან.
ვილი ბრედელი — შვილები. თარგ. ნონა კალანდარიშვილისა. რედ. დ. ლაშქარაძე, ვ. ბეწუკელი. გვ. 448, ფასი 8 მან. 40 კაპ.
ორდე დგებუაძე — ჩაძირული თოლია. რედ. მ. მრევლიშვილი, პ. ბებია. გვ. 411, ფასი 7 მან. 20 კაპ.
ნ. ვერეტენიკოვი — ვალოდია ულიანოვი. თარგ. რ. ქებულაძისა. რედ. მ. ჭახრაკია. გვ. 59, ფასი 80 კაპ.
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ათი ნემსი. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 40, ფასი 4 მან. 20 კ.
ჟორჟ სადული — ჩარლის ცხოვრება. თარგ. გ. კარბელაშვილისა. რედ. ვ. კუპრავა. გვ. 253, ფასი 12 მან.
ჯანსუღ ჩარკვიანი — ცეროდენები. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 22, ფასი 2 მან. 30 კაპ.
ალექსანდრე პროკოფიევი — მოდის კატა ხატაურა. თარგ. დ. გაჩეჩილაძისა. რედ. მ. ჭახრაკია. გვ. 20, ფასი 2 მან. 80 კაპ.
ანა ხახუტაშვილი — დედის ღიმილი — რედ. ა. ღვინიაშვილი. გვ. 518, ფასი 10 მან. 80 კაპ.
ალიოზ ირასეკი — ძაღლთავები. თარგ. შ. გვინჩიძისა. რედ. კ. ლოლაძე. გვ. 304, ფასი 6 მან. 70 კაპ.
ქეთევან ჭილაშვილი — შეხეთ ლიას ეშმაკობას. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 18, ფასი 1 მან. 30 კაპ.
დოდო ვადაჭკორია — უცნაური დედობილი. რედ. ქ. ქუჩუკაშვილი. გვ. 28, ფასი 1 მან. 50 კაპ.
ალექსეი პანტელეევი — გიშერა. თარგ. თამარ მთვარელიშვილისა. რედ. შ. თაბუკაშვილი. გვ. 198, ფასი 5 მან.
ნოდარ დუმბაძე — მანანას წერილი. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 16, ფასი 1 მან. 40 კაპ.
როდამ ჩაჩანიძე — ვერცხლის ხეობის საიდუმლო. რედ. შ. დარახველიძე. გვ. 40, ფასი 60 კაპ.
ოინათინ ჯიბლაძე — ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 150 ფასი 2 მან. 75 კაპ.
ფოტულა იანაკოპულუ — უმცროსი ძმა. თარგმანი თ. გოგოლაძისა. რედ. ე. გოგოლაშვილი გვ. 44, ფასი 50 კაპ.
კარლო კობერიძე — განი, განი, ბიჭებო! რედ. გ. კაჭახიძე, გვ. 20, ფასი 1 მან. 35 კაპ.